


ანგორ აბრალავე

**ეროვნული ეკონომიკა
და
გლობალიზაცია**

 ინოვაცია

თბილისი 2005

მონოგრაფია ეხება გლობალიზაციის თავბრუსმხვევ, მრავალწახნაგიან, წინააღმდეგობრივ პროცესს. მასში ეროვნულ ეკონომიკათა ადგილის განსაზღვრის, განვითარების თავისებურებების შესწავლის, საერთაშორისო ეკონომიკაში ინტეგრირებისა და ახალი სტრატეგიის შემუშავების საკითხებს. იგი განკუთვნილია პროფესიული წრეებისა და საერთოდ ფართო მკითხველისათვის.

რედაქტორი

**ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ბიორგი მაღაშვილი**

რეცენზენტები

**ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები:
ელგუჯა მამუკაშვილი, რევაზ გომოხია,
პარმან ლომონაძე, რევაზ გველესიანი**

წიგნი იბეჭდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკური თეორიის კათედრის სხდომის გადაწყვეტილებით
(1 სექტემბერი, 2005 წ., ოქმი №1).

© ანზორ აბრალავა

 „ინოვაცია“, 2005.

ISBN 99940-0-612-6

რედაქტორისაგან

მსოფლიო ეკონომიკა უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ახალ თვისებრიობაში გადავიდა, რომლის ერთ-ერთი განმასხვავებელი მომენტიცაა გლობალიზაციის ტენდენციების გაძლიერება. ეს ნიშნავს ცალკეული ქვეყნების ეროვნულ ეკონომიკათა ურთიერთდამოკიდებულებისა და გლობალურ პროცესებზე დამოკიდებულების გაძლიერებას.

განსაკუთრებულ პირობებში მიმდინარეობს გლობალურ და ეროვნულ ეკონომიკათა ურთიერთდამოკიდებულების ჩამოყალიბება პოსტსოციალისტურ სივრცეში, ამ სივრცის ქვეყნებში ღია ეკონომიკის პრინციპების დამკვიდრების ეტაპზე.

მსოფლიო ეკონომიკური გლობალიზაციის დადებითი ტენდენციების და ინტეგრაციული პროცესების განვითარებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დამოუკიდებელ საქართველოში თანამედროვე, ცივილიზებული ეროვნული ეკონომიკის განვითარებისათვის.

გლობალიზაციაში ეკონომიკური გლობალიზაციის და ეროვნული ეკონომიკის განვითარების მრავალნახნაგოვანი, რთული პროცესი ჯერ კიდევ ნაკლებადაა მეცნიერების მიერ შესწავლილი. ამასთან ჩვენს ცვალებად დროში ახალი მოვლენები სულ უფრო ინტენსიურად იჩენს თავს. მათ მეცნიერულ შემეცნებას უთუოდ უაღრესად დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. გარდამავალ ეტაპზე მყოფი ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში აღნიშნული პრობლემის გარშემო კვლევის თეორიული შედეგებისა და მათ საფუძველზე შემუშავებული პრაქტიკული რეკომენდაციების მნიშვნელობა მსოფლიო თანამეგობრობის ღირსეულ წევრად საქართველოს გადაქცევისათვის ეკონომიკური ბაზის მომზადების თვალსაზრისით ეჭვგარეშეა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სრული საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ ნაშრომის თემა უაღრესად აქტუალურია. მისი არჩევა, როგორც ჯერ კიდევ ნაკლებად შესწავლილი პრობლემისა უთუოდ ადასტურებს ავტორის სწრაფვას შეავსოს ამ მხრივ მეცნიერებაში არსებული ხარვეზი.

მეცნიერის კვლევის მიზანი მდგომარეობს ეკონომიკური გლობალიზაციის მსოფლიო პროცესის კარდინალური მოვლენების, მათი თავისებურებებისა და კანონზომიერებათა, ამ პროცესში ცალკეული ქვეყნების ეროვნული ეკონომიკის განვითარების პირობათა გამოკვლევაში საერთოდ, და, აქედან გამომდინარე,

საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების, თანამედროვე მსოფლიოში ღირსეული ადგილის დამკვიდრების საუკეთესო გზის ძიებაში, კერძოდ ცდილობს: ჩანვდეს ეკონომიკური გლობალიზაციის ობიექტურ ნაწილდგვებს, მის გამოვლინებებს მსოფლიოს ქვეყნების სხვადასხვა ჯგუფებში (ლიდერი ქვეყნები, მცირე და განვითარებადი ქვეყნები და სხვ.); გვიჩვენოს ეროვნულ ეკონომიკათა განვითარების კავშირი გლობალურ პროცესებთან, თანამედროვე მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესისა და ინფორმაციული ეპოქის ახალი შესაძლებლობები ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში; დაასაბუთოს პოსტსოციალისტური ქვეყნების ეკონომიკური და სოციალური განვითარების არაორდინალური სტრატეგიის აუცილებლობა, განსაკუთრებით საქართველოს მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრირების აუცილებელი პირობა – სწრაფი გარღვევის სტრატეგიის გამოყენების გარდაუვალობა, რაც ასევე ემსახურება ქვეყნის უსაფრთხო და მდგრად განვითარებას ხანგრძლივი პერსპექტივის მანძილზე.

ავტორის მიერ საფუძვლიანადაა გამოკვლეული ეკონომიკური გლობალიზაციის კარდინალური მოვლენები, მათი კანონზომიერი ხასიათი, მსოფლიო ეკონომიკური განვითარების დომინანტური ფაქტორები უახლეს გამოვლინებათა ფონზე, განსაკუთრებით ინფორმაციული ტექნოლოგიების, შესაბამისი ეკონომიკური ფორმების – ტრანსნაციონალური კომპანიების ძლიერების გაფართოების, მსოფლიო საქონელბრუნვის ინტენსიური ზრდის პირობებში და სხვა.

მეცნიერი სიღრმისეულად წვდება ეკონომიკური გლობალიზაციის გავლენას განვითარების სხვადასხვა დონეზე მყოფ ქვეყნებზე, მათ მეურნეობებზე, ცხოვრებაზე. კარგადაა გამოვლენილი ეროვნული ეკონომიკის განვითარებაზე და ინტეგრაციულ პროცესებზე ეპოქის, რეგიონალური და ადგილობრივი თავისებურებების, ისტორიული ტრადიციების, საერთოდ ეკონომიკური და გარეეკონომიკური პირობების ზემოქმედება. განსაკუთრებით ხაზგასმულია საერთაშორისო ვითარების, ცივილიზაციის უახლესი მიღწევების მნიშვნელობა მთელი მსოფლიოს და ეროვნული ეკონომიკის განვითარების ხასიათზე, საერთაშორისო ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ურთიერთობებზე.

მონოგრაფიაში მთელი სისრულითაა წარმოდგენილი დამოუკიდებელი საქართველოს პერსპექტივებისათვის მისი ეკონომიკის მსოფლიო ეკონომიკასთან ორგანული შერწყმის მნიშვნელობა, ამ პროცესის ზოგიერთი მოსალოდნელი ნეგატიური შედეგი და ამ

უკანასკნელის თავიდან აცილებისათვის აუცილებელი ღონისძიებები.

ავტორი დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას აანალიზებს როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორების გათვალისწინებით, მსოფლიო გლობალიზაციის ფონზე არგუმენტირებულად გვიჩვენებს ჩვენს ქვეყანაში არსებულ ძირითად სიძნელეებს, მათ მიზეზებსა და დაძლევის გზებს.

მონოგრაფიაში ორიგინალურად, მეცნიერული სიღრმით არის წამოწეული და დამუშავებული თანამედროვე ეტაპზე მსოფლიო და ეროვნული, განსაკუთრებით პოსტსოციალისტური ქვეყნების ეკონომიკების ურთიერთდამოკიდებულების პრობლემა. იგი მიზანმიმართულადაა განხილული და გადაწყვეტილი ეროვნული ეკონომიკის განვითარების სასარგებლოდ, ინტეგრაციული პროცესების გამოყენების მიზნით, საერთოდ, და საქართველოსთვის, კერძოდ.

ნაშრომში წამოჭრილი საკითხების და მათი დამუშავების დონის თვალსაზრისით, ჩვენი აზრით, შეიძლება განსაკუთრებით ხაზი გაესვას ისეთ მეცნიერულ სიახლეებს, როგორიცაა: „გლობალიზაციის“, „გლობალურობისა“ და „გლობალიზმის“ ცნებების გამიჯვნა; ტრანსნაციონალური კორპორაციების (ტკე-ების) ორადი ბუნების – მსოფლიო და ეროვნული ეკონომიკის ზრდაში მათი მნიშვნელობის და ეროვნულ ეკონომიკათა წინააღმდეგ მიმართული ფაქტორების წარმოჩენა; გლობალური ტექნოლოგიური სივრცის გამოკვლევის საფუძველზე ტექნოლოგიური კვაზირენტის ხარჯზე გლობალური ტექნოლოგიური ფონდის შექმნის მიზანშეწონილობა ჩამორჩენილი ქვეყნების ტექნოლოგიური დანინაურების ღონისძიებათა დაფინანსებისათვის; მაღალინტელექტუალური შრომის საერთაშორისო დანაწილების ცნების შემოტანა, საქართველოს ეროვნული ინტელექტუალური პოტენციალის მასში ეფექტიანად ჩართვის გზების დასაბუთება; რეგიონულ საერთაშორისო გაერთიანებებში საქართველოს ურთიერთხელსაყრელობის პირობებში მონაწილეობის პრინციპების შესახებ მოსაზრებები; „იძულებითი ინტეგრაციის“ ცნების შემოტანა და ეროვნული ეკონომიკისათვის ამგვარი ინტეგრაციის უარყოფითი შედეგების განსაზღვრა. სახელმწიფოთა პოლიტიკურ ურთიერთობებში ე.წ. ხუთდონიანი პირამიდის გაბატონებული მდგომარეობის შეფასება 21-ე საუკუნის მსოფლიო სინამდვილისათვის; ქვეყნების ევოლუციური დინამიკური განვითარების გზების უპირატესო-

ბის შესახებ დასკვნა არსებული სინამდვილის მოვლენათა ანალიზის საფუძველზე; საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ანალიზი და შეფასება ქვეყნების ეროვნული ეკონომიკის აღორძინებაში დახმარების თვალსაზრისით, საერთოდ, და საქართველოსთან მიმართებით, კერძოდ, ამ დახმარების ეფექტიანობის ამაღლების შესახებ შემუშავებული წინადადებები; ეკონომიკური გლობალიზაციის პოზიტიური შედეგების გამოყენება საქართველოში საშუალოვადიანი განვითარების სცენარის ასაგებად; მეცნიერებისა და ტექნოლოგიების უახლესი მიღწევების, მსოფლიოში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრესული ტენდენციების საფუძველზე ცივილიზებული ეკონომიკური და სოციალური, სტიქიურად რეგულირებადი და ბიუროკრატიული მეთოდებით მართვადი სისტემების ალტერნატიული, სოციალურად ორიენტირებული სისტემის მოდელის ჩამოყალიბების ცდა; საქართველოს თანამედროვე განვითარების თავისებურებათა გათვალისწინებით სწრაფი გარღვევის სოციალ-ეკონომიკური სტრატეგიის დამუშავება და ა.შ.

ავტორის მიერ ასევე შემუშავებულია ორიგინალური წინადადებები საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში საქართველოს მონაწილეობის კონკრეტული მიმართულებების, კერძოდ, ტრანსკონტინენტალური სატრანსპორტო კავშირების, ენერგეტიკული პროექტების რეალიზაციის და სხვა მოსალოდნელ დადებით და უარყოფით შედეგებთან დაკავშირებით, რაც მეცნიერული კვლევის მნიშვნელოვან რეზულტატად შეიძლება ჩაითვალოს.

ამრიგად შეიძლება დავასკვნათ, რომ ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ანზორ აბრალავას მონოგრაფიაში „ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია“ ღრმა და დიდმნიშვნელოვანი მეცნიერული გამოკვლევაა, შეიცავს ზოგადთეორიულ და გამოყენებითი ხასიათის ორიგინალურ, არგუმენტირებულ თეორიულ სიახლეებს, რომლებიც წარმოადგენენ წონად წვლილს მეცნიერებაში.

წარმოდგენილ ნაშრომში ეროვნული ეკონომიკის განვითარებასთან მიმართებით გლობალიზაციის თანამედროვე პრობლემები საერთოდ პირველადაა კომპლექსურად დამუშავებული.

გ. მალაშხია
ეკონომიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

შესავალი

XX საუკუნის ბოლო მესამედი განვითარებული ქვეყნების გლობალური ინტეგრაციის გაღრმავების პერიოდი იყო. ინტეგრაციული სივრცის შემდგომმა გაფართოებამ გააძლიერა ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობა და ეროვნული სამეურნეო სისტემების ურთიერთმისადაგებისაკენ ლტოლვა, დააჩქარა მათი ერთმანეთთან შეზრდის პროცესი. რეგიონული ინტეგრაციის გვერდით გაჩნდა ტრანსკონტინენტური ალიანსები და ჩამოყალიბდა ტრანსატლანტიკური სივრცე, რომელშიც დასავლეთ ევროპა და ჩრდილოეთ ამერიკა გაერთიანდა, ხოლო საუკუნის ბოლოს 50-მდე ქვეყნის მონაწილეობით მსოფლიოს უმსხვილესი ბაზარი – „ევროპა-ლათინური ამერიკის თავისუფალი სავაჭრო ზონა“ შეიქმნა. ასეთ პირობებში მნიშვნელოვნად გაიზარდა საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების როლი გლობალიზაციის პროცესების რეგულირებაში. დღეს ისინი მსოფლიო მეურნეობის წარმმართველ სუბიექტებად გვევლინებიან და საგარეო ეკონომიკურ გარიგებებში მონაწილეობენ, როგორც ეროვნულ სახელმწიფოებთან, ისე ტრანსნაციონალურ კორპორაციებთან (ტნკ) და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

გლობალიზაცია მნიშვნელოვან ცვლილებებს იწვევს მეცნიერებასა და ტექნიკაში, უშუალო გავლენას ახდენს მსოფლიო სისტემის ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, სტიმულს აძლევს ინტერნეტის ტიპის კომპიუტერული ქსელების, კავშირგაბმულობის მსოფლიო სისტემის, საავიაციო ალიანსების შექმნას და ამით აღწევს ტელეკომუნიკაციების სფეროს გლობალიზებას.

სამეურნეო ცხოვრების თანამედროვე ინტერნაციონალიზაცია თვით წარმოების ინტერნაციონალიზაციაა. ამასთან, ეროვნული საწარმოების საერთაშორისო საქმიანობაში ჩართულია არამარტო მიმოქცევის სფერო, არამედ წარმოების პროცესიც. საერთაშორისო კავშირებით ახლა უკვე კაპიტალის მთელი წრებრუნვაა გამსჭვალული ფულადი ფორმით დანყებული და სასაქონლო ფორმით დამთავრებული.

საწარმოო პროცესი სულ უფრო ხშირად მიმდინარეობს რამდენიმე სახელმწიფოს ფარგლებში. ფაქტობრივად იქმნება საერთომსოფლიო წარმოება, რომელიც ობიექტურად გვევლინება დანაწევრებული ბაზრების გაერთიანების დასაწყისად.

გლობალიზაციის პროცესები რთული და წინააღმდეგობრივია.

ისეთი პრობლემებიც წარმოიშვა თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში, რომელთა გადაწყვეტა საკმაოდ რთულია მთელი საერთაშორისო საზოგადოებრიობის ერთობლივი ძალისხმევითაც კი. მათგან მთავარია გლობალურ მსოფლიო ბაზარსა და ეთნოეკონომიკურ სისტემებს შორის კონფლიქტი, საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მთელი სისტემის შეუსაბამობა მსოფლიოში შექმნილ ახალ ვითარებასთან და სხვა. მაშასადამე, მოხდა ის, რაც მანამდე უცნობი იყო მსოფლიო პრაქტიკაში და რაც ჩვენს დროში სულ უფრო სერიოზული კვლევის საგანი გახდა.

გლობალიზაციის პრობლემებით დაინტერესების გაძლიერების მიუხედავად, გლობალური პროცესების – ამ მრავალმხრივი, თავისი შედეგებით არაერთმნიშვნელოვანი და ინტეგრალური მოვლენის – ზოგიერთი თავისებურება, ტენდენცია, კანონზომიერება ჯერ კიდევ სათანადოდ არაა გამოკვლეული, კომპლექსურად გაანალიზებული და მეცნიერულად შეფასებული, კერძოდ, მისი გავლენა ეროვნული ეკონომიკის განვითარებაზე საერთოდ, განსაკუთრებით კი – პოსტსოციალისტურ სივრცეში (საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში).

გლობალიზაციის პრობლემების მეცნიერული კვლევის ისტორია რამდენიმე ათეული წლისაა. გარკვეული აზრით, იგი სამეტაპად შეგვიძლია დავყოთ: პირველი, როდესაც მოდერნიზაციის თეორიების და ევოლუციონიზმის ტრადიციის გაგრძელებით აქცენტირებული იყო გლობალიზაციის მხოლოდ პოზიტიური ასპექტები; მეორე, როდესაც დაიწყო შედარებით სუსტი ნაციონალური ეკონომიკის შანსების და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების გარანტიების კრიტიკულად შეფასება ახალ სამყაროში და, მესამე, როდესაც მთავარი ყურადღება დაეთმო გლობალური მსოფლიოს ახალ და სულ უფრო მზარდ პრობლემებს.

გლობალიზაციის პრობლემების ანალიზს და მათი გადაწყვეტის გზების ძიებას მიეძღვნა მრავალი გამოკვლევა, მონოგრაფია და სხვა მეცნიერული ნაშრომი. თემის აქტუალობაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ თვით სიტყვა „გლობალიზაციამ“ უმოკლეს ხანში ფართო გავრცელება ჰპოვა მეცნიერების თითქმის ყველა დარგში.

ჩვენი ძირითადი მიზანია გლობალიზაციის თავისებურებების, ტენდენციებისა და კანონზომიერებების დადგენა, ამ პროცესის მამოძრავებელი ძალებისა და წინააღმდეგობების (პოლიტიკური,

ეკონომიკური, სოციალური, ორგანიზაციულ-მმართველობითი და ა.შ.) გამოვლენა, მსოფლიო მეურნეობაში ეროვნული ეკონომიკის ადგილისა და განვითარების პირობების განსაზღვრა, ტრანსფორმაციის თანამედროვე ეტაპზე საერთაშორისო სამეურნეო სისტემაში საქართველოს ეკონომიკის ინტეგრირების სოციალურ-ეკონომიკური და გარეეკონომიკური პრობლემების კვლევა.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ნაშრომში დასახულია შემდეგი ამოცანები:

– ეკონომიკური გლობალიზაციის თანამედროვე ტენდენციების გაშუქება; მსოფლიოს ეკონომიკური ერთიანობისა და წინააღმდეგობების კომპლექსურად განხილვა; გლობალიზაციის პროცესში ტრანსნაციონალური კორპორაციების წამყვანი როლის დახასიათება და ეროვნულ მეურნეობათა განვითარებაზე გლობალური ტექნოლოგიური სივრცის გავლენის შეფასება;

– ეკონომიკის ეროვნული საზღვრების რღვევის მასშტაბების დადგენა; ეკონომიკური ინტეგრაციული პროცესების კანონზომიერებების დახასიათება; ეკონომიკურ გლობალიზაციაზე პოლიტიკური გარემოს გავლენის შესწავლა და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის დაცვის პრობლემის კვლევა;

– გლობალიზაციის პროცესის ორი პოლუსის – კორპორაციული ნიველირებისა და ინტერესთა ერთიანობის – ურთიერთკავშირში დახასიათება; გლობალიზაციის ლიდერი, ახალი ინდუსტრიული, გარდამავალი და განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური სტრატეგიების შესწავლა და არალიდერ ქვეყნებში მიღებული სოციალურ-ეკონომიკური შედეგების ანალიზი-შეფასება;

– მსოფლიო სამეურნეო სისტემაში საქართველოს ინტეგრირების დაჩქარების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა და წამყვანი ფაქტორის დახასიათება; ამ პროცესში საერთაშორისო ეკონომიკური და საფინანსო ორგანიზაციების როლის შეფასება;

– საქართველოს ეკონომიკური განვითარებისადმი არაორდინალური მიდგომების და სწრაფი გარღვევის სტრატეგიის გამოყენების აუცილებლობის დასაბუთება; ქვეყნის უსაფრთხო და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის ეკონომიკური და გარეეკონომიკური ფაქტორების კვლევა და მისი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის კონცეფციური და ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური პრინციპების ფორმირება.

ჩვენი კვლევის საგანია მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში ეროვნული მეურნეობის განვითარების პოტენციალი და მასზე

გლობალიზაციის პოზიტიური და ნეგატიური გავლენა, ხოლო კვლევის ობიექტია თანამედროვე გლობალური ეკონომიკური სისტემა, როგორც წინააღმდეგობრივი მთლიანობა და ამ სისტემაში შემავალი, განსხვავებული პოტენციალის და განვითარების თავისებურებების მქონე ეროვნულ მეურნეობათა განვითარების თეორიული და პრაქტიკული ასპექტები.

გამოკვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველია ეკონომიკურ ურთიერთობათა, საერთაშორისო ვაჭრობისა და პირდაპირი ინვესტიციების, აგრეთვე, ტნკ-ების ფენომენის შემსწავლელ თეორიებში და ე.წ. „დამოკიდებულების თეორიაში“ მოცემული შეხედულებები და კონცეფციები საერთაშორისო თანამშრომლობის მონაწილე სუბიექტთა ურთიერთდამოკიდებულების, გლობალიზაციის პროცესში თანამედროვე ტნკ-ების როლის, შრომის საერთაშორისო დანაწილების შინაარსის და სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციის ტრანსფორმაციის, სუსტი ქვეყნების დაქვემდებარებული მდგომარეობის შენარჩუნების, ეკონომიკური განვითარების მოდელების ევოლუციის, უსაფრთხო და მდგრადი განვითარების შესახებ და ა.შ.

მონოგრაფიაზე მუშაობისას ვეყრდნობოდით მეცნიერ-სპეციალისტთა სხვადასხვა შეხედულებებს, განსხვავებულ მოსაზრებებს, ფაქტობრივ, სტატისტიკურ მონაცემებს.

ნაშრომში განხილულ საკითხთა თეორიული დამუშავებები ეფუძნება ისტორიული განვითარების მეცნიერული ანალიზის, აბსოლუტურ და შედარებით უპირატესობათა თეორიების გამოყენების, აბსტრაქციის, შერჩევითი გამოკვლევის, ლოგიკური მსჯელობის, სტატისტიკურ მონაცემებთა შედარების, დიალექტიკურ, სისტემური მიდგომის, კვლევის შედეგების შეჯერების და სხვა მეთოდებს.

მონოგრაფია წარმოადგენს ეკონომიკური გლობალიზაციისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ ფუნდამენტურ, მრავალპლანიან გამოკვლევას, სადაც მთლიანობაშია შესწავლილი ეროვნული ეკონომიკის თავისებურებები და მსოფლიო მეურნეობაში მისი ადგილის განსაზღვრის საკითხები, განხილულია საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში საქართველოს ინტეგრირების პრობლემები და დასახულია სოციალურ-ეკონომიკური წონასწორობის, უსაფრთხო და მდგრადი განვითარების მიღწევის გზები გლობალიზაციის ფონზე.

¹ ამ თეორიის ერთ-ერთი აქტიური მიმდევარია ჩერილ პეიერი.

წარმოდგენილ ნაშრომში განსაკუთრებით საყურადღებოდ და მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ის, რომ:

◆ ჩამოყალიბებულია ეკონომიკური გლობალიზაციის არსზე ავტორისეული მოსაზრებები. საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე, საერთო ტენდენციებისა და სხვადასხვა შეხედულებათა ობიექტური ანალიზიდან გამომდინარე, ზოგადად გლობალიზაცია განმარტებულია, როგორც ქვეყნებსა და რეგიონებს შორის ენობრივი, ტერიტორიული, ეკონომიკური, პოლიტიკური, ფსიქიკური ბარიერების რღვევის და კულტურულ-ცივილიზაციური ერთობისა და რეგულირების ზეეროვნული სისტემის შექმნისკენ მიმართული პროცესი. ამასთან, გლობალიზაცია წარმოდგენილია, როგორც ორპოლუსიანი შეუქცევადი მოვლენა, გამიჯნულია „გლობალიზაციის“, „გლობალურობისა“ და „გლობალიზმის“ ცნებები.

– გამოკვლეულია ეკონომიკური გლობალიზაციის განმსაზღვრელი მთავარი გარე (მოსახლეობა, ბუნებრივი გარემო და საზოგადოების განვითარების მატერიალური საფუძველი) და შიდა (შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ახალი ხასიათი) ფაქტორები, მათი მოქმედების ხასიათი და შედეგები ცალკეული ქვეყნების სპეციფიკის გათვალისწინებით;

– მსოფლიო ეკონომიკური სისტემის ორგანული მთლიანობის ანალიზის საფუძველზე, ეკონომიკის რეგიონალიზაციის კონტექსტშია ახსნილი ამ სისტემის ცალკეულ შემადგენლებს („დიდი შვიდეული“; სხვა დანარჩენი განვითარებული ქვეყნები; ახალი ინდუსტრიული ქვეყნები; ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები; დსთ; ჩინეთი; ინდოეთი და პაკისტანი; შედარებით სტაბილური განვითარებადი ქვეყნები – ენერგორესურსების იმპორტიორი, მცირერიცხოვანი მოსახლეობით; კლასიკური განვითარებადი ქვეყნები – ძირითადად აზიისა და ლათინური ამერიკის; ყველაზე ნაკლებად განვითარებული, ზღვაზე გასასვლელს მოწყვეტილი ჩამორჩენილი ქვეყნები) შორის არსებული თანამშრომლობისა და წინააღმდეგობების ბუნება;

– გამოვლენილია ტნკ-ების ორადი ბუნება ეკონომიკის პროგრესთან დაკავშირებით: ერთი მხრივ, მათი უდაოდ დიდი წვლილი მსოფლიო ეკონომიკის ზრდა-განვითარებაში და, მეორე მხრივ, ისეთი იდეოლოგიის დანერგვისთვის ხელის შეწყობა, რომელიც ეროვნული უსაფრთხოების წინააღმდეგაა მიმართული;

– გამოკვლეულია გლობალური ტექნოლოგიური სივრცე, რო-

გორც თანამედროვე ეკონომიკის მატერიალური საფუძველი და დასაბუთებულია ტექნოლოგიური კვაზირენტის ხარჯზე გლობალური ტექნოლოგიური ფონდის შექმნის მიზანშეწონილობა ჩამორჩენილი ქვეყნების ტექნოლოგიური დონის ამაღლების დაფინანსების მიზნით.

◆ ახსნილია შრომის თანამედროვე საზოგადოებრივი დანაწილების მექანიზმი, რომლის შედეგად ეროვნული მეურნეობები ტრანსნაციონალურ ფირმებს შორისაა „დანაწილებული“, როგორც სხვადასხვა კომპლექსის რგოლები; გამოვლენილია ეკონომიკური საზღვრების კონფიგურაციის შეცვლის მიზეზები და შედეგები; დასაბუთებულია მაღალინტელექტუალური შრომის საერთაშორისო დანაწილებაში საქართველოს ინტენსიური მონაწილეობის აუცილებლობა, რომელიც ეროვნული ინტელექტუალური პოტენციალის ეფექტიანად ჩართვას განაპირობებს და იმავდროულად განათლების პრიორიტეტულობას გულისხმობს.

– რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის ეფექტიანობისა და მისი თანმხლები არასასურველი შედეგების გათვალისწინებით გამოვლენილია ამ პროცესში საქართველოს მონაწილეობის პერსპექტივები ევროკავშირის, სუუამ-ის, ბისეკ-ისა და სხვა გაერთიანებების ფარგლებში ურთიერთსარგებლიანობის პრინციპის საფუძველზე;

– კონკრეტული ქვეყნების მასალებზე დაყრდნობით წარმოჩენილია პოლიტიკური გარემოს გავლენა ეკონომიკურ გლობალიზაციაზე. შემოტანილია „იძულებითი (ძალდატანებით) ინტეგრაციის“ ცნება და ეკონომიკური პროგრესის თვალსაზრისით ნეგატიურ სტრატეგიადაა შეფასებული ამ ტიპის ინტეგრირების ნებისმიერი მცდელობა;

– გლობალურ ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის გამოვლენის ფორმათა ანალიზის საფუძველზე დახასიათებულია ეროვნულ სახელმწიფოში პოლიტიკურ ურთიერთობათა ე.წ. ხუთდონიანი პირამიდა, რომელიც გაბატონებულ მდგომარეობას იკავებს XXI საუკუნის პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში და მოცემულია ამ პირამიდაში ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ადგილის განსაზღვრის ცდა.

◆ კრიტიკულადაა შეფასებული კორპორაციული ნიველირება, როგორც საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარების ავანტიურისტული, რევოლუციური გზა და შემოთავაზებულია ინტერესთა თანხვედრასა და კოოპერაციაზე დაფუძნებ-

ული ევოლუციური, დინამიკური განვითარების გეზი.

– განსხვავებული მეურნეობის მქონე ქვეყნების ეკონომიკური სტრატეგიების შედარებითი ანალიზის საფუძველზე ნაჩვენებია გლობალიზაციის არალიდერ ქვეყნებში ამ პროცესით განპირობებული ნეგატიური მოვლენები (ეკონომიკური დისპროპორციები, შრომისა და გარემოს დაცვის უგულვებელყოფა, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების ხელყოფა და სხვა) და აქედან გამომდინარე, ახსნილია „მესამე სამყაროში“ სიღარიბის შენარჩუნების მექანიზმი, კრიტიკულადაა შეფასებული საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის სტანდარტ-პროგრამები, დადასტურებულია, რომ მათი მიზანია არსებული ეკონომიკური სტატუს-კვოს შენარჩუნება, კონკრეტულად კი, მწარმოებელ და მომხმარებელ ქვეყნებს შორის დღეს ჩამოყალიბებული ბალანსის დაცვა.

◆ შეფასებულია მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში საქართველოს მონაწილეობის დონე ქვეყნის საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების (უპირველეს ყოვლისა, საგარეო ვაჭრობის) და უცხოური ინვესტიციების გამოყენების ძირითადი მაჩვენებლებით და გამოტანილია დასკვნა, რომ საქართველო ჯერ კიდევ არაა ჩამოყალიბებული მსოფლიო მეურნეობის აქტიურ სუბიექტად; შემოთავაზებულია, საქართველოში ინვესტიციების განხორციელების ფორმებიდან უპირატესობის ახალი ტექნოლოგიებისათვის მინიჭება, განსაკუთრებით, პირდაპირი და იმ პერსპექტიული ინვესტიციების გამოყენებით, რომლებიც ხელს შეუწყობენ ქართული პროდუქციის გასვლას მსოფლიო ბაზრებზე.

– კვლევის მასალების საფუძველზე წარმოდგენილია საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური პერსპექტივები ქვეყნის ტერიტორიაზე სატრანსპორტო და საკომუნიკაციო დერეფნის ამოქმედებასთან დაკავშირებით. ქვეყნის სატრანზიტო ფუნქცია შეფასებულია, როგორც საქართველოს ერთ-ერთი უმთავრესი კონკურენტუნარიანი უპირატესობა და ნაჩვენებია მისი როლი სოციალურ-ეკონომიკური წონასწორობის მიღწევაში, მდგრადი და უსაფრთხო განვითარების უზრუნველყოფაში გლობალიზაციის დღევანდელ ეტაპზე. ამ ფუნქციის განმტკიცების მიზნით შემოთავაზებულია სათანადო ღონისძიებების გატარება როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე;

– არსებული გამოცდილების კომპლექსური ანალიზის საფუძველზე გაშუქებულია საერთაშორისო ეკონომიკური და საფინან-

სო ორგანიზაციების როლი (ფუნქციები) საქართველოს საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო სისტემის რეფორმირებაში, მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევასა და მთლიანად ქვეყნის სამეურნეო სისტემის განვითარებაში (ტრანსპორტისა და ენერგეტიკის რეაბილიტაცია, სტრუქტურული გარდაქმნების ტექნიკური მხარდაჭერა, მცირე და საშუალო სანარმოების ინვესტირება), საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებაში და ა.შ., რითაც ჩქარდება საქართველოს ეკონომიკური სისტემის ტრანსფორმაცია და მისი ინტეგრირება მსოფლიო სამეურნეო სისტემაში.

◆ დასაბუთებულია საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური წონასწორობის მიღწევის მიზნით არაორდინალური მიდგომებისა და სწრაფი გარღვევის სტრატეგიის გამოყენების აუცილებლობა (ეკონომიკური ზონების ამოქმედება, მდგრადი და უსაფრთხო განვითარების პროგრამის შედგენა-განხორციელება, პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილიზაცია, ცხოვრების მაღალი დონის მიღწევა, დემოგრაფიული მდგომარეობის გაჯანსაღება და ა.შ.). ამასთან, უსაფრთხო და მდგრადი განვითარების საყრდენად მიჩნეულია სოციალურ-ეკონომიკური წონასწორობის უზრუნველყოფა, ანუ სოციალური და ეკონომიკური შორის ისეთი თანაფარდობის ჩამოყალიბება, რომელიც დასავლურსა და აღმოსავლურ ცივილიზაციებში არსებულ მიღწევებსა და პროგრესულ იდეებს ემყარება (სოციალურ-ეკონომიკური ფასეულობების განმტკიცება-განვითარება, ადამიანის უფლებათა დაცვა – სიტყვის თავისუფლებასთან ერთად მოქმედების თავისუფლების დამკვიდრება, ინტელექტუალური თუ ფიზიკური საქმიანობის განხორციელებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა-გაუმჯობესება, სახელმწიფოს ეკონომიკური საქმიანობის დინამიკურობა შემოსავლების გადანაწილებაში).

– 1990-2004 წლების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი მაჩვენებლების, სხვადასხვა ქვეყნებში მშპ-ის სტრუქტურის და დინამიკის, ევროკავშირში შესვლისთვის განსაზღვრული ე.წ. „კოპენჰაგენის კრიტერიუმების“ შედარებებიდან და ანალიზიდან გამომდინარე (რომლის თანახმადაც 1990 წლისთვის საქართველო წარმოადგენდა საშუალო განვითარების დონის ინდუსტრიულ-აგრარულ ქვეყანას) სისტემატიზებული და ჩამოყალიბებულია ევროკავშირში შესვლაზე და სოციალურ-ეკონომიკური წონასწორობაზე ორიენტირებული, ქვეყნის უსაფრთხო და მდგრადი განვითარების ფაქტორები (ზოგადი და სპეციფიკური) და ძი-

რითადი პირობები. სტრატეგიული მიზნის მიღწევის მნიშვნელოვან საშუალებად მიჩნეულია ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური გეგმის (როგორც მექანიზმის) გამოყენება;

– შემოთავაზებულია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის ფუძემდებლური პრინციპები: ა) განვითარების მიღწეული დონის, უპირველესად ინტელექტუალური პოტენციალის, ცოდნის, როგორც ბაზისური რესურსის გამოყენება; ბ) გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური მდგომარეობის გამოყენება; გ) ტოლერანტიზმის, ცივილიზაციებთან ურთიერთობისა და თანაარსებობის (საქართველოში არასოდეს ყოფილა კანიბალობა, ანტისემიტიზმი, ინკვიზიცია, შოვინიზმი...), როგორც ისტორიულად დამკვიდრებული ცხოვრების წესისა და გამოცდილების გამოყენება; დ) ჩამოყალიბებული საერთაშორისო კავშირების და მეზობელ სახელმწიფოებთან კეთილმეზობლური ურთიერთობების გაღრმავება; ე) სწრაფვა ნაციონალური თანხმობის მიღწევისაკენ – პოლიტიკური დაძაბულობის შესუსტება, სოციალურ-ეკონომიკური ნონასწორობის მიღწევა, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.

ვფიქრობთ, ნაშრომი ინტერესს გამოიწვევს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული, გამოყენებითი კუთხით, რამდენადაც იგი ნათლად წარმოაჩენს გლობალიზაციასთან დაკავშირებულ პრობლემათა მნიშვნელოვან სპექტრს. აქ მოცემული ინფორმაციული მასალა და სათანადო ანალიზი გამოადგებათ მსოფლიო მეურნეობის, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების თუ მათი ცალკეული სფეროების პრობლემათა მკვლევარებს.

მონოგრაფიაში წარმოდგენილი დასკვნები, წინადადებები და რეკომენდაციები ხელს შეუწყობს სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებასა და განხორციელებას, აგრეთვე, ეფექტიანი, დინამიკური ეკონომიკის ქართული მოდელის ჩამოყალიბებას. ისინი ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას ეკონომიკური თეორიის, მაკროეკონომიკის, მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა სალექციო კურსებში წარმოების ინტერნაციონალიზაციის, გლობალიზაციის პირობებში ეროვნული მეურნეობის ფუნქციონირებისა და სახელმწიფოს ეკონომიკური როლის საკითხების შესწავლისას.

ნაშრომის ავტორიანობაზე დასკვნის გამოტანა მკითხველისათვის მიგვინდია.

გლობალიზაციის კანონზომიერებანი, გამოძრავებელი ძალები და წინააღმდეგობანი

1.1. ეკონომიკური გლობალიზაციის თანამედროვე ტენდენციები

ჩვენს თვალწინ ახალი მსოფლიო ვითარება ყალიბდება, რაც ძირითადად გულისხმობს გლობალური განცალკევებულობის თანდათანობით გაქრობას და ერთიანი გლობალური თანამეგობრობის ჩამოყალიბების დაჩქარებას. მართალია, სიმდიდრისა და სიღარიბის, პროგრესისა და ჩამორჩენილობის, კანონიერებისა და უკანონობის დაპირისპირება კვლავ რჩება, მაგრამ თანამედროვე მსოფლიოს განვითარების წამყვანი ტენდენცია მაინც ინტეგრაცია, თანამშრომლობა და გლობალიზაციაა.

სხვადასხვა დარგის მეცნიერების, ანალიტიკოსებისა და ექსპერტების უმრავლესობას დღეს თითქმის ერთიანი აზრი აქვს იმის თაობაზე, რომ ახლო მომავალში მსოფლიო თანამეგობრობის განვითარების განმსაზღვრელი ტენდენცია იქნება გლობალიზაცია, სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მჭიდრო თანამშრომლობა მწვავე პრობლემების მოგვარების საქმეში.

საერთაშორისო ურთიერთობათა გლობალიზაციის პრობლემებს სულ უფრო ხშირად ასახელებენ ყველაზე პრიორიტეტულად. მაგალითად, რვა სახელმწიფოს მეთაურების 1999 წლის კიოლის შეხვედრის კომუნიკეში ნათქვამია: „გლობალიზაციამ, ამ რთულმა პროცესმა, რომელიც მთელ მსოფლიოში იდევბის, კაპიტალის, ტექნიკისა და საქონლის დაჩქარებულ და მზარდ ნაკადებს წარმოადგენს, უკვე გამოიწვია ცვლილებები ჩვენს საზოგადოებებში. მან არნახულად დაგვაახლოვა. მეტმა კარგახსნილობამ და დინამიზმმა ყველგან შეუწყო ხელი ცხოვრების დონის ამაღლებას და სიღარიბის დონის მნიშვნელოვნად შემცირებას...“¹

1970-80-იან წლებში მეცნიერები და მკვლევარები დიდ ყურადღებას უთმობდნენ საერთაშორისო ურთიერთობების მონანიღეთა ურთიერთდამოკიდებულების კონცეფციებს. სწორედ მათ

¹ Г.С. Хозин. Глобализация международных отношений: объективная тенденция или стратегия США. журн. "США-Канада", №1, 2000, с. 65-66.

უკავშირდება თანამედროვე ეტაპზე უაღრესად აქტუალური ცნება „საერთაშორისო ურთიერთობების გლობალიზაცია“. ურთიერთდამოკიდებულებიდან აქცენტის გადატანას მსოფლიო პოლიტიკისა და ეკონომიკის გლობალიზაციის ტენდენციებზე ზოგიერთი მეცნიერი იმით ხსნის, რომ მსოფლიო თანამეგობრობის საქმიანობაში გაიზარდა სულ ბოლო დროს გამოვლენილი იმ ფაქტორების გავლენა, რომლებიც საერთაშორისო ურთიერთობათა გლობალიზაციის ტენდენციებს განსაზღვრავენ.¹ მათ შორის პირველ რიგში, ალბათ, უნდა დავასახელოთ: ბუნებრივი რესურსების და გარემოს მდგომარეობა, სამეცნიერო-ტექნიკური განვითარება, გლობალური ეკონომიკა და მსოფლიო წარმოებისა და მსოფლიო ბაზრის გლობალიზაცია.²

თანამედროვე მსოფლიოში გლობალიზაციის მიმართ დამოკიდებულება, რბილად რომ ვთქვათ, საკმაოდ განსხვავებულია, რაც ამ პროცესის ტენდენციების და შედეგების სხვადასხვაგვარად აღქმიდან გამომდინარეობს. მაგრამ ვიდრე ამ საკითხს შევეხებოდეთ, მანამდე საინტერესოა თვით „გლობალიზაციის“ ცნებაში გარკვევა.

ამ ფართოდ გავრცელებული ტერმინის არსობრივ განსაზღვრებაზე არაერთგვაროვანია დამოკიდებულება. ეძლევა განსხვავებული დატვირთვა და ინტერპრეტაცია სხვადასხვა სამეცნიერო სკოლების სოციალური და პოლიტიკური მიმდინარეობების თუ ცალკეულ მკვლევართა მხრიდან.

ჩვენ ზემოთ უკვე ორჯერ მოგვიხდა გლობალიზაციის განმარტება: ერთხელ, როგორც „სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მჭიდრო თანამშრომლობისა“ და მეორედ, როგორც „მსოფლიოში იდეების, კაპიტალის, ტექნიკისა და საქონლის მზარდი ნაკადებისა“. გარდა ამისა, ლიტერატურაში მეცნიერები მსჯელობენ ზოგადად „გლობალიზაციაზე“, „საერთაშორისო ურთიერთობათა გლობალიზაციაზე“, „მსოფლიო პოლიტიკისა და ეკონომიკის გლობალიზაციაზე“, „საერთაშორისო ეკონომიკურ გლობალიზაციაზე“, „მსოფლიო წარმოებისა და მსოფლიო ბაზრის გლობალიზაციაზე“ და ა.შ.

საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ტენდენციებისა და სხვადასხვა შეხედულებათა ობიექტური ანალიზის, საფუძველზე ჩვენი აზრით, ზოგადად გლობალიზაცია წარმოადგენს

¹ დასახელებული ნაშრომი. ს.69-70.

² В.А. Кременюк. Новая мировая ситуация.-и её влияние на политику США. журн. "США-Канада", №5, 2001, с. 8-9.

ქვეყნებსა და რეგიონებს შორის ურთიერთგავლენისა და ურთიერთ-დამოკიდებულების გაძლიერების პროცესს, რომელიც არღვევს ენობრივ, ტერიტორიულ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ, ფსიქიკურ ბარიერებს და მიმართულია კულტურულ-ცივილიზაციური ერთობისა და რეგულირების ზეეროვნული სისტემის შექმნისაკენ.

ჩვენი კვლევის საგანი ეკონომიკური გლობალიზაციაა, რომელიც, თავის მხრივ, მჭიდროდაა გადაჯაჭვული ტექნოლოგიური, ეკოლოგიური, დემოგრაფიული, სოციალურ-კულტურული და განსაკუთრებით პოლიტიკური ფაქტორების გლობალურ ხასიათთან. ვფიქრობთ, ეს გარემოება კარგად მიესადაგება გაეროს სოციალური განვითარების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მოხსენებაში გამოყენებულ და „გლობალიზაციასთან“ ძალიან ახლოს მდგომ „გლობალური გადაჯაჭვულობის“ ცნებას, რომელიც ასეა განმარტებული: „ბოლო წლების გარდაქმნები არაერთგვაროვან ფორმებს იღებს სხვადასხვა ქვეყანაში, მაგრამ ისახება სულ მცირე ექვსი ტენდენცია, რომლებიც ინტენსიურ ცვლილებებს განსაზღვრავენ: ლიბერალური დემოკრატიის გავრცელება; ეკონომიკაში საბაზრო ძალების სიჭარბე; ინტეგრაცია მსოფლიო ეკონომიკაში; წარმოების სისტემების და შრომის ბაზრის ტრანსფორმაცია; ტექნოლოგიური განახლების სისწრაფე; მასობრივი ინფორმაციის საშუალებების რევოლუცია და მათი გამოყენების იდეოლოგიის მოძალება“.¹

ჩვენ ვიზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ ეკონომიკური გლობალიზაცია შეიძლება ვუნოდოთ მსოფლიო მეურნეობის მასშტაბით მიმდინარე იმ პროცესს, რომელიც გამუდმებით აძლიერებს ეროვნულ მეურნეობათა ურთიერთგავლენას და ურთიერთდამოკიდებულებას. ეკონომიკური გლობალიზაცია ვლინდება საგარეო ვაჭრობისა და კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის მასშტაბებისა და მნიშვნელობის ზრდაში, ეკონომიკური ინტეგრაციისა და კოოპერაციის გაძლიერებაში, როგორც სახელმწიფოთაშორის, ისე ცალკეული კომპანიების დონეზე, აგრეთვე, ქვეყნებს შორის ინფორმაციის გაცვლის ზრდაში.²

მეტი სიცხადისთვის ერთმანეთისგან უნდა გავარჩიოთ „გლობალიზმი“, „გლობალურობა“ და „გლობალიზაცია“.

Г.С. Хозин. Глобализация международных отношений: объективная тенденция или стратегия США. журн. „США - Канада“, №1, 2000, с. 70.
² В.Б. Супьян. Глобализация американской экономики и её последствия. журн. „США - Канада“, №5, 2001, с. 16.

ცნობილი გერმანელი სოციოლოგი, მიუნხენის უნივერსიტეტის პროფესორი უ.ბეკი გლობალიზმს უწოდებს მსოფლიო ბაზრის ბატონობის იდეოლოგიას, ნეოლიბერალიზმის იდეოლოგიას. მას მრავალგანზომილებიანი გლობალიზაცია დაჰყავს მხოლოდ ერთ, სამეურნეო განზომილებამდე, ხოლო გლობალიზაციის სხვა ასპექტებს – ეკოლოგიურს, კულტურულს, პოლიტიკურს, საზოგადოებრივ-ცივილიზაციურს – მსოფლიო ბაზრის წამყვანი განზომილების დაქვემდებარებაში აქცევს.

ცხადია, არ უნდა უარვეყოთ ან დავაკინოთ გლობალიზაციის ცენტრალური როლი, მსჯელობს უ.ბეკი, მაგრამ გლობალიზმის იდეოლოგიური ბირთვი იმაში მდგომარეობს, რომ ხდება პოლიტიკასა და ეკონომიკას შორის არსებული განსხვავების ლიკვიდაცია.

ამ ტერმინისაგან განსხვავებით, გლობალურობა უ.ბეკს ესმის ისეთ რეალობად, როგორშიც ჩვენ უკვე დიდი ხანია ვცხოვრობთ მსოფლიო საზოგადოებაში იმ აზრით, რომ წარმოდგენა ჩაკეტილი სივრცეების შესახებ ფიქციადაა ქცეული. არც ერთ ქვეყანას ან მათ ჯგუფს არ შეუძლია ერთმანეთისგან გამიჯვნა – გამოყოფა; რაც შეეხება გლობალიზაციას, უ.ბეკი მას უწოდებს იმ პროცესებს, რომლებშიც ეროვნული სახელმწიფოები და მათი სუვერენიტეტი ტრანსნაციონალური აქტორების შესაძლებლობებს, ორიენტაციასა და იდენტურობას არიან დაქვემდებარებულნი¹.

ამასთან, როგორც მკვლევარი შენიშნავს, ეკონომიკური მაჩვენებლები იმაზე მეტყველებენ, რომ „თუ მკაცრად ვიტყვით, მსოფლიო ეკონომიკის რეგიონებში შეგვიძლია (ჯერ კიდევ?) ვისაუბროთ არა გლობალიზაციაზე, არამედ ინტერნაციონალიზაციაზე. შეგვიძლია დავაფიქსიროთ ტრანსნაციონალური სავაჭრო და სამრეწველო კავშირების განმტკიცება მსოფლიოს გარკვეული რეგიონების შიგნით და მათ შორის – ეს ეხება ამერიკას, აზიას და ევროპას. ამას ადასტურებს ის, რომ ვაჭრობა და უცხოური ინვესტიციები ჯერ კიდევ მსოფლიოს ამ სამ მსხვილ ეკონომიკურ ბლოკს შორის ვითარდება, რის გამოც საუბრობენ მსოფლიო ეკონომიკის ტრიადიზაციაზე“². მართლაც, მეცნიერის ამ მოსაზრებას კარგად უმაგრებს ზურგს მსოფლიოს სამი წამყვანი რეგიონის ეკონომიკური მაჩვენებლები, რომლებიც 1.1-1 ცხრილშია მოყვანილი.

¹ У. Бек. Что такое глобализация? Ошибки глобализма ответы на глобализацию. Пер. с нем-го, Прогресс - Традиция, М., 2001, с. 23, 26.

² დასახელებული ნაშრომი. ს. 205.

მსოფლიოს სამი წამყვანი რეგიონის ეკონომიკური მაჩვენებლები

რეგიონები	მოსახლეობა, მლნ. კაცი (1995 წ.)	ხვედრიით ნილი მსოფლიო მშპ-ში, % (1998წ.)	ხვედრიით ნილი მსოფლიო ვაჭრობაში, % (1996წ.)	ექსპორტის ხვედრიით ნილი მშპ-ში, % (1996წ.)	სავალუტო რეზერვები, მლრდ.დოლ. (1996წ.)
აშშ	263	20,7	19,6	8,2	49,1
იაპონია	125	7,3	10,5	9	172,4
ევროკავ- შირი	370	20,0	20,9	10,2	349,8

წყარო: С. Долгов. Глобализация экономики, 1998, стр. 116; журн. "МЭиМО", 1999, №3, с. 4.

ინტერნაციონალიზაციისა და მონდიალიზაციის პროცესების (მონდიალიზაცია ისეთ მთლიანობად აყალიბებს მსოფლიო სამეურნეო კავშირურთიერთობებს, რომლებშიც ეროვნულ მეურნეობებთან ერთად ტრანსნაციონალური და ეროვნებათშორისი ერთეულები და მსოფლიო ორგანიზაციებიც მონაწილეობენ) შემდეგ გლობალიზაციას ერთ-ერთ წამყვან როლს აკისრებენ მსოფლიო სისტემის გაერთიანება – გამთლიანებაში. კერძოდ, მიაჩნიათ, რომ ინტერნაციონალიზაციის ფარგლებში მსოფლიო სამეურნეო სისტემა გამოდის, როგორც ცალკეული ეროვნული მეურნეობების ერთმანეთზე გადაბმულობა; მეორე პროცესი, მონდიალიზაცია ისეთ მთლიანობად აყალიბებს მსოფლიო სამეურნეო სისტემას, რომლის შემადგენლობაშიც ეროვნულ მეურნეობებთან ერთად შედიან ტრანსნაციონალური და ეროვნებათშორისი ერთეულები და მსოფლიო ორგანიზაციები; რაც შეეხება მესამეს, გლობალიზაციას, იგი ახალ, სოციალურ-ბუნებრივ თვისებას ანიჭებს ამ მთლიანობას.

აღნიშნული სამი პროცესის არსი უფრო მკაფიოდ ვლინდება მათში წარმოქმნილი სტრუქტურების განხილვის დროს: ინტერნაციონალიზაცია გულისხმობს შედარებით იზოლირებულ ეროვნულ მეურნეობებს, რომლებიც ერთმანეთს უპირატესად მსოფლიო ბაზრის მეშვეობით უკავშირდებიან. მონდიალიზაცია ინტეგრაციულ-კვლავწარმოებით კავშირებზე აფუძნებს მსოფლიო ეკონომიკას, როგორც მთლიანობას, ხოლო გლობალიზაცია აღნიშნავს არა იმდენად ეკონომიკური ურთიერთკავშირებისა და ურთიერთშეღწევის გაძლიერებას, რამდენადაც ახალი ტიპის ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბებას. ამ ტიპის ეკონომიკური ურთიერ-

თობები უზრუნველყოფენ გადარჩენასა და განვითარებას ადამიანისა და ბუნების ევოლუციის ჩარჩოში.¹

შევეცადოთ დავახასიათოთ გლობალური ეკონომიკა მისი სამი პოსტულატის მეშვეობით.²

1. გლობალური ეკონომიკა ეკონომიკურ ურთიერთობათა პრინციპულად ახალი, მთლიანობითი სისტემაა, რომელიც XX საუკუნის ბოლოდან განსაზღვრავს ეროვნულ მეურნეობათა სტრუქტურასა და დინამიკას.

ცხადია, მსოფლიო ბაზრისა და მსოფლიო მეურნეობის კატეგორიები ახალი არაა, მაგრამ საბაზრო ეკონომიკის ძირითადი კატეგორიები ეროვნულ მეურნეობათა ფარგლებში ჩამოყალიბდა, საგარეო ბაზარზე კი ისინი შემთხვევიდან შემთხვევამდე გვხვდებოდა და იცვლებოდა. ახლა სულ სხვა მდგომარეობაა: ყველა ეროვნული მეურნეობა გლობალური ეკონომიკის განუყოფელი შემადგენელი ნაწილია და ძირითადი ღირებულებითი კატეგორიები – ღირებულება, ფასი, ხარჯები, მოგება, პროცენტი, რენტა – ამ სისტემაში ყალიბდება და მოდიფიცირდება.

გლობალური ეკონომიკის მთავარი აგენტებია ეროვნული მეურნეობები, ტრანსნაციონალური კორპორაციები და სახელმწიფოთა-შორისი (ცივილიზაციური) ინტეგრაციული გაერთიანებები. მსოფლიო ბაზარზე ისინი იმ როლს ასრულებენ, რასაც ცალკეული საქონელმწარმოებლები შიდა ბაზარზე, ოღონდ, ცხადია, სხვა მასშტაბით.

ღირებულებითი ურთიერთობების სისტემის ფორმირებაში მოხდა სიმძიმის ცენტრის გადატანა ახალ, ზედა სართულზე, რამაც კარდინალურად შეცვალა ქვედა სართულებზე არსებული სურათი. საქონლისა თუ მომსახურების ყველა მწარმოებელი, გამყიდველი ან მყიდველი უხილავ კავშირს ამყარებს თავის ანალოგებთან ან კონკურენტებთან გლობალურ ეკონომიკაში, რაც ეროვნულ მეურნეობათა ფუნქციონირების პირობებს ეყრდნობა.

2. გლობალურ ეკონომიკაში მთავარი მოქმედი პირებია ტრანსნაციონალური კორპორაციები, ეროვნული მეურნეობები და ლოკალური ცივილიზაციები. აქ საუბარია ეკონომიკის განსაზოგადების ახალ, უმაღლეს დონეზე.

გლობალური ეკონომიკის ყველაზე ინტენსიური გამოვლენაა

¹ Э. Г. Кочетов. *Геоэкономика (Освоение мирового экономического пространства)*, М., Изд-во "БЕК", 1999, с.18.

² Ю. В. Яковец. *Глобализация и взаимодействие цивилизаций*. М.: "Экономика", 2001, с. 6.

ტრანსნაციონალური კორპორაციების ქსელი, რომელიც აღწევს ყველა ქვეყანაში, მოიცავს მთელ ეკონომიკას, მის სფეროებსა და დარგებს. ამიტომ თანამედროვე გლობალურ ეკონომიკას „ტრანსნაციონალური კორპორაციების სამყაროსაც“ უწოდებენ. ეროვნული მეურნეობები იძულებულნი არიან თავიანთი ფუნქციების ნაწილი დაუთმონ ამ კორპორაციებს, აგრეთვე, საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებს და ინტეგრაციულ კავშირებს – საერთაშორისო სავალუტო ფონდს (სსფ), ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციას (ვმო-ს)¹, ევროკავშირს და ა.შ. – და გლობალურ ეკონომიკაში ინდივიდუალური საქონელმწარმოებლების როლი შეასრულონ.

ლოკალურ ცივილიზაციებში² გაერთიანებული ქვეყნების ჯგუფი რეალურად გამოდის თავისებური პოლდინგებისა და კონსორციუმების როლში. ზოგჯერ მათი საზღვრები ემთხვევა ეროვნულ სახელმწიფოებს (ჩინეთი, ინდოეთი, იაპონია), ზოგჯერ კი ურთიერთდაკავშირებულ ეროვნულ მეურნეობებს მოიცავს (დასავლეთ ევროპა, დსთ, ლათინური ამერიკა და სხვა).

3. გლობალური ეკონომიკის ერთიანობას უზრუნველყოფს: ა) სამომხმარებლო ბაზრის; ბ) კვლევწარმოების პროცესის; გ) ტექნოლოგიური დინამიკის; დ) ეკოლოგიური პრობლემების; ე) ღირებულებებითი მექანიზმის ერთიანობა.

გლობალიზაცია შედარებით ახალ მოვლენად შეგვიძლია მივიჩნიოთ, რადგანაც თანამედროვე გაგებით იგი სულ რაღაც 15-20 წელია შესამჩნევი გახდა. მაგრამ გლობალიზაციის პროცესი შორეულ წარსულში იღებს სათავეს.

მართალია, ათასწლეულების წინ ლოკალური კულტურები და ცივილიზაციები ერთი შეხედვით იზოლირებულად ჩნდებოდა და ვითარდებოდა, მაგრამ მათ შორის არსებული კულტურული და სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების ძაფები საუკუნიდან საუკუნემდე ძლიერდებოდა და მრავლდებოდა. გასული საუკუნის ბოლო ათწლეულებში ამან ზვავისებური ხასიათი შეიძინა, როცა დედამიწის პრაქტიკულად მთელი მოსახლეობა გააერთიანა მსოფლიო

¹ ამის პარალელურად ვხვდებით მის მეორე დასახელებასაც – მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (მსო).

² სამუელ ფ. პანტინგტონის განმარტებით, ცივილიზაცია არის ადამიანთა უმაღლესი კულტურული დაჯგუფება და ადამიანების კულტურული თვითშეგნების უმაღლესი ფორმა, რაც ადამიანებს განასხვავებს სხვა სულიერთაგან. ცივილიზაცია განისაზღვრება საერთო ელემენტებით, როგორიცაა ენა, ისტორია, რელიგია, ადათ-წესები, ინსტიტუტები და ადამიანების სუბიექტური თვითგანსაზღვრება (იხ.ს.ფ.პანტინგტონი, პოლიტიკური სტატიები, თბ., 2001, გვ. 9).

ბაზრით, ძეცნიერებითა და ინოვაციებით, თანამედროვე სატრანსპორტო საშუალებებითა და კავშირგაბმულობის სისტემებით.

გლობალიზაციის პროცესში გამოჩნდა ახალი ნიშან-თვისებები, რომლებიც იმავდროულად გლობალიზაციის ფაქტორებიცაა. ესაა: 1. დემოგრაფიულ-ეკოლოგიური ფაქტორები; 2. ტექნოსფეროს გლობალიზაცია; 3. ეკონომიკური გლობალიზაცია; 4. გეოპოლიტიკური გლობალიზაცია; 5. სოციალურ-კულტურული გლობალიზაცია.¹

ეკონომიკის გლობალიზაციაზე საუბრისას, ჩვეულებრივ, გულისხმობენ სახელმწიფოებს შორის საზღვრების ერთგვარად ნაშლას ერთიანი გლობალური ბაზრის შექმნის ფონზე.

ეკონომიკური საქმიანობის გლობალიზაციის განვითარება და წარმატება შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა შემდეგი ფაქტორები: ა) ეკონომიკური (კაპიტალის კონცენტრაცია); ბ) პოლიტიკური (საზღვრების გამჭვირვალობა); გ) საერთაშორისო-სამართლებრივი (რამდენიმე დიდი საერთაშორისო შეთანხმება და მოვლენა: „ოთხი თავისუფლების“ გამოცხადება, გერმანიის გაერთიანება და სხვა); დ) მარკეტინგული (წარმოების მოცულობის ზრდასა და ეროვნულ ბაზრებზე არსებულ მოთხოვნას შორის შეუსაბამობა); ე) სოციალურ-ფსიქოლოგიური (ტრადიციების როლის შესუსტება, ადამიანთა მობილურობის მატება); ვ) საერთაშორისო ურთიერთობათა ლიბერალიზაცია, საქონლისა და კაპიტალის ბაზრების დერეგულირება; ზ) მენეჯმენტისა და მარკეტინგის გლობალიზაცია რეგიონში.²

დღევანდელ გლობალურ ეკონომიკას ი. იაკოვეცი ახასიათებს როგორც უზარმაზარ მრავალფეროვან მთლიანობას, რომელიც სხვადასხვა ცივილიზაციებისა და ქვეყნების ფართო სპექტრითაა წარმოდგენილი. ამ ცივილიზაციებისა და ქვეყნების ეკონომიკა ან ინდუსტრიამდელია, ან ადრეპოსტინდუსტრიული; ან საბაზრო, ან არასაბაზრო. ისინი ერთმანეთისგან განსხვავდება მსოფლიო მეურნეობაში ჩართვის დონით, ლეგალური და არალეგალური (ჩრდილოვანი) სექტორების თანაფარდობით, შრომის ნაყოფიერების დონითა და კვლავწარმოების ეფექტიანობით. ჩვენი საუკუნის დასაწყისისთვის ი. იაკოვეცი გლობალურ ეკონომიკურ სივრცეში გამოჰყოფს:

¹ Ю. В. Яковец. *Глобализация и взаимодействие цивилизаций*. М.: "Экономика", 2001, с. 6.

² В. В. Уваров, И. Н. Пятибратов. *Стратегический менеджмент и глобализация мировой экономики*. "МУБ и У, МЗ ПРЕСС", М., 2001. с. 194.

– მოსტინდუსტრიული ეკონომიკის ფორმირების თვალსაზრისით ავანგარდულ ქვეყნებს, რომლებიც მაღალტექნოლოგიურ საფუძველს ეყრდნობიან, ერთმანეთს უხამებენ საბაზრო მექანიზმებს და სახელმწიფოს მარეგულირებელ როლს, ლიდერობენ გლობალურ ეკონომიკაში და სიმდიდრის და შემოსავლის მაღალ დონეს უზრუნველყოფენ (ჩრდილოეთ ამერიკა, დასავლეთ ევროპა, იაპონია, აგრეთვე, ახალი ინდუსტრიული ქვეყნები);

– განვითარების დაახლოებით საშუალო დონის მქონე ქვეყნებს, რომლებსაც ზრდის მნიშვნელოვანი პოტენციალი აქვთ, მაგრამ სრულად ვერ იყენებენ მას (ლათინურ-ამერიკული და, ნაწილობრივ, მუსულმანური ქვეყნები, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები);

– უძრავ მდგომარეობაში მყოფ და ეკონომიკური განვითარების დაბალი დონის მქონე ქვეყნებს (ინდოეთი, აფრიკის ქვეყნები: საჰარის სამხრეთით, ოლონდ სარ-ის გარდა, დაბალი შემოსავლების მქონე მუსულმანური ქვეყნები);

– „სანახევროდ“ განვითარებულ, მაგრამ მსოფლიო მშპ-ში პირველობის პრეტენზიის მქონე ჩინეთს;

– დეგრადირებულ მდგომარეობაში მყოფ ევრაზიული ცივილიზაციის (დსთ) ქვეყნებს.¹

მსოფლიოს მთლიან მოსახლეობასა და ეკონომიკურ პოტენციალში მათ როლსა და ადგილზე გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს ცხრილ 1.1-2-ში მოყვანილი მონაცემები.

რაც შეეხება მსოფლიო ექსპორტსა და მშპ-ში ცივილიზაციებისა და ცალკეული ქვეყნების ხვედრით წილს, იგი 1985-1995 წლებში ცხრილ 1.1-3-ის სახით წარმოდგენილ სურათს გვაძლევდა.

თავისთავად ცხადია, რომ გლობალიზაციის პროცესმა მოიცვა არამარტო ეკონომიკური სფერო, არამედ კულტურა, ხელოვნება, მორალი, პოლიტიკური და სოციალური სფეროები, ადამიანთა დიდი უმრავლესობის მენტალობა. თუ თავდაპირველად ამ პროცესებში უმთავრესად განვითარებული სამრეწველო ქვეყნები მონაწილეობდნენ, მოგვიანებით მათში ჩაებნენ ახალი ინდუსტრიული, განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებიც.

აღსანიშნავია, რომ ეკონომიკურ თეორიაში ჯერ კიდევ კარგად არაა გამოკვეთილი გლობალიზაციის ადგილი. როგორც ცნობილია, არსებობს საერთაშორისო ვაჭრობის და პირდაპირი ინვესტიციების თეორიები, აგრეთვე, ტრანსნაციონალური კორპო-

¹ Ю. В. Яковец. *Глобализация и взаимодействие цивилизаций*. М.: "Экономика", 2001, с. 28.

ცივილიზაციების ხვედრითი წილი მსოფლიოს მოსახლეობასა და ეკონომიკურ პოტენციალში 1990-იანი წლების ბოლოს (%-ობით)

ცივილიზაციები და ქვეყნები	მოსახლეობა	შპს	ინვესტიციები	საგარეო ვაჭრობა	საგარეო დეფლანტა	ცენტრალური მთავრობების ხარჯები
ჩრდილოამერიკული (აშშ და კანადა) დასავლეთევროპული (გერ, ინგლისი, საფრანგეთი, იტალია) იაპონური (იაპონია, კორეა) სულ – უფრო განვითარებული ცივილი.	5,1 4,4 3,0 12,5	22,4 14,5 9,5 46,4	18,8 12,3 12,5 42,4	17,2 24,5 10,0 51,5	26,2 13,1 1,9 41,2	19,7 29,3 14,8 55,1
რუსეთი ჩინეთი ინდოეთი ლათინურ-ამერიკული (მექსიკა, ბრაზილია) მუსულმანური (ინდონეზია, პაკისტანი, თურქეთი, ირანი) სულ – ნაკლებად განვითარებული ცივილიზაციები.	2,6 21,1 16,4 4,9 7,9 52,9	1,6 10,7 4,1 4,9 5,4 21,7	1,0 16,6 3,9 4,2 4,4 30,1	1,4 2,4 0,7 2,0 2,0 8,5	3,2 3,5 3,4 3,2 7,4 20,7	0,5 3,9 0,7 3,5 1,5 10,1

წყარო: Россия - 2015: оптимистический сценарий. Отв. ред. Л. И. Абалкин. М., "ИЭРАН, ММВБ", 1999, с.10.

ცივილიზაციებისა და ცალკეული ქვეყნების
ხვედრითი წილი მსოფლიო ექსპორტსა და მშპ-ში (%-ობით)

	ხვედრითი წილი ექსპორტში			ხვედრითი წილი მშპ-ში		
	1985 წ.	1990 წ.	1995 წ.	1985 წ.	1990 წ.	1995 წ.
	ცივილიზაციები და ქვეყნები	4,66	3,03	2,34	6,4	5,8
ყოფილი სსრკ მათ შორის რუსეთი	2,94	1,93	1,61	3,92	3,59	1,96
ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპა	3,59	2,0	2,18	2,6	2,2	1,8
დასავლეთი ევროპა	39,99	46,75	42,69	24,5	24,4	23,1
ჩრდილოეთი ამერიკა და კარიბის ქვეყნები	17,85	16,38	16,80	28,0	26,6	26,1
მათ შორის აშშ	11,55	11,50	11,68	23,2	22,1	21,8
სამხრეთი ამერიკა	3,46	2,58	2,59	6,1	5,7	6,0
აფრიკა	4,33	2,95	2,09	4,6	4,5	4,3
აზია (ჩინეთის, ვიეტნამისა და მონღოლეთის გარეშე)	23,13	23,24	27,23	21,0	22,8	24,5
მათ შორის იაპონია	9,31	8,28	8,72	8,10	8,63	8,13
ჩინეთი	1,34	1,52	2,56	5,22	6,41	9,66
ავსტრალია და ოკეანეთი	1,58	1,48	1,41	1,3	1,3	1,3

წყარო: Журн. "Вопросы экономики", 1997. №5. с.150-158.

რაციების ფენომენის აღმწერი მთელი რიგი თეორიები, მაგრამ გლობალიზაციის კომპლექსური თეორია ჯერ შექმნილი არაა. ეს, როგორც ამ დარგის პროფესიონალები მიუთითებენ, თვით მოვლენის სიახლითაა გამოწვეული და, თავის მხრივ, განმარტებებისა და პროგნოზების ერთგვარ თავისუფლებას უქმნის საფუძველს.¹

გლობალიზაციის პროცესის განვითარების მთავარი მიმართულებებია:

1. *საერთაშორისო ვაჭრობა*: ა) საქონლით; ბ) მომსახურებით; გ) ტექნოლოგიით; დ) ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებით.

2. *საერთაშორისო ფინანსური ოპერაციები*: ა) კრედიტები (კერძო, სახელმწიფო, საერთაშორისო ორგანიზაციების); ბ) ძირითადი ფასიანი ქაღალდები (აქციები, ობლიგაციები და სხვა სავალო ვალდებულებები); გ) წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები (ფიუჩერსები, ოპციონები და სხვა);

3. *წარმოების ფაქტორების საერთაშორისო მოძრაობა*: ა) კაპიტალის (პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სახით); ბ) სამუშაო ძალის (არაკვალიფიციური და ნაკლებად კვალიფიციური მუშების სტიქიურ მიგრაციისა და „გონების გადინების“ სახით).²

ნიშანდობლივია, რომ საერთაშორისო ეკონომიკის სფეროები (მთლიანად და, უპირველეს ყოვლისა, ზრდის ტემპებით) წინ უსწრებს რეალური სექტორისა და მშპ-ის ზრდის ტემპებს. ამას ადასტურებს 1.1-4 ცხრილში მოყვანილი მონაცემები. ასე რომ, მშპ-ში მათი ხვედრითი წილი ყოველწლიურად იზრდება.

ყველაზე ზოგადი მიდგომით, შეგვიძლია გამოვყოთ გლობალიზაციის გაზომვის ისეთი მაჩვენებლები, როგორცაა საერთაშორისო ვაჭრობის ზრდის ტემპები (ბოლო ათწლეულში მათ 2-ჯერ გადააჭარბეს წარმოების ზრდის ტემპებს), პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (3-ჯერ) და საერთაშორისო ოპერაციები ფასიან ქაღალდებზე (10-ჯერ).

ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესები განპირობებულია გარე და შიდა ფაქტორებით, აგრეთვე, სოციალურ-ეკონომიკური ციკლური დინამიკისა და გენეტიკის კანონზომიერებებით.

იმ გარე ფაქტორებს, რომლებიც ეკონომიკის მასშტაბებს, სტრუქტურას და განვითარების მიმართულებას განსაზღვრავს, ეკუთვნის მოსახლეობა, ბუნებრივი გარემო და საზოგადოების

¹ В. В. Уваров, И. Н. Пятибратов. Стратегический менеджмент и глобализация мировой экономики. "МУБ и У, МЗ ПРЕСС", М., 2001. с.197.

² დასახელებული ნაშრომი. ს. 196, 197.

ძირითადი საქონლის მსოფლიო წარმოებისა და
ექსპორტის ზრდის ტემპები 1990-1998 წლებში (%)

ძირითადი მიმართულება	1990-1998 წ.	1995 წ.	1998 წ.
საქონლის მსოფლიო წარმოება	2	3	1,5
სოფლის მეურნეობის პროდუქცია	2	2	0
მომპოვებელი მრეწველობის პროდუქცია	2	2	1,5
გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია	2	3,5	1,5
მსოფლიოს მთლიანი პროდუქტი	2	3,5	1,5
საქონლის მსოფლიო ექსპორტი	6,5	9	4
სოფლის მეურნეობის პროდუქცია	4	4,5	-0,5
მომპოვებელი მრეწველობის პროდუქცია	5,5	9	5,5
მზა ნაწარმი	7	9	3,5

წყარო: Журн. "Вопросы экономики", №8, 2000, с. 147.

ტექნოლოგიური საფუძველი. რადგანაც თვითონ ამ ფაქტორებმა შეიძინეს გლობალური ხასიათი და გასცდნენ ცალკეული სახელმწიფოებისა და ლოკალური ცივილიზაციების საზღვრებს, ამიტომ ეკონომიკაც გარდაუვლად იღებს გლობალურ ხასიათს.

გლობალიზაციის ძირითადი შიდა ფაქტორია შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ახალი ხასიათი – როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გლობალური მასშტაბით.

მსხვილმასშტაბიანი სამეცნიერო-ტექნიკური და საწარმოო-საინვესტიციო კოოპერირების ინტენსიურად განვითარებამ გლობალური მასშტაბით ჩამოაყალიბა შრომის ანკლავთშორისი (კორპორაციათა შორისი) დანაწილება – ისეთი მეურნე სუბიექტების სპეციალიზაცია, რომლებიც ტრანსნაციონალურ საფუძველზე აღმოცენებული და ორგანიზაციულ-მმართველობითი კუთხით ინტერნაციონალიზებულ კვლევანარმოებით ბირთვებს წარმოადგენს. ამან გზა გაუხსნა გეოეკონომიკური სივრცის წარმოქმნას, მსოფლიოს რუკაზე ისეთი ეკონომიკური საზღვრების გაჩენას, რომლებიც ეროვნულ (სახელმწიფოებრივ) საზღვრებს არ ემთხვევა და გიგანტური საწარმოო – კომერციული აგლომერაციების ტრანსნაციონალური კორპორაციების შექმნას. საფრანგეთის ერთ-

ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის მონაცემებით, გლობალიზაციის შედეგად ტრანსნაციონალური ფირმების მიერ კონტროლირებადი მსოფლიო წარმოების მოცულობამ უკვე 1997 წელს 51% შეადგინა, სახელმწიფოს კონტროლქვეშ კი 49% დარჩა.¹ ეს გლობალიზაციის ახალი დონის თვისებრივი მიჯნაა.

ამის პარალელურად ვითარდება წარმოების დეკონცენტრაციის (დემასიზაციის) პროცესი, როცა მკვეთრად მცირდება მასობრივ სერიებად წარმოებული სტანდარტიზებული საქონლის ხვედრითი წილი და ფართოვდება მცირე სერიებად ან შეკვეთით დამზადებული საქონლის ასორტიმენტი. ეს ითხოვს წარმოების ინდივიდუალიზაციას, მოქნილობას და დივერსიფიკაციას. თუმცა, ეს ტენდენცია აბსოლუტური არაა და ეხება მხოლოდ გადამამუშავებელ მრეწველობასა და მომსახურების სფეროს, ისიც – განვითარებულ ქვეყნებში.

ამ ტენდენციების შედეგად არამარტო ფართოვდება მსოფლიო ბაზრის მასშტაბი, არამედ თვით საქონელწარმოება იღებს გლობალურ ხასიათს, ემსახურება ნებისმიერი ქვეყნის მყიდველს და თავის თავზე გრძნობს მსოფლიო კონიუნქტურის ცვლილებებს.

ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესი არათანაბარზომიერია, როგორც საქმიანობის სფეროებისა და დარგების მიხედვით, ისე სივრცეში – ქვეყნებისა და ცივილიზაციების მიხედვით. ყველაზე მაღალ დონეს მან მიაღწია საფინანსო-საკრედიტო სფეროში, საინფორმაციო სექტორში, კავშირგაბმულობაში, მრეწველობაში. ამ პროცესს ჩამორჩნენ სოფლის მეურნეობა, ხე-ტყის გადამამუშავებელი მრეწველობა, აგრეთვე, საყოფაცხოვრებო მომსახურება, სადაც წარმოება და მოხმარება გაერთიანებული და ლოკალიზებულია. ეკონომიკის გლობალიზაციის გზაზე ყველას გაუსწრეს განვითარებული მრეწველობის მქონე ქვეყნებმა, რომლებიც ამ პროცესის მამოძრავებელს წარმოადგენენ და ყველაზე მეტ სარგებელსაც იღებენ მისგან (უპირველეს ყოვლისა – ტრანსნაციონალური კორპორაციების ქსელის მეშვეობით).

ეკონომიკის გლობალიზაციას მძლავრი იმპულსი მისცა მსოფლიო სოციალისტური სისტემის დაშლამ და კაპიტალიზმის გაბატონებამ პრაქტიკულად მთელ მსოფლიოში. ამის შემდეგ უფრო გაღრმავებული გლობალიზაციის ფონზე ეკონომიკური დინამიკის შემდეგი ტენდენციები შეგვიძლია დავასახელოთ:²

¹ Ю. В. Яковец. Глобализация и взаимодействие цивилизаций, М.: "Экономика", 2001, с. 161.

² დასახელებული ნაშრომი. ს. 28-31.

ჯერ ერთი, ეკონომიკური ციკლებისა და კრიზისების დიდი სინქრონიზაცია, რომლებსაც ახლა აღარ აქვთ ხელოვნური საზღვრები (სოციალისტური ბანაკის სახით). ეტყობა, კიდევ საუკუნის მეოთხედი მოუნდება ავანგარდულ ცივილიზაციებში პოსტინდუსტრიული საზოგადოების ჩამოყალიბებას, სხვა ქვეყნებში კი გარდამავალი პერიოდი შესაძლოა მეტ ხანსაც გაგრძელდეს. ლიდერი ქვეყნები შეეცდებიან კრიზისების სიმძიმე სუსტ ქვეყნებზე გადაიტანონ;

მეორე, ეტაპობრივად მკვიდრდება წარმოების პოსტინდუსტრიული წესი. პოზიციებს დათმობს ჩრდილოვანი ეკონომიკა, ოღონდ სანაცვლოდ გლობალურ ხასიათს შეიძენს ნარკობიზნესი; ეკონომიკური სისტემის დიფერენციაცია არა თუ შენარჩუნებული იქნება XXI საუკუნის პირველ ნახევარში, არამედ შესაძლოა გაძლიერდეს კიდევ;

მესამე, უფრო მკვეთრად გაიმიჯნება საბაზრო და არასაბაზრო სექტორები;

მეოთხე, შეიცვლება რეალურ და იმ „ვირტუალურ“ ეკონომიკას შორის თანაფარდობა, რომელიც დამახინჯებულად ასახავს საკუთარი კანონებით განვითარებადი ფულად-საკრედიტო ღირებულებების კლავნარმოების პროპორციებს. ფინანსური კაპიტალის მძლავრი ნაკადი თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების შესაძლებლობებზე დაყრდნობით აფართოებს საფონდო ბაზრებზე მიმდინარე სპეკულაციური თამაშების არენას. ინტერნეტმა რეალობად აქცია მილიარდობით სახსრების მყისიერად გადატყორცნა დედამიწის ერთი კუთხიდან მეორეში, ხოლო ამ ნაკადებს დასაველეთის ტრანსნაციონალური კორპორაციები და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები (საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი და სხვები) მართავენ. ეს კაპიტალის გადადინების და სიმდიდრის გადანაწილების უმთავრესი არხია, რომლითაც გლობალური ეკონომიკის განვითარებას აკონტროლებენ დასაველეთის ძლიერი ქვეყნები. თავის მხრივ, კაპიტალის სპეკულაციური ნაკადები საფუძველს უწყევს გლობალური ეკონომიკის სიმტკიცეს და ხშირად ბადებს ფინანსურ კრიზისებს.

მეცნიერებმა ივარაუდეს, რომ ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესი ერთგვარად შეფერხდებოდა XX და XXI საუკუნეების მიჯნაზე, რასაც განაპირობებდა ინდუსტრიული საზოგადოების ტრანსფორმაცია პოსტინდუსტრიულ საზოგადოებად, მაგრამ ამ ხანმოკლე შეფერხების შემდეგ, მათი პროგნოზით, კვლავ გაძლიერდება ეკონომიკის გლობალიზაციის ტენდენცია, მისი ცალ-

კეული ელემენტების სტრუქტურისა და დინამიკის შეთანხმება, მათ შორის ურთიერთკავშირი და ურთიერთგაცვლა. ამას ბიძგს მისცემს გლობალიზაციის ძირითადი ფაქტორები:

– დემოგრაფიული, მოსახლეობის ზრდა და მისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შეუძლებლობა ცალკეული ქვეყნების და ცივილიზაციების ფარგლებში;

– ბუნებრივი რესურსების მზარდი შეზღუდულობა და ეკოკატასტროფების საფრთხე;

– მეცნიერული აღმოჩენების, გამოგონებების და საბაზო ინოვაციების ტრანსსასაზღვრო ხასიათი, ძალისხმევის გაერთიანება ტექნიკის თაობების და წარმოების პოსტინდუსტრიული ტექნოლოგიური წესის ათვისებისა და გავრცელების მიზნით;

– მაღალტექნოლოგიური პროდუქციის მსოფლიო ბაზრის მათგან განიზღვრული როლის ამალღება, მდიდარ და ღარიბ ცივილიზაციებს შორის საშიში უფსკრულის ამოვსება;

– თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები, რომლებიც კომუნიკაციებითა და ინტერნეტით ქსელავენ მთელ მსოფლიოს და გლობალურ საბანკო და საკრედიტო-ფულად სისტემებთან არიან გადახლართული.

ცხადია, ამ გლობალური ქსელის სიმჭიდროვე პლანეტის ყველა კუთხეში ერთნაირი არაა. ეკონომიკის გლობალიზაციის დონე, რომლის ერთ-ერთი მაჩვენებელიცაა საგარეო სავაჭრო ბრუნვის ფარდობა მშპ-სთან, სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა, თანაც უცნაურია, მაგრამ იგი უფრო მაღალია განვითარების დაბალი და საშუალო დონის მქონე მთელი რიგი ცივილიზაციებისთვის (ახლო და შუა აღმოსავლეთი, აფრიკა), ვიდრე ზოგიერთი განვითარებული ქვეყნისათვის (აშშ, იაპონია).

მსოფლიო ექსპორტსა და გლობალურ მშპ-ში ხვედრითი წილის მიხედვით ქვეყნები ან ექსპორტზე ორიენტირებულად შეგვიძლია მივიჩნიოთ, ან უპირატესად შიდა ბაზარზე ორიენტირებულად. თანამედროვე ტენდენცია ისეთია, რომ პერსპექტივაში პირველი ჯგუფის ქვეყნების რაოდენობა გაიზრდება, ხოლო მეორისა – შემცირდება. ამასთან, ეკონომიკის მნიშვნელოვანი ნაწილი ყველა ქვეყანაში ორიენტირებული იქნება შიდა ბაზარზე და თვითუზრუნველყოფაზე. ეს, პირველ რიგში, ეხება ეკონომიკის არასაბაზრო სექტორს, რომლის ხვედრითი წილიც პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში გაიზრდება სულიერი კვლავწარმოების პრიორიტეტთან და მოსახლეობის დაბერებასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება გლობალური ეკონომიკის ზრდის პერსპექტივებს,

ახალ საუკუნეში ექსპერტებს შემუშავებული აქვთ მისი პესიმი-
სტური და ოპტიმისტური ვარიანტები, რომელთა შორის უამრავი
შუალედური ვარიანტია. ზომიერი ვარიანტის შესაბამისად, 2010
წლისთვის მსოფლიო მშპ-ის მოცულობა 2000 წლის მაჩვენებლის
127%-ს მიაღწევს, საშუალო წლიური ზრდის ტემპი კი 2,4% იქნე-
ბა. იგივე მაჩვენებლები მოსახლეობის ერთ სულზე გადაანგარიშე-
ბით შეადგენს, შესაბამისად, 112 და 1%-ს. კიდევ ერთი ათწლეუ-
ლის შემდეგ – 2020 წლისათვის, ანალოგიური სიდიდეები შესა-
ბამისად იქნება: 152 და 1,8; 121 და 0,7%.¹

გარკვეული მოდიფიკაციებით, მაგრამ მაინც გაგრძელდება
გლობალური ეკონომიკის სტრუქტურული დინამიკის ტენდენციე-
ბი – როგორც დარგობრივი და კვლავწარმოებითი, ისე ღირე-
ბულებითი სტრუქტურით.

გასული საუკუნის 80-90-იან წლებში მრეწველობის ხვედრითმა
წილმა მთლიანად არასოციალისტურ მსოფლიოში კლების ტენ-
დენცია გვიჩვენა. ეს ტენდენცია მანამ გაგრძელდება, ვიდრე არ
ჩამოყალიბდება ოპტიმუმი – მშპ-ის დაახლოებით 25%, დაეცემა
სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილიც და ეს მაჩვენებელი 3%-ს
მიუახლოვდება; გაიზრდება სოციალურ-კულტურული ხასიათის
მომსახურების (მეცნიერება, კულტურა, განათლება, ჯანმრთელო-
ბის დაცვა, სოციალური უზრუნველყოფა) ხვედრითი წილი, რაც
გამომდინარეობს ჰუმანისტური პოსტინდუსტრიული ცივილიზა-
ციის თვით არსიდან და უმრავლესობაში მოქცეული ჩამორჩენილი
ქვეყნების „ამოქაჩვის“ აუცილებლობიდან; შედარებით ნელა გაი-
ზრდება საინფორმაციო მომსახურების ხვედრითი წილი. რაც შეე-
ხება საკუთრივ საბაზრო მომსახურებას (ვაჭრობა, კრედიტი), იგი
უკვე გასცდა ოპტიმალურ ზღვარს და მისი ხვედრითი წილი შემ-
ცირდება ზედმეტი რგოლების ლიკვიდაციისა და ეფექტიანობის
ამაღლების ხარჯზე. კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახუ-
რება, პირიქით, მოიმატებს მოსახლეობის მატებასთან ერთად.

პერსპექტივაში მოსალოდნელი არაა რადიკალური ცვლილებე-
ბი მშპ-ის გამოყენების სტრუქტურაში. პირველობა კვლავაც პი-
რად მოხმარებას ექნება, ოღონდ მისი არსებითად მომატება აღარ
მოხდება. სახელმწიფო მოხმარების ხვედრითი წილი 2-3 პუნქტით
დაიწევს შეიარაღების ხარჯების შემცირების გამო, გაიზრდება
სახელმწიფო ხარჯები სოციალურ-კულტურული სფეროს მხარ-
დაჭერაზე და ეკოლოგიურ პროექტებზე. უმრავლესი ქვეყნების

¹ დასახელებული ნაშრომი. გ. 191.

ტექნოლოგიურ განახლებაზე დაბანდებული კაპიტალის ხვედრითი წილი საშუალოდ 1-2 პუნქტით აინევს.¹

გლობალიზაციის პროცესში გაძლიერდება ინტეგრაციული ტენდენციები. მოიმატებს ინტეგრაციული კავშირების რაოდენობა, გაფართოვდება მათი გეოგრაფიული სივრცე, გაღრმავდება ქვეყნებს შორის კავშირები.

XXI საუკუნეში სხვა ქვეყნებისთვის სანიმუშო იქნება დასავლეთ ევროპაში განხორციელებული ინტეგრაციის მაგალითი.

პერსპექტივაში მოსალოდნელია მრავალმხრივი ინტეგრაციული კავშირების გაღრმავება თითოეული ლოკალური ცივილიზაციის შიგნით. ამას განაპირობებს ერთიანი დემოგრაფიული, ეკოლოგიური, ეკონომიკური, ტექნოლოგიური და სოციალურ-კულტურული ინტერესები, აგრეთვე, ცივილიზაციებს შორის წინააღმდეგობათა გამწვავება.

ცივილიზაციათშორისი ინტეგრაციის ნიმუში, ეტყობა, გახდება აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობა, სადაც სხვადასხვა კონტინენტებისა და ცივილიზაციათა წარმომადგენელი ქვეყნების საქმიანობის კოორდინაციის შედარებით რბილ ფორმებს იყენებენ.

ამგვარად, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ გლობალური ეკონომიკა მომავალში იქნება ცალკეული ცივილიზაციების ფარგლებში შექმნილი ინტეგრალური კავშირებისა და ცივილიზაციათა შორისი გაერთიანებების შეთანხმებული და თანაბარუფლებიან ურთიერთმოქმედების ფექტიანი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკური ზრდის უფრო მაღალ ტემპებს, სხვა ქვეყნებისა და ცივილიზაციებისთვის დახმარების კოლექტიურად განევას, ძალისხმევის გაერთიანებას კრიზისებისა და კონფლიქტების შესარბილებლად და დასაძლევად.

საინტერესოა, თუ როგორ შეიცვლება ლოკალური ცივილიზაციების მდგომარეობა გლობალურ ეკონომიკურ სივრცეში XXI საუკუნეში. თუკი დღეისთვის ჩამოყალიბებული ტენდენციები კვლავ გაგრძელდა, მაშინ გლობალიზაციისა და ინტეგრაციული მექანიზმების უპირატესობებით ძირითადად ისევ დასავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ცივილიზაციები ისარგებლებენ და დაშლის პირას მყოფი ევრაზიული ცივილიზაციის ეკონომიკური სივრცის დანაწილებასაც შეეცდებიან. ეს ტენდენციები აუცილებლად შეეჯახება ჩინეთის, ინდოეთის, ლათინური ამერიკისა და მუსულმანური სამყაროს მზარდ ეკონომიკურ ძალებს. ამან

¹ დასახლებული ნაშრომი. *ც. 193.*

შესაძლოა (უკეთეს შემთხვევაში) რამდენიმე საუკუნით უკან გადატყორცნოს გლობალური ეკონომიკა.

ამის თავიდან ასაცილებლად უნდა მოხდეს გლობალური ეკონომიკის გადანყოფა ფორმირებადი პოსტინდუსტრიული საზოგადოების ადეკვატურ პრინციპებზე: ლოკალური ცივილიზაციებო-სა და მათში შემავალი ქვეყნების თანაბარუფლებიანობა, ურთიერთმომგებიანი თანამშრომლობა და პერსპექტივაში, პარტნიორობა; ჰუმანიზაცია; მსოფლიო და ეროვნული მეურნეობების ეკოლოგიზაცია და ინფორმატიზაცია.

გასაგებია, რომ უკეთესი მიმართულებით გლობალიზაციის პროცესის წარმართვა არაერთი სერიოზული ღონისძიების განხორციელებას მოითხოვს, მათ შორის: პირველი, გლობალური ეკონომიკური სტრატეგიის შემუშავებას არსებული ტენდენციებისა და წინააღმდეგობების ყოველმხრივ და ობიექტურ ანალიზზე დაყრდნობით; მეორე, პროგნოზის გამოყენებას გრძელვადიანი ეკონომიკური სტრატეგიის (20-25 წლისთვის) წამყვანი დებულებების შესამუშავებლად და მისაღებად უმაღლეს სახელმწიფოთა-შორის დონეზე; მესამე, ახალი წესრიგის რეალიზაციის ქმედითი ეკონომიკური მექანიზმის შემუშავებას (ეეროკავშირის ნიმუშის მიხედვით); მეოთხე, გლობალური ეკონომიკური შეგნების გამო-მუშავებას და გავრცელებას საქმიან და პოლიტიკურ ელიტაში.

ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკის გლობალიზაცია, რომელსაც პრინციპული გარდატეხა შეაქვს ეკონომიკაში, ფინანსებსა და პოლიტიკაში, ჯერ კიდევ არ გამხდარა სერიოზული ანალიზის საგანი. მართალია, მას იკვლევენ როგორც ეკონომიკურ-ფინანსური, ისე ტექნოლოგიური და კულტურული ასპექტებითაც, მაგრამ იშვიათად განიხილავენ ისეთ ყოვლისმომცველ პროცესად, რომელიც ცივილიზაციურ გადატრიალებას იწვევს.¹

ამ ნაკლს ერთგვარად ავსებს თბილისში, 2003 წლის იანვარ-ივნისში მოწყობილი საერთაშორისო დისკუსია თემაზე „გლობალიზაცია და ახალი მსოფლიო წესრიგი“, რომლის მონაწილეებმაც არაერთი საგულისხმო მოსაზრება გამოთქვეს გლობალიზაციის პროცესთან დაკავშირებით.²

ერთი რამ ცხადია – ეკონომიკური გლობალიზაცია, როგორც საერთო გლობალიზაციის ბაზისური მოვლენა მრავალმხრივი დაფიქრებ-ბისა და ახალ-ახალი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა.

¹ И. Рамоне. Геополитика хаоса. М., ТЕИС, 2001, с. 44.

² იხ. გაზ. „განათლება, მეცნიერება, ბიზნესი“ № 3 (116) - 12 (123), 2003.

12. მსოფლიოს ეკონომიკური მრავალფეროვნება, ერთიანობა და წინააღმდეგობა

ეროვნულ ეკონომიკათა ფუნქციონირებისა და მათი განვითარების საერთო ტენდენციებიდან გამომდინარე უპრიანია საკითხი განვიხილოთ ეკონომიკის რეგიონალიზაციის კონტექსტში.

მსოფლიოს ეკონომიკურ მრავალფეროვნებაში, ერთიანობასა და წინააღმდეგობაში ვიგულისხმებთ მსოფლიო ეკონომიკაში, როგორც ერთიან და გლობალურ სისტემაში არსებულ მრავალფეროვნებას და ამ სისტემის შემადგენლებს შორის წინააღმდეგობებს, თუმცა, მსოფლიო ეკონომიკასა და მსოფლიო მეურნეობას შორის გარკვეული აზრით შეგვიძლია ტოლობის ნიშანიც დავსვათ.


მსოფლიო მეურნეობა, რომელიც საუკუნეზე მეტი ხნის წინათ ჩამოყალიბდა ერთ მთლიან სისტემად, ამჟამად 200-მდე ეროვნულ სახელმწიფოს მოიცავს, რომელთა მოსახლეობა 6,0 მლრდ კაცს აღემატება. მისი მთლიანობის გამოვლენის ძირითად მომენტებს კარგად ახასიათებს სქემა 1.2-1.

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ეკონომიკური სისტემა უკვე საკმაო ისტორიის მქონე რეალობაა, „მსოფლიო ეკონომიკის“ შინაარსის ერთიანი გაგება დღემდე მაინც არ არსებობს (რომ არაფერი ვთქვათ „მსოფლიო მეურნეობასთან“ მის ბოლომდე გაურკვეველ მიმართებაზე).

მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე სრულყოფილ განმარტებას, ჩვენი აზრით, გვაძლევს ფრანგი ეკონომისტი მიშელ ბო, რომელიც ამ ცნებაში ისეთ შემადგენლებს განიხილავს, როგორიცაა: 1. ადამიანის სანარმოო საქმიანობის ერთობლიობა; 2. ეროვნულ მეურნეობათა ერთიანობა; 3. საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა ერთობლიობა; 4. ტრანსნაციონალური კომპანიებისა და ბანკების ერთობლიობა; 5. ქვეყნების ინტეგრაციული დაჯგუფებები, ქვეყნების თანამეგობრობები და საერთაშორისო ორგანიზაციები; 6. წარმოების კაპიტალისტური წესის განვითარების შედეგად ჩამოყალიბებული და ორგანიზებული მსოფლიო სისტემა; 7. მსოფლიო კაპიტალისტური სისტემა; 8. მთელი კაცობრიობის ეკონომიკური საქმიანობის შედეგი.¹ (ამისგან განსხვავებით, „მსოფლიო მეურნეობას“ უწოდებენ ეროვნულ მეურნეობათა ერთობლიობას, რომლებიც მსოფლიო სამეურნეო ურთიერთობებითაა გაერთიანებული).

¹ А. И. Погорлецкий. Экономика зарубежных стран. Учебник. Второе издание. Из-во "Михайлова В. А.", С.-Пб. 2001, с. 12-13.

მსოფლიო მეურნეობის მთლიანობის ძირითადი გამოვლინებები¹



¹ *Всемирное хозяйство./ Под ред. А. П. Иванова. М., 1995, с. 3.*

მსოფლიო ეკონომიკური სისტემის საფუძველია ეროვნული მეურნეობები, ხოლო მის ქვესისტემებად გვევლინებიან ქვეყნების ჯგუფები, რომლებსაც, ეკონომიკური განვითარების დონიდან გამომდინარე, აჯგუფებენ განვითარებული ეკონომიკის, გარდამავალი ეკონომიკისა და განვითარებად ქვეყნებად. მათი დაჯგუფება სხვა კრიტერიუმებითაც შეიძლება, მაგრამ მთავარი ისაა, რომ მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში შემაჯავალი ქვეყნები გამოირჩევიან გარკვეული თავისებურებებითა და მათთვის დამახასიათებელი ნიშნებით, რაც განსაზღვრავს კიდევ მსოფლიოს მრავალფეროვნებას.

გარდა ქვესისტემებისა, მსოფლიო ეკონომიკას ზედნაშენის გარკვეული ელემენტებიც აქვს.

მსოფლიო ეკონომიკური სისტემის წესრიგს განსაზღვრავს საერთაშორისო სამართალი, რომლის თავისებურებაც ისაა, რომ საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს შესაბამის შემთხვევებში უპირატესობას ანიჭებენ.

მსოფლიო ეკონომიკის ზედნაშენს შეგვიძლია მივაკუთვნოთ იმ საერთაშორისო ორგანიზაციების ერთობლიობაც, რომელთა მიზანია ქვეყნებს შორის ურთიერთობათა კოორდინაცია საქმიანობის განსხვავებულ სფეროებში. ნამყვან როლს აქ დღემდე გაერო ასრულებს. სხვა გლობალური საერთაშორისო ინსტიტუტების დანიშნულებაა მსოფლიო მეურნეობის მართვა, ეროვნული სახელმწიფოების ინტერესების შეთანხმება, ფინანსური და საკონსულტაციო დახმარების განევა. საერთაშორისო ორგანიზაციების პოზიციებს განამტკიცებს ის, რომ მათზე გადაცემულია (დელეგირებულია) ადრე მხოლოდ ეროვნული სახელმწიფოებისათვის დამახასიათებელი უფლებამოსილებების ნაწილი.

1.2-1 ცხრილში მოყვანილი მონაცემები ახასიათებს ზოგიერთი საერთაშორისო ორგანიზაციისა და ბლოკის ხვედრით წონას მსოფლიოს ეკონომიკურ პოტენციალში.

განვითარებული მრეწველობის მქონე ქვეყნების ეკონომიკაში უმთავრესი პოზიციები უჭირავს მსხვილ კერძო-მონოპოლისტურ სექტორს. ესაა განვითარებული საბაზრო ურთიერთობების მქონე ქვეყნები, რომლებიც გამოირჩევიან საწარმოო ძალების მაღალი დონით, ეკონომიკის განვითარების ინტენსიური ტიპითა და ერთიანი კვლავწარმოებითი პროცესით ეროვნულ მეურნეობათა ფარგლებში. სწორედ ამ ქვეყნებშია თავმოყრილი მსოფლიო მეურნეობის ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის უდიდესი ნაწილი და კომუნიკაციის მთავარი ფინანსური კვანძები.

საერთაშორისო გაერთიანებებისა და ბლოკების ხვედრითი წონა მოსახლეობასა და ეკონომიკურ პოტენციალში (%-ობით)

გაერთიანება, ბლოკი	მოსახ- ლეობა	მშპ	ექსპორტი	ინვესტი- ციები	ცენტრა- ლური მთავრობის ხარჯები
„ნაფტა“	5	26	17	19	21
ევროკავშირი	7	24	43	19	40
„ნატო“	12	51	54	35	74
„დიდი შვიდეული“	11	49	63	40	62
ეთგო	11	72	71	50	76
აზია-წყნარი ოკეა- ნის ეკონომიკური თანამშრომლობა	34	29	25	36	21
დსთ	5	2	2	2	1

წყარო: Россия - 2015: оптимистический сценарий. Отв. ред. Л. И. Абалкин. М.: ИЭ РАН - ММВБ, 1999, с. 14,20.

მართალია, ყველა განვითარებული ქვეყანა კაპიტალისტური მოდელის შესაბამისად ვითარდება, მაგრამ ეს მოდელი საკმაოდ არაერთგვაროვანია და ნეოლიბერალურიდან სოციალურად ორიენტირებულ ხასიათამდე მერყეობს. ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან, აგრეთვე, მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ის დონით (თუმცა, პრაქტიკულად, ყოველ მათგანში ეს მაჩვენებელი ახლა აღემატება 15 ათას აშშ დოლარს), სოფლის მეურნეობის, მრეწველობისა და მომსახურების სფეროს წვლილით მშპ-ის შექმნაში, გარანტირებული სოციალური დაცვის დონით და ა.შ. ამის მიუხედავად, განვითარებულ ქვეყნებში ამჟამად უკვე დამდგარია მასობრივი მოხმარების ერა, რომელსაც ახასიათებს საქონლისა და მომსახურების ეფექტიანად წარმოება, მაღალი სამომხმარებლო მოთხოვნა, მეცნიერებისა და ტექნიკის მუდმივი პროგრესი და სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის გაძლიერება.

აღსანიშნავია, რომ სპეციალურ ლიტერატურაში განსხვავებულ მონაცემებს ვაწყდებით, კერძოდ, განვითარებული ქვეყნების ჩამონათვალთან დაკავშირებით (თვით ერთსა და იმავე წელს გამოცემულ წყაროებშიც კი). გვხვდება უზუსტობებიც. მაგალითად, სტრიგინის ზემოთ მითითებულ დამხმარე სახელმძღვანელოში განვითარებული ქვეყნების რიგში მოიაზრება 24 ქვეყანა, ფაქტობრივად კი დასახელებულია 25. ყველასათვის კარგად ცნობილ,

„ტრადიციულ“ განვითარებულ ქვეყნებს აქ ემატება გიბრალტარი (?), ისრაელი და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა (სარ), მაგრამ ყოველგვარი კომენტარის გარეშე მათი რიგებიდან ამოღებულია შვედეთი¹. ამავე დროს, დამხმარე სახელმძღვანელოს ავტორი გვერდს უვლის აზიის ე.წ. „ურჩხულებს“, რომლებსაც უკვე კარგა ხანია განვითარებულ ქვეყნებად მოიხსენიებენ „დიდი შვიდეულის“, მისი არანეკრონი დანარჩენი დასავლეთეუროპული ქვეყნების, ავსტრალიის, ახალი ზელანდიის, ისრაელისა და სარის გვერდით. ეს მომენტი, პირიქით, ხაზგასმულია ა.პოგორლეცკის სახელმძღვანელოში, სადაც მითითებულია, რომ სამხრეთ კორეა, ჰონკონგი, სინგაპური და ტაივანი (სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ე.წ. „ურჩხულები“), აგრეთვე, ისრაელი 1995 წლიდან განვითარებულ ქვეყნებად ითვლებიან, ხოლო ამ ჯგუფში მათი გადასვლა ეკონომიკურ განვითარებაში მიღწეული პროგრესითაა განპირობებული.

აღნიშნულმა ქვეყნებმა პირველობას მიაღწიეს ეკონომიკის მთელ რიგ პოზიციებში და მსოფლიოს მნიშვნელოვან სამრეწველო, სამეცნიერო-ტექნიკურ და ფინანსურ ცენტრებად გადაიქცნენ. მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ით ეს ქვეყნები მჭიდროდ მიუახლოვდნენ ნამყვან განვითარებულ ქვეყნებს, ჰონკონგი და სინგაპური კი ამ მხრივ უსწრებენ კიდევ „დიდი შვიდეულის“ ზოგიერთ ქვეყანას². (ავტორი აქ, რატომღაც, არაფერს ამბობს სარზე).

მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში შედარებით ახლახან გამოყოფილი გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნები³ ამჟამად საბაზრო პრინციპებზე დაყრდნობით ცვლიან თავიანთ წინანდელ, ადმინისტრაციულ-მბრძანებლურ ეკონომიკას. რეფორმების განვლილი ათი წლის მანძილზე მათგან ეკონომიკურ განვითარებაში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს პოლონეთმა, უნგრეთმა, ჩეხეთმა, სლოვაკეთმა, სლოვენამ, ხორვატიამ და ბალტიის ქვეყნებმა. მათ უკვე დაასრულეს ეკონომიკაში ძირითადი სტრუქტურული გარდაქმნები და ემზადებიან ევროპის ერთიან ბაზარში ინტეგრირებისათვის; მათგან განსხვავებით, ბულგარეთი, რუ-

¹ А. В. Стрыгин. *Мировая экономика. "Экзамен". М., 2001, с.21-22.*

² А. И. Погорлецкий. *Экономика зарубежных стран. Учебник. Второе издание. Из-во "Михайлова В. А.", С.-Пб. 2001, с. 19.*

³ *მსოფლიო ბანკის გადამწყვეტილებით, ამ ქვეყნებს „ტრადიციულად გვეგმიანი ეკონომიკის (ტგე)“ ქვეყნები უწოდეს (იხ. Джон. Д. Дэниелс, Ли Х. Радеба. Международный бизнес: внешняя среда и деловые операции. 6-ое издание. Пер. с англ. М.: Дело ЛТД, 1994, с. 54).*

მინეთი, უკრაინა, ალბანეთი და მაკედონია მთელი ეკონომიკური სისტემის ტრანსფორმაციის სტადიაზე იმყოფებიან და ახლა წყვეტენ გარდამავალი პერიოდის რთულ პრობლემებს; რუსეთსა და ბელორუსში შეინიშნება გარდამავალი პროცესების გაყინვა და არსებობს ძველი სისტემისკენ მიბრუნების საშიშროება. მათ გვერდით შეიძლება დავასახელოთ ის ქვეყნებიც, რომლებსაც სერიოზული ზიანი მიადგათ ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისა და ეთნოკონფლიქტების გამწვავების გამო გაჩაღებული საომარი მოქმედებებიდან. ახლა მათი მთავარი პრობლემაა მოშლილი ეკონომიკის აღდგენა და არა რეფორმების გატარება. ეს ქვეყნებია სერბია, ჩერნოგორია, ბოსნია და ჰერცეგოვინა.

მსოფლიო მეურნეობის დიდი მრავალფეროვნების მთავარი წყარო მაინც განვითარებადი ქვეყნებია. ამ მართლაც უაღრესად მრავალფეროვანი ჯგუფის წევრები არიან არაბთა გაერთიანებული საამიროებიც (აგს), ქუვეითიც და ბაჰამის კუნძულებიც, რომლებიც ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ით, ან მთავრობის სოციალური დანახარჯებით უტოლდებიან და ზოგჯერ უსწრებენ კიდევ „დიდი შვიდეულის“ ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებს. მათ გვერდით ასახელებენ ეკონომიკური და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების კარგი დონის მქონე „საშუალოებსაც“ და უკიდურესად ჩამორჩენილი ეროვნული მეურნეობის მქონე ბევრ ქვეყანასაც, რომელთა მოსახლეობის მეტი წილი სიღატაკის ზღვარს მიღმა იმყოფება. ამ ჯგუფში შემავალი ქვეყნების ეროვნულ მეურნეობაში მეტად მცირეა საბაზრო მექანიზმებისა და კერძო მენარმეობის როლი, უპირატესი მნიშვნელობა კი ნატურალურ და ნახევრად ნატურალურ მეურნეობას, ეკონომიკის დარგობრივ სტრუქტურაში აგრარული და სამრეწველო სექტორების წამყვან ადგილს, ეკონომიკაში სახელმწიფოს აქტიურად ჩარევას და სუსტ სოციალურ დაცვას აქვს მოპოვებული. ამ ნიშნების გათვალისწინებით შესაძლებელია განვითარებადი ქვეყნების ჯგუფში მოგვექცია გარდამავალი ეკონომიკის მქონე იმ ქვეყნების უმრავლესობაც, რომელთა განვითარების დონე არსებითად დასცა ეკონომიკური გარდაქმნების არაგონივრულად წარმართვამ.

როგორც ვხედავთ, განვითარებადი ქვეყნების ჯგუფი თვითონაც დიდი სიჭრელით გამოირჩევა. კონკრეტული ეკონომიკური ანალიზის მიზნებიდან გამომდინარე, მათ შორის მიზანშეწონილია გარკვეული ნიშნით ერთგვაროვანი რამდენიმე ქვეჯგუფის გამოყოფა:

– წმინდა კრედიტორი ქვეყნები: აგს, ბრუნეი, კატარი, ლიბია

ობანი, საუდის არაბეთი და ქუვეითი. ყველა დანარჩენი განვითარებადი ქვეყანა წმინდა მოვალე ქვეყნებია;

– ენერგორესურსების ექსპორტიორი ქვეყნები: აგს, ალჟირი, ანგოლა, ბაჰრეინი, ვენესუელა, ვიეტნამი, ინდონეზია, ირანი, მექსიკა, სირია და სხვა – სულ 24 ქვეყანა. ყველა დანარჩენი განვითარებადი ქვეყანა ენერგორესურსების იმპორტიორს წარმოადგენს;

– ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნები: ავღანეთი, ანგოლა, ბანგლადეში, ეთიოპია, იემენი, კამბოჯა, ლაოსი, ლიბერია, სომალი, სუდანი და სხვა, სულ 40 ქვეყანა.

მსოფლიო ეკონომიკური სისტემისთვის დამახასიათებელი მრავალფეროვნება კიდევ უფრო თვალში საცემი გახდება, თუ ამ მთლიანობის შემადგენელ ეროვნულ მეურნეობებს აღნიშნულ ნიშნებთან ერთად მსოფლიო ეკონომიკაში მათი როლის გათვალისწინებითაც განვიხილავთ. ეს საშუალებას გვაძლევს თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის ორგანული მთლიანობა შემდეგი ათი შემადგენლისაგან შექმნილ სისტემად წარმოვაადგინოთ:

პირველი. „დიდი შვიდეული“. ეს იმ ლიდერი ქვეყნების წრეა, რომელთაც ყველაზე მაღალი სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლები აქვთ: მოსახლეობის ერთ სულზე მშპ, შრომის მწარმოებლურობის დონე, სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესში დაკავებული პოზიციები.

„დიდი შვიდეულის“ წილად მოდის მსოფლიო მშპ-ის ნახევარზე მეტი, ექსპორტის ნახევარი და საზღვარგარეთული კაპიტალური დაბანდებების 4/5. აქ ფართოდაა განვითარებული მატერიალური და არამატერიალური წარმოების დარგების მთელი სპექტრი.¹ ესენი არიან თანამედროვე მსოფლიოს სამი ცენტრის – ამერიკის, იაპონიისა და დასავლეთ ევროპის – ლიდერი ქვეყნები.

„დიდი შვიდეული“ განიხილავს და შეძლებისდაგვარად წყვეტს მსოფლიოს გლობალურ ეკონომიკურ და სავალუტო პრობლემებს. ისინი სხვადასხვა დონეზე ხვდებიან ერთმანეთს, რომლის საფუძველიცაა სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურების ყოველწლიური შეხვედრები, უმთავრესად, კონკრეტული პრობლემების გადასაწყვეტად (ენერგეტიკული პოლიტიკა, საგარეო ვალი, გარემოს დაცვა და სხვა). 1997 წლიდან „შვიდეული“ „რვათა ჯგუფად“ გარდაიქმნა რუსეთის მონაწილეობით, თუმცა, ეს მხოლოდ პოლიტიკურ ასპექტს ეხება და არა ეკონომიკურს.

მთელი განვითარებული კაპიტალისტური სამყაროს სამრეწვე-

¹ А. В. Стрыгин. *Мировая экономика*. М.: "Экзамен", 2000, с. 22.

ლო წარმოებაში აშშ-ის ხვედრითი წილი ამჟამად დაახლოებით ერთი მესამედია, იაპონიისა – თითქმის 17%, დასავლეთ ევროპის ქვეყნების კი – 45%-მდე. დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან ყველაზე დიდი ეკონომიკური პოტენციალი აქვს გერმანიას; მეორე ადგილზეა საფრანგეთი, მესამეზე კი – დიდი ბრიტანეთი. ეკონომიკურ განვითარებაში განსაკუთრებული დინამიზმი ბრიტანეთში ტექტიურიზმის ეპოქაში ჩატარებული რეფორმების შემდეგ აღინიშნება.¹

მეორე. სხვა დანარჩენი განვითარებული ქვეყნები. ამ წრეში შემავალი ქვეყნები ასევე დიდ როლს ასრულებენ მსოფლიო მეურნეობის გლობალიზაციის პროცესში. მათ ახასიათებთ საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილეობის მაღალი დონე, ეროვნული ეკონომიკის უფრო ვიწრო სპეციალიზაცია და ინტეგრაციულ პროცესებში აქტიურად მონაწილეობა. თითქმის ორი ათეული წელია მდგრად განვითარებას გვიჩვენებენ დასავლეთ ევროპის „მცირე“ ქვეყნებიც – ავსტრია, ბელგია, ირლანდია, ნიდერლანდი, ნორვეგია, შვედეთი და ფინეთი, რომლებიც მკვეთრად გამოირჩევიან ეკონომიკური განვითარების დინამიზმითა და მაღალი ეფექტიანობით.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ დიდი განსხვავებულობის მიუხედავად, ყველა განვითარებულ ქვეყანას აერთიანებს ერთი საერთო ნიშანი, რომელზეც არსებითადაა დამოკიდებული მათი ეკონომიკის მაღალი ეფექტიანობა – ესაა მსოფლიო სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესში ლიდერობა.

მესამე. ახალი ინდუსტრიული ქვეყნები. ამ წრეში გაერთიანებული ე.წ. „ვეფხვების“ და რამდენიმე ლათინურ-ამერიკული ქვეყნის (ზოგჯერ ამ წრეში შეჰყავთ ინდოეთიც) წინათ სუსტად განვითარებულმა მეურნეობებმა 1970-იანი წლების ბოლოს იწყეს სწრაფად განვითარება და მათი გრძელვადიანი სტრატეგია დასავლური კაპიტალიზმის აშენებისკენაა მიმართული. მაღალია საერთაშორისო ვაჭრობაში ახალი ინდუსტრიული ქვეყნების ინტეგრაციის დონე. სადღეისოდ მათში შეიმჩნევა ეროვნულ მეურნეობათა იმ დარგების ბობოქარი განვითარება, რომლებიც საექსპორტო პროდუქციას ამზადებენ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ წრის ხუთმა წევრმა ქვეყანამ (ისრაელი და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ოთხი „ურჩხული“) დიდ წარმატებებს მიაღწია ეკონომიკის განვითარებაში და განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნების ჯგუფში გადაინაცვლა.

¹ Павлов К. В., Шишкин М. И. *Мировая экономика. Ижевск, 1997, с. 21.*

მეოთხე. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები. ამ წრეში გვხვდება როგორც ლიდერი ქვეყნები, რომლებიც განვითარებული ქვეყნების ჯგუფს უმიზნებენ, ისე აშკარად ჩამორჩენილი ქვეყნებიც, რომლებიც აუნყოფელი ეკონომიკითა და სიღარიბით ყველაზე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს უახლოვდებიან. განვითარების მოდელის მსგავსებით, სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლების სიახლოვითა და რეფორმების რადიკალურობით ამავე წრეში ათავსებენ ერთგვარად განკერძოებულ ბალტიის ქვეყნების ეკონომიკასაც.

მეხუთე. რუსეთი და ყოფილი 11 მოკავშირე რესპუბლიკა (დსთ). ამ ქვეყნების ეკონომიკაც გარდამავალია, მაგრამ მათი განვითარების დონე თანდათან ეშვება განვითარებადი ქვეყნების დონემდე. ამ წრის სლავური ქვეყნები ეკონომიკის სტრუქტურითა და განვითარების ხასიათით კიდევ შეიძლება პროგრესულ ეკონომიკაზე ორიენტირებულ ქვეყნებად მივიჩნიოთ, სამხრეთით მდებარე ახალი დამოუკიდებელი ქვეყნების მეურნეობები კი განვითარებადი უფროა, ვიდრე გარდამავალი ხასიათის მქონე. მათში ჯერ კიდევაა შემორჩენილი ყოფილი საბჭოთა იმპერიის ინფრასტრუქტურები, აღნიშნულ ქვეყნებს კი ჯერაც ვერ უპოვიათ საკუთარი გზები მსოფლიოს ეკონომიკურ განვითარებაში. მსოფლიო ეკონომიკაში დსთ-ის ადგილს ახასიათებს 1.2-2 ცხრილში მოყვანილი მონაცემები.

მეექვსე. ჩინეთი. ამ ქვეყანას უნიკალური ადგილი უჭირავს მსოფლიო ეკონომიკაში, რადგანაც მისი განვითარების მოდელი საბაზრო და საგეგმო-რეგულირებადი მეურნეობების ერთგვარი სინთეზია. თავის მხრივ, თვითონ ჩინეთიც არაერთგვაროვანია: ზღვისპირა რეგიონების განვითარების დონე ნამყვანი ქვეყნებისას უახლოვდება, დასავლეთისა და ცენტრის ტერიტორიები კი უკიდურესად ჩამორჩენილია. ამდენად, ჩინეთი „საშუალოდ“ განვითარებადი ქვეყანაა. ამასთან, ქვეყანაში აღინიშნება სამეურნეო განვითარების მაღალი ტემპები და მოსახლეობის კეთილდღეობის საგრძნობი ზრდა.

მეშვიდე. ინდოეთი და პაკისტანი. ეს ორი ქვეყანა ცალკეა გამოყოფილი მათი უზარმაზარი, თუმცა, ჯერ კიდევ სანახევროდ გამოუყენებელი ეკონომიკური პოტენციალით. აქ მდიდარი რესურსები და კარგი სამეცნიერო პოტენციალია თავმოყრილი, რაზეც ჯერ კიდევ მცირე მოთხოვნაა. ამის გამო დაბალია ამ ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე, განუვითარებელია წარმოება და მოხმარება, ხოლო მოსახლეობის შემო-

დსთ-ის ადგილი მსოფლიო ეკონომიკაში (%-ობით)

ქვეყნები	ხვედრითი წონა რეალურ მსოფლიო მშპ-ში		რეალური მშპ მოსახლეობის ერთ სულზე მსოფლიო მაჩვენებლის მიმართ		ხვედრითი წონა მსოფლიო ექსპორტში	
	1990 წ.	1995 წ.	1990 წ.	1996 წ.	1991 წ.	1996 წ.
დსთ	5,6	2,79	104,7	50,6	2,64	2,23
რუსეთი	3,59	1,96	120,5	65,0	1,51	1,61
უკრაინა	0,93	0,39	104,5	33,6	0,14	0,25
ბელორუსი	0,24	0,13	108,7	54,7	0,05	0,08
სომხეთი	0,05	0,03	119,5	43,3	0,009	0,004
საქართველო	0,08	0,02	89,2	15,7	0,01	0,01
მოლდოვა	0,07	0,02	66,8	26,7	0,03	0,01
აზერბაიჯანი	0,08	0,03	68,1	33,4	0,01	0,01
ყაზახეთი	0,28	0,13	91,4	41,1	0,29	0,08
უზბეკეთი	0,18	0,13	51,5	36,6	0,39	0,07
ყირგიზეთი	0,05	0,02	62,8	24,6	0,11	0,01
ტაჯიკეთი	0,04	0,01	43,9	12,2	0,07	0,03
თურქმენეთი	0,04	0,02	69,2	7,9	0,04	0,05

წყარო: Журн. "Вопросы экономики", 1997, №5, с. 150-155.

სავლები იმ დონეზეა, რომ იგი ძლივს აღწევს თავს სილატაკეს. თანამედროვე ეტაპზე მსოფლიოს ერთიანობას დიდ ზიანს აყენებს ინდოეთსა და პაკისტანს შორის ამჟამად არსებული დაძაბული ურთიერთობები.

მერვე. შედარებით სტაბილური, განვითარებადი ქვეყნები. აქ შემავალი ენერგორესურსების ექსპორტიორი ქვეყნები, შედარებით მცირერიცხოვანი მოსახლეობით (აგს, კატარი, ომანი, საუდის არაბეთი და ქუვეითი), ექსპორტიდან მიღებულ საგრძნობ შემოსავლებს ფლობენ, კუნძულებზე მოთავსებული სახელმწიფოები (ბაჰამის, ბერმუდისა და კაიმანის კუნძულები, იამაიკა, კვიპროსი, მალტა და სხვები) კი განვითარებული ინფრასტრუქტურით, პოლიტიკური სტაბილურობითა და ლიბერალური ეკონომიკით გამორჩეული ტურისტული და საფინანსო ცენტრები და საგადასახადო ყურეებია. მათ ახასიათებთ მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ის მაღალი მაჩვენებლები და ძლიერი სოციალური დაცვა. ზოგიერთი მათგანი ამ მხრივ ძალიან მჭიდროდ უახლოვდება განვითარებულ ქვეყნებს.

მეცხრე. კლასიკური განვითარებადი ქვეყნები. ამ წრის ქვეყ-

ნების აგრარულ-სამრეწველო ტიპის მქონე მეურნეობების ჩამორჩენილობას ნათლად გამოხატავს მათი მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ის მაჩვენებელი – ათას დოლარზე ნაკლები. აქ მრეწველობის მხოლოდ მომპოვებელი დარგებია განვითარებული, სოფლის მეურნეობაში კი შრომის პრიმიტიული, ინდუსტრიამდელი ფორმებია გაბატონებული. ასეთი ქვეყნების უმრავლესობა მდებარეობს აფრიკაში (საჰარის სამხრეთით), აზიასა და ლათინურ ამერიკაში. ზოგ მათგანში ჯერაც ნათესაურ-ტომობრივი ურთიერთობებია შემორჩენილი.

მეათე- ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნები. ამ წრის მრავალი ქვეყანა მონყვეტილია ზღვაზე გასასვლელს, რამაც თითქმის მთლიანად განაპირობა მათი განუვითარებლობა და ჩამორჩენილობა. მრავალ ქვეყანაში მრეწველობა საერთოდ არაა ჩამოყალიბებული, განათლებასა და ჯანმრთელობის დაცვაზე კი საერთოდ საუბარიც არაა. დღეს ასეთ ქვეყნებს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ, მათ აძლევენ შეღავათიან სესხებსა და კრედიტებს, უწევენ პუმანიტარულ დახმარებას და სხვა.

მსოფლიოს რეგიონებისა და ცალკეული ქვეყნის განვითარების დონეებზე გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს 1.2-3 ცხრილის, ქვემოთ მოყვანილი მონაცემები.

მსოფლიოს ერთიან ეკონომიკურ სისტემაში მოქცეულ ქვეყნებს შორის ურთიერთობები, სამწუხაროდ, მარტო თანამშრომლობითა და ერთმანეთისთვის დახმარების განევით არ შემოიფარგლება, კონკურენციის გამწვავება და ეკონომიკურ ინტერესთა შეჯახება არცთუ იშვიათად წარმოშობს წინააღმდეგობებს მათ შორის.

დღეს ამაზე მსჯელობა უფრო მეტად ეკონომიკის რეგიონალიზაციის კონტექსტში გვიხდება.

მართლაც, სწრაფად ცვალებად მსოფლიოში აშკარად გამოიკვეთა იმის ტენდენცია, რომ ახლა ძირითადი წინააღმდეგობები ჩნდება არამარტო ქვეყნებს შორის, არამედ იმ ქვეყნების ჯგუფებს შორისაც, რომელთაც ეკონომიკური განვითარების საერთო მოდელი აქვთ.

ამდენად, გლობალიზაცია ერთგვარად წინააღმდეგობაში ექცევა ეკონომიკური საქმიანობის რეგიონალიზაციასთან, რაც, თავის მხრივ, ინტეგრაციული დაჯგუფებების წარმოქმნაში იჩენს თავს.

სულ ბოლო დრომდე მსოფლიო ეკონომიკაში არსებული წინააღმდეგობა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის დაპირისპირებაში ვლინდებოდა, რომელიც მეურნეობრიობის საბაზრო და დირექტიული მეთოდებით წარმართვას შორის არსებულ განსხვავებას ასახავდა.

მსოფლიოს რეგიონებისა და ცალკეული ქვეყნების
მოსახლეობის რაოდენობისა და განვითარების
დონეების შედარება

რეგიონები და ქვეყნები	მოსახლეობის მთლიანი რიცხოვნობა, მლნ. კაცი			მშპ მოსახლეობის ერთ სულზე (მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტით აშშ დოლარებით), 2001
	1975	2001	2015 (პროგნოზის საშუალო ვარიანტი)	
განვითარებადი ქვეყნები	2961,2	4863,8	5868,2	3850
ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა და დსთ	366,6	409,8	398,4	6598
საქართველო	4,9	5,2	4,7	2560
ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია (ეთგო)	925,6	1140,8	1227,7	23363
ბელგია	9,8	10,3	10,5	25520
დანია	5,1	5,3	5,4	29000
შემოსავლის მაღალი დონის მქონე ქვეყნები	782,0	935,9	997,7	26989
შემოსავლის საშუალო დონის მქონე ქვეყნები	1847,5	2694,8	3027,9	5519
შემოსავლის დაბალი დონის მქონე ქვეყნები	1437,1	2515,0	3189,0	2230
მთელი მსოფლიო	4068,1	6148,1	7197,2	7376

წყარო: Доклад о развитии человека за 2003 год. Минск, "Юнипак", 2003, с.с. 237-240, 250-253.

ამჟამად „ალმოსავლური ორიენტაცია“ თითქმის არცერთი ქვეყნის მეურნეობას აღარ აქვს და ამ დაპირისპირებასაც საფუძველი გამოეცალა¹. სამაგიეროდ მსოფლიო ეკონომიკის მთავარი გამყოფი ხაზი ახლა ჩრდილოეთ-სამხრეთის ღერძზე გადის, რაც მატერიალურად მდიდარ ჩრდილოეთსა და ღარიბ სამხრეთს შორის არსებულ დაპირისპირებულობას გამოხატავს. ეს დაპირისპირებულობა, ჩვენი აზრით, უფრო ბუნებრივი და ობიექტურია, რადგან მას ფესვები კულტურულ და სულიერ ფასეულობებში აქვს გადგმული. ამიტომ იგი განსაკუთრებული ანტაგონიზმით არ გამოირჩევა, თუმცა, რადიკალურად განწყობილი ზოგიერთი დასავლელი პოლიტიკოსი საზღვრების ჩაკეტვას და სამხრეთიდან მიგრაციის არსებითად შეზღუდვასაც კი მოითხოვს.

შეიძლება გამოვყოთ სამხრეთთან ჩრდილოეთის მეტი წილი ქვეყნების ურთიერთობათა შემდეგი სამი თავისებურება:

1. სამხრეთთან კონტაქტების შემცირება. ამას ორი მიზეზი აქვს. ჯერ ერთი, განვითარებადმა ქვეყნებმა დაკარგეს ნედლეულის წყაროების როლი და მნიშვნელობა, ხოლო, მეორე მხრივ, მოსახლეობის დაბალი შემოსავლების გამო მათ ბაზრებს არ განიხილავენ გასაღების სერიოზულ არეალად. მართალია, სამხრეთის სამუშაო ძალა იაფია, მაგრამ, სამაგიეროდ იგი დაბალკვალიფიციურია და კულტურული შეუსაბამობის გამო საფრთხეს უქმნის ჩრდილოეთის ცივილიზაციას. ჩრდილოეთს დიდი წინააღმდეგობები აქვს ჩინეთთან, რომელიც სულ უფრო ავინროებს განვითარებულ ქვეყნებს მსოფლიო ბაზრებზე.

2. სამხრეთის ეკონომიკური (და არა პოლიტიკური) კოლონიზაცია. ერთგვარი დაშორისშორების მიუხედავად, ჩრდილოეთს ჯერ კიდევ არ დაუთმია თავისი კოლონიური ზრახვები, ოღონდ ახლა ეს ეკონომიკური მეთოდებით ხორციელდება. ჩრდილოეთის ქვეყნების ტრანსნაციონალურ კორპორაციებს თავიანთი სანარმოო სიმძლავრეები სამხრეთში გადმოაქვთ და აქ ივსებენ სამუშაო ძალის დეფიციტს, თანაც, იშორებენ ეკოლოგიურად საშიშ ნარმოებებს. ამგვარად, სამხრეთის პოლიტიკური სუვერენიტეტი რჩება, მის ეკონომიკაზე ჩრდილოეთის ფაქტობრივი კონტროლი კი სულ უფრო ძლიერდება.

3. განვითარებადი სამყაროს ზოგიერთი რეგიონის შერჩევითი მხარდაჭერა. ჩრდილოეთის ამგვარი პოლიტიკა სამი მიმარ-

¹ თუმცა, ზოგიერთი ფიქრობს, რომ XXI საუკუნის პირველ წლებში რუსეთში მცირე ხნით, მაგრამ მაინც უნდა მოველოდეთ კომუნისტურ რევანშს.

თულებით შეიძლება განვიხილოთ: ა) ინვესტიციების განხორციელება მათი მომგებიანობიდან გამომდინარე, აგრეთვე, რეციპიენტი ქვეყნის საინვესტიციო გარემოს გათვალისწინებით, და არა სამხრეთის ინფრასტრუქტურის განვითარების სურვილით; ბ) პუმანიტარული და ფინანსური დახმარების განევა, ძირითადად, მოკლევადიანი პრობლემების მოსაგვარებლად (შიმშილობის დაძლევა, სტიქიურ უბედურებათა შედეგების ლიკვიდაცია, სავალუტო-საფინანსო პრობლემების გადაჭრა, სოციალური კონფლიქტების ჩაქრობა და ა.შ.); გ) უპირატესად „რენტაბელური“ ქვეყნების განვითარების ხელშეწყობა (ენერგორესურსებისა და სოფლის ნაწარმის ექსპორტიორები, საგადასახადო „ყურეები“, ტურისტული ცენტრები და სხვა).

ჩრდილოეთის მიერ ამგვარი პოლიტიკის გატარების გამო გადაუჭრელი რჩება განვითარებადი ქვეყნების გრძელვადიანი პრობლემები, დახმარების განევას კი უფრო საზოგადოებრივი აზრის დაშოშმინების სახე აქვს.

ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის უთანაბრობის გამწვავება გაგრძელებას პოულობს ყველაზე განვითარებულ ქვეყნებს შიგნითაც. ევროკავშირში, მაგალითად, 20 მლნ. ლარიბი ადამიანია, თუმცა, მთლიანად ამ კავშირის მოსახლეობა პლანეტის მთელი მოსახლეობის იმ 20 %-ს ეკუთვნის, რომელზეც მსოფლიოს შემოსავლის 80%-ზე მეტი მოდის.¹

მსოფლიო ეკონომიკაში ერთგვაროვანი ინტერესების სივრცე ქვეყნების რეგიონული ინტეგრაციული დაჯგუფებების საფუძველზეც ყალიბდება. რეგიონალიზაცია შეგვიძლია გლობალიზაციის გზაზე არსებულ ერთგვარ შუალედურ ეტაპად განვიხილოთ. მრავალრიცხოვან დადებით მომენტებთან ერთად ამ მოვლენას მთელი რიგი უარყოფითი ნიშნებიც ახასიათებს, რომელთაგან განსაკუთრებით თვალში საცემია: პირველი, რეგიონული ბლოკების კონფრონტაცია; მეორე, ბარიერების გაჩენა საერთაშორისო გაცვლისა და თანამშრომლობის გზაზე; მესამე, უთანხმოებათა წარმოშობა საერთაშორისო ვაჭრობაში, კაპიტალის მოძრაობაში, საგადასახადო პოლიტიკასა და გარემოს დაცვის მიმართ გამოვლენილ მოთხოვნებში და, მეოთხე, ინტეგრაციული დაჯგუფების რეგიონული პროტექციონიზმი და თავისუფალი კონკურენციის პრინციპების შერყევა.

დასავლეთ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკას შორის ინვეს-

¹ *Игнасио Рамоне. Геополитика хаоса. М., "ТЕИС", 2001, с. 6.*

ტიციების გადაჯვარედინების დაჩქარებული პროცესი წარმოების სულ უფრო მეტი ინტეგრაციის და ტრანსატლანტიკური ზონის მეურნეობათა კონვერგენციის უტყუარი ნიშანია.

ხსენებულ რეგიონებს შორის ინტეგრაციის გაღრმავებას გამოხატავს, აგრეთვე, ამერიკისა და ევროპის კომპანიებისა და ბანკების ურთიერთშთანთქმა და შერწყმა. ამის შედეგად იქმნება ტრანს-ატლანტიკური გიგანტები და მეგაკორპორაციები, რომლებიც ორ ყველაზე მსხვილ და მდიდარ ბაზარზე მოღვაწეობენ და ამიტომაც უნარი შესწევთ, მინიმალური ძალისხმევით გადასცენ ერთმანეთსა და თავიანთ შიდასტრუქტურებსაც ტექნოლოგიები, მმართველობითი გამოცდილება და ფინანსური რესურსები.

აშშ-სა და დასავლეთ ევროპის მეურნეობათა პარამონიზების მიუხედავად, ეს ორი რეგიონი მსოფლიო ბაზარზე ერთპიროვნული ლიდერობისათვის იბრძვის და საკმაოდ მწვავე კონკურენციაშია ერთმანეთთან. ეს ინვესტორების პროტექციონიზმის აღორძინებას და თანამედროვე სავაჭრო-ეკონომიკურ ომებს ევროკავშირსა და აშშ-ს შორის. ამას ადასტურებს მათ შორის გამწვავებული კონფლიქტები ბანანთან და ყველთან, ხორცთან და საპაერო ტრანსპორტთან დაკავშირებით. მარტო 1995-1998 წლებში ამგვარი საგარეო-სავაჭრო კონფლიქტების 120-მდე შემთხვევა დაფიქსირდა, მაშინ, როდესაც ГАТТ-ის (გენერალური შეთანხმება ვაჭრობასა და ტარიფებზე) რეჟიმის მოქმედების 45 წლის მანძილზე მათი რაოდენობა 200-ს არ აღემატებოდა.¹

ევროკავშირსა და აშშ-ს შორის არსებული წინააღმდეგობები იმითაა გაპირობებული, რომ მათი განვითარების მოდელები ჯერ კიდევ შორსაა კონვერგენციისგან.

ეკონომიკური და პოლიტიკური პარტნიორობის მიუხედავად, გლობალიზაცია მაინც მოასწავებს ამერიკული კაპიტალიზმის უპირატესობას.

ევროკავშირის ქვეყნები ვერ თმობენ თავიანთ სოციალურ მონაპოვრებს, რაც მათი სტრუქტურული და უმუშევრობასთან დაკავშირებული პრობლემების მიზეზი ხდება.

ის, რომ ტრანსატლანტიკური ბიზნესი უფრო სწრაფი ტემპით ვერ ვითარდება, სწორედ ლიბერალურ-საბაზრო და სოციალურ-საბაზრო ეკონომიკას შორის არსებული წინააღმდეგობებით აიხსნება.

¹ А. Погорлецкий. Экономика зарубежных стран. Учебник. Второе издание. Из-во "Михайлова В. А.", С.-Пб. 2001, с. 206.

ამდენად, ევროპაში ნეოკონსერვატიზმის აქტიურად დანერგვას შეუძლია ახალი იმპულსი მისცეს ევროპის ქვეყნებს და მათ მიმართ დღემდე არსებული უპირატესობა დააკარგვინოს აშშ-ს.

გამორიცხული არაა, რომ ტრანსატლანტიკურმა ეკონომიკამ მსოფლიო ეკონომიკის ბიპოლარული სტრუქტურის გაჩენაც კი გამოიწვიოს.

ევროკავშირს თავისი განვითარების გარკვეულ ეტაპზე, ალბათ, გაუჩნდება აშშ-ს გლობალური ეკონომიკური გავლენის განონასწორების პრეტენზია.

ამასთან, აშშ და ევროკავშირი თავიანთი რეგიონების ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური მიზიდულობის მძლავრი ცენტრებია და მოსალოდნელია ტრანსატლანტიკური ეკონომიკის გაფართოება, ერთი მხრივ, კანადისა და მექსიკის, მეორე მხრივ კი – ევროპის სხვა დანარჩენი სახელმწიფოების ხარჯზე. არსებულ წინააღმდეგობათა შენარჩუნების პირობებში ეს იმის მომასწავებელი იქნება, რომ NAFTA (ჩრდილოამერიკული თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია) და ევროპა ჩაიკეტება თავისი ნაციონალური საზღვრების ფარგლებში და ისინი გლობალიზაციას რეგიონალიზაციის პროცესს დაუპირისპირებენ. ორი ასეთი რეგიონული ერთობის ეკონომიკური და პოლიტიკური კონკურენციის პროცესში ჩარევას ძნელად თუ შეძლებენ იაპონია, ჩინეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სხვა ქვეყნები.

ასე რომ, ჯერჯერობით სწორედ ტრანსატლანტიკური ეკონომიკა უნდა მივიჩნიოთ მთელი გლობალური სისტემის ყველაზე უფრო პოტენციურ რეგიონად.

რეგიონალიზმის განმტკიცება იწვევს მსოფლიო მასშტაბით ურთიერთდამოკიდებულების შესუსტებას, რაც საფრთხეს უქმნის სხვა ქვეყნებისა და რეგიონული ბლოკების განვითარებას. ამგვარად, პრობლემებს ის საერთაშორისო ორგანიზაციები უნდა წყვეტდნენ, რომლებიც რეგიონულ დაჯგუფებებში შემაველი ქვეყნების საქმიანობას უწევენ კოორდინაციას.

ინტეგრაციის მთავარი პრობლემაა ნაციონალური იდენტურობის შენარჩუნება. ყველა ქვეყანა ვერ ეგუება გადანყვეტილებათა კოლექტიურად მიღების პრინციპს, რომელიც ზოგჯერ ეწინააღმდეგება ეროვნულ მაკროეკონომიკურ პოლიტიკას. მაგალითად, დიდ ბრიტანეთს სურს განსაკუთრებული ადგილი ეკავოს ევროკავშირში, რაც პრობლემებს უქმნის ამ გაერთიანებას.

მსოფლიო ეკონომიკაში წინააღმდეგობებს ამწვავებს ისიც,

რომ არ არსებობს უთანხმოებათა მოგვარებისადმი ისეთი კომპლექსური მიდგომა, რომელიც მისაღები იქნებოდა დაინტერესებული ქვეყნების უმრავლესობისთვის. საქმე ისაა, რომ ამჟამინდელი მსოფლიო წესრიგი ბოლომდე დახვეწილი არაა და სერიოზულ კორექტირებას საჭიროებს. მართლაც, მსოფლიო ეკონომიკაზე როგორც მთლიან სისტემაზე არსებული წარმოდგენის მიუხედავად, მას უამრავი ნაკლი აქვს. მათ შორისაა თვისებრივად ახალი პრობლემები, რომელთა გადაჭრა ერთობლივი ძალისხმევითაც კი ჭირს. ესაა, კერძოდ: კონფლიქტი მსოფლიო ბაზრის გლობალიზაციის პროცესსა და ქვეყნების ეროვნულ ინტერესებს შორის, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, ვლინდება ეროვნული მეურნეობების პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების, აგრეთვე, სამენარჩეო საქმიანობის განსხვავებულ კულტურათა დაპირისპირებაში; ბაზრის, როგორც ყველაფრის მარეგულირებლის შესახებ წარმოდგენის რღვევა; განვითარებული და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების იმედის გაცრუება თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის ეტალონურ მოდელთან დაკავშირებით; საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მთელი სისტემის ნგრევა, რომელიც უკვე აღარ შეესაბამება მსოფლიოში შექმნილ ახალ ვითარებას; მსოფლიო ეკონომიკის არასტაბილურობის გაძლიერება, პერიოდული სავალუტო-საფინანსო კრიზისები, რომლებიც მის პოტენციალს უთხრიან ძირს.

აღსანიშნავია, რომ დღეს არსებული მსოფლიო წესრიგის შეცვლისა და ახალი მსოფლიო წესრიგის შექმნის გზაზე არაერთი კონკრეტული ნაბიჯია გადადგმული. ზოგიერთს ამის მაგალითად მოჰყავს ე.წ. სამხსრივი კომისიის შექმნა ჯერ კიდევ 1973 წელს, რაც სწორედ ახალი წესრიგის დამკვიდრებას ისახავდა მიზნად. საგულისხმოა, რომ ეს კომისია დასავლეთ ევროპის, იაპონიის და ჩრდილოეთ ამერიკის კერძო მოქალაქეებმა დააფუძნეს იმ მიზნით, რომ ხელი შეეწყოს ამ სამ რეგიონს შორის მჭიდრო თანამშრომლობისთვის. კომისიის მესვეურებს მიაჩნიათ, რომ ამით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა აღნიშნული პრობლემების საზოგადოებრივი გაგება, მომზადდა მათი ერთობლივად გადაჭრის წინადადებები და დამკვიდრდა სამ ნამყვან რეგიონში ერთობლივად მუშაობის ჩვეულებრივი პრაქტიკა.¹ თუმცა, ამასთან დაკავშირე-

¹ Э. Саттон. Кто управляет Америкой? Издание ООО "ФЭРИ-В"; М., 2000, с. 7.

ბით არსებობს განსხვავებული მოსაზრებებიც, რომელთა ავტორებიც არ იზიარებენ მსგავს დასკვნებს და უარყოფით კონტექსტში მოიხსენიებენ კომისიის მოღვაწეობის შედეგებს.

თანამედროვე მსოფლიო მეურნეობის მთავარ პრობლემად ზოგიერთი ავტორი იმას ასახელებს, რომ გლობალური მსოფლიო ბაზრის ჩამოყალიბების იდეის საფუძველზე ამჟამად აღმოცენდა არარეგულირებადი გლობალური კაპიტალიზმი. უფრო მეტიც, ჯ.სოროსს მიაჩნია, რომ ეკონომიკური თეორია ნონასწორობის მცდარ კონცეფციას აგებული, რომელიც რეალურ ცხოვრებაში არსად გვხვდება¹, არიან ისეთი მეცნიერებიც, რომლებიც ფიქრობენ, რომ გეოპოლიტიკური თვალსაზრისით მსოფლიო ამჟამად იმყოფება დიდი ქაოსის მდგომარეობაში, როცა, ერთი მხრივ, მრავლდება რეგიონული ეკონომიკური კავშირები, ხოლო, მეორე მხრივ, აღორძინდა ნაციონალიზმის სხვადასხვა ფორმა, ძლიერდება ინტეგრაცია, ინგრევა სახელმწიფოები და უმცირესობები დამოუკიდებლობას ითხოვენ.²

რაც შეეხება მომავალს, არსებობს ანგარიშგასანევი მოსაზრება იმის თაობაზე, რომ გლობალურ პოლიტიკაში მთავარი კონფლიქტები სხვადასხვა ცივილიზაციაში შემავალ ერებსა და დაჯგუფებებს შორის მოხდება და ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ეკონომიკური რეგიონალიზმი იქნება. თავის მხრივ, ეკონომიკური რეგიონალიზმი მაშინ მიაღწევს წარმატებას, თუ იგი საერთო ცივილიზაციას დაეყრდნობა. ამის საილუსტრაციოდ ასახელებენ: საერთო კულტურის მქონე ევროპულ საზოგადოებას; მექსიკური, ამერიკული და კანადური კულტურების შესაძლო შერწყმას; საერთო კულტურის როლს ჩინეთს, ჰონკონგს, ტაივანს, სინგაპურს და აზიაში არსებულ ჩინურ ერთობებს შორის ეკონომიკურ ურთიერთობათა სწრაფად ექსპანსიაში.

სხვაგვარადაა საქმე იაპონიის შემთხვევაში, რომლის კულტურულ-ტრადიციული სისტემა, მისი მყარი საფუძვლები სერიოზულ ბარიერად რჩება ეკონომიკური ინტეგრაციის გზაზე.

¹ *А. Погорлецкий. Экономика зарубежных стран. Учебник. Второе издание. Из-во "Михайлова В. А.", С.-Пб., 2001, с. 44-45.*

² *Игнасио Рамоне. Геополитика хаоса. М., "ТЕИС", 2001, с. 6.*

1.3. ტრანსნაციონალური კორპორაციები გლობალიზაციის პროცესში

გლობალიზაციის პროცესს საერთაშორისო კომპანიები აღრმავენ და ავითარებენ. ეს ის თანამედროვე ტრანსნაციონალური კორპორაციებია, რომლებსაც აქვთ გლობალური, ზეეროვნული ბაზრისგან მონიჭებული უპირატესობების გამოყენების უნარი.

ცხადია, ამჟამინდელ გლობალიზაციას წინ უძღოდა გაფართოებული ინტერნაციონალიზაციის პერიოდი. სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაცია, მართალია, საქონლის გაცვლით (საერთაშორისო ვაჭრობით) დაიწყო, მაგრამ ბოლო ხანს საერთაშორისო ვაჭრობის საფუძველი ხდება უკვე არა ერთჯერადი გარიგებები, არამედ გრძელვადიანი სტრატეგიული ალიანსები და ტრანსნაციონალურ კორპორაციებს შორის თანამშრომლობაზე გაფორმებული შეთანხმებები; შემდეგი ეტაპი იყო საერთაშორისო საფინანსო ბაზრების ჩამოყალიბება და ზრდა, თანაც ფინანსების სფერო დამოუკიდებლობას აღწევს და მთლიან ეკონომიკაზე ახდენს გავლენას; ინტერნაციონალიზაცია გამოვლინდა, აგრეთვე, ტექნოლოგიების საერთაშორისო გაცვლაში, კერძოდ, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და საერთაშორისო ინფორმაციის ბაზრების გაჩენაში. თანამედროვე და ზუსტი ინფორმაციის მზარდი მნიშვნელობის გათვალისწინებით, ახლა ელექტრონული გარიგებები სულ უფრო ხშირად ცვლიან ტრადიციულ კონტრაქტებს.

ამგვარად, იმის გამო, რომ ეკონომიკურ პროგრესს ობიექტურად არ შეუძლია იზოლაციაში ყოფნა, სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაცია მის გლობალიზაციაშია გადაზრდილი.

XX საუკუნის ბოლო ათწლეულში მსოფლიო მეურნეობაში მომხდარი ცვლილებები იმდენად არსებითი და პრინციპულია, რომ შეგვიძლია ვისაუბროთ ახალი მსოფლიო ეკონომიკის ჩამოყალიბებაზე, რომლის ერთ-ერთი ყველაზე თვალში საცემი ნიშანია თვით „მსოფლიო ეკონომიკის“ ცნების შეცვლა და მისი გადაქცევა „ეროვნებათშორისი ეკონომიკიდან“ „ტრანსნაციონალურ ეკონომიკად“. რომ იტყვიან, ჩვენ თვალწინ მოხდა, ერთი მხრივ, მოხმარების და ვაჭრობის, ხოლო, მეორე მხრივ, საფინანსო ბაზრების ინტერნაციონალიზაციიდან მთელი სამეურნეო ცხოვრების გლობალიზაციაზე გადასვლა, რაც, უპირველესად, გულისხმობს წარმოების გლობალიზაციისკენ სწრაფვას და მთელი სამენარმეო საქმიანობის მართვის გლობალიზაციის გზების ძიებას. მიუხედავად იმისა, რომ პროცესის სათავეში ტრანსნაციონალური კორპორაციები და ბანკები აღმოჩნდნენ, გლობალიზაცია მცირე და



საშუალო ბიზნესსაც შეეხო, რომლებიც ირიბად აღმოჩნდნენ გლობალიზაციის პროცესში ჩათრეულნი, რაკი ისინი ტრანსნაციონალურ კორპორაციებს უწევენ მომსახურებას.

ტრანსნაციონალური კორპორაციები მსოფლიო ბაზარზე საქმიანობენ და საზღვარგარეთ განხორციელებულ საქმიანობას მათთვის ხშირად შიდა ოპერაციებზე უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს. სწორედ ასეთი კომპანიებია გლობალური ეკონომიკის საფუძველი.

ამჟამად მსოფლიოში წარმოებული საქონლისა და მომსახურების დაახლოებით ნახევარი ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობაზე მოდის¹. თუ როგორი იყო ქვეყნების ჯგუფების მიხედვით მათი განაწილება 1996 წელს, კარგად ჩანს ნახ. 1.3-1-დან.

სათაო კომპანიების
რაოდენობა რეგიონში,
ერთეული

რეგიონში განლაგებული
საზღვარგარეთული
ფილიალების რაოდენობა,
ერთეული



- განვითარებული სამრეწველო ქვეყნები
- განვითარებადი ქვეყნები
- გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები

ნახ.1.3-1. ტრანსნაციონალური კორპორაციების და მათი საზღვარგარეთული ფილიალების განაწილება ქვეყნების ჯგუფების მიხედვით (1996 წ.)

წყარო: Е. С. Акопова, О. Н. Воронкова, Н. Н. Гаврилко. Мировая экономика и международные экономические отношения. Ростов-на-Дону. "Феникс", 2001, с. 367.

¹ Уваров В. В., Пятибратов И. Н. Стратегический менеджмент и глобализация мировой экономики. "МУБ и У, МЗ ПРЕСС", М., 2001. с. 198.

საერთაშორისო მენარმეობის ფორმები დღეს მეტად მრავალფეროვანია. აქ იგულისხმება შვილობილი ფირმებისა და ფილიალების შექმნა საზღვარგარეთ, ერთობლივი საწარმოების დაფუძნება სხვა ქვეყნების ფირმებთან ერთად, შერეული კომპანიების ჩამოყალიბება ადგილობრივი სახელმწიფო და კერძო კაპიტალის მონაწილეობით. თავის მხრივ, თითოეული ეს ფორმა შეიძლება ეფუძნებოდეს როგორც ერთპიროვნულ, ისე ერთობლივ საკუთრებას კაპიტალის, წარმოების საშუალებათა თუ ტექნოლოგიის სფეროში. მაგრამ საერთაშორისო მენარმეობის ნებისმიერი სახეობისთვის საერთოა ეკონომიკური საქმიანობის გამოსვლა ეროვნული საზღვრებიდან და მისი ტრანსნაციონალიზაცია.

ფირმის საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, საზოგადოდ, სამ ძირითად ფაქტორში შეიძლება ვლინდებოდეს: ექსპორტი, პირდაპირი ინვესტიციები და ტექნოლოგიების გადაცემის კონტრაქტული სისტემები. მათ შორის ტრანსნაციონალიზაცია ნიშნავს ინტერნაციონალიზაციას პირდაპირი ინვესტიციების ფორმით. მაქსიმალური მოგების მიღების მიზნით ტრანსნაციონალური კორპორაციები ფილიალებს ქმნიან საზღვარგარეთ. კომპანია ვერ ჩაითვლება ტრანსნაციონალურ კორპორაციად, თუ მას საზღვარგარეთ არ გააჩნია საკუთრება, შექმნილი არ აქვს სამუშაო ადგილები და არ ეწევა იქ წარმოებას.

საქმიანობის ტრანსნაციონალიზაციას სამი ობიექტური მოტივი აქვს:

1. ეკონომიის მიღწევა მასშტაბის ზრდის ხარჯზე;
2. ვერტიკალური ინტეგრაციის გატარების შესაძლებლობა და დანახარჯების შემცირება ტრანსფერტული ფასების გამოყენების გზით;
3. მსოფლიო ბაზრის მასშტაბით საკონკურენტო ბრძოლის უნარის შექმნა.

ბევრი მკვლევარი ერთმანეთისგან განასხვავებს მულტინაციონალურ და გლობალურ კომპანიებს. მულტინაციონალური კორპორაციები იყენებენ მართვისა და წარმოების მულტიცენტრულ პრინციპს. მათი პროდუქცია ქვეყნის ეროვნულ თავისებურებებთანაა მისადაგებული. ისინი ცდილობენ იქონიონ სხვადასხვა დარგის საწარმოები, რომლებიც მაქსიმალურადაა დივერსიფიცირებული და ძირითადად შორიზონტალური ინტეგრაციის პრინციპზეა აგებული.

გლობალური კომპანიები მათგან მასშტაბითაც გამოირჩევიან და იმ თავისებურებითაც, რომ ისინი მიისწრაფვიან სტანდარტი-

ზაციისკენ და უარს ამბობენ სეგმენტაციაზე წმინდა მარკეტინგული კვლევების დროს.

გლობალური კომპანიების მასშტაბებზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს 1.3-1 ცხრილში მოყვანილი მონაცემები.

ცხრილი 1.3-1

მსოფლიოს უმსხვილესი ტრანსნაციონალური კორპორაციები გაყიდვათა მოცულობის მიხედვით

კომპანია	ქვეყანა	შემოსავალი (მლრდ დოლარი)
General Motors	აშშ	168,37
Ford Motor	აშშ	146,99
Mitsui	იაპონია	144,94
Mitsubishi	იაპონია	140,2
Itochu	იაპონია	135,54
Royal Dutch\Shell Group	ბრიტანეთი/ნიდერლ.	128,17
Marubeni	იაპონია	124,09
Exxon	აშშ	119,43
Sumitomo	იაპონია	119,2
Toyota Motor	იაპონია	108,7

წყარო: E. C. Акопова, О. Н. Воронкова, Н. Н. Гаврилко. Мировая Экономика и международные экономические отношения. Ростов-на-Дону. "Феникс", 2001, с. 367.

ალსანიშნავია, რომ ცალკეული მსხვილი ტრანსნაციონალური კორპორაციების მოცულობა ხშირად ცალკეული ქვეყნების მშპ-ის მოცულობასაც კი აღემატება (იხ. ცხრილი 1.3-2).

ეკონომიკურ ლიტერატურაში ხშირად ყოველგვარ საერთაშორისო კორპორაციას ტრანსნაციონალურს უწოდებენ, მაგრამ ეს მართებული არაა, რადგან ამ კონკრეტული ტიპის გარდა, საერთაშორისო კორპორაციას ეკუთვნის, აგრეთვე, მრავალნაციონალური კორპორაციები და საერთაშორისო კორპორაციული კავშირები. მათგან ტრანსნაციონალური კორპორაციები იყენებენ უმეტესწილად ერთი ქვეყნის ზქციონერულ კაპიტალს, მმართველობის კონტროლს და ინტერნაციონალურ სამოქმედო სფეროს. ტრანსნაციონალურ კორპორაციებს სათაო კომპანია ბაზირების ქვეყანაში აქვთ მონყობილი, შვილობილი კომპანიები და ფილიალები კი

ზოგიერთი მსხვილი ტრანსნაციონალური კორპორაციის
ბრუნვის მოცულობისა და ცალკეული ქვეყნების მშპ-ის შედარება

ტრანსნაციონალური კომპანია	ბრუნვის წლიური მოცულობა, მლრდ. დოლარი	ტრანსნაციონალური კომპანიის შესადარისი ქვეყანა	მშპ-ის წლიური მოცულობა, მლრდ. დოლარი
Wal Mart	119,3	საბერძნეთი	119,1
Volkswagen AG	65,3	ახ. ზელანდია	65,0
Royal Dutch-Shell	171,6	პონკონგი	171,4
IBM	78,5	ეგვიპტე	75,5
Mitsubishi Corp.	128,9	სარ	129,1
Sony	55,0	ჩეხეთი	54,9
GEC	90,8	ისრაელი	92,0
Elf - Aguitaine	43,6	უნგრეთი	44,8

წყარო: Problemes économiques, 1999, N 2.611-2.612, P.20.

– მთელ მსოფლიოში. ამის ტიპური ნიმუშებია „ფორდი“, „ექსონი“ ან „ნესტლე“. გაურკვეველობის თავიდან ასაცილებლად მიზანშეწონილად მიგვაჩნია ვისარგებლოთ გაეროს მიერ გამოკვეთილი იმ ნიშან-თვისებებით, რომლებიც ტრანსნაციონალურ კორპორაციებს გამოარჩევს დანარჩენი საერთაშორისო კორპორაციებიდან. ეს ნიშნებია:

- წლიური ბრუნვა (გაყიდვათა მოცულობა) – 1 მლრდ. დოლარზე მეტი;
- ფილიალები – არანაკლებ 6 ქვეყანაში;
- საზღვარგარეთული აქტივების ხვედრითი წილი კომპანიის აქტივების მთლიან ღირებულებაში – 25-30%;
- კომპანიის ბრუნვის მთლიანი მოცულობის $1/5 - 1/3$ უნდა მოდიოდეს საგარეო ოპერაციებზე, ე.ი. რეალიზდებოდეს რეზიდენტი ქვეყნის ფარგლებს გარეთ.¹

¹ E. С. Аكوпова, О. Н. Воронкова, Н. Н. Гаврилко. *Мировая экономика и международные экономические отношения. Ростов-на-Дону. "Феникс", 2001, с. 364.*

საკუთარი საერთაშორისო სანარმოო კომპლექსების შექმნით ტრანსნაციონალური კორპორაციები იძენენ სხვა ქვეყნების ეკონომიკურ სტრუქტურებში დამკვიდრების დამატებით შესაძლებლობებს. მათ შეუძლიათ თავიანთი ინტერესებისთვის გამოიყენონ ამ ქვეყნების ბუნებრივი, სანარმოო, ტექნოლოგიური და შრომითი რესურსები, საზღვარგარეთ უკვე არსებული ვინროსპეციალიზებული სანარმოთა ბაზაზე გააღრმავონ შრომის შიდასაფირმო დანაწილება.

საზღვარგარეთ მოწყობილი წარმოება იმ უპირატესობებს აძლევს ტრანსნაციონალურ კორპორაციებს, რომლებიც სათაო კომპანიის ბაზირების ქვეყნებისა და ფილიალების ადგილსამყოფელი ქვეყნების ეკონომიკურ პირობებში არსებული განსხვავებებიდან გამომდინარეობს. ეს განსხვავება შესაძლოა იყოს ბუნებრივი რესურსებით უზრუნველყოფასა და მათ ღირებულებაში, ხელფასის განაკვეთებში, დაბეგვრაში, საამორტიზაციო ანარიცხების ნორმებში, ეკოლოგიურ სტანდარტებში, შრომის კანონმდებლობაში, სამუშაო ძალის კვალიფიკაციაში, ვალუტის კურსებში და სხვა მრავალ კომპონენტში, რომლებიც წარმოებული პროდუქციის ღირებულებას აყალიბებენ. ორგანიზაციული სტრუქტურა ისეთ სპეციფიკურ უპირატესობებს ანიჭებს ტრანსნაციონალურ კორპორაციებს, როგორცაა საგარეო-ეკონომიკური ოპერაციების გადატანა შიდასაფირმო ოპერაციებში. ეს კი იძლევა ახალ ტექნოლოგიასა და ნოუ-ჰაუზე მონოპოლიის შენარჩუნების, საბაჟო ბარიერების გვერდის ავლის, საერთაშორისო კონკურენციისგან თავის დაცვის და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების შესაძლებლობას, რადგან შიდა ტრანსფერტული ფასები 3-4-ჯერ ნაკლებია მსოფლიო ფასებზე.¹

თანამედროვე ტრანსნაციონალური კორპორაციები მთელ რიგ სპეციფიკურ ნიშნებს ატარებენ:

1) ისინი შრომის საერთაშორისო დანაწილების აქტიური მონაწილეებია და ხელს უწყობენ მის განვითარებას;

2) ქმნიან საერთაშორისო სანარმოო კომპლექსებს და ამით აღწევენ დამატებით უპირატესობებს;

3) იყენებენ გლობალურ სანარმოო ძალებს და რესურსებს;

4) მუშაობენ მასობრივი მომხმარებლისთვის;

5) კაპიტალს ამოძრავებენ ადგილსამყოფელ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებისგან დამოუკიდებლად;

¹ დასახელებული ნაშრომი.

6) აღწევნ ნარძობის თავმოყრას მაღალტექნოლოგიურ და მეცნიერებატევად დარგებში, სადაც საჭიროა უზარმაზარი კაპიტალური დაბანდებები და მაღალკვალიფიციური პერსონალი, თანაც აღინიშნება ამ დარგების მონოპოლიზაციის ტენდენცია.

გაეროს სტატისტიკის თანახმად, ბოლო დროს მსოფლიოში დაახლოებით 40 ათასი ტრანსნაციონალური კორპორაცია იყო, რომელთა ფილიალების რაოდენობა ამჟამად 280 ათასს აღწევს, მათი კაპიტალის ღირებულება კი – 2,7 ტრლნ დოლარს.¹

სხვა მონაცემებით, 40 ათას საფინანსო-სამრეწველო ჯგუფს და ტრანსნაციონალურ კორპორაციას 200 ათასი ფილიალი აქვს 150 ქვეყანაში, ამ ფილიალების საზღვარგარეთული აქტივების მსოფლიო მოცულობა კი სადღეისოდ დაახლოებით 9 ტრლნ დოლარს შეადგენს.²

მიუთითებენ ამისგან განსხვავებულ და საინტერესო მონაცემებზეც, რომ მსოფლიოში დაახლოებით 45 ათასი ძირითადი ტრანსნაციონალური კორპორაცია და მათი 280 ათასი საზღვარგარეთული ფილიალია. 1996 წელს მათმა პირდაპირმა საზღვარგარეთულმა ინვესტიციებმა 3,2 ტრლნ დოლარი შეადგინა, საზღვარგარეთ არსებული ფილიალების მიერ განხორციელებული გაყიდვების მოცულობამ კი – 2-ჯერ მეტი. ამ უკანასკნელს ზრდის ძალიან მაღალი ტემპი აქვს და იგი 20-30%-ით უფრო მაღალია, ვიდრე კორპორაციების პირდაპირი ექსპორტი.³

წარმოდგენილ ციფრობრივ მონაცემთა შორის არსებული განსხვავებები არ წარმოადგენს პრინციპული ხასიათის ბარიერს ობიექტური დასკვნისათვის, რომ უზომოდ დიდია ტნკ-ების შესაძლებლობები და გავლენის არე.

მაღალგანვითარებული ქვეყნები ეფექტიანად იყენებენ რა გლობალიზაციის პროცესზე გავლენისა და საკუთარი ეკონომიკური ინტერესების დაცვის მექანიზმს, ხელს უწყობენ თავიანთი ტნკ-ების განვითარებას.

აქედან გამომდინარე, ტნკ-ებსა და დაბალგანვითარებულ სახელმწიფოთა შორის ურთიერთმოქმედება-ურთიერთდამოკიდებულებაში ძნელი არაა დავინახოთ ორი გამოკვეთილი ტენდენცია:

¹ დასახელებული ნაშრომი. *ს. 366.*

² *А. В. Стрыгин. Мировая экономика. М., "Экзамен", 2001, с. 325.*


³ *Б. ქითანავა. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. III ნაწილი, თბილისი, 2001, გვ. 15-16.*

I. ტრანსნაციონალური კაპიტალი მიმართულია დაიცვას „საკუთარი“ სახელმწიფო, მისი ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები; II. ტნკ-ები ისწრაფვიან თავს მოახვიონ თავიანთი მკაცრი პირობები და თამაშის წესები მიმღებ, ნაკლებადგანვითარებულ ქვეყნებს, რის გამოც ხშირად შედიან წინააღმდეგობაში ეროვნულ კაპიტალთან და მისი გავლით სახელმწიფოსთან.

ტნკ-ები ავიწროებენ ადგილობრივ კომპანიებს და არ აძლევენ მათ განვითარების საშუალებას. ტრანსნაციონალური კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება არყევს ეროვნული ვალუტის სტაბილურობას და ქვეყნის უსაფრთხოებას. მისი კოსმოპოლიტურობა სერიოზულად ემუქრება სახელმწიფოებრიობას, ამკვიდრებს ეროვნული ბიზნესისა და ქვეყნის განვითარების ძირეული ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ იდეოლოგიას.¹

ტრანსნაციონალური კორპორაციები მსოფლიო ეკონომიკის ყველა სფეროშია გაბატონებული – წარმოებაში, ფინანსებში, ტექნოლოგიასა თუ მომსახურებაში. კერძოდ, მრეწველობაში საქმიანობს მათი დაახლოებით 60%, მომსახურებაში – 37, საბაზო დარგებში (მოპოვება და სოფლის მეურნეობა) – 3%. ტრანსნაციონალური კორპორაციების წილად მოდის სამრეწველო წარმოების 30%, საერთაშორისო ვაჭრობის – 50, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების – 90, პატენტებისა და ლიცენზიების – 95%. საერთაშორისო კრედიტში ბატონობს 50 ტრანსნაციონალური ბანკი, სადაზღვევო ოპერაციებში – 30 წამყვანი კომპანია, სარეკლამო საქმეში – 20 ძირითადი სააგენტო, საჰაერო გადაზიდვებში (მგზავრთა გადაყვანაში) – 25 საერთაშორისო ავიაკომპანია. გაყიდვის მოცულობის მიხედვით მსოფლიოს უმსხვილეს ტრანსნაციონალურ კორპორაციებად ბოლო დრომდე რჩებოდნენ ამერიკის General Motors და Ford Motor (შემოსავალი – შესაბამისად 168 და 147 მლრდ დოლარი), იაპონიის Mitsui, Mitsubishi და Itochu (145, 140 და 135 მლრდ. დოლარი), ბრიტანეთ-ნიდერლანდის Royal Dutch/Shell Group (128 მლრდ დოლარი) და სხვა. რაც შეეხება „კაპიტალიზაციის დონის“ ნიშნით შეფასებას, მსოფლიოს ათ უმსხვილეს კორპორაციად აღიარებულია აშშ-ის შვიდი, ბრიტანეთ-ნიდერლანდის, იაპონიისა და ფინეთის თითო-თითო კომპანია (ნახ. 1.3-2).

¹ A. Мовсеян, С. Огнивцев. Транснациональный капитал и национальные государства. Жур. „МЭиМО“, №6, 1999, с. 62.



ნახ.1.3-2. კაპიტალიზაციის ნიშნით მსოფლიოში უმსხვილესი ტრანსნაციონალური კორპორაციები (1998 წ. 1 იანვრისთვის)

წყარო: Financial Times. 1998. January, 17, p.4.

მოთხოვნის დიფერენციაციის გაძლიერებასთან და მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში ინტეგრაციული პროცესების გაძლიერებასთან ერთად ტრანსნაციონალური კორპორაციების სანარმოო ფილიალები სულ უფრო ღრმად სპეციალდებიან სათაო ფირმაში წარმოებულისაგან განსხვავებული პროდუქციის წარმოებაზე, გამსაღებელი ქვედანაყოფები კი – რეგიონული ბაზრების მომსახურებაზე. ტრანსნაციონალური კორპორაციების სტრატეგიის თანამედროვე ეტაპს ახასიათებს რეგიონული, არცთუ იშვიათად კი – გლობალური მასშტაბის შიდასაფირმო კავშირების ქსელების შექმნისკენ მისწრაფება, რომელთა ფარგლებშიც მიმდინარეობს მეცნიერულ კვლევა-დამუშავებათა და გასაღების ინტეგრირება. კერძოდ, გამოვლინდა რეციპიენტ ქვეყნებში ტრანსნაციონალური კორპორაციების ინოვაციური აქტივობის გავრცელების ტენდენცია (აღრე იგი სათაო ფირმებში იყო ბაზირებული). თანაც ეს ხდება არა მარტო სხვა ქვეყნებში სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიებისა და ტექნოლოგიური პარკების შექმნის გზით, არამედ დი-

დი ინოვაციური პოტენციალის მქონე ადგილობრივი ფირმების შთანთქმის გზითაც.

მსოფლიო ეკონომიკაში იმ საერთაშორისო კომპანიების როლს, რომლებიც ყველაზე უფრო ახლოს დგანან ტრანსნაციონალურ კორპორაციებთან, განსაზღვრავს, ჯერ ერთი, ის, რომ მათ განიხილავენ ტექნოლოგიური ინოვაციების დამუშავების, დანერგვისა და გავრცელების ძირითად უზრუნველყოფ ძალად. მეორეც, ტრანსნაციონალური კორპორაციები გლობალურად ხედავენ პრობლემებსა და სტრატეგიას, შთამბეჭდავი მასშტაბებით ეწევიან საზღვარგარეთულ საქმიანობას. ისინი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობენ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში და გადამამუშავებელი მრეწველობის საქონლით საერთაშორისო ვაჭრობაში.

მეცნიერთა უდავო აღიარებით, ტრანსნაციონალურ კორპორაციებს დომინირებადი ადგილი უკავიათ დღევანდელ მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესში. ეს კორპორაციები თანამედროვე პირობებში გლობალიზაციის პროცესის ლიდერები არიან. მათ სტრატეგიულ მიზნებში შედის: საკუთარი წარმოების უზრუნველყოფა უცხოური ნედლეულით; სხვა ქვეყნების ბაზრებზე შეღწევა ფილიალების შექმნის გზით; საწარმოების განლაგება იმ ქვეყნებში, სადაც ხარჯები საკუთარ ქვეყანასთან შედარებით უფრო დაბალია; ძველი საწარმოების მოდერნიზება და ა.შ.

თანამედროვე ტრანსნაციონალური კორპორაციები თავიანთი მოქმედების სტრატეგიას განსაზღვრავენ ბაზრების პლანეტარული ხედვის, აგრეთვე, მსოფლიო მასშტაბით ეკონომიკური კონკურენციის და თანამშრომლობის გაღრმავების საფუძველზე. სწორედ კონკურენციის გამწვავება და თანამშრომლობის გაღრმავებაა ტრანსნაციონალური კორპორაციების განვითარების თანამედროვე ეტაპზე გამოვლენილი ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენცია.

საერთაშორისო კონკურენცია მსოფლიო ეკონომიკის უცილობელი დამახასიათებელი ნიშანი და მისი ფუნქციონირების კანონზომიერებაა. ამიტომ, ჩვენი აზრით, უფრო საინტერესოა მეორე ტენდენციის განხილვა და ტრანსეროვნული კორპორაციების თანამშრომლობის ფორმების დახასიათება. ერთ-ერთი ასეთი ფორმაა საერთაშორისო ფირმათაშორისი კოოპერაცია, რომლის განვითარება განსაკუთრებით დაჩქარდა გასული საუკუნის 80-იან წლებში და ამას ბიძგი სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ახალმა ტალღამ მისცა. აღიანსებში უმსხვილესი კომპანიებიც კი გააერ-

თანა იმის შეგნებამ, რომ მეცნიერული კვლევებისა და დამუშავების ფრონტი განუწყვეტლივ ფართოვდება, ამ ფრონტზე წინ წაწევა კი მარტოდ დარჩენილებისთვის შეუძლებელი ხდება. თუ 70-იანი წლების ბოლომდე თანამშრომლობა უმეტესწილად განვითარებადი ქვეყნების ფირმებს შორის ხდებოდა და ისიც მრეწველობის მომპოვებელ და გადამამუშავებელ დარგებში (თანაც სტანდარტიზებული, მოძველებული ტექნოლოგიის ბაზაზე), 1970-იანი წლების ბოლოდან პარტნიორობა წარიმართა მაღალი ტექნოლოგიების დარგებში და გადამამუშავებელი მრეწველობის იმ ტრადიციულ დარგებში, რომლებსაც ორიენტაცია ტექნოლოგიურ განახლებაზე ჰქონდათ ალებული.

გლობალურ ბაზარზე ფირმები ხშირად ერთობლივად წყვეტენ ამა თუ იმ სფეროში არსებულ საკონკურენციო ამოცანებს ისე, რომ სხვა სფეროებში ერთმანეთის მეტოქეებად რჩებიან. ფირმებს შორის ასეთი მოქნილი კავშირები, ანუ სტრატეგიული ალიანსები, შემდეგ კონკრეტულ მიზნებს შეიძლება ისახავდნენ:

1) ტექნოლოგიურ დამუშავებათა წარმართვა (ტექნოლოგიური ალიანსები);

2) შეთანხმებები ერთობლივ წარმოებაზე. ტექნოლოგიური ალიანსებისგან განსხვავებით, რომლებიც ეკონომიას სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო დამუშავებების შედეგად იღებენ, საწარმოო ალიანსები ამას წარმოების მასშტაბის ხარჯზე ცდილობენ. ისინი აერთიანებენ საწარმოო ჯაჭვის ცალკეული რგოლების ძალისხმევას ისე, რომ სრულ დამოუკიდებლობას ინარჩუნებენ დანარჩენ ოპერაციებში;

3) შეთანხმებები გასაღების სფეროში. ასეთი ალიანსები მათ მონაწილეთა შორის არსებული კონკურენციის შეზღუდვას ან აღმოფხვრას კი არ ახდენენ, არამედ საკუთარ გასაღების ქსელებს უთმობენ ერთმანეთს სტრატეგიულ ბაზრებზე.

არსებული მონაცემებით, ტექნოლოგიური ალიანსები ყველაზე უფრო ხშირია ფირმათშორის კოალიციებში – 38%-მდე. მეორე ადგილზეა შეთანხმებები ერთობლივ წარმოებაზე – დაახლოებით 23%. მას მოსდევს შეთანხმებები გასაღების სფეროში – თითქმის 8%, ხოლო დანარჩენი ალიანსები სხვა კონკრეტული მიზნებისთვისაა ჩამოყალიბებული.¹

¹ Е. С. Аколова, О. Н. Воронкова, Н. Н. Гаврилко. *Мировая Экономика и международные экономические отношения. Ростов-на-Дону. "Феникс", 2001, с. 370.*

ბაზარზე წარმატების მოპოვების მიზნით კონკურენტი ტრანსნაციონალური კორპორაციები დღეს იყენებენ საერთაშორისო მენარმეობის ისეთ ახალ ფორმებსაც, როგორიცაა ურთიერთშემაჯავებელი სტრატეგიების განხორციელება პარტნიორების მიერ („სტრატეგიული ოჯახების“ ფორმა) და გრძელვადიანი თანამშრომლობა დიდმნიშვნელოვანი ინფორმაციის, პერსონალისა და ტექნოლოგიების გაცვლის მიზნით („სტრატეგიული სისტემები“).

XX საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში საგრძნობლად შეიცვალა მსოფლიო ეკონომიკური კონიუნქტურა. დაუტვირთავმა სიმძლავრეებმა არნახულად შეამცირა წამყვანი ტრანსნაციონალური კორპორაციების მოგება. მეორე მხრივ, დიდი ძვრები მოხდა საფინანსო სფეროში. გაჩნდა იმ კორპორაციების დაფინანსების ახალი წყაროები და ინსტრუმენტები, რომლებმაც თანამშრომლობის ახალი ფორმები გამოძებნეს საერთაშორისო შერწყმისა და შთანთქმის სახით. ეს პროცესი თავდაპირველად აშშ-ში იყო თვალში საცემი, შემდგომში კი მან ევროპასა და იაპონიაშიც გადაინაცვლა.

და ბოლოს, ტრანსნაციონალური კორპორაციების პარტნიორობის გავრცელებული ფორმა გახდა მათი საერთაშორისო გადახლართვა, როდესაც ისინი ერთმანეთის ფასიანი ქალაქების მფლობელები ხდებიან. ამგვარი რამ ყველაზე ხშირია საავტომობილო წარმოებაში (ცხრილი 1.3-3.).

ცხრილი 1.3-3.

საავტომობილო წარმოებაში თანამფლობელობა ფასიანი ქალაქების სახით

ფირმა	თანამფლობელები
ბმვ	80% – როვერი, დაიხაცუ
ფორდი	25% – მაზდა, 105-კია, ფოლკსვაგენი, კრაისლერი, ფიატი, რენო, ჯენერალ მოტორსი, ნისანი, სუძუკი
მერსედეს-ბენცი	ბმვ, მიცუბისი, პორშე, ფოლკსვაგენი
ჰონდა	20% – როვერი, კრაისლერი, დეუ, ჯენერალ მოტორსი, მერსედესი, პეჟო, მიცუბისი

წყარო: Пузакова Е.П. Процесс интернационализации в мировой экономике, Ростов-на-Дону, 1877, с. 115

ამჟამად მთელ მსოფლიოში დაგროვილია საფინანსო-სამრეწველო ჯგუფების, როგორც ტრანსნაციონალური კორპორაციების ერთ-ერთი ფუნქციური სახეობის შექმნისა და განვითარების დიდი გამოცდილება. მათი უმრავლესობის ორგანიზაციულ აგებულებაში გამოიყოფა სამი ძირითადი შემადგენელი: საფინანსო-ეკონომიკური, ინდუსტრიულ-სამრეწველო და სავაჭრო-კომერციული. ჯგუფის საფინანსო-ეკონომიკური ბლოკის მთავარი ამოცანაა ფინანსური სახსრების მოზიდვა და თავმოყრა. მასვე ევალება ფინანსების მართვა, საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავება და კაპიტალის დაბანდება, ეკონომიკური უსაფრთხოება, რისკების მართვა, მთელი ჯგუფის შიდა ეკონომიკის სწორად და ეფექტიანად აგება on line რეჟიმში. ამ ბლოკში გაერთიანებულია კომერციული ბანკები, სადაზღვევო, საინვესტიციო, სალიზინგო, სატრასტო, საფინანსო და სხვა კომპანიები და ფონდები.

ინდუსტრიულ-სამრეწველო ბლოკი მოიცავს იმ სამრეწველო ობიექტებს, რომლებიც სამრეწველო საქმიანობას ეწევიან. მისი მთავარი ამოცანაა წარმოების მართვა, ე.ი. ნორმატიული ნაწილი და საწარმოო დანახარჯების დასაბუთება.

სავაჭრო-კომერციული ბლოკი ძირითადად შედგება მომარაგებისა და გასაღების განყოფილებებისგან. მისი მთავარი ამოცანაა საწარმოო პროცესის შეუფერხებლად განხორციელების პირობების შექმნა ფასების გონივრული პოლიტიკის გათვალისწინებით.

წარმოების დივერსიფიკაციის პირობებში უფრო სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა ისეთი საფინანსო-სამრეწველო ჯგუფები, რომელთაც პორიზონტალური ორგანიზაციული სტრუქტურა აქვთ შერჩეული. ასეთ ჯგუფში შესული საწარმოები საერთო კონტროლის ქვეშაა მოქცეული, თითოეულ მათგანს კი სრული ტექნოლოგიური ციკლი აქვს ერთდროულად რამდენიმე დარგში. ამავე დროს, წარმოების დივერსიფიკაციის პროცესებმა ბიძგი მისცეს კონგლომერატული ტიპის საფინანსო-სამრეწველო ჯგუფების ჩამოყალიბებას. მათში ერთიანდება ტექნოლოგიურად ერთმანეთისგან გამიჯნული საწარმოები, რომლებიც წარმოების სხვადასხვა სტადიაზე იმყოფებიან და მეურნეობის სხვადასხვა დარგში საქმიანობენ. მაქსიმალური მოგების მიღების მიზნით ეს განსხვავებული საწარმოები ექცევიან მმართველი ან სათაო კომპანიის ერთიანი ფინანსური კონტროლის ქვეშ და დიდ თავისუფლებასა და ავტონომიას ინარჩუნებენ თავიანთი საქმიანობის ყველა ასპექტის განსაზღვრაში. აქ მართვის მთავარი ხერხებია საფინანსო-ეკონომიკური ბერკეტები და რეგულირების ირიბი ფორმები.

ძალიან ხშირად კონგლომერატული ჯგუფის მთავარი საფინანსო ბლოკია პოლდინგური კომპანია ბანკებთან და სხვა საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტებთან ერთად, ხოლო ჯგუფის ინტერესთა მთავარი სფეროა მეცნიერებატევადი პროდუქციით, ტექნოლოგიური სიახლეებითა და ზერთული ტექნიკით გამორჩეული მონინავე დარგები.

ტნკ-ებისა და საფინანსო-სამრეწველ ჯგუფების აღმოცენება და განვითარება დიდად განაპირობა იმ წამყვანმა როლმა, რომელსაც მსოფლიო სამეურნეო კავშირებში ასრულებს ინტეგრაცია დინამიკური საკონკურენციო უპირატესობების საფუძველზე, რაც თავის მხრივ, არსებულ მაღალ ტექნოლოგიებშია ხორცშესხმული.

თანამედროვე ეტაპზე ტნკ-ები მსოფლიო მეურნეობის მნიშვნელოვან სუბიექტებად არიან გადაქცეული და უზარმაზარ როლს ასრულებენ საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში. მათ ხელში მოქცეულია ხორციით, ყავით, სიმინდით, თამბაქოთი, რკინის მადნითა და ხე-ტყით მსოფლიო ვაჭრობის 90%, სპილენძითა და ბოქსიტებით – 85, ჩაითა და ზეთისხილით – 80, ბანანით, ნატურალური კაუჩუკითა და ნავთობით – 75%.¹ ამავე დროს, აშშ-ის ექსპორტის თითქმის ნახევარი, ბრიტანეთის – 80 და სინგაპურის – 90% ბოლო წლებში ტნკ-ებზე მოდის.²

მსოფლიო ბაზარზე თანდათან იწყებენ გამოსვლას ახალი ინდუსტრიული ქვეყნების ტრანსნაციონალური კორპორაციებიც. ბრაზილიის, მექსიკის, სინგაპურის, ტაივანის, ჰონკონგის, მალაიზიის, სამხრეთ კორეის მსხვილი ფირმები წარმატებით იკიდებენ ფეხს მრეწველობის მეცნიერებატევად დარგებში (ელექტრონიკა, სატრანსპორტო მანქანათმშენებლობა) და საზღვარგარეთული კონტრაქტების მოსაპოვებლად იბრძვიან.³ ეს მოვლენა, როგორც ჩანს, მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის მომდევნო ეტაპი იქნება. აქვე უნდა შევნიშნოთ ერთი ნიშანდობლივი ტენდენციაც: გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში წარმოების განლაგების დროს ეს კომპანიები ორიენტაციას იღებენ არა იმდენად ნედლეულის წყაროებზე, რამდენადაც ამ ქვეყნების ბაზრებზე. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, თუ რამდენად უკავშირდება ამ შემთხ-

¹ А. Мовсесян, С. Огнивцев. Транснациональный капитал и национальные государства. Жур. „МЭиМО“, №6, 1999, с. 56.

² А. Неклесса. Конец цивилизации или конфликт истории. Жур. „МЭиМО“, №5, 1999 с. 81.

³ Н. Я. Демин, Е. Н. Климова. Менеджмент во внешнеэкономической деятельности, "МАН ИТП", М., 2000, с. 19.

ვევაში ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის გამოყენება წარმოების დივერსიფიკაციას. ყოველივე ეს კარგად შეგვიძლია დავინახოთ სამხრეთ კორეის კომპანია „DAEWOO“-ს მაგალითზე.

XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში „DAEWOO“-ს ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის გამოყენებით მიეღწია ორგანიზაციის მდგრადი ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის. გადაწყდა წარმოების განთავსება, მათ შორის – ავტომობილების აწყობა სხვა ქვეყნებში. წარმოების გეოგრაფიის გაფართოებასთან დაკავშირებულ სტრატეგიას შედეგად უნდა მოჰყოლოდა, უპირველეს ყოვლისა, გასაღების ახალი ბაზრების ხელში ჩაგდება. იმ ქვეყნებში, სადაც ავტოქარხნები აშენდებოდა (პოლონეთი, ჩეხეთი, რუმინეთი, ირანი, ინდოეთი, ეგვიპტე, ჩინეთი, ვიეტნამი, უზბეკეთი და უკრაინა), განლაგდებოდა მაკომპლექტებელ ნაკეთობათა წარმოებაც ადგილობრივი ნედლეულის, მასალებისა და კადრების გამოყენებით.

ავტომობილების წარმოების ლიცენზია DAEWOO-მ OPEL-ისგან შეიძინა, მაგრამ შერჩეული მოდელები მოძველებული გამოდგა, გაყიდული მანქანების რაოდენობა კი – განზრახულზე ნაკლები. მაშინ ინტერნაციონალიზაციისა და ფართომასშტაბიანი დივერსიფიკაციის სტრატეგია ახალი მანქანების შექმნითა და ახალ ბაზრებზე მათი დანერგვით შეცვალეს. 1997 წლიდან დასავლეთ ევროპის ბაზარზე უკვე გამოვიდა ავტომობილი „LANOS“, შემდეგ NUBIRA და LEGANZA. აზიაში გავრცელებულ საფინანსო კრიზისში DAEWOO ამ რეგიონის ფირმებს შორის ყველაზე ნაკლებად დაზარალდა, რამაც კიდევ ერთხელ დაადასტურა ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის მჭიდრო კავშირი ფირმის სიმტკიცესთან თანამედროვე ცვალებად პირობებში.

შუა აზიის რეგიონში საავტომობილო მრეწველობის წარმატებით განვითარების მიზნით ამ რეგიონში DAEWOO-მ ააშენა მეტალურგიული ქარხანა, პლასტმასების, ლაქ-საღებავების და ნავთობქიმიური ნაწარმის ქარხნები, მოხდა ძრავებისა და ტრანსმისიების წარმოების ათვისება. ეს ნათლად გვიჩვენებს გლობალიზაციის პოზიტიურ როლს რეგიონის ეკონომიკის განვითარებაში.

ტრანსნაციონალური კორპორაციების შესახებ გაეროს კომისიის მე-18 სესიაზე აღნიშნეს, რომ „ტრანსნაციონალური კორპორაციები, როგორც კაპიტალისა და ტექნოლოგიების მთავარი წყარო შესაძლოა, თანამედროვე პირობებში გადაიქცეს მსოფლიო

ეკონომიკის განვითარების წამყვან ფაქტორად¹. მართლაც, თანამედროვე ეტაპზე ტრანსნაციონალური კორპორაციები მსოფლიო მეურნეობის დიდმნიშვნელოვან სუბიექტებად იქცნენ, ტრანსნაციონალური ბიზნესის განვითარება კი ღრმა კვალს ტოვებს ცალკეული (როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი) ქვეყნის ეკონომიკაზე. მისი გავლენა შესაძლოა პოზიტიურად იყოს და ნეგატიურიც. ამის მიუხედავად, ტრანსნაციონალური კორპორაციების ქსელს გლობალური ეკონომიკის ნერვულ და სისხლძარღვოვან სისტემებად აღიარებენ და მას გადამწყვეტ როლს ანიჭებენ მსოფლიო ეკონომიკის შემდგომი განვითარების ხასიათის განსაზღვრაში.²

ამგვარად, ტრანსნაციონალური კორპორაციები პროგრესულია მათი წინააღმდეგობრიობის მიუხედავად, ესაა წინ და არა უკან გადადგმული ნაბიჯი ეკონომიკის განვითარებაში. მათი წარმოშობა შემთხვევით კი არ მომხდარა, არამედ ტექნოლოგიური და ეკონომიკური კანონზომიერებებით, კვლავწარმოების ინტენაციონალიზაციით იყო ნაკარნახევი. ტრანსნაციონალური კორპორაციების უდავო უპირატესობებია უახლესი ტექნოლოგიების ათვისებაზე, გავრცელებასა და გამოყენებაზე კაპიტალის კონცენტრირების შესაძლებლობა, მსოფლიო ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირება, ახალი დარგების შექმნაზე კაპიტალის თავისუფლად გადართვა, გლობალური მასშტაბით კვლავწარმოების ყველაზე ეფექტიანად მონყობისთვის სხვადასხვაგვარ მეურნეობათა ძლიერი მხარეების, ღირსებებისა და რესურსების კოოპერირება და ა.შ.

გარდამავალი პერიოდის წინააღმდეგობებისა და დროდადრო გამოვლენილი მსოფლიო კრიზისების მიუხედავად, ტრანსნაციონალურ კორპორაციებს დიდი დამსახურება მიუძღვით მსოფლიო ეკონომიკის ზრდა-განვითარებაში.

ცივილიზაციათა პარტნიორობის, თანაბარუფლებიანობისა და შორსმჭვრეტელური მსოფლიო წესრიგის პირობებში ტრანსნაციონალურ კორპორაციებს უნარი შესწევთ დააჩქარონ ჩამორჩენილი ქვეყნების განვითარება და დაძლიონ გლობალურ ეკონომიკაში შემორჩენილი წინააღმდეგობა მდიდარ და ღარიბ ქვეყნებ-

¹ Хасбулатов Р. И. Мировая экономика. - М., "ИНСАН", 1994. гл. 7.

² Ю. В. Яковец. Глобализация и взаимодействие цивилизаций. М., "Экономика", 2001, с. 165.

სა და ცივილიზაციებს შორის. ამით ისინი გაამართლებენ თანამედროვე გლობალური ეკონომიკის სახელწოდებას – „ტრანსნაციონალური კორპორაციების სამყარო“¹.

მიუხედავად იმისა, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციები აფართოებენ მსოფლიოში წარმოებული პროდუქციის მოცულობას და ზრდიან კეთილდღეობას, ისინი ხშირად სერიოზულ პრობლემებს უქმნიან ქვეყნებს. ერთ-ერთი მათგანია საკუთარ ქვეყანაში სამუშაო ადგილების შესაძლო დანაკარგები პირდაპირი საზღვარგარეთული ინვესტიციების განხორციელების შედეგად, როდესაც ინვესტორ ქვეყანას შედარებითი უპირატესობები არ გააჩნია იმგვარ წარმოებაში, რომელიც არაკვალიფიციურ ან ნახევრადკვალიფიციურ შრომას მოითხოვს. ამიტომ ინვესტორი ქვეყნების ორგანიზებული სამუშაო ძალა წინააღმდეგობას უწევს ტრანსნაციონალური კორპორაციების პირდაპირ ინვესტიციებს უცხო ქვეყნების ეკონომიკაში. გარდა ამისა, მიიჩნევენ, რომ მონინავე ტექნოლოგიის ექსპორტი თანდათან ამცირებს ინვესტორი ქვეყნის ტექნოლოგიურ უპირატესობას, თუმცა, ამაზე ჯერ კიდევ არაა გაცემული ერთგვაროვანი პასუხი.

ტრანსნაციონალურ კორპორაციას თავისი ქვეყნისთვის უარყოფითი შედეგები მოაქვს ტრანსფერტული ფასების გაანგარიშების პრაქტიკითა და დაბალი გადასახადების მქონე ქვეყანაში თავისი საქმიანობის გადატანითაც. კორპორაციები ამცირებენ ბიუჯეტში შესულ საგადასახადო გადარიცხვებს და ამით კვეცავენ დაბეგვრის ბაზას. ამას განაპირობებს საერთაშორისო დაბეგვრის მსოფლიოში გავრცელებული პრაქტიკა, როდესაც ის ქვეყანა, რომელშიც ფილიალია მოთავსებული, უპირველესად შვილობილი კომპანიის მოგებას ბეგრავს. ორმაგი დაბეგვრის თავიდან ასაცილებლად კი ის ქვეყანა, რომელშიც ტრანსნაციონალური კორპორაციაა მოთავსებული, როგორც წესი, ბეგრავს მხოლოდ დაბრუნებულ მოგებას (თუ დაბეგვრის განაკვეთები აქ უფრო მაღალია სხვა ქვეყნებთან შედარებით) და მხოლოდ დაბეგვრის განაკვეთებში არსებული სხვაობის სიდიდეს. ერთი სიტყვით, ტრანსნაციონალური კორპორაციები ამცირებენ საგადასახადო შემოსავლებს და ამით ზიანს აყენებენ საკუთარ ქვეყნებში დაბეგვრის ბაზას. დაბოლოს, იმის გამო, რომ ტრანსნაციონალურ კორპო-

¹ Н. Н. Моисеев. Судьба цивилизации. Путь разума. М., "МНЭПУ", 1998. с. 56-84.

რაციებს ხელი მიუწვდებათ კაპიტალის მსოფლიო ბაზრებზე, მათ შეუძლიათ თავი აარიდონ შემზღვეველ შიდა ფულად-საკრედიტო პოლიტიკას და გაართულონ თავიანთი ქვეყნების ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება.

იმ ქვეყნებს, რომლებშიც ტრანსნაციონალური კორპორაციების ფილიალებია განლაგებული, სერიოზული პრეტენზიები უჩნდებათ მათ მიმართ. მათგან უმნიშვნელოვანესია ის, რომ ამ კორპორაციებს გაბატონებული მდგომარეობა უკავიათ ეროვნულ ეკონომიკაში. ეს ერთნაირად ეხება როგორც განვითარებულ (მაგალითად, კანადას, რომლის გადამამუშავებელ წარმოებაში კაპიტალის მთლიანი ღირებულების თითქმის 60%-ს უცხოელები ფლობენ, ან ისინი აკონტროლებენ, მათ შორის 40%-ს ამერიკელები)¹, ისე განვითარებად ქვეყნებს. აღნიშნული ქვეყნების ეკონომიკურ ცხოვრებაში უცხოელთა ბატონობის უარყოფითი შედეგებია: 1) ფილიალებს სურვილი არა აქვთ პროდუქციის ექსპორტი მოახდინონ იმ ქვეყნებში, რომლებიც სათაო ფირმის ქვეყანასთან მეგობრულ მდგომარეობაში არ იმყოფებიან, ან რომლებშიც ამ სათაო ფირმის ქვეყანას აკრძალული აქვს ექსპორტი; 2) ხდება სესხების აღება საზღვარგარეთ დაკრედიტების მკაცრი შიდა პირობებისგან თავის დაღწევის მიზნით და უცხო სახელმწიფოებისთვის სესხების მიცემა ქვეყნის შიგნით დაბალი საპროცენტო განაკვეთებისას; 3) ზემოქმედება ეროვნულ გემოვნებაზე (ისეთი საქონლის ფართომასშტაბიანი რეკლამირება, როგორიც ჯინსები და კოკა-კოლაა).

ფილიალების განლაგების ქვეყნებზე ტრანსნაციონალური კორპორაციების გავლენის სხვა უარყოფითი ეფექტია სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო ფონდების გადაგზავნა კორპორაციის პატრონ ქვეყანაში. ეს ყველაზე უფრო აქტუალურია განვითარებადი ქვეყნებისთვის, რომლებიც ტექნოლოგიურად დამოკიდებულ მდგომარეობაში რჩებიან.

გარდა ამისა, ტრანსნაციონალური კორპორაციები „ისრუტავენ“ ადგილობრივ დანაზოგებს და სამენარმეო ტალანტს, რითაც ხელს უშლიან ადგილობრივი სანარმოების შექმნას და ამით – ეროვნული ეკონომიკის განვითარებას.

განვითარებად ქვეყნებში ნედლეულის წარმოებასა და სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაში პირდაპირი ინვესტიციები

¹ Д. Сальваторе. Международная экономика. Пер. с англ. М., 1998, с. 355.

ხშირად ხდება უკმაყოფილების ძიზეზი „ექსპლუატაციის“ მოტივით, რომ ქვეყანას უხდიან დაბალ ფასებს, იყენებენ მაღალკაპიტალ და შრომატევად ტექნოლოგიებს ადგილობრივი სამუშაო ძალის არასაკმარისი კვალიფიკაციის გამო, მეტისმეტ ექსპლუატაციას უწევენ ბუნებრივ რესურსებს და ქმნიან უკიდურესად „გაორებული“ „ანკლავურ“ მეურნეობას.

ამგვარი ვითარება აიძულებს არაერთ განვითარებად ქვეყანას დაანესოს უცხოური ინვესტიციების რეგულირების ისეთი რეჟიმი, რომელიც შეარბილებს აღნიშნულ უარყოფით ეფექტებს და მეტად გაზრდის მათ შესაძლო შემოსავლებს.

ისეთი ეკონომიკურად ძლიერი ქვეყანაც კი, როგორც კანადა, დიდ გადასახადებს უწესებს ტრანსნაციონალური კორპორაციების იმ ფილიალებს, რომლებშიც კანადის კაპიტალი 25%-ზე ნაკლებია¹; ინდოეთში გამოყოფილია ისეთი სექტორები, რომლებშიც ნებადართულია უცხოელი ინვესტორების მოღვაწეობა და დადგენილია მათი საქმიანობის რეგულირების წესები.

ზოგიერთი განვითარებადი ქვეყანა იძლევა მხოლოდ ერთობლივი საწარმოების შექმნის (ე.ი. თანაბარი მონაწილეობის) ნებას და აწესებს ტექნოლოგიის გამოყენებისა და ადგილობრივი სამუშაო ძალის სწავლების მარეგულირებელ წესებს, ზღუდავს შემოსავლების იმპორტს და განაწილებას, იღებს გარემოს დაცვის კანონებს და ა.შ.

იმაზე, თუ რამდენად სერიოზული საფრთხე ახლავს ეროვნული ეკონომიკისთვის ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობის ზედმეტად გააქტიურებას, ნათლად მეტყველებს მათი მოძალების უარყოფითი შედეგები თვით ამერიკის ეკონომიკაში, რომელიც ამ კორპორაციების თითქმის 1/3-ის სამშობლოა. ამ საფრთხის ლიკვიდირება მხოლოდ 1990-იანი წლების ბოლოსთვის მოხერხდა უცხოური ინვესტიციების მოცულობის მკვეთრად შემცირების შემდეგ.

¹ იქვე.

14. გლობალური ტექნოლოგიური სივრცე და მისი გავლენა ეროვნული მეურნეობის განვითარებაზე


ინდუსტრიული ცივილიზაცია აღინიშნა ტექნიკური სისტემებისა და ტექნოლოგიური პროცესების სწრაფი ზრდითა და გლობალური გავრცელებით, რამაც სახე უცვალა საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს. ჩამოყალიბდა მსოფლიო ტექნოლოგიური და საინფორმაციო გარემო, რომელიც მჭიდრო სატრანსპორტო და ტელესაკომუნიკაციო ძაფებითაა დაქსელილი. მაგრამ ეს გარემო ერთგვაროვანი არაა: ქვეყნები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისგან ტექნოლოგიური განვითარების დონით და იგი არ იცვლება.

განვითარებულ ქვეყნებში XX საუკუნის ბოლოსთვის ჩამოყალიბდა წარმოების პოსტინდუსტრიული ტექნოლოგიური წესი, ჩამორჩენილ ქვეყნებში კი ჯერ კიდევ ბატონობს ინდუსტრიამდელი ტექნოლოგიური წყობა (სოფლის მეურნეობაში, მრეწველობაში).

ყველაზე ეფექტიანი ტექნოლოგიების გამოყენებით წარმოებულ თანამედროვე საქონელსა და მომსახურებას (კომპიუტერები, პროგრამები, ფიჭური ტელეფონები, კოსმოსური კავშირის მომსახურება და ა.შ.) დანინაურებული ქვეყნები ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში ყიდიან და ამით უზარმაზარ ზემოგებას ნახულობენ.

ტექნოლოგიური განვითარების დონით ცალკეული ქვეყნები მკვეთრად XX საუკუნეში დაშორდნენ ერთმანეთს და, როგორც ფიქრობენ, XXI საუკუნის დასაწყისში ეს დაშორება კიდევ უფრო თვალში საცემი გახდება (ნახ.1.4-1). ამავე დროს, ყოველი ქვეყანა ტექნოლოგიურად მრავალწყობიანია, მაგრამ წყობებს შორის თანაფარდობა მკვეთრად განსხვავებულია, რაც უკავშირდება პროდუქციის ტექნოლოგიური დონისა და კონკურენტუნარიანობის დიფერენციაციას მსოფლიო ბაზრებზე.

აფრიკის უმეტეს განვითარებად ქვეყნებში ჭარბობს პრიმიტიული ინდუსტრიამდელი ტექნოლოგიური წყობები (ინდუსტრიული წყობის იმ ცალკეული ფრაგმენტების გამოკლებით, რომლებიც ტრანსნაციონალური კორპორაციების ინტერესებს ემსახურება), რაც მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ეკონომიკური ჩამორჩენილობის, შიმშილისა და მათხოვრული ცხოვრების მთავარი მიზეზია.



ნახ.1.4-1. ლოკალური ცივილიზაციების ტექნოლოგიური დონეების დინამიკა (ავტორისეული შეფასებით)

წყარო: Ю. Яковец. Глобализация и взаимодействие цивилизаций. М., "Экономика", 2001, с.144.

ასეთივე ვითარებაა ინდოეთში, ლათინურ ამერიკასა და მრავალ ისლამურ ქვეყანაში.

საპირისპირო მდგომარეობაა ჩრდილოეთ ამერიკაში, დასავლეთ ევროპასა და იაპონიაში, რაც ტექნოლოგიური კვაზირენტის (მსოფლიო დიფერენციალური სამეცნიერო-ტექნიკური შემოსავლის) ძირითადი ნაწილის მითვისების შესაძლებლობებს უქმნის მათ.

ტექნოლოგიური კვაზირენტის წყალობით მოხდა ახალი ინდუსტრიული ქვეყნების ეკონომიკური აღმავლობაც. რაც შეეხება რუსეთს, მან პრაქტიკულად ვერ მოახერხა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსა და ფუნდამენტურ მეცნიერებაში დაგროვილი სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების ეკონომიკურად რეალიზება და ტექნოლოგიური დეგრადაციის შედეგად ტექნოლოგიური კვაზირენტის წყაროდ თვითონ იქცა განვითარებული ქვეყნებისთვის.

პოსტინდუსტრიული ტექნოლოგიური წესის ათვისებისა და გავრცელების პირობებში სურათი შესაძლოა რამდენადმე შეიცვალოს. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ წარმოების ახალი ტექნოლოგიური წესის ათვისება მოითხოვს კაპიტალის მსხვილ სასტარტო დაბანდებებს კვლევებსა და საბაზისო ინოვაციებში, აგრეთვე, მომზადებულ კადრებსა და განვითარებულ ინფრასტრუქტურას. მაგრამ განვითარებულ ქვეყნებში, დიდია ინერციის ძალა, დაგროვილია უზარმაზარი სანარმოო პოტენციალი, რომელსაც რეკონსტრუქცია და რესტრუქტურირება დასჭირდება. ამიტომ ნაკლები, თუმცა საკმარისი პოტენციალის მქონე ქვეყნებს XXI საუკუნის დასაწყისში აქვთ ტექნოლოგიურად დანინაურების შესაძლებლობა, რაც გაზრდის მათ წილს მსოფლიო დიფერენციალურ ტექნოლოგიურ შემოსავალში.

საფიქრელია, რომ XXI საუკუნის დასაწყისში გაძლიერდება ქვეყნების ტექნოლოგიური პოლარიზაცია, რაც მათ ეკონომიკურ დიფერენციაციას გააღრმავებს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეკონომიკას დღესაც ტექნოლოგიური მრავალწყობიანობა ახასიათებს, რაც მის მეურნეობაში ისეთი ინოვაციური დარგებისა და ქვედარგების არსებობაში ვლინდება, რომლებიც სასიცოცხლო ციკლის სხვადასხვა ეტაპზე (ჩასახვის, ზრდისა და სიმწიფის ფაზები) იმყოფებიან. ელექტრონიკასა და მიკროელექტრონიკაში სერიოზული ჩამორჩენის მიუ-

ხედავად, ჩვენთან საკმაოდ კარგად იყო განვითარებული ელმავალმშენებლობა, თვითმფრინავმშენებლობა, ავიაკოსმოსური ტექნიკის წარმოება, მეტალურგია, ქიმიური პროდუქტების წარმოება და ა.შ. ასეთ ტექნოლოგიურ მრავალწყობიანობას ინვევდა, ერთი მხრივ, თავისებური ნატურალური მეურნეობის არსებობა მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში, ხოლო, მეორე მხრივ, ინოვაციური სფეროს მოწყვეტა პროგრესული პროცესებისგან, აგრეთვე, კავშირურთიერთობათა ხელოვნური სისტემა, რომელიც ძირითადად ე.წ. სოციალისტური ბანაკისა და განვითარებად ქვეყნებს მოიცავდა.¹

ინდუსტრიულმა ტექნოლოგიებმა შეცვალა წარმოების სახე და ადამიანთა ცხოვრების წესი. ამ ტექნოლოგიების წყალობით მრავალჯერადად ამაღლდა შრომის მწარმოებლურობა, გაფართოვდა წარმოებული საქონლისა და მომსახურების ასორტიმენტი, გაიზარდა მოსახლეობის მოხმარების მოცულობა და ამაღლდა ცხოვრების ხარისხი, ახალი საინფორმაციო სივრცეები გაეხსნა მეცნიერებას, განათლებასა და კულტურას. მაგრამ სამრეწველო გადატრიალებამ ახალი საშიშროებანიც გააჩინა, რომლებსაც ადრინდელი ეპოქები არ იცნობდა.

ჯერ ერთი, შეიცვალა ადამიანის მდგომარეობა ტექნოლოგიურ პროცესში. მანქანური ტექნიკის შემოქმედი მანქანურ რიტმს დაქვემდებარებული აღმოჩნდა, ინტენსიური ტექნოლოგიური პროცესის ნაწილი და თვით ამ მანქანის დანამატი გახდა, განსაკუთრებით – ნაკადური და კონვეიერული წარმოების განვითარებასთან ერთად.

მეორე, მკვეთრად გაღრმავდა ტექნოლოგიური და ეკონომიკური უფსკრული მანქანური ტექნოლოგიების და ახალი ტექნოლოგიური სისტემების ათვისებაში დანინაურებულ და ჩამორჩენილ დარგებს, რეგიონებს, ქვეყნებსა და მთელ ცივილიზაციებს შორის.

მესამე, ინდუსტრიული ტექნოლოგიები გამოიყენეს, პირველ რიგში, სამხედრო მრეწველობის განვითარებისათვის, რაც ფიტავდა ეკონომიკას და რამაც თვითგანადგურების მიჯნამდე მიიყვანა კაცობრიობა.

მეოთხე, ინდუსტრიულმა ტექნოლოგიებმა დააბინძურა გარე-

¹ ა. აბრალავა. *გზა მაღალტექნოლოგიური ეკონომიკისაკენ (ორგანიზაციულ-ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარება ინოვაციურ სფეროში)*. თსუ, თბ., 2001, გვ. 121-122.

მო, რეალური გახადა გლობალური ეკოლოგიური კატასტროფის საფრთხე.

დაბოლოს, მეხუთე, ტექნოლოგიური პროცესის გლობალიზაციაში, უახლესი საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის სწრაფად განვითარებამ ახალ საუკუნეშიც ტექნოკრატიულობის შენარჩუნების საფრთხე შეუქმნა საზოგადოებას, ოღონდ უკვე ისეთი ახალი ფორმით, რომელსაც ადამიანის ფსიქიკაზე შეუძლია ზემოქმედება.

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი და უახლესი ტექნოლოგიური გარღვევა ალტერნატიულ პერსპექტივასაც უტოვებს კაცობრიობას. ჩამოყალიბდება პრინციპულად ახალი ურთიერთობები ადამიანსა და მანქანურ სისტემებს შორის, ადამიანს ეძლევა თავისუფალი შემოქმედების შესაძლებლობა და იგი უშუალოდ აღარ იქნება ჩართული ტექნოლოგიურ სისტემებში, როგორც მანქანის დანამატი.

დენიელ ბელის აზრით, პოსტინდუსტრიული საზოგადოების ჩამოყალიბებას საფუძვლად უდევს მესამე მსოფლიო ტექნოლოგიური რევოლუცია (პირველი იყო ორთქლის მანქანასთან დაკავშირებული სამრეწველო რევოლუცია, მეორე კი – ელექტროობასა და ქიმიასთან), თანამედროვე ტექნოლოგიური რევოლუციის საფუძველი კი არის:

– მექანიკური, ელექტრომექანიკური და ელექტრული სისტემების შეცვლა ელექტრონული სისტემებით;

– ტექნიკის მინიატურიზაცია ელექტრონული მანქანების გამოყენების შედეგად;

– ინფორმაციისთვის ციფრული ფორმის მიცემა;

– პროგრამული უზრუნველყოფა როგორც კომპიუტერების ინდივიდუალურად გამოყენების საფუძველი;

– ფოტონიკა – ზესუფთა მინაში ან ოპტიკურ ბოჭკოში ლაზერის მეშვეობით დიდი მოცულობის მქონე ციფრული ინფორმაციის ტრანსპორტირების წამყვანი ტექნოლოგია.¹

დბელი აღნიშნავს, რომ ტექნოლოგიურ ცვლილებათა გრძელი ჯაჭვის შედეგად მხოლოდ აშშ-მა და იაპონიამ შედგეს ფეხი პოსტინდუსტრიულ, ანუ საინფორმაციო ერაში. მას შემოაქვს „ტექნოლოგიური კიბის“ ცნება, რომელზეც შემდეგი საფეხურები განლაგებული:

¹ Д. Белл. *Грядущее постиндустриальное общество. Опыт социального прогнозирования*. М., "Academia", 1999, с. V-VIII.

1) სარესურსო ბაზა (სოფლის მეურნეობა და სამთო-მომპოვე-ბელი მრეწველობა);

2) მსუბუქი მრეწველობა (საფეიქრო ნაწარმი, ფეხსაცმელი);

3) მძიმე მრეწველობა (მეტალურგია, გემთმშენებლობა, მან-ქანათმშენებლობა);

4) მაღალი ტექნოლოგიები (საზომი ხელსაწყოები, ოპტიკა, მიკ-როელექტრონიკა, კომპიუტერები, ტელეკომუნიკაციები);

5) ბიოტექნოლოგიაზე, მასალათმცოდნეობაზე, კოსმოსურ კვლევებზე და ა.შ. დაფუძნებული დარგები.¹

ამ კიბის თავში მოქცევის ბრწყინვალე მაგალითად დ.ბელი ასახ-ელებს იაპონიას. ზედა საფეხურებზე იმყოფებიან, აგრეთვე, აშშ და დასავლეთ ევროპა (განსაკუთრებით, გფრ), ხოლო რუსეთი თან-დათან ჩამოდის ქვედა საფეხურებზე.

ტრანსნაციონალური კორპორაციების ქსელის გაჩენასთან ერ-თად მსოფლიოში დადგა გლობალური ტექნოლოგიური სივრცის როგორც ეკონომიკის მატერიალური საფუძვლის ფორმირების დრო. საუბარია არა უბრალოდ ტექნოლოგიების საერთაშორისო ტრანსფერის და მაღალტექნოლოგიური პროდუქციის გაცვლის ინტენსიფიკაციაზე, არამედ იმაზე, რომ გვიანინდუსტრიული და პოსტინდუსტრიული ტექნოლოგიური სისტემები არათუ გასცდ-ნენ ეროვნულ საზღვრებს, არამედ განსაზოგადების უმაღლეს დონეს – გლობალიზაციას მიაღწიეს. რომელიმე ეროვნულ ტე-ქნოლოგიურ სისტემას უკვე აღარ შეუძლია დამოუკიდებლად და იზოლირებულად არსებობა და განვითარება. ამის ყოველ მცდე-ლობას უთუოდ მოჰყვება დეგრადაცია და თვითნგრევა. უფრო მე-ტიც, ნაციონალურ სისტემებში მიმდინარე პროცესები ნაკარნახ-ევია გლობალურ სისტემაში მომხდარი ცვლილებებით; გლობალ-ურ, ნაციონალურ და ლოკალურ ტექნოლოგიურ ციკლებს სინ-ქრონიზებული დინამიკა აქვთ.

აღსანიშნავია, რომ გლობალური ტექნოლოგიური სივრცის ფორმირება კი არ ამცირებს ცალკეულ ქვეყნებს შორის გაჩენილ ტექნოლოგიურ ნაპრალებს, არამედ ახალ სიბრტყეში გადაჰყავს იგი. ტექნოლოგიური განსხვავების შესამცირებლად საკმარისი აღარაა ცალკე აღებული ერთი ქვეყნის ძალისხმევა. აუცილებე-ლია მთელი გლობალური ტექნოლოგიური სისტემის ფუნქციონი-რების მექანიზმისა და პრინციპების შეცვლა, ძალისხმევის წარ-მართვა პოსტინდუსტრიული საზოგადოების ხასიათის ადეკვა-

¹ დასახელებული ნაშრომი. *ც. XIX-XX.*

ტური მიზნებისკენ. ეს მოითხოვს ქვეყნებს შორის ურთიერთგაგებისა და ურთიერთმოქმედების ახალ დონეს, ტექნოლოგიის სფეროში ურთიერთმოძგებიან, თანასწორუფლებიან თანამშრომლობასა და პარტნიორობაზე თანდათანობით გადასვლას. ეს ძნელი და წინააღმდეგობებით აღსავსე გზაა და ამ გზაზე ცალკეულმა ქვეყნებმა და ტრანსნაციონალურმა კორპორაციებმა უარი უნდა თქვან ადამიანის გონებრივ მიღწევათა და ტექნოლოგიების გლობალიზაციის არსების მონოპოლიზებაზე, თავიანთი ეგოისტური ინტერესებისთვის მათ გამოყენებაზე.

XXI საუკუნეში თანამშრომლობისა და პარტნიორობის უმნიშვნელოვანესი მიმართულება უნდა გახდეს ქვეყნების ტექნოლოგიური დონის დაახლოება. ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს უზარმაზარი დახმარება დასჭირდებათ ტექნიკისა და ტექნოლოგიების ახალი, ეფექტიანი თაობების ათვისებასა და გავრცელებაში, კადრების მომზადებაში, მსხვილი საერთაშორისო ინოვაციური პროგრამებისა და პროექტების რეალიზებაში. ამ საქმეში დონორობა უნდა გასწიონ უფრო განვითარებულმა ქვეყნებმა და ტრანსნაციონალურმა კორპორაციებმა. მიზანშეწონილი იქნებოდა გლობალური ტექნოლოგიური ფონდის შექმნა ტექნოლოგიური კვაზირენტის ხარჯზე, საიდანაც დააფინანსებდნენ ჩამორჩენილი ქვეყნების ტექნოლოგიური დონის ამაღლების უზრუნველყოფ ინოვაციურ პროგრამებსა და პროექტებს.

როგორია გლობალური ტექნოლოგიური სივრცის სტრუქტურა და რა უზრუნველყოფს მისი ფუნქციონირებისა და ციკლური დინამიკის ერთიანობას?

უპირველეს ყოვლისა, ესაა სამეცნიერო სივრცის გლობალურობა, ნებისმიერ ქვეყანაში მომხდარი აღმოჩენების, გამოგონებებისა და ნოუ-ჰაუს სწრაფად გავრცელება მთელ მსოფლიოში. ამ პროცესს არეგულირებს საპატენტო სამართალი, რომელიც იცავს ინტელექტუალურ საკუთრებას, მაგრამ მას არ შეუძლია რამდენადმე ხანგრძლივი დროით მოახდინოს მისი მონოპოლიზება და დაკონსერვება, მსოფლიო კვაზირენტის ხანგრძლივ წყაროდ მისი გადაქცევა.

ამას უკავშირდება ინოვაციური სფეროს გლობალიზაცია. პრაქტიკულად უკვე შეუძლებელია იმ საბაზისო ინოვაციების მსხვილი მასშტაბებით განხორციელება და ერთი ქვეყნის ფარგლებში მათი უპირატესობების რეალიზება, რომლებიც ტექნიკისა და ტექნოლოგიების ახალ თაობებს უდევს საფუძვლად. ამის გაკეთება უფრო ადვილია ერთი რომელიმე ცივილიზაციის ფარგლებში, მაგრამ ტექ-

ნოლოგიური მაკროსისტემის გამოსყიდვას გლობალურ ეკონომიკაში სრული მასშტაბით მხოლოდ მისი რეალიზაციისას აღწევენ.

იზრდება მაკროტექნოლოგიების, ახალი ტექნიკის, მაღალტექნოლოგიური თაობების წარმოებისა და ფუნქციონირების გლობალიზაცია.

მაღალი ტექნოლოგიების თანამედროვე მსოფლიო ბაზარს 50 მაკროტექნოლოგია აყალიბებს, რომელთაგან შვიდ მაღალგანვითარებულ ქვეყანაზე მოდის მეცნიერებატევადი პროდუქციის 80-90% და პრაქტიკულად მთელი მისი ექსპორტი. მათ ხელშია 46 მაკროტექნოლოგია და სწორედ ისინი კარნახობენ მსოფლიო ბაზარზე პროდუქციის კონკურენტუნარიანობის დონეს. ჩრდილოეთ ამერიკის, დასავლეთ ევროპისა და იაპონიის ცივილიზაციები და აქ მყოფი ტრანსნაციონალური კორპორაციები ფლობენ თითქმის ყველა მაკროტექნოლოგიას და მთელ გლობალურ ტექნოლოგიურ სივრცეში მეცნიერებატევადი პროდუქციის მონოპოლიურად გაყიდვით ისინი უზარმაზარ ტექნოლოგიურ კვაზირენტას იღებენ.¹

პერსპექტივაში მოსალოდნელია გლობალური ტექნოლოგიური სივრცის განვითარების ორი უკიდურესი ვარიანტი:

I. ამჟამად არსებული ტენდენციების გაგრძელება და ამ სივრცის მონოპოლიზება განვითარებული ცივილიზაციების და ტრანსნაციონალური კორპორაციების ჯგუფის მიერ, რასაც მოჰყვება ავანგარდულ და ჩამორჩენილ ცივილიზაციებსა და ქვეყნებს შორის არსებული ტექნოლოგიური უფსკრულის გაღრმავება. ეს გზა გლობალურ კატასტროფას უმზადებს კაცობრიობას, რომელიც ადრე თუ გვიან დაატყდება მას თავს.

II. პარტნიორულ ურთიერთობებზე თანდათან გადასვლა ტექნოლოგიური განსხვავების აღმოსაფხვრელად, ჩამორჩენილთა დონის ასანევად, მათთვის ღირსეული ნიშისა და ადგილის უზრუნველსაყოფად მსოფლიო სივრცეში, პროგრესული და მაღალეფექტიანი ტექნოლოგიების მასობრივად ათვისების შესაძლებლობების შესაქმნელად. ამ ვარიანტის უპირატესობა ისაა, რომ ჩვენი საუკუნის 10-20-იან წლებში მოსალოდნელია ერთი ტექნოლოგიური წყობის (რომელმაც უკვე ამონურა თავისი პოტენციალი) შეცვლა მეორით და მისი შემადგენელი ტექნოლოგიების საგრძნობლად გაუფასურება.

¹ *Путь в XXI век: стратегические проблемы и перспективы российской экономики. М., "Экономика", 1999, с. 360-361.*

დღეს ჩამორჩენილ ზოგიერთ ცივილიზაციას გზა ეხსნება ახალი წყობის ტექნოლოგიებისკენ ისე, რომ არ გაიმეოროს წინა წყობის სასიცოცხლო ციკლის კაპიტალტევადი და მომქანცველი გზა. ეს იქნება გლობალური ტექნოლოგიური სივრცის განვითარების ოპტიმისტური სცენარის რეალიზაციის მომასწავებელი ვარიანტი.

მსოფლიო ბაზარზე ლოკალური ცივილიზაციებისა და ცალკეული ეროვნული მეურნეობების კონკურენტუნარიანობას მათში დაგროვილი სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი და მისი გამოყენების ეფექტიანობა განსაზღვრავს.

ლოკალური ცივილიზაციების სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის დინამიკა თუ, როგორი იყო XX საუკუნეში კარგად ჩანს ცხრილი 1.4.1-დან.

ახალ ტექნოლოგიურ წყობაზე გადასვლისთვის ამოსავალი პუნქტია მისი ფუნდამენტური საფუძვლების, მეცნიერული აღმოჩენებისა და დიდი გამოგონებების ფორმირება. XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისში სამეცნიერო რევოლუციაში ლიდერობენ ჩრდილოამერიკული, დასავლეთევროპული და იაპონური ცივილიზაციები, პოზიციებს კი იმტკიცებენ ჩინური და ინდუისტური ცივილიზაციები.

რამდენადმე განსხვავებული სურათია გამოყენებითი კვლევების დარგში. აქ წამყვანია ჩრდილოამერიკული და დასავლეთევროპული ცივილიზაციები, სხვები კი მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან ლიდერებს.

ტექნოლოგიურ სივრცეში XX საუკუნის ბოლოს ლიდერობა დაიმკვიდრა ჩრდილოამერიკულმა ცივილიზაციამ, რომელმაც სულ უფრო შეავიწროვა დასავლეთევროპული ცივილიზაცია. საგრძნობლად წავიდა წინ იაპონია, რომელმაც მთელი თავისი ძალისხმევა მოახმარა მსოფლიო ბაზარზე სამომხმარებლო ტექნიკის ახალი თაობების მიწოდებას. სწრაფად უმატებენ ტემპს ჩინეთი, ინდოეთი, ლათინური ამერიკისა და ისლამური ცივილიზაციის ქვეყნები, თუმცა, გლობალურ ტექნოლოგიურ პოტენციალში მათი ხვედრითი წილი ჯერ კიდევ არც ისე დიდია.

XXI საუკუნის დასაწყისში თავიანთ ტექნოლოგიურ პოტენციალს უახლესი ტექნოლოგიების ბაზაზე განაახლებენ ჩინეთი, ისლამური და ლათინურამერიკული, მოგვიანებით კი, შესაძლოა, ინდუისტური ცივილიზაციის ქვეყნები. ჩრდილოამერიკულ, დასავლეთევროპულ და იაპონურ ცივილიზაციებს დიდი დანაკარგები

ლოკალური ცივილიზაციების სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის დინამიკა XX საუკუნეში (%-ობით; ავტორის შეფასებით)

ლოკალური ცივილიზაციები	წლები	სამეცნიერო პოტენციალი			ტექნიკური პოტენციალი			
		სულ	ფუნდამენტულობა	გმკსდ ¹	სულ	სამხ. ტექნიკა	საწარ. ტექნიკა	სამოქმ. ტექნიკა
დასავლეთ-ევროპული	1900	40	40	40	42	45	40	40
	1950	35	38	31	28	30	26	27
	2000	25	32	26	25	30	25	22
ჩრდილო-ამერიკული	1900	15	5	20	24	21	25	33
	1950	18	10	28	31	38	28	40
	2000	25	22	24	33	40	33	35
ევრაზიული	1900	25	40	18	20	23	20	15
	1950	27	35	21	21	25	27	9
	1980	25	30	23	17	23	18	10
	2000	15	20	16	9	16	9	3
იაპონური	1900	4	2	5	6	7	6	4
	1950	4	2	5	6	1	8	12
	2000	10	7	9	11	1	10	15
ჩინური	1900	4	5	3	2	1	2	2
	1950	4	5	4	2	1	2	2
	2000	6	7	6	4	2	5	3
ლათინურ-ამერიკული	1900	3	1	3	3	-	2	2
	1950	3	2	3	4	2	4	3
	2000	4	2	4	5	3	4	6
ისლამური	1900	2	1	3	1	1	1	1
	1950	2	2	2	2	1	2	3
	2000	4	2	4	4	2	4	5
აფრიკული	1900	1	-	1	-	-	-	-
	1950	2	1	2	1	-	1	1
	2000	2	1	2	2	-	2	2
ოკეანური	1900	1	-	1	1	-	1	1
	1950	1	-	1	1	1	1	1
	2000	2	1	2	2	1	2	2

წყარო: Ю. Яковец. Глобализация и взаимодействие цивилизаций. М.: "Экономика", 2001, с. 140.

¹ გმკსდ – გამოყენებითი მეცნიერული კვლევები და საცდელ-საკონსტრუქტორო დამუშავება

მოელით ახალი ტექნოლოგიური წყობის ათვისებასთან დაკავშირებულ პერიოდში და, შესაძლოა, მათ ნაწილობრივ დათმონ თავიანთი პოზიციები. აფრიკულმა ცივილიზაციამ თავისი მზარდი ჩამორჩენა უნდა დაძლიოს მხოლოდ უფრო განვითარებული ცივილიზაციების დახმარებით. ტექნოლოგიური გადატრიალების გარეშე მას მეტისმეტად გაუჭირდება თავისი მრავალრიცხოვანი მოსახლეობის გამოკვება.

ბუნებრივია, რომ ცალკეული ქვეყნების ტექნოლოგიური იერსახე ცვალებადობას განიცდის და ცვლილებები არაერთგვაროვანია დროსა და სივრცეში. ცვლილებათა ტემპი მკვეთრად მატულობს ტექნოლოგიური რევოლუციების პერიოდებში (დაახლოებით ნახევარ საუკუნეში ერთხელ) და, განსაკუთრებით, წარმოების ახალ ტექნოლოგიურ წყობაზე, როგორც მომდევნო მსოფლიო ცივილიზაციის მატერიალურ საფუძველზე გადასვლასთან დაკავშირებით (რამდენიმე საუკუნეში ერთხელ).

თუ ტექნოლოგიური წყობის დონეს n ბალიანი სისტემით შევფასებთ, ლოკალური ცივილიზაციების ტექნოლოგიური დონის შემდეგ დინამიკას მივიღებთ (ექსპერტული შეფასება): 1950 წელს ჩრდილოამერიკული ცივილიზაციის ტექნოლოგიური დონე მაქსიმალური იყო და 3,0-ს აღწევდა, აფრიკულისა – მინიმალური და აღწევდა 1,1-ს. მაქსიმალურთან ყველაზე ახლოს იდგა დასავლეთევროპული (2,5) და იაპონური (2,2) ცივილიზაციები, მინიმალურთან კი – მუსულმანური (1,3) და ინდური (1,4). 2000 წლისთვის ჩრდილოამერიკული ცივილიზაციის დონე 4,6-მდე ამაღლდა და კვლავ ყველაზე მაღალი იყო, აფრიკულისა კი – 2,0-მდე და ისევ მინიმალური დარჩა. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში იაპონური ცივილიზაციის ტექნოლოგიური წყობის დონემ (4,4) გაუსწრო დასავლეთევროპულისას (4,0). ტექნოლოგიური სტრუქტურის დინამიკაში სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებები ტენდენციის თვალსაზრისით არ მომხდარა და იგი არც 2010 წლამდეა ნავარაუდები.¹

რაც შეეხება ცალკეული ქვეყნებისა და ცივილიზაციების (ქვეყნების ჯგუფის) ადგილს გლობალურ ტექნოლოგიურ სივრცეში, აქ შემდეგი ვითარებაა: XX საუკუნის დასაწყისისთვის მსოფლიოს უდავო ტექნოლოგიური ლიდერები იყვნენ ჩრდილოამერიკული

¹ Ю. В. Яковец. Глобализация и взаимодействие цивилизаций. М.: "Экономика", 2001, с. 144.

და მისგან მცირედ ჩამორჩენილი დასავლეთევროპული ცივილიზაციები, რომლებშიც ინდუსტრიული წყობა ჭარბობდა. მეორე ეშელონში მოდიოდნენ ლათინურამერიკული, ოკეანის (ავსტრალია, ახალი ზელანდია და სხვა კოლონიები), ევრაზიული და იაპონური ცივილიზაციები, რომლებსაც მნიშვნელოვანი წარმატებები ჰქონდათ მოპოვებული ინდუსტრიული წყობის ათვისების საქმეში. მესამე ეშელონში იყვნენ ჩინური, ინდუსური, ისლამური და, ბოლოს, აფრიკული ცივილიზაციები, რომლებშიც ინდუსტრიამდელი წყობა ჭარბობდა. სწორედ ეს იყო განვითარებული ქვეყნების მხრიდან მათი ექსპლოატაციის ძირითადი ობიექტი. XX საუკუნის ბოლოს გლობალურ ტექნოლოგიურ სივრცეში ძალთა განლაგება არსებითად შეიცვალა. წარმოების პოსტინდუსტრიულ წესზე გარდამავალი ტექნოლოგიური წყობის (მეხუთე წყობის) გავრცელებაში ლიდერები გახდნენ ჩრდილოამერიკული, იაპონური და დასავლეთევროპული ცივილიზაციები, ევრაზიულმა ცივილიზაციამ მეორე ეშელონში გადაინაცვლა ეკონომიკის ტექნოლოგიური დეგრადაციის გამო (1990-იანი წლების გაჭიანურებული კრიზისის დროს) და მას ლათინურამერიკულმა ცივილიზაციამ გაუსწრო. უკან, მესამე ეშელონში, მხოლოდ ინდუსური და აფრიკული ცივილიზაციები დარჩა, სადაც ადრეინდუსტრიული და მესამე ტექნოლოგიური წყობა ჭარბობს.

რაც შეეხება ინოვაციებს, ამ სფეროს 15 წამყვან ქვეყანას შორის ადგილების გადანაწილებას კარგად ახასიათებს 1.4-2 ცხრილის მონაცემები.

აღსანიშნავია ერთი სახიფათო ტენდენცია: გასული საუკუნის მანძილზე ტექნოლოგიურად ყველაზე განვითარებულ (ჩრდილოამერიკულ) და ყველაზე ჩამორჩენილ (აფრიკულ) ცივილიზაციებს შორის არსებული უფსკრული კიდეე უფრო გაღრმავდა. ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ ინდუსტრიული ეპოქის მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევები დასავლური ცივილიზაციის მიერ იყო მონოპოლიზებული, რომელიც თავის ტექნოლოგიურ უპირატესობას ჩამორჩენილი ქვეყნების ექსპლუატაციისთვის იყენებდა.

ყოფილ საბჭოთა კავშირში (ევრაზიული ცივილიზაცია) XX საუკუნის 80-იან წლებში დაიწეს მეხუთე ტექნოლოგიური წყობის ათვისება. რაც შეეხება ქვეყნის სამხედრო-ტექნიკურ დონეს, აქ მაჩვენებელი ყველაზე განვითარებული ქვეყნების შესადარისი იყო, ხოლო შეიარაღების ცალკეულ სახეობებში – უფრო მაღალიც კი. ავანგარდული დონე იყო სამეცნიერო-ტექნიკური პრო-

ინოვაციის სფეროს წამყვანი ქვეყნები

რეიტინგი	ქვეყანა	
	1995 წ.	1999 წ.
1	აშშ	იაპონია
2	შვეიცარია	შვეიცარია
3	იაპონია	აშშ
4	შვედეთი	შვედეთი
5	გფრ	გფრ
6	ფინეთი	ფინეთი
7	დანია	დანია
8	საფრანგეთი	საფრანგეთი
9	კანადა	ნორვეგია
10	ნორვეგია	კანადა
11	ნიდერლანდი	ავსტრალია
12	ავსტრალია	ნიდერლანდი
13	ავსტრია	ავსტრია
14	დიდი ბრიტანეთი	დიდი ბრიტანეთი
15	ახალი ზელანდია	ახალი ზელანდია

წყარო: БИКИ, 18.02. 1999 (№19)

გრესის ისეთ მიმართულებებში, როგორცაა ატომური ენერგეტიკა, ატომური მანქანათმშენებლობა, ავიაცია და კოსმოსური სივრცის ათვისება, თუმცა, სამოქალაქო დანიშნულების დარგებში მატულობდა მსოფლიოში მიღწეული უმაღლესი დონიდან ჩამორჩენა. კავშირის დაშლის შემდეგ ტექნიკური პროგრესის ტემპებში არსებული ჩამორჩენა ეკონომიკის ტექნოლოგიურმა დეგრადაციამ შეცვალა, რაც ტიპური ტენდენცია გახდა ამჟამინდელი დსთ-ის თითქმის ყველა ქვეყნისთვის. მას შემდეგ, რაც მრავალგზის შემცირდა, ან სულაც შეწყდა ინოვაციების დაფინანსება, მაღალტექნოლოგიური პროდუქციის ბაზრები კი საზღვარგარეთულმა მონოპოლიებმა და ტრანსნაციონალურმა კორპორაციებმა იგდეს

ხელთ, საგრძნობლად მოიშალა ამ ქვეყნების სამეცნიერო-ტექნიკური ბაზა, რომელიც ათწლეულებით აღმოჩნდა უკან გადატყორცნილი. სწორედ ეს გახდა პროდუქციის კონკურენტუნარიანობის დაკარგვის და უპრეცედენტო ეკონომიკური კრიზისის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი.

ზემოაღნიშნული, ცხადია, საქართველოში შექმნილ მდგომარეობასაც ასახავს. თუ ტექნოლოგიური დეგრადაციის ახლანდელი ტენდენციები კიდევ რამდენიმე წელს გაგრძელდა, მაშინ მისი შედეგები შეუქცევადი გახდება და ეს საქართველოს კიდევ რამდენიმე ათწლეულში უქადის ჩამორჩენას. ჯერ ერთი, ამოინურება ის ფუნდამენტური სამეცნიერო და გამოგონებათა მარაგი, რომელიც დიდი ხნის მანძილზე იქმნებოდა სახელმწიფოს ენერგიული მხარდაჭერით. მეორე, ამას მოჰყვება სამეცნიერო, საინჟინრო და საკონსტრუქტორო კადრების წასვლა და ქვეყანა ველარ იარსებებს გარედან შემოტანილი მეცნიერული იდეების, პატენტებისა და ტექნოლოგიების გარეშე, ხოლო მისი ფუნქცია შემოიფარგლება აღნიშნული პროდუქციის ადაპტირებით საკუთარი ბაზრის პირობებთან.

ევრაზიული ცივილიზაციის განვითარების დონე ცოტათი, მაგრამ მაინც უფრო მაღალი იყო მსოფლიოს საშუალო დონეზე. ახლა მისი დონე საგრძნობლად ჩამორჩება საშუალოს, საქართველო კი (თურქმენეთთან და ტაჯიკეთთან ერთად) უღარიბესი ქვეყნების რიგშია მოქცეული. მას დაკარგული აქვს ტექნოლოგიური დამოუკიდებლობა და მისი ეკონომიკური განვითარება ახლა მონყობილობების, გამომთვლელი და საყოფაცხოვრებო ტექნიკის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საშუალებათა შემოტანაზეა დამოკიდებული სხვა ქვეყნებიდან და იმ ტრანსნაციონალური კორპორაციებიდან, რომლებიც თავიანთ პირობებს სთავაზობენ მსოფლიო ბაზარს. ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის გამო ქვეყანა სულ უფრო მზარდი მასშტაბებით განიცდის დიფერენციალურ სამეცნიერო-ტექნიკურ ზარალს. ეს მდგომარეობა შესაძლოა კიდევ დიდხანს გაგრძელდეს.

როგორც ჩვენ მიერ ადრე ჩატარებული გამოკვლევები ადასტურებს, ქვეყანაში მეტად არასასურველი მდგომარეობა აქვს შექმნილი სამეცნიერო და საინჟინრო-ტექნიკური კადრების დასაქმებასა და მათი კვალიფიკაციის შენარჩუნებას, სრულიად არადამაკმაყოფილებელია მეცნიერების ფონდალტურვილობის დონე და მისი დაფინანსების მოცულობა, სამეცნიერო-ტექნიკურ

დამუშავებათა და წარმოების შესაძლებლობათა გამოყენების დონე, ძირითადი ფონდების მდგომარეობა და წარმოებული პროდუქციის მოცულობა; მეტად უმნიშვნელოა ის ძვრები, რომლებიც ცალკეულ დარგებში შეინიშნება.

საგანგაშოა ის ფაქტი, რომ საქართველოში კატასტროფულად იკლო საშუალოდ ერთი სპეციალისტის მიერ შესრულებული სამეცნიერო კვლევებისა და დამუშავებების მოცულობამ. 1991-1999 წლების მანძილზე იგი 5-ჯერ შემცირდა და თითქმის 38-ჯერ ჩამორჩა რუსეთის, 27-ჯერ – ბელორუსის, 20-ჯერ – უკრაინისა და ყაზახეთის ანალოგიურ მაჩვენებლებს. დღეს საინოვაციო აქტივობა განსაკუთრებით დაბალია იმ დარგებში, რომლებიც შიდა ბაზრის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზეა ორიენტირებული (მსუბუქი და კვების მრეწველობა, საშენ მასალათა და ხის დამამუშავებელი მრეწველობა), საინოვაციო აქტივობით მეტ-ნაკლებად გამორჩეული მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების დარგის სანარმოთა უმრავლესობა კი ამჟამად უმოქმედოა.¹

კრიზისის დაძლევა უშუალოდ უკავშირდება ქვეყანაში მეცნიერულ-ტექნიკური დონის ზრდისა და შენახვის საკითხებს, რომელთა გადაწყვეტაც მოითხოვს მათი შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებას და ამის საფუძველზე სათანადო ორგანიზაციულ-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას. სახელმწიფო მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკა უნდა იყოს რეალისტური, რადგანაც, წინააღმდეგ შემთხვევაში, მივიღებთ ისეთ სურათს, როდესაც ეკონომიკურ მაჩვენებელთა უმრავლესობა ვერ აღწევს ინდიკატური გეგმის ქვედა ნიშნულსაც კი.²

ქვეყანაში ჯერ კიდევაა შენარჩუნებული საპირისპირო მოვლენების განვითარების წინამძღვრები. პირველი მათგანია ფართო და მრავალფეროვანი სამეცნიერო-ტექნიკური მარაგი, რომელიც შეიძლება საფუძველად დაედოს ახალი (მეექვსე) ტექნოლოგიური წყობის მთელ რიგ მიმართულებათა ფორმირებას. მართალია, ეს მძლავრი პოტენციალი მრავალ აკადემიურ ინსტიტუტსა და უმაღლეს სასწავლებელში დიდადაა დაქვეითებული დაფინანსების

¹ შ. ჭალაგანიძე. საინოვაციო საქმიანობის განვითარების ზოგიერთი საკითხი. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ბიულეტენი, №69, 2001, გვ. 40-42.

² ა. აბრალავა. გზა მაღალტექნოლოგიური ეკონომიკისაკენ (ორგანიზაციულ-ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარება ინოვაციურ სფეროში). თსუ, თბ., 2001, გვ. 36-37.

შენწყვეტისა და ახალგაზრდა ნიჭიერი მეცნიერების სხვა დარგებში გადასვლის ან სამშობლოდან მათი წასვლის გამო, მაგრამ წინათ შექმნილი მარაგი, ვფიქრობ, კიდევ რამდენიმე წელი იქნება საკმარისი ტექნოლოგიური გარღვევის უზრუნველსაყოფად. ამისათვის კი დღესვე უნდა მომზადდეს სათანადო პირობები და არა, ვთქვათ, 4-5 წლის შემდეგ.

ტექნოლოგიური გარღვევის კიდევ ერთი ნაწილია დღემდე შენარჩუნებული მონიწივე მეცნიერული და საკონსტრუქტორო სკოლები, ნიჭიერი მეცნიერები და გამომგონებლები, კონსტრუქტორები, ინჟინრები, კვალიფიციური მუშები, რომლებსაც მრავალმხრივი განათლება და შემოქმედებითი ძიებისკენ მიდრეკილება აქვთ, რთულ ვითარებაში კი მისი გააქტიურება ხდება ხოლმე. ამის დასტურია ბოლო წლებში მრავალი პრობლემური მიმართულებით განხორციელებული თუ ამჟამად მიმდინარე მეცნიერული გამოკვლევები და დამუშავებები, რომლებიც პრიორიტეტულად შეგვიძლია მივიჩნიოთ. მაგალითად, ფუნდამენტურმა გამოკვლევებმა მოიცილა ისეთი მიმართულებები, როგორცაა:

– საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სფეროში – სამყაროს და მისი ევოლუციის პრობლემები: ბუნებრივი რესურსების გამოყენების მეცნიერული საფუძვლები, პერსპექტიული ნივთიერებებისა და მასალების მიღება და ა.შ.;

– ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სფეროებში – ადამიანისა და საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური განვითარება; ძველი ენების ანალიზი და ზოგადმეცნიერული განზოგადება; ქართულ-აღმოსავლური და ქართულ-დასავლური ლიტერატურული ურთიერთობანი და ა.შ.

– ასევე საყურადღებოა გამოყენებითი ხასიათის მქონე შემდეგი გამოკვლევები: სხვადასხვა ფუნქციური დანიშნულების მქონე ინტეგრალური სქემების მიღების ტექნოლოგიების შექმნა; მაღალი ელექტრო და სითბოგამტარობის მქონე ხელოვნური ალმასების და მაღალი სისუფთავის მქონე იზოტოპების მიღების ტექნოლოგიების დამუშავება; მაღალეფექტიანი ენერგეტიკული დანადგარების შექმნის მეცნიერული საფუძვლების დამუშავება და ა.შ. მრავალ მეცნიერულ-ტექნიკურ პრობლემაზე გრძელდება მუშაობა მანქანათმშენებლობისა და მექანიკის, სამთო-მეტალურგიული მრეწველობის, მედიცინის, სოფლის მეურნეობისა და სხვა სფეროებში. ამ პრობლემებზე მუშაობენ ქვეყნის უმაღლესი სასწავლო-

ბლები და სამეცნიერო ინსტიტუტები, კვლევითი და საპრობლემო ლაბორატორიები.¹

მნიშვნელოვანია, რომ ამჟამად ქვეყანაში არსებობს მაღალი ხარისხის ათეულობით მზა დასრულებული გამოკვლევები და დამუშავებები, გამოგონებები და რაციონალიზატორული წინადადებები, რომელთა დანერგვით შესაძლებელია მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტის მიღწევა.

აღნიშნული წანამძღვრების ასამოქმედებლად საჭირო იქნება ზოგიერთი საბაზო მაკროტექნოლოგიის პრიორიტეტულად ათვისება. მაკროტექნოლოგიების დარგში ჩვენი ნაციონალური ინტერესები ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: 2025 წლამდე პერიოდისთვის საქართველოს შეუძლია დაისახოს 5-6 მაკროტექნოლოგიის პრიორიტეტულად განვითარების ამოცანა (როგორც უკვე ვთქვით, სულ 50 მაკროტექნოლოგიიდან 46 მოქცეულია შვიდი განვითარებული ქვეყნის ხელში). ამასთან, 2010 წლამდე ძირითადი შესაძლოა იყოს 2-3 მაკროტექნოლოგია, რომლებშიც საქართველოში არსებული ცოდნის საშუალო დონე მსოფლიო დონესთანაა მიახლოებული. ამას შეგვიძლია საფუძვლად დავუდოთ ისეთი სერიოზული და პერსპექტიული გამოკვლევები, როგორიცაა:

- ბორის კარბიდისა და რკინა-ბორის მიღების ტექნოლოგია;
- აზოტ-15 იზოტოპების მიღების ტექნოლოგია;
- ულტრა-დისპერსიული ფხენილების მიღების ტექნოლოგია;
- ეთერზეთების უწყვეტად მიღების ტექნოლოგია;
- ადგილობრივი მცენარეული და მინერალური ნედლეულის ბაზაზე ახალი მაღალეფექტიანი სამკურნალო პრეპარატების მიღების ტექნოლოგია;
- სამ და ოთხკომპონენტის მინის კაზმების მიღების ტექნოლოგია;
- სითხეების გადამუშავების პრინციპულად ახალი მემბრანული ტექნოლოგიები;
- ტრანსფორმირებადი და სწრაფად გასაშლელი კონსტრუქციების დამზადების ტექნოლოგია;
- სამედიცინო დიაგნოსტიკური მონაცემების წარმოების ტექნოლოგიები და სხვა.²

¹ ა. აბრალავა. გზა მაღალტექნოლოგიური ეკონომიკისაკენ (ორგანიზაციულ-ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარება ინოვაციურ სფეროში). თსუ, თბ., 2001, გვ. 103-105.

² საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 1996-2000 წლების ინდიკატური გეგმა. თბ., 1996, გვ. 136-137.

ქვეყანამ უნდა შეძლოს, რომ კონკურენტუნარიანი გახადოს შექმნილი მაკროტექნოლოგიები, რასაც დღეს ხელს უშლის: ა) არსებული სიმძლავრეების მოძველება და მათი განახლებისთვის საჭირო უცხოური ინვესტიციების შემოსვლის უიმედობა; ბ) კადრების დაბერება და ახალგაზრდა, ნიჭიერი სპეციალისტებით შევსების დეფიციტი; გ) მაღალტექნოლოგიური პროდუქციის მსოფლიო ბაზრის უკიდურესად მონოპოლიზება და მასზე ტრანსნაციონალური კორპორაციების ბატონობა; დ) მეცნიერებისა და ტექნიკის ციკლური დინამიკა.

ამასთან, კარგადაა ცნობილი ლიდერებზე „დანევის“ სამეცნიერო-ტექნოლოგიური სტრატეგიის უპერსპექტივობა. ამან მხოლოდ ტექნოლოგიური ჩამორჩენის გაღრმავება და კონკურენტუნარიანობის დაკარგვა შეიძლება გამოიწვიოს. საჭიროა სხვა მიდგომების ძიება, რომლებიც გასწრების სტრატეგიაზე იქნება ორიენტირებული. სწორედ ასეთმა სტრატეგიებმა მოუტანა წარმატება ახალინდუსტრიულ და სხვა ქვეყნებს.

ამ სტრატეგიის ელემენტებია:

- 1) ორიენტაციის აღება ტექნოლოგიურ გარღვევაზე;
- 2) სამეცნიერო-ტექნოლოგიური პრიორიტეტების სისტემა;
- 3) ტექნოლოგიური გარღვევის აქტიური სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა;

4) ტექნოლოგიური გარღვევის განხორციელება სხვა ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობითა და პარტნიორობით.

პირველი გულისხმობს პერსპექტიული სამეცნიერო-ტექნიკური და ინოვაციური პოლიტიკისთვის გეზის მიცემას ტექნოლოგიურ გარღვევაზე, თანამედროვე, მეხუთე წყობის ტექნოლოგიების მასშტაბურად გავრცელებას და ადგილობრივი პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას მის ბაზაზე, აგრეთვე, მეექვსე წყობის ტექნოლოგიების დროულად ათვისებას, რადგან ეს წყობა ნამყვანი იქნება ჩვენი საუკუნის 20-30-იან წლებში. ცხადია, რომ ამისათვის ახლა არც რესურსებია საკმარისი, არც სამეცნიერო-ტექნიკური მარაგი და არც კადრები. საჭიროა სელექციური სამეცნიერო-ტექნიკური და ინოვაციური პოლიტიკა, რომელიც გარღვევის მომცრო ველზე მოუყრის თავს არსებულ რესურსებს. ამის პარალელურად უნდა გავატაროთ „ლაზერის სხივის სტრატეგია“ და ავითვისოთ ტექნოლოგიური ჯაჭვი ფუნდამენტური და საძიებო კვლევებიდან ახალი თაობის ტექნიკის მსხვილმასშტაბიან წარმოებამდე, მინოდებამდე და მის ტექნიკურ მომსახურებამდე. სწო-

რედ ეს უზრუნველყოფს მაქსიმალურ კვაზირენტას მანამ, ვიდრე ამ თაობის ტექნიკა თავისი სასიცოცხლო ციკლის აღმავლობის ფაზაში იმყოფება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს სტრატეგიის მეორე ელემენტი – სამეცნიერო-ტექნოლოგიური პრიორიტეტების სისტემა პერსპექტიული პერიოდისთვის. აუცილებელია, რომ გრძელვადიანი სამეცნიერო-ტექნიკური პროგნოზის საფუძველზე განვსაზღვროთ ტექნოლოგიური გადატრიალების და ფორმირებადი მეექვსე წყობის სტრუქტურა. ამავე დროს, ობიექტურად უნდა შევავსაოთ ჩვენი სათანადო პოტენციალი და ტექნოლოგიური ნიშების ათვისების შესაძლებლობები. პრიორიტეტები ძალიან ფართო არ უნდა იყოს. გამოცდილება ადასტურებს, რომ, როდესაც ყველაფერი პრიორიტეტულია, მაშინ სინამდვილეში პრიორიტეტები საერთოდ არ არსებობს და ხდება ძალების დაქსაქსვა, იმარჯვებს ტრადიციული და არა პრინციპულად ახალი ტექნოლოგიები, ძლიერდება ტექნოლოგიური ჩამორჩენა. პრიორიტეტების შერჩევის დროს ამოსავალი ბაზა უნდა იყოს ქვეყნის ის პერსპექტიული ტექნოლოგიური მოთხოვნები, რომლებიც ეკონომიკის გამოცოცხლებაზე, პროდუქციის კონკურენტუნარიანობის და ქვეყნის ტექნოლოგიური დონის ამაღლებაზეა ორიენტირებული.

ბუნებრივია, ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე ამ პრობლემის მოგვარება შეუძლებელი იქნება ტექნოლოგიური გარღვევის სტრატეგიის მესამე ელემენტის – მისი სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის გარეშე. აქ ვგულისხმობთ იმ სამეცნიერო, სამეცნიერო-ტექნიკური და ინოვაციური სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ფორმირებას, რომლებმაც შერჩეული პრიორიტეტების პრაქტიკულად განხორციელება უნდა უზრუნველყოს; ტექნოლოგიური გარღვევის სარესურსო მხარდაჭერას სტრატეგიული, სოციალური, ეკოლოგიური და თავდაცვის ხასიათის მქონე პროექტებსა და პროგრამებზე, ბიუჯეტიდან სახსრების მიზნობრივად გამოყოფის გზით მათთვის საგრძნობი საგადასახადო შეღავათების მიცემით, ინოვაციური და ვენჩურული ფონდების შექმნით, სამეცნიერო-ტექნიკური და ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის ხელშეწყობით, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მცირე ბიზნესისათვის; სამეცნიერო-ტექნიკური და ინოვაციური საქმიანობის სრულად და საკანონმდებლო თვალსაზრისით პროგრესულად რეგულირებას, ისეთი კანონების ამოქმედე-

ბას, რომლებიც ინოვაციური საქმიანობის გააქტიურებას შეუწყობს ხელს.

დაბოლოს, ტექნოლოგიური გარღვევა შეუძლებელი იქნება მართო ერთი ქვეყნის საკუთარი ძალების იმედად. მეცნიერებასაც, ინოვაციასაც და ტექნოლოგიების ბაზარსაც გლობალური ხასიათი აქვს. აუცილებლად უნდა განვსაზღვროთ ჩვენი ნიში (კუთვნილი ადგილი) იმ მსოფლიო ტექნოლოგიურ სივრცეში, რომელიც მუდმივად იცვლის თავის იერ-სახეს. მასში პერიოდულად ხდება ტექნიკის თაობებისა და ტექნოლოგიური წყობების ცვლილება, როდესაც ერთი წყება ქვეყნები ლიდერები ხდებიან, სხვები კი პერიფერიებში გადადიან. ამ გლობალური მიქცევისა და მოქცევის პროცესში სწორი პოზიციის დასაკავებლად საჭიროა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ჩვენი მეცნიერების, ტექნიკისა და ინოვაციების სფეროები ერთიანი ტექნოლოგიური კომპლექსის ნაწილებია. დღეს პრაქტიკულად არც ერთ იმ ქვეყანას, რომელთა ტერიტორიებზეც ამ კომპლექსის სხვა ნაწილებია გაბნეული, საკმარისი პოტენციალი არ აქვს საიმისოდ, რათა დამოუკიდებლად უზრუნველყოს წარმოების ტექნოლოგიურად განახლება და კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება.

ამიტომ გლობალურ სივრცეში ღირსეული ადგილის მოპოვებისთვის საქართველომ უნდა გამოიყენოს როგორც ევრაზიული ცივილიზაციის ქვეყნებთან ადრე არსებული კავშირურთიერთობების აღდგენა, ისე მსოფლიო ტექნოლოგიურ სივრცეში შესვლა პარტნიორობის საწყისებზე, სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარება ყველა სხვა ქვეყანასთან, ერთობლივი ინოვაციური პროექტების განხორციელება, განსაკუთრებით იმ ქვეყნებთან ერთად, რომლებიც ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის აქტიურად გამოყენებით არიან დაინტერესებული.

თავი II

ეროვნული ეკონომიკის ადგილი მსოფლიო მეურნეობაში

2.1. ეკონომიკის ეროვნული საზღვრების პრობლემა

განსახილველი საკითხი არ გახლავთ მარტივი, ერთგანზომილებიანი და მისი სირთულის ხარისხიდან გამომდინარე, საჭიროებს ადექვატურ თეორიულ-მეთოდოლოგიურ მიდგომას.

თანამედროვე მსოფლიოში საყოველთაო მნიშვნელობის ერთ-ერთი პრობლემაა ეროვნული სახელმწიფოებისა და მათი მეურნეობების ბედი ცვალებად გლობალურ სივრცეში. აღიარებულია, რომ ამ სივრცის შემადგენელი ცალკეული, კერძო სივრცეებიდან ჩვენს დროში გეოეკონომიკური სივრცე იკავებს სტრატეგიული იერარქიის („გეოპოლიტიკა-გეოეკონომიკა-გეოსტრატეგია“) წამყვან პოზიციებს, გეოპოლიტიკურ ინტერესებს კი გეოეკონომიკური ინტერესები ცვლის.

დღეს ჩვენს თვალწინ მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივი თუ ზესახელმწიფოებრივი წარმონაქმნები, რომლებიც უჩვეულო თვისებებსა და ნიშნებს ავლენენ (საზღვრების გაშლა, გეოეკონომიკური სივრცის სხვადასხვა სეგმენტებში ინტეგრაცია და ა.შ.). სწორედ აქ აშკარად ვხედავთ მთავარი მსოფლიო დილემას, თუ რომელ ცივილიზაციურ კოორდინატებში მოექცევა მომავალში გეოეკონომიკური სივრცე. დღევანდელი მსოფლიო, როგორც ცნობილია, პოსტინდუსტრიულ მოდელში, მის უმაღლეს ტექნოგენურ ფაზაშია ჩაფლული. ამიტომ, XXI საუკუნის უმთავრესი პრობლემა ისაა, თუ როგორ იგრძნობს თავს ამ ჩარჩოებში გეოეკონომიკური სივრცე.

ბუნებრივია, რომ ყოველი სახელმწიფო ზრუნავს თავის მომავალზე, სახავს საკუთარ სტრატეგიულ პერსპექტივას, აყალიბებს განვითარების საკუთარ დოქტრინას და სტრატეგიას. ნაციონალური დოქტრინის ფუძემდებლური პრინციპებისა და მისი რეალიზაციის სტრატეგიული არსენალის შესაქმნელად დღეს ისინი რამდენიმე საგულისხმო ორიენტირს ითვალისწინებენ:

1. ყოველმხრივი გლობალიზაცია შლის საქმიანობის შიდა და გარე სფეროებს, საშინაო და საგარეო პოლიტიკას შორის არსე-

ბულ ზღვარს. ეკონომიკის, ფინანსების, წარმოების, პოლიტიკის, სოციალურ და სხვა სფეროებში მიმდინარე გლობალური პროცესები და ნაკადები ნებისმიერი ნაციონალური ეკონომიკის განვითარების ორიენტირები ხდება, ამის უგულვებელყოფა აქარწყლებს განვითარების ნაციონალური სტრატეგიის ფორმირების ძალისხმევას. ახლო მომავალში ავტარკიულ იდეებს საფუძველი გამოეცლება.

2. სწრაფად იკრებს ძალას პოლიტიკის ეკონომიზაციის პროცესი, რაც ნიშნავს: პოლიტიკური მიზნების მიღწევას ეკონომიკური მეთოდებით; სტრატეგიული განვითარების ვექტორის გადანაცვლებას პოლიტიკური, იდეოლოგიური და სხვა მეთოდებიდან ეკონომიკურისკენ; გეოეკონომიკური ინტერესების პრიორიტეტს გეოპოლიტიკურ და გეოსტრატეგიულ ინტერესებზე; დიპლომატიური კორპუსის აზროვნების ეკონომიზაციას. ეკონომიკური პოლიტიკა თამაშის თავის წესებს კარნახობს მსოფლიოს, გეოპოლიტიკა ამართლებს, სამხედრო კომპონენტი კი იცავს მათ. მსოფლიო წინასწარაა განწყობილი ეკონომიკური სივრცის ბატონობის მიმართ. გარეგანი ნიშნების მიხედვით, ეს ძლიერი და მტკიცე ტენდენციაა და იგი კიდევ დიდხანს იქნება წამყვანი. XXI საუკუნის დასაწყისში ეს იქნება მსოფლიო განვითარების ძირითადი პარადიგმა.

3. ანგარიშგასანევი ხდება იმ გარემოს (ამ შემთხვევაში – გეოეკონომიკური სივრცის) და მისი განვითარების ტენდენციების ცოდნა, რომელშიც ეროვნულ ეკონომიკას მოელის ფუნქციონირება. ამას იმიტომ უნდა ვითვალისწინებდეთ, რომ მსოფლიო სისტემა თავისთავად დინამიკურად განვითარებადი სტრუქტურაა. ამიტომ საჭირო ხდება მსოფლიო სამეურნეო სისტემის იმ ძირითადი ნიშან-თვისებების და შემადგენელი ნაწილების აღწერა და შერჩევა, რომლებიც შემდეგ უნდა გამოვიყენოთ ნაციონალური ეკონომიკის ფუნქციონირების საძირკვლის ჩაყრის დროს. ესაა, პირველ რიგში, განვითარების ის წარმმართველი კანონზომიერებები, რომლებიც ნაციონალურ საგარეო-ეკონომიკურ სტრატეგიას განსაზღვრავენ (მსოფლიო სამეურნეო სისტემაში მოქმედებათა სტრატეგიის აზრით).

4. მისაღები (სწორი) სტრატეგიის შემუშავების პირობაა ნაციონალური ეკონომიკის ტრანსფორმაციის იმ კანონზომიერებების გამოვლენა, რომლებიც გავლენას ახდენენ მსოფლიო ეკონომიკურ სისტემასთან მისი ეკონომიკური ურთიერთქმედების

ერთიანი სისტემის ფორმირებაზე და ამ სისტემის ხასიათზე. აქ საუბარი ეხება გარე სამყაროსთან ნაციონალური ეკონომიკის კავშირურთიერთობების ტიპს ანუ მოდელს.

საერთაშორისო არენაზე გამოსვლისას, ნებისმიერი ეროვნული ეკონომიკა მსოფლიო სამეურნეო განვითარების ისეთ პარამეტრებს აწყდება, რომლებიც დაუყოვნებლივ მოითხოვს პასუხს უმთავრეს კითხვაზე: „ჩაჯდება“ თუ ვერა ეროვნული ეკონომიკა მსოფლიო სამეურნეო კავშირურთიერთობების სისტემაში? ასეთი წამყვანი პარამეტრებია, ჯერ ერთი, მსოფლიო ეკონომიკური სისტემის ერთიანობა და მთლიანობა; მეორე, საქონლური წარმოების მოდიფიკაცია გეოეკონომიკურ სივრცეში (შრომის დანაწილების საერთაშორისო სისტემაში „ეკონომიკური ნიშის“ პოვნის გართულება და შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ახლებურად გააზრება გლობალურ განზომილებაში; შრომის დანაწილების, როგორც საქონლის რეალიზაციის პირობის თანაარსებობა ერთგვაროვან სამეურნეო საფუძველზე მომხდარ გაერთიანებასთან); მესამე, ურთიერთობის ახალი ატრიბუტები (საერთაშორისო ურთიერთობათა ახალი სუბიექტებისა და ობიექტების გაჩენა, საქონლის შეცვლის და მსოფლიო სამეურნეო კავშირების ორგანიზაციულ-ეკონომიკური სტრუქტურის ევოლუციის ურთიერთმოქმედება და ურთიერთდამოკიდებულება).

საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების სფეროში ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღების დროს ერთ-ერთ მთავარ ორიენტირად ინტერნაციონალიზაცია გვევლინება. საკითხი ისე კი არ დგას, ჩაერთვება თუ არა ეროვნული ეკონომიკა შრომის საერთაშორისო დანაწილებაში, არამედ, პირიქით, რა ტემპებით, უფრო პრიორიტეტული რომელი მიმართულებებით და, რაც მთავარია, როგორი დარგთაშორისი პროპორციებით უნდა ავაგოთ საერთაშორისო ურთიერთმოქმედება, რათა არ აღმოვჩნდეთ ინტერნაციონალიზებული წრებრუნვის ქანცგამომცლელ წნეხში.

ინტერნაციონალიზაციის პროცესმა თვისობრივად ახალ დონეზე აიყვანა მსოფლიო სამეურნეო სფერო, საფუძველი ჩაუყარა მსოფლიო მეურნეობის ტექნოლოგიურ ერთიანობას. ამ გარემოში მომნიშვნელოვან ინყებენ მსოფლიო ინტერნაციონალიზებული კვლავწარმოებითი პროცესები (ციკლები), რომლებიც ერთ მონოლითურ სისტემადაც აყალიბებს განსხვავებულ ეროვნულ მეურნეობათა კუთვნილ ნაწილებს. ამგვარად, ნებისმიერი ეროვნული ეკონომიკა ერთიანი მსოფლიო მეურნეობის განუყოფელ ნაწილს

წარმოადგენს და უკვე ამის გამო მონანილებს მსოფლიო კვლავწარმოების პროცესში.

დღეს შრომის საერთაშორისო დანაწილებას ადრინდელზე უფრო რთული შინაარსი აქვს შექმნილი. ერთი მხრივ, იგი კვლავინდებურად გამოხატავს ერებს (როგორც მწარმოებელ ერთეულებს) შორის საწარმოო ვალდებულებათა სტიქიურად განაწილების პროცესს, ხოლო, მეორე მხრივ, საწარმოო ვალდებულებები გეგმაზომიერად ნაწილდება კონცერნების შიგნით. ეს ვალდებულებები კონცერნების ფარგლებიდან არ გამოდის, მაგრამ სცილდება სახელმწიფოთა საზღვრებს. მსოფლიოს რუკაზე გაჩნდა ისეთი ეკონომიკური საზღვრები, რომლებიც ეროვნულს არ ემთხვევა. ესაა შრომის ანკლავთშორისი (ფირმათშორისი, კორპორაციათშორისი) საზოგადოებრივი დანაწილების პროცესის შედეგი. აღმოჩნდა, რომ თვითონ ეროვნული მეურნეობები ერთდროულად რამდენიმე ტრანსნაციონალური ფირმის გავლენის ქვეშ არიან, როგორც სხვადასხვა კომპლექსის რგოლები.

თანამედროვე ვითარებას ის ახასიათებს, რომ ხდება ეროვნული მეურნეობების უახლეს ეკონომიკურ პოპულაციებად ტრანსფორმირება გეოეკონომიკური პირობების, პრიორიტეტებისა და ეროვნული სტრატეგიული ინტერესების შესაბამისად და მათი გადაქცევა თავისებურ ინტერნაციონალიზებულ ეროვნულ ეკონომიკურ სისტემებად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მსოფლიო სამეურნეო რუკაზე გაჩნდა ქვეყანა-სისტემები, რომელთაც აქვთ ეროვნულ ფარგლებს გარეთ მრავლად გამოტანილი საწარმოო ჯაჭვები. ფილიალებისა და შვილობილი კომპანიების მეშვეობით მიმდინარეობს ეროვნული ეკონომიკის მიბმა მსოფლიო მწარმოებლური ბირთვების ამა თუ იმ რგოლთან. თავისი გეოეკონომიკური მიზნების სარეალიზაციოდ ქვეყანა-სისტემა აყალიბებს დამოუკიდებელ ინტერნაციონალიზებულ კვლავწარმოებით ბირთვებს (ციკლებს), რომელთა რგოლებია ეროვნული ტრანსნაციონალიზებული სტრუქტურები. სწორედ მათ მიანდობს სახელმწიფო გეოეკონომიკურ სივრცეში ეროვნული ინტერესების რეალიზაციას და იმავდროულად იცავს კიდევ ამ სტრუქტურებს.

შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ახალი სახესხვაობის განვითარების წანამძღვრებად იქცა ის, რომ ჩამოყალიბდა, ჯერ ერთი, ამ მოვლენის მატარებელი (ურთიერთობის სუბიექტი), მეორე, შესაბამისი პირობები – ე.წ. „გარემოს ბაზრები“ (საერთაშორისო კრედიტის მასშტაბების გაფართოების და სამეცნიერო კა-

დრების საერთაშორისო მოძრაობის გაძლიერების სახით) და, შესაძლოა, გაცვლის სათანადო ობიექტი (საქონლის უახლესი ფორმები).

1980-იანი წლების დასაწყისში უკვე ჩამოყალიბებული იყო ამ მთლიანობის შემადგენელი ძირითადი კომპონენტები, ჯერ კიდევ 70-იანი წლებისთვის დასრულდა საწარმო-გამსაღებელი სტრუქტურების ფორმირება ტერიტორიულ-სამეცნიერო კომპლექსების ფარგლებში, რომელთა სამეცნიერო-საწარმოო ბაზამ მოამზადა და დააჩქარა საერთაშორისო გაცვლის გადანაცვლება საწარმო-საინვესტიციო და გასაღების სფეროში წარმართული თანამშრომლობის მხარეს. ამას ხელი შეუწყო იმ პერიოდში სამეცნიერო-ტექნიკური იდეების გაცვლის გააქტიურებამ და ტერიტორიულ-სამეცნიერო კომპლექსების ერთობლივი ძალისხმევით აგებული მსხვილი ობიექტების დაფინანსების ახალ შესაძლებლობათა გაჩენამ. ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული პროცესები მიმდინარეობდა გიგანტური საწარმო-კომერციული აგლომერაციების – ერთგვარი მოძრავი ინტერნაციონალიზებული მსოფლიო კვლევანარმოებითი ბირთვების (ციკლების) ფარგლებში. ამ დროებით, მაგრამ შედარებით მდგრად წარმონაქმნებს ახასიათებდა საერთო საწარმოო ბაზა და უახლესი სახესხვაობის საქონლის წარმოებისა და რეალიზაციის ერთიანი პროცესის ტექნოლოგიური და სამეცნიერო-ტექნიკური ერთიანობა.

საწარმო-კომერციული აგლომერაციები ფუნქციონირებენ გიგანტური საერთაშორისო კონსორციუმების (კონცერნების), ხშირად – მთელი რიგი ტრანსნაციონალური კორპორაციების მიერ შექმნილი ერთობლივი შვილობილი კორპორაციების ფორმით და აქვთ საქმიანობის ფართო დიაპაზონი. ეს პროცესი გვევლინება საერთაშორისო სფეროში შრომის საზოგადოებრივი დანაწილების განვითარებისთვის ყველაზე უფრო დამახასიათებელ თავისებურებად.

საერთაშორისო სფეროში შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ახალი სახესხვაობის ჩასახვა და სწრაფად განვითარება ეროვნული ეკონომიკის მორგება-შეგუების უმნიშვნელოვანესი ელემენტი გახდა მსოფლიო სამეურნეო სფეროში მიმდინარე სერიოზული სტრუქტურული ცვლილებების პირობებში. ისეთი პრობლემების გადაწყვეტა, როგორცაა ნავთობისა და გაზის საბადოების ათვისება ძნელად მისაღწეად რაიონებსა და ზღვის შეღებებში, ატომური ენერგეტიკის განვითარება, კოსმოსური კავშირგაბმულობის სისტემების დამუშავება და ამოქმედება, უახლესი

საინფორმაციო სისტემების შექმნა და სხვა, უზარმაზარი კატეგორიული და ფინანსური რესურსების მოზიდვას და დაგროვილ სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის გამოყენებას უკავშირდება. ეს მხოლოდ ინტერნაციონალურ საფუძველზე გახდა შესაძლებელი, რამაც, თავის მხრივ, მძლავრი იმპულსი მისცა სანარმოო-კომერციული აგლომერაციების განვითარებას.

საერთაშორისო მასშტაბით შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ამ ქვესისტემაში ძალისხმევის გამოყენების სფერო ხდება „გასაღების ჩაბარებით“ მშენებარე უმსხვილესი ობიექტები: ენერგეტიკული მაგისტრალები, გაზსადენები, მეტალურგიული, მანქანათმშენებელი და ნავთობქიმიური, ტურისტების მომსახურე სასტუმრო და სავაჭრო კომპლექსები, სამხედრო ბაზები, პორტები და აეროდრომები და სხვა ნაგებობები.

სანარმოო-კომერციული აგლომერაციების შექმნის პროცესი აქტიურად მიმდინარეობს მთელ რიგ სფეროებში. ბევრ მათგანს ამერიკის კორპორაციები აკონტროლებს, მაგრამ ბოლო ხანს დასავლეთ ევროპისა და იაპონიის სახელმწიფოები და კონცერნებიც სერიოზულად დაადგინეს საკუთარი პოტენციალის შექმნის მიზნით ძალების გაერთიანების გზას. ამ მოვლენამ ერთგვარი კონკურენცია წარმოშვა უმსხვილესი სანარმოო-საგამსალბლო აგლომერაციების გზაშესაყარზე.

მათი განვითარების კვალობაზე გამოჩნდა ახალი ტენდენციები, რომლებიც გაცვლითი პროპორციების მსხვერველსა და ფასის, როგორც ეკონომიკური ინსტრუმენტის მოდიფიკაციაში გამოვლინდა. ამჟამად ახალი მოტივაციური სტიმულების სისტემა ისახება სტრატეგიული ეფექტების სახით.

ამავე დროს, საერთაშორისო სფეროში შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ამ ახალი სახესხვაობის არსებითად გაძლიერებასთან ერთად აუცილებელია, რომ მისი განვითარების დინამიკა განვიხილოთ საერთაშორისო ურთიერთობების ეროვნებათშორის, ტრადიციულ ფორმებთან მჭიდრო ურთიერთკავშირში. „ცივი ომის“ გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ გამაღებული შეიარაღების პირობებში ძლიერდება ცალკეული სახელმწიფოების ბრძოლა თვითგადარჩენისათვის (ნორვეგია, ბელგია და სხვა). ეს პროცესი ბადებს საპირისპირო ტენდენციას, რომელიც არღვევს სანარმოო-კომერციული აგლომერაციების სტრუქტურას, მთელ რიგ შემთხვევებში მდგრადობას უკარგავს მათ, აძლიერებს ტრანსნაციონალური კორპორაციებისა და ფირმების ორიენტაციას

ეროვნულ ჩარჩოებში საქმიანობისკენ, რაც აძლიერებს, მრავალფეროვანს ხდის და ასაზრდოებს სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების პროცესს.

ამ პროცესზე საგრძნობ გავლენას ახდენს საშინაო და საგარეო-ეკონომიკური სფეროების ურთიერთმოქმედების სახელმწიფოებრივი რეგულირება, რომელიც ეროვნული ფირმების კონკურენტუნარიანობის მხარდაჭერისა და მისი ამალლებისკენაა მიმართული. ეს ყველაზე უფრო თვალნათლივ გამოვლინდა იმ პროგრამების მიღებაში, რომელთა მიზანია ენერგეტიკული, სანედლეულო და ეკოლოგიური კრიზისების შედეგების განეიტრალება, აგრეთვე, მრავალ ქვეყანაში მომრავლებულ პროტექციონისტულ ღონისძიებებში.

ეკონომიკის მილიტარიზაციის გაძლიერება და სანარმოო-კომერციული აგლომერაციების ინტენსიურად შექმნა კვეცავს საქონლის ფართო სპექტრის წარმოებას, იქიდან გამორიცხავს სამომხმარებლო დანიშნულების საქონლის ასორტიმენტულ შტოებს და მრავალფეროვან მანქანა-მონყობილობას ახლად შექმნილი ტრანსნაციონალური კორპორაციების ფარგლებში. მიმდინარეობს, აგრეთვე, მომსახურების სფეროში შემავალი ცალკეული სახეობის საქმიანობის შესუსტება.

ახალ პირობებში შესაბამის სფეროებში საქმიანობის გააქტიურების ხელსაყრელი ნიადაგი ექმნებათ იქიდან წინათ გამოძევებულ ფირმებს. ეს პროცესი თავდაპირველად ეროვნულ მეურნეობებში ვითარდება და სახელმწიფოს მხარდაჭერას ეყრდნობა, რომელიც მსოფლიო ბაზრებზე ეროვნული პოზიციების განმტკიცებითაა დაინტერესებული. მაგრამ რადგანაც წარმოებისა და გასაღების სფეროდან პროდუქციის ამა თუ იმ სახეობის გამოდევნა ცალკეულ დარგებსა და ქვეყნებში არათანაბრად ხდება, გარკვეული პირობები ექმნება ასეთი წვრილი და საშუალო ფირმების სახელმწიფოთა შორისი გაცვლის საზღვრებზე აქტიურად გამოსვლას და საერთაშორისო სფეროში რეგულარული და ინტენსიური კავშირების დამყარებას.

ეს განუწყვეტელი პროცესია და გამოხატავს სანარმოო-კომერციულ აგლომერაციებს შორის შრომის დანაწილების დაბრუნებას სახელმწიფოთა შორისი ურთიერთობების ფარგლებში და, პირიქით, ეროვნული სტრუქტურების საქმიანობის „გატანას“ ეროვნულ საზღვრებს გარეთ. ისინი იწყებენ სანარმოო-კომერციულ აგლომერაციების რგოლების როლის შესრულებას. სხვა სიტყვებით რომ

ვთქვათ, შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ორ (საერთაშორისო და ანკლავთშორის) ქვესისტემას შორის მიმდინარე ძვრები ისეთ ხასიათს იძენენ, რომლებიც გამოხატავენ გეოეკონომიკური სისტემისთვის ჩვეულ უმნიშვნელოვანეს ტენდენციებს.

ამგვარად, ხდება ეკონომიკური საზღვრების კონფიგურაციის შეცვლა ცვალებადი გეოეკონომიკური ვითარებისა და ტრანსნაციონალიზებული სტრუქტურების გადაჯგუფების გავლენით. შრომის დანაწილების მუდმივად ცვალებადი საზღვრები არ ემთხვევა ეროვნულ (სახელმწიფოების) საზღვრებს: ეროვნული მეურნეობები ნაწილბადაა „დახლეჩილი“ და ეს ნაწილები სხვადასხვა გლობალური კვლავნარმოებითი ციკლების (ბირთვების) რგოლებადაა გადაქცეული.

პროფესორი რ. გოგოხია არ იზიარებს იმ საკმაოდ გავრცელებულ აზრს, რომ ეროვნულ მეურნეობათა ურთიერთდამოკიდებულების ზრდის კვალობაზე ერებს შორის ეკონომიკური საზღვრები სულ უფრო მეტად წაიშლება.

მეცნიერის აზრით, ეს იმ მასონური „თეორიის“ გამოძახილია, რომელიც ცდილობს თავის ორბიტაში ჩაითრიოს ყველა ქვეყანა. განსაკუთრებით ნოციერი ნიადაგი მას ხვდება გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში. შორს რომ არ წავიდეთ, საქართველოსთვის უცხო, უნიადაგო კოსმოპოლიტური თეორიები, უცხოურ ეკონომიკურ იდეოლოგიაზე აგებული სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის საქმიანობა გარკვეულწილად იმ „დიდი პოლიტიკის“ შემადგენელი ნაწილია, რომელიც სამამულო ინდუსტრიის და არსებითად მყარი ეკონომიკის ჩაკვლას ისახავს მიზნად და საქართველოს ნავთობსადენის, გაზსადენის, ევრაზიული დერეფნის და სამომავლოდ – ტურისტთა საჯირითო ქვეყნის მხოლოდ მიზერულ პერსპექტივას უტოვებს. ამისგან განსხვავებით, ჩვენ მყარად უნდა გავითავისოთ, რომ მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესებში საქართველოს კანონზომიერად ჩართვა მხოლოდ მაშინ იქნება გამართლებული და ეფექტიანი, თუ ქვეყანა მტკიცედ მოირგებს ეროვნული ეკონომიკური იდეოლოგიის სამოსელს... თუმცა, XX საუკუნის მეორე ნახევარმა აშკარა გახადა „ღია ეკონომიკის“ მაღალი ეფექტიანობა და უპირატესობა „ჩაკეტილთან“ შედარებით, მაგრამ საბოლოოდ ისიც დადასტურდა, რომ ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკა არ არსებობს ეროვნული თვითგანსაზღვრულობის გარეშე, რომ ამა თუ იმ ქვეყანაში საზოგადოებრივი კვლავნარ-

მოება ყოველთვის ხორციელდება როგორც ეროვნული კვლავნარ-
მოება.¹

ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ ქართველი მეცნიერის ამ მოსაზრე-
ბას და დავძენთ, რომ შრომის საერთაშორისო დანაწილებაში გა-
მართლებული იქნება საქართველოს იმგვარად მონაწილეობა,
რომელიც მაღალინტელექტუალური შრომის დანაწილებაში
ეროვნული ინტელექტუალური პოტენციალის ჩართვას განაპი-
რობებს და იმავდროულად განათლების პრიორიტეტულობასაც
გულისხმობს.

ის, რომ მსოფლიოს პოლიტიკური და ეკონომიკური საზღვრე-
ბი არა თუ არ ემთხვევა ერთმანეთს, არამედ, პირიქით, მსოფლიოს
პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურა ძირეულად განსხ-
ვავდება ერთმანეთისგან, განსაკუთრებულ შეფერილობას აძლევს
მსოფლიო მეურნეობაში ძალთა ახლებურად განლაგების პროცესს.

ბუნებრივია, აქ გვერდს ვერ აუვლით საერთოდ ეროვნული სა-
ზღვრების პრობლემას და მსოფლიოს პოლიტიკური რუკის გადა-
კეთების გაჭიანურებულ პროცესს. როგორც ცნობილია, სახელმწი-
ფო საზღვრების გადასინჯვის პროცესზე უზარმაზარი გავლენა
იქონია გასული საუკუნის ბოლოს მომძლავრებულმა ნაციონალი-
ზმმა. მრავალთათვის ნათელი ხდება, რომ გლობალიზაცია მეტის-
მეტად ათანაბრებს ყველას, კულტურულ და რელიგიურ თავისე-
ბურებებს ართმევს ქვეყნებს, ეროვნული თვითშეგნების დაკარგვით
ემუქრება მათ, რაც არ შეიძლება არ იწვევდეს მოსახლეობის სულ
უფრო ფართო ფენების პროტესტს. ნაციონალიზმის დღევანდელი
ტალღა აგორებულია არა მარტო ეკონომიკურად უმწეო მდგომარე-
ობაში ჩავარდნილ ქვეყნებში, არამედ მსოფლიოს ნამყვან ქვეყ-
ნებშიც (კვებეკის, ტეხასის, ბასკეთის, კორსიკის, შოტლანდიისა
და ჩრდილოეთ ირლანდიის მაგალითები). ნაციონალიზმი აღვი-
ვებს ეთნიკურ კონფლიქტებს, რასაც ქვეყნის ტერიტორიული
მთლიანობის რღვევა შეიძლება მოჰყვეს (ჩეხოსლოვაკია, იუგოს-
ლავია).

ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოები ცდილობენ თავიან-
თი ადგილის დამკვიდრებას და ამით კარდინალურად ცვლიან
მსოფლიოს ადრინდელ გეოპოლიტიკურ და ეკონომიკურ სტრუქტ-

¹ რ. გოგობია. ეკონომიკის გლობალიზაციის ზოგიერთი პრობლემა. ეკონო-
მისტთა მეოთხე რესპუბლიკური კონფერენციის მოხსენებათა კრებული. თბ.,
2001, გვ.49-51.

მსოფლიოს გეოგრაფიული და ეკონომიკური საზღვრები:
ტერიტორიით, მოსახლეობითა და მშპ-ით
უმსხვილესი ოც-ოცი ქვეყანა

№	ქვეყანა	ტერიტორია, ათასი კვ.კმ	ქვეყანა	მოსახ- ლეობა, მლნ. კაცი. 2001 წ. პროფნო	ქვეყანა	მშპ (მსყიდვე- ლობითუნა- რიანობის პარიტეტი აშშ დო- ლარებში), 2001 წ.
1	რუსეთი	17075	ჩინეთი	12852	აშშ	9792,5
2	კანადა	9976	ინდოეთი	1033,4	ჩინეთი	5111,2
3	ჩინეთი	9597	აშშ	288,0	იაპონია	3193,0
4	აშშ	9373	ინდონეზია	214,4	ინდოეთი	2930,0
5	ბრაზილია	8512	ბრაზილია	174,0	გურ	2086,8
6	ავსტრალია	7682	პაკისტანი	144,9	იტალია	1429,7
7	ინდოეთი	3288	რუსეთი	146,3	დ.ბრიტანეთი	1420,3
8	არგენტინა	2777	ბანგლადეში	140,9	საფრანგეთი	1420,0
9	ყაზახეთი	2717	იაპონია	127,3	ბრაზილია	1268,6
10	სუდანი	2506	ნიგერია	117,9	რუსეთი	1027,9
11	ალჟირი	2382	მექსიკა	105,9	კანადა	843,2
12	კონგო	2345	გურ	82,3	მექსიკა	838,2
13	მექსიკა	1958	ვიეტნამი	79,2	ესპანეთი	828,4
14	ინდონეზია	1905	ფილიპინები	77,2	სამხ.კორეა	714,2
15	ლიბია	1760	თურქეთი	69,3	ინდონეზია	615,2
16	ირანი	1648	ეკვადორი	69,1	ავსტრალია	491,8
17	მონღოლეთი	1557	ეთიოპია	67,3	ნიდერლანდი	436,2
18	პერუ	1285	ირანი	67,2	არგენტინა	424,4
19	ჩადი	1284	ტაილანდი	61,6	ტაილანდი	391,7
20	ნიგერია	1267	საფრანგეთი	59,6	თურქეთი	390,3

წყარო: Малый атлас мира. М., 1998, сс. 211-214; Доклад о развитии человека за 2003 год. Минск, "Юнипак", 2003. сс. 251-253, 278-281.

ტურას. იზრდება კონკურენცია ახლად შექმნილ სახელმწიფოებსა და სხვა ქვეყნებს შორის. ქვეყნების რაოდენობის ზრდა ამრავლებს პოტენციურ და ფაქტობრივ კონკურენტებს, კონკურენციას კი თან მოსდევს ფასების დემპინგი და საგარეო ვაჭრობიდან მიღებული ამონაგების შეკვეცა. პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა საინვესტიციო პროცესებსაც აყენებს ზიანს.

სახელმწიფოები არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისგან ტერიტორიით, მოსახლეობითა და რესურსებით, მაგრამ ჩვენს დროში ეს ფაქტორები ნაკლებად განსაზღვრავს მათ ეკონომიკურ პოტენციალს. როგორც 2.1-1 ცხრილში მოყვანილი მონაცემები ადასტურებს, ყველაზე ვრცელი ტერიტორიების მქონე და ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ოც-ოცი ქვეყნიდან მხოლოდ რამდენიმეს აქვს ამ პარამეტრების შესადარისი ეკონომიკური პოტენციალი. მაგალითად, მშპ-ის მოცულობის მაჩვენებლით პირველ ადგილზე მყოფ აშშ-ს მსოფლიოში მეოთხე ადგილი უჭირავს ტერიტორიით და მესამე – მოსახლეობის რიცხოვნობით; მესამე პოზიციაზე მყოფ იაპონიას – მოსახლეობის რიცხოვნობით მეცხრე ადგილი, ტერიტორიის სიდიდით კი იგი ამ ოცეულს მიღმაა; მეხუთე პოზიციაზეა გერმანია, რომელიც ტერიტორიის სიდიდით ასევე ვერ ხვდება ოცეულში, მოსახლეობის რიცხოვნობით კი იგი მსოფლიოში მეთორმეტეა და ა.შ. ამის საპირისპიროდ, რუსეთი მშპ-ის მოცულობით მეათე ადგილზე იმყოფება, მაშინ, როდესაც ტერიტორიის სიდიდით იგი პირველი ქვეყანაა მსოფლიოში, მოსახლეობის რიცხოვნობით კი – მეშვიდე; ჩინეთი პირველ ადგილზეა მოსახლეობის რიცხოვნობით, მესამეზე – ტერიტორიის სიდიდით, მშპ-ის მოცულობით კი – მხოლოდ მეორეზე; ინდოეთი მოსახლეობის რიცხოვნობით მსოფლიოს მეორე ქვეყანაა, ტერიტორიის სიდიდით – მეშვიდე, მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობით კი – მეოთხე და ა.შ.

მრავლისმეტყველია ასეთი შედარებებიც: თითქმის თანაბარი ეკონომიკური პოტენციალი აქვთ, ერთი მხრივ, რუსეთსა და სამხრეთ კორეას (რომელსაც ტერიტორიისა და მოსახლეობის მიხედვით ვერც კი შევადარებთ რუსეთს), მეორე მხრივ, ინდოეთსა და ნიდერლანდს (მისი მოსახლეობა 62-ჯერ ნაკლებია ინდოეთისაზე), ხოლო შვეიცარიის ეკონომიკური პოტენციალი 4-ჯერ და მეტად აჭარბებს პაკისტანისას (მოსახლეობის მიხედვით თანაფარდობა – თითქმის 1:18). ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი ქვეყანაა ინდონეზია (მეოთხე ადგილი), მაგრამ ეკონომიკური

თვალსაზრისით მას შეედეთიც კი აღემატება. თუ შედარებებს გავაგრძელებთ, ანალოგიურ სურათს მივიღებდით ლუქსემბურგის და შრი-ლანკისთვის, სინგაპურისა და მალაიზიისთვის, ირლანდიისა და ეგვიპტისთვის და ა.შ.

2.1-2. ცხრილში მოყვანილია ზოგიერთი ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის შედარება.

მსოფლიოს რეალური ეკონომიკური საზღვრების შესახებ წარმოდგენას კიდევ უფრო გვიფართოებს მსოფლიო სამეურნეო კავშირების მომსახურე ძირითადი ვალუტების ერთმანეთთან შედარება.

იმ 16 ქვეყანაზე, რომელიც პლანეტის მშპ-ის 40%-ს აწარმოებს, მოდის გლობალური საფინანსო სივრცის 85% ვაჭრობის სფეროში და მსოფლიოს მთელი სავალუტო რეზერვების 82%. ამგვარად, აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემა და, ნაწილობრივ, ევროპის ცენტრალური ბანკი ფაქტობრივად პლანეტის ცენტრალური ბანკის პოზიციებზე იმყოფებიან, რაც საშუალებას აძლევს მათ ფინანსური პოზიციებიდან გაბატონებული მდგომარეობა დაიკაუონ გლობალურ ეკონომიკაში (ევროს შემოღებამდე აშშ-ის დოლარის წილად მოდიოდა საერთაშორისო საბანკო კრედიტების 70%, ობლიგაციური სესხების 50, ვალუტის ბაზრებზე მიმდინარე ოპერაციების 80 და ევროდოლარებისა და ნავთობდოლარების ბაზრების ბრუნვის 100%).¹

მოულოდნელი არაა, რომ ეკონომიკურად დაწინაურებული ქვეყნები ცდილობენ და ახერხებენ კიდევ პოლიტიკურ სფეროში ლიდერობის მოპოვებას და არა მარტო სამხედრო, არამედ უფრო მეტად სწორედ თავიანთ ეკონომიკურ ძლიერებაზე დაყრდნობით საკუთარ პირობებს კარნახობენ მესამე სამყაროს. მსოფლიო პოლიტიკასა და ეკონომიკაში „პატარა“, მაგრამ განვითარებული ქვეყნების გავლენა გაცილებით მეტია, ვიდრე მესამე სამყაროს „დიდი“ ქვეყნებისა.

ამგვარად, განვითარებული და ძლიერი ეკონომიკა მკაფიოდ განსაზღვრული პოლიტიკური საზღვრებიდან გამოსვლის საშუალებას იძლევა, ხოლო ზოგჯერ მან ამ საზღვრების გადასინჯვაც კი შეიძლება მოახდინოს. მსოფლიო მეურნეობაში ეკონომიკურად გაბატონებულმა განვითარებულმა ქვეყნებმა სწორედ თავიანთ

¹ А. И. Погорлецкий. Экономика зарубежных стран. Учебник. Второе издание. Из-во "Михайлова В. А.", С.-Пб., 2001. с. 28-30.

ზოგიერთი ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის შედარება

	ძირითადი მონაცემები (2001წ.)			ეკონომიკური პოტენციალით მათი შესადარისი ქვეყნები	ძირითადი მონაცემები (2001წ.)		
	ტერიტორია, ათ.კმ ²	მოსახლეობა, მლნ.კაცი	გშპ-ს მოცულობა, მლრდ. დლ.		ტერიტორია, ათ.კმ ²	მოსახლეობა, მლნ.კაცი	გშპ-ს მოცულობა, მლრდ. დლ.
განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნები							
1. სამხრეთ კორეა	98	47,1	422,2	ინდოეთი	3288	1033,4	477,3
2. ავსტრალია	7682	19,4	368,7	რუსეთი	17075	146,3	310
3. ნორვეგია	387	4,5	166,1	თურქეთი	779,4	69,3	147,7
4. ისრაელი	21	6,2	108,3	სარ	825,1	44,4	113,3
5. ირლანდია	70	3,9	103,3	ფიჯი	1001	69,1	98,5
6. ახალი ზელანდია	269	3,8	50,4	ალჟირი	2382	30,7	54,7
7. ლუქსემბურგი	2,6	0,4	18,5	ურუგვაი	176,2	3,4	18,7
8. ისლანდია	103	0,3	7,7	პარაგვაი	406,7	5,6	7,2

ეკონომიკურ ძალმოსილებაზე დაყრდნობით დიდად შეუწყვეს ხელი აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი სსრკ-ის პოლიტიკური საზღვრების შეცვლას.

მსოფლიოს პოლიტიკური რუკის ფორმირების თანამედროვე პერიოდი XX საუკუნის ბოლოს განვითარებული ნეოკოლონიალიზმის მაგალითებსაც გვიჩვენებს, როდესაც რომელიმე ქვეყანაზე ან მის ტერიტორიაზე რამდენიმე განვითარებული ქვეყანა ანებსებს პროტექტორატს. წარსულის იმპერიალიზმისგან ამჟამინდელი ნეოკოლონიალიზმს ძირითადად ის განასხვავებს, რომ ახლა წინა პლანზეა წამოწეული არა კონკრეტული სახელმწიფო-მეტროპოლიის კერძო ინტერესები (ნედლეულის გამოზიდვა და გეოგრაფიული ექსპანსია), არამედ ყველა განვითარებული ქვეყნის საერთო ინტერესები, რომლებიც პოლიტიკური სტაბილურობის ზრდასა და მსოფლიო სისტემის მომავლის განჭვრეტაზე ზრუნავენ. ამის მიუხედავად, სინამდვილეში მაინც ხდება სუვერენული სახელმწიფოს შინაურ საქმეებში აშკარად ჩარევა, რაც ამ ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის შეცვლას ისახავს მიზნად. ამ სისტემის ტრანსფორმაციას გარედან მართავენ იმდაგვარად, რომელიც ყველაზე უფრო შეესაბამება განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნების ინტერესებს (კოსოვოს მაგალითი).

სავსებით შესაძლებელია, რომ ეს თანამედროვე კოლონიალიზმი და კრიზისულ ქვეყნებში საერთაშორისო მმართველობის დაწესების იდეა ეროვნული საზღვრების ახალ გადასინჯვას მისცემს ბიძგს. ასეთ პირობებში საქართველოს მთელი ძალისხმევა საკუთარი ეროვნული ინტერესების დაცვას, სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას უნდა ხმარდებოდეს.

2.2. რეგიონთაშორისი ეკონომიკური კავშირები და ინტეგრაციული პროცესები

მას შემდეგ, რაც მსოფლიომ მოიშორა ორი ზესახელმწიფოს დაპირისპირების მძიმე ტვირთი, იგი ახალი სტაბილურობის ძიებაშია და ჯერ-ჯერობით გაერთიანებისა და დაშლის – ამ ორი ძლიერი და ურთიერთსაპირისპირო ძალის მოქმედების ფონზე ვითარდება. ერთი მხრივ, ზოგიერთი სახელმწიფო ცდილობს გაერთიანებასა და შერწყმას სხვა სახელმწიფოებთან და უფრო მსხვილი, უფრო მტკიცე კომპლექსების, განსაკუთრებით კი – ეკონომიკური სისტემების შექმნას.

ეს ქვეყნები ევროკავშირის მაგალითს მისდევენ და ერთმანეთს შორის დებენ შეთანხმებებს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, ამცირებენ საბაჟო ბარიერებს და სტიმულს აძლევენ სავაჭრო გაცვლას; მეორე მხრივ, ამ პროცესის პარალელურად მიმდინარეობს მათი პოლიტიკური და თავდაცვითი კავშირების განმტკიცებაც. ამის ნიშნუებია სახელმწიფოთა დაჯგუფებები ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში („ნაფტა“ და „მერკოსური“), ჩრდილოეთ აფრიკაში („მაღრიბი“), აზიაში („ასეანი“) და ა.შ. მეორე პოლუსზე ღრმავდება მრავალეროვნული კომპლექსების რღვევისა და დაშლის პროცესი, რომელიც მთელ პლანეტაზე აქტიურდება (კანადა, ინდოეთი, შრი-ლანკა, ჩინეთი, კონგო, ყოფილი სსრკ და სხვა). ეს რღვევა პირს უხსნის ძველ ჭრილობებს. კერძოდ, ევროპაში თითქმის ყველგან კითხვის ნიშნის ქვეშ ექცევა დღეს არსებული საზღვრები, ეროვნულ უმცირესობებს კი ანექსიის, განხეთქილების, ეთნიკური წმენდისა თუ ირედენტისმიის (ისტორიულ სამშობლოსთან ტერიტორიის მიერთების) საყრდენად და საბაზად იყენებენ. ყოველივე ეს სწრაფად გადადის ომებში (მთიანი ყარაბაღი, ბოსნია, აფხაზეთი, სამაჩაბლო) ან უკვე ქმნის ამის რეალურ საფრთხეს (ყირიმი, ტრანსნილვანია, ესტონეთი...).

თანამედროვე ეპოქის მთავარი პრობლემაა ბრძოლა, ერთი მხრივ, გაერთიანების, ფედერაციისა და კონფედერაციის, ხოლო, მეორე მხრივ, გათიშვის, რღვევისა და კონფლიქტის ძალებს შორის, რაც სრულიად განსხვავებული ფორმებით ვლინდება.

ჩვენს სწრაფად ცვალებად დროში აშკარად ჩანს იმის ტენდენცია, რომ ძირითადი წინააღმდეგობები თავს იჩენს არამარტო სახელმწიფოებს შორის, არამედ იმ ქვეყნების დაჯგუფებებს შორისაც, რომელთაც ეკონომიკური განვითარების საერთო მოდელი ახასიათებს. როგორც ცნობილია, რეგიონული ინტეგრაციუ-

ლი გაერთიანებები, რაც ეკონომიკური გლობალიზაციის გამოხატულებაა და მისი ერთგვარი შუალედური ეტაპია, მსოფლიო ეკონომიკაში ერთგვაროვანი ინტეგრაციის დაცვის მიზნით იქმნება. რეგიონში შექმნილი ეკონომიკური ინტეგრაცია სანაყის ეტაპია მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში მოცემული ქვეყნისა და მთელი რეგიონის ინტეგრირების გზაზე. იგი შლის ეროვნულ საზღვრებს, ინვესტს ეკონომიკის ურთიერთშერწყმასა და ურთიერთშელეწევას კონკურენციისა და სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესის გავლენით.

თითქმის ყველგან ინტენსიურად მატულობს განთავისუფლებული ქვეყნების რეგიონული ინტეგრაცია, რომელიც გულისხმობს მასში მონაწილე მეურნეობების ურთიერთშევისებას. იმის გათვალისწინებით, რომ ამ ქვეყნებში განუვითარებელია ან ცალმხრივადაა განვითარებული ინფრასტრუქტურა, მათ მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით შეუძლიათ წინ აღუდგნენ დარგობრივ დეფორმაციას. ამიტომ ინტეგრაციული პროცესები უაღრესად დიდ მნიშვნელობას იძენს განვითარებადი ქვეყნების ოპტიმალური დარგობრივი სტრუქტურების შენარჩუნებისა და მხარდაჭერისათვის, განსაკუთრებით – აქ მიმდინარე ინდუსტრიალიზაციის პირობებში.

ეტყვას არ ინვესტს ის ფაქტი, რომ ინტეგრაციას მოაქვს დიდი დადებითი შედეგი, რომელიც თან ახლავს დარგების რაციონალურ სპეციალიზაციას, ქვეყნების მთელი ფორმირებადი ინტეგრაციული კომპლექსის სტრუქტურის ოპტიმიზებას და იმ მთლიანი ეფექტის რეალიზებას, რასაც განაპირობებს მომიჯნავე დარგების ჯგუფის პროდუქციის ექსპორტი „მესამე ქვეყნების“ ბაზრებზე. აქედან გამომდინარე, ინტეგრირებული ქვეყნები ერთობლივად ცდილობენ შიდადარგობრივი და დარგთაშორისი სამეცნიერო-საწარმოო კოოპერაციის საფუძველზე შექმნილი მზა პროდუქციის გატანას მსოფლიო ბაზარზე და მიღებული ეფექტის განაწილებას თითოეული მონაწილის წვლილის პროპორციულად.

რეგიონულ ინტეგრაციას უზარმაზარი დადებითი შედეგები მოაქვს მასში შემავალი ქვეყნების მეურნეობებისა და მთელი მსოფლიო ეკონომიკური სისტემისათვის, უმთავრესად იმით, რომ ქმნის საერთო ბაზარს და ახდენს რეგიონში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ზეეროვნულ რეგულირებას.

მომავალში რეგიონული ეკონომიკური ბლოკების მნიშვნელობა კიდევ უფრო მოიმატებს.

ეკონომიკური რეგიონალიზმი გააძლიერებს ყოველი ცივი-

ლიზაციის თვითშეგნებას, თუმცა, იგი მხოლოდ მაშინ იქნება ნარმატიული, თუ საფუძვლად საერთო ცივილიზაცია ექნება. ევროპული თანამეგობრობა ქრისტიანობას და საერთო ევროპულ კულტურას ეყრდნობა; ნაფტას ნარმატიება მექსიკური, ამერიკული და კანადური კულტურების შერწყმის პროცესზე¹ იქნება დამოკიდებული. ამისგან განსხვავებით, იაპონია დიდ წინააღმდეგობებს აწყდება აღმოსავლეთ აზიაში ეკონომიკური ერთეულის შექმნის მცდელობის დროს, რადგან იაპონური ცივილიზაცია მხოლოდ იაპონიას ახასიათებს და განცალკევებულად დგას. მიუხედავად იმისა, თუ რამდენად მჭიდრო კავშირს დაამყარებს იგი აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებთან ვაჭრობისა და ინვესტიციების მეშვეობით, მათსა და იაპონიას შორის არსებული კულტურული სხვადასხვაობები მაინც გადაულახავ წინააღმდეგობად დარჩება ევროპისა თუ ჩრდილოეთ ამერიკის მსგავსი ეკონომიკური ინტეგრაციის მიღწევის გზაზე.

დიამეტრალურად საპირისპირო მდგომარეობაშია ჩინეთი, რომელსაც პონკონგთან, ტაივანთან, სინგაპურთან და აზიის სხვა ქვეყნებში მყოფ ჩინურ ერთობებთან არსებული საერთო კულტურა ხელს უწყობს ეკონომიკურ ურთიერთობათა სწრაფ ექსპანსიაში. ცივი ომის დასრულების შემდეგ შედარებით მონესრიგდა ჩინეთსა და ტაივანს შორის არსებული იდეოლოგიური სხვადასხვაობები, რაც სწორედ საერთო კულტურის არსებობამ განაპირობა.

თუ საერთო კულტურის არსებობა პერსპექტიული ეკონომიკური ინტეგრაციის აუცილებელი წინამძღვარია, მაშინ აშკარაა, რომ აღმოსავლეთ აზიაში მოქმედი ეკონომიკური ბლოკის ცენტრი მომავალში ჩინეთი უნდა გახდეს. ეს ბლოკი, როგორც ჩანს, უკვე ჩამოყალიბების პროცესშია.

„მიუხედავად რეგიონში იაპონიის დომინანტობისა, ჩინეთზე დაფუძნებული აზიური ეკონომიკა მომავალ სამრეწველო, კომერციულ და ფინანსურ ცენტრად ყალიბდება. ეს სტრატეგიული ტერიტორია მოიცავს მნიშვნელოვან ტექნოლოგიურ და სანარმოო პოტენციალს (ტაივანი), შესანიშნავ მარკეტინგულ და მწარმოებლურ უნარს (პონკონგი), ბრწყინვალე საკომუნიკაციო ქსელს (სინგაპური), ფინანსური კაპიტალის უზარმაზარ რაოდენობას (სამივე მათგანი) და უკიდევანო ტერიტორიულ სივრცეს, რესურსებსა და

¹ ლათინურ ამერიკაში პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცვლილებებთან ერთად კულტურული ცვლილებებიც მიმდინარეობს, რაც კიდევ უფრო აახლოებს ამ რეგიონს აშშ-თან.

მუშახელს (ჩინეთი). გუანჩუოდან სინგაპურამდე, კუალა-ლუმპურიდან მანილამდე ეს მნიშვნელოვანი, ხშირად ტრადიციულ კლანებზე დამყარებული ქსელი დღეს აღმოსავლეთ აზიის ეკონომიკის ხერხემლად მოიაზრება“.¹

კულტურა და რელიგია აერთიანებს ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციასაც, რომელშიც ათი არაარაბული მუსულმანური ქვეყანაა გაერთიანებული (ირანი, თურქეთი, პაკისტანი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, თურქმენეთი, უზბეკეთი, ტაჯიკეთი და ავღანეთი). XX საუკუნის 60-იან წლებში თურქეთის, ირანისა და პაკისტანის მიერ დაარსებული ამ ორგანიზაციის გაფართოების ერთ-ერთი გამომწვევი ფაქტორი ის იყო, რომ დანარჩენი სახელმწიფოების ლიდერები მიხვდნენ ევროსაზოგადოებაში მოხვედრის უპერსპექტივობას და მსგავსი კულტურის მქონე ქვეყნებთან გაერთიანება გადაწყვიტეს. ანალოგიურად, „კარიკომი“ (ცენტრალური ამერიკის საერთო ბაზარი) და „მერკოსურიც“ (არგენტინა, ბრაზილია, პარაგვაი, ურუგვაი) კულტურათა მსგავსებაზეა დაფუძნებული.

ნიშანდობლივია, რომ დღემდე ვერ მოხერხდა ერთიანი კარბულ-ცენტრალურამერიკული ეკონომიკური ერთობის შექმნა, რომელიც ინგლისურ და ლათინურ ერთეულებს შორის გადებდა ხიდს.

განსხვავებული კულტურა და რელიგია განსხვავებულად განიხილავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა ადამიანის უფლებები, იმიგრაცია, ბუნების დაცვა, ვაჭრობა და სხვა. ასეთი ქვეყნების გეოგრაფიული სიახლოვე კონფლიქტურ სიტუაციებს იწვევს. ამიტომ იდეოლოგიურ საფუძველზე კოალიციების შექმნის შესაძლებლობათა შემცირებამ გზა გაუხსნა კავშირების შექმნას საერთო რელიგიურ და ცივილიზაციურ ნიადაგზე.

სახელმწიფოთაშორის ეკონომიკური ინტეგრაციას თვისებრივად ახალი ბიძგი მისცა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ევროპის რეკონსტრუქციის გეგმის რეალიზაციის პროცესმა. აქ კატალიზატორის ფუნქცია შეასრულეს სხვადასხვა სანედლეულო ევროპულმა გაერთიანებებმა, რომლის გარშემოც თავი მოიყარა მრავალი ქვეყნის, რეგიონისა და ცივილიზაციის ინტერესებმა. ამას დავმატა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა აქტიურად

¹ Murray Wadenbaum, *Greater China: The Next Economic Superpower? St Louis: Washington University Center for the Study of American Business, Contemporary Issues, Series 57, February 1993, p. 2,3.*

ჩართვა ეკონომიკის დარგებში, რამაც კანონზომიერად დააყენა დღის წესრიგში ამ სფეროში ფართო თანამშრომლობის აუცილებლობა, რამდენადაც ინოვაციურ საფუძველზე ეკონომიკური განვითარება მოითხოვს სახელმწიფოთა ერთობლივ ძალისხმევას, ინტეგრაციული პროცესის გაღრმავებას სხვადასხვა დონეზე. ამას გვეკარნახობს თანამედროვე საზოგადოებრივ-ეკონომიკური სისტემების განვითარებისა და პროგრესის ლოგიკა.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ინტეგრაციული კავშირი ერთი ცივილიზაციის ფარგლებში ყალიბდება (ევროკავშირი და თავისუფალი ვაჭრობის ევროპის ასოციაცია დასავლეთ ევროპაში; დსთ; „მერკოსური“, ანდის პაქტი და კარიბის სახელმწიფოთა ასოციაცია ლათინურ ამერიკაში; დასავლეთ აფრიკის ეკონომიკური და სავალუტო კავშირი). სხვა კავშირებში შესაძლოა გაერთიანდეს რამდენიმე ცივილიზაციის („ასეანი“, „ნაფტა“) ან მრავალი ცივილიზაციის (აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური კავშირი) ქვეყნები. კერძოდ, ამ უკანასკნელის წევრი 21 ქვეყანა 7 სხვადასხვა ლოკალური ცივილიზაციის წარმომადგენელია, რომლებშიც დემინის მოსახლეობის 40% ცხოვრობს და მშპ-ის 50% იქმნება.¹

გლობალიზაციის წინააღმდეგობრივ პროცესში ბოლო პერიოდში მკაფიოდ გამოიკვეთა რეგიონული მიდგომებიც. უფრო სწორად, გლობალიზაციის რეგიონული „ნახნაგები“. აღმოჩნდა, რომ ეს ორი პროცესი (გლობალიზაცია და რეგიონალიზაცია) ფაქტობრივად ურთიერთგანპირობებულობის მაღალი ხარისხით გამოირჩევა და ქმნის ერთიან სისტემა-პროცესს. ამის სანიმუშო მაგალითია ევროპული ინტეგრაციის ახალ ეტაპი.² ამ დაჯგუფებაში შემავალ ქვეყნებს აერთიანებს ტერიტორიული სიახლოვე, საერთო ისტორია და კულტურა, მჭიდრო ეკონომიკური კავშირები, დაახლოებით ერთნაირი ტენდენციები დემოგრაფიისა და ეკოლოგიის სფეროში. მათი ინტეგრაციის მიზანია ბუნებრივი რესურსების ხარჯვის შემცირება და ადამიანისეული პოტენციალის განვითარება ახალ ტექნოლოგიურ წყობაზე გადასვლის საფუძველზე. ამ დროს მაკროეკონომიკური სტაბილურობა ერწყმის საქონლის, ინვესტიციების, სამუშაო ძალის, ტექნოლოგიებისა და ინფორმაციის ბაზრების რეგულირებას, ერთიანი სატრანსპორ-

¹ Е. С. Строев, Л. С. Бляхман, М. И. Кротов., Экономика СНГ накануне третьего тысячелетия. Опыт и проблема реформ. С.-Пб. "Наука", 1998, с. 455-456.

² Б. ჭითანავა. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, III ნაწილი, თბილისი, 2001, გვ. 25.

ტო და ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის, ერთიანი სავალუტო სისტემის შექმნას, პოლიტიკური ინტეგრაციის პერსპექტივას.

ევროკავშირის ეფექტიანობას დიდად განაპირობებს მისი ბიუჯეტიდან სოლიდური სახსრების წარმართვა ერთიანი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის მხარდაჭერაზე (ამ სახსრების ნახევარი), ჩამორჩენილი რეგიონების სტრუქტურულ გარდაქმნაზე (მესამედი), მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების პროგრამების დაფინანსებაზე და ა.შ. ინტეგრაციის ფარგლებში დანესებულია ერთიანი საბაჟო ტარიფი, ტარდება ერთიანი საინვესტიციო, ეკოლოგიური და სოციალური პოლიტიკა. სოციალური მისაცემლებისა და შეღავათების ხვედრითი წილი ევროკავშირის ქვეყნების ბიუჯეტიდან გაღებულ ხარჯებში 34-დან 46%-მდე გაიზარდა, მაშინ როდესაც აშშ-სა და იაპონიაში იგი მხოლოდ 30%-ია.¹

სხვა ინტეგრაციულ კავშირებში (მაგალითად, დსთ-სა და აზიანყნარი ოკეანის ეკონომიკურ კავშირში) მიღწეული ინტეგრაციის დონე დიდად ჩამორჩება დასავლეთ ევროპულს. კერძოდ, დსთ-ის თავისებურება ისაა, რომ აქ არსებითად საუბარია ერთ დროს ერთიანი ეკონომიკის დეზინტეგრაციის პროცესის შეკავებაზე. არადა, მომენტი უკვე ხელიდან გაუშვეს, ახალ, საბაზრო საფუძველზე რეინტეგრაციის მცდელობა კი უშედეგო რჩება ცენტრიდანული ტენდენციების სიჭარბის გამო (ამ უკანასკნელს არც თუ ძნელად მისახვედრი ფაქტორები ასაზრდოებს).

2.2-1 ცხრილში მოყვანილია განვითარების სხვადასხვა დონის ინტეგრაციული გაერთიანებები.

მომავალში მოსალოდნელია მრავალმხრივი ინტეგრაციული კავშირების გაღრმავება ყოველი ლოკალური ცივილიზაციის შიგნით. ამას განაპირობებს საერთო ეკოლოგიური, დემოგრაფიული, ეკონომიკური, ტექნოლოგიური და სოციალურ-კულტურული ინტერესები, აგრეთვე ცივილიზაციებს შორის გამწვავებული წინააღმდეგობები. როგორც ჩანს, ცივილიზაციებს შორის ინტეგრაციის ნიშნში გახდება აზიანყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია, სადაც სხვადასხვა კონტინენტისა და ცივილიზაციის წარმომადგენელი ქვეყნების საქმიანობის კოორდინაციის უფრო რბილ ფორმებს იყენებენ. ზოგიერთი ავტორი იმასაც იმედოვნებს, რომ თუ დსთ-ის ქვეყნების მმართველი, საქმიანი და ინტელექტუალური ელიტა კარგად შეიგნებს თავისი ძირეული

¹ Ю. Б. Яковец. *Глобализация и взаимодействие цивилизаций*. М., "Экономика", 2001, с. 194.

ინტეგრაციულ გაერთიანებათა განვითარების დონე

დონე	დასახელება, შექმნის წელი	წევრი ქვეყნები
1	2	3
პრეფერენციული საეკონომიკური ანბნება	1. პარტიზორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება ევროკავშირისა და ყოფილი სსრკ-ის ქვეყნებს შორის, 1994 წ.	ევროკავშირი, ბელორუსი, რუსეთი, უკრაინა, ყაზახეთი
	2. შეთანხმება ევროკავშირთან ასოციაციის შესახებ, 1991-1995 წწ.	ბულგარეთი, ჩეხეთი, უნგრეთი, პოლონეთი, რუმინეთი, სლოვაკია, ესტონეთი, ლატვია, ლიგია, სლოვენია
თავისუფალი ვაჭრობის ზონა	1. ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია, 1960 წ.	ავსტრია, დიდი ბრიტანეთი, დანია, მეიქარია, ფინეთი, ისლანდია, ლიხტენშტეინი, პორტუგალია, ნორვეგია, შეელეთი, 1972 წ. ასოციაცია დატოვებს დიდმა ბრიტანეთმა და დანიამ, 1986 წ. პორტუგალიამ, 1995 წ. ავსტრიამ, ფინეთმა და შეელეთმა.
	2. ბალტიის თავისუფალი ვაჭრობის ზონა, 1993 წ.	ლატვია, ლიგია, ესტონეთი
	3. ვიშეგრადის ოთხეული 1990 წ.	პოლონეთი, სლოვენია, უნგრეთი, ჩეხეთი
	4. ცენტრალური ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ზონა, 1992 წ.	სლოვაკია, სლოვენია, პოლონეთი, უნგრეთი, ჩეხეთი
	5. ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ზონა, 1994 წ.	აშშ, კანადა, მექსიკა
	6. ავსტრალია-ახალი ზელანდიის საეკონომიკური შეთანხმება ეკონომიკური კავშირების გაღრმავების შესახებ, 1983 წ.	ავსტრალია, ახალი ზელანდია
	7. აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია, 1989 წ.	აზიისა და ამერიკის 21 ქვეყანა: ავსტრალია, ბრუნეი, მალაიზია, სინგაპური, ტაილანდი, ახალი ზელანდია, ინდონეზია, გვინეა, ფილიპინები, ტაივანი, ჰონკონგი, ჩინეთი, სამხრეთ კორეა, იაპონია, აშშ, კანადა, ჩილე, 1997წ. ვიეტნამი, პერუ, რუსეთი,
საბაზო კავშირი	1. ცენტრალური ამერიკის საერთო ბაზარი, 1961 წ.	კოსტა-რიკა, სალვადორი, გვატემალა, პონტურასი, ნიკარაგუა
	2. არაბეთის საერთო ბაზარი, 1964 წ.	ეგვიპტე, ერაყი, იორდანია, ლიბია, მავრიტანია, სირია, იემენი

1	2	3
საერთო ბაზარი	1. ლათინური ამერიკის ინტეგრაციის ასოციაცია, 1960 წ.	არგენტინა, ბოლივია, ბრაზილია, ჩილე, კოლუმბია, ეკუადორი, მექსიკა, პერუ, ურუგვაი, ენესუელა, პარაგვაი
	2. სამხრეთ კონუსის საერთო ბაზარი, 1991 წ.	არგენტინა, ბრაზილია, ურუგვაი, პარაგვაი
	3. კარიბის თანამეგობრობა და კარიბის საერთო ბაზარი, 1973 წ.	ანტიგუა და ბარბუდა, ბაჰამის კუნძულები, ბარბადოსი, ბელიზა, ლომბია, ვენესელა, ვაიანა, იამაიკა, მონსერატი, სენტ-კიტსი და ნევისი, სენტ-ლუსია, სენტ-კოსსენტი და ვრენა-ლინუები, გრინიდადი და გობავო - სულ 13 სახელმწიფო
	4. ანდის ჯგუფი, 1969 წ.	ბოლივია, კოლუმბია, ეკუადორი, პერუ, ვენესუელა
	5. სპარსეთის ყურის არაბული ქვეყნების თანამშრომლობის საბჭო, "ახეთობის ექსკლუი", 1961 წ.	ბაჰრეინი, ქუვეითი, ომანი, კატარი, საუდის არაბეთი, ავს (არაბთა გაერთიანებული საემირატო)
	6. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოთა ასოციაცია, 1967 წ.	ინდონეზია, ფილიპინები, ბრუნეი, სინგაპური, მალაიზია, ტაილანდი; 1995 წ. - ვიეტნამი
ეკონომიკური კავშირი	1. ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა, 1957 წ., 1993 წლიდან - ევროკავშირი	ავსტრია, ბელგია, დიდი ბრიტანეთი, დანია, ვერ, საბერძნეთი, ირლანდია, ესპანეთი, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდი, პორტუგალია, ფინეთი, საფრანგეთი, მექსიკა
	2. ეკონომიკური კავშირი, ბენილუქსი, 1984 წ.	ბელგია, ნიდერლანდი, ლუქსემბურგი
	3. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა, დსთ, 1992 წ.	აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა, რუსეთი, საქართველო, სომხეთი, თურქმენეთი, უკრაინა, უზბეკეთი, ტაჯიკეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი
	4. არაბული მალრიბის კავშირი, 1984 წ.	ალჟირი, ლიბია, მავრიტანია, მაროკო, ტუნისი
	5. დასავლეთ აფრიკის ეკონომიკური და საეკონომიკური კავშირი, 1994 წ.	ბენინი, ბურკინა ფასო, კოტ-დ'ივუარი, მალი, ნიგერია, სენეგალი, გოგო
	6. აფრიკის სამხრეთის განვითარების თანამეგობრობა, 1973 წ.	ანგოლა, ბოტსვანა, ლესოტო, მალავი, მოზამბიკი, ნამიბია, სუამბილენდი, ტანზანია, ზამბია და ზიმბაბუე, სარ, მავრიტანია
	7. დასავლეთ აფრიკის ქვეყნების ეკონომიკური თანამეგობრობა, 1975 წ.	ბენინი, ბურკინა-ფასო, მწვანე კონცხის კუნძული, კოტ-დ'ივუარი, გაბონი, განა, ვინია, ვინია-ბისუ, ლიბერია, მალი, მავრიტანია, ნიგერი, ნიგერია, სენეგალი, სიერა-ლეონე, გოგო - სულ 16 სახელმწიფო
	8. ცენტრალური აფრიკის ქვეყნების ეკონომიკური თანამეგობრობა	11 ქვეყანა

წყარო: А. Киреев. Международная экономика. ч.1. М., "Международные отношения", 1997, с. 368-369.

ინტერესების ერთიანობას და ეკონომიკური და სოცოკულტურული ინტერესები პოლიტიკურ ამბიციებზე მაღლა მოექცევა, მაშინ შესაძლოა დსთ-შიც გაძლიერდეს რეინტეგრაციის ტენდენცია ევროკავშირთან ახლოს მდგომი მიმართულებით¹.

გლობალური ეკონომიკის მომავალი შეგვიძლია წარმოვიდგინოთ როგორც ცალკეული ცივილიზაციების ფარგლებში შექმნილი ინტეგრალური კავშირებისა და ცივილიზაციათშორისი გაერთიანებების შეთანხმებულად, თანაბარუფლებიანად ურთიერთმოქმედების ეფექტიანად მოქმედი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკური ზრდის უფრო მაღალ ტემპებს, ჩამორჩენილი ქვეყნებისთვის და ცივილიზაციებისთვის კოლექტიური დახმარების განევას, ძალების გაერთიანებას პერიოდულად გაჩენილი ეკონომიკური, ეკოლოგიური, ტექნოლოგიური, სოციალურ-პოლიტიკური კრიზისებისა და კონფლიქტების შერბილებისა და დაძლევისათვის.

შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ეროვნული სამეურნეო კომპლექსების ჩართვის მაქსიმალურ ეფექტს უზრუნველყოფს ისეთი მიზანმიმართული პოლიტიკა, რომელიც განაპირობებს მათი მომიჯნავე დარგების ფორმებისა და კომპანიების კომპლექსურად შესვლას საერთაშორისო სასაქონლო ბრუნვის სფეროში. ამჟამად ამ პროცესის ხასიათსა და მიმართულებებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ განვითარებად ქვეყნებში.

სრულიად გამართლებულია ასეთი კურსის აღება, რამდენადაც განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურა ვერ პასუხობს თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკურ მოთხოვნებს, განიცდის კრიზისს, რომლის დაძლევაც პრაქტიკულად შეუძლებელია ერთი რომელიმე ქვეყნის ჩაკეტილი სივრცის ფარგლებში. გამოსავალი ეკონომიკურ კარგახსნილობასა და ეკონომიკურ დემოკრატიაშია, რომელზე გადასვლაც არსებითად არ გახლავთ ჰარმონიული პროცესი, ვინაიდან ამ დროს აქტიურდება და სერიოზულად იჩენს თავს დაპირისპირება ცენტრიდანულ და ცენტრისკენულ, ეროვნულ და კოსმოპოლიტურ იდეებსა და ამ იდეების მატარებელ ძალებს შორის.

გონივრული ეკონომიკური ინტეგრაცია ერთ-ერთი უმოკლესი გზაა, რომელსაც შეუძლია განვითარებადი ქვეყნები აქციოს საერთაშორისო საქონლებრუნვისა და შრომის დანაწილების პროცესის ეფექტიან, აქტიურ სუბიექტად.

¹ დასახელებული ნაშრომი. *ც.* 195.

აღსანიშნავია, რომ ახალ პირობებში ახლებურად ხდება ინტეგრაციის და დეზინტეგრაციის პროცესების გააზრება. იმათ ხელში, ვინც თავისი საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის წარმართვაში გეოეკონომიკურ მიდგომას იყენებს, ეს პროცესები სახელმწიფოს ის ქმედითი ინსტრუმენტია, რომელიც ფონს უქმნის ინტერნაციონალიზებული კვლავნარმოებითი ბირთვების მომნიჭებას და ის პლაცდარმია, რომელიც მსოფლიო შემოსავლებისაკენ უხსნის მათ გზას.

პრინციპში, თვითონ ინტეგრაციული პროცესიც მრავალმხრივი და მრავალფეროვანია – ეკონომიკური, სანარმოო, სავაჭრო, საფინანსო, სავალუტო, პოლიტიკური და სხვა კავშირები, ალიანსები და დაჯგუფებები. ამიტომ, ინტეგრაციულ პროცესში ეროვნული ეკონომიკის (განსაკუთრებით კი – მისი შემადგენელი ნაწილის ან ორგანიზაციული სტრუქტურის) ჩართვისას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს კავშირების ამ ინტეგრაციული ფორმებით და ერთი ფორმიდან მეორეში მოქნილად გადასვლით მანევრირებას, აგრეთვე, ახალი ინტეგრაციული კავშირებისა და ალიანსების სწრაფად შექმნის შესაძლებლობას. ეს სტრატეგიულ სივრცეს უხსნის მსოფლიო სამეურნეო ურთიერთობების სუბიექტს, ძალთა თავისდროულად გადაჯგუფების (დეზინტეგრაციის) საშუალებას აძლევს მას მსოფლიო სამეურნეო სისტემასთან ურთიერთქმედების ახალ დონეზე გადასვლისათვის. ამ დროს უნდა გავითვალისწინოთ, რომ ინტეგრაციული მიდგომები განსხვავებულია, ერთი მხრივ, მთლიანად ეროვნული მეურნეობის, ხოლო, მეორე მხრივ, მისი ცალკეული შემადგენელი სტრუქტურების (ტერიტორიულ-სანარმოო კომპლექსების, სამრეწველო-სანარმოო ჯგუფების, კონცერნების და ა.შ.) მიმართ.

ეროვნული ეკონომიკისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მუდმივად მიმდინარეობდეს მუშაობა ეროვნული სტრატეგიული ინტერესების ფორმირებისა და რეალიზაციის ორი მიმართულებით: „ლოკალური“ ინტეგრაციული პროცესების ფარგლებში (ახლო საზღვარგარეთი) და მთლიანად მსოფლიო სამეურნეო სისტემის მიმართ (შორეული საზღვარგარეთი). აქ სრულიად განსხვავებულ მიდგომებს უნდა ვიყენებდეთ და საგარეო-ეკონომიკური კავშირების შეფერილობაც, შესაბამისად, სხვადასხვაგვარი უნდა იყოს. კერძოდ, ახლო საზღვარგარეთის ინტეგრაციული კავშირები წამყვან როლს ასრულებენ ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური ინტერესების რეალიზებაში.

ამა თუ იმ საგარეო სისტემაში (მსოფლიო მნიშვნელობისაა იგი

თუ რეგიონულის) ეროვნული მეურნეობის ჩართვის ტექნოლოგიას საგულდაგულოდ ამოწმებენ. ეს ეხება, უპირველეს ყოვლისა, ჩართვის ეტაპს, დონეს და მიჯნას. განსაკუთრებით გულდასმით იცავენ სტრუქტურულ-ეკონომიკური ადეკვატურობის და ეკონომიკური კავშირის უნარს. არანაკლები მნიშვნელობა აქვს ძირითადი ეროვნული რგოლების ჩართვის ეკონომიკური სინქრონულობის დაცვას და ჩართვის იმ ზღვრული წერტილების პოვნას, რომლის იქითაც მოსალოდნელია ეროვნული ეკონომიკისა თუ მისი ცალკეული ინფრასტრუქტურების რღვევა.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ინტეგრაციულ კავშირებს თავიანთი ანგარებიანი მიზნებისთვის კარგად იყენებენ ძლიერი ქვეყნები და ტრანსნაციონალური კორპორაციები. ეს აშკარად გამოჩნდა „ნაფტას“ მაგალითზე. მისმა ჩამოყალიბებამ საშუალება მისცა აშშ-ს სამ წელიწადში შეექმნა 90-დან 160 ათასამდე ახალი სამუშაო ადგილი. მექსიკაში ამერიკიდან განხორციელებული ექსპორტის მოცულობა 2,3-ჯერ გაიზარდა, რაც განაპირობა შრომატევადი წარმოების გადატანამ აშშ-დან მექსიკაში და შემდეგ მზა პროდუქციის შემოტანამ.

საბოლოოდ, მექსიკაში სამუშაო ადგილების გადატანის შედეგად, 28 უმსხვილესი ტრანსნაციონალური კორპორაციის მოგება სამჯერ გაიზარდა. წინანდელი ორმილიარდიანი დადებითი სავაჭრო სალდოს ნაცვლად აშშ-ს 1997 წელს მექსიკასთან ჰქონდა 17-მილიარდიანი უარყოფითი სავაჭრო ბალანსის დეფიციტი, ხოლო საშუალო ხელფასი მექსიკაში 1 დოლარიდან 70 ცენტამდე დაეცა საათში, მაშინ, როდესაც აშშ-ში მან 4,75 დოლარს მიაღწია.¹ ეს ინტეგრაციის ის ვარიანტია, რომელსაც ტრანსნაციონალური კორპორაციები იყენებენ როგორც ეკონომიკური კოლონიალიზმის ფორმას, განვითარებული ცივილიზაციების მხრიდან ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნების ექსპლოატაციის საშუალებას.

ზემოაღნიშნულს კარგად ადასტურებს მექსიკაში შექმნილი ის ვითარებაც, როდესაც ჩიაპასის შტატის გლეხები ველარ ახერხებენ თავიანთი ყავის გაყიდვას მსოფლიო ბაზარზე, ხოლო ქვეყანაში წარმოებული სიმინდი კონკურენციას ვერ უწევს აშშ-დან შემოტანილს. გარდა ამისა, მექსიკაში დაბალი ხელფასი, უსაფრთხოების დაბალი დონე და არც თუ ისე მკაცრი სანიტარული წესებია. ამით სარგებლობენ ამერიკის გიგანტური ხორცის დამამზადებე-

¹ *Е. С. Строев, Л. С. Бляхман, М. И. Кротов. Экономика СНГ накануне третьего тысячелетия. Опыт и проблемы реформ. С.-Пб. "Наука", 1998, с. 456-457.*

ლი ფირმები და იქ ამზადებენ „ამერიკულ“ პროდუქციას. „ნაფტა“ იმპორტის შესახებ აშშ-ის კანონისგან ათავისუფლებს მას, რათა მოგება ნახონ აშშ-ის ამ გიგანტურმა ფირმებმა. საბოლოო შედეგი კი ის იქნება, რომ რანჩოების წვრილი მეპატრონეები დაზარალდებიან, აშშ-ის მოქალაქეები კი შეუმომწებელ ხორცს მიიღებენ. ახლა მექსიკა ძალიან ხელსაყრელი ქვეყანაა ისეთი ფირმებისთვის, როგორცაა „ჯენერალ ელექტრიკი“, „მოტოროლა“, „ლევ სტრასი“, „მობილ კორპორეიშენი“, „ჯონსონ ენდ ჯონსონი“ და ა.შ.¹

წინააღმდეგობები და სირთულეები არც ევროკავშირისთვისაა უცხო, რომელსაც ექსპერტები და ანალიტიკოსები ინტეგრაციის ეტალონად მიიჩნევენ. მაგალითად, ძნელია უმტიკვენულოდ ხდებოდეს ალიანსის წევრი ქვეყნების ფუნქციების მნიშვნელოვანი ნაწილის გადასვლა მის სტრუქტურებზე. ამიტომ მათ შორის არსებული წინააღმდეგობები ზოგჯერ აშკარა დაპირისპირებაშიც ვლინდება. ამგვარი დაპირისპირებებით ყველაზე უფრო გამოირჩევა დსთ, რომელიც თანამედროვე მსოფლიოს ცვალებად კონფიგურაციაში თავისი ადგილის პოვნის მწვავე პრობლემის წინაშე დგას. უფრო მეტიც, დაუფარავად აღიარებენ, რომ დსთ-ში არსებული ტენდენცია პირდაპირ საპირისპიროა მსოფლიო ვექტორისა.²

ყოველივე ამის მიუხედავად, რეგიონული ინტეგრაცია თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების კანონზომიერებადაა ქცეული. მსოფლიო სამეურნეო სისტემაზე, მის დინამიკურად და დაბალანსებულად განვითარებაზე ინტეგრაციული პროცესების გავლენის ზრდას მოწმობს მშპ-ისა და ექსპორტის მოცულობათა მაჩვენებლები. თუ 1985 წელს რეგიონული ინტეგრაციული გაერთიანებების წილად მოდიოდა მშპ-ის 27,8%, ამჟამად ეს მაჩვენებელი დაახლოებით 75%-ია. რეგიონულ დაჯგუფებათა პროდუქციის და მომსახურების ექსპორტის ხვედრითი წილი მსოფლიო ექსპორტში შესაბამისად 43,3-დან 75,4%-მდეა გაზრდილი.

რეგიონული ეკონომიკური დაჯგუფებების ეფექტიანობა გამოიხატება მშპ-ის ზრდის უფრო მაღალ ტემპებში (დაახლოებით 1,5-ჯერ) ასეთ დაჯგუფებებში არშემავალი ქვეყნების უმრავლესობასთან შედარებით. ამასთან, ალიანსები და კავშირები უფრო ინტენსიურად იყენებენ მშპ-ის ზრდაზე ურთიერთხელსაყრელი

¹ Энтони Саттон. Кто управляет Америкой? М., ООО „ФЭРИ-В“, 2000, с.107-109.

² А. И. Головатый. Глобализация Экономики и интеграционные процессы в СНГ. Вестник Межпарламентской ассамблеи, №4(31), 2001, с. 175.

საქონელგაცვლის ფაქტორს. დღეს მთელ მსოფლიოში მოქმედებს 85 რეგიონული ეკონომიკური შეთანხმება და 100-ზე მეტი სავაჭრო-ეკონომიკური დაჯგუფება, რომელთა ფარგლებშიც სწრაფად ფართოვდება შიდა რეგიონული ვაჭრობა.¹

თანამშრომლობა ღრმავდება რეგიონულ ეკონომიკურ კავშირებსა და ალიანსებს შორისაც. მაგალითად, უახლოესი რამდენიმე წლისთვის ევროკავშირი სხვა უმნიშვნელოვანეს ამოცანებთან ერთად მიზნად ისახავს კავშირუბრტყიანობებისა და პარტნიორობის განმტკიცებას მსოფლიოს იმ სხვა რეგიონებთან, რომლებიც ევროკავშირის ინტერესების ზონაში შედის. ამით იგი იმედოვნებს ეკონომიკური ზრდის გაძლიერებას ევროკავშირისა და მის ახლობელ ქვეყნებში, აგრეთვე, კონტინენტზე სტაბილურობის უზრუნველყოფას. ევროპარლამენტში მიაჩნიათ, რომ ამ თვალსაზრისით უჩვეულოდ დიდ პოტენციალს შეიცავს ევროკავშირისა და დსთ-ს შორის ურთიერთობები, განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ ამ ორი დაჯგუფების მეურნეობათა კომპლიმენტარობას და საერთო კულტურულ გარემოს.² ცხადია, თვალს არავინ ხუჭავს იმაზე, რომ ამ ორ მსხვილ დაჯგუფებას შორის მრავლად იქნება აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ თანამშრომლობა და საერთო შეხედულებების ძიება, პოზიციების დაახლოება იმის საფუძველს შექმნის, რომ უკეთ გამოვლინდეს საერთო ეკონომიკური ინტერესები. ბუნებრივია, რომ ეს რეგიონთაშორის თანამშრომლობაში ევროკავშირის მონაწილეობის ერთ-ერთი და არა ერთადერთი მიმართულებაა.

იგივე შეგვიძლია ვთქვათ ამერიკაზეც, რომელთანაც გამოკვეთილად ჩანს ამგვარი თანამშრომლობის მინიმუმ სამი მიმართულება: ლათინური ამერიკა, აზია და ევროპა.

აშშ-ში ლათინური ამერიკის მოსახლეობის უწყვეტი იმიგრაცია, ესპანურენოვანი ადამიანების რაოდენობის მკვეთრად ზრდა, „ნაფტაში“ მექსიკის მიღება და ლათინურ ამერიკაში მიმდინარე ცვლილებები სამხრეთით ეწევა აშშ-ს. თუ ლათინური ამერიკა ბოლომდე აითვისებს დემოკრატიას და დანერგავს თავისუფალ საბაზრო ეკონომიკას, მაშინ ეს კონტინენტი, რომლის კულტურა მუდამ მჭიდრო კავშირში იყო დასავლურ კულტურასთან, ალბათ, დასავლეთის განუყოფელ ნაწილად და დასავლური ცივილიზაციის მესამე ბურჯად იქცევა.

¹ დასახელებული ნაშრომი. *ს.* 174-175.

² იხ. ევროპარლამენტის ვიცე-პრეზიდენტი გ. პოდესტას გამოსვლა პეტერბურგის ეკონომიკურ ფორუმზე 2001 წ. 13 ივლისს (*Вестник Межпарламентской ассамблеи, №4(31), 2001, с. 134*).

აზიასთან აშშ-ის ამგვარად შერწყმა გამორიცხულია. იგი ისევ გააგრძელებს ამერიკისა და მთელი დასავლეთისათვის ეკონომიკური (და პოლიტიკური) მონინაალმდგვის როლის თამაშს, მაგრამ აშშ-მა მასთანაც უნდა გააგრძელოს თანამშრომლობა. აზიის რეგიონით აშშ-ის დაინტერესებას ასაზრდოებს აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების მთელ რიგ გაერთიანებებში სიმდიდრის და მათი გავლენის ზრდა, ამ გაერთიანებებიდან აშშ-ში იმიგრაციის მომატება და მშვიდობიანი ერთიანობის დამყარების მცდელობა, რაც აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობის (APEC-ის) ფორმით გამოვლინდა.

თანამშრომლობის ყველაზე მთავარი მიმართულება აშშ-სთვის, რა თქმა უნდა, ევროპაა. საერთო ღირებულებები, ინსტიტუტები, ისტორია და კულტურა მჭიდრო კავშირს განაპირობებს აშშ-სა და ევროპას შორის. სხვა მხარეების (ბოსნია, ისრაელი, ჩინეთი და სხვა) მიმართ არსებული მათი აზრთა სხვადასხვაობები ვერ ჩრდილავს იმ შეგნებას, რომ დასავლური ერთიანობის შენარჩუნება არსებითი საკითხია დასავლეთის გავლენის შესანარჩუნებლად და გასაძლიერებლად. მათ კარგად ესმით, რომ ერთიანი დასავლეთი მნიშვნელოვან სუბიექტად დარჩება საერთაშორისო ურთიერთობებში, დაყოფილი კი ადვილად მოექცევა არადასავლური ქვეყნების გავლენის ქვეშ. თუ ჩრდილოეთ ამერიკა და ევროპა მოქმედნიან და განავითარებენ ეკონომიკური (და პოლიტიკური) ინტეგრაციის ახალ და უფრო ეფექტიან გზებს ნატოს ფარგლებში არსებული უსაფრთხოების თანამშრომლობისთვის ზურგის გასამაგრებლად, მაშინ დასავლეთი შევა განვითარების მესამე, გადამწყვეტ ფაზაში, რომელიც სათავეს დაუდებს დასავლეთის ალორძინებისა და პოლიტიკური გავლენის ხანას. ს.ჰანტინგტონის აზრით, აშშ-ის ეროვნული ინტერესები ყველაზე უკეთ მაშინ დანიანურდება, თუ იგი... მეტ ყურადღებას დაუთმობს ევროპელ პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობას.¹

საყურადღებოა უ.ბეკის ის მოსაზრებაც, რომ შესაძლებელია დავაფიქსიროთ ტრანსნაციონალური სავაჭრო და სამრეწველო კავშირების განმტკიცება გარკვეული მსოფლიო რეგიონების შიგნით და მათ შორის. ეს ეხება ამერიკას, აზიას და ევროპას. ამას ადასტურებს ის, რომ ვაჭრობა და საზღვარგარეთული ინვესტიციები ჯერ კიდევ მსოფლიოს ამ სამ მსხვილ ეკონომიკურ ბლოკს

¹ სამუელ ფ.ჰანტინგტონი. პოლიტიკური სტატიები. თბ., 2001, გვ. 69.

შორის ვითარდება, რის გამოც საუბრობენ მსოფლიო ეკონომიკის ტრიადიზაციაზე.¹

პრაქტიკა ადასტურებს, რომ რეგიონული წარმონაქმნები, ერთი მხრივ, გლობალიზაციის სუბიექტებია და მძლავრ იმპულსებს გადასცემენ პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას კონკრეტულ სივრცეში. მეორე მხრივ, ისინი ცდილობენ გამოვიდნენ საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციებისა და გლობალიზაციის „ერთპიროვნული ლიდერების“ ოპონენტებად და რეალურად ახორციელებენ გლობალიზაციის განსაკუთრებული პოლუსების შექმნის იდეას. სწორედ ასეთი ურთიერთდამოკიდებულების ფონზე ინასკვება წინააღმდეგობათა რთული კვანძი. მაგალითად, 1999 წელს ევროკავშირის მიერ ბანანის იმპორტის დროს გამოყენებულმა შეღავათებმა, ექსპერტების გაანგარიშებებით, ყოველწლიურად ნახევარ მილიარდ დოლარზე მეტი ზარალი მოუტანა აშშ-ს, ხოლო ამის საპირისპიროდ აშშ-ის მიერ დასაჯელთ ევროპიდან შემოტანილი საქონლის დიდი ნაწილის 100%-ით დაბეგრამ თითქმის ამდენითვე აზარალა საფრანგეთის, გერმანიის, იტალიისა და დანიის მენარმეები.² ეს ვითარება შეგვიძლია, ერთი მხრივ, შევფასოთ ევროკავშირისა და აშშ-ს, ხოლო, მეორე მხრივ, ევროკავშირისა და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას შორის პოზიციების შეუთანხმებლობად.

საგულისხმოა, რომ გლობალიზაციის პროცესში მუდმივად იცვლება და ახალ ფორმებს იძენს რეგიონული პირობები. დღეისათვის მრავლად შექმნილი რეგიონული სავაჭრო და ეკონომიკური ალიანსები და შეთანხმებები სერიოზულ გავლენას ახდენს გლობალიზაციის პროცესზე. უნდა ვივარაუდოთ, რომ რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობის პირდაპირი (დარგობრივი) და ირიბი (ინფრასტრუქტურა) სტრუქტურები სულ უფრო დაიხვეწებიან და შეასრულებენ გლობალიზაციის პროცესის ლოკომოტივის ფუნქციას.

საქართველოს სტრატეგიული საგარეო პოლიტიკური კურსი ევროპულ სტრუქტურებში გაერთიანებაა, ხოლო ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაცია ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტიცაა. „ევროკავშირისა და საქართველოს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ“ დადებული ხელშეკრულების საფუძველზე მხარეები ერთმანეთს ანიჭებენ უპირატეს ახელშეწყობის რეჟიმს,

¹ У. Бек. Что такое глобализация. Ошибки глобализма - ответы на глобализацию. Пер. с нем. "Прогресс - Традиция", М. 2001. с. 205.

² В. Пештеев, В. Черновская. Развивающийся мир: глобализация или регионализация? Журн. "МЭиМО", №7, 2000, с. 42.

თანამშრომლობენ მრენ ველობის, ვაჭრობის, სოფლის მეურნეობის, ინვესტიციების, ტექნოლოგიების და სხვა სფეროებში. ამავე ხელშეკრულებით საქართველო დახმარებას იღებს „ტასისის“ პროგრამით, რომელიც ვრცელდება ენერგეტიკაზე, ეკონომიკის რესტრუქტურინაციაზე, ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, მცირე მენარმეობის მხარდაჭერაზე და ა.შ.; მსოფლიოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტრუქტურებთან ინტეგრაციას და ქვეყნებს შორის ეკონომიკურ თანამშრომლობას, ევროპასთან კავკასიის რეგიონის დაახლოებას და მის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას ისახავს მიზნად „ტრასეკას“ პროექტი; ამავე დროს, საქართველო არის ევროკავშირის პრეფერენციების გამომყენებელი ქვეყანა და მისი საბაჟო ტარიფი განვითარებული ქვეყნების ტარიფზე დაბალია.

თუ ევროკავშირთან ინტეგრაცია საქართველოს განვითარების სტრატეგიული მიზანია, სადღეისოდ იგი რეალურად მონაწილეობს დსთ-ში, სუუამსა და „ბისეკში“ მიმდინარე ინტეგრაციულ პროცესებში, რომელთაც თავ-თავიანთი უპირატესობები და ნაკლოვანებები აქვთ მსოფლიოს გლობალურ სივრცეში საქართველოს დამკვიდრების თვალსაზრისით.

დსთ-ში საქართველოს ეკონომიკის ინტეგრაციის პერსპექტიულობაზე მსჯელობისას, გასათვალისწინებელია ის, რომ ამ სივრცეში ფორმირებადი ბაზარი ერთნაირად მისაღებია ერთიან სანარმოო-კოოპერაციული და ტექნოლოგიების პრინციპებზე ფუნქციონირებადი მეურნეობების ბაზაზე ჩამოყალიბებული საბაზრო სუბიექტებისთვისაც. ეს განსაკუთრებით ეხება ნედლეულს, საქონლისა და მომსახურების ბაზრებს.

პროფესორი ნ. ჭითანავა მიუთითებს, რომ საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა, მისი ბუნებრივ-სანარმოო პირობები, ეკონომიკის ტექნოლოგიური წყობები, შესაბამისად, იმ წარმოებულ პროდუქციის ხარისხი და რაოდენობაც, რომლებზეც დსთ-ის ნევერ ქვეყნებშია მოთხოვნა, ლოგიკურად აყენებს საკითხს დსთ-ის როგორც ერთიანი ბაზრის პერსპექტივის შესახებ¹. დსთ-ის ტერიტორიაზე მოქმედი თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია, მეცნიერის აზრით, ერთ-ერთ ამოსავალ საწყისად შეგვიძლია მივიჩნიოთ ერთიანი ეკონომიკური სივრცის ჩამოყალიბების გზაზე; დსთ-ის ქვეყნებს აქვთ უნიკალური შესაძლებლობა, წარმატებით გადაწყვიტონ ენერგეტიკული პრობლემები, მოახდინონ მანქანათმშენებლობის, მსუბუქი მრეწველობისა და, განსაკუთრებით, აგროსამრეწ-

¹ ნ. ჭითანავა. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. III ნაწილი, თბ., 2001, გვ. 121-122.

ველო კომპლექსის განვითარების კოორდინირება და ა.შ. ამრიგად, დსთ-ის ქვეყნების ურთიერთხელსაყრელობის პრინციპებზე დაფუძნებული ეკონომიკური ინტეგრაცია ხელს შეუწყობს სტრატეგიული დარგების კომპლექსურად განვითარებას, ურთიერთხელსაყრელი საწარმოო-კოოპერაციული კავშირების დამყარებას, კაპიტალის, შრომის და საფინანსო ბაზრების ფორმირებას, რაც საბოლოოდ საბაზრო ურთიერთობათა სრულყოფას განაპირობებს.¹

დსთ-ის წევრი ქვეყნების ეკონომიკური განვითარების განსხვავებულობამ, მათი ინტერესების და საგარეო ორიენტაციის დაპირისპირებულობამ, წევრ ქვეყნებს შორის გამწვავებულმა წინააღმდეგობებმა და სხვა ფაქტორებმა მიმზიდველობა დაუქარგა ამ გაერთიანებას და გააძლიერა ცენტრიდანული ძალები. ეს ერთ-ერთი მიზეზი გახდა იმისა, რომ დსთ-ის ტერიტორიაზე გაჩნდა სუბრეგიონული გაერთიანებები: ცენტრალური აზიის კავშირი (ყაზახეთის, ყირგიზეთის, უზბეკეთის და ტაჯიკეთის მონაწილეობით), საბაჟო კავშირი (ბელორუსი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, რუსეთი და ტაჯიკეთი), ბელორუსი-რუსეთის კავშირი, სუუამი (საქართველო, უკრაინა, უზბეკეთი, აზერბაიჯანი, მოლდოვა). თუმცა ეს არ ნიშნავს დსთ-ის ამჟამინდელ წევრ ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკურ, კულტურულ და სხვა სახის ურთიერთობებში ადრე არსებული ტრადიციების უგულვებელყოფას.

მართლაც, თუ ჩამოყალიბებული ტენდენციით ვიმსჯელებთ, დსთ-ის ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განმტკიცებაც კი შეინიშნება. მაგალითად, 2002 წელს ამ ჯგუფის ქვეყნებში განხორციელებული ექსპორტი 1,8-ჯერაა გაზრდილი 1995 წლის მიმართ, იმავე პერიოდში მათგან იმპორტის ზრდამ კი 22,9% შეადგინა.²

დსთ-ის პერსპექტივა საერთოდ რუსეთზეა დამოკიდებული, რამდენადაც იგი მისთვის წარმოადგენს საბჭოთა კავშირის რეანიმაციის თავისებური იმედია და რუსეთის პოლიტიკურ სქემას წარმოადგენს. ამიტომ დსთ-ის ეფექტიანობა პირდაპირაა დაკავშირებული რუსეთის იმპერიული ამბიციურობის ხარისხთან. რუსეთის ასეთი პოლიტიკა აშკარა ბარიერია ყოფილი საბჭოთა სივრცისა და პირველ რიგში თვით რუსეთისათვის. დსთ დღეს აშკარად ვერ პასუხობს დროს.

სუუამი ერთადერთი სუბრეგიონული ორგანიზაციაა ყოფილი

¹ დასახელებული ნაშრომი. გვ. 123-124.

² საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული. 2003. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. თბ., 2004, გვ. 299.

საბჭოთა კავშირის სივრცეში, რომელსაც აშკარად გამოკვეთილი პროდასავლური და ევროატლანტიკური ორიენტაცია აქვს. შედეგად, დასავლეთის ქვეყნების, განსაკუთრებით კი – აშშ-ის მიერ ამ სუბრეგიონის განვითარების მხარდაჭერა შექმნის ევროკავშირისა და ნატოს ახალ საზღვარს აღმოსავლეთში, რომელიც იქნება არა „ბუფერული ზონა“, არამედ სტაბილური სუბრეგიონი, რომელიც ევროპული უსაფრთხოების მხარდაჭერას ესწრაფვის.

ექსპერტთა აზრით, ამ დაჯგუფების პოზიციების განმტკიცების მიზნით, სუუამი ცდილობს მასში უფრო ძლიერი ქვეყნების მოზიდვას. შესაძლო კანდიდატებს შორის ყველაზე უფრო მიმზიდველია პოლონეთი, რომელიც უკრაინის სტრატეგიული პარტნიორია, მონაწილეობს აშშ-უკრაინა-პოლონეთის სამმხრივ თავდაცვაზე ორიენტირებულ ჯგუფში და, ამავე დროს, იზიარებს სუუამის წევრების წინაშე არსებულ პრობლემებს. ეს ქვეყანა ნატოს წევრია და ესაზღვრება უკრაინას. მეორე სავარაუდო წევრია რუმინეთი, რომელიც, ჯერ ერთი, მოლდოვას ესაზღვრება და, მეორეც, საქართველო მას (ბულგარეთთან ერთად) მეზობლად განიხილავს შავი ზღვისპირეთში. ეს ქვეყანა ძალიან არის დაინტერესებული მის ტერიტორიაზე კასპიის რესურსების ტრანზიტით. ამიტომ სუუამში მისი განევრიანება ზრდის რუმინეთის სატრანზიტო ქვეყნად გადაქცევის შანსებს. ამის გათვალისწინებით რუმინეთმა უკვე გამოთქვა სუუამ-ში შესვლის სურვილი.¹

რაც შეეხება შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციაში – „ბისეკი“ (ალბანეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, ბულგარეთი, საბერძნეთი, მოლდოვა, რუმინეთი, რუსეთი, თურქეთი, უკრაინა) საქართველოს ინტეგრირებას, ამან ხელი უნდა შეუწყოს ევროკავშირში მისი განევრიანების დაჩქარებას და „ტრასეკას“ (სატრანსპორტო არხი, ევროპა – კავკასია – აზია) პროექტის განხორციელებას, რადგან, ჯერ ერთი, შავი ზღვის რეგიონი დასავლეთ ევროპის ქვეყნების მნიშვნელოვანი ბაზარია, მეორეც, რეგიონი ენერგორესურსების სატრანზიტო სივრცეა. მაგრამ „ბისეკის“ სივრცე ეკონომიკური და პოლიტიკური არასტაბილურობით გამოირჩევა. ამიტომ ამ დაჯგუფებაში საქართველოს მონაწილეობის პერსპექტივა და შედეგი დამოკიდებული იქნება მისსავე ძალისხმევაზე ამ გაერთიანების ერთობლივი პროექტების განხორციელებაში.

¹ მ. კომახია. სუუამი – შექმნის ისტორია და განვითარების პერსპექტივები. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ბიულეტენი № 69, 2002, გვ. 22- 23.

2.3. პოლიტიკური გარემოს გავლენა ეკონომიკურ გლობალიზაციაზე

ეკონომიკური გლობალიზაცია არსებით გავლენას ახდენს გეოპოლიტიკაზე, ცალკეულ სახელმწიფოთა თანამშრომლობასა და დაპირისპირებაზე.

გლობალიზაციას რადიკალური ცვლილებები შეაქვს ეროვნულ სახელმწიფოთა მდგომარეობაში, მათ მიერ პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში. როგორც უკვე მივუთითებდით, განვითარების თანამედროვე პირობებში სულ უფრო ძლიერდება პოლიტიკის ეკონომიზაციის პროცესი, როდესაც სტრატეგიული განვითარების ვექტორი პოლიტიკური და იდეოლოგიური მეთოდებიდან ეკონომიკურ მეთოდებზე გადააქვთ და სწორედ ეკონომიკური მეთოდების გამოყენებით აღწევენ ცალკეული ქვეყნებისა თუ მათი ალიანსების პოლიტიკურ მიზნებს. ეს პროცესი დღეს მჭიდროდ უკავშირდება დიპლომატიური კორპუსის ეკონომიკურად აზროვნების გაძლიერებას.

ნიშანდობლივია, რომ უ. ბეკი ეკონომიკურ გლობალიზაციას უწოდებს იმათ ხელში მოქცეულ პოლიტიკურ პროექტს, ვინც ნეოლიბერალურ ეკონომიკურ პოლიტიკას ატარებს¹.

არანაკლებ შესამჩნევია პოლიტიკური გარემოს გავლენა გლობალიზაციის პროცესებზე. ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ გეოპოლიტიკურ სივრცეში მიმდინარე პროცესები გლობალიზაციის სანინაალმდეგოა. მართლაც, XX საუკუნის მეორე ნახევარში კოლონიური იმპერიებისა და ფედერაციული სახელმწიფოების დაშლისა და რღვევის ერთ ტალღას მეორე მოსდევდა, რის შედეგადაც ახალი და ახალი სახელმწიფოები ყალიბდებოდა. თუმცა, დეზინტეგრაციული პოლიტიკური პროცესების სიუხვის მიუხედავად, აქაც თვალში საცემი იყო გლობალიზაციის ტენდენციები. თავდაპირველად მათ თავი იჩინეს ძალის იმ ორი ცენტრის, ორი გეოპოლიტიკური ბლოკის წარმოქმნასა და ჭიდილში, რომლებსაც აშშ და სსრკ ედგნენ სათავეში.

სოციალიზმის მსოფლიო სისტემისა და სსრკ-ის დაშლის შემდეგ გეოპოლიტიკური გავლენის ცენტრი კიდევ უფრო შევიწროვდა. აშშ-ებმა განაცხადი გააკეთა მონოცენტრულ მსოფლიოზე და თითქმის მთელი მსოფლიო თავისი სტრატეგიული ინტერესების ზონად გამოაცხადა. ასეთ პირობებში, საფიქრებელია, რომ კვლავ

¹ У. Бек. Что такое глобализация. Ошибки глобализма - ответы на глобализацию. Пер. с нем. "Прогресс - Традиция", М., 2001. с. 210.

გაძლიერდება მრავალპოლუსიანი მსოფლიოს ტენდენციები და ვერც ერთი ქვეყანა, ვერც ერთი ცენტრი ველარ განახორციელებს თავის სტრატეგიულ ამოცანებს რთული და მერყევი გეოპოლიტიკური ნონასნორობის, მრავალმხრივი პოლიტიკური კავშირებისა და დამოკიდებულებების გაუთვალისწინებლად.

ამ თვალსაზრისით საყურადღებო მოსაზრებას გამოთქვამს ს. პანტინგტონი. მას მიაჩნია, რომ დღევანდელ მსოფლიოში ერთი ზესახელმწიფოს არსებობა მსოფლიოს უნიპოლარულობას არ ნიშნავს და იგი თანამედროვე საერთაშორისო სისტემას თავისებურ უნი-მულტიპოლარულ სისტემად განიხილავს: ერთი „ზე“ – და რამდენიმე ძლიერი სახელმწიფოთი. „რა თქმა უნდა, დღეს ზესახელმწიფო არის აშშ, რომელსაც სამხედრო, იდეოლოგიურ, ტექნოლოგიურ და კულტურულ სფეროებში კონკურენტი არ ჰყავს. ამერიკას ასევე მოეპოვება სათანადო საშუალებები, რომ მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში განახორციელოს და დაიცვას თავისი ეროვნული ინტერესები. შემდეგი საფეხური უჭირავთ მსხვილ რეგიონულ ძალებს, რომელთაც არ შესწევთ თავიანთი ინტერესებისათვის გლობალური მასშტაბების მინიჭების უნარი. ასეთ სახელმწიფოებს ევროპაში მიეკუთვნება გერმანია და საფრანგეთი, ევრაზიაში – რუსეთი, აღმოსავლეთ აზიაში – ჩინეთი და, პოტენციურად – იაპონია, სამხრეთ აზიაში – ინდოეთი, სამხრეთ-დასავლეთ აზიაში – ირანი, ლათინურ ამერიკაში – ბრაზილია, აფრიკაში კი – ნიგერია და სამხრეთ აფრიკა. მესამე საფეხურზე განლაგებულნი არიან მეორეხარისხოვანი რეგიონული ძალები, რომელთა ინტერესები ხშირად წინააღმდეგობაში მოდიან უფრო ძლიერი რეგიონული სახელმწიფოების ინტერესებთან. ასეთებად შეგვიძლია მოვიაზროთ დიდი ბრიტანეთი გერმანიასა და საფრანგეთთან დამოკიდებულებაში, უკრაინა – რუსეთთან, იაპონია – ჩინეთთან, სამხრეთ კორეა – იაპონიასთან, პაკისტანი – ინდოეთთან, საუდის არაბეთი – ირანთან, არგენტინა კი – ბრაზილიასთან მიმართებაში“.¹

მსოფლიოში დღეს არსებული ვითარება, ს. პანტინგტონის აზრით, მხოლოდ რამდენიმე ათწლეულს გასტანს, შემდეგ კი იგი ნამდვილ მულტიპოლარულ სისტემას დაუთმობს ადგილს. ამას განაპირობებს ზესახელმწიფოს მიერ უნიპოლარული მსოფლიოს შექმნის მცდელობის დროს დიდი სახელმწიფოების მხრიდან გამოხატული წინააღმდეგობები.

მართალია, ამჟამად აშშ პრეტენზიას აცხადებს ერთპოლარუ-

¹ სამუელ ფ. პანტინგტონი. პოლიტიკური სტატიები. თბ., 2001, გვ. 98-99.

ლი მსოფლიოს ბატონ-პატრონის როლზე, მაგრამ, როგორც ზ. ბეუ-ზინსკი აცხადებს, „მსოფლიო პოლიტიკაში ბოლოს და ბოლოს სულ უფრო უჩვეულო გახდება ძალაუფლების კონცენტრაცია ერთი სახელმწიფოს ხელში. მაშასადამე, აშშ გლობალური მასშტაბის მქონე არა მარტო პირველი და ერთადერთი, არამედ, უფრო საფიქრებელია, უკანასკნელი ზესახელმწიფოც კი არის“.¹ სხვა დიდ თეორეტიკოსებს კი მიაჩნიათ, რომ დასავლეთის ლიდერობის დრო საერთოდ მიდის და შემოქმედებითი ლიდერობის ცენტრი სულ უფრო ინაცვლებს აღმოსავლეთისაკენ. მომავალში ისტორიის დიდ „სპექტაკლებში“ ენთება არა მარტო ერთი ევროამერიკული ვარსკვლავი, არამედ ინდოეთის, ჩინეთის, იაპონიის, რუსეთის, არაბული ქვეყნების და სხვა კულტურებისა და ხალხების რამდენიმე ვარსკვლავი. ეს ეპოქალური ტენდენცია უკვე მოქმედებს და დღითიდღე იზრდება“.²

გასულ საუკუნეში ცალკეული ცივილიზაციების პოლიტიკური კონტროლის დინამიკა 2.3-1 ცხრილშია ნაჩვენები.

ცხრილი 2.3-1

ცივილიზაციების პოლიტიკური კონტროლის
დინამიკა XX საუკუნეში (%)

წლები	დასავლური	მართლ-დასლური	ისლამური	ჩინური	ინდური	იაპონური	ლონონ-აპერიული	აფრიკული	დანარჩენი
ცივილიზაციის კონტროლქვეშ არსებული ტერიტორია									
1900	38,7	16,6	6,8	8,2	0,1	0,3	14,7	0,3	14,3
1920	48,5	19,5	3,5	7,5	0,1	0,5	15,4	0,8	4,3
1971	24,4	19,7	17,5	7,5	2,5	0,3	14,9	8,8	4,4
1993	24,2	13,9	21,1	7,5	2,4	0,3	14,9	10,8	5,2
ცივილიზაციის კონტროლქვეშ არსებული მოსახლეობა									
1900	44,3	8,5	4,2	19,3	0,3	3,5	3,2	0,4	16,3
1920	48,1	13,9	2,4	17,3	0,3	4,1	4,6	0,7	8,6
1971	14,4	10,0	13,0	22,8	15,2	2,8	8,4	5,6	5,5
1990	14,7	6,5	13,4	24,3	16,3	2,3	9,2	8,2	5,1
1995	13,1	6,1	15,9	24,0	16,4	2,2	9,3	9,5	3,5

წყარო: Huntington S.P. The Clash of Civilizations and the Remaking of World Order. N.Y.: Simon and Shuster, 1996, P. 84-85.

¹ З. Бжезинский. Великая шахматная доска. М., "Международные отношения", 1998, с. 248.

² П. А. Сорокин. Главные тенденции нашего времени. М. "Наука", 1997, с. 94.

ჩვენ დროს ახასიათებს ლოკალური ცივილიზაციების პოლიტიკური თვითშეგნების გაძლიერება და მათი ჭიდილის როგორც XXI საუკუნის გეოპოლიტიკის ძირითადი წყალგამყოფის დაწყება. ყველაზე მკაფიოდ ეს პრობლემა ს.ჰანტინგტონმა დასვა¹.

გლობალიზაციის ტენდენციების გვერდით აუცილებელია გამოყოფთ ყოველი ცივილიზაციის კონსოლიდაციის და გეოპოლიტიკურ ურთიერთობათა დინამიკაში მათი როლის გაძლიერების გრძელვადიანი ტენდენცია. ისინი სულ უფრო აქტიურად მონაწილეობენ სამხედრო – პოლიტიკური კავშირების ფორმირებაში, საერთაშორისო კონფლიქტების გაჩენასა და მათ მოგვარებაში.

უნიპოლარული სისტემით უკმაყოფილებას აშკარად ავლენს ქვეყნების უმრავლესობა. ჩინეთი, რუსეთი, არაბული და აფრიკის ქვეყნები ზესახელმწიფოს თავიანთი სუვერენიტეტის წინააღმდეგ მიმართულ საფრთხედ განიხილავენ. ინდოეთისათვის, მაგალითად, აშშ უმთავრეს პოლიტიკურ და დიპლომატიურ საფრთხედ აღიქმება; რუსეთისათვის მიუღებელია მისი ე.წ. იძულებითი თანამშრომლობის პოლიტიკა (ამერიკის ჰეგემონობით), ჩინეთისთვის კი – აშშ-ის ჰეგემონიზმი და ძალისმიერი პოლიტიკა, რომელიც სოციალისტური და განვითარებადი ქვეყნების დასუსტებისა და დეზინტეგრაციისკენაა მიმართული; არაბულ ქვეყნებს ამერიკა ბოროტ ძალად მიაჩნიათ, იაპონიისთვის კი იგი მეორე საშიში ქვეყანაა ჩრდილოეთ კორეის შემდეგ.

როდესაც სისტემით უკმაყოფილება საკმაოდ სერიოზულია, ჩნდება ანტიჰეგემონური კოალიციები. ამის მაგალითია გერმანიის, საფრანგეთისა და რუსეთის ლიდერების შეხვედრა (თვით ამერიკის უახლოესი მოკავშირის – დიდი ბრიტანეთის გარეშე), აგრეთვე, რუსეთ-ჩინეთისა და ჩინეთ-ინდოეთის ორმხრივი შეხვედრები; ნიშანდობლივია, ასევე, ირანის მხრიდან ურთიერთობების მონქსრიგების მცდელობა ერაყსა და საუდის არაბეთთან და ირანში ისლამური კონფერენციის ორგანიზაციის წარმატებით დასრულებული შეხვედრა; გამორიცხული არაა რუსეთ-ჩინეთ-ინდოეთის „სამკუთხედის“ გაჩენა, რომელსაც ამერიკის ძალის გადანონის უნარი ექნება.

ანტიჰეგემონურ ალიანსებს შორის დღემდე ყველაზე უფრო ანგარიშგასანევი ძალა მაინც ევროკავშირია, თუმცა ფართომასშტაბიანი კოალიციის ჩამოყალიბება, როგორც ჩანს, მომავალშია მოსალოდნელი.

აუცილებელია 2005 წელს ევროკავშირის კონსტიტუციის მი-

¹სამუელ ფ. ჰანტინგტონი. პოლიტიკური სტატიები. თბ., 2001, გვ.24.

ლებასთან დაკავშირებული სარეფერენდუმო შედეგებიდან გამომდინარე კრახის მიზეზების გაანალიზება და კორექტივები ევროინტეგრაციის სქემაში.

არსებობს რამდენიმე ანგარიშგასანევი ფაქტორი, რომლებიც მძლავრი ანტიჰეგემონური კოალიციის შექმნას უშლის ხელს. რუსეთისა და ჩინეთის შემთხვევაში ესაა პარტნიორობაში იერარქიულობის პრობლემა; სხვა ძლიერი რეგიონული სახელმწიფოების შემთხვევაში – ზესახელმწიფოს „გუნდში ყოფნა“ მეორეხარისხოვანი რეგიონული ძალების დასამარცხებლად; მეორეხარისხოვანი რეგიონული ძალების შემთხვევაში – ზესახელმწიფოსთან მათი ინტერესების დამთხვევა ძლიერ მეზობელთან მიმართებაში; ხშირ შემთხვევებში ესაა კულტურული სხვადასხვაობები, დიდ სახელმწიფოებს შორის არსებული უნდობლობა და შუღლი, რაც ქმედითი ანტიჰეგემონური კოალიციის შექმნის საშუალებას არ აძლევს მათ.

აღსანიშნავია, რომ ზესახელმწიფოც, თავის მხრივ, ადეკვატურად რეაგირებს ამა თუ იმ რეგიონში მისადმი დაპირისპირებული ალიანსების შესაძლო აღმოცენებაზე. ცნობილია, რომ ამერიკამ ერთგვარი გაფრთხილება მისცა ჩინეთს, როდესაც იაპონიასთან ქჭიდრო სამხედრო კავშირი დაამყარა და იაპონიის მოკრძალებული სამხედრო შესაძლებლობები გააძლიერა. ამავე დროს, ამერიკის განსაკუთრებული ურთიერთობა დიდ ბრიტანეთთან ერთგვარად ანონასწორებს ძლიერ ევროკავშირს. ანალოგიურად, ამერიკა ცდილობს მჭიდრო კავშირები იქონიოს უკრაინასთან, რათა არ დაუშვას რუსეთის ძლიერების ექსპანსია. რაც შეეხება ლათინურ ამერიკას, აქ ბრაზილიის გაძლიერებას აშშ-სა და არგენტინას შორის ურთიერთობების გაუმჯობესება მოჰყვა და არგენტინა აშშ-ის სტრატეგიულ მოკავშირედ იქცა. ამავე ლოგიკას იყენებს აშშ-ები საუდის არაბეთთან თანამშრომლობის დროს, რათა სპარსეთის ყურეში ირანის ბატონობას მოუღოს ბოლო. გრძელდება პაკისტანთან ურთიერთობების გაუმჯობესების მცდელობაც სამხრეთ აზიაში ინდოეთის გაძლიერების დასაბალანსებლად და ა.შ. ყველა ამ შემთხვევაში თანამშრომლობა ემსახურება ერთ საერთო ინტერესს – შემცირდეს მსხვილი რეგიონული ძალების გავლენა რეგიონებზე.

გლობალური ლიდერობა დიდ ხარჯებსა და რისკს უკავშირდება, მრავალი ამერიკელი კი ვერ ხედავს ამ მიზნით რესურსების ხარჯვის აუცილებლობას. უმრავლესობას მიაჩნია, რომ დასავლეთ ევროპაში, აზიაში, მექსიკასა თუ კანადაში მიმდინარე მოვლენები რაიმე არსებით გავლენას ვერ ახდენს მათ ცხოვრებაზე. მათგან განსხვავებით, საქართველოს მსგავსი მცირე ქვეყანა (მით უმეტეს,

მისი გეოპოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით) გაცხოველებულ ინტერესს იჩენს დიდ არენაზე მიმდინარე პროცესებისა და მათი განვითარების პროგნოზების მიმართ.

აქედან გამომდინარე, ჩვენ მომზადებული უნდა ვხვდებოდეთ პოლიტიკური გარემოს შეცვლას, რაც შესაძლოა მოჰყვეს ამერიკის ურთიერთობების მოსალოდნელ გამწვავებას ძლიერ რეგიონულ სახელმწიფოებთან. თუმცა, არსებული პროგნოზის თანახმად, მას რთული პრობლემები არ უნდა შეექმნას ევროკავშირთან და ბრაზილიასთან. გარდა ამისა, მეორეხარისხოვანი რეგიონული ძალებიდან აშშ, ეტყობა, გაცილებით უკეთეს ურთიერთობებს შეინარჩუნებს მსგავსი კულტურის მქონე ქვეყნებთან (დიდი ბრიტანეთი, არგენტინა, უკრაინა), ვიდრე განსხვავებული კულტურისა (იაპონია, საუდის არაბეთი, სამხრეთ კორეა, პაკისტანი და ა.შ.).

შეცვლილი პოლიტიკური გარემო დიდ გავლენას ახდენს ეკონომიკურ გლობალიზაციაზე. მაგალითად, მოსკოვის ნეოიმპერიალისტური ტენდენციების გაძლიერების პირობებში შემთხვევითი არ იყო რუსეთის სამხრეთით სუუამის ჯგუფის შექმნა როგორც იმ პოლიტიკური, ეკონომიკური და სტრატეგიული ალიანსისა, რომელმაც მიზნად დაისახა თავისი წევრი ქვეყნების დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის განმტკიცება. ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო არხის განვითარებით ეს ალიანსი რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობის გაფართოებას და ევროკავშირთან დაახლოებას ცდილობს, პერსპექტივაში კი განზრახული აქვს ინტეგრაცია ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში.

სუუამის ინტეგრაციის გაღრმავების სერიოზული ფაქტორი, კასპიის აუზისა და ევროპის დამაკავშირებელი სატრანსპორტო მაგისტრალის დაფუძნებასთან ერთად, არის მისი წევრების საერთო წინააღმდეგობა დსთ-ში რუსეთის ჰეგემონობისადმი. ამასთან, ინტეგრაციის გაღრმავების ქვაკუთხედი ა ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობები, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი გახდება ახლო და შორეული მიზნების დასახვა. მათგან აღსანიშნავია სუუამის ფარგლებში მიმდინარე ეკონომიკური თანამშრომლობის გააქტიურება, თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნა და ამოქმედება, „აბრუშუმის გზის“ როგორც პანევროპული ეკონომიკური პროექტის აღორძინება, ევროპის ეკონომიკურ სივრცეში სუუამის წევრი ქვეყნების ინტეგრაციისთვის კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა და ევროკავშირთან სუუამის პარტნიორობის სტრატეგიის განვითარება.

სუუამის (თავდაპირველად, სუამის, ვიდრე უზბეკეთი შეუერთ-

დებოდა) დაარსება იმთავითვე არასასურველი მოვლენა იყო რუსეთისათვის. დსთ-სგან განსხვავებით, სადაც რუსეთი ჰეგემონის როლის შესრულებას ცდილობს, იგი სუუამში საერთოდ არ მონაწილეობს და ამიტომ საკუთარი ინტერესების საპირისპიროდ განიხილავს ამ დაჯგუფებას. მართალია, რუსეთმა ერთხელ უკვე მოითხოვა ალიანსში შესვლა, მაგრამ მისი ეს მოთხოვნა არ დააკმაყოფილეს, რადგან ამ შემთხვევაში ალიანსი პრორუსულ ორიენტაციას შეიძენდა და ამით თვით სუუამ-ის არსებობა აზრს დაკარგავდა.

სუუამისადმი რუსეთის ხელისუფლების აგრესიულ დამოკიდებულებას სამი მიზეზით ხსნიან: პირველი, რუსეთი სუუამ-ს დსთ-ში თავისი ჰეგემონობის საფრთხედ განიხილავს. ალიანსი კიდევ ერთი-ორი წევრით რომ გაიზარდოს, მაშინ იგი დსთ-ში რუსეთის ძალას გადასწონის და საფრთხეს შეუქმნის მოსკოვის გავლენას მეზობლებზე. რუსეთი შიშობს, რომ თუკი სუუამის წევრები შეძლებენ თანამშრომლობას, მაშინ რუსეთს გაუჭირდება მათი დამორჩილება და მათ წინააღმდეგ ღონისძიებების გატარება. მეორე მიზეზია სუუამში იმ ქვეყნების გაერთიანების პერსპექტივა, რომლებიც ადრე არც სსრკ-ის წევრები იყვნენ და არც საერთოდ საბჭოთა ბლოკისა. აქ ითვალისწინებენ ე.წ. „შანხაის ექვსეულს“, რომელიც შესაძლოა პეკინმა ცენტრალურ აზიაში „ჩინეთის დსთ-ად“ გადააქციოს და საკუთარ ორბიტაზე გადაიყვანოს.

ამგვარად, თუკი სუუამში თურქეთი განეწვრიანდა, მაშინ გამორიცხული არაა, რომ რუსეთის სამხრეთ საზღვარზეც ანალოგიური პროცესები წარიმართოს. მესამე მიზეზი ისაა, რომ დასავლეთის მხარდაჭერის შემთხვევაში შესაძლებელია ამ რეგიონული ალიანსის წევრი ქვეყნების ტრანსფორმირება დასავლური მოდელის მიხედვით და ამით მათი გამოყვანა რუსეთს დაქვემდებარებული პოსტსაბჭოთა სივრციდან.

აღნიშნული მოვლენების შესაკავებლად და სუუამზე ზემოქმედების მოსახდენად რუსეთს მრავალი ბერკეტი აქვს ხელთ, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია გაზის მინოდება (უკრაინა, მოლდოვა, საქართველო), სავიზო რეჟიმი (აზერბაიჯანი, საქართველო) და სამხედრო ბაზები (მოლდოვა, საქართველო, უკრაინა). რაც შეეხება ფარულ იარაღს სუუამის წინააღმდეგ, ესაა ე.წ. „ანტისუუამის ჯგუფი“ (დნესტრისპირეთი, აფხაზეთი, სამაჩაბლო და მთიანი ყარაბაღი), რომელსაც რუსეთი მფარველობს.

სუუამის წინააღმდეგაა მიმართული, აგრეთვე, რუსეთის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, ბელორუსისა და ტაჯიკეთის შეთანხმება ახალი ორგანიზაციის დაარსების შესახებ „ყოფილ საბჭოთა სივრცე-

ში რეალური ინტეგრაციის“ პროცესებისათვის ხელშესაწყობად. ამით მივიღეთ დასავლეთზე ორიენტირებული სუუამი და რუსეთზე ორიენტირებული თანამეგობრობა. ამგვარი ტენდენციების გაძლიერება დსთ-ის დეზინტეგრაციის მაჩვენებელია, რაც მისი დაშლითაც კი შეიძლება დასრულდეს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სუუამი მკვეთრად გამოხატავს პროდასავლურ და ევროატლანტიკურ ორიენტაციას. თავის მხრივ, დასავლეთსა და, განსაკუთრებით – აშშ-ებს სურთ, რომ სუუამი ანგარიშგასაწევ ძალად გადაიქცეს და რუსეთის გარშემო ძლიერ პროდასავლური ზონა შექმნას. მაგრამ ორგანიზაციის წევრი ქვეყნების სისუსტე ხელს უშლის სუუამის განვითარებას ერთ მთლიან ორგანიზმად, ვიდრე არ განხორციელდება სერიოზული შიდა რეფორმები და არ იქნება დასავლეთის სერიოზული მხარდაჭერა. თუ ყველაფერ ამას გავითვალისწინებთ და, თანაც ანგარიშს გავუწევთ მსოფლიოში დღეს მიმდინარე პროცესებს, აგრეთვე, რუსეთის და მის ორბიტაში მოქცეული ქვეყნების „ანტისუუამისტურ“ ქმედებებს, შეგვიძლია ისიც ვივარადოთ, რომ ამ დაჯგუფებამ ველარც კი მოახერხოს არსებობის გაგრძელება.

ამის საპირისპიროდ, თანამედროვე მსოფლიოში იმგვარი პოლიტიკური მოვლენებიც ვითარდება, რომლებმაც შესაძლოა გამოკვეთონ სუუამის როლი და პოზიტიური გავლენა იქონიონ ამ ალიანსის მომავალზე. საქმე ეხება ანტიტიერორისტულ კამპანიაში ამ დაჯგუფების მონაწილეობას, რომლის წევრი ქვეყნებიც მათთვის მომგებიან გეოგრაფიულ სივრცეში აღმოჩნდნენ. დასავლეთისთვის მეტად ხელსაყრელ ამ სივრცეში, მართალია, ერთგვარი დისონანსი თურქმენეთს შეაქვს, მაგრამ პრობლემას აიოლებს ის გარემოება, რომ სამაგიეროდ აშშ-ის ანტიტიერორისტულ კამპანიას რუსეთთან შეთანხმების გარეშე დაუჭირა მხარი (ყირგიზეთისა და ტაჯიკეთისგან განსხვავებით) ყაზახეთმა. გარდა ამისა, ერთი მხრივ, აშშ-სა და უზბეკეთს შორის დანყებული სტრატეგიული პარტნიორობა და ამერიკიდან ამ ქვეყანაში შემოსული ფინანსური და სამხედრო დახმარება, ხოლო, მეორე მხრივ, რუსეთის გავლენის შესუსტების მიზნით უკრაინასთან აშშ-ის დაახლოების მცდელობა შესაძლოა სასიკეთოდ აისახოს სუუამის მომავალზე.

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე მასშტაბური მოვლენები გეოპოლიტიკურ იერსახეს უცვლის მთელ პლანეტას. საბჭოთა კავშირის დემონტაჟი, გაეროს კრიზისი, ჩინეთის აღორძინება და ინდოეთის აღმავლობა, ევროპის აღმშენებლობა და ამ რანგის მქონე სხვა მოვლენები გადამწყვეტ გავლენას ახდენს მსოფლიო

პოლიტიკურ ცხოვრებაზე. ეს, თავის მხრივ აძლიერებს გლობალიზაციის პროცესს, აჩქარებს მსოფლიოს ერთიანი ეკონომიკური, ფინანსური, კულტურულ-იდეოლოგიური და საინფორმაციო სივრცის ჩამოყალიბებას.

გავრცელებული მოსაზრების თანახმად, სულ უფრო იშლება ეროვნულსა და ინტერნაციონალურს შორის არსებული ზღვარი. ყველა ქვეყანა დღითიდღე სულ უფრო ნათლად გრძნობს მსოფლიო ინტეგრაციული ტენდენციების გავლენას.

საკამათოდ არ ვხდით იმ აზრს, რომ გლობალიზაცია ობიექტური და შეუქცევადი პროცესია და მასში ადრე თუ გვიან ყველა ქვეყანას მოუწევს მონაწილეობა, მაგრამ აქ მთავარია, თუ რა პირობებში მოხდება ეს მონაწილეობა და რა „სტატუსით“ ჩაერთვება ქვეყანა გლობალურ ეკონომიკურ ორგანიზმში.

ამ კონტექსტში, ვფიქრობთ, უპრიანია ვისაუბროთ გლობალიზაციისა და ინტეგრაციის ობიექტურ და არაობიექტურ პროცესებზე და ყურადღება გავამახვილოთ ჩინეთის საჭირობოროტო ისეთ პრობლემაზე, რომელსაც თამამად შეგვიძლია ვუნოდოთ „თავსმხვეული“ ან „იძულებითი“ ინტეგრაცია. საქართველოსთვის ეს პრობლემა ყველაზე უფრო მწვავედ დგას რუსეთთან მიმართებაში. ბუნებრივია, არსებული პოტენციალის გამოყენებით რუსეთი ცდილობს ღირსეული ადგილი დაიმკვიდროს შრომის დანაწილების საერთაშორისო სისტემაში. ამ კუთხით მის წინაშე ამჟამად დგას ორი მთავარი ამოცანა: ერთი, მრავალმხრივი ურთიერთობების განმტკიცება ევროკავშირთან და მეორე, ყოველმხრივი ინტეგრაცია დსთ-ის ფარგლებში.

როგორც ცნობილია, ევროკავშირი ნიმუშია იმისა, თუ, როგორ შეიძლება გამოვიყენოთ გაერთიანება და საერთაშორისო ინტეგრაციის პოტენციალი ეკონომიკური განვითარების დასაჩქარებლად. ამიტომ რუსეთში მიაჩნიათ, რომ ევროკავშირთან უფრო მჭიდრო ეკონომიკური სიახლოვე და სამეურნეო საქმიანობის მთელ რიგ სფეროებში ევროპული სტანდარტების დანერგვა დიდ სარგებლობას მოუტანს მას. თავის მხრივ, ევროკავშირიც სერიოზულადაა დაინტერესებული რუსეთთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობით. მოსალოდნელია ინვესტიციების ზრდა ნახშირწყალბადების მოპოვებასა და ტრანსპორტირებაში, რაც უფრო სტაბილურს გახდის ევროპის ბაზარზე ნავთობისა და გაზის მიწოდების რეჟიმს და განამტკიცებს სტაბილურობას ევროპის კონტინენტზე. გარდა ამისა, საყურადღებოა მთელი რიგი ინფრასტრუქტურული პროექტების რეალიზაცია, რომლებიც ეხმაურება ევროკავშირის პოლიტი-

კას საერთაშორისო სატრანსპორტო არტერიების განვითარების ნაწილში, თანამშრომლობის გაფართოება მაღალი ტექნოლოგიების დარგში, რაც შესაძლებელს გახდის რუსეთის სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის სრულად გამოყენებას. ამ შემთხვევაში რუსეთის და ევროკავშირის ინტერესები ემთხვევა ერთმანეთს.

ამასთან, ევროკავშირი რუსეთის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია. ამ გაერთიანების ქვეყნებზე დღეს უკვე მოდის რუსეთის სავაჭრო ბრუნვის 35%. მალე, როდესაც ევროკავშირი კიდევ უფრო გაფართოვდება, შესაძლოა ამ მაჩვენებელმა 50%-ს მიაღწიოს. ამის გათვალისწინებით, რუსეთის მთავრობა პრიორიტეტულ მნიშვნელობას ანიჭებს ვაჭრობის განვითარებას ევროპის ქვეყნებთან და ცდილობს, რომ მათ აღიარონ რუსეთის ეკონომიკის საბაზრო სტატუსი და გააუქმონ მის საექსპორტო საქონელზე დანესებული დისკრიმინაციული ღონისძიებები. ამიტომ შემთხვევით არ იყო, რომ რუსეთ-ევროკავშირის 2001 წლის სამიტიზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა რუსეთისა და ევროკავშირის ერთიანი ეკონომიკური სივრცის ჩამოყალიბების აუცილებლობაზე.¹

მიგვაჩნია, რომ სწორედ ამგვარ პროცესებთან დაკავშირებითაა შესაძლებელი საუბარი ობიექტურ (ბუნებრივ) ინტეგრაციასა და გლობალიზაციაზე. თუმცა, როგორც ოფიციალურ რუსეთს მიაჩნია, ასეთი სივრცის ფორმირების სტრატეგია სრულყოფილი ვერ იქნება მისი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილის – დსთ-ის გარეშე.

რუსეთში ზოგიერთი ღრმად და დარწმუნებული იმაში, რომ მსოფლიო მეურნეობაში ყოფილი საბჭოთა კავშირის სახელმწიფოების ყველაზე ეფექტიანი ინტეგრაცია დსთ-ის პოზიციებიდანაა შესაძლებელი. როგორც ისინი ფიქრობენ, გაცილებით ლოგიკური იქნება, თუ თანამეგობრობის ქვეყნები, რომლებსაც „ერთმანეთთან აკავშირებს ათასობით ეკონომიკური, ფინანსური და სულიერი ძაფები, საერთო ისტორია, კულტურული და რელიგიური ფასეულობები“, შეინარჩუნებენ ამ პოტენციალს და თავდაპირველად დსთ-ის შიგნით ინტეგრაციული მშენებლობისათვის გამოიყენებენ მას, შემდეგ კი „ამ სოლიდურ საფუძველზე“ გაატარებენ გლობალიზებად მსოფლიოში შესვლის ხაზს, უკვე როგორც მისი სრულყოფილებიანი წევრები.²

ამ ე.წ. „რწმენაში“ ბევრი რამაა ნიშანდობლივი. პირველ რიგში, მასში გამოსჭვივის რუსული იმპერიალიზმის დაგვიანებული

¹ „Вестник Межпарламентской Ассамблеи“, №4(31), С.-Пб, 2001, с. 13.

² დასახელებული ნაშრომ. С. 102.

სინანული იმის გამო, რომ ბალტიისპირეთის სამი ქვეყანა უკვე სამუდამოდ ჩამოშორდა პოსტსაბჭოურ სივრცეს და ისინი თავიანთ პოტენციალს ვეღარ „მოახმარენ“ დსთ-ის შიგნით მიმდინარე ინტეგრაციულ მშენებლობას. მეორე, ეტყობა დსთ არც ისე სოლიდური საფუძველია გლობალიზებად მსოფლიოში შესასვლელად, რაკი ამის ასე წარმოჩენას საგანგებოდ ცდილობენ მოსკოვში. მესამე, ასევე გაზვიადებულია „ათასობით ძაფების“ და „საერთო ფასეულობების“ არსებობაზე მინიშნება, რადგანაც ამგვარი მართლაც სოლიდური ფაქტორების არსებობა თავისთავად უბიძგებს ქვეყნებს ინტეგრაციისკენ (სადაც ისინი რეალურად არსებობს, მაგალითად, ევროპაში). დსთ-ის სივრცეში კი, ვფიქრობთ, უფრო ტიპიურია ის განწყობა, რომელიც უზბეკეთის პრეზიდენტის ი. კარიმოვის მიერ ჯერ კიდევ 1997 წელს ნათქვამ სიტყვებში გაისმა: „ჩვენ არ შევუერთდებით რუსეთ-ბელორუსის კავშირს, რადგან ყოფილი სსრკ-სადმი ნოსტალგიას არ განვიცდით“.¹

ამგვარად, აშკარაა დსთ-ის სივრცეში ქვეყნების ძალდატანებით ინტეგრაციის მცდელობა, რასაც ამ სივრცეში რუსეთის იმპერიული ამბიციები და სტრატეგიული მიზნები ასაზრდოებს. ამ ამბიციების დასაკმაყოფილებლად „ინტეგრაციის ობიექტური პროცესი“ რუსეთის ხელში დღეს იგივეა, რაც წინათ სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილას „ერთმორწმუნეობა“, „მშრომელთა ინტერესები“ ან „კომუნიზმის აშენების“ დიადი საერთო მიზანი იყო. სწორედ ამითაა გამოწვეული რუსეთის ის ნუხილი, რომ ინტეგრაციული პროცესები დსთ-ის ფარგლებში „გაუმართლებლად“ წელა მიმდინარეობს და ეს გაერთიანება ჯერაც მომავალი ურთიერთობების აგების გზების ძიების სტადიაზე იმყოფება. მოსკოვი უკმაყოფილებას გამოთქვამს იმით, რომ დსთ-ის ზოგიერთი ქვეყნის ხელმძღვანელებს უჭირთ თავიანთი სუვერენიტეტის ნაწილის დათმობა დსთ-ის ფარგლებში არსებული ზეეროვნული ორგანოების (ნაიკითხე – რუსეთის) სასარგებლოდ და, ამავე დროს, ისინი ინტენსიურ მოლაპარაკებებს მართავენ თავიანთი სუვერენული უფლებების დიდი ნაწილის დელეგირებაზე ევროკავშირისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის. ექსპერტთა აზრით, თურმე, მათი ეს მოქმედება ნაადრევი და ზოგჯერ გაუმართლებელია. და თუ ეს ქვეყნები მაინც დაადგებიან ამ გზას, მაშინ აღნიშნულ ორგანიზაციებში შესვლი-

¹ მ. კომახია. სუუამი – შექმნის ისტორია და განვითარების პერსპექტივები. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ბიულეტენი № 69, 2002, გვ. 5.

სას მათ ემუქრებათ, „დისკრიმინაციული პირობებით“ მიღების საფრთხე, უკეთეს შემთხვევაში მათ ექნებათ, „უმცროსი ძმების“ სტატუსი (!) და ამით ისინი ჩამოშორებულნი იქნებიან გლობალიზაციის ობიექტური უპირატესობების გამოყენებას.¹

ღრმად ვართ დარწმუნებული იმაში, რომ სწორედ „დისკრიმინაციული პირობები“ და „უმცროსი ძმების“ სტატუსის შენარჩუნების საფრთხეა ის მთავარი ფაქტორები, რომლებიც ბუნებრივ და სასურველ ინტეგრაციულ პროცესებს უღობავს გზას პოსტსაბჭოთა სივრცეში. ამ ფონზე ფეხს ვერ იკიდებს რუსეთის ის იდეა, რომ მას როგორც ეროვნული კაპიტალის დაგროვების გაცილებით მაღალი დონის მქონე ქვეყანას არსებითი როლის შესრულება შეუძლია დსთ-ის ნეკრი ქვეყნების (ახლა უკვე) მეურნეობათა მოდერნიზაციის საქმეში. უფრო მეტიც, თუ რუსეთი და ბელორუსი საკავშირო სახელმწიფოს აყალიბებენ, სხვა ქვეყნები დსთ-ს პოსტსაბჭოთა სივრციდან გამოსვლის შუალედურ საფეხურად მიიჩნევენ. მეორე მხრივ, საფიქრებელია, რომ დსთ-ის შენარჩუნებას და ბელორუსთან ერთად საკავშირო სახელმწიფოს შექმნას რუსეთი საკუთარი სახელმწიფოს გადარჩენის (თუ განახლებული საბჭოთა კავშირის შექმნის) საშუალებად მიიჩნევს.

ცნობილია, რომ ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ამა თუ იმ ქვეყანაში (ცივილიზაციაში) მომნიშვნელოვანი სოციალურ-კულტურული ფაქტორები ხან ინტეგრაციის მიმართულებით უბიძგებენ კონკრეტულ სივრცეში მოქმედ პროცესებს, ხან კი – დეზინტეგრაციისაკენ. თავის დროზე მათ სსრკ-ისა და იუგოსლავიის დაშლა გამოიწვიეს, ხოლო თანამედროვე დასავლეთ ევროპაში მიმდინარე ინტეგრაციული ტენდენციები ეფუძნება იმ ხალხებისა და სახელმწიფოების ძირეული ინტერესების ერთიანობის შეგნებას, რომლებსაც წარსულში გაჭიანურებული კონფლიქტები თუ სისხლისმღვრელი ომები ჰქონდათ ერთმანეთს შორის გაჩაღებული.

ჩინეთის ცივილიზაციის ამჟამინდელი აღმავლობა და მუსულმანური ცივილიზაციის აგრესიული ექსპანსიაც მნიშვნელოვანი ილად სოციალურ-კულტურულ ფაქტორებს ეყრდნობა. ამ ფაქტორების მნიშვნელობიდან გამომდინარე, რუსმა კულტუროლოგმა ი. იაკოვენკომ ივარაუდა რუსეთის დეზინტეგრაციის და მისი დაშლის პერსპექტივა,² რომელიც რუსეთში სსრკ-ის დაშლის ტრაგე-

¹ „Вестник Межпарламентской Ассамблеи“, №4(31), С.-ПБ, 2001, с. 102-103.

² И. Яковенко. Распад России, как предмет осмысления. НГ-Сценарии. 1999. 10 ноября.

დიის განმეორებად აღიქმება. მისი აზრით, ამჟამად რუსეთში ბატონობს ცენტრიდანული ტენდენციები, რის გამოც სავსებით ბუნებრივია ამ ქვეყნის დეზინტეგრაცია. ავტორის მსჯელობიდან გამომდინარეობს რუსეთის დაშლა-დანანევრების ასეთი სურათი: 1. მისგან ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის ჩამოშორება; 2. ბალტიისკენ მიდრეკილი ტერიტორიების (პეტერბურგ-ნოვგოროდის რაიონი) ადვილად შესაძლო გამოყოფა; 3. რუსეთის სამხრეთის გამოცალკეება. სახელმწიფოს მთლიანად დაშლის შემთხვევაში შესაძლებელია ვოლგისპირეთის ცალკეული რესპუბლიკების გამოყოფის ვარაუდიც. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთ დროს მძლავრი ლოკალური ცივილიზაციის მომავალი ი.იაკოვენკოს წარმოდგენილი აქვს ივანე III-ის დროინდელი მოსკოვის სამთავროს ფარგლებში (მის მიერ დიდი ნოვგოროდის დამორჩილებამდე).

ცხადია, რუსეთს, რომელსაც ჯერაც ვერ გადაუტანია დიდი იმპერიის დაშლით გამოწვეული ტრაგედია, მომავალში ვერაფრით წარმოუდგენია ახლა უკვე თვით რუსეთის დეზინტეგრაცია და ევროპული რუსეთისაგან, ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის რუსეთისგან შემდგარი კონფედერაცია. პირველ რიგში, სწორედ ამ შედეგის თავიდან აცილების მიზნით იგი ყოველნაირად ცდილობს დსთ-ის შენარჩუნებას და ამ სივრცეში დაწყებული ინტეგრაციული პროცესების გაღრმავებას, ქვეყანაში არსებული ეკონომიკური და კულტურული ხასიათის პრობლემებიდან ყურადღების გარეთ გადატანას (დსთ-ის ინტეგრაციის პრობლემებზე), ცდილობს თავი დაირწმუნოს და სხვებიც დაარწმუნოს იმაში, რომ თითქოს მას მართლა შეუძლია მისი, როგორც ლიდერის, გარშემონებაყოფლობით გაერთიანებული ქვეყნების ეკონომიკის აღორძინება და ევრაზიული ცივილიზაციის ინტეგრატორის როლის შესრულება. მართალია, რუსეთი შემცირებული შემადგენლობით, მაგრამ მაინც ახერხებს ევრაზიის ეკონომიკური თანამეგობრობის (ბელორუსი, რუსეთი, ტაჯიკეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი) ჩამოყალიბებას, მაგრამ დსთ-ის სივრცეში არსებული პოლიტიკური გარემო უფრო გლობალიზაციის ხელშემშლელ ფაქტორად შეგვიძლია განვიხილოთ, რაზეც აშკარად მეტყველებს ევრაზიულ თანამეგობრობასა და კოლექტიური უსაფრთხოების საბჭოში მონაწილეობაზე უარის თქმა სუუამ-ის ნევრების მიერ, თვით „სუუამისა“ და ცენტრალური აზიის ეკონომიკური კავშირის (უზბეკეთი, ტაჯიკეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი) ცალ-ცალკე ჩამოყალიბება და თურქმენეთის „თავშეკავებული“ პოზიცია დსთ-ში მიმდინარე ინტეგრაციული პროცესების მიმართ.

2.4. გლობალიზაცია და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი

გლობალიზაციის პროცესს რადიკალური ცვლილებები შეაქვს ეროვნულ სახელმწიფოთა სტრუქტურაში. ისინი თავიანთი ფუნქციების სულ უფრო მეტ ნაწილს გადასცემენ ზემოთ (სახელმწიფოთაშორის და საერთაშორისო გაერთიანებებს) და ქვემოთ (ტერიტორიულ და მუნიციპალურ ორგანოებს). ეს მოვლენა კანონზომიერად ბადებს კითხვას XXI საუკუნეში სახელმწიფოს მომავალი ბედის შესახებ.

ჩვენი ეპოქის ეს ერთ-ერთი ყველაზე უფრო საჭირობოროტო კითხვა ასე შეგვიძლია დავაკონკრეტოთ: ხომ არ გახდება ეს პოლიტიკური ინსტიტუტები წარსულის საკუთრება, ხომ არ გაითქეფება ისინი ზეეროვნულ გლობალურ სახელისუფლებო ორგანოებში (ინტეგრირებად დასავლეთ ევროპაში არსებული ტენდენციების გათვალისწინებით) და, საბოლოოდ, ხომ არ გარდაიქმნება ისინი მსოფლიო ფედერაციის ელემენტებად? ყოველ შემთხვევაში, ამგვარ პერსპექტივას გვინანსნარმეტყველებს მ. გოლანსკი, რომელიც წერს: „გლობალური მასშტაბის მქონე ცენტრალიზებულ ხელისუფლებაზე არსებული მოთხოვნა და ეკონომიკური სუვერენტიტეტის დაყვანა ფინანსურ დამოუკიდებლობამდე (საკუთარ ხარჯზე ცხოვრებამდე) ჩამოაყალიბებს ქვეყნების მსოფლიო ფედერაციას, რომელშიც იქნება შრომის ღრმა დანაწილება და ფუნქციების მკვეთრად განაწილება მის სუბიექტებს შორის. პრაქტიკულად მცირედ დაკავშირებული და დამოუკიდებელი ქვეყნების ამჟამად არსებული ქაოსური და უნესრიგო სიმრავლის ნაცვლად მსოფლიოში გაჩნდება ეკონომიკური და პოლიტიკური ძაფებით მჭიდროდ დაკავშირებული ხალხების მკაცრად სტრუქტურირებული თანამეგობრობა“¹.

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე მსოფლიოში ეს ტენდენცია მკვეთრად არაა გამოკვეთილი. პირიქით, XX საუკუნის ბოლოს ჩვენ მოწმე გავხდით იმისა, რომ კვლავ შეიცვალა მსოფლიოს გეოპოლიტიკური რუკა. დაიშალა მთელი რიგი ფედერაციული სახელმწიფოები და ამჟამად საერთაშორისო არენაზე 200-ზე მეტი ეროვნული სახელმწიფოა, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი.

გლობალურ ეკონომიკაში სახელმწიფოს როლი არასახარბიელო ხდება. იგი ვეღარ აკონტროლებს ვერც სავალუტო კურსებს,

¹ М. Голанский. Взлет и падение глобальной экономики. Ученые записки Института Африки. Вып. 6. М., 1996, с. 63-64.

ვერც ფულის, ინფორმაციისა და საქონლის ნაკადებს. ამის მიუხედავად, სწორედ მას ეკისრება პასუხისმგებლობა მოქალაქეთა განათლებასა და შიდა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე, ანუ იმ ორ ფუნქციაზე, რომელიც ეკონომიკის საერთო განვითარებაზეა დამოკიდებული. გლობალიზაციის ეპოქაში სახელმწიფო აღარაა ტოტალიტარული, მაშინ, როდესაც ეკონომიკა სულ უფრო მეტად იძენს ამ თვისებას.

ამ რამდენიმე ხნის უკან „ტოტალიტარულ რეჟიმებს“ უწოდებდნენ ერთპარტიული სისტემის იმგვარ რეჟიმებს, რომლებიც გასაქანს არ აძლევდნენ რაიმე ორგანიზებულ ოპოზიციას, სახელმწიფო მოსაზრების სახელით ლახავდნენ ადამიანის უფლებებს და თვითონ ხელმძღვანელობდნენ საზოგადოების ყოველგვარ საქმიანობას. XX საუკუნის ბოლოს ეს რეჟიმები შეცვალა სხვა ტიპის ტოტალიტარიზმმა – „გლობალიტარული რეჟიმების“ ტოტალიტარიზმმა. ისინი ეყრდნობიან გლობალიზაციის და „ერთიანი“ აზრის დოგმებს და გასაქანს არ აძლევს სხვა რომელიმე პოლიტიკას, ხელყოფს მოქალაქის სოციალურ უფლებებს კონკურენტუნარიანობის მოსაზრებათა სახელით და ფინანსური ბაზრების ხელში ტოვებს საზოგადოების ყოველგვარი საქმიანობის ხელმძღვანელობას.

გლობალიზაციამ იმსხვერპლა ეროვნული ბაზარი, როგორც სახელმწიფო – ერის ძალაუფლების ერთ-ერთი საფუძველი. მისი გაუქმებით გლობალიზაციამ სახე უცვალა ეროვნულ კაპიტალიზმს და დააქვეითა სახელმწიფო ხელისუფლების როლი. სახელმწიფოებს უკვე აღარ აქვთ იმის სახსრები, რომ წინ აღუდგნენ ბაზრებს. რაკი ცენტრალური ბანკები დამოუკიდებელი გახდნენ, ამიტომ სახელმწიფოებს მხოლოდ თავიანთი სავალუტო მარაგებიღა შერჩათ იმისათვის, რომ საჭიროების შემთხვევაში შეაკავონ ნამგებიანი სავალუტო ტენდენციები. მაგრამ ამ მარაგების მოცულობა შეუდარებლად მცირეა ბაზრების დარტყმის ძალის წინაშე.

სახელმწიფოები მოკლებული არიან იმის შესაძლებლობას, რომ შეაჩერონ კაპიტალის კოლოსალური ნაკადები ან წინ აღუდგნენ ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ ბაზრების მოქმედებას. მთავრობები თანხმობას გამოთქვამენ საერთაშორისო ორგანიზაციების (მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის) მიერ დადგენილი ეკონომიკური პოლიტიკის ზოგადი დირექტივების გატარებაზე. მაგალითად, ევროპაში კარგადაა ცნობილი „შეთანხმების კრიტერიუმები“, რომლებიც მასტრიხტის ხელშეკრულებითაა დადგენილი (სა-

ხელმწიფო ვალის შემცირებული ჩარჩოები, საგარეო ანგარიშებში სერიოზული დისპროპორციების უქონლობა, ინფლაციის შეკავება). როგორც ერთ-ერთი ფრანგი მეცნიერი ფიქრობს, „ეს ნამდვილი დიქტატია სახელმწიფო პოლიტიკაზე, ისინი ასუსტებენ დემოკრატიის საფუძვლებს და ამწვავებენ სოციალურ ვითარებას“.¹ ამით აშკარავდება ბაზრის უზენაესობა და პოლიტიკოსების უმწეობა, რომლებიც ხელ-ფეხშეკრულები არიან ამ დაუნდობელ მსოფლიოში.

ასეთია გლობალიტარული რეჟიმების ლოგიკა. ბოლო ოცი წლის მანძილზე მონეტარიზმის, დერეგულირების, თავისუფალი ვაჭრობის, კაპიტალის თავისუფლად გადაადგილების და მასობრივი პრივატიზაციის გავრცელებით პოლიტიკურმა ხელმძღვანელებმა იმას შეუნყვეს ხელი, რომ ინვესტიციების, დასაქმების, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, კულტურის, გარემოს დაცვის დარგში უმნიშვნელოვანეს გადანაცვლებებს კერძო სფეროში იღებენ და არა სახელმწიფოებრივში.

ამის შედეგია ის, რომ დღეს მსოფლიოში უმსხვილესი ორასი ეკონომიკური კომპლექსიდან ნახევარზე მეტს საწარმოები შეადგენენ და არა ქვეყნები.

შთამბეჭდავად განვითარდა ეკონომიკის მულტინაციონალიზაციის მოვლენა. XX საუკუნის 70-იან წლებში მრავალეროვნული კომპანიების რაოდენობა რამდენიმე ასეული იყო, დღეს კი ეს რიცხვი 40 000-ია, თუ მხედველობაში მივიღებთ მსოფლიოში უმსხვილესი 200 საწარმოს ერთობლივ ბრუნვას, მაშინ მისი მოცულობა მსოფლიოს მთლიანი პროდუქტის ერთ მეოთხედზე მეტს შეადგენს. არადა, ამ ორას ფირმაში სულ რაღაც 18,8 მლნ კაცი ანუ მსოფლიო სამუშაო ძალის 0,75%-ზე ნაკლები მუშაობს.²

XX საუკუნის 90-იან წლების დასაწყისში მსოფლიო ეკონომიკაში საქმიანობდა 37 000 ტრანსნაციონალური ფირმა და მათი 170 ათასი ფილიალი, მათგან 200 უმსხვილესი კონგლომერატი – პირველად, მეორად და მესამეულ სექტორებში: მსხვილი სასოფლო-სამეურნეო წარმოება, გადამამუშავებელი მრეწველობა, საფინანსო მომსახურება, ვაჭრობა და ა.შ. გეოგრაფიულად ისინი 10 ქვეყანას შორის იყო განაწილებილი: იაპონიაში (62), აშშ-ში (53), გერმანიაში (23), საფრანგეთში (19), დიდ ბრიტანეთში (11), შვეიცარიაში (8), სამხრეთ კორეაში (6), იტალიასა (5) და ნიდერლანდში (4).³

¹ *И. Рамоне. Геополитика хаоса. М., "ТЕИС", 2001, с. 48.*

² *დასახელებული ნაშრომი. ს. 9.*

³ *დასახელებული ნაშრომი. ს. 49.*

„ჯენერალ მოტორსის“ წარმოების (ბრუნვის) მოცულობა დანიის ერთობლივ მთლიან პროდუქტზე მეტია, „ფორდის“ – სამხრეთ აფრიკისაზე, „ტოიოტასი“ კი – ნორვეგიისაზე. აქ საუბარია რეალური ეკონომიკის სექტორზე, ანუ იმ სექტორზე, რომლებშიც კონკრეტულ საქონელსა და მომსახურებას აწარმოებენ და ცვლიან. თუ აქ ჩავრთავთ საფინანსო ეკონომიკის ძირითად სუბიექტებსაც, ე.ი. ამერიკისა და იაპონიის საპენსიო ფონდებს, რომლებსაც გაბატონებული მდგომარეობა უჭირავს საფინანსო ბაზრებზე, მაშინ სახელმწიფოთა ხვედრითი წილი თითქმის მეორეხარისხოვანი გახდება.


სულ უფრო მეტია ისეთი ქვეყანა, რომელიც ახდენს სახელმწიფო სანარმოების მასობრივად მიყიდვას კერძო სექტორისათვის და თავისი ბაზრის დერეგულირებას. მნიშვნელოვანი ობიექტები მსხვილი მრავალეროვნული ჯგუფების საკუთრება ხდება. ეს ჯგუფები აკონტროლებენ სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკის მთელ ქვედანაყოფებს. ისინი ამ სახელმწიფოებს იყენებენ საერთაშორისო ფორუმებზე ზენოლისა და ისეთი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების მიზნით, რომლებიც ყველაზე უფრო ხელსაყრელია გლობალური ასპექტით მათი გაბატონებული მდგომარეობის შესანარჩუნებლად.

ამგვარად, ახალი მსოფლიო ძალაუფლების რეალური ბერკეტები მნიშვნელოვანწილად გამოცლილი აქვთ სახელმწიფოებს. გლობალიზაცია და ეკონომიკის დერეგულირება ხელს უწყობს ძალაუფლების ახალი კერების გაჩენას, რომლებიც ახალი ტექნოლოგიების წყალობით გამუდმებით „უვლიან გვერდს“ სახელმწიფო სტრუქტურებს.

მაგრამ ამ დროს აუცილებლად დგება სახელმწიფოს პერსონიფიკაციის საკითხი, თუ ვინ დგას სახელმწიფოს სათავეში და ვინ ახორციელებს მის ფუნქციებს. თუ ესაა წარმავალი წყობის წარმომადგენლები ან სხვა ცივილიზაციების, ოლიგარქების, კომპრადორებისა და ტრანსნაციონალური კორპორაციების ინტერესების დამცველები, თუ სახელმწიფო აპარატი გადასულია ხაზინის ქურდობაზე და კორუფციაშია ჩაფლული, მაშინ ასეთი სახელმწიფოს როლის გაძლიერება უსათუოდ გააღრმავებს დაშლის პროცესებს, გააძლიერებს და გაახანგრძლივებს კრიზისს და ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანს მას. თუ სახელმწიფოს სათავეში მდგომი ადამიანები საერთო სახელმწიფო ინტერესებით ხელმძღვანელობენ, მაშინ ასეთი სახელმწიფოს როლი ხელს შეუწყობს ქვეყნის აღორძინებას.

გლობალიზაციის გაღრმავებასთან ერთად აუცილებელი ხდება თვით პოლიტიკური სუვერენიტეტის ცნების ახლებურად გააზრება. უკვე საუბრობენ იმაზე, რომ დღეს სუვერენიტეტი უნდა გვესმოდეს, როგორც შეზღუდული და შებოჭილი ძალაუფლება, რომელიც მთელ რიგ ეროვნულ, რეგიონულ და ინტერნაციონალურ აქტორებს შორისაა დანაწევრებული.¹

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ გლობალიზაციის ეპოქაში არსებითად შეიცვლება სახელმწიფოებრივ (სახელისუფლებო) ურთიერთობათა ვერტიკალური სტრუქტურა. ეროვნულ სახელმწიფოში, რომელიც ინდუსტრიული ცივილიზაციის ეპოქაში გეოპოლიტიკის მთავარი სუბიექტი იყო, მოხდება ფუნქციების გადანაწილება და ჩამოყალიბდება პოლიტიკურ ურთიერთობათა ხუთდონიანი პირამიდა (ნახ. 2.4-1), რომელიც გაბატონებულ მდგომარეობას დაიკავებს XXI საუკუნის პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში.



ნახ. 2.4-1. პოსტინდუსტრიული საზოგადოების პოლიტიკურ ურთიერთობათა ხუთდონიანი პირამიდა

პირამიდის საფუძველი იქნება მუნიციპალური წარმონაქმნები, რომლებსაც დაეკისრება სოციალური და ეკოლოგიური ფუნქციების შესრულება, დასაქმების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა.

მომდევნო სართულია რეგიონული წარმონაქმნები (რესპუბლიკები, მხარეები, ოლქები, შტატები, კანტონები და ა.შ.), რომლებსაც საკმაოდ ფართო უფლებამოსილებანი ექნებათ როგორც „სახელმწიფოს შიგნით არსებულ სახელმწიფოებს“.

პირამიდის ცენტრალურ რგოლად კვლავ ეროვნული სახელმ-

¹ იხ. მაგ. Held D. *Demokratie, Nationalstaat und die globale Weltordnung*, in: Beck U. (Hg), *Politik der Globalisierung*, a.a.o.

ნიფო დარჩება. ხშირად ესაა მრავალეროვნული სახელმწიფო, რომელშიც სატიტულო ერი ჭარბობს. ეროვნული სახელმწიფო წარმოადგენს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის მთავარ მატარებელ სუბიექტს. მას აკისრებს ხალხი ქვეყნის დაცვის საერთო ფუნქციებს და მისი ინტერესების წარმოდგენას საერთაშორისო ურთიერთობებში, სამართლებრივი ნორმების სისტემის დადგენას და მართლწესრიგის შენარჩუნებას, ნაციონალური სტრატეგიის შემუშავებას და მის განხორციელებას და ა.შ. მხოლოდ ეროვნულ სახელმწიფოს გააჩნია ამ საზოგადოებრივი ინსტიტუტის ფუნქციების სრული ნაკრები. ამასთან, მათი განხორციელების მასშტაბები და ხასიათი, სახელმწიფოს ადგილი და როლი მსოფლიოს გეოპოლიტიკურ სივრცეში ერთნაირი არაა, იგი კონკრეტული სახელმწიფოს ტერიტორიის და მოსახლეობის სიდიდეზე, ეკონომიკურ-კულტურულ პოტენცილზეა დამოკიდებული.

XX საუკუნის მეორე ნახევარში გლობალური პროცესების გაძლიერებამ სულ უფრო მკვეთრად ჩამოაყალიბა სახელმწიფოებრივი პირამიდის ორი ზედა სართული – ცივილიზაციური და გლობალური, რომლებსაც ეროვნული სახელმწიფო გადასცემს თავისი ფუნქციების ნაწილს.

პირამიდის ცივილიზაციური დონე თვალში საცემია დასავლეთ ევროპაში. აქ ჩამოყალიბებულ სახელმწიფოთაშორის გაერთიანებას (ევროკავშირს) სახელმწიფოს თითქმის ყველა ნიშან-თვისება აქვს: მოსახლეობის მიერ არჩეული ევროპარლამენტი, რომელიც კანონებს იღებს; აღმასრულებელი ორგანოები – ევროკავშირის მინისტრთა საბჭოს და ევროსაბჭოს კომისია, რომელიც ანგარიშვალდებულია ევროპარლამენტის წინაშე და მთავრობის ფუნქციებს ასრულებს; საერთო ეკონომიკური ინსტიტუტები – ერთიანი ვალუტა (ევრო), ცენტრალური ბანკი, საერთო საბაჟო საზღვარი, საზღვრების უფიზოდ გადაკვეთა ევროკავშირის უმეტეს სახელმწიფოებს შორის; ერთიანი საგადასახადო, საინვესტიციო, აგრარული, სოციალური, სამეცნიერო-ტექნიკური და ეკოლოგიური პოლიტიკა; საერთო მოქალაქეობის მთელი რიგი ნიშნები. ამასთან, სახელმწიფო-პოლიტიკური ინტეგრაცია, რომელიც ბევრი რამით მოგვაგონებს კონფედერაციას, აღმოცენდა არა დაპყრობის ან ძალდატანების გზით, არამედ ნებაყოფლობით და დემოკრატიულ საფუძველზე. ეროვნულმა სახელმწიფოებმა საკუთარი მოსახლეობის უმრავლესობის მხარდაჭერით თავიანთი სუვერენული უფლებებისა და ფუნქციების ნაწილი გადასცეს ცენტრალურ

ორგანოებს, რომლებიც მთლიანად ლოკალური ცივილიზაციის ინტერესებს გამოხატავენ.

ამდენად, ევროკავშირი შეგვიძლია მივიჩნიოთ XXI საუკუნის სახელმწიფოთაშორის ცივილიზაციურ გაერთიანებათა ნიმუშად და მოდელად.

სხვა ცივილიზაციურ გაერთიანებებში („ნაფტა“, დსთ, სამხრეთ ამერიკის განვითარების კომიტეტი, სამხრეთ აზიის რეგიონული თანამშრომლობის ასოციაცია და სხვა) „ზედა სართულებზე“ სახელმწიფოს ფუნქციების გადაცემის დონე გაცილებით ნაკლებია. აქ უფრო მეტად საუბარია ისეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოების საქმიანობის კოორდინაციის ორგანოებზე, რომლებსაც თითქმის მთლიანად აქვთ შენარჩუნებული საკუთარი სუვერენიტეტი. თუმცა, როგორც ლოკალური ცივილიზაციების ფარგლებში სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური, ტექნოლოგიური და ეკოლოგიური კავშირებისა და ურთიერთდამოკიდებულებების გაძლიერება, ისე საერთაშორისო არენაზე ცივილიზაციების დაპირისპირების გამწვავება, XXI საუკუნეში გააძლიერებს ცივილიზაციურ დონეზე სახელმწიფოებრიობის ფორმირების ტენდენციას.

გლობალიზაციის ეპოქაში არსებობს სახელისუფლებო ურთიერთობების პირამიდის ზედა, გლობალური დონის ფორმირების ნიშნებიც, თუმცა, ეს მხოლოდ პროცესის დასაწყისია, რომელიც რეალურ კონტურებს XXI საუკუნეში შეიძენს. აქ ჯერ კიდევ არაა შექმნილი სახელმწიფოთაშორისი ინსტიტუტების ისეთი ერთიანი სისტემა, როგორიც ევროკავშირშია. მის ფუნქციებს ერთგვარად ასრულებენ: გაერო თავისი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოებით; დარგობრივი და ფუნქციური ორგანოები; ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია; საერთაშორისო სასამართლო და ა.შ. ძნელი საფიქრებელია, რომ ამას მოჰყვეს ერთი მსოფლიო სახელმწიფოს შექმნა, ყოველ შემთხვევაში ჩვენ საუკუნეში.

სახელისუფლებო ურთიერთობათა გლობალური დონის ფუნქციები და უფლებამოსილებანი მოიმატებს იმის კვალობაზე, თუ, როგორ გაძლიერდება გლობალიზაციის პროცესები და მოხდება იმის გაცნობიერება, რომ აუცილებელია პლანეტის მასშტაბით საერთო პოლიტიკის შემუშავება და რეალიზაცია დემოგრაფიის, ეკოლოგიის, ნარკოტიკებთან ბრძოლის, სიღატაკის დაძლევის და სხვა სფეროებში. მაგრამ ტოტალიტარული, მსოფლიო მასშტაბის ცენტრალიზებული სახელმწიფო ხელისუფლების შექმნამდე საქმე არ მივა და მომავალშიც შენარჩუნებული იქნება სახელისუფლე-

ბო ურთიერთობათა ხუთდონიანი ვერტიკალი, სადაც ფუნქციები და უფლებამოსილებანი ოპტიმალურად იქნება განანილებული ყველა დონეს შორის. მხოლოდ მას შემდეგ, რაც მომნიჭდება შესაბამისი ობიექტური წანამძღვრები, მოხდება დონეებს შორის ფუნქციების ნანილობრივ გადანანილება. ეს აისახება სამართლებრივი ნორმების სტრუქტურის ცვლილების ტენდენციაშიც. გაძლიერდება საერთაშორისო საჯარო და კერძო სამართლის როგორც სახელმწიფოებრიობის გლობალური დონის იურიდიული საფუძვლის მნიშვნელობა. საჭირო გახდება სასამართლო ხელისუფლების ორგანოების გაძლიერება, რომლებმაც უნდა მოაგვარონ სახელმწიფოებსა და ცივილიზაციებს შორის წარმოქმნილი დავები და მართლწესრიგის იმ ორგანოების განმტკიცება, რომლებიც უზრუნველყოფენ საერთაშორისო სამართლის ნორმების შესრულებას და ამ ნორმების უხეშად დარღვევისთვის დასჯას.

მომავლის გლობალური სახელისუფლებო ორგანოები და ახალი მსოფლიო მართლწესრიგი უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც ლოკალური ცივილიზაციების და ეროვნული სახელმწიფოების კოორდინაციისა და პარტნიორობის ორგანოები იმ საერთო პრობლემების გადასაჭრელად, რომლებიც კაცობრიობის განვითარებას უშლის ხელს.

მსოფლიო მეურნეობაში მიმდინარე ინტეგრაციული პროცესების ეტაპები 2.4-1 ცხრილშია მოცემული.

გლობალიზაციის ეპოქაში, როდესაც სულ უფრო თვალში საცემი ხდება ამ პროცესის გაღრმავება, ადამიანის, როგორც ამა თუ იმ სახელმწიფოს მოქალაქის კეთილდღეობა დამოკიდებული ხდება არა იმდენად მოცემული სუვერენული სახელმწიფოს მდგომარეობაზე, რამდენადაც სხვა სახელმწიფოებისა თუ საერთაშორისო სტრუქტურების მოქმედებაზე.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, სუვერენული სახელმწიფოს აბსოლუტური სუვერენიტეტის დრო თანდათანობით გადის და გლობალიზაციაში გადამწყვეტი ხდება სახელმწიფოთა მზარდი ურთიერთდამოკიდებულება. ასეთ პირობებში „ბუნებრივია, სახელმწიფოს როლი, მისი ეკონომიკური ფუნქციები კონკრეტული სიტუაციის მიხედვით განისაზღვროს. ამის აუცილებლობა განსაკუთრებით გამოვლინდა პოსტსოციალისტურ სივრცეში... ამასთან, სახელმწიფო, როგორც სოციალური სტაბილურობის გარანტი გლობალიზაციის პროცესში იძენს ეროვნული ინტერესების დაცვის ახალ ფუნქციასაც. გარდამავალ პერიოდში სახელმწიფოს უნევს არატრადიციული როლის შესრულებაც. იგი საზოგადოებრივ

ინტეგრაციული პროცესის ეტაპები

1. პრეფერენციული სავაჭრო შეთანხმება	2. თავისუფალი ვაჭრობის ზონა	3. საბაზო კავშირი	4. საერთო ბაზარი	5. სრული ინტეგრაცია ეკონომიკური, სავალუტო და პოლიტიკური კავშირის ჩათვლით
<p>ურთიერთვაჭრობაში სატარიფო და სხვა ბარიერების შეცილება;</p> <p>მესამე ქვეყნების მიმართ ეროვნული ტარიფების შენარჩუნება;</p> <p>მართვის სახელმწიფოთაშორისი ორგანოების არარსებობა.</p>	<p>ურთიერთვაჭრობაში სატარიფო და სხვა ბარიერების გაუქმება;</p> <p>ქვეყნებს შორის საქონლისა და მომსახურების მოძრაობის თავისუფლება;</p> <p>მცირე სახელმწიფო სამდივნო.</p>	<p>მესამე ქვეყნების მიმართ ერთიანი სატარიფო და არასატარიფო რეგულირება;</p> <p>სახელმწიფოთაშორისი საბჭო მიწისტრების დონეზე და სამდივნო.</p>	<p>ნარმოების ყველა ფაქტორის მოძრაობის თავისუფლება;</p> <p>სახელმწიფოების მეთაურთა შეხვედრები, მიწისტრთა საბჭო, სამდივნო.</p>	<p>ეკონომიკური პოლიტიკის პარმონიზება;</p> <p>ზეეროვნული რეგულირების ფუნქციის მქონე სახელმწიფოთაშორისი ორგანო.</p>

წყარო: А. Киреев. Международная экономика. М. ч. 1. "Международная экономика", 1999. с. 366.

ურთიერთობათა ერთადერთი სუბიექტია, რომელმაც ახალი საბაზრო სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბების მთავარი ფაქტორის ფუნქცია უნდა შეასრულოს“.¹ მაგრამ „გლობალიზაციის გავლენით ჩამოყალიბებულ ამ თავისებურებას სახელმწიფოს სტრატეგიის განვითარებაში ხშირად ანგარიშს არ უწევენ. ამის გამო აშკარაა ამ მნიშვნელოვანი ფაქტორის როლის უგულვებელყოფის მცდელობა და მისი შეცვლა ე.წ. ლიბერალური მოდელით“².

რაც შეეხება თვისებრივად ახალ ფუნქციებს, რომელთა შესრულებაც სახელმწიფოს უწევს, ესაა გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური სტრატეგიის შემუშავება, ეროვნული ინტერესების შეხამება გლობალიზაციასთან, საერთაშორისო სტრუქტურებში მონაწილეობა და ამით ქვეყნის ინტერესების დაცვა და ა.შ.

განვითარებულ და განსაკუთრებით კი განვითარებად სამრეწველო ქვეყნებში სახელმწიფო თავის თავზე იღებს იმ დარგების, ფირმების, კორპორაციებისა თუ სტრუქტურების გულდასმით შერჩევას, რომლებიც პრიორიტეტულად უნდა ჩაერთოს შრომის საერთაშორისო დანაწილებაში. ამ პროცესზე სახელმწიფოს ზემოქმედება ხორციელდება სახელმწიფო რეგულირების ხერხებისა და მეთოდების ფართო არსენალის გამოყენებით. ესაა შესაბამისი დარგებისთვის, ფირმების და კომპანიებისათვის კრედიტების პირველ რიგში მიცემა იმპორტული მონყობილობის შესაძენად, იმ კრედიტების გარანტირება და დაზღვევა, რომლებსაც ექსპორტის გაფართოებას ახმარენ, მონყობილობის ამორტიზაციის ყველაზე შეღავათიანი პირობების დანესება, მოგების შეღავათიანად დაბეგვრა და სხვა. განვითარებად ქვეყნებში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმპორტული მონყობილობის, ამა თუ იმ ნედლეულის და მასალების შექენაზე ლიცენზიების მიღებას და არატრადიციული სახეობის პროდუქციის ექსპორტის სუბსიდირებას. სახელმწიფო იყენებს მრავალფეროვან ბერკეტებსა და მეთოდებს იმისათვის, რომ გამოასწოროს ის გადახრები, რაც პრიორიტეტულ დარგებში სანარმოო პროცესის ტექნიკური გადაიარაღებისთვის დიდი ოდენობით შექენილი იმპორტული მონყობილობის გამოსყიდვის ვადების შემცირებას მოსდევს თან.

¹ ნ. ჭითანავა. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. II ნაწ. თბ., 1999 წ., გვ. 62

² ნ. ჭითანავა. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. III ნაწ. თბ., 2001 წ. გვ. 49.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ბაზარს და კონკურენციის სტიქიურ მექანიზმს არ შეუძლია ამ პროცესის რეგულირება. ამიტომ ახალ პირობებში სახელმწიფო ნაწილობრივ „ასრულებს“ მსოფლიო ბაზრის ფუნქციებს. იგი აძლიერებს რეგულირებას და გეგმაზომიერების ელემენტები შეაქვს შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ეროვნული სამეურნეო კომპლექსების ჩართვის პროცესში. ეს იმას ნიშნავს, რომ ახალ, გლობალიზებულ სამყაროში სახელმწიფო შეასრულებს უფრო გონივრულ და მნიშვნელოვან მარეგულირებელ როლს.

აღნიშნული როლის შესრულებაში სახელმწიფოს დიდ სირთულეებს უქმნის გლობალური მასშტაბით ფუნქციონირებადი ეკონომიკა, რომელიც ძირს უთხრის ეროვნულ ეკონომიკას და ეროვნულ სახელმწიფოებს. საუბარია იმაზე, რომ გლობალიზაციის მექანიზმის ამოქმედება საფრთხის ფაქტორს შეიცავს, ე.ი. გლობალიზაციის პოლიტიკა მიმართულია ეროვნულ-სახელმწიფოებრივი შეზღუდვების თავიდან მოშორებისაკენ. მისი მიზანია ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პოლიტიკის შესუსტება, რათა საბოლოოდ, მაქსიმალურად შემცირდეს სახელმწიფოზე დაკისრებული ამოცანები და სახელმწიფოს აპარატი, განხორციელდეს „სახელმწიფოს მინიმალური“ ამოცანა.

მსოფლიო საზოგადოება, რომელიც ჩამოყალიბდა მრავალ (და არამარტო ეკონომიკურ) სფეროში განხორციელებული გლობალიზაციის პროცესში, ასუსტებს და ეჭვქვეშ აყენებს ეროვნული სახელმწიფოს ძლიერებას, ისწრაფვის მასშტაბურად მოიცვას მისი ტერიტორიული საზღვრები მრავალრიცხოვანი სოციალური პროგრამებით, საბაზრო ურთიერთობებით, კომუნიკაციების ქსელით, მოსახლეობის განსხვავებული ზნე-ჩვეულებებით. ეს ყველა იმ უმნიშვნელოვანეს სფეროში ვლინდება, რომლებსაც ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ავტორიტეტი ეყრდნობა საგადასახადო პოლიტიკაში, საგარეო პოლიტიკაში, სამხედრო უსაფრთხოების სფეროში.

გლობალიზაცია ისეთ პროცესებს გულისხმობს, რომლებშიც ეროვნული სახელმწიფოები და მათი სუვერენიტეტი ტრანსნაციონალური აქტორების ქსელში ექცევა და მათ ძალას, ორიენტაციასა და იდენტურობას ემორჩილება. ეროვნული სახელმწიფო კარგავს სუვერენიტეტსა და სუბსტანციას, თანაც ყველა სფეროში – ფინანსური რესურსების, თავისუფალი პოლიტიკური და ეკონომიკური მოქმედების, საინფორმაციო და კულტურული პოლიტიკის, მოქალაქეთა ყოველდღიური იდენტიფიკაციის სფეროებში. ამ დროს კი მხოლოდ მოკლე თეზისების ფორმით განიხილავენ იმ პრობ-

ლემას, თუ როგორ შეუძლია „ტრანსნაციონალურ სახელმწიფოებს“ აღმოცენება გლობალიზაციის საპასუხოდ, რას ნიშნავს ეს ეკონომიკური, სამხედრო, პოლიტიკური და კულტურული თვალსაზრისით. თუ ეროვნულ სახელმწიფოს საერთოდ აქვს იმ ძალაუფლების სტრუქტურაში თავის გადარჩენის შანსი, რომელსაც მსოფლიო ბაზარი, ტრანსნაციონალური აქტორები და მოძრაობები ბადებენ, მაშინაც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გლობალიზაციის პროცესი ეროვნული პოლიტიკის კრიტიკიუმად იქცევა ყველა სფეროში (ეკონომიკა, სამართალი, არმია და ა.შ.)

მსოფლიო თანამეგობრობაში შექმნილი ახალი ვითარება, რომელიც ფიქციად აქცევს წარმოდგენას „ეროვნულ“ პროდუქტზე, ეროვნულ ფირმებზე, ეროვნულ მრეწველობაზე და ა.შ., ინვესტს ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ დაქვეითებას და ამძაფრებს კითხვებს: რა არის ტოლერანტობა? ვინ უზრუნველყოფს ადამიანის უფლებებს პოსტეროვნულ სახელმწიფოებრივ სამყაროში? ხომ არ გაჩაღდება რელიგიური ომები ეროვნული სახელმწიფოების დაშლის შემდეგ და ხომ არ მოჰყვება ამას ეკოლოგიური კატასტროფები? იქნებ, პირიქით, დგება დრო ომებისა და ძალადობის გარეშე? ამ კითხვებზე პასუხი არავინ იცის და, ცხადია, არც შეიძლება იცოდეს.

ცნობილია, რომ დასავლური ტრადიციის მქონე სახელმწიფოს მიზანია თავისი მოქალაქეების სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური აქტივობის გაერთიანება. ამის საპირისპიროდ, გლობალიზაცია ინვესტს არამართო ამოცანების და ინსტიტუტების სახელმწიფოებრივი სტრუქტურის ეროზიას, არამედ მისი წანამძღვრების ძირფესვიანად ტრანსფორმირებასაც.

არასახელმწიფოებრივი მსოფლიო საზოგადოება სრულიად სხვადასხვაგვარი ტრანსნაციონალური აქტორებისგან შედგება და მისი დამახასიათებელი ნიშნებია:

1. ისინი სხვადასხვა ადგილას მოქმედებენ და არ ცნობენ საზღვრებს, ე.ი. სრული გაგებით ტრანსნაციონალური არიან და ამის შედეგად აუქმებენ ეროვნული სახელმწიფოს ტერიტორიულ პრინციპს;

2. მათი მოქმედება ბევრ რამეში ხორციელდება უფრო მეტად ინკლუზიურად და ნაკლებად ექსკლუზიურად, ვიდრე სახელმწიფო აქტორების მოქმედება;

3. ხშირად ისინი უფრო ეფექტიანად მოქმედებენ, ვიდრე ეროვნული სახელმწიფოების ინსტანციები;

4. არასახელმწიფოებრივი, ტრანსნაციონალური აქტორები

იქმნიან საკუთარ, ერთგვარ „ინკლუზიურ სუვერენიტეტს“ და ერთმანეთს უმხედრებენ ექსკლუზიურ ტერიტორიულ სახელმწიფოებს.

რაც უფრო მეტადაა ეს კომპონენტები გაძლიერებული და ერთმანეთში გადანული, მით უფრო ძლიერად დგება ეჭვქვეშ სახელმწიფოთა პოლიტიკური ძალაუფლება და კონტროლი თავიანთი საზღვრების შიგნით და ამ საზღვრებს გარეთ. ამის გამო მრავალი მკვლევარი გლობალურობის ეპოქაში ხედავს ეროვნული სახელმწიფოს და, მაშასადამე, დემოკრატიის დასასრულის დასაწყისს.

გლობალურ ერაში ერთგვარი აზრობრივი ბარიერიც ჩნდება: ადამიანებს არ შეუძლიათ და არც სურთ წარმოიდგინონ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი არქიტექტურის რაიმე ალტერნატივა. ერთ-ერთ ასეთ ალტერნატივას გვთავაზობს უ.ბეკი ტრანსნაციონალური სახელმწიფოს, როგორც გლობალიზაციაზე შესაძლო პასუხის სახით. მისი მტკიცებით, ეროვნული სახელმწიფო სრულიადაც არ მოძველებულა. იგი აუცილებელიც კია გლობალიზაციის პროცესის პოლიტიკურად გაფორმებისთვის და ტრანსნაციონალურად მისი რეგულირებისათვის.

უ.ბეკის გაგებით, ტრანსნაციონალური სახელმწიფოები მძლავრი სახელმწიფოებია, რომელთა პოლიტიკური მაფორმირებელი ძალაუფლება გლობალიზაციაზე კოოპერაციული პასუხებიდანაა ამოზრდილი. მონოპოლიური ეროვნული სახელმწიფოსგან ან იმპერიული მსოფლიო სახელმწიფოსგან ტრანსნაციონალური სახელმწიფოს განსხვავებას მეცნიერი იმაში ხედავს, რომ იგი შესაძლებელს გახდის სუვერენიტეტისა და იდენტურობის რთულ არქიტექტურას. მისი მტკიცებით, ტრანსნაციონალური სახელმწიფო უარყოფს ეროვნულ სახელმწიფოს, მაგრამ ამკვიდრებს სახელმწიფოს როგორც ცნებას. ამდენად, ბეკისეული სახელმწიფოს მოდელი შუალედური, ჰიბრიდული მოდელია. აქ სახელმწიფოს გაგება თავისუფლდება ეროვნული სახელმწიფოს თეორიის ტერიტორიული ხაფანგისაგან და გზას უხსნის ისეთი სახელმწიფოს ცნებას, რომელიც პოლიტიკურის ახლებურად განსაზღვრა-აღორძინების გასაღებად იყენებს ტრანსნაციონალურობას.

ტრანსნაციონალური სახელმწიფოს მოდელი უპირისპირებდა კოოპერაციის ყველა დანარჩენ მოდელს. ტრანსნაციონალური სახელმწიფოები ერთიანდებიან გლობალიზაციის საპასუხოდ და ამის წყალობით ეროვნულის მიღმა ავითარებენ თავიანთ რეგიონულ სუვერენიტეტსა და იდენტურობას. მაშასადამე, ისინი კოოპერა-

ციული და ინდივიდუალური სახელმწიფოებია და მათი ეს ინდივიდუალობა კოოპერატიული სახელმწიფოების საფუძველზეა დაყრდნობილი. სხვა სიტყვებით, სახელმწიფოთაშორისო გაერთიანება ახალ სამოქმედო სივრცეებს უხსნის პოსტნაციონალურ სახელმწიფოებს. ამასთან, ქვეყნებს შორის ურთიერთობებში მრავალფეროვნების მექანიკურ ანარქიას კოოპერაციის ორგანული სუვერენიტეტი ცვლის. ეს იმას ნიშნავს, რომ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აქტორები იმ ზომით იღებენ პოლიტიკური ორგანიზაციული ფორმის განვითარებისათვის საჭირო სივრცეს, რა ზომითაც ისინი ახერხებენ თავიანთი ეკონომიკური და საზოგადოებრივი სიმდიდრის გადიდებას ტრანსნაციონალური კოოპერაციის გზით. ამდენად, ტრანსნაციონალური სახელმწიფოები გლობალური სავაჭრო სახელმწიფოებია, რომლებიც უარს ამბობენ ექსკლუზიურ ტერიტორიულ პრინციპზე და ამ დროს გეოპოლიტიკური გათვლების პრიორიტეტებსაც ეთხოვებიან.¹

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ სახელმწიფოს სუვერენიტეტის და მისი ინტერესების დაცვა მომავალშიც საერთაშორისო ცხოვრების მთავარი პრინციპი უნდა იყოს, რასაც მოითხოვს ეროვნულ მეურნეობათა და კულტურათა ურთიერთდამოკიდებულების გაძლიერება. გლობალური სისტემა, სახელმწიფოების ურთიერთმოქმედებისა და თანამშრომლობის პრინციპებს უნდა დაეფუძნოს. ამასთან, ეკონომიკის გლობალიზაციისა და ეროვნული ინტერესების შეთანაწყობის ფუძემდებლური პრინციპების და საზოგადოებრივი პრობლემების გადწყვეტის სისტემური მიდგომის გამოყენება მაქსიმალურად შეუნყობს ხელს ეფექტიანი ეკონომიკის ფუნქციონირებას, რათა განუხრელად იქნეს დაცული ის ფასეულობები, რომლებიც ადამიანის ცხოვრების ხარისხს განსაზღვრავს.²

ასე რომ, სახელმწიფო თავის ფუნქციას კი არ კარგავს, არამედ ხდება მისი ტრანსფორმირება ახალ რეალობაში, სადაც გლობალურ ურთიერთობათა სისტემის ფარგლებში უნდა უზრუნველყოს ეროვნული უსაფრთხოება და მდგრადობა, სოციალურ-ეკონომიკური წონასწორობა.

¹ იხ. *У. Бек. Что такое глобализация. Пер.с нем. "Прогресс-традиция", М., 2001, с. 189-191, 230-231.*

² *ნ.ჭითანავა, გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. III ნაწილი., თბ., 2001 წ. გვ. 58-59.*

თავი III.

ეროვნულ მიზნობაზე ბანკითარების თავისებურებანი გლობალიზაციის პირობებში

3.1. კორპორაციული ნიველირება და ინტერესთა ერთიანობა – გლობალიზაციის ორი პოლუსი

გლობალიზაციის პროცესი ის ობიექტური ფაქტია, რომელიც დღითიდღე უცვლის სახეს თანამედროვე მსოფლიოს, ახალ პერსპექტივებს უსახავს მას, მაგრამ სერიოზულ საფრთხესაც შეიცავს.

მართალია, გლობალიზაცია არნახულად აფართოებს საქონლის, მომსახურებისა და ინფორმაციის გაცვლას და ადამიანთა თანამშრომლობის არეალს, მაგრამ ამავე დროს იგი ისეთ ახალ სოციალურ-ეკონომიკურ ფენომენებსაც ბადებს, რომლებიც ან ნეგატიური შეიძლება იყოს, ან საზოგადოების ადაპტაციის სირთულეში გამოვლინდეს და საზოგადოებრივი ინსტიტუტების, კულტურის, შეგნებისა და ეკონომიკური ქცევის სტერეოტიპების შეცვლას მოითხოვს.

მაგალითად, 1996 წელს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) კონფერენციაზე აშშ-ის ინიციატივით ხელი მოაწერეს შეთანხმებას ინფორმაციული ტექნოლოგიების შესახებ, რომელმაც დაახლოებით 600 მლრდ. დოლარის მოცულობის ბაზარი მოიცვა. შეთანხმების თანახმად, უკვე 2000 წელს 45 ქვეყანაში უნდა გაუქმებულიყო კომპიუტერებზე, პროგრამულ უზრუნველყოფასა და ტელესაკომუნიკაციო მონოპოლიობაზე დაწესებული ბაჟი. 1997 წელს ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაზრის ლიბერალიზაციას 69 ქვეყანამ მოაწერა ხელი, რომელთა წილად მსოფლიო ბაზრის 95% მოდის. არსებითად ჩამოყალიბებულია საინფორმაციო ტექნოლოგიების გლობალური ბაზარი, რომელიც უზრუნველყოფს კომპიუტერული და ტელესაკომუნიკაციო მონოპოლიობის, მომსახურებისა და ინფორმაციის თავისუფლად გადაადგილებას. ამით ყველა ქვეყანა იგებს, მაგრამ განვითარებულ ქვეყნებში არსებული მხოლოდ რამდენიმე გიგანტური სუპერტრანსნაციონალური კორპორაცია ნახულობს ზღაპრულ მოგებას, აკონტროლებს ამ ბაზარს და სხვა ქვეყნებსა და ცივილიზაციებს თავს ახვევს არამარტო თავის საქონელსა და მომსახურებას, არამედ თავის მსოფ-

ლმხედველობას და დასავლური ცივილიზაციის ღირებულებებს. აშკარაა, რომ ეს ერთპოლუსიანი მსოფლიოს ფორმირების იდეოლოგიურ ბაზად გვევლინება.

გლობალიზაციის წინააღმდეგობრივი პროცესების კიდევ ერთი გამოხატულებაა ყოვლისმომცველი ფინანსური ბაზრის, ამ ერთგვარი ვირტუალური გლობალური ეკონომიკის ჩამოყალიბება, რომელიც გაემიჯნა რეალურ ეკონომიკას და საკუთარი კანონებით ვითარდება.

1997 წელს 102 ქვეყანამ ხელი მოაწერა შეთანხმებას ფინანსური მომსახურების ბაზრის ლიბერალიზაციის შესახებ. ამ ბაზრის მოცულობა 38 ტრლნ დოლარს აჭარბებს. აქ გლობალური ფულის როლს აშშ-ის დოლარი ასრულებს, რომელიც სულ უფრო ვირტუალური ვალუტა ხდება, რადგანაც მხოლოდ რამდენიმე პროცენტითაა უზრუნველყოფილი აშშ-ის სავალუტო რეზერვებით. ამ ფიქტიური კაპიტალის უზარმაზარი მოცულობა მრავალჯერ აჭარბებს რეალურ ფასეულობათა მასშტაბებს და ფინანსური სპეკულაციებისა და ავანტიურის, ინვესტიციების თავისუფლად გადაადგილების, ფინანსური საქმოსნების სასარგებლოდ ეროვნულ სიმდიდრეთა გადატყორცნის ობიექტი ხდება. ამ ფენომენმა უკვე მოიტანა მძიმე შედეგები ლათინურ ამერიკაში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და რუსეთში მომხდარი ფინანსური კრიზისების სახით და გააძლიერა მთელი მსოფლიო მეურნეობის რყევა. ამასთან, ფინანსები რეალურ სექტორზე მეტად გვევლინება გლობალიზაციის სუბიექტად საფინანსო საზღვრების გამჭვირვალობის და ერთი ქვეყნიდან მეორეში ფინანსური რესურსების მყისიერად გადაადგილების შესაძლებლობის გამო.

ამიტომ, გლობალიზაციასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ არამარტო იმას, თუ რა გავლენას ახდენს იგი საერთაშორისო ფინანსურ სისტემაზე, არამედ იმასაც, თუ სარგებლობასთან ერთად რა არასასურველი შედეგები მოაქვს მას, კერძოდ, ეროვნული მეურნეობებისთვის, როგორი პროპორციებითაა მასში წარმოდგენილი მსოფლიო ეკონომიკისთვის მოსალოდნელი საფრთხე და განვითარების პერსპექტივები, რამდენად ამწვავებს გლობალიზაცია საერთაშორისო კონფლიქტებს და კონკურენციას, ფეთქებადსაშიში მოვლენა უფროა იგი თუ პროგრესის მამოძრავებელი ძალა და სხვა.

აღსანიშნავია, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდი მრავალ ქვეყანაში დაემთხვა ბაზრების გლობალიზაციის ეპოქას. ეს აადვილებს და ართულებს კიდევ მათი მეურნეობების

ტრანსფორმაციის პროცესს. ტრანსფორმაციას იგი აადვილებს იმ აზრით, რომ ვინც უარს არ ამბობს საქონლის, კაპიტალისა და იდეების მსოფლიო გაცვლაზე, მას არ უჩნდება მსოფლიო მეურნეობაში ეროვნული ეკონომიკის ინტეგრაციის ალტერნატივა. ამასთან, ვინც იზოლაციას ირჩევს, ამით იგი ჩამორჩენისკენ უბიძგებს ქვეყანას. ამ ფონზე გლობალიზაციის პროცესისათვის უცხო არაა, როგორც სახელმწიფოთა ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების ერთიანობა, ისე მათ შორის გამოვლენილი კონფლიქტი.

გლობალიზაცია პირობითად შეიძლება განვიხილოთ, როგორც ორპოლუსიანი მოვლენა, რომლის ვერტიკალის ზედა მხარესაა ძლიერი ეკონომიკური პოტენციალისა და სამხედრო-პოლიტიკური გავლენის მქონე, ხოლო ქვედა მხარეს კი ყველა სხვა დანარჩენი, განვითარების სხვადასხვა დონის ქვეყნები.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ვიმსჯელოთ, ერთი მხრივ, ზემოდან ნამოსულ, თავსმოხვეულ ავანტიურისტულ, კორპორაციულ ნიველირებაზე დაფუძნებულ, ხოლო მეორე მხრივ, ქვემოდან ნამოსულ, ინტერესთა ერთიანობაზე, თანხვედრასა და კოოპერაციაზე დაფუძნებულ ევოლუციურ გლობალიზაციაზე. გლობალიზაციის პროცესის პოზიტიური, დინამიკური გეზი სწორედ ამ უკანასკნელზე გადის.

ეკონომიკის გლობალიზაციის ყველაზე უფრო თვალსაჩინო შედეგია ეკონომიკური ზრდა, უფრო მაღალი მწარმოებლურობა და მონინავე ტექნოლოგიების გავრცელება. გარდა ამისა, მან ხელი შეუწყო საერთაშორისო კონფლიქტების მასშტაბების შემცირებას და საერთაშორისო კოორდინაციის გაძლიერებას, – მიაჩნია კოლუმბიელ ანალიტიკოს დ. პიზანოს. მისი აზრით, გლობალიზაციის პროცესისგან მეტ-ნაკლებად ყველა ქვეყანა შეიძლება მოგებულნი დარჩეს.¹

არ შეიძლება ამ თვალსაზრისის ერთმნიშვნელოვნად გაზიარება, რამეთუ, როგორც თეორიულად, ისე სინამდვილეში, რეალურ ცხოვრებაში ეკონომიკურ გლობალიზაციას თან სდევს ქვეყნის ავტოქტონური მოსახლეობისათვის ისეთი საშიში ტენდენცია, როგორიცაა ე.წ. „ვესტერნიზაცია“, ანუ ეროვნული კულტურულ-ტრადიციული ფასეულობების უარყოფა და მათი ჩანაცვლება დასავლურით – არცთუ იშვიათად მდარე, სუროგატულით.

¹ Д. Пизано. Глобализация и международный финансовый кризис. *Межд. журнал "Вопросы теории и практики управления"*, №4, С. 1 (www.ptpu.ru).

ჩვენ ვალდებული ვართ სათანადოდ აღვიქვათ დასავლეთის გარკვეული საფინანსო ორგანიზაციებისა და მათ უკან მდგომი ინდუსტრიული ქვეყნების ის პოლიტიკა, რომელიც მიმართულია საქართველოში ქაოსური ვითარებისა და ეკონომიკური სტაგნაციის შენარჩუნებისაკენ, ქართული პროდუქციის წარმოებისა და მისი ბაზარზე შეღწევა-დამკვიდრების ხელშეშლისაკენ, არსებული საბაზრო ძალთა წონასწორობის შენარჩუნებისაკენ.

საზოგადოდ, გლობალიზაციის უპირატესობაზე გაცილებით მეტად ამახვილებენ ყურადღებას, ვიდრე მისგან მომდინარე საფრთხეზე. ამის გათვალისწინებით ყენევაში საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენლობის დირექტორი შოტლანდიელი ა. ტეიტი გვაძლევს იმ საფრთხეების დახასიათებას, რომლებიც გლობალიზაციას შეიძლება მოყვეს.¹

გლობალიზაციის მთავარი საფრთხე მისგან მიღებული შედეგების არათანაბრად განაწილებაა. ხანმოკლე პერსპექტივაში, როგორც ცნობილია, გადამამუშავებელ მრეწველობასა და მომსახურების სფეროში მიმდინარე ცვლილებები იმას გამოიწვევს, რომ ექსპორტთან დაკავშირებული და საგარეო ვაჭრობიდან სარფის მიმღები დარგები უფრო მეტად მოიზიდავენ კაპიტალსა და სამუშაო ძალას. ამავე დროს, ბაზრების სულ უფრო მეტად კარგახსნილობის შედეგად, ბევრი დარგი დაკარგავს თავის საკონკურენტო უპირატესობებს და იზარალებს გლობალიზაციის პროცესებისაგან. ამ დარგებს დამატებითი ძალების დახარჯვა მოუწევთ მათ საზიანოდ შეცვლილი სამეურნეო პირობებისადმი შესაგუებლად. ეს მოასწავებს კაპიტალისა და სამუშაო ძალის გადინებას ამ დარგებიდან, რაც ძვირადღირებული საადაპტაციო ღონისძიებების გატარების ძირითადი მიზეზი გახდება. ადაპტაციურ ღონისძიებებს თან სდევს სამუშაოს დაკარგვა და კვალიფიკაციის შეცვლა, რაც არამარტო ოჯახებს უქმნის პრობლემებს, არამედ დიდ სოციალურ დანახარჯებს მოითხოვს და ისიც მოკლე დროში. საბოლოოდ, მოხდება სამუშაო ძალის გადანაწილება, მაგრამ სოციალური ხარჯები დასაწყისში ძალიან მაღალი იქნება. მაგალითად, შოტლანდიაში გლობალიზაციას ემსხვერპლა მისი ეკონომიკის საყრდენი – გემთმშენებლობა (გარდა ორი-სამი მოქმედი გემთსამშენისა), გაქრა მძიმე მანქანათმშენებლობა, დაიხურა თითქმის სამასი ნახშირმომპოვებელი საწარმო.

¹ Алан А. Тейт. Глобализация - угроза или новые возможности для Европы? Межд. журнал "Вопросы теории и практики управления", №5, 1998. с. 1-5 (www.ptpu.ru).

ფაქტობრივად, გლობალიზაციის უპირატესობათა ძირითად ნაწილს მდიდარი ქვეყნები და ინდივიდები იღებენ. სუსტად განვითარებული ქვეყნები მინიმალურ მოგებას ნახულობენ გლობალიზაციაში. ამიტომ მიღებული სიკეთის (სიმდიდრის) არასამართლიანად განაწილება კონფლიქტების გაჩენის საფრთხეს შეიცავს რეგიონულ, ეროვნულ და ინტერნაციონალურ დონეებზე.

გლობალიზაციის ერთ-ერთი საფრთხე იმას უკავშირდება, რომ ძვირადღირებული სამუშაო ძალის მქონე ქვეყნების ფირმებს თავიანთი სანარმოო სიმძლავრეების ნაწილი დაბალხელფასიან ქვეყნებში გადააქვთ. მართალია, ეს საფრთხე დამანგრეველი არაა, მაგრამ სამუშაო ადგილების ექსპორტი მაინც არასასურველი მოვლენაა მრავალი ქვეყნის ეკონომიკისათვის.

კაპიტალის ბაზრების გლობალური ინტეგრაციის ზრდა ხელს უშლის ცალკეული ქვეყნების მიერ ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას. მართლაც, უცხოელი კაპიტალი საფრთხეს უქმნის ეროვნულ ეკონომიკას იმით, რომ იგი თავისუფალი კაპიტალია, ნებისმიერ მომენტში შეუძლია დატოვოს ესა თუ ის ქვეყანა და ამით დიდი ზარალი მიაყენოს მას. ამასთან, კაპიტალის მძლავრი ნაკადები აიძულებენ სახელმწიფოებს, რომ მათ დაიცვან მაკროსაფინანსო დისციპლინა.

გლობალიზაცია იმის საშიშროებასაც ქმნის, რომ ცალკეული ქვეყნების ეკონომიკის კონტროლი შესაძლოა სუვერენული მთავრობიდან სხვის ხელში გადავიდეს. ეს შეიძლება იყოს ყველაზე უფრო ძლიერი სახელმწიფოები, მრავალეროვნული ან გლობალური კორპორაციები და საერთაშორისო ორგანიზაციები. გამორიცხული არაა, რომ ამან გამოიწვიოს უკიდურესი ნაციონალიზმი და ქსენოფობია, პროტექციონიზმის გაძლიერება და ექსტრემისტული პოლიტიკური მოძრაობის გააქტიურება, საბოლოოდ კი სერიოზულ კონფლიქტებში გადაიზარდოს.

აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური ასპექტები გლობალიზაციის შედეგების მხოლოდ ერთი კომპონენტია. მას არაეკონომიკური ხასიათის სხვა არასასურველი შედეგებიც მოაქვს, რომლებიც უზარმაზარ რისკებს, პოტენციურ ხარჯებს და მოსალოდნელ კატასტროფებს უკავშირდება. მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს უსაფრთხოების, პოლიტიკური კრიზისის, ეკოლოგიის და ჯანმრთელობის დაცვის პრობლემები.¹ გლობალიზაციის

¹ Майкл Д. Иятрилигейтор. Глобализация как источник международных конфликтов и обострения конкуренции. Межд. журнал "Вопросы теории и практики управления". №6, 1998. с. 42.

პერიოდში სახელმწიფოთა შორის ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების დაპირისპირების გამწვავებას დიდი ზიანი მოაქვს, პირველ რიგში, მცირერიცხოვანი ხალხებისა და სუსტი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის.

ეკონომიკურად სუსტი ქვეყანა ძალაუნებურად დამოკიდებული ხდება საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა პროცესის მონაწილე ძლიერ სუბიექტებზე და ეს იღებს არამარტო წმინდა ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ და სამხედრო ხასიათსაც. ასეთი დამოკიდებულება განმტკიცდება ინსტიტუციონალურად, საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით, მათ ფარგლებში აღებული ვალდებულებებით, რამაც ქვეყანა შეიძლება საბოლოოდ აქციოს გლობალურ ურთიერთობათა და ცალკეულ ინვესტორთა მძევლად. მას ფაქტობრივად რჩება მნიშვნელოვნად შეზღუდული სუვერენიტეტი, რომლის ფარგლებშიც შეუძლებელია დამოუკიდებელი საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის გატარება. საფრთხე ექმნება მთლიანად ქვეყნის თვითმყოფადობას, ეთნოფსიქიკას, კულტურას, დემოგრაფიულ სურათს. იწყება აქტიური მიგრაცია, განსაკუთრებით კი გონებრივ-ინტელექტუალური პოტენციალის ქვეყნიდან გადინება.

ცხადია, თავიანთი ინტერესების დაცვას მსოფლიო ეკონომიკაში დიდი პოტენციალის მქონე ქვეყნები და მათი ალიანსები უფრო ახერხებენ, ინტერესთა შეჯახება კი არც ისე იშვიათად ხდება. ზოგჯერ ეს დაპირისპირება იმდენად ძლიერია, რომ გლობალიზაციისა და ვაჭრობის ლიბერალიზაციის სანაწილმდეგო გამოვლენებშიც კი იჩენს თავს. ამას ადასტურებს აშშ-ის ქალაქ სიეტლში 1999 წელს ჩატარებული ემო-ის მესამე საერთაშორისო კონფერენციის დროს მოწყობილი საპროტესტო დემონსტრაციები, რომლის მონაწილეებიც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოვიდნენ. ამერიკელებთან ერთად ისინი ემო-ს მიიჩნევენ არადემოკრატიულ ორგანიზაციად, რომელიც გადაწყვეტილებებს ფარულად იღებს ტრანსნაციონალური კორპორაციების კარნახით. აღნიშნულ კონფერენციაზე ევროპელები გამოვიდნენ აშშ-ის მიერ ფერმერებისათვის გამოყენებული პრეფერენციული საექსპორტო კრედიტების წინააღმდეგ და მოითხოვეს, ასევე, საგარეო ვაჭრობის ხელშემწყობი ამერიკული სახელმწიფო დაწესებულებების დახურვა. გარდა ამისა, ევროპა ისეთი კანონების მიღებას მოითხოვს ემო-სგან, რომლებიც წინ აღუდგება მონოპოლიური წარმონაქმნების საქმიანობას და, პირიქით, ხელს შეუწყობს წვრილი და საშუალო ფირმების მოღვაწეობას.

დამკვირვებლების განცხადებით, კონფერენციამ კრახი განიცადა აშშ-ის მიზეზით, რომელსაც სურდა სხვებისთვის მოეხვია თავს მრავალი პრობლემა, თავად კი არაფერზე აელო პასუხისმგებლობა. მაგალითად, იაპონელებმა აშშ-ს იმაში დასდეს ბრალი, რომ იგი ტენდენციურად იყენებს ანტიდემპინგურ კანონებს, რათა წინ აღუდგეს ამ ქვეყნის კონკურენტუნარიან პროდუქციას. ამასთან დაკავშირებით ამერიკელები არავითარ კომპრომისზე არ წასულან.¹

გლობალიზაციის ეპოქაში წინა პლანზე გამოდის ზოგადსაკაცობრიო და პირადი ინტერესები, რაც საფრთხეს უქმნის ცალკეული, განსაკუთრებით კი მცირერიცხოვანი ერების არსებობას.

გლობალურ ურთიერთობათა განვითარების, საზოგადოებრივ-ეკონომიკური და გეოპოლიტიკური კატაკლიზმების პირობებში საქართველოს, როგორც ეროვნულ სახელმწიფოს, მისი ავტოქტონური მოსახლეობის გადარჩენის ქვაკუთხედად უნდა განვიხილოთ ერის გენეტიკური კოდი, უწყვეტი მემკვიდრეობითი ხაზი, ისტორიულად ჩამოყალიბებული ენობრივ-ტერიტორიული, ეკონომიკური ცხოვრებისა და რელიგიური ერთიანობის განცდაზე, ტოლერანტობაზე დაფუძნებული ეთნოფსიქიკა და კულტურა. ამიტომ წინა პლანზე იწევს განათლებისა და მეცნიერების განსაკუთრებული როლი.

აქედან გამომდინარე, მეცნიერებისა და განათლების სფეროების განვითარება ქვეყნის საერთო განვითარების საფუძველი უნდა გახდეს, ხოლო ამაზე უარის თქმა დამლუპველი გახდება მისთვის. მაგრამ მცირერიცხოვან ქვეყანას არ შეუძლია დამოუკიდებლად განავითაროს ინოვაციური სფერო, რის გამოც აუცილებელია აქტიურად თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ინოვაციების შექმნა და ათვისება, რაც განაპირობებს საერთაშორისო ბაზარზე საკუთარი პროდუქციის კონკურენტუნარიანობას, ქვეყნის ეკონომიკური და ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

ნებისმიერი ქვეყნის ეროვნული ინტერესებიდან მთავარია სტაბილურობა, ეკონომიკური განვითარების დაჩქარება და მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდა.

დღეს ეკონომიკური ინტერესების დაცვას ქვეყნების უმრავლესობა ემო-ს მექანიზმების გამოყენებით ცდილობს. ამიტომაცაა, რომ

¹ ა. გრიშკაშვილი. სიეტლი: დემოკრატიის გამარჯვება თუ გლობალიზაციის კრიზისი? უორნ. „მაკრო მიკრო ეკონომიკა“. №1-2, 2000, გვ. 26-27.

ამ ორგანიზაციის 135 წევრიდან თითქმის ასი ქვეყანა განვითარებადი სამყაროს წარმომადგენელია.

ვმო-ში ქვეყნებს იზიდავს საერთაშორისო ვაჭრობაში დისკრიმინაციის აღკვეთის პერსპექტივა, მრავალმხრივი სავაჭრო მოლაპარაკების გამართვის და ვაჭრობასთან დაკავშირებული საერთაშორისო დავების სამართლიანად მოგვარების შესაძლებლობა, ვმო-ს ფარგლებში სავაჭრო პოლიტიკის ზედამხედველობა და მსოფლიო ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელ საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.

აღსანიშნავია, რომ ვმო-ს ფარგლებში შექმნილია ვაჭრობისა და განვითარების საკითხთა სპეციალური კომიტეტი, რომლის მიზანია გლობალურ ეკონომიკაში განვითარებადი ქვეყნების სპეციფიკური საკითხებისა და პრობლემების განხილვა. ამ ქვეყნების ინტერესების გათვალისწინებით, მათ მიეცათ რაოდენობრივი შეზღუდვების დაწესების უფლება საგადასახდელო ბალანსის საჭიროებიდან გამომდინარე.

გარდა ამისა, განვითარებადი ქვეყნები ვმო-ს ტექნიკური დახმარებითაც სარგებლობენ. ფიქრობენ, რომ ეკონომიკურ განვითარებაში ამ ქვეყნების მიერ მოპოვებული წარმატებები ხშირად უკავშირდება საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციას, რაც მათი სავაჭრო პოლიტიკის რეფორმაში ვმო-ს მიერ შესრულებული როლით აიხსნება.

ამასთან, ვმო-ს წევრი პოსტ-კომუნისტური ქვეყნები მნიშვნელოვან დახმარებას იღებენ რეფორმების გატარებაში და განვითარებული ქვეყნების ბაზრებზე შეღწევაში.¹

არსებობს სხვა მოსაზრებებიც, რომლებიც გლობალიზაციის მეორე პოლუსზე იყრის თავს. ამ მოსაზრებების თანახმად, ვმო-ში განწევრიანება პრაქტიკულად გამორიცხავს ეფექტიანი საბაჟო პოლიტიკის გატარების შესაძლებლობას. ლიბერალური საბაჟო პოლიტიკის გაბატონება დღეს გამოხატავს ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების ინტერესებს, რომლებმაც თავის დროზე პროტექციონისტული ღონისძიებების გატარებით მიაღწიეს წარმატებებს და შემდეგ, ისევ და ისევ თავიანთი ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, მოახდინეს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების ცალკეული მხარეების ეტაპობრივად ლიბერა-

¹ თ. ბერუჩაშვილი, ლ. ლომიძე. სიეტლის გაკვეთილები (მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია). უფრნ. მაკრო მიკრო ეკონომიკა, №1-2, 2000, გვ. 26.

ლიზება. ახლა მათთვის ხელსაყრელია გარე სამყაროში ლიბერალური საბაჟო პოლიტიკა, რაც ნედლეულის ახალი წყაროებისა და მზა პროდუქციის გასაღების ახალი ბაზრების ათვისების შესაძლებლობას აძლევს მათ.¹ ამავდროს, „... თავისუფალი ვაჭრობის სარგებლიანობის პროპაგანდა და საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია ქართულ ნაწარმს პრაქტიკულად დევნის სამომხმარებლო ბაზრიდან“.²

დამცველი ზომების გარეშე განვითარებადი ქვეყნის შესვლა თავისუფალი ვაჭრობის ზონაში, სადაც მას მძლავრ ინდუსტრიულ ეკონომიკებთან მოუხდება კონკურენციაში ჩაბმა, ყოველთვის არ იძლევა დადებით შედეგს. ამით აიხსნება, მაგალითად, ის ფაქტი, რომ რუსეთი ფრთხილობს შევიდეს თავისუფალი ვაჭრობის ზონაში და საფუძვლიანად აანალიზებს ყველა შესაძლო პოზიტიურ თუ ნეგატიურ შედეგს. ამ ქვეყნის ვაჭრობის სამინისტროს განცხადებით, მან არ უნდა იჩქაროს ემო-ში შესვლა და უნდა განვევრიანდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაბამისი პირობები მომნიჭდება. ამასთან დაკავშირებით, საგულისხმოა მსოფლიო ბანკის საგანგებო მითითება, რომლის თანახმადაც „განვითარებადი და განვითარებული ქვეყნების მთავრობები არ უნდა ხელმძღვანელობდნენ ერთიანი ნესებით პრივატიზაციის, ლიბერალიზაციის ან უფრო ძლიერი საბიუჯეტო პოლიტიკის გატარების ვადებისა და მეთოდების შესახებ“.³ ასეთსავე რჩევას იძლევა ეკონომიკაში ნობელის პრემიის ლაურეატი, ამერიკელი პროფესორი ლ. კლაინი. მისი ლოგიკა ასეთია: ქვეყნები ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა სტადიაზე იმყოფებიან. მათ განსხვავებული ხასიათის მქონე ინსტიტუტები და პრიორიტეტები აქვთ. ამიტომ ყველას ერთბაშად და ერთნაირი მასშტაბით არ შეუძლია ღია კარების პოლიტიკის განხორციელება და არც უნდა გააკეთონ ეს.⁴

ამისგან განსხვავებით, ჩვენ (აქ იგულისხმება ხელისუფლება) რატომღაც ყოველთვის ვიჩინდით განსაკუთრებულ აქტიურობას და თამამად, დაუფიქრებლად შევდიოდით ახალ ურთიერთობებ-

¹ დ. კვარაცხელია. გლობალიზაცია და ეკონომიკური პოლიტიკის ეროვნული სისტემა. თბ., 2002, გვ. 11.

² დასახელებული ნაშრომი. გვ. 32.

³ ა. დავითულიანი. გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების ზოგიერთი ასპექტი. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ბიულეტენი, №76, 2003, გვ. 50.

⁴ Кляйн Л. Глобализация: вызов национальным экономикам. Межд. журн. "Проблемы теории и практики управления", 1998, №6. с. 44.

ში. ყოფილი საბჭოთა ქვეყნებიდან ერთ-ერთი პირველები ვიყავით, ვინც შევიდა თავისუფალი ვაჭრობის ზონაში, სადაც, ცხადია არსებობს გარკვეული პირობები, რომლის ფარგლებშიც საკმაოდ ძნელია შეღწევა და თუნდაც უმნიშვნელო სეგმენტის მოპოვება საერთაშორისო ბაზარზე ჩვენი შეზღუდული, მცირე ნომენკლატურის კონკურენტუნარიანი პროდუქციისათვის.

ამასთან, გლობალიზაციის ეპოქაში თვალში საცემი ხდება იმ პოლუსის გაძლიერება, სადაც მრავალი ქვეყნის საერთო ინტერესები იყრის თავს. ამას ის ფართო შესაძლებლობები ასაზრდოებს, რომლებსაც მაღალი დონის ტელესაკომუნიკაციო და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება უქმნის მცირე ქვეყნებს. სწორედ ასეთი ტექნოლოგიების გამოყენებით მიაღწია ფინეთმა შთამბეჭდავ ეკონომიკურ წარმატებებს; მეცნიერებატევადმა კომპიუტერულმა და ბიოლოგიურმა ტექნოლოგიებმა განაპირობა ჩეხეთის, სლოვენის, შვედეთის დიდი წარმატებები. ლიბერალიზაციისა და დერეგულირების გზით მავალი ჩეხეთი, რომელსაც „ევროპის ვეფხვს“ უწოდებენ, უკვე შესულია ეთგო-ში – წარმატებულ სახელმწიფოთა ოფიციალურ კლუბში; ასევე, თანამედროვე ბიოტექნოლოგიისა და მედიცინის განვითარებამ იმ მოქნილ პოლიტიკასთან ერთად, რომელიც ოფშორული კაპიტალის მოზიდვისკენ იყო მიმართული, ირლანდია ევროპის პერიფერიული ქვეყნიდან წარმატებულ ქვეყნად გადააქცია.¹

არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ გლობალიზაციას მრავალი ასპექტი აქვს და იგი დიდ გავლენას ახდენს ყველა ქვეყნის ეკონომიკაზე. მათ საერთო ინტერესებშია ის, რომ გლობალიზაცია ეხება საქონლისა და მომსახურების წარმოებას, სამუშაო ძალის გამოყენებას, ფიზიკურ და ადამიანისეულ კაპიტალში ინვესტირებას, ტექნოლოგიებს და მათ გავრცელებას ერთი წყება ქვეყნებიდან მეორეში. ეს ყველაფერი, საბოლოო ანგარიშით, აისახება წარმოების ეფექტიანობის ზრდაში, შრომის ნაყოფიერების ამალღებასა და კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებაში.

ამასთან, განსაკუთრებით საყურადღებოა გლობალიზაციის ზოგიერთი ასპექტი:

ჯერ ერთი, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდის ტემპი დღეს დიდად აღემატება მსოფლიო ვაჭრობის ზრდის ტემპს.

¹ ა. დავითულიანი. გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების ზოგიერთი ასპექტი. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ბიულეტენი №76, 2003, გვ. 51.

ეს კაპიტალდაბანდებები გადამწყვეტ როლს თამაშობენ ტექნოლოგიების ტრანსფერტში, მრეწველობის რეკონსტრუქციაში, გლობალური სანარმოების გაჩენაში, რაც სასურველ გავლენს ახდენს ნებისმიერ ეროვნულ ეკონომიკაზე;

მეორე, ახალი ტექნოლოგიები, როგორც ცნობილია, გლობალიზაციის ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალაა, მაგრამ იგი, თავის მხრივ, ამძაფრებს კონკურენციას, სტიმულს აძლევს ტექნოლოგიების შემდგომ განვითარებას და კიდევ უფრო ფართოდ გავრცელებას;

ბოლოს, გლობალიზაციის შედეგად მატულობს მომსახურებით ვაჭრობის ტემპები, საფინანსო, იურიდიული, მმართველობითი, საინფორმაციო და სხვა მომსახურება საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების ძირითადი ფაქტორი ხდება.

ამდენად, გლობალიზაციის შედეგად თავისი მდგომარეობის გაუმჯობესება შეუძლია ყველა პარტნიორს, როგორც ცალკეულ პირებს, ფირმებსა და ორგანიზაციებს, ისე ქვეყნებს, მათ სავაჭრო კავშირებსა და მთელ კონტინენტებსაც კი. ასე, რომ „გლობალიზაციის საბოლოო შედეგი უნდა გახდეს მსოფლიოში კეთილდღეობის საერთო ამაღლება“.¹

თანამედროვე საინფორმაციო ტექნიკისა და კომუნიკაციის საშუალებათა წყალობით, აგრეთვე, წარმოების ფაქტორების სულ უფრო თავისუფლად გადაადგილების საფუძველზე მიმდინარეობს დედამიწის ტრანსფორმირება „გლობალურ სოფლად“. ამ ფონზე ჩნდება კითხვები: ამ უსაზღვრო ეკონომიკურ და პოლიტიკურ თამაშში აქვთ კი მცირე ქვეყნებს არსებობის უფლება? უსაგნო ხომ არ ხდება საუბარი სამენარმეო სტრუქტურებს ზომებისა და სახელმწიფოთა საზღვრების შესახებ? პატარა სახელმწიფოს საერთოდ თუ შეუძლია ჩვენს საუკუნეში ჰქონდეს განვითარების პრეტენზია? არაერთი ექსპერტის აზრით, ეს კითხვები რიტორიკულად ჟღერს, რასაც თუნდაც ის ადასტურებს, რომ ცენტრალურსა და აღმოსავლეთ ევროპაში მცირე სახელმწიფოების რაოდენობამ იმატა კიდევ.

„მცირე სახელმწიფო, ისევე, როგორც მცირე სანარმო, თანაც გლობალიზაციის საუკუნეში – ან სწორედ გლობალიზაციის საუკუნეში – უმაღლეს დონეზე ინარჩუნებს სიცოცხლისუნარიანობას“, – წერს ლუქსემბურგელი ექსპერტი რომენ კირტი, ეკონომიკური

¹ Майкл Д. Интрилигейтор. Глобализация как источник международных конфликтов и обострения конкуренции. Межд. журнал "Вопросы теории и практики управления", 1998, №6, с. 40.

და სოციალური საბჭოს მრჩეველი რეგიონულ სწავლებლებში და თავის ამ თეზისს შემდეგი ორი არგუმენტით ასაბუთებს: ა) არსებული გამოცდილების მიხედვით, დიდი სახელმწიფოები ყოველთვის ვერ ართმევენ თავს რთულ ამოცანებს მცირე სახელმწიფოებზე უკეთ; ბ) ახლა გამოიკვეთა დიდი წარმონაქმნების შექმნის საპირისპირო ტენდენცია, რომელიც აბსტრაქტული ერთიანი ცივილიზაციის უნივერსალიზმის წინააღმდეგაა მიმართული. მისივე მტკიცებით, გლობალიზაციის ეპოქაში კვლავ აქტუალური იქნება შემდეგი ფაქტები:

1. დღეს ცხოვრების დონის მიხედვით ყველაზე მონინავე ქვეყნები მცირე სახელმწიფოებია;

2. მცირე სახელმწიფოებს პეგემონისტური პრეტენზიები არა აქვთ და ამის გამო ისინი დიდ სახელმწიფოებზე უფრო მეტი ნდობით სარგებლობენ;

3. თუ მსოფლიო ეკონომიკა ისე იქნება მონყობილი, რომ გაუქმდება სავაჭრო ბარიერები და ცალკეული ქვეყნების (მათი დაჯგუფებების) ინტერესებს განგებ არ შელახავენ, მაშინ უფრო მცირე სახელმწიფოებიც შეძლებენ თავიანთი სპეციფიკური ნოუ-ჰაუს და მრავალფეროვანი იდეების გამოყენებას გლობალურ კონკურენციასთან გამკლავებისათვის;

4. მსოფლიო არენაზე სწორედ მცირე სახელმწიფოების არსებობაა მთლიანობაში საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობების სიჯანსაღის ნიშანი.¹

მცირე ეკონომიკის მქონე და ნაკლებად განვითარებული ქვეყნების ინტერესების დაცვას საგანგებო ადგილი უჭირავს ემოს მინისტრთა მეოთხე (2001 წელი) კონფერენციის დეკლარაციაში, სადაც ნათქვამია: „ემოს წევრი ქვეყნების უმრავლესობა წარმოადგენს განვითარებად ქვეყნებს. ჩვენ ვეცდებით გავითვალისწინოთ ამ ქვეყნების მოთხოვნილებები და ინტერესები“.

აღნიშნულ კონფერენციაზე მიღებული შეთანხმების თანახმად, უზრუნველყოფილი იქნება განვითარებადი, განსაკუთრებით კი, ნაკლებად განვითარებული ქვეყნების მონაწილეობა მსოფლიო ვაჭრობის ზრდის პროცესში, ამ ქვეყნების ეკონომიკური განვითარების მოთხოვნებიდან გამომდინარე; ხელი შეეწყობა მცირე, ნაკლებად დაცული ეკონომიკის მქონე ქვეყნების სრულ

¹ P. Кирт. *Малые государства в эпоху глобализации*. Межд. журнал "Вопросы теории и практики управления", №5, 1999. с. 3-4 (www.prip.ru).

ინტეგრაციას მრავალმხრივ სავაჭრო სისტემასთან, რათა არ შეიქმნას ვმო-ის წევრების ქვეკატეგორია; შემუშავდება რეკომენდაციები, რათა გაიზარდოს ტექნოლოგიების გადაცემა განვითარებადი ქვეყნებისათვის; ტექნიკური დახმარება გაეწევა განვითარებად, ნაკლებად განვითარებულ და გარდამავალი ეკონომიკის მქონე მცირე შემოსავლიან ქვეყნებს; ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისათვის პერსპექტივაში უზრუნველყოფილი იქნება მათი პროდუქციის ბაზარზე დაშვება საბაჟო გადასახადისა და კვოტის გარეშე¹.

გლობალიზაციის ეპოქაში ერთ-ერთი თვალსაჩინო ტენდენცია ხდება განვითარებული ქვეყნების მხრიდან განვითარებადი ქვეყნებისათვის ეკონომიკური დახმარების განწევის გაფართოება, რაც ქვეყნების ამ ორივე ჯგუფის საერთო ინტერესებში შედის. ასეთი დახმარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროგრამაა გაეროს ეგიდით ჩამოყალიბებული პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა (პგს), რომლის არსსაც სუსტ ქვეყნებში ექსპორტის განვითარების ხელშეწყობა შეადგენს. ამ მიზნით განვითარებულ ქვეყნებში პგს-ით მოსარგებლე ქვეყნებს (ბენეფიციარებს) გარკვეულ შეღავათებს ანიჭებენ, კერძოდ, ბენეფიციარი ქვეყნებიდან ექსპორტირებულ საქონელზე შემცირებულ საიმპორტო ტარიფებს ანესებენ, რაც აადვილებს მათი საქონლის შეღწევას განვითარებული ქვეყნების ბაზარზე, ზრდის ამ საქონლის კონკურენტუნარიანობას და ხელს უწყობს განვითარებად ქვეყნებში საექსპორტო წარმოების განვითარებას.

აღსანიშნავია, რომ ბენეფიციარ ქვეყანას, თავის მხრივ, შეუძლია ანალოგიური შეღავათები მიანიჭოს მასზე კიდევ უფრო ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს. მაგალითად, აშშ-ისა და იაპონიის პგს-ის ბენეფიციარი ქვეყნები – ჩეხეთი, სლოვაკეთი, რუსეთი და პოლონეთი პრეფერენციებს ანიჭებენ განვითარებად ქვეყნებს. გარდა ამისა, გაეროს მიერ დადგენილ ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს პრეფერენციების მიმნიჭებელი ქვეყნები კიდევ უფრო დაბალ (უმრავლეს შემთხვევაში – ნულოვან) საბაჟო-სატარიფო განაკვეთებს უნესებენ და პროდუქციის ჩვეულებრივ ჩამონათვალთან შედარებით უფრო გაფართოებულ ნუსხას სთავაზობენ, იმ ქვეყნებში კი, სადაც პრეფერენციულ პროდუქტზე ლიმიტები მოქმედებს,

¹ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია. მინისტრთა მეოთხე კონფერენცია. დოკა, 2001 წლის 9-14 ნოემბერი. მინისტრთა დეკლარაცია.

ლიმიტების გარეშე იმპორტის განხორციელების უფლებას აძლევენ.¹

სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების ერთიანობა სულ უფრო ხშირად ვლინდება თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნაში, რასაც ადასტურებს ამ ზონების რაოდენობის ზრდა. მათმა რაოდენობამ ჯერ კიდევ გასული საუკუნის ბოლოსათვის ვადააჭარბა 4 ათასს და ეს რაოდენობა კიდევ უფრო მატულობს, მაოზე კი ამ დროისათვის მსოფლიოს მთელი საქონელბრუნვის 30% მოდიოდა.²

ამგვარი ანკლავების ფარგლებში დღეს ნაყოფიერად თანამშრომლობენ, ერთი მხრივ, ქვეყნის ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლება, ხოლო, მეორე მხრივ, უცხოური და ეროვნული კერძო ბიზნესი. ამიტომ თავისუფალ ეკონომიკურ ზონებს ახლა ყველა ქვეყნის საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის გააქტიურების და ლიბერალიზაციის ოპტიმალურ ფორმად განიხილავენ.

თავისუფალი ეკონომიკური ზონები პრინციპში იქმნება და ვითარდება ეკონომიკური სისტემების ტიპებისა და ეროვნული მოვლენების ხასიათის მიუხედავად. ამასთან, განვითარებულ ქვეყნებში მათი ფუნქციონირების დროს წინა პლანზე გამოდის ცალკეული რაიონების განვითარებაში არსებული დეპრესიულობის დაძლევის ამოცანები (ეროვნულ ბიზნესზე დაყრდნობით), განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში კი ასეთ ზონებს იყენებენ ბაზარზე გადასვლის პროცესის დასაჩქარებლად და ეკონომიკური ზრდის წასახალისებლად, უმთავრესად, უცხოური კაპიტალის მოზიდვის ხარჯზე.

¹ თ. ბერუჩაშვილი, ლ. ლომიძე, ვ. მჭედლიშვილი. *პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა GSP. ძირითადი ინფორმაცია. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. CTRL - Georgia, 2002, გვ. 2, 7.*

² *Сергеев Е.Ю. Международные экономические отношения. Курс лекций. М., Информационно - внедренческий центр "Маркетинг", 2000, с. 162.*

32. გლობალიზაციის ლიდერი ძვეყნების სტრატეგია

განვითარებული სამრეწველო ქვეყნების ეკონომიკურ ზრდას XX საუკუნის ბოლო მეოთხედში ზომიერი ტემპები ახასიათებდა (იხ. ცხრილი 3.2-1). მათგან ყველაზე მაღალი ტემპები მცირე ქვეყნების ჯგუფში აღინიშნა. ამასთან, მსოფლიო ეკონომიკის ლიდერად კვლავ რჩება აშშ, რომელსაც მსოფლიოში მანქანა-მონწყობილობის ყველაზე ტევადი ბაზარი აქვს. მის წილად მოდის განვითარებულ ქვეყნებში რეალიზებული მანქანათმშენებლობის პროდუქციის 29%-მეტი და მისი მსოფლიო ექსპორტის მეოთხედზე მეტი. უკვე 1990-იანი წლების დასაწყისისათვის აშშ-ში ჩამოყალიბდა მეურნეობის მყარად პროგრესული სტრუქტურა, რომელშიც წამყვანი როლი მომსახურების სფეროს ეკუთვნის – მშპ-ის 60%-ზე მეტი.

ცხრილი 3.2-1

განვითარებული სამრეწველო ქვეყნების მშპ-ის დინამიკა, %

ქვეყნები და მათი ჯგუფები	1971-1980 წწ.	1981-1990 წწ.	1991-1995 წწ.	1990-2001 წწ.
ე თ გ ო	3,3	2,9	1,9	1,7
აშშ	2,8	2,7	2,4	2,1
იაპონია	4,5	4,2	1,4	1,0
ევროკავშირი	3,0	2,3	1,5	1,8

წყარო: ურნ. „МЭИМО“, 1996, № 2, გვ. 71; Доклад о развитии человека за 2003 год. Минск., „Юнипак“, 2003. с. 281.

აშშ მეცნიერებატევადი პროდუქციის უმსხვილესი მწარმოებელიცაა. ამავე დროს, თანამედროვე ეტაპზე დასავლეთ ევროპის ქვეყნებშიც უზარმაზარი სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალია შექმნილი. მეცნიერულ კვლევებს ეს ქვეყნები თავიანთი მშპ-ის 2%-ზე მეტს ახმარენ, თუმცა, ჩამორჩებიან მთელ რიგ წამყვან წარმოებებში – ინტეგრალურ სქემებსა და ნახევარგამტარებში, მიკროპროცესორებში და ბიომასალებში. ამის მიუხედავად, ბოლო ხანს დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მცირდება მატერიალური წარმოების ხვედრითი წილი და მატულობს მომსახურების წილი.

მსოფლიო წარმოებაში დასავლეთის ქვეყნების მდგომარეობა კაპიტალის მსოფლიო ბაზრების ფუნქციონირებაში აისახება. ყველა ძირითადი საფინანსო ცენტრი მსოფლიოს განვითარებულ ნაწილშია თავმოყრილი. ეს გარემოება მჭიდროდ უკავშირდება იმას, რომ განვითარებულ სამრეწველო ქვეყნებს მყარი პოზიციები (თექვსმეტი ადგილი პირველ ოცეულში) აქვთ დაკავებული ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლით.

მონინავე ქვეყნების განვითარება განუყოფლად უკავშირდება გლობალურ სფეროს, რადგან მათი კაპიტალის განვითარება მხოლოდ მათივე გავლენის მასშტაბების გაფართოებითაა შესაძლებელი. ამიტომ ეს ქვეყნები აფართოებენ შიდა ბაზრების საზღვრებს და საგარეო-ეკონომიკური კავშირების გააქტიურებით, როგორც წესი, აღწევენ წარმოების ხარჯების შემცირებას და მისი ეფექტიანობის ამაღლებას.

განვითარებული ქვეყნების ეკონომიკა სულ უფრო ღია ხდება. ეკონომიკის კარგახსნილობის კოეფიციენტი (საგარეო-სავაჭრო ბრუნვის შეფარდება მშპ-თან) ყველაზე მაღალი აქვთ პატარა ქვეყნებს, რადგან ისინი იმაზე მეტ პროდუქციას აწარმოებენ, ვიდრე მოიხმარენ, მის რეალიზაციას კი მსოფლიო ბაზარზე ახდენენ.

ეკონომიკის კარგახსნილობას ურთიერთსაპირისპირო მოვლენები მოსდევს: ერთი მხრივ, მიმდინარეობს სხვადასხვა ქვეყნის მეურნეობათა ინტეგრაცია, იქმნება თავისუფალი ვაჭრობის ზონები, ხოლო, მეორე მხრივ, ცალკეული ქვეყნები ამყლავნებენ მსოფლიო ბატონობის სურვილს.

ეკონომიკის კარგახსნილობაზე უდიდეს გავლენას ახდენს კაპიტალის მოძრაობა, რომელიც სხვა ფორმების განვითარებასაც განსაზღვრავს. ინდუსტრიული ქვეყნები სამენარმეო და სასესხო კაპიტალის გამოყენების ძირითად სუბიექტებად და ობიექტებად გვევლინებიან.

მსოფლიო ეკონომიკური კავშირურთიერთობების სწრაფად ზრდამ ჩვენს დროში გამოიწვია საგარეო-ეკონომიკური სფეროს როლის ამაღლება-გაფართოება. ამის მიზეზი ისაა, რომ ინტერნაციონალიზაციის პროცესი დიდი ხანია გასცდა მიმოქცევის სფეროს ფარგლებს და ამა თუ იმ ზომით კვლავწარმოების მთელი პროცესი მოიცვა.

მთელი რიგი ქვეყნებისთვის საგარეო-ეკონომიკური კავშირები უკვე წამყვანი და განმსაზღვრელი სფეროა და არა დაქვემდებარებული. გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს მათი კონკურენტ-

უნარიანობა და მსოფლიო მეურნეობაში საკუთარი მდგომარეობის განმტკიცება-გაუმჯობესების უნარი.

გლობალიზაციის ლიდერი ქვეყნების სტრატეგიაში გამოკვეთილად ჩანს მათი ზრუნვა რეგიონული ეკონომიკური ბლოკების ჩამოყალიბებასა და გაძლიერებაზე. ინტეგრაციულ დაჯგუფებათა მონაწილეებს შორის თანდათანობით უქმდება სავაჭრო-ეკონომიკური დაბრკოლებები, სამაგიეროდ კი ხდება დაბეგვრისა და სხვა დაბრკოლებების უნიფიცირება ე.წ. მესამე სამყაროს ქვეყნების მიმართ. აღნიშნული ბლოკების ეკონომიკური საფუძველია მსოფლიო ეკონომიკის ცალკეულ სექტორებში ეფექტიანობის ამაღლებისკენ სწრაფვის გაძლიერება, ამ ტენდენციის შედეგი კი ხდება წარმოების ინტერნაციონალიზაციის ზრდა.

ამასთან, ლიდერი ქვეყნების სტრატეგიაში საგულისხმო ფაქტია სუსტ პარტნიორებზე უპირატესობის მოპოვებიდან მათთან საკონკურენტო პარტნიორობაზე გადასვლა და ძლიერი პარტნიორების ურთიერთდამოკიდებულების გადიდება. ეს განსაკუთრებით ეხება ამერიკა-კანადის ეკონომიკურ ურთიერთობებს.

ცნობილია, რომ კანადა, რომლის ექსპორტი და იმპორტი მშპ-ის 2/3-ს შეადგენს, ძალიან არის დამოკიდებული მსოფლიო ბაზარზე არსებულ ვითარებაზე, მაგრამ ბოლო დროს მისი ექსპორტისა და იმპორტის შესამჩნევად (თითქმის ერთი მესამედით) გაზრდა დიდად განაპირობა სწორედ აშშ-ში აღნიშნულმა ეკონომიკურმა გამოცოცხლებამ, რომლის ბაზარზეც კანადის პროდუქციაა ორიენტირებული.

აშშ-ის ეკონომიკა, როგორც ახალი ეკონომიკური რეალობა, „ახალ ეკონომიკად“ არის მონათლული. მის მოდელს, უპირველეს ყოვლისა, ახასიათებს ისეთი პრინციპული ნიშან-თვისებები, როგორიცაა ბიზნესის გლობალიზაცია და საინფორმაციო რევოლუცია.

ბიზნესის გლობალიზაცია აღნიშნავს ქვეყნისა და მისი მეურნე სუბიექტების ინტეგრაციას მსოფლიო ეკონომიკაში. ამჟამად, აშშ-ის უმსხვილესი კორპორაციების შემოსავლების ნახევარზე მეტი საზღვარგარეთ ყალიბდება: უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა საგარეო ვაჭრობისა და საზღვარგარეთული ინვესტირების განვითარების პროცესმა. თავის მხრივ, აშშ-იც იღებს ყველაზე მონინაჟე უცხოურ საინვესტიციო საქონელს და ტექნოლოგიებს, ქვეყანაში კი მრავლადაა ევროპისა და იაპონიის ფირმების ფილიალები და შვილობილი კომპანიები. საგრძნობლად გააქტიურდა მართვის მონინაჟე გამოცდილების გაცვლა, გაძლიერდა ამერიკის საინვეს-

ტიციო ფონდების როლი მსოფლიოს საფინანსო ბაზრებზე. თუ 1970-იანი წლების ბოლოს საგარეო ვაჭრობას უკავშირდებოდა აშშ-ის ეკონომიკის დაახლოებით 17%, ამჟამად ეს სიდიდე 25%-მდეა გადიდებული.

აშშ-ის ძლიერი საგარეო-პოლიტიკური პოზიციები და ეკონომიკის განვითარების ამერიკული მოდელის უპირატესობა განსაზღვრავს ქვეყნის ლიდერობას გლობალიზაციის პროცესში.

გლობალური ეკონომიკის თანამედროვე ეკონომიკურ ფილოსოფიას გადამწყვეტნილად აყალიბებს ამერიკული ლიბერალიზმი, რომელიც ყველაზე უფრო კონკურენტუნარიანი აღმოჩნდა ჩვენს დროში. დღეს მას ვერ უპირისპირდება ზრდის სხვა რომელიმე მოდელი.

მსოფლიო სავალუტო-საფინანსო კრიზისმა და იუგოსლავიაში განხორციელებულმა სამხედრო მოქმედებებმა განამტკიცა დოლარის კურსი, რამაც მნიშვნელოვნად შეკვეცა ამერიკის ექსპორტი და გაზარდა იმპორტი. სხვა ქვეყნებში ეს სერიოზულად დააქვეითებდა წარმოებას და ადგილობრივ საქონელს გამოდევნიდა შიდა ბაზრიდან, მაგრამ აშშ-ის „ახალ ეკონომიკაში“ ასე არ მომხდარა. იმპორტის ზრდამ გამოიწვია მიწოდების გაფართოება და ფასების შემცირება, მეტი არჩევანი მისცა მომხმარებლებს, გაზარდა სამუშაო ადგილების რაოდენობა მომსახურებაში (საქონლის ტრანსპორტირება, გაყიდვის შემდგომი მომსახურება) და უფრო მეტი კონკურენტუნარიანობისკენ უბიძგა ამერიკელ საქონელმწარმოებლებს. ადგილობრივ კომპანიებს მიეცათ თავიანთი სანარმოო სიმძლავრეების გადაიარაღების შესაძლებლობა ევროპიდან და იაპონიიდან შემოტანილი უფრო იაფი მონყობილობის შექენის ხარჯზე, რაც ზრდის დამატებითი ფაქტორი გახდა.

აშშ-ის „ახალ ეკონომიკაში“ მნიშვნელოვნადაა შეზღუდული პროტექციონიზმის გამოყენება, რადგან სწორედ ღია ბაზარია ეკონომიკური ზრდის საუკეთესო სტიმული.

აშშ-ის ეკონომიკური ზრდის მეორე მძლავრი წყაროა საინფორმაციო რევოლუცია. დღეს ამერიკაში საინფორმაციო ბუმი: სრულყოფენ ციფრულ ტექნოლოგიებს, მუდმივად აყალიბებენ ახალ კომპანიებს, ავითარებენ მრეწველობის ახალ დარგებს. თუ ცოტახნით ადრე ქვეყნის ეკონომიკაში წამყვანი იყო საავტომობილო და საბინაო მშენებლობა, ახლა განვითარების ლოკომოტივია საინფორმაციო ტექნოლოგიები, რომლებიც, არსებული შეფასებებით, ეკონომიკური ზრდის დაახლოებით ერთ მესამედს უზრუნველყოფენ. ამას განაპირობებს ინფორმატიკისა და ტელესაკომუნიკაციო

ტექნოლოგიების დარგში მიღწეული უდიდესი წარმატებები, რომელშიც აშშ დღეს აშკარა ლიდერია.

ნიშანდობლივია, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიების დარგის 100 წამყვანი ფირმის რეიტინგში 75 კომპანია ამერიკულია, პირველ ხუთეულში კი აშშ-ის კომპანიების გვერდით მხოლოდ დიდი ბრიტანეთის ერთი წარმომადგენელია (ცხრილი 3.2-2).

ცხრილი 3.2-2.

საინფორმაციო ტექნოლოგიების კომპანიების რეიტინგი (1998 წ.)

№	კომპანიის დასახელება	ქვეყანა	საკმიანობის სფერო
1.	American Online	აშშ	ინტერნეტ-ტექნოლოგიები
2.	Dell Computer	აშშ	კომპიუტერები და ტექნოლოგია
3.	Solectron	აშშ	პროგრამებისა და მონყობილობის გაყიდვასთან დაკავშირებული მომსახურება
4.	Uvodafone Group	დიდი ბრიტ.	ტელესაკომუნიკაციო მომსახურება
5.	Cisco Systems	აშშ	კომპიუტერული ქსელები

წყარო: Business Weer, June 21, 1999.

ბიზნესის გლობალიზაციამ და საინფორმაციო ტექნოლოგიებმა დააჩქარეს აშშ-ის ეკონომიკის რესტრუქტურისა.

გლობალიზაციამ გასაღების ახალი ბაზრები გაუხსნა ამერიკის საქონელსა და მომსახურებას, სტიმული მისცა საზღვარგარეთულ ბაზრებზე ორიენტირებულ წარმოებას. „ახალი ეკონომიკის“ თავისებურებაა ისიც, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების მუდმივად გაუმჯობესება ძირს დაშვების საშუალებას არ აძლევს პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის მრუდს. ეს ტექნოლოგიები ხელს უწყობს მდგრადად განვითარებას, თანაც უზრუნველყოფენ ეკოლოგიურ უსაფრთხოებას.

აშშ-ში ასევე მაღალია სამომხმარებლო საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების დონე, რაზეც თვალნათლივ შეტყვევლებს 3.1-3. ცხრილში მოყვანილი მონაცემები.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, შემთხვევითი არაა, რომ 1980-იანი წლების ეკონომიკური სირთულეები აღმავლობით შეიც-

სამომხმარებლო საინფორმაციო ტექნოლოგიების
განვითარების დონე წამყვან ქვეყნებში (1998 წ.)

ქვეყანა	მობილურ სატელეფონო ქსელში ჩართუ- ლი მოსახლეობა %	საოჯახო პერსონალური კომპიუტერის მქონე მომხმარებელთა ხვედრითი წილი %	ინტერნეტით მოსარგებლეთა რაოდენობა მთლიანი რიცხოვნობის მიმართ %
აშშ	25,1	35,0	38,4
გფრ	13,3	17,0	8,8
საფრანგეთი	15,4	16,0	4,2
დიდი ბრიტანეთი	17,8	20,0	12,6
ნიდერლანდი		20,0	17,5
შვედეთი	37,0	18,0	26,4
იტალია	28,0	11,5	
იაპონია	36,0	14,0	5,9
სამხ. კორეა	18,0		

წყარო: Fortune, December 21, 1998, p. 56.

ვალა, რომელიც სავარაუდოდ კარგა ხანს გაგრძელდება. ამას ზურგს უმაგრებს განვითარების შედარებით დაბალი, მაგრამ სტაბილური ტემპები და დაბალანსებული ეკონომიკური ზრდა 1990-იან წლებში. ამ პერიოდში ფედერალური მთავრობის ეკონომიკური სტრატეგია სამ მთავარ პრობლემაზე იყო აქცენტირებული: ა) ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება; ბ) ინვესტირების განხორციელება ადამიანებში; გ) საზღვარგარეთის ბაზრების გახსნა. ჩვენი საუკუნის პირველ ათწლეულში აშშ-ის ეკონომიკური სტრატეგიის მთავარი ელემენტები იქნება იმ გრძელვადიანი სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების პაკეტის რეალიზება, რომლებიც მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების განათლების, კულტურისა და სამოქალაქო პოტენციალში არსებულ უთანაბრობათა ლიკვიდაციისკენაა მიმართული.

რაც შეეხება დასავლეთ ევროპის წამყვან ქვეყნებს, თანამედროვე ეკონომიკური განვითარება აქაც სტრუქტურული ცვლილებების ნიშნითაა აღბეჭდილი. მათ ეკონომიკაში მიმდინარე სერიოზული ძვრები მშპ-ში მატერიალური წარმოების დარგების ხვედ-

რითი წილის შემცირებისა და მომსახურების ხვედრითი წილის ამაღლებისკენაა მიმართული. ასეთი სტრატეგია ფინანსური ცენტრის, აგრეთვე სხვა სახეობის მომსახურების განვითარების ცენტრის ადგილს უმკვიდრებს ხსენებულ ქვეყნებს. გარდა ამისა, მსხვილი კაპიტალის სტრუქტურული გარდაქმნა არსებითად განამტკიცებს მსოფლიო მეურნეობაში დასავლეთ ევროპის კომპანიების პოზიციებს. XX საუკუნის 70-80-იან წლებში მსოფლიოს 50 უმსხვილეს კომპანიას შორის მათი რაოდენობა 9-დან 24-მდე გაიზარდა, თანაც ყველა ამ უმსხვილეს კომპანიას საერთაშორისო ხასიათი აქვს მიღებული¹.

არსებული პროგნოზების მიხედვით, მომავალში შეძლებისდაგვარად შემცირდება დაბალი თვითღირებულების მქონე მასობრივ პროდუქციაზე ჩამოყალიბებული მოთხოვნა. ამიტომ გადიდდება იმ კომპანიების როლი, რომელთაც ფართო სანარმოო პროგრამა და ბაზრის პირობების ცვლილებასთან შეგუების კარგი უნარი აქვთ. ამის შესაბამისად, „მასშტაბების ეკონომიკას“ ახლა ისინი „შესაძლებლობათა ეკონომიკის“ სტრატეგიით ცვლიან.

განვითარების ევროპული მოდელი ამერიკულისგან, უპირველეს ყოვლისა, იმით განსხვავდება, რომ ევროპაში ისტორიულად ყოველთვის უაღრესად მნიშვნელოვანი იყო სახელმწიფო სექტორისა და თავად სახელმწიფოს როლი. სოციალური საბაზრო ეკონომიკა არსებითად შერეული ეკონომიკის ევროპული ვარიანტია, რომელიც სოციალური სამართლიანობის მიღწევას უწყობს ხელს. ამასთან, დასავლეთ ევროპას გააჩნია გლობალური ლიდერობისათვის აუცილებელი პოტენციალი და თანამედროვე გლობალური სისტემის მეორე პოლუსად გადაქცევის პერსპექტივა, რისთვისაც აქ გარდაუვალი გახდა შერეული ეკონომიკის სახის განახლება და სახელმწიფოს მხრიდან კონტროლის არაეფექტიანი მექანიზმებისგან თავის დაღწევა.

აღიარებულია, რომ დასავლეთ ევროპის განვითარების თანამედროვე ეტაპის დანყებას ევროკავშირის ჩამოყალიბებამ მისცა ბიძგი. 1990-იანი წლებისთვის მისი სტრატეგია იყო ეკონომიკურ, სავალუტო და პოლიტიკურ კავშირზე გადასვლა. ამჟამად აშკარად ჩანს ევროკავშირის გაფართოების პერსპექტივა მასში ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მთელი რიგი ქვეყნების მიღების ხარჯზე. ეს ფაქტი გარდაუვალს ხდის დასავლეთ ევროპის შიდა კონსოლიდაციის დაჩქარებას ახალი მსოფლიო ეკონომიკური ნესრიგის, მსოფლიო სისტემის ერთპოლარობისა და მისი ამერიკა-

¹ *А.В. Стрыгин. Мировая экономика. М., "Экзамен". 2001, с. 237-238.*

ნიზაციის პირობებში. ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ ევროპის ინტეგრაცია ამჟამად უპირატესად „სიღრმისეულად“ ხორციელდება. ამის პარალელურად დასავლეთ ევროპაში დამდგარია ეკონომიკური ზრდის ახალი ეტაპიც, რომელსაც ახასიათებს განვითარების მაკროეკონომიკური მოდელის მორიგი კორექტირება.

ინტეგრაციის განვითარებამ და ერთიანი ბაზრის ჩამოყალიბების პროცესმა, შემდეგ კი ეკონომიკური და სავალუტო სისტემის შექმნამ გამოიწვია ევროპისათვის მანამდე არნახული პროცესები ეკონომიკის დერეგულირებასა და რესტრუქტურისაციაში. ამგვარ ცვლილებებს ძალიან მალე შეუძლიათ ამერიკას დაამგვანონ ევროპა არა მარტო თავისი ეკონომიკური პოტენციალით, არამედ კაპიტალიზმის განვითარების მოდელის თვალსაზრისითაც.

გამორიცხული არაა, რომ შეიცვალოს სულ ახლახანს დამკვიდრებული მსოფლიო ეკონომიკური წესრიგი და ერთპოლარული გლობალური სისტემა.

სავსებით რეალური ხდება მსოფლიოს ხელახლა გაყოფა ევროკავშირისა და აშშ-ს შორის, ხოლო ევროპის ეკონომიკის მოდელის ეფექტიანობა დაკავშირებული იქნება ევროპის გადასვლასთან ზრდის ახალ მოდელზე – „ახალი ეკონომიკის“ ევროპულ ვარიანტზე.

თანამედროვე მსოფლიო მეურნეობაში ინტენსიურად ვითარდება ტრანსატლანტიკური ეკონომიკის ჩამოყალიბების უნიკალური პროცესი, რომელმაც აშშ-ისა და ევროკავშირის ეკონომიკური პოტენციალი უნდა გააერთიანოს. გლობალიზაციის პროცესებში ამ ორი ცენტრის ლიდერობის მთავარი მიზეზი ისაა, რომ დღეს ისინი მსოფლიო სტაბილიზატორების როლს თამაშობენ. ისინი ყველაზე უფრო კონკურენტუნარიანი და ინვესტორებისთვის მიმზიდველი რეგიონები აღმოჩნდნენ. გარდა ამისა, აშშ-ს და ევროკავშირს ეკონომიკურად მჭიდრო კავშირურთიერთობები აქვთ ერთმანეთთან: ევროკავშირის ქვეყნები კანადის შემდეგ მეორე ადგილზეა ამერიკის საგარეო-ეკონომიკურ პარტნიორებს შორის, აშშ-სა და ევროკავშირის ვაჭრობის მთლიანი მოცულობა კი 450 მლრდ დოლარს აჭარბებს.¹

აშშ-ისა და ევროკავშირის ურთიერთდამოკიდებულება კიდევ უფრო მეტია ინვესტიციების დარგში. ამერიკაში განხორციელე-

¹ *А.И. Погорлецкий. Экономика зарубежных стран С.-ПБ., Изд-во "Михайлова В. А.", 2001, с. 203.*

ბული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაახლოებით 2/3 ევროკავშირის ქვეყნებზე მოდის, პირიქით კი თითქმის 50%-ია. ეს მათი იმ სტრატეგიის გამოსატყულებაა, რომელიც წარმოების ინტეგრაციის გაღრმავებისა და ტრანსატლანტიკური ზონის მეურნეობათა კონვერგენციისკენაა მიმართული. ამას შედეგად მოსდევს შესაბამისი ბაზრების ინტეგრაციის გაღრმავების ტენდენცია.

აშშ-ს და ევროკავშირს შორის მიმდინარე ეკონომიკურ ინტეგრაციაში ყველაზე უფრო თვალნათლივ ჩანს მათი კომპანიებისა და ბანკების შთანთქმა-შერწყმის მთელი ჯაჭვი, რომელსაც შერწყმამ და ქვედანაყოფების შექმნამ მისცა პირველი ბიძგი. თუ 1995 წელს ტრანსკონტინენტური შერწყმა-შთანთქმის ინტენსივობა 69,4 მლრდ დოლარით ხასიათდებოდა, უკვე სამ წელიწადში ეს თანხა 256 მლრდ დოლარს აჭარბებდა.¹

აღნიშნულ რეგიონებს შორის ინტეგრაციის გაღრმავების ამგვარი სტრატეგიის გრძელვადიანი ეფექტი იქნება მენეჯმენტის ამერიკული და ევროპული მოდელებისა და მათი ფინანსური სისტემების კონვერგენცია.

საყურადღებოა, რომ მართვის ამერიკული და ევროპული მოდელები კარგად ავსებენ ერთმანეთს, როდესაც წარმატებაზე ორიენტირებულ, საქმიან ამერიკულ სტილს ევროპული მოდელის კულტურული და სოციალური ღირებულებები ერწყმის. ამასთან, ხანგრძლივი არაინფლაციური ეკონომიკური ზრდის საერთო მიზნის საფუძველზე შესაძლებელია განხორციელდეს ევროპის ცენტრალური ბანკისა და აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის ფულად-საკრედიტო და საფინანსო პოლიტიკის კოორდინირება.

დასავლეთ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში არსებული არც თუ მაღალი, მაგრამ სტაბილური შემოსავლების გარანტიები იმის სტიმულს აძლევს საერთაშორისო ინვესტიციების ერთ ნაწილს, რომ მათ ტრანსატლანტიკურ ეკონომიკაში გადაიტანონ თავიანთი სახსრები, რაც უზრუნველყოფს კაპიტალის ახალ ნაკადებს ხსენებულ რეგიონებში.

თავისი არსით ტრანსატლანტიკური ეკონომიკა მსოფლიო სამეურნეო კავშირთა ერთობების განვითარების ახალი მოდელია, რომელიც აშშ-სა და ევროკავშირს ეყრდნობა. ეს მოდელი განამტკიცებს დასავლეთის ქვეყნების საბაზრო ფუნდამენტალიტზმს,

¹ დასახელებული ნაშრომი. c. 204.

რომელსაც ლიბერალიზმის გლობალური იდეოლოგია და გლობალური კაპიტალიზმი უდევს საფუძვლად.

ტრანსნატლანტიკური ეკონომიკის განვითარებას შემდეგი გამოძრავებელი ძალები წარმართავს: 1. დერეგულირება; 2. ტექნოლოგიები; 3. საფინანსო ბაზრები; 4. ბიზნესის საერთო ღირებულებები; 5 შთანთქმა-შერწყმის ტალღა.

ამერიკული კაპიტალიზმი ყველაზე მეტ გავლენას მაინც კანადის განვითარებაზე ახდენს. ჯერ ერთი, კანადის მრეწველობის განვითარებას ამერიკულმა კაპიტალმა შეუნყო ხელი; მეორე, კანადური საქონლის გასაღება ძირითადად აშშ-ის ბაზარზე ხდებოდა და, მესამეც, აშშ ტექნოლოგიების მთავარი მიმწოდებელია კანადისთვის.

1990-იანი წლები სიღრმისეული ცვლილებების პერიოდი იყო კანადისთვის. მის განვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინა მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესებმა, განსაკუთრებით კი, „ნაფტას“ მიმართ შემუშავებულმა სტრატეგიამ.

როგორც ცნობილია, კანადას შეზღუდული შიდა ბაზარი და უზარმაზარი სანარმოო პოტენციალი აქვს. ეს განაპირობებს იმას, რომ კანადის ეკონომიკა ექსპორტზე ორიენტირებული მეურნეობის ერთ-ერთ ვარიანტს წარმოადგენს. მისი საგარეო-სავაჭრო სტრატეგია აგებულია ქვეყნის მონაწილეობაზე როგორც მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესში (მონაწილეობა „დიდ შვიდეულში“, ვმო-ში), ისე განვითარების რეგიონულ ორიენტაციაზე (საგარეო ვაჭრობა მეტწილად აშშ-თან). კანადამ წარმატებით გამოიყენა თავისუფალი ვაჭრობის ჩრდილო-ამერიკული ზონის შექმნის მოკლევადიანი ეფექტი და თავისი დოლარის შედარებით დაბალი კურსი XX საუკუნის 90-იანი წლების შუა პერიოდში.

აღსანიშნავია, რომ კანადის ეკონომიკური სტრატეგია მჭიდროდ უკავშირდება აშშ-ის ეკონომიკაში მომხდარ ცვლილებებს. ასეთი სიახლოვის მიუხედავად, ზოგჯერ მათ შორისაც ხდება ხოლმე კონფლიქტები. მაგალითად, ამერიკა საკმაოდ ხშირად მიმართავს ანტიდემპინგურ ბაჟს კანადაში წარმოებული ფოლადისა და ხორბლის მიმართ. კანადისთვის ასევე წამგებიანია ამერიკის მიერ დაწესებული აკრძალვა კუბასთან სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების განვითარებაზე, რასაც კანადის კომპანიები ხშირად არღვევენ კიდევ.

გლობალურ ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენების მიმართ კა-

ნადის მხრიდან გამოვლენილი ერთგვარი ნეიტრალიტეტი და სხვა სუპერსახელმწიფოებისგან განსხვავებული მტკიცე საკუთარი პოზიცია იმის რეალურ შესაძლებლობას უქმნის ამ ქვეყანას, რომ იგი სავარაუდოდ გადაიქცეს თანამედროვე მსოფლიო სამეურნეო კავშირების ერთპოლარული სისტემის ერთ-ერთ დამაბალანსებლად. საამისოდ საჭირო გახდება იმ ქვეყნების ძალისხმევის კონსოლიდირება, რომელთა ერთობლივი ეკონომიკური პოტენციალი ამერიკისას შეიძლება გაუტოლდეს.

უნდა ითქვას, რომ პირველი ქვეყანა, რომლის ეკონომიკაშიც თანამედროვე, დაბალანსებული ზრდის მოდელი განხორციელდა, იაპონიაა. მისი ამჟამინდელი ეკონომიკა გადამწყვეტნილადაა დამოკიდებული წვრილ მენარმეებზე. საგადასახადო შეღავათების, ფინანსური და სხვაგვარი დახმარების მეშვეობით ქვეყნის მთავრობა სტიმულს აძლევს დაგროვებას და ზრდას მცირე სანარმოებში. სწორედ მცირე ბიზნესიდან ყალიბდება სხვადასხვა დონის მსხვილ მონოპოლიათა მიმწოდებლებისა და სუბმოიჯარეების უზარმაზარი ქსელები.

1970-იანი წლების შუა პერიოდიდან იაპონიის ეკონომიკური განვითარება ახალი მოდელის შესაბამისად ხდებოდა, რომელსაც ახასიათებდა რესურსების ინტენსიურად გამოყენება, მეცნიერებატევადი დარგებისა და არამატერიალური წარმოების სფეროს განვითარება, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის როლის მკვეთრად გადიდება, საგარეო-ეკონომიკური სტრატეგიის შეცვლა და კაპიტალის ექსპორტზე ორიენტაციის აღება საქონლის ექსპორტის ნაცვლად, ყურადღების გამახვილება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისა და აშშ-ის ბაზრებზე, ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევისას უპირატესად ირიბი მეთოდების გამოყენება. ამას შედეგად მოჰყვა იაპონიის ლიდერობა გამოყენებით მეცნიერულ კვლევა-დამუშავებებში და მისი გადაქცევა მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთ ცენტრად.

როგორც ცნობილია, 1990 წლიდან იაპონია სერიოზულ კრიზისშია, კერძოდ, რთულია ფინანსური მდგომარეობა, პრობლემებია ექსპორტის დარგში (რისი ერთ-ერთი მიზეზიც იაპონიის კომპანიების წარმოების ინტერნაციონალიზაციის პროცესი გახდა), დაქვეითდა შიდა მოთხოვნა, მოძველებულია მართვის იაპონური სისტემა (მთავრობა კორუფციაშია ჩაფლული), სუსტად ვითარდება თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები. ამასთან, ქვეყნის ეკონომიკური პრობლემები ძირითადად მართვის არას-

ნორ მეთოდებს უკავშირდება. აქ არსებული სპეციფიკური მენეჯმენტისა და მომნიჭებული სტრუქტურული გარდაქმნების დაგვიანების გამო მძლავრი საინვესტიციო და ინტელექტუალური პოტენციალის მქონე ქვეყანას მსოფლიო სისტემის ყველაზე მტკივნეული რგოლის პერსპექტივა დაემუქრა. მან ვერ შეძლო კრიზისიდან გამომყვანი ლოკომოტივის როლი შეესრულებინა აზიანყნარი ოკეანის რეგიონში, პირიქით, გაამწვავა კიდევ ამ რეგიონში არსებული ვითარება.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, სამეურნეო განვითარების თანამედროვე ეტაპზე იაპონიას სჭირდება უახლესი სტრატეგია და ახალი კურსის დროულად მიღება. ბევრი ეკონომისტი დღეს ეჭვის თვალით უყურებს ამ ქვეყნის პერსპექტივებს XXI საუკუნეში, რადგან გამოკვეთილად არ ჩანს, დაემორჩილება იგი საბაზრო ძალთა გავლენას, თუ რომელიმე ახალ მიმართულებას აირჩევს ახალი ეკონომიკური სასწაულის მოსახდენად. თუმცა, იაპონიის მრავალმა კომპანიამ უკვე გააცნობიერა ის ჩიხი, რომელიც ტრადიციულ კონსერვატიზმს და სიუივიზმს – კოლექტიურად მოქცევას, ჩვევების კოპირებას და გემოვნების მსგავსებას შეიძლება მოჰყვეს. უკვე მიმდინარეობს ხელმძღვანელთა გაახალგაზრდავება, საინფორმაციო ტექნოლოგიებსა და ინტერნეტში არსებული ჩამორჩენის დაძლევა; იცვლება სახელმწიფო მანქანა და მთავრობა ამუშავებს იმ რადიკალურ ცვლილებებს, რომლებიც შეუძლებელი იყო ადრინდელი ჩინოვნიკების ხელში.

ახლა იაპონიაში მკაცრად აკრიტიკებენ იმ სტრატეგიულ ეკონომიკურ კურსს, რომელიც მიზნობრივი ვინროპროფილური ინდუსტრიული პროგრამების განხორციელებას გულისხმობდა სახელმწიფოს მხარდაჭერით და არა კლასიკურ თავისუფალ კონკურენციას. ამასთან, ქვეყანაში გარკვეულწილად ჩამოყალიბდა „საპნის ბუშტის“ ეკონომიკა, რაც საფონდო და უძრავი ქონების ბაზრებზე ფასების ზრდამ გამოიწვია. მის სალიკვიდაციოდ გამოყენებული აქტიური ღონისძიებების წყალობით ქვეყანა გადაურჩა მსოფლიო მეურნეობაში მიღწეული პოზიციების არსებითად შერყევას.

1990-იან წლებში იაპონიამ გააძლიერა თავისი ეკონომიკური გავლენა აზიის ახალინდუსტრიულ ქვეყნებზე, ამ რეგიონში გადაიტანა წარმოება და მოახერხა იაპონური საქონლის კონკურენტუნარიანობის ამაღლება, თუმცა, დიდი ზარალი განიცადა 1997 წლის ე.წ. აზიის საფინანსო კრიზისისგან.

XX საუკუნის ბოლოს იაპონიაში განსაკუთრებული ადგილი ეკავა ოთხ ძირითად ანტიკრიზისულ მიმართულებას:

1. საფინანსო-საკრედიტო სისტემის რეფორმას;
2. ყოველმხრივი ეკონომიკური ღონისძიებების პროგრამას;
3. გადაუდებელი ეკონომიკური ღონისძიებების პაკეტს;
4. მრეწველობის გამოცოცხლების გეგმას.

მცენიერული კვლევა-ძიების სამთავრობო პროგრამის შესაბამისად ქვეყანაში ხორციელდება ახალი თაობის საკუთარი სანარმოო ტექნოლოგიების დამუშავება მათი იმპორტის ნაცვლად, რომელთა კომერციული ათვისებაც უკვე დაწყებულია. როგორც ვთქვით, დაწყებულია, ასევე, ეკონომიკური ზრდის ახალი ფაქტორების საბაზრო მექანიზმებისა და ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ელემენტების ოპტიმალური თანფარდობის ინტენსიურად ძიება.

იაპონიის, როგორც ერთ-ერთი წამყვანი ეკონომიკური ცენტრის, თავისებურება ისაა, რომ იგი ერთგვარად აბალანსებს ამერიკისა და ევროპის პოზიციებს, რომელთაგან პირველი ცდილობს გაბატონებული მდგომარეობის დაკავებას საქმიანობის ყველა სფეროში, მეორე კი თავისი შიდა ინტეგრაციის პრობლემებითაა დაკავებული.

მაკროეკონომიკურ სტრატეგიაში გამოვლენილმა კონსერვატიზმმა და შიდა ჩაკეტილობამ ძლიერ შეარყია და შეასუსტა იაპონიის, როგორც კაპიტალიზმის ერთ-ერთი წამყვანი ცენტრის პოზიციები. აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში მისი გავლენა ახლა შესუსტებულია, რის გამოც ვეღარ ასრულებს ლიდერის როლს აქ გამოვლენილ ინტეგრაციულ პროცესებში. საფიქრებელია, რომ იაპონიის სტრატეგია სწორედ რეგიონში მისი პოზიციების აღდგენისა და განმტკიცებისაკენ იქნება მიმართული.

3.3. ახალი ინდუსტრიული ქვეყნების სტრატეგია

მსოფლიო ეკონომიკაში, განსაკუთრებით კი განვითარებად სამყაროში მიმდინარე დიფერენციაციის პროცესებმა გამოიწვია მასში ახალი ინდუსტრიული ქვეყნების ჯგუფის გამოყოფა. ამ ჯგუფს ახასიათებს ეკონომიკური განვითარების უფრო მაღალი ტემპები განვითარებულ სამრეწველო ქვეყნებთან შედარებით და მეურნეობის განვითარების უფრო მაღალი დონე განვითარებადი ქვეყნების ძირითად ჯგუფთან შედარებით. მასში შემავალმა ქვეყნებმა თვალსაჩინო წარმატება მოიპოვეს მეცნიერებატევადი წარმოების განვითარებაში, მომსახურების სექტორსა და საერთაშორისო ვაჭრობაში.

ახალი ინდუსტრიული ქვეყნის სტატუსს განსაზღვრავს გაეროს მეთოდის შესაბამისად დადგენილი შემდეგი კრიტერიუმები: მშპ-ის სიდიდე მოსახლეობის ერთ სულზე; მისი მატების საშუალო წლიური ტემპები; გადამამუშავებელი მრეწველობის ხვედრითი წილი მშპ-ში; სამრეწველო ნაკეთობათა ექსპორტის მოცულობა და ხვედრითი წილი ქვეყნის მთელ ექსპორტში და საზღვარგარეთ დაბანდებული პირდაპირი ინვესტიციების მოცულობა.

ზოგიერთი ამ მაჩვენებლით ახალი ინდუსტრიული ქვეყნები ხშირად სჯობნიან კიდევ მთელ რიგ განვითარებულ სამრეწველო ქვეყნებს. მაგალითად, 1960-1990 წლებში მთლიანად აზიის რეგიონის ეკონომიკის განვითარების ტემპები 5%-ს აჭარბებდა წელიწადში, მაშინ, როდესაც ევროპის ქვეყნებში ზრდა 2%-ით ხდებოდა. 1980-1990 წლებში ახალი ინდუსტრიული ქვეყნებში მშპ-ის ზრდის საშუალო ტემპი შეადგენდა 7,3%-ს, ხოლო 1990-2001 წლებში კი 3,3%-ს (ცხრილი 3.3-1).

განვითარების ინდუსტრიულ გზაზე შემდგარი განვითარებადი ქვეყნები ისეთ სტრატეგიას მიმართავენ, რომელიც უზრუნველყოფს უცხოური ინვესტიციების მოზიდვას და საგარეო ვაჭრობის გაფართოების სტიმულირებას. ექსპორტით მიღებულ შემოსავლებს ისინი ყველაზე უფრო პერსპექტიული დარგების განვითარებას ახმარენ. XX საუკუნის 60-იან წლებში ასეთ სტრატეგიას მიმართეს აღმოსავლეთ აზიისა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებმა, ამასთან, აღმოსავლეთ აზიაში კაპიტალს უმთავრესად აბანდებდნენ გადამამუშავებელ მრეწველობასა და სანედლეულო დარგებში, ხოლო სამხრეთ ამერიკაში – ვაჭრობაში, მომსახურების სფეროში და გადამამუშავებელ მრეწველობაში.

მშპ-ის ზრდის ტემპები აზიის ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებში (%)

ქვეყნები	წ ლ ე ბ ი					
	1980-1990	1991	1992	1993	1994	1990-2001
კორეის რესპ.	9,9	8,3	7,3	6,4	7,6	4,7
ტაივანი	8,3	7,3	6,7	6,7	6,9	
ჰონკონგი	7,1	4,0	5,8	5,4	5,5	2,1
სინგაპური	6,3	7,0	6,1	6,0	6,1	2,4
მალაიზია	5,1	8,6	8,5	7,6	7,5	3,9

წყარო: A.V. Стрыгин. Мировая экономика. М., "Экзамен" 2001, с. 312.

ექსპერტები დღეს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ აღმოსავლეთ აზიას და აზია-წყნარი ოკეანის რეგიონს. ეკონომიკური აღმავლობისა და დასაქმების მიზნით აქ 1989 წლიდან მოქმედებს აზია-წყნარი ოკეანის თანამშრომლობის ფორუმი, რომლის წევრი ქვეყნებიც თავიანთ სტრატეგიულ ამოცანად მიიჩნევენ ერთმანეთს შორის ვაჭრობასა და კაპიტალის მოძრაობაში არსებული დაბრკოლებების გაუქმებას. ამავე დროს, რაკი ამ ინტეგრაციულ გაერთიანებაში მოქცეული ქვეყნები არსებითად განსხვავდება ერთმანეთისგან (მაგალითად, როგორც აშშ და პერუ, იაპონია და ვიეტნამი, რუსეთი და კორეის რესპუბლიკა და ა.შ.), ამიტომ დასახული მიზნის მიღწევის ვადებიც განსხვავებულია. კერძოდ, განვითარებული ქვეყნებისთვის ესაა 2010 წელი, განვითარებადი ქვეყნებისთვის კი – 2020 წელი.

ამჟამად სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ახალი ინდუსტრიული ქვეყნები (მალაიზია, ინდონეზია, ტაილანდი და ფილიპინები) – აზიის ე.წ. „ყუფხვები“ ყველაზე სწრაფად განვითარებად ქვეყნებს წარმოადგენენ, სადაც წარმოებული ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, საყოფაცხოვრებო ელექტრონიკა და კვების პროდუქტები თვით აშშ-ს, იაპონიასა და დასავლეთ ევროპასაც კი მიეწოდება (როგორც ადრე აღვნიშნეთ, ამ რეგიონის კიდევ სხვა ოთხი ქვეყანა, ე.წ. „ურჩხულები“ – კორეის რესპუბლიკა, სინგაპური, ტაივანი და ჰონკონგი დასავლეთის ეკონომიკის ძირითადი სტანდარტების მიხედვით უკვე განვითარებული ქვეყნების ჯგუფშია გადასული). ამ ქვეყნებში წარმოებული პროდუქციის ხარისხი ყველაზე უფრო მაღალ სტანდარტებს შეესაბამება, ხოლო მათი წარმოების

ტექნოლოგიები პროგრესულობითა და ეკოლოგიურობით გამოირჩევა.

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ინდუსტრიალიზაციას საფუძვლად დაედო თავდაპირველად უკიდურესად ჩამორჩენილი საფეიქრო მრეწველობა. ამ რეგიონის ქვეყნებს მსოფლიო ბაზარზე გამოჰქონდათ უხარისხო, მაგრამ იაფი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, რომელიც მიმზიდველი შეფუთვისა და ფართო ასორტიმენტის წყალობით მაინც პოპულარული და საკუთარ ადგილს ბაზარზე ამავე დროს, საექსპორტო ამონაგებს ეს ქვეყნები წარმოების მოდერნიზებასა და ეკონომიკის ახალი სექტორების განვითარებას ახმარდნენ.

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაში დიდი როლი შეასრულა სახელმწიფომ. მეორე მსოფლიო ომის შემდგომდროინდელი ეკონომიკური სტრატეგია მცირედ თუ განსხვავდებოდა კლასიკური მერკანტილიზმისაგან. აქ ეწეოდნენ ექსპორტის სტიმულირებას და საკმაოდ მკაცრად ზღუდავდნენ იმპორტს. პროტექციონიზმის პოლიტიკა, რომელიც საბაჟო და ადმინისტრაციულ ბარიერებს უქმნიდა იმპორტს, საზღვარგარეთული კონკურენტებისგან იცავდა ადგილობრივ მწარმოებლებს. შიდა ბაზრებზე მოქმედებდა იმპორტ შენაცვლების პოლიტიკა, როცა ადგილობრივი მომხმარებლები მხოლოდ ადგილობრივი წარმოების იმედად უნდა ყოფილიყვნენ. ასეთი შეზღუდვები ხელს უწყობდა ინდუსტრიალიზაციის დაჩქარებას, იცავდა ადგილობრივ მწარმოებლებს და სტიმულს აძლევდა საექსპორტო წარმოებას. ამის პარალელურად სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ეკონომიკაში აქტიურად იზიდავდნენ უცხოურ კაპიტალს და აბანდებდნენ ახალ წარმოებებში, შემოჰქონდათ მონიწივე ტექნოლოგიები. უცხოეთის კაპიტალის მოდინებას სტიმულს აძლევდა იაფი სამუშაო ძალა და ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატი (როდესაც სახელმწიფო კაპიტალის დაცვისა და გადიდების გარანტიებს აძლევს უცხოელ ინვესტორებს). საბოლოოდ, კაპიტალის მოზიდვამ და ტექნოლოგიების შემოტანამ რეგიონში კონკურენტუნარიანი წარმოება შექმნა.

აქ საყურადღებოა ის, რომ რეგიონის ქვეყნებმა თითქმის ერთდროულად აიღეს კურსი ახალ ინდუსტრიულ ბაზარზე, ეკონომიკურ განვითარებაზე, ზუსტად აუღეს ალლო შექმნილ ვითარებას, შეიმუშავეს საკმაოდ გონივრული მოქნილი პოლიტიკა და სწორად განსაზღვრეს თავიანთი ადგილი და როლი როგორც რეგიონულ, ისე გლობალურ საერთაშორისო სივრცეში.

ინდუსტრიალიზაციის პროცესში ეკონომიკური განვითარების სტრატეგიას, ეროვნული მეურნეობის პრიორიტეტულ დარგებს, ექსპორტის სტიმულირებისა და იმპორტის შეზღუდვის მეთოდებს სახელმწიფო განსაზღვრავდა. შემთხვევითი არაა, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ახალინდუსტრიული ქვეყნების განვითარების წარმატებებს მათი მთავრობების გააზრებული მოქმედებით, პრიორიტეტული დარგების სწორად შერჩევით და მსოფლიო ბაზრის კონიუნქტურაზე სწრაფი რეაქციით ხსნიან. ეკონომიკაში სახელმწიფოს სრული მასშტაბით ჩარევის მიუხედავად, აქ ყველა მთავარ საკითხს წყვეტდნენ ბაზრის მდგომარეობისა და მოთხოვნების შესაბამისად და ბაზრისავე კანონების საფუძველზე. ამ ქვეყნებს ჩინებული შედეგები მოუტანა პროტექციონიზმის პოლიტიკის მოქნილად შეხამებამ ადგილობრივი მწარმოებლების ორიენტაციასთან საგარეო ბაზრებზე.

სახელმწიფოს სამრეწველო პოლიტიკის პრიორიტეტები განუწყვეტლივ იცვლებოდა. სახელმწიფო აქტიურად უჭერდა მხარს და აფინანსებდა ახალ პროგრესულ დარგებს და მათ დროებითი მონოპოლიის რეჟიმს ანიჭებდა. პოლიტიკა უფრო ნეიტრალური იყო საკმაოდ განვითარებული დარგების მიმართ, რომლებიც სახელმწიფოსგან შეღავათებსა და პრეფერენციებს ღებულობდნენ თავიანთი არსებობის მხარდასაჭერად. ამ გზით სახელმწიფო თვითონ ქმნიდა და აუქმებდა ეკონომიკური განვითარების სტიმულებს. მოქმნილი სახელმწიფოებრივი ღონისძიებები ხელს უწყობდა ეკონომიკის განვითარებას, მაგრამ ასეთი პოლიტიკა სახელმწიფო აპარატთან სამენარმეო ელიტის შეზრდასაც იწვევდა, რამაც პრაქტიკულად ოლიგარქიული, კლანური კაპიტალიზმი ჩამოაყალიბა. 1990-იანი წლების ბოლოს სწორედ ამ კლანურობამ შეუშალა ხელი სახელმწიფოს იმაში, რომ დროულად მოეხდინა რეაგირება კრიზისის პირველ სიმპტომებზე.

სახელმწიფო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნიშანი იყო სავალუტო სფეროში მთავრობის მიერ განხორციელებული მოქმედება. ხელისუფლება აფერხებდა ეროვნული ვალუტის კურსის ანეევას და გაუზრბოდა მის მკვეთრ რყევას. საქონლის კონკურენტუნარიანობის ამალღებითა და ექსპორტის გაფართოებით გამონვეულ კურსის ანეევას აქ სახელმწიფო კომპენსაციას უკეთებდა ექსპორტიორებისათვის გამოყოფილი სუბსიდიებით, რაც კვლავ და კვლავ მომგებიანს ხდიდა ექსპორტს. სახელმწიფო კონტროლს უწევდა უცხოური კაპიტალის შემოსვლას, კერძოდ, ახდენდა მხოლოდ გრძელვადიანი კაპიტალისა და პირდაპირი ინვესტიციების მო-

ზიდვას. 1990-იან წლებში უარი თქვეს ამგვარ პოლიტიკაზე, რაც რეგიონში განვითარებული კრიზისის ერთ-ერთი მიზეზი გახდა.

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში სახელმწიფოს მიერ გატარებული სამრეწველო პოლიტიკის პრიორიტეტები დროის სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა დარგები იყო. კერძოდ: 1950-იან წლებში ეს იყო საფეიქრო და მინის წარმოება; 1960-იან წლებში – ცემენტის, მინერალური სასუქების და სინთეტიკური ქსოვილების წარმოება, ნავთობის გადამუშავება და ფოლადსამსხმელო მრეწველობა; 1970-იან წლებში – გემთმშენებლობა, საინვესტიციო საქონლისა და ხანგრძლივი მოხმარების საგნების (მონყობილობა, ავტომობილები) წარმოება; 1980-იან წლებში – ელექტროტექნიკური მრეწველობა, ტელეკომუნიკაციები და ინფორმატიკა; 1990-იან წლებში – ახალი მასალებისა და ტექნოლოგიების წარმოება, აეროკოსმოსური მრეწველობა.

პრივილეგირებული დარგებისა და სანარმოების მხარდაჭერის მნიშვნელოვანი ელემენტი იყო მათთვის კრედიტების შეღავათით მიცემა საკმაოდ დაბალი პროცენტებით. ამ გზით გადაწყდა ეკონომიკის ზრდის სტაბილურად მაღალი ტემპების მხარდასაჭერად საჭირო კაპიტალის უქონლობის პრობლემა. ამან, თავის მხრივ, სტიმული მისცა უზარმაზარი კონგლომერატი კომპანიების შექმნას, რომლებიც იმთავითვე რამდენიმე არამომიჯნავე დარგში სპეციალიზდებოდნენ. გარდა ამისა, ადგილობრივ კომპანიებს მთავრობის გარანტიებით სულ უფრო ფართოდ უხსნიდნენ გზას უცხოური კრედიტებისკენ, რამაც 1990-იანი წლების კრიზისის წანამძღვრები შეუქმნა.

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში ეროვნული მრეწველობის განმტკიცების კვალობაზე დაიწყო ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის დაქვეითება. სახელმწიფომ შეამცირა საბაჟო გადასახადები და გააუქმა საგარეო ვაჭრობაში გამოყენებული არასატარიფო შეზღუდვები. აზიის ახალი ინდუსტრიული ქვეყნების სახელმწიფოებმა უარი თქვეს ეკონომიკაში პირდაპირ ჩარევაზე და სულ უფრო ხშირად იყენებდნენ რეგულირების ირიბ მეთოდებს. თუმცა ეკონომიკის ზოგიერთი სექტორის ლიბერალიზაცია ნაადრევი იყო მთელი ეკონომიკური სისტემის ლიბერალიზების გარეშე. კერძოდ, ეს ეხება სახელმწიფო კონტროლის მოხსნას საფინანსო ბაზრებსა და საბანკო სისტემაზე, მონეტარიზმის მეთოდების გამოყენებას ფულად-საკრედიტო სფეროში (ფიქსირებული სავალუტო კურსი და საპროცენტო განაკვეთის რეგულირება

ეკონომიკაში უცხოური ვალუტის შემოტანის მიზნით), სპეკულაციების ზრდას უძრავი ქონების სფეროში და საფინანსო ბაზრებზე, რაც წელი მოქმედების ნაღმის ტოლფასი იყო ხსენებული ქვეყნების საფინანსო სისტემებისათვის.

ამჟამად რეგიონის ქვეყნების თავისებურება ისაა, რომ განვითარების წინანდელმა მოდელმა, რომელსაც ეკონომიკის საექსპორტო ორიენტაცია ედო საფუძვლად, ძირითადად ამოწურა თავისი შესაძლებლობები. სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ზრდა და ხელფასის დონის გადიდება სულ უფრო ნაკლებად კონკურენტუნარიანს ხდის აქ წარმოებულ საქონელს. კაპიტალის დიდი ოდენობით დაგროვება კარნახობს ეკონომიკური ზრდის გაგრძელებას ინვესტიციების საფუძველზე. სერიოზული სიძნელეები დაუდგათ ფართოდ დივერსიფიცირებული საქმიანობით გამორჩეულ მსხვილ კონგლომერატ კომპანიებს. ეკონომიკის კარგახსნილობამ საზღვარგარეთული კრედიტორების წინაშე არსებული დავალიანებების გასტუმრების პრობლემა გაამწვავა საექსპორტო პოტენციალის შემცირების პირობებში. ამავე დროს, აუცილებელი გახდა ეროვნული ეკონომიკის გარდაქმნის გაგრძელება საბაზრო პრინციპების საფუძველზე. ნათლიმამობა და კლანური კაპიტალიზმი კორუფციისა და სახელმწიფო დონეზე არაეფექტიანი გადანყვეტილებების მიღების მასაზრდოვებელი გახდა, ახალი რესურსების მოზიდვის ბაზაზე ექსტენსიური ზრდის პერიოდები კი უკვე გავლილია.

შექმნილი ვითარებიდან გამოსავალია ეკონომიკის მოდერნიზება და განვითარების ისეთ ახალ დონეზე გადასვლა, რომელსაც მოწინავე ტექნოლოგიები, მეცნიერებატევადი და არამატერიალური წარმოება დაედება საფუძვლად. ამისი პოტენციალი ახალი ინდუსტრიულ ქვეყნებს უდაოდ აქვთ. მათი სანარმოო ბაზის მეცნიერებატევადობა გამუდმებით მალდება, კვალიფიციური კადრები სრულიად საკმარისია, ხოლო მოსახლეობის შემოსავლების ზრდის შედეგად ტევადი შიდა ბაზარია ჩამოყალიბებული. საგრძნობლადაა გაზრდილი მომსახურების სექტორიც (საინფორმაციო ტექნოლოგიების წარმოება, ტურიზმი და ფინანსები), რაც ხანგრძლივად განვითარების დამატებით შანსებს იძლევა.

პრობლემები შესაძლოა წარმოქმნას მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციამ, რომელიც ჯერჯერობით ამერიკული სცენარით ვითარდება.

აშშ საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით ცდილობს განვითარების თავისი მოდელი მოახვიოს თავს ყველა ქვეყანას.

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებს, რომლებიც ყველაზე ძლიერად დაზარალდნენ სავალუტო-საფინანსო კრიზისისაგან და საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან და მსოფლიო ბანკიდან იღებენ კრედიტებსა და რჩევებს, ძალიან გაუჭირდებათ წინ აღუდგნენ აშშ-ის ეკონომიკურ იდეოლოგიას. რაკი კრიზისის შემდეგ ისინი ფინანსურად გახდნენ აშშ-ზე დამოკიდებული, ამიტომ მოუწევთ უარი თქვან ეკონომიკის განვითარებაზე საკუთარი სცენარის მიხედვით და აქტიურად გამოიყენონ ამერიკული ნეოლიბერალიზმი. ეს განსაკუთრებით, ალბათ, აზიის „ვეფხვებს“ შეეხება. მიუხედავად ამისა, მაინც არ შეიძლება ანგარიში არ გაენიოს განვითარების აზიურ მოდელს, რომელსაც ესაჭიროება საფუძვლიანად მოდერნიზება და ყველაზე უფრო აშკარა შეცდომების გამოსწორება. აქვე ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ, მართალია, ამ რეგიონში ჩვენ ვსაუბრობთ განვითარების აზიურ მოდელზე, მაგრამ სინამდვილეში მას თავისი ვარიანტები აქვს, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარია. მაგალითად, თუ ჰონკონგი ლიბერალური კაპიტალიზმით გამოირჩევა, ინდონეზიაში, პირიქით, ნაადრევიც კი არის ნამდვილ საბაზრო ეკონომიკაზე საუბარი. თანაც საგულისხმოა რეგიონის შესაძლო ეკონომიკური ინტეგრაცია, რომელიც ჩვენს დროში დასავლეთ ევროპისა თუ ჩრდილოეთ ამერიკის ღირსეულ ეკონომიკურ მეტოქედ შეიძლება გადაიქცეს.

აღსანიშნავია, რომ XX საუკუნის ბოლოს განვითარებულმა სავალუტო-საფინანსო კრიზისმა ყველაზე მეტი დარტყმა სწორედ „ვეფხვებს“ მიაყენა, რამაც ეკონომისტები და პოლიტიკოსები სერიოზულად დააფიქრა მათი განვითარების გზის სისწორეზე. საიდუმლო არაა, რომ ამ ქვეყნებმა განვითარების მოდელი იაპონიისგან და „ურჩხულებისაგან“ გადმოიღეს და წარმატებითაც გამოიყენეს იგი. მაგრამ ეს მოდელი უნაკლო არაა და მისი მიმდევარი ქვეყნების ყოველი ახალი ჯგუფის გამოჩენის შემდეგ გლობალური სისტემა უბრალოდ ველარ უძლებს ასეთ მძლავრ დანოლას საქონლისა და კაპიტალის მსოფლიო ბაზრებზე. აქვე აღსანიშნავია პროგრესის ასეთნაირად უზრუნველმყოფი გზის დამლუპველობა ეკოლოგიის თვალსაზრისით.

„ვეფხვების“ ეკონომიკის საერთო ნიშანია მისი აგრარულ-ინდუსტრიული ხასიათი. „ურჩხულებისგან“ განსხვავებით მათ საკმაო ბუნებრივი რესურსები აქვთ, რის საფუძველზეც აქ კარგადაა განვითარებული ნედლეულის მომპოვებელი და გადამამუშავებე-

ლი დარგები, მაგრამ ამ ქვეყნებში დიდი ძალისხმევა დასჭირდება მომსახურების სფეროს განვითარებას, რადგან მსოფლიო ბაზარს ისინი ჯერ-ჯერობით ვერაფერს სთავაზობენ ტურიზმისა და სექს-ინდუსტრიის გარდა (საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებით, სექს-ინდუსტრია აქ მშპ-ის 2-დან 15%-მდე აღწევს).¹ რაც შეეხება მთლიანად „აზიის ვეფხვების“ ეკონომიკის სტრუქტურას, იგი 3.3-2 ცხრილშია მოცემული.

ცხრილი 3.3-2.

„აზიის ვეფხვების“ ეკონომიკის სტრუქტურა
1990-იანი წლების შუა პერიოდისათვის (%)

ეკონომიკის დარგები	ცალკეული დარგების ხვედრითი წონა ქვეყნის მშპ-ის შექმნაში			
	მალაიზია	ტაილანდი	ფილიპინები	ინდონეზია
სოფლის მეურნეობა	15,5	12	22,1	18,6
მრეწველობა	43,5	36,1	35,1	57,5
არამატერიალური წარმოება	41	62 (მათ შორის ტურიზმი - 48,4)	42,8	13,9

წყარო: А.И. Погорлецкий. Экономика зарубежных стран., Учебник, Второе издание. Изд-во Михайлова В. А., С.-ПБ., 2001, с. 340.

იაფი სამუშაო ძალის გამო ევროპისა და იაპონიის მრავალი ტრანსნაციონალური კორპორაცია ამჟამად მალაიზიასა და ტაილანდში აწყობს გარკვეული ტექნიკის ამწყობ ნაკადურ წარმოებას. ახლა ამ ქვეყნების სტრატეგია რეგიონის წამყვანი ქვეყნებისგან ეკონომიკური ჩამორჩენის დაძლევისკენაა მიმართული. ამ მიზნით უზარმაზარ სახსრებს აბანდებენ საკუთარი სამეცნიერო-ტექნიკური ბაზის შექმნაში. მაგალითად, მალაიზია კრიზისის ყველაზე მწვავე პერიოდშიც კი განაგრძობდა ინვესტირებას „მულტიმედიის სუპერ-დერეფნის“ შექმნაში კუალა-ლუმპურის სამხრეთით. ამ რეგიონში დაახლოებით 5 მლრდ დოლარი დაჯდა ქვეყნის ახალი დედაქალაქის პუტრაჯაიის აშენება, რომელიც მალაი ტექნოლოგიების ზონის ერთ-ერთი ნაწილია.

¹ А.И. Погорлецкий. Экономика зарубежных стран. Учебник. Второе издание. Изд-во Михайлова В. А., С.-ПБ., 2001, с. 340.

ექსტენსიური განვითარების რეზერვები ჯერ კიდევ არ ამოუწურავთ ფილიპინებსა და ინდონეზიას. აქ ჭარბადაა ნედლეულიც და სამუშაო ძალაც. მსოფლიო სამეურნეო კავშირებში ამ ორი ქვეყნის სპეციალიზაცია ისევ მომპოვებელ მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, კვების და მსუბუქ მრეწველობაში ვლინდება. ამავე დროს, ვითარდება ეკონომიკის პროგრესული დარგები: საყოფაცხოვრებო ელექტრონიკის და ტელესაკომუნიკაციო მონყობილობის წარმოება, ფარმაცევტული მრეწველობა.

რაც შეეხება ლათინური ამერიკის ეკონომიკურ სტრატეგიას, იგი სამი ფინანსური ტალღით აღინიშნა. 1970-იანი წლების შუა პერიოდიდან ჩილემ, არგენტინამ და ურუგვაიმ გამოაცხადეს განვითარების ახალ, ლიბერალურ სტრატეგიაზე გადასვლა. ეს მოახლოვებდა საინვესტიციო, საკრედიტო, სავალუტო და საგარეო სავაჭრო ოპერაციებში სახელმწიფოს ჩარევის მკვეთრად შემცირებას და სამენარმეო საქმიანობაში მისი მონაწილეობის შეკვეცას. ხსენებულ ქვეყნებში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების მთავარი ელემენტი იყო პრივატიზაცია, რომელსაც კერძო ინიციატივისათვის უნდა გაეფართოებინა სივრცე. მაგრამ ამ რეფორმებმა მხოლოდ ჩილეს მოუტანა სანახევრო წარმატება, არგენტინასა და ურუგვაიში კი ისინი მარცხით დასრულდა. საქმე ისაა, რომ რეფორმები უპირატესად სამხედრო დიქტატორული რეჟიმების ფარგლებში მიმდინარეობდა, გარდაქმნათა არსი კი დაყვანილი იყო ნაციონალიზებული საკუთრების დაბრუნებაზე მისი ადრინდელი პატრონისათვის და საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ლიბერალიზაციაზე. გარდა ამისა, ცვლილებები ტარდებოდა ამ ქვეყნების ხალხებისა და ხელისუფლების ურთიერთგაუცხოების ატმოსფეროში.

მიმე ეკონომიკური კრიზისი ლათინურ ამერიკას 1980-იანი წლების დასაწყისშიც დაუდგა, რამაც ბიძგი მისცა ამ რეგიონში ეროვნული სამეურნეო-ტექნოლოგიური სტრუქტურების გარდაქმნას. მაგრამ XX საუკუნის ბოლოს კრიზისმა კვლავ იჩინა თავი, როდესაც ლათინურ ამერიკაში დაიწყო კომპლექსური სტრუქტურული გარდაქმნების რთული პერიოდი. მისთვის დამახასიათებელია არსებული ეკონომიკური, სოციალური და კულტურული პრობლემების გადაჭრა არატრადიციული გზებით. ამასთან, ლათინური ამერიკის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ამ რეგიონში სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების ჩატარებას სერიოზულად აფერხებს ცალკეულ ქვეყნებში დაგროვილი დიდი საგარეო ვალეები. ხშირად ეს ვალეები კრიტიკულ სიდიდეს აღწევს და ახშობს სახელმწიფოთა

მოქმედების თავისუფლებას, გამორიცხავს განვითარების საკუთარი სტრატეგიის არჩევის შესაძლებლობას. ბოლო დროს სამხრეთ ამერიკის რეგიონში ათზე მეტ ქვეყანას დაკარგული ჰქონდა საგარეო დავალიანების პროცენტების დროულად გადახდის უნარი.

ლათინური ამერიკის ახალი ინდუსტრიული ქვეყნები მდიდარი სასარგებლო წიაღისეულით და ტყის რესურსებით გამოირჩევიან. ამიტომ მათი თავდაპირველი სპეციალიზაცია იყო არამარტო სასოფლო-სამეურნეო წარმოება, არამედ ნედლეულის ექსპორტი და მომპოვებელი მრეწველობის განვითარებაც.

ლათინურ ამერიკას თავისებური პოლიტიკური ნიშნებიც ახასიათებდა, რაც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასთან შედარებით უფრო მეტ პოლიტიკურ არასტაბილურობაში, მთავრობების ხშირად ცვლაში და სამხედრო კონფლიქტებში იჩენდა თავს.

1990-იან წლებამდე ლათინურ ამერიკაში მოქმედებდა „შიგნით“ ორიენტირებული ეკონომიკური განვითარების მოდელი, რომელიც ერთგვარად აღმოსავლეთ აზიის მოდელის მსგავსი იყო. მას ახასიათებდა ე.წ. „იმპორტ შემცველი ინდუსტრიალიზაცია“, მძიმე მრეწველობის განვითარება, ნედლეულის ექსპორტის გაფართოება და პროტექციონიზმის განხორციელება. 1980-იანი წლების შუახანებიდან აქ გადავიდნენ განვითარების ახალ მოდელზე, რომელსაც საფუძვლად დაუდეს გარე ფაქტორებზე ორიენტაცია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების მსგავსად და ექსპორტზე ორიენტირებული ეკონომიკის ჩამოყალიბება, რომელშიც ნამყვანი როლი კერძო სექტორის ხელში იქნებოდა (ე.წ. „კრეოლური ნეოლიბერალიზმი“).

ეკონომიკაში ნეოლიბერალიზმის დანერგვაში ლიდერობა ჩილემ მოიპოვა, რომლის გამოცდილებაც შემდგომ არგენტინაში, ბრაზილიასა და მექსიკაშიც გამოიყენეს.

ჩილეში ჩატარებული რეფორმები XX საუკუნის რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია, რომელმაც ქვეყანა უმოკლეს დროში გამოიყვანა უმძიმესი ეკონომიკური კრიზისიდან. ეს იყო კომპლექსური და თანამიმდევრული ღონისძიებები, რომლებიც მოიცავდა: ანტიინფლაციურ პოლიტიკას, საგარეო ვაჭრობაში არსებული დისბალანსის აღმოფხვრისას, საგადასახადო სისტემის რეფორმას, საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზებას, ფინანსური სისტემის ლიბერალიზებას, პრივატიზაციას, საპენსიო სისტემის რეფორმას და სამუშაო ძალის ბაზრის რეფორმას. ყოველივე ამის შემდეგ ჩილე ლათინური ამერიკის „ვეფხვად“ გადაიქცა.

საყურადღებოა, რომ მაკროეკონომიკური პოლიტიკის ამგვარი თანმიმდევრულობის პირობებში კონტინენტის სხვა ქვეყნებშიც შეიძლებოდა კრიზისების არაერთი ნეგატიური შედეგის თავიდან აცილება. ამასთან, ჩილეს საუკეთესო რეცეპტები აქვს გამოიმუშავებული კაპიტალის მოძრაობის გასაკონტროლებლად და ფინანსების მსოფლიო ბაზრიდან სპეკულაციური ინვესტიციების შემოტანის შესაზღუდავად, რაც თანამედროვეობის სავალუტო-საფინანსო კრიზისების შეკავებას უწყობს ხელს.

ამჟამად სამხრეთ ამერიკის ახალი ინდუსტრიული ქვეყნების ეკონომიკური ზრდა შემდეგ ფაქტორებზეა დამოკიდებული: რეგიონის ეკონომიკური კარგახსნილობა, რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაცია („ნაფტა“, „მერკოსური“, ევროპა-სამხრეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ზონის ჩამოყალიბება ევროკავშირისა და „მერკოსურის“ პოტენციალის გაერთიანებით), რეგიონის ინფრასტრუქტურის განვითარება, ტევადი შიდა ბაზრის ათვისება, თავდაცვის ხარჯების კლება. ამასთან, ეკონომიკური განვითარება დიდად შეფერხდება, თუ არ გადაწყდა ისეთი პრობლემები, როგორცაა რეფორმების სანინაღმდეგო პარტიზანული გამოსვლების დათრგუნვა (არგენტინასა და მექსიკაში), პოლიტიკური და სოციალური არასტაბილურობის დაძლევა (ბიუროკრატიისა და კორუფციის მაღალი დონე ბრაზილიასა და მექსიკაში), დამნაშავეობისა და ნარკობიზნესის დათრგუნვა.

აღსანიშნავია, რომ ლათინური ამერიკის ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებში წარმოება ნაკლებად მეცნიერებატევადია, რადგანაც საკუთარი ტექნოლოგიური ბაზა ჯერაც სუსტია. ამის მიუხედავად, ბრაზილიაში უკვე ვითარდება აეროკოსმოსური მრეწველობა და არსებობს საკუთარი დამუშავებები სამხედრო ტექნოლოგიების დარგში. კარგადაა განვითარებული ტურიზმი, პროგრესული ცვლილებები ხდება საფინანსო სერვისის სექტორში.

საგარეო ვაჭრობაში ამ ქვეყნების ძირითადი პარტნიორებია აშშ, იაპონია და ევროკავშირის ქვეყნები.

სამრეწველო პროდუქციის ცალკეული სახეობების, მათ შორის – მეცნიერებატევადი ნაკეთობების წარმოების ხაზით ახალი ინდუსტრიული ქვეყნები წამყვან პოზიციებზე იმყოფებიან. სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა მათი უჩვეულოდ დაჩქარებული განვითარება. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ კიდევ უფრო მაღალი ტემპებით მატულობს ახალი ინდუსტრიული ქვეყნებიდან განხორციელებული ექსპორტი. ამას განაპირობებს მათ მიერ შექმნილი საქონლის მაღალი კონკურენტუნარიანობა, რითაც ისინი ინტენ-

სიურად იპყრობენ პოზიციებს მსოფლიო ბაზარზე. დღეს ახალი ინდუსტრიული ქვეყნები გადაქცეულია ფეხსაცმლის, ტანსაცმლისა და საფეიქრო ნაწარმის უმსხვილეს ექსპორტიორებად, აღმავლობას განიცდის საყოფაცხოვრებო ელექტრონული აპარატურის გატანა და ა.შ.

სწორად შერჩეულმა სტრატეგიამ არამარტო საკუთარი ნიში აპოვნინა ამ ქვეყნებს მსოფლიო ბაზარზე, არამედ მათ განვითარებული სამრეწველო ქვეყნების ჯგუფში მყოფი ძლიერი კონკურენტების შევიწროებაც კი მოახერხეს. ამას ადასტურებს მათი ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურა, რომელშიც არსებითადაა გაზრდილი სამრეწველო ნაწარმის ხვედრითი წილი ვაჭრობაში ნედლეულისა და სურსათის შემცირების ხარჯზე (ცხრილი 3.3-3).

ცხრილი 3.3-3.

აღმოსავლეთ აზიის ახალი ინდუსტრიული ქვეყნების
ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურა 1995 წ.(%)

ქვეყნები	ნედლეული და მასალები	სამრეწველო ნაწარმი	ტექსტილის ნაწარმი	მანქანა- ტექნიკური ნაკეთობანი
ჰონკონგი	6,2	93,8	37,9	26,8
კორეის რესპუბლიკა	6,7	93,3	15,0	51,6
სინგაპური	16,1	83,9	2,6	62,3
ტაივანი	7,3	92,7	14,4	47,7
ინდონეზია	49,4	59,6	13,9	6,18
მალაიზია	25,3	74,7	4,9	50,0
ტაილანდი	26,9	73,1	12,5	31,5
ჩინეთი	16,0	84,0	276,0	19,5

წყარო: Ж. Финансы, 1999, №1, с. 51.

მრავალი მიზეზის გამო დღეს ახალი ინდუსტრიული ქვეყნები იმ წამყვანი სახელმწიფოების განსაკუთრებული ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების სფეროშია მოქცეული, რომლებიც დიდ ფინანსურ რესურსებს აბანდებდნენ მათ ეკონომიკაში. ამ

დაბანდებათა მოცულობა მთელი განვითარებადი სამყაროსთვის განკუთვნილი თანხების თითქმის ნახევარს აღწევდა.

ეკონომიკის სწრაფად ზრდამ განაპირობა მშპ-ის აბსოლუტური სიდიდეების გადიდება, მათ შორის – მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებითაც. ახალი ინდუსტრიული ქვეყნები ამ მაჩვენებლებითაც უსწრებენ განვითარებული ქვეყნების ძირითად ჯგუფს (ცხრილი 3.3-4.)

ცხრილი 3.3-4.

ახალი ინდუსტრიული ქვეყნების მშპ-ის
დინამიკა მოსახლეობის ერთ სულზე
(საერთაშორისო დოლარი)

რეგიონები	1913 წ.	1950 წ.	1973 წ.	1989 წ.
აზია	510 (0,7)	487 (0,6)	1215 (0,8)	2815 (1,0)
ლათინური ამერიკა	1092 (1,6)	1729 (3,1)	2969 (1,9)	3164 (1,1)

წყარო: А.В. Стрыгин. Мировая экономика. М., изд. "Экзамен", 2001, с. 316.

მშპ-ის სტრუქტურაში საკმაოდ მაღალია შიდა დაგროვების ხვედრითი წილი, თანაც აზიის ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებში იგი უფრო მაღალია, ვიდრე მეტწილ ინდუსტრიულ ქვეყნებში.

ახალი ინდუსტრიული ქვეყნების იმ დადებითი გამოცდილებების გამოყენებას, რომელიც მსოფლიო ბაზარზე მეცნიერებატევადი პროდუქციის რეალიზაციის წარმატებებში გამოიხატა, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ადრე სოციალისტურ ბანაკში მყოფი ქვეყნების საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების ახალი მოდელის ფორმირებისათვის – წარმოებაში, მეცნიერებასა და ტექნიკაში ღრმა და კომპლექსური თანამშრომლობის საფუძველზე.

3.4. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების სტრატეგია

თანამედროვე მსოფლიოში განსაკუთრებული ადგილი უკავია საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესებს. ამასთან, ერთმანეთისგან განასხვავებენ ტრადიციულ და ახალი ტიპის გარდამავალ ეკონომიკას. პირველი ახასიათებს ტროპიკული აფრიკისა და სამხრეთ აზიის ქვეყნებს, ხოლო მეორე – აღმოსავლეთ ევროპის და საბჭოთა კავშირის დაშლით შექმნილ ქვეყნებს, ჩინეთს და ლათინური ამერიკის ზოგიერთ ქვეყანას.

აღსანიშნავია ისიც, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ასახელებენ „გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის“ ქვეყნებსაც, რომელთაც მიაკუთვნებენ მხოლოდ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს, ჩინეთსა და მონღოლეთს, თუმცა ზოგიერთი ავტორი ჩინეთს განვითარებად ქვეყნად განიხილავს და ა.შ. ამასთან დაკავშირებით, ნიშანდობლივია შენიშენა იმის თაობაზე, რომ „გარდამავალი პერიოდისა“ და „გარდამავალი ეკონომიკის“ განზოგადებული განმარტების ძიება არაკონსტრუქციულია, რამდენადაც, როგორც თეორიული, ისე (უფრო მეტად კი) პრაქტიკული თვალსაზრისით არაფრის მომცემია.¹

ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით აღმოსავლეთ ევროპის (მეორენაირად – ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის) ქვეყნებს ასე აჯგუფებენ:

- 1) ნამყვანი ქვეყნები – უნგრეთი, პოლონეთი, სლოვაკეთი, სლოვენია და ჩეხეთი;
- 2) ბალტიის ქვეყნები – ლიტვა, ლატვია და ესტონეთი;
- 3) ბულგარეთი, რუმინეთი და ხორვატია;
- 4) ყველაზე უფრო ჩამორჩენილი ქვეყნები – ალბანეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, მაკედონია და იუგოსლავია (სერბია და ჩერნოგორია).

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების სტატუსი მათ იმის გამო მიიღეს, რომ ისინი სოციალისტური დირექტიული ეკონომიკიდან საბაზრო სისტემაზე გადადიან და კერძო საკუთრებას ანიჭებენ უპირატესობას.

განვითარების მოდელში ცვლილებების შეტანა ხსენებულმა ქვეყნებმა ჯერ კიდევ 1950-იანი წლების შუა ხანებში სცადეს. კერ-

¹ ელ. პაპავა და სხვები. *პოსტსაბჭოური ქვეყნის ეკონომიკის განვითარების თეორიული და პრაქტიკული ასპექტები საქართველოს მაგალითზე*, „მეცნიერება“, თბ., 2002, გვ. 9.

ძოდ, იუგოსლავიაში შეზღუდეს ფასების კონტროლი, უნგრეთსა და პოლონეთში კი გააფართოვეს კერძო სექტორის პოზიციები (სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობის სფეროებში). ეს რეფორმები მთლიანობაში არაეფექტიანი იყო, რადგან აქ არ აღმოუფხვრიათ განვითარების შემაფერხებელი პირველმიზეზი – თვითონ ყაზარ-მული სოციალიზმი.

სრულმასშტაბიანი ეკონომიკური რეფორმები აღმოსავლეთ ევროპაში 1980-იანი წლების ბოლოს დაიწყო და მისი მთავარი ელემენტები გახდა:

- მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია და ეკონომიკური მდგომარეობის კონტროლი;

- ფასების რეფორმა და საბაზრო მექანიზმების დანერგვა;

- კერძო სექტორის განვითარება, პრივატიზაცია და სანარმოო სტრუქტურის რეფორმა;

- ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის გადასინჯვა.

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში დაწყებული ეკონომიკური გარდაქმნების ლოგიკა ითვალისწინებდა, პირველ ეტაპზე, მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციას, მომდევნო ეტაპზე – ფასებისა და ვაჭრობის რეფორმას, შემდეგ კი – საგადასახადო და სოციალური სისტემის რეფორმას. საგულისხმოა, რომ რეფორმები ჩაფიქრებული იყო, როგორც ხანგრძლივი და მუდმივი პროცესი, ხოლო მათი სტრატეგიული მიზანი იყო ბაზარზე გადასვლა ევოლუციური გზით და დასავლეთის დახმარებით. სინამდვილეში ეს რეფორმები უფრო დინამიკური გამოდგა, რადგან პრაქტიკულად ყველგან ბაზარზე გადასვლის „შოკური თერაპიის“ გზა გამოიყენეს. ამის ყველაზე უფრო ხელშესახები უარყოფითი შედეგი გახდა საზოგადოების მოლოდინის გაცრუება და ცხოვრების დონის დაქვეითება.

რაც შეეხება რეფორმების დადებით შედეგებს, მათ შეგვიძლია მივაკუთვნოთ: საქონლისა და მომსახურების დეფიციტის ლიკვიდაცია, სამენარმოო საქმიანობის ლიბერალიზაცია და გააქტიურება, ეკონომიკის მართვის დემოკრატიული სისტემის შექმნა, მიკროდონეზე განხორციელებულ ბიზნესში სახელმწიფოს ჩაურევლობა, რეგიონის ახალი ეკონომიკური ინტეგრაციის დაწყება მსოფლიო სამეურნეო კავშირების სისტემაში. ყოველივე ეს იმაში გამოვლინდა, რომ ხსენებულ ქვეყნებში მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი გახდა მრავალი სახეობის საქონელი და მომსახურება, აღდგა ეკონომიკის კერძო სექტორი, სახელმწიფო გადაერთო მაკროეკონომიკური რეგულირების ამოცანებზე, განვითარდა და-

სავლეთის ქვეყნებთან ვაჭრობა, სამეცნიერო-ტექნიკური გაცვლა და ინვესტიციების სფეროში თანამშრომლობა, გადაისინჯა რუსეთთან და დსთ-ის ქვეყნებთან ურთიერთობები ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის სასარგებლოდ, თვით მათ შორის აიგო ახალი ეკონომიკური კავშირურთიერთობები.

ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ჩატარებულმა რეფორმებმა უკვე 1994 წელს განაპირობეს მაკროეკონომიკური მაჩვენებლების სასურველი დინამიკა. ამ რეგიონის ქვეყნებისთვის დამახასიათებელი გახდა ჯერ გამოცოცხლება, შემდეგ კი – ეკონომიკური ზრდა. სწრაფი ტემპებით ვითარდება საგარეო ვაჭრობა. ზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი გახდა შიდა მოთხოვნა და შიდა ინვესტიციები (მონყობილობის შეცვლა, წარმოების ტექნოლოგიური გადაიარაღება). ამაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა კერძო სექტორმა, რომლის ხვედრითი წილი 1990-იანი წლების შუა პერიოდისათვის ბულგარეთში 3-დან 25 %-მდე, პოლონეთსა და უნგრეთში კი – 30 %-დან 2/3-მდე გაიზარდა.¹

ამ რეგიონის ქვეყნების ეკონომიკის სტრუქტურა თანდათან იცვლის ორიენტაციას სოფლის მეურნეობიდან, ნედლეულის მოპოვებიდან და ნაკლებად მეცნიერებატევადი წარმოებიდან ისეთი კონკურენტუნარიანი სამრეწველო პროდუქციის გამოშვებისკენ, რომელსაც ყველაზე მაღალი მსოფლიო ტექნოლოგიური სტანდარტები აქვს. მაგალითად, თუ რუსეთის ექსპორტში კვლავინდებურად ნედლეულია ნამყვანი საქონელი (90%), ჩეხეთის ექსპორტის 90% კი პირიქით, სამრეწველო პროდუქციაა და მისი მეტი წილი მეცნიერებატევადი ნაწარმია. რეგიონის ქვეყნებში სწრაფად ვითარდება არამატერიალური წარმოების სფეროც, კერძოდ, ტურიზმი (ჩეხეთი, უნგრეთი და ბულგარეთი) და ფინანსები (ლატვია).

ამგვარად, ცენტრალურსა და აღმოსავლეთ ევროპაში გადადიან ინტენსიური განვითარების ახალ მოდელზე, რომელსაც პოსტინდუსტრიული ტიპის საბაზრო ეკონომიკა უდევს საფუძვლად. მართალია, ეს გადასვლა რეგიონის სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა მასშტაბით ხდება, მაგრამ პროცესი ყველგან მიმდინარეობს და ეს ძალიან მნიშვნელოვანია. საბაზრო გარდაქმნების გზაზე მათ მიერ მიღწეული წარმატებების აღიარებაა რეგიონის ნამყვანი

¹ А.И. Погорлецкий. Экономика зарубежных стран. Учебник. Второе издание. Изд-во "Михайлова В. А.", С.-ПБ., 2001, с. 362.

ქვეყნების – ჩეხეთის, უნგრეთისა და პოლონეთის მიღება ეთგო-ში 1995-1996 წლებში, აგრეთვე, ზოგიერთი ქვეყნის მიღება ევროკავ-შირის ასოცირებულ წევრად.

ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ლიდერ ქვეყნად ჩეხეთს მიიჩნევენ, მაგრამ მასთან ერთად კარგი ეკონომიკური პერსპექტივები აქვს პოლონეთს, უნგრეთს, სლოვაკიას და სლოვენიას. ამ უკანასკნელის გარდა, დასახელებული ქვეყნები შედიან ე.წ. „ვი-შეგრადის ჯგუფში“, რომლის ფარგლებშიც ისინი კოორდინირებას უწევენ ეკონომიკურ კავშირურთიერთობებს, უზრუნველყოფენ ერთობლივად თავდაცვას და ახდენენ რეგიონში სანარმოო კოოპერაციას. ამ ინტეგრაციული გაერთიანების კურსი ევროკავშირში განეწიანებისკენაა მიმართული. „ვი-შეგრადის ჯგუფი“ ნატო-საც მიუერთდა, სლოვენია კი, თავის მხრივ, მხარს უჭერს, როგორც ევროკავშირში განეწიანების, ისე ნატო-ში შესვლის კურსს.

ქვემოთ 3.4-1 ცხრილში მოცემული აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის წამყვანი ქვეყნების ეკონომიკის სტრუქტურა გვეჩვენებს, რომ აქ მოყვანილ მაჩვენებლებზე დაყრდნობით მართლზომიერი იქნება ამ ქვეყნების განხილვა პოსტინდუსტრიულ სახელმწიფოებად, სადაც არამატერიალურ წარმოებაზე მათი მშპ-ის 53,7-66% მოდის.

ცხრილი 3.4-1

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის წამყვანი ქვეყნების ეკონომიკის სტრუქტურა (1997)

ეკონომიკის სექტორი	ხვედრითი წილი ქვეყნის მშპ-ში (%)				
	უნგრეთი	პოლონეთი	სლოვაკეთი	სლოვენია	ჩეხეთი
სოფლის მეურნეობა	6,7	6,9	6,0	4,4	4,6
მრეწველობა	30,9	37,7	32,7	37,6	41,7
მომსახურება	62,4	66,5	61,3	58,0	53,7

წყარო: Eurostat Yearbook at a Glance, 1998, p. 29.

წარმოდგენილი ხუთეულის ძაკროეკონომიკური მაჩვენებლები სტაბილურობით გამოირჩევა, ვითარდება ეკონომიკა, წარმატებით ხორციელდება გარდაქმნები, რაც შედარებით იაფ საშუალო ძალასთან ერთად აძლიერებს უცხოური კაპიტალის დაინტერესებას აღნიშნული ქვეყნებით. მათი ზოგიერთი ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებელი 3.4-2 ცხრილშია მოყვანილი.

ცხრილი 3.4-2.

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის წამყვანი ქვეყნების ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები (1997 წ.)

ქვეყნები	მშპ მოსახლეობის ერთ სულზე, დოლარი	ეკონომიკური ზრდის ტემპი, %	ინფლაციის დონე, %	უმუშევრობის დონე, %
უნგრეთი	8900	4,4	18,4	8,1
პოლონეთი	7500	6,9	15,0	11,2
სლოვაკეთი	8900	6,5	6,1	11,6
სლოვენია	13000	3,8	7,4	7,3
ჩეხეთი	12000	1,0	8,6	4,7

წყარო: Eurostat Yearbook at a Glance, 1998, p. 29.

ამ ქვეყნებში მოქმედებს მსოფლიოს წამყვანი ტრანსეროვნული კომპანიების მრავალრიცხოვანი ფილიალები და შვილობილი კომპანიები. უცხოური ინვესტიციების მოზიდვის საქმეში ანუამად მათგან პოლონეთი ლიდერობს, მაგრამ რეალურ სექტორში ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით ჯგუფის სხვა ქვეყნებსაც კარგი პერსპექტივები აქვთ.

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლაში მიღწეული წარმატებების თვალსაზრისით „ვიშეგრადის ჯგუფისა“ და სლოვენის შემდეგ ბალტიის სამი ქვეყანა მოდის. მათ თანმიმდევრულად გაატარეს მაკროეკონომიკური გარდაქმნები და წარმატებით გადაჭრეს ბაზარზე გადასვლის უმნიშვნელოვანესი ამოცანები.

ბალტიის ქვეყნები თავდაპირველად დასპეციალდნენ რუსეთის ნედლეულის რეექსპორტზე თავიანთი საზღვაო პორტების მეშვეობით. მაგალითად, 1990-იანი წლების დასაწყისში ნავთობისა და ლითონების ექსპორტი ესტონეთისა და ლიტვის მთლიანი ექსპორ-

ტის 30-45 %-ს აღწევდა. ლატვია ოფშორულ მომსახურებას უწევდა და ახლაც უწევს რუსეთის მენარმეებს, რის გამოც ამ ქვეყნის მთელი საბანკო დეპოზიტების თითქმის ნახევარი რუსეთის რეზიდენტებს ეკუთვნის.¹

ნიშანდობლივია, რომ ეკონომიკური აღმავლობა, რომელიც ბალტიის ქვეყნებში დღემდე გრძელდება, უკავშირდება არა მარტო გარე ფაქტორებს, არამედ შიდა მოთხოვნისა და ინვესტიციების ზრდასაც: აქ ცვლიან სამრეწველო მოწყობილობას, ავითარებენ ისეთ წარმოებას, რომელიც კონკურენტუნარიანია ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისა და დსთ-ის ბაზრებზე. ამ ქვეყნების ეკონომიკის სტრუქტურული სურათიდან (ცხრ. 3.4-3) ნათლად ჩანს, რომ აქ შედარებით უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება სოფლის მეურნეობას (მეცხოველეობას) და თევზჭერას. არამატერიალური წარმოების სფეროებიდან აღმავლობას განიცდის საბანკო საქმიანობა (ლატვია) და ტურიზმი (ცნობილი კურორტები იურმალა და პალანგა). 1998 წელს ტურიზმმა ესტონეთს დაახლოებით 8,5 მლრდ გერმანული მარკის შემოსავალი მისცა. აქ ყოველწლიურად 3 მლნ.-მდე ტურისტი ჩამოდის, მათგან 900 ათასი – ხანგრძლივი დროით, რაც ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელია.

ცხრილი 3.4-3.

ბალტიის ქვეყნების ეკონომიკის სტრუქტურა
(1997 წ.)

ეკონომიკის სექტორი	ხვედრითი წილი ქვეყნის მშპ-ში (%)		
	ლატვია	ლიტვა	ესტონეთი
სოფლის მეურნეობა	7,4	12,7	7,9
მრეწველობა	30,7	31,3	29,0
მომსახურება	61,9	56,0	63,1

წყარო: Eurostat Yearbook at a Glance, 1998, p. 29.

¹ დასახელებული ნაშრომი. ც. 368-369.

ბალტიის სამეუღლიდან არამატერიალური წარმოების ხვედრითი წილი ყველაზე მეტია ესტონეთში, სადაც მთავარი ყურადღება ინფრასტრუქტურის განვითარებას დაუთმეს და არა მრეწველობისას. დღეს უკვე მრავალი ექსპერტი ესტონეთს ნიმუშად მიიჩნევს გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის¹.

ის სამი „ვეშაპი“, რომლებსაც ესტონეთის ეკონომიკა ეყრდნობა, არის: ტრანზიტი, ტურიზმი და საფინანსო ნაკადების მომსახურება.

ბალტიის ქვეყნების საგარეო ვაჭრობა ევროკავშირის ქვეყნებზე, პირველ რიგში კი ფინეთსა და შვედეთზეა ორიენტირებული, განვითარებულია საგარეო-ეკონომიკური კავშირები რუსეთის ჩრდილო-დასავლეთ რეგიონთან და უკრაინასთან. სამეუღლის საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური კურსი მთლიანობაში „ვიშეგრადის ჯგუფის“ მსგავსია – ევროკავშირსა და ნატო-ში რაც შეიძლება სწრაფად ინტეგრირება.

ნიშანდობლივია, რომ ლატვიამ და ესტონეთმა მიიღეს კანონები, რომლებიც კრძალავს მათ მონაწილეობას რუსეთთან ერთად შექმნილ ინტეგრაციულ გაერთიანებებში.

ეკონომიკური ზრდის ტემპების მიხედვით ბალტიის ქვეყნები (განსაკუთრებით კი – ესტონეთი) აღმოსავლეთ ევროპის ნამდვილ „ვეფხვებად“ იქცნენ, ეს კი დიდწილად განაპირობა მათ მიერ განხორციელებულმა ეკონომიკური კარგახსნილობისა და ლიბერალიზების პოლიტიკამ. სამეუღლის ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები 3.4-4. ცხრილშია ნაჩვენები.

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის ქვეყნების მომდევნო ჯგუფი – ბულგარეთი, რუმინეთი და ხორვატია ეკონომიკურად წელგამართულია მხოლოდ ამ რეგიონის ყველაზე უფრო ჩამორჩენილ მეოთხე ჯგუფთან შედარებით. ხორვატიაში 1993 წელს დაწყებული ეკონომიკური რეფორმები შეაფერხა საომარმა მოქმედებებმა და მრეწველობის მოდერნიზაციისა და სტრუქტურული გარდაქმნისათვის საჭირო სახსრების უკმარისობამ. რაც შეეხება ბულგარეთსა და რუმინეთს, მათ ახასიათებთ პრივატიზაციის წელი ტემპები, ცხოვრების დაბალი დონე და ამით განპირობებული შიდა მოთხოვნის შეკვეცა, წარმოების დაქვეითება და ფინანსური სახსრების სიმცირე. მომსახურების სფერო აქ სუსტადაა განვითარებული, თუმცა, ბულგარეთსა და რუმინეთს ტურიზმის აღორძინების კარგი პოტენციალი აქვთ ევროპაში ცნობილი კურორტების და ისტორიული ტურისტული მარშრუტების სახით.

¹ *А.В. Стрыгин. Мировая экономика. М., "Экзимен", 2001, с. 268.*

ბალტიის ქვეყნების ძირითადი მაკროეკონომიკური
მაჩვენებლები
(1997 წ.)

ქვეყნები	მშპ მოსახლეობის ერთ სულზე (მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტი 2001 წ.) აშშ დოლარი	ეკონომიკური ზრდის ტემპი, %	ინფლაციის დონე, %	უმუშევრობის დონე, %
ლატვია	7730	6,5	8,4	14,4
ლიტვა	8470	5,7	8,9	14,1
ესტონეთი	10170	11,4	11,2	10,5

წყარო: Eurostat Yearbook at a Glance, 1998, p. 29; Доклад о развитии человека за 2003 год. Минск, ЮНИПАК", с. 278.

ევროპაში ყველაზე უფრო ღარიბია ალბანეთი და ყოფილი იუგოსლავიის შემადგენელი ქვეყნები. მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ით (დაახლოებით 1 ათასი დოლარი) ისინი გაეროს კლასიფიკაციით ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნების ჯგუფს მიეკუთვნება. ყოფილი იუგოსლავიის მთელი მოსახლეობის 3/4 საცხოვრებელი მინიმუმის დონის ქვემოთ ცხოვრობს, ხოლო 1/3 უმუშევარია. მაგრამ ეკონომიკური რეფორმები ასეთ რთულ პირობებშიც კი გრძელდება. მიმდინარეობს პრივატიზაცია, ატარებენ მკაცრ მონეტარულ პოლიტიკას, ლიბერალური ხდება საგარეო-ეკონომიკური კავშირები. ამ რეგიონის აღორძინება იმ დახმარებაზე იქნება დამოკიდებული, რომლისთვისაც მზად არიან დასავლეთ ევროპის ქვეყნები და აშშ მისი დემოკრატიული განვითარების გარანტიების შემთხვევაში.

ყოფილი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როგორც ცნობილია, მისი ტერიტორიის, ეკონომიკური პოტენციალისა და საგარეო-ეკონომიკური კავშირების მნიშვნელოვანი ნაწილი (ისევე, როგორც არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებისა და წინააღმდეგობების კომპლექსი) რუსეთს ერგო „მემკვიდრეობით“. კავშირის სხვა რესპუბლიკებთან აგებული სამეურნეო კავშირურთიერთობების რღვევამ საგრძნობლად დაძაბა მისი სოციალურ-ეკონომიკური ვითარება, რომლის გამოსწორებასაც რუსეთი ჯერ კიდევ ვერ ახერხებს. ამჟამად მას ერთგვარად შუალედური პოზი-

ცია უკავია განვითარებულ სამრეწველო ქვეყნებსა და განვითარებად ქვეყნებს შორის.

ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების ექსპერტების შეფასებით, რუსეთში კვლავინდებურად არასაკმარისადაა განვითარებული პირველადი სექტორი, დაუბალანსებელია მეორადი სექტორი და განუვითარებელია მესამეული სექტორი. მიუხედავად ამისა, ქვეყანას აქვს ეკონომიკური განვითარების კარგი პერსპექტივები, რაც პირველ რიგში უკავშირდება მის ტერიტორიაზე მრავალფეროვანი და მდიდარი სასარგებლო წიაღისეულის არსებობას, მძლავრ სამეცნიერო-ტექნიკურ პოტენციალს, მნიშვნელოვან ინტელექტუალურ რესურსებს და არც თუ ურიგო საგანმანათლებლო-კულტურულ დონეს. გარდა ამისა, რუსეთში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმის კურსს უნდა მოჰყვეს მეურნეობის გაჯანსაღება სტრუქტურული გარდაქმნისა და საბაზრო პირობებზე გადასვლის გზით.

მრავალი ექსპერტის აზრით, რუსეთში გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობის საფუძვლად უნდა მივიჩნიოთ მისი კარგახსნილობა ანუ გარედან გაჩაღებული კონკურენციის „გამაჯანსაღებელი ეფექტი“, ოღონდ ეს ისე უნდა ხდებოდეს, რომ კონკურენცია დადებითი ფაქტორიდან ქვეყნის ეკონომიკის დამანგრეველ ძალად არ გადაიქცეს.

როგორც ცნობილია, რუსეთის ექსპორტს თავისებურება ახასიათებს, რაც მის სანედლეულო მიმართულებაში ვლინდება. საგარეო ვაჭრობაში გამოვლენილი კიდევ ერთი ნეგატიური ტენდენციაა რუსეთის ხვედრითი წილის შემცირება მრავალ მნიშვნელოვან რეგიონულ და მსოფლიო სასაქონლო ბაზარზე. კერძოდ, თვალშისაცემია პოზიციების შესუსტება განვითარებადი და ყოფილი სოციალისტური ქვეყნების, აგრეთვე, დსთ-ის ბაზრებზე. გარდა ამისა, რუსი საქონელმწარმოებლები თვით რუსეთის შიდა ბაზრებზეც თმობენ თავიანთ პოზიციებს.

რუსეთის ეკონომიკაში შესამჩნევად მატულობს უცხოური კაპიტალური დაბანდებების ნაკადი, თუმცა მისი აბსოლუტური მოცულობები მნიშვნელოვნად ჩამორჩება საჭირო ოდენობას. ამაზე გავლენას ახდენს რუსეთის არასრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა, წარმოების დაქვეითება და ეკონომიკური სტაგნაცია, „ჩრდილოვანი ეკონომიკის“ მასშტაბები, შიდა ბაზარზე არსებული დაბალი გადახდისუნარიანი მოთხოვნა და ქვეყნის დავალიანების ზრდა. ასეთი მძიმე ეკონომიკური ვითარება მწვავედ აყენებს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შერჩევის საკითხს.

არჩევანი პრინციპში ორ შესაძლო სტრატეგიულ კურსს შორის უნდა გაკეთდეს – სათბობ-სანედლეულოსა და კომპლექსურად განვითარების კურსებს შორის.

სათბობ-სანედლეულ კურსი რუსეთში წინათ არსებული კურსის გაგრძელებაა და გულისხმობს ქვეყნის მთლიანად გახსნილი ეკონომიკის შენარჩუნებას და მსოფლიო ბაზრის მოთხოვნებზე მის დაქვემდებარებას. ამ ვარიანტით უახლოეს პერიოდში უიმედოა რამდენადმე შესამჩნევი ეკონომიკური აღმავლობა. ქვეყანა შევა ხანგრძლივი სტაგნაციური დეპრესიის ფაზაში, რასაც განაპირობებს ეკონომიკური ზრდის ძირითადი წყაროების დაშრეტა და მათი დროულად აღდგენის შეუძლებლობა.

კომპლექსურად განვითარების სტრატეგია მოასწავებს რუსეთის ეკონომიკაში ისტორიულად არსებული დარგებისა და წარმოებების უმრავლესობის ნორმალურად ფუნქციონირების უზრუნველყოფას. ამ ვარიანტის განხორციელების შემთხვევაში მოსალოდნელია ეკონომიკის საგრძნობლად გამოცოცხლება.

ეს ორი ვარიანტი არსებითად განსხვავდება ერთმანეთისგან დარგობრივი სტრუქტურით. პირველი ვარიანტით გაგრძელდება საბაზრო ეკონომიკის სათბობ-სანედლეულო ორიენტაციის გაძლიერება და წარმოების დაქვეითება საინვესტიციო კომპლექსის დარგებში. მეორე ვარიანტით პირიქით – წინმსწრები ტემპებით გაიზრდება საინვესტიციო კომპლექსის დარგები.

ეკონომიკური განვითარების ტემპებით დღეს მსოფლიოს ერთ-ერთი ლიდერი ქვეყანაა ჩინეთი. მის გარდამავალ ეკონომიკურ სისტემას ის თავისებურება აქვს, რომ საბაზრო ურთიერთობები აქ კომუნისტური პარტიის კონტროლით მკვიდრდება.

ჩინეთის ეკონომიკური განვითარების მოდელს 1990-იანი წლების ბოლომდე ორი ნიშანი ახასიათებდა: განვითარების მაღალი ტემპები და ეკონომიკური ზრდის უპირატესად ექსტენსიური ხასიათი.

ჩინეთი უმსხვილესი აგრარულ-ინდუსტრიული სახელმწიფოა. ამიტომ მისი სტრატეგიული ამოცანა გახდა მსოფლიოში პირველ პოზიციაზე გასვლა სამრეწველო წარმოების დონით. ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მამოძრავებლის როლს ასრულებს შიდა მოხმარება, შიდა მოთხოვნა და მოსახლეობის სწრაფი ზრდა, ხოლო ზრდის წყაროებია: შრომითი რესურსები, ბუნებრივი რესურსები და მყარი დამგროვებელ-საინვესტიციო მექანიზმის ჩამოყალიბება, რომელსაც საფუძვლად უდევს დაგროვებისა და ინვესტირების მაღალი ნორმები. ამავე დროს, ქვეყნის განვითარებას სერიო-

ზულად აფერხებს ეროვნული ეკონომიკის მოდერნიზებისათვის საჭირო საკუთარი ტექნიკური და ფინანსური შესაძლებლობების შეზღუდულობა.

მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ ეკონომიკურ ზრდას ჩინეთში თან ახლავს მთელი ეკონომიკური სისტემის სახის შეცვლა, რაც გამოიხატება:

– მრავალწობიან ეკონომიკაზე გადასვლაში (საზოგადოებრივი საკუთრების ნამყვანი როლის შენარჩუნებით);

– ნატურალური და ნახევრადნატურალური მეურნეობის ფულად-სასაქონლო მეურნეობად გადაქცევაში;

– საქონლისა და ფულის მიმოქცევის, ფასნარმოქმნისა და საბანკო საქმის რეფორმირებაში.

მთლიანობაში რეფორმები მაინც არ არღვევს ეკონომიკური სისტემის დღემდე არსებულ სახელმწიფო და კოოპერაციულ სტატუსს.

ჩინეთის ეკონომიკურ ზრდაზე არსებითად მოქმედებს მისი ეკონომიკის კარგახსნილობის პოლიტიკა. ჩინეთი მაღალი დონითაა ჩართული მსოფლიო სამეურნეო კავშირურთიერთობების სისტემაში. ექსპორტის მაჩვენებლით იგი მსოფლიოს მე-9, იმპორტით კი – მე-11 ქვეყანაა. ჩინეთის წილად მოდის მთელი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მეთედი¹, რაც უცხოურ ტექნოლოგიებთან ერთად თვისობრივად ცვლის ქვეყნის ეკონომიკას – მიმდინარეობს სოფლის მეურნეობის ქიმიზაცია, მრეწველობის რეკონსტრუქცია, სწრაფად ვითარდება მაღალი ტექნოლოგიების დარგები – ელექტრონიკა, აეროკოსმოსური მრეწველობა და ა.შ. ნიშანდობლივია, რომ ინტერნეტით მოსარგებლეთა რაოდენობის მიხედვით ჩინეთი უკვე გაუთანაბრდა ნამყვანი ქვეყნების დონეს.

ეკონომიკური განვითარების ჩინური მოდელი ყოველთვის გამოირჩეოდა ხელით შრომის ფართოდ გამოყენებით და შრომის დაბალი ნაყოფიერებით. ბუნებრივია, მისი განვითარების ექსტენსიურ გზას ახასიათებდა წარმოების ეფექტიანობის დაქვეითება, ნამგებიანი საწარმოების სიმრავლე, არგადახდებისა და სახელმწიფო ვალის მატება, უმუშევრობა, გარემოს დაბინძურება. ექსტენსიური განვითარების კრიზისი ყველაზე აშკარა გახდა 1992-1996 წლებში, როდესაც ჩინეთის ეკონომიკური ზრდის ზემალაღმა ტემპებმა დამანგრეველი ძალა შეიძინა.

¹ А.И. Погорлецкий. Экономика зарубежных стран. Учебник. Второе издание. Изд-во "Михайлова В. А.", С.-Пб., 2001, с. 390.

ამის გათვალისწინებით ჩინეთში შეიმუშავეს 1996-2010 წლების პროგნოზი და მისი მაკროეკონომიკური განვითარების ძირითად მიმართულებად დაადგინეს „ორი სტრატეგიული გადასვლის“ კონცეფცია:

I. გადასვლა ტრადიციული დირექტიული ეკონომიკიდან სოციალისტურ საბაზრო ეკონომიკაზე;

II. გადასვლა ზრდის ექსტენსიურიდან ინტენსიურ ფორმაზე. ეს კონცეფცია საფუძველს უდებს ჩინეთის ეკონომიკურ განვითარებას ჩვენს საუკუნეში. ამასთან, პირველი „სტრატეგიული გადასვლა“ მეორე „გადასვლის“ პირობა უნდა გახდეს.

განვითარების ინტენსიურ მოდელზე გადასვლას გულმოდგინედ ხელმძღვანელობს ჩინეთის კომპარტია და მთავრობა. ისინი საკმაოდ ფრთხილად ეკიდებიან კონკრეტულ ეკონომიკურ მაჩვენებლებსა და ტემპებს, რათა საზოგადოებაში არ დაიძაბოს სოციალურ-პოლიტიკური ვითარება და ამან ხელი არ შეუშალოს გეგმების განხორციელებას. მოდელში კვლავაც შენარჩუნებულია სახელმწიფო რეგულირება (განსაკუთრებით ფასების), მაგრამ სულ უფრო აქტიურდება საბაზრო მექანიზმები. ამდენად, ჩინეთის ეკონომიკური განვითარების პრაქტიკის მთავარი გაკვეთილია ლიბერალიზაციის დანყება ეკონომიკის სფეროში და პოლიტიკური სისტემის ლიბერალიზაციაზე თანდათანობით გადასვლა. ეს, ალბათ, მომავალში რადიკალურად შეცვლის იმ რეალობას, რომ ჩინეთი დღეს არც აშშ-ის და არც ევროპის სერიოზული კონკურენტი არაა, ამ რეგიონში კი იაპონიას მასზე გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს გლობალური ეკონომიკისათვის.

3.5. განვითარებადი ქვეყნების სტრატეგია

განვითარებადი ქვეყნები თანდათან ხდებიან საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა სრულუფლებიანი და მნიშვნელოვანი სუბიექტები. მსოფლიო ეკონომიკური სისტემის ეს ქვესისტემა ყველა ქვეყნის 4/5-ს მოიცავს, სადაც დედამიწის მოსახლეობის 80 %-ზე მეტი ცხოვრობს¹. ამდენად, განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობა და მათი პრობლემები უშუალოდ მოქმედებს მთელი კაცობრიობის მომავალზე.

განვითარებადი ქვეყნების ქვესისტემაში შედის აზიის ყველა ქვეყანა იაპონიის, სამხრეთ კორეის, ჰონკონგის, ტაივანის, სინგაპურისა და ისრაელის, აგრეთვე, ჩინეთისა და მონღოლეთის გარდა, აფრიკის ქვეყნები სარ-ის გარდა და ლათინური ამერიკის ქვეყნები.² ცალკე ჯგუფად მათი გამოყოფის მთავარი კრიტერიუმია ამ ქვეყნების სუსტი განვითარება და ჩამორჩენა, რომელთაგან სუსტი განვითარება ვლინდება საზოგადოების თვისებრივად არაერთგვაროვნებასა და სისტემურ მოუწყობლობაში, ხოლო ჩამორჩენა – სანარმოო ძალთა განვითარების დაბალ დონეში. განვითარებადი ქვეყნების ჩამორჩენა განაპირობებს მათი სოციალური და ეკონომიკური პრობლემების სპეციფიკას, რომელთა გადაჭრის დროს გამოყენებული მიდგომები განსხვავდება განვითარებულ სამრეწველო ქვეყნებში მიღებული მიდგომებისგან. ამავე დროს, სწორედ ეს ჩამორჩენა ასაზრდოებს მათ დამოკიდებულებას განვითარებულ ქვეყნებზე.

განვითარებადი ქვეყნების სიმრავლე მათ დიდ მრავალფეროვნებასაც განაპირობებს. დღეს ამ ქვეყნებში მიმდინარეობს რთული სოციალურ-ეკონომიკური პროცესები, ამასთან, 1970-იანი წლების შემდეგ მათი განვითარების გენერალური ტენდენცია მზარდი დიფერენციაცია გახდა.

განვითარებადი ქვეყნების დიდი მრავალფეროვნების მიუხედავად შეგვიძლია გამოვყოთ ის საერთო ნიშნები და მახასიათებლები, რომლებიც მათ ერთიანობას განსაზღვრავს. ესაა:

- განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის მრავალწყობიანობა;
- სანარმოო ძალების განვითარების დაბალი დონე, მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და სოციალური ინფრასტრუქტურის ჩამორჩენა;

¹ *А.В. Стрыгин. Мировая экономика. М., "Экзамен", 2001, с. 282.*

² *კიდევ ერთხელ შევნიშნავთ, რომ სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერ კიდევ საბოლოოდ არაა გადაჭრილი საერთოდ ქვეყნების კლასიფიცირება-დაჯგუფების საკმაოდ რთული საკითხი.*

– მსოფლიო სამეურნეო სისტემაში დამოკიდებული მდგომარეობა.

ეკონომიკის მრავალწობიანობასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ მეტწილ განვითარებად ქვეყნებში ჭარბობს სასოფლო-სამეურნეო წარმოება, თვით სოფლად კი, წერილი სასაქონლო წარმოება. განვითარებად ეკონომიკაში დიდ როლს ასრულებს ეკონომიკის ე.წ. არაფორმალური სექტორი, რომელიც ყველგანაა მოდებული.

განვითარებად სამყაროში ჩამოყალიბებული კაპიტალიზმი პერიფერიული ხასიათისაა და მისი მოდელი იმიტაციურია. ეს იმიტაცია იწყება ბაზრის შექმნით, რომელზეც ყველაფრის შექმნა შეუძლია მხოლოდ მოსახლეობის პრივილეგირებულ ფენას. ეს ბაზრის მონაწილეთაგან ავტომატურად გამოირიცხავს დანარჩენ ფენებს, რომლებიც სიღარიბისათვის არიან განწირული.

პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიღწევის შემდეგ განვითარებადმა ქვეყნებმა მიმართეს ინდუსტრიალიზაციას, როგორც ეკონომიკური ჩამორჩენის დაძლევის გზას, რითაც მოახერხეს ჩამორჩენის შემცირება და ეროვნული შემოსავლის გადიდება.

ინდუსტრიალიზაციის განსხვავებული პროცესების ფონზე შეგვიძლია გამოვეყოთ მისი ორი მთავარი სტრატეგია, ანუ მოდელი, რომლებმაც დიდი გავლენა მოახდინეს მსოფლიო მეურნეობის პერიფერიულ ზონაში მომხდარი ეკონომიკური ზრდის დინამიკასა და ხარისხზე: პირველ მათგანს შეგვიძლია ვუნოდოთ შიგნით მიმართული, მეორეს კი – გარეთ მიმართული განვითარება. პირველი სტრატეგიის პრიორიტეტად იქცა სამრეწველო საქონლის შიდა ბაზრის ათვისება, მეორეს კი საფუძვლად დაედო ადგილობრივი ნაწარმის გატანა საგარეო ბაზარზე. პირველი სტრატეგია წინა პლანზე წამოსწევს იმ ყოვლისმომცველი სამრეწველო კომპლექსების შექმნას, რომლებმაც ჯერ შიდა ბაზარი უნდა გააჯერონ და მისი სტრუქტურირება მოახდინონ, მხოლოდ ამის შემდეგ განავითარონ ადგილობრივი ნაწარმის ექსპორტი. მეორე სტრატეგია ქვაკუთხედად გამოყოფს საერთაშორისო სამრეწველო სპეციალიზაციასა და კოოპერირებას, რომელზე დაყრდნობითაც იმედოვნებენ შიდა ბაზრის გაჯერებასაც და მის სტრუქტურირებასაც.

ორივე სტრატეგიის რეალიზაციაში მნიშვნელოვან და თითქმის გადამწყვეტ როლს ასრულებდა სახელმწიფო. ჯერ ერთი, სახელმწიფო განსაზღვრავდა ინდუსტრიალიზაციის ძირითად პარამეტრებს და მიზნებს და მათი მიღწევის საშუალებებს. მეორე, იგი განაგებდა ეკონომიკური და სოციალური ინფრასტრუქტურის გან-

ვითარებას. მესამე, სახელმწიფო ახორციელებდა მასშტაბურ სამრეწველო მენარმეობას. მეოთხე, იგი ხელს უწყობდა კერძო ეროვნულ მენარმეობას.

მრავალი წამყვანი პარამეტრის მიხედვით ორივე ზემოთ ხსენებული მოდელი ეფუძნება, როგორც თვით განვითარებად ქვეყნებში, ისე მსოფლიო ბაზარზე მიმდინარე ეკონომიკური პროცესების ლოგიკას.

ამასთან ერთად განვითარებადი ქვეყნები იძულებული იყვნენ მოეხდინათ მოდერნიზება სამრეწველო პროდუქციის (მანქანებისა და მონაცობილობის) ინტენსიურად განვითარებასთან დაკავშირებით. მაგრამ ამ ქვეყნების სტრატეგია ისეთია, რომ აუცილებელია უცხოური კაპიტალის შეზღუდვა ეკონომიკური ზრდის დაჩქარების მიზნით. ყოველივე ეს გამოვლინდა იმპორტჩანაცვლებაში. ეს იყო სანაყისი ეტაპი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. იმპორტი აქ ადგილობრივი პროდუქციით ჩაანაცვლეს, ამის გვერდით კი დაიწყეს ადგილობრივი მუშებისა და ტექნიკური კადრების მომზადება. ეს პირველი ფაზა, რომლის დროსაც იქმნება მოკლე და საშუალო ვადით გამოსაყენებელი სამომხმარებლო საქონლის მწარმოებელი საქსოვ-სამკერვალო, ტყავ-ფეხსაცმლის, საავეჯო და სხვა საწარმოები, უმრავლეს ქვეყნებში საკმაოდ შეუფერხებლად წარიმართა. ეს იმანაც განაპირობა, რომ ტექნიკური ეკონომიკური პარამეტრებით დასახელებული დარგები ძირითადად შეესაბამებოდა სუსტად განვითარებად მეურნეობათა შესაძლებლობებს და მოთხოვნილებას. მაგრამ ასეთი პოლიტიკა ხელს არ უწყობდა მსოფლიო მეურნეობაში განვითარებადი ქვეყნების როლის ძირეულად შეცვლას, მოქნილი და ეფექტიანი ეკონომიკური სისტემის შექმნას. გარდა ამისა, ხანგრძლივად გამოსაყენებელი სამომხმარებლო და საწარმოო საქონლის ძირითადი მასის, აგრეთვე მათ დასამზადებლად საჭირო შუალედური პროდუქციის წარმოება ხშირად კარგად არ იყო მისადაგებული ადგილობრივი ბაზრების მდგომარეობასთან, როგორც მისი განვითარებისთვის საჭირო რესურსების, ისე რეალური გადახდისუნარიანი მოთხოვნის მოცულობების მიხედვით.

ეროვნული ბაზრების სივიწროვით განპირობებული პრობლემებისა და სირთულეების გათვალისწინებით განვითარებადმა ქვეყნებმა შექმნეს ათობით ინტეგრაციული დაჯგუფებები, თუმცა მრავალი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზით ვერცერთმა მათგანმა ვერ მიაღწია წარმატებას საერთო ბაზრის შექმნის საქმეში. ამის გამო სამრეწველო იმპორტჩანაცვლების მეორე ფაზაც ცალკე

აღებული ეროვნული ბაზრების შეზღუდული ტევადობით აღმოჩნდა შემოფარგლული. მეორე ფაზამ ვერ გაამართლა საგარეო-ეკონომიკური პრობლემების მოგვარების იმედები. ეს სტადია მსხვილ საფინანსო რესურსებს მოითხოვდა. წარმოიშვა პროდუქციის ხარისხთან დაკავშირებული პრობლემები. საფინანსო რესურსების მხარდასაჭერად შედარებით ნელა იწყო განვითარება საექსპორტო წარმოებამ. საექსპორტო ორიენტაციის პოლიტიკა ინდუსტრიალიზაციის მეორე ფორმაა, რომელიც ღია ტიპის ეკონომიკას წარმოადგენს. ამ შემთხვევაში მრეწველობა ორივე – საშინაო და საგარეო ბაზარზე მუშაობს. ცხადია, უცხოურ კაპიტალთან განვითარებადი ქვეყნების აქტიური ურთიერთმოქმედების გამო უპირატესობა საგარეო ბაზარს ენიჭებოდა, თუმცა, სამრეწველო ექსპორტის განვითარებას ხელს უშლიდა იმპორტჩანაცვლების პერიოდში შექმნილი გადამამუშავებელი მრეწველობის დაბალი კონკურენტუნარიანობა და ეროვნული ვალუტის კურსების სისტემატურად აწევა.

იმპორტზე მოთხოვნილებებისა და საექსპორტო რესურსების ზრდას შორის არსებულმა ნაპრაღმა გარედან დახმარებისა და სესხების მიღების საჭიროება წარმოშვა. ეს გაფართოებული, ზოგჯერ კი მარტივი კვლავწარმოების უცილობელი პირობა გახდა. უცხოური ვალუტის ქრონიკული დეფიციტი განვითარების მთავარ მუხრუჭად გადაიქცა.

კრიზისების პერიოდში დამანგრეველ რყევებს მხოლოდ იმ ქვეყნებმა დააღწიეს თავი, რომლებიც სულ უფრო მეტად ერთვებოდნენ შრომის საერთაშორისო დანაწილებაში, აგრეთვე, იმ ქვეყნების ნაწილმა, რომლებიც მეტისმეტად არ ზღუდავდნენ მასში ჩართვას და წინდახედულ ფულად პოლიტიკას ეწეოდნენ. ეკონომიკური ზრდის დინამიკითა და ხარისხით მათგან გამოირჩეოდნენ სინგაპური, ჰონკონგი, ტაივანი და სამხრეთ კორეა, აგრეთვე, ინდონეზია, მალაიზია, ტაილანდი.

ინდუსტრიალიზაციაში ექსპორტის წამყვან როლს ფაქტორების რთული კომპლექსი განსაზღვრავს. შრომის საერთაშორისო დანაწილებაში მონაწილეობის გაფართოებამ პროდუქტიულობის გადიდების უნარი შესძინა ინდუსტრიალიზაციას. ამას ხელი შეუწყო ბაზრების გაფართოებამ, რამაც მასშტაბით მიღებული ეკონომიის შესაძლებლობები მისცა სამრეწველო ნაკეთობათა ექსპორტიორ სანარმოებს.

ინდუსტრიალიზაციის დროს ექსპორტი სამრეწველო ზრდის არამარტო საბაზრო, არამედ რესურსული ბაზის გადიდების ქმედითი ბერკეტიცაა. მაგრამ რაკი თვით ექსპორტის გადიდებაც

ინვესტიციებს მოითხოვს, ამიტომ საკუთარი თავის იმედად განხორციელებული ეკონომიკური ზრდა უკავშირდება ექსპორტს, დანაზოგსა და ინვესტიციებს შორის დინამიკური ურთიერთქმედების ჩამოყალიბებას.

ექსპორტის დინამიკურად ზრდამ არსებითად გაზარდა შიდა დანაზოგები. შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ჩართვის მკვეთრად გადიდების უაღრესად მნიშვნელოვანი თანამდევნი შედეგი გამოდგა ნაციონალური ბაზრის ტევადობის არსებითად გადიდება და იმპორტჩინააცვლების შესაძლებლობათა გაფართოება, ოღონდ უკვე უფრო პროდუქტიულ საფუძველზე.

საგარეო-ეკონომიკურმა პოლიტიკამ უზარმაზარი გავლენა მოახდინა იმ განვითარებადი ქვეყნების ზრდის ტემპებზე, რომლებიც ინდუსტრიულიზაციას ახორციელებდნენ. ამას ადასტურებს 3.5-1. ცხრილის მონაცემები.

ცხრილი 3.5-1

განვითარებადი ქვეყნების მაკროეკონომიკური ინდიკატორები (საშუალო წლიური ტემპები, %)

	1971-1983 წწ.	1984-1993 წწ.	1990-2001 წწ.
ზრდის მაღალი ტემპების მქონე 42 ქვეყანა მშპ	5,8	7,4	5,5
სამომხმარებლო ფასები	12,0	11,5	მონაცემები არ არის
ინვესტიციები (% მშპ-ის მიმართ)	25,8	30,1	
დანაზოგები (% მშპ-ის მიმართ)	24,5	29,3	
ექსპორტის მოცულობა	8,6	10,4	
საგარეო ვალი (% მშპ-ის მიმართ)	19,2	29,4	
წარმოების ფაქტორების საერთო ეფექტიანობა	1,9	3,4	
ზრდის დაბალი ტემპების მქონე 42 ქვეყანა მშპ	4,0	1,4	
სამომხმარებლო ფასები	26,4	53,5	მონაცემები არ არის
ინვესტიციები (% მშპ-ის მიმართ)	26,3	20,9	
დანაზოგები (% მშპ-ის მიმართ)	24,1	18,8	
ექსპორტის მოცულობა	-0,5	3,4	
საგარეო ვალი (% მშპ-ის მიმართ)	26,9	50,2	
წარმოების ფაქტორების საერთო ეფექტიანობა	0,2	- 1,1	

წყარო: А. Эльяков. Индустриализация развивающихся стран в интерьере мирохозяйственных связей и Россия, Жур. "МЭиМО", №1, 1999, с. 23.

იმ ქვეყნებში, სადაც ექსპორტი დინამიკურად ვითარდება, ზრდის ტემპები მაღალია და პირიქით, რადგანაც წარმოების დუნე დინამიკის დროს ეკონომიკას შესაძლებლობები ეზღუდება და ვერ იღებს სწრაფად და შეუფერხებლად განვითარებისთვის საჭირო სახსრებს.

ცნობილია, რომ საგარეო ბაზრების დაუფლებისკენ მიმართულ მრეწველობას აქვს დაზოგვის, ინვესტირების გადიდების და იმპორტის რაციონალურად ჩანაცვლების უნარი.

ომის შემდეგ ამგვარ სტრატეგიას წარმატებით იყენებდნენ გერმანიისა და იაპონიის სამრეწველო კაპიტალის აღდგენა-განვითარებისათვის.

ამიტომ საჭიროა არა ქვეყნის განვითარების საერთო მიმართულების და შრომის საერთაშორისო დანაწილების უპირატესობების შეცვლა, არამედ ამ გზაზე არსებული დაბრკოლებების აღმოფხვრა და ასეთი სტრატეგიის რეალიზაციის ხერხების კორექტირება.

განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური განვითარების მოდელის მთავარი თავისებურებაა სამეურნეო ცხოვრებაში სახელმწიფოს შედარებით დიდი ხვედრითი წილი ანუ ე.წ. ეტატისტური მოდელი.

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, მაგალითად, დასავლეთ აზიის ქვეყნებმა სახელმწიფოს კონტროლს დაუქვემდებარეს ნავთობისა და გაზის მოპოვება, რეგიონის მთელი ინფრასტრუქტურა (პორტები, ნავთობსადენები, კავშირგაბმულობა, ტელეკომუნიკაციები), სოციალური ინფრასტრუქტურა (განათლება და ჯანდაცვა), ფინანსების სფერო და საგარეო ვაჭრობა. ამ ქვეყნების ეკონომიკა ნავთობზეა დამოკიდებული, რაც განვითარების არასასურველი ფაქტორია.

ამიტომ დასავლეთ აზიის სახელმწიფოები ცდილობენ თავიანთი სამრეწველო სტრუქტურის დივერსიფიცირებას და ნავთობზე დამოკიდებულების შესუსტებას. ამ მიზნით რეგიონში ვითარდება ნავთობმოპოვების თანმდევი დარგები – ნავთობქიმიური მრეწველობა და მეტალურგია (ენერგოტექნოლოგიის წარმოება). სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ელექტრონიკის მიმართულება და საფეიქრო ინდუსტრია. თანდათან ვითარდება მომსახურების სფერო, განსაკუთრებით კი, ტურიზმი, რეექსპორტი, ფინანსური და სატრანსპორტო მომსახურება. რეგიონის ყველაზე უფრო მდიდარი ქვეყნები – ქუვეითი, საუდის არაბეთი და აგს ყველაზე მონიწივე ტექნოლოგიებს იყენებენ და მეცნიერებატექნოლოგიების წარმოებაზე გადადიან.

1990-იანი წლების შუა პერიოდში დასავლეთ აზიაში დაიწყეს მეურნეობის დეეტატიზაცია და კერძო სექტორის როლის გაძლიერება, სადაც დიდძალი უცხოური ინვესტიციები მოიზიდეს. ამავე დროს, ჩაატარეს სტრუქტურული გარდაქმნები – წაახალისეს ინვესტიციები ეროვნული მეურნეობის ახალ დარგებსა და სექტორებში, შეამცირეს ნავთობის მრეწველობის ხვედრითი წილი, განავითარეს ტურიზმი და სამშენებლო ინდუსტრია. არაბეთის ნახევარკუნძულის ეკონომიკა უფრო ფართოდ გაიხსნა უცხოელი ინვესტორებისთვის, თუმცა, იმპორტის კონტროლი კვლავაც გრძელდება.

დასავლეთ აზიის ქვეყნები ამჟამად იმყოფებიან თავიანთი ეკონომიკის ყველაზე ოპტიმალური სტრუქტურის ძიების პროცესში. წინათ ნავთობის ექსპორტიდან მიღებული ფინანსური სახსრები ეროვნული მეურნეობის არატრადიციული სექტორების განვითარებას და სხვა ქვეყნების დაკრედიტებას ხმარდებოდა.

ნავთობის უხვი რესურსების მიუხედავად, ხსენებული ქვეყნები დღეს უკვე სერიოზულად ფიქრობენ მომავალზე და ზოგიერთ მათგანში ნავთობის მოპოვება და გადამუშავება აღარ შეადგენს მშპ-ის წარმოების მთავარ საფუძველს. კერძოდ, აგს-ს მშპ-ში სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი მხოლოდ 2%-მდეა, მრეწველობის – 48, არამატერიალური წარმოებისა კი – თითქმის 50%. სოფლის მეურნეობაში აღსანიშნავია ის, რომ ბოსტნეული და ფინიკი ხელოვნურად შექმნილ ფართობებზე მოყავთ და ამ საქმეში მონიწივე აგრარულ ტექნოლოგიებს იყენებენ. ენერგორესურსების სიუხვე განაპირობებს გადამამუშავებელი მრეწველობის ენერგოტევადი სანარმოების ფუნქციონირებას (ალუმინის დნობა), რისი წყალობითაც აგს საავტომობილო მრეწველობისთვის საჭირო ალუმინის ერთ-ერთი უმსხვილესი მიმწოდებელია. ამ ქვეყნის მრეწველობის მეცნიერებატევადობა დღითიდღე იზრდება, რადგან საექსპორტო ამონაგების სოლიდური ნაწილი უახლეს ტექნოლოგიებში განხორციელებულ ინვესტიციებს ხმარდება.

აგს-ის ეროვნული მეურნეობის უმნიშვნელოვანესი სექტორი ხდება არამატერიალური წარმოება. დუბაისა და შარჯაში მოქმედებს უბაჟო ვაჭრობის ზონები, რომლებიც სპეციალიზებულია საიუველირო ნაკეთობათა, საყოფაცხოვრებო ტექნიკისა და ძვირფასი მარკის ავტომობილების რეექსპორტზე. შექმნილია მთელ ახლო აღმოსავლეთში საუკეთესო კავშირგაბმულობის სისტემა, რომელიც კონკურენციას გაუწევს ნებისმიერი განვითარებული ქვეყნის ტელეკომუნიკაციებს. მსოფლიოშია აღიარებული აქაური გა-

ნათლებისა და ჯანდაცვის სისტემები; ქვეყანაში სწრაფად ვითარდება ფინანსური სექტორი. მსოფლიოს ერთ-ერთ ოფშორულ ცენტრადაა გადაქცეული დუბაი, სადაც მრავალრიცხოვანი უცხოური ბანკები და ცნობილი ტრანსნაციონალური კორპორაციების წარმომადგენლობებია გახსნილი; ეკონომიკის მნიშვნელოვანი დარგი ხდება ტურიზმი. აღმოსავლური ეგზოტიკის გარდა ტურისტული მარშრუტები შოპინგურ ტურიზმსაც ითვალისწინებს, თანაც აქაური მალაზიების ქსელი ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში.

ამჟამად აგს-ში მიმდინარეობს ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის გადასინჯვის პროცესი. ქვეყანაში დაწყებულია პრივატიზაცია, კერძო კომპანიების ხელში გადადის კომუნიკაციები, პორტები, ელექტროენერგეტიკა და წყალმომარაგება. ამ პროგრამამ, კონკურენტუნარიანი კერძო სექტორი წარმოშვა და ამავდროს შეამცირა მთავრობის არამწარმოებლური ხარჯები, რითაც სახელმწიფო ფინანსები გააჯანსაღა.

ქუვეითი ნავთობის აღმოჩენამდე თევზჭერაზე, მარგალიტზე და ბედუინების მესაქონლეობაზე იყო დასაპეციალიზებული, მაგრამ კეთილდღეობა მას სწორედ ნავთობის ექსპორტით მიღებულმა შემოსავლებმა მოუტანა. ქვეყანამ ნავთობდოლარები ეროვნული ეკონომიკის აღმავლობას მოახმარა, რასაც მთავრობის გააზრებულმა პოლიტიკამაც შეუწყო ხელი. ამ ქვეყნის ეკონომიკური სისტემა განვითარების ეტატიტური მოდელის ნიმუშია.

ქუვეითში მოქმედ საბაზრო სისტემას შემდეგი თავისებურებები აქვს:

- ეკონომიკაში კერძო სექტორის ბატონობის აკრძალვა;
- ქვეყნის ყველა მოქალაქის გათანაბრების პრინციპის მოქმედება;
- ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება მთელი საზოგადოების ინტერესების დასაცავად.

ქვეყანაში სწრაფად ვითარდება საფინანსო მომსახურების სექტორი. მნიშვნელოვანი კაპიტალის და მსოფლიო კლასის ინფრასტრუქტურის წყალობით ქუვეითი ახლო აღმოსავლეთის მსხვილ საფინანსო-საკრედიტო ცენტრადაა გადაქცეული. ამასთან, ნავთობის მრეწველობა სპეციალიზებულია მის არა მარტო მოპოვებაზე, არამედ გადამუშავებასა და ტრანსპორტირებაზეც დედამიწის ნებისმიერ წერტილში.

ნიშანდობლივია, რომ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში ნავთობის ექსპორტით მიღებული დიდძალი შემოსავლები კი არ გაფლანგეს და დაიტაცეს, არამედ ქვეყნის ეკონომიკას მოახმარეს, რის

გამოც აგს, ქუვეითი, საუდის არაბეთი, ომანი და კატარი რეგიონის აყვავებულ ქვეყნებად იქცნენ. ამ ქვეყნების შორსმჭვრეტელი ხელმძღვანელები ახლა იმ პერიოდზე ფიქრობენ და ზრუნავენ, როდესაც ნავთობდოლარების ნაკადი შესაძლოა გამოილიოს. ამ მიზნით ხორციელდება ეკონომიკის დივერსიფიკაცია – ვითარდება ახალი დარგები, ნავთობის ნაცვლად ძლიერდება კაპიტალისა და მომსახურების ექსპორტი. ამასთან ერთად, ტარდება საბაზრო რეფორმებისა და ეკონომიკის კარგახსნილობის პოლიტიკა ეროვნული ინტერესების შეუღახავად, ძლიერდება სოციალური დაცვა და მომავალ თაობებზე ზრუნვა.

მუსულმანურ ქვეყნებს შორის ერთგვარად განცალკევებულად დგას ირანი, რომლის ეკონომიკურ განვითარებაზეც XX საუკუნის 50-70-იან წლებში დიდ გავლენას ახდენდნენ საფრანგეთი და აშშ. ნავარაუდები იყო ირანის განვითარება დასავლური ნიმუშის მიხედვით. ვესტერნიზაციას შედეგად მოყვა ეკონომიკის გარკვეული პროგრესი, მაგრამ ისლამურ ქვეყანასა და მისი განვითარების დასავლურ მოდელს შორის უთანხმოება სულ უფრო გამწვავდა. საბოლოოდ ქვეყანაში ჩამოყალიბდა „ისლამური ეკონომიკის“ კონცეფცია, რომელიც სამ ძირითად პრინციპს დაეფუძნა:

1. სახელმწიფოს განსაკუთრებული როლი;
2. ადგილობრივი მრეწველობის განვითარების პრიორიტეტი;
3. ეკონომიკაში საზოგადოებრივი სექტორის წამყვანი როლი.

ირანის განვითარების ასეთი მაკროეკონომიკური მოდელი შეგვიძლია დავახასიათოთ, აგრეთვე, როგორც არაკაპიტალისტური გზის პროკომუნისტური კონცეფცია. მცირე და საშუალო ბიზნესის კერძო სანარმოების (მათ შორის – სოფლად), ბანკებისა და საფინანსო კომპანიების ნაციონალიზაცია მოახდინეს. ამან დააქვეითა ეკონომიკის საზოგადოებრივი სექტორის ეფექტიანობა, როდესაც სახელმწიფო ცდილობდა ჩანაცვლებოდა საბაზრო მექანიზმების მოქმედებას. იგი აკონტროლებდა ფასებსა და ხელფასს, ადგენდა განვითარების ხუთწლიან გეგმებს, მაგრამ ეკონომიკაში უკვე ჩნდებოდა სერიოზული დისბალანსი.

1980-იანი წლების ბოლოს ირანში კვლავ გაძლიერდა პროდასავლურად განწყობილი პოლიტიკოსების პოზიციები. უკვე აშკარა გახდა ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნის აუცილებლობა, ხოლო რეფორმებს 2000 წლისათვის უნდა აქვთ დასრულებინა ეკონომიკის კერძო სექტორის ხვედრითი წილი, შეესუსტებინა ნავთობზე მისი დამოკიდებულება, შეეკვეცა საზოგადოებრივი სექტორი და სახელმწიფო ხარჯები. ირანში დანყებული რეფორმებ-

ის პრინციპული მიმართულებები იყო „პოსტ-სანავეთობო“ ეკონომიკაზე, საბაზრო ეკონომიკაზე და ღია ეკონომიკაზე გადასვლა.

დღეს ირანი თანდათანობით ძლევს იზოლაციას და ერთეუბა საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში. იგი მონაწილეობს რეგიონულ ვაჭრობასა და მეზობელ ქვეყნებთან სავაჭრო კავშირებში. მისი სავაჭრო პარტნიორებია პაკისტანი, თურქეთი, აზერბაიჯანი და ავღანეთი. მათთან ერთად ირანი ამუშავებს ნავთობის საბადოებს და აგებს ნავთობსადენებს.

განვითარებულ ქვეყნებთან ირანი ეწევა კარგახსნილობის პოლიტიკას და იზიდავს უცხოურ ინვესტიციებს, ქმნის თავისუფალ ეკონომიკურ ზონებს. ლიბერალური საბაზრო ეკონომიკის თანამედროვე მოდელი უკვე ავლენს თავის წარმატებებს (თუმცა, აქ არ შეიძლება ხაზი არ გაესვას აშშ-თან საკმაოდ გართულებულ და დაძაბულ პოლიტიკურ ვითარებას, რამაც შესაძლოა მის განვითარებაში სერიოზული სიძნელეები გამოიწვიოს).

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ინდოეთმა აირჩია განვითარების საკუთარი გზა, რომელიც მთელი ორმოცი წლის მანძილზე ამკვიდრებდა ეკონომიკის ეტატიზაციას. სწორედ ეს იქცა ქვეყნის განვითარების მთავარ მუხრუჭად, გამოიწვია როგორც საერთო, ისე ტექნოლოგიური ჩამორჩენა, ხელი შეუწყო ჩრდილოვანი ეკონომიკისა და კორუფციის აყვავებას.

ამის გამო 1990-იანი წლების დასაწყისში ირანში აშკარა გახდა ეკონომიკური რეფორმების გატარების აუცილებლობა, რასაც სამი პოსტულატი დაუდეს საფუძვლად:

1. ეკონომიკის კერძო სექტორის თავისუფლება;
2. ეკონომიკის კარგახსნილობა;
3. სახელმწიფო ფინანსების რეფორმა.

რეფორმების პროგრამა გულისხმობდა ღია ლიბერალურ ეკონომიკაზე გადასვლას და მოიცავდა მრეწველობაში ლიცენზირების პრაქტიკის გაუქმებას, საიმპორტო შეზღუდვების მოხსნას, ფასების სახელმწიფო კონტროლის შეწყვეტას და საბაზრო ფასწარმოქმნისკენ მიბრუნებას, სახელმწიფო სუბსიდიებისა და სუბვენციების სისტემის ლიკვიდირებას, საბანკო-საფინანსო სისტემის გარდაქმნას, სახელმწიფო ხარჯებისა და ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებას, უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, რუპიის კონვერტაბელობის შემოღებას.

რეფორმების წარმატების პირველი ნიშნები იყო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სუბსიდიებისა და სუბვენციების ორჯერადად შემცირება და ეკონომიკური ზრდის საკმაოდ მაღალი

ტემპები. ეკონომიკური აღმავლობის ძირითად ფაქტორებად იქცა ეროვნული ეკონომიკის ყველაზე უფრო ეფექტიან სექტორებში განხორციელებული ინვესტიციები (მათ შორის – პირდაპირი უცხოური ინვესტიციები) და ექსპორტი (რომლის ზრდა რუპიის დევალვაციის შემდეგ დაინყო). დაბალ დონეზე შეინარჩუნეს ინფლაციის ტემპები, მაგრამ რეფორმების სრულიად გატარება ფერხდება, რასაც ძირითადად ხელს უშლის სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის დაპირისპირება და ეკონომიკაში კორუფციის არსებობა.

მსოფლიო სამეურნეო კავშირურთიერთობებში აფრიკის სპეციალიზაცია ჯერჯერობით აგრარულ-სანედლეულოა. ამ კონტინენტის თანამედროვე განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენს აზიის რეგიონში მიმდინარე ეკონომიკური ზრდა. აზიის ბაზრებს ჭარბად ესაჭიროება ნედლეული სწრაფად მზარდი წარმოების გამო, რომლის მნიშვნელოვან ნაწილსაც მათ აფრიკა აწვდის.

ეკონომიკურ განვითარებაში აფრიკის ქვეყნებს შორის ისინი ლიდერობენ, სადაც პოლიტიკური და მაკროეკონომიკური სტაბილურობაა. თუ მათ მდიდარი ბუნებრივი სიმდიდრეები აქვთ, მაშინ ასეთ ქვეყნებში საქმიანობას ააქტიურებენ უცხოელი ინვესტორები მონინავე და ახალი ინდუსტრიული ქვეყნებიდან. აქ მოქმედებენ მსხვილი ტრანსნაციონალური კორპორაციების ფილიალები, რომლებიც ადგილობრივ მრეწველობაში, აგრარულ სექტორსა და მომსახურების სფეროში ახორციელებენ ინვესტიციებს.

აფრიკის ქვეყნებში მიმდინარე სტაბილურ ეკონომიკურ ზრდას 1990-იანი წლების მეორე ნახევარში ხელს უწყობდა მსოფლიო ეკონომიკაში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესება და აფრიკის კონტინენტზე შექმნილი ხელსაყრელი პოლიტიკური გარემო. მაგრამ 1997-1999 წლების მსოფლიო სავალუტო-საფინანსო კრიზისმა დროებით შეაფერხა აფრიკის ეკონომიკის განვითარება. ამავე დროს, განვითარებული და ახალი ინდუსტრიული ქვეყნების სამომხმარებლო ბაზრების გაჯერებამ დააქვეითა აფრიკულ ნედლეულზე არსებული მოთხოვნა და დასცა მისი ფასები. ამგვარად, უნდა მოველოდეთ აფრიკის ქვეყნებში სამრეწველო განვითარების დაბალ ტემპებს.

როგორც ცნობილია, 1995-1997 წლებში მსოფლიო სასაქონლო ბაზრებზე აღინიშნა მოთხოვნისა და, შესაბამისად, ფასების ზრდა, რამაც კარგი პირობები შეუქმნა აფრიკიდან საქონლის ექსპორტის გაფართოებას. ძირითადად ეს ეხებოდა ლითონისა და ნავთობის ექსპორტს (ნიგერია, კამერუნი, ლიბია). შემდეგ ეს ვითარება

შეიცვალა, თუმცა, 1999 წლიდან მდგომარეობა შედარებით გამოსწორდა.

აფრიკის ქვეყნების ეკონომიკის განვითარებას ამჟამად ახასიათებს ექსპორტზე ორიენტირებული ახალი, არატრადიციული დარგების წარმოქმნა. მაგალითად, კენიაში და მალავიში აწარმოებენ და მსოფლიო ბაზარს აწვდიან ყვავილებს, მადაგასკარისა და მავრიკიის საექსპორტო ზონებში სამრეწველო ნაწარმს ამზადებენ, ბოტსვანაში კი ავტომობილებს აწვობენ. რეგიონის მრავალ ქვეყანაში მზარდ ყურადღებას უთმობენ ტურიზმს. ამ სფეროდან მიღებული შემოსავლები ეგვიპტის, ტუნისის, განის, სენეგალის, კომორის კუნძულების სავალუტო შემოსავლების უმნიშვნელოვანესი წყარო ხდება. იგი ფებს იკიდებს, აგრეთვე, ნამიბიაში, ზიმბაბვეში, მადაგასკარზე, ხოლო ევროპელი, იაპონელი და ჩრდილოამერიკელი ტურისტებისათვის მეტად მიმზიდველი გახდა აფრიკის ფინანსური თანამეგობრობის ქვეყნები.¹

კონტინენტის სამხრეთ ნაწილში ეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღებას დიდად შეუწყობს ხელი სარ-ში აპარტიდის სისტემის დაცემამ და მეზობელ სახელმწიფოებთან ამ ქვეყნის ურთიერთობების გაუმჯობესებამ. ამან ახალი ეკონომიკური კავშირები წარმოშვა აფრიკის სამხრეთში. კერძოდ, სარ-ი სულ უფრო მეტი ინვესტიციებს აბანდებს ანგოლის, ბოტსვანის, ლესოტოს, მოზამბიკისა და ნამიბიის სამრეწველო წარმოების განვითარებაში. მეზობელი ქვეყნების სოფლის მეურნეობაში ფართოდ იყენებენ სარ-დან მიწოდებულ ნოუ-ჰაუს და ა.შ. აფრიკის სამხრეთში ძალას იკრებს რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესიც. აქ მდებარე ქვეყნები თავიანთი საექსპორტო ინდუსტრიის ორიენტირად სარ-ის ბაზარს განიხილავენ, ერთობლივი ძალებით ცდილობენ რეგიონის ინფრასტრუქტურის განვითარებას. აქვე ყალიბდება ქვეყნებს შორის საბაჟო და სავაჭრო კავშირები, ხორციელდება ტექნოლოგიების გაცვლა და სამუშაო ძალის მიგრაცია.

აღსანიშნავია, რომ სამხრეთ აზიის „ვეფხვების“ მსგავსად მთელი ათწლეულის მანძილზე სტაბილური, მაღალი ეკონომიკური ზრდით აფრიკის კონტინენტზე გამოირჩეოდა უგანდა. მისი წარ-

¹ ამ თანამეგობრობაში გაერთიანებულია ბენინი, ბურკინა-ფასო, გაბონი, კამერუნი, კომორის კუნძულები, კონგო, კოტ-დ'ივუარი, მალი, ნიგერია, სენეგალი, ტოგო, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა, ჩადი და ეკვატორული გვინეა.

მატებული განვითარება უკავშირდება მთავრობის გააზრებულ პოლიტიკას, რომელიც მოიცავს ეკონომიკის ლიბერალიზაციას, საფინანსო სექტორის რეგულირებას, კერძო ბიზნესის მხარდაჭერას და სახელმწიფო სექტორის შენარჩუნებას განათლებაში, ჯანმრთელობის დაცვასა და ინფრასტრუქტურაში. მასთან ერთად დამაკმაყოფილებელი ეკონომიკური შედეგები აქვთ მალის, ბურკინა-ფასოს, კოტ-დ'ივუარს, განას, ბოსტვანასა და კენიას, რომელთაც მოახერხეს სამრეწველო წარმოების გაორმაგება. ამ ქვეყნების მიმართ ძლიერდება განვითარებული ქვეყნებიდან მოსული უცხოელი ინვესტორების ინტერესიც. ნიშანდობლივია, რომ მთელი აფრიკისათვის დადებით მაგალითად ამ მხრივ იქცნენ რეგიონის ყველაზე უფრო ღარიბი ქვეყნები – მალი და ბურკინა-ფასო, რომლებსაც დაახლოებით 5% -იანი ყოველწლიური ზრდა აჩვენეს.

განვითარებადი ქვეყნები 1970-იანი წლებიდან მოყოლებული აქტიურად ცდილობენ შრომის საერთაშორისო დანაწილებაში მონაწილეობას. მართალია, ისინი არ ქმნიან კვლავწარმოებისთვის აუცილებულ მრავალ საქონელს, მაგრამ სამაგიეროდ აწარმოებენ განვითარებული ქვეყნებისთვის აუცილებელ ნედლეულს და მაკომპლექტებელ ნაკეთობებს. ასე რომ, საერთაშორისო ვაჭრობა განვითარებადი ქვეყნების შემოსავლების ყველაზე საიმედო წყაროდ რჩება. მთელი თავიანთი საქონლის ნახევარზე მეტს ისინი განვითარებული სამრეწველო ქვეყნების ბაზრებზე ასაღებენ. ამასთან აღსანიშნავია, რომ ძირითადად ნედლეულის ექსპორტიორი ქვეყნები ცდილობენ მოიძიონ ისეთი დამატებითი საექსპორტო რესურსები, რომლებსაც მსოფლიო ბაზარზე მათი პოზიციის შესუსტების შეჩერების უნარი ექნება.

ტრადიციული საქონლის ექსპორტის დარგში არსებული მრავალი პრობლემის მიუხედავად, განვითარებადი ქვეყნები სულ უფრო ზრდიან მსოფლიო ექსპორტში თავიანთ ხვედრით წილს. 1990-იანი წლების შუა პერიოდში მათ შეინარჩუნეს მთლიანად ექსპორტის ფიზიკური მოცულობის ზრდის ტენდენციაც და სამრეწველო პროდუქციის ექსპორტის ხვედრითი წილიც აამაღლეს.

განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ ზრდას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მაღალი ტემპები ახასიათებს. ეს განსაკუთრებით თვალში საცემი იყო გასული საუკუნის 60-70-იან წლებში. 80-იან წლებში ზრდის ტემპები შენედა, ხოლო 90-იან წლებში დაჩქარდა, მაგრამ ადრინდელ დონეს მათ მაინც ვერ მიაღწიეს, რასაც 3.5-2 ცხრილში მოყვანილი მონაცემები ადასტურებს.

განვითარებადი ქვეყნების მშპ-ის მატების
საშუალო წლიური ტემპები, %

ქვეყნები	1960- 1970 წწ.	1971- 1980 წწ.	1981- 1990 წწ.	1991- 1996 წწ.	1990-2001 წწ. (მოსახლ. ერთ სულზე)
განვითარებადი ქვეყნები	5,8	5,6	3,1	4,9	2,9
ლათინური ამერიკა	5,5	5,9	1,2	3,2	1,5
აფრიკა	5,4	5,0	2,0	1,6	-0,1
დასავლეთ აზია	7,9	5,6	1,3	2,0	0,7
სამხრეთი და აღმოსავლეთი აზია (ჩინეთის გარეშე)	5,1	5,5	6,0	6,4	5,5

წყარო: А.В. Стрыгин. Мировая экономика. М., "Экзамен" 2001, с. 304.

ბოლო ხანს განვითარებადი ქვეყნები აქტიურად იზიდავენ უცხოურ კაპიტალს, რაც ეკონომიკის მოწინავე დარგების განვითარების ნახალისების სურვილითაა განპირობებული. საამისოდ იქმნება საინვესტიციო გარემო, საჭირო ინფრასტრუქტურა, სპეციალური ეკონომიკური ზონები, სადაც საზღვარგარეთის სამენარმეო კაპიტალს შეღავათიან პირობებს ქმნიან. ნიშანდობლივია, რომ განვითარებად სამყაროში დაბანდებული მთელი უცხოური კაპიტალის თითქმის ნახევარი პირდაპირი ინვესტიციებია. ამ მხრივ გამოირჩევა აღმოსავლეთ აზიისა და ლათინური ამერიკის რეგიონი, სადაც შედარებით უფრო დინამიკური და პერსპექტიული ეკონომიკის მქონე ქვეყნები მდებარეობს.

3.6. გლობალიზაციის სოციალურ-ეკონომიკური შედეგები არალიბერი ძველბუნებისათვის

XX საუკუნის დასასრული მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის ნამდვილი ეპოქა გამოდგა. გაძლიერდა ეკონომიკური ინტეგრაციის ტენდენცია. სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესისა და გლობალიზაციის გავლენით ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობის სფეროში განეული მომსახურების ფასები მუდმივად კლებულობს, რაც სასურველ გავლენას ახდენს ბიზნესის განვითარებაზე და ადამიანებს შორის კონტაქტების გაფართოებაზე. მაგრამ გლობალიზაციის ეპოქამ ისეთი პრობლემებიც მოიტანა, რომლებიც წინათ ერთი ქვეყნის ფარგლებს არ სცილდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ეკონომიკა მთლიანობით სისტემად არის წარმოდგენილი, მას მაინც მრავალი ნაკლოვანება გააჩნია.

თანამედროვე მსოფლიოში გაჩნდა თვისებრივად ახალი მრავალი პრობლემა, რომელთა გადაჭრა მთელი კაცობრიობის ძალისხმევითაც კი ჭირს.

მსოფლიო მეურნეობის ყველაზე საჭირობო პრობლემებს შორის შეგვიძლია დავასახელოთ:

1. მსოფლიო ბაზრის გლობალიზაციის პროცესსა და ქვეყნების ეროვნულ ინტერესებს შორის არსებული კონფლიქტი, რომელიც პირველ რიგში სამენარმო საქმიანობის განსხვავებული კულტურების, ეროვნულ მეურნეობათა პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების დაპირისპირების სფეროში ვლინდება;

2. ბაზრის შესახებ ჩამოყალიბებული ძველი წარმოდგენების მსხვერვეა (რომ იგი თვითრეგულირდება და თავის ადგილს მიუჩენს ყოველივეს; რომ თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა ეტალონური მოდელია), რომლებმაც ვერ გაამართლა განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების იმედები;

3. საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მთელი სისტემის მოძველება, რომლებიც უკვე აღარ შეესაბამება მსოფლიოში შექმნილ ახალ ვითარებას;

4. მსოფლიო ეკონომიკის არასტაბილურობის გაძლიერება და პერიოდული სავალუტო-საფინანსო კრიზისები, რომლებიც მის პოტენციალს უთხრის ძირს.

ყოველივე ამის შემდეგ, სრულიად საფუძვლიანად, საეჭვო ხდება გლობალიზაციის როგორც მსოფლიო პროგრესის მამოძრავებელი ძალის თვით იდეაც კი. მართლაც, როგორც პ. პ. მარტინი და პ. შუმანი შენიშნავენ, ასეულობით მილიონი ადამიანისათვის გლობა-

ლიზაციის პროგრესი სულაც არაა პროგრესი, რის გამოც უნდა ვიფიქროთ, რომ „დიდი შვიდეულის“ მიერ ლიონში 1996 წელს წამოყენებული ლოზუნგი „გადავაქციოთ გლობალიზაცია ისეთ მიღწევად, რომლითაც ყველა მოიგებს!“¹ – დაცინვად გაისმის.

ამის მიუხედავად, დღეს უკვე აღარავინ უარყოფს იმას, რომ გლობალურ ეკონომიკურ ინტეგრაციას განვითარების ახალი პერსპექტივები მოაქვს ეროვნული მეურნეობებისათვის. ამასთან, აღმოჩნდა, რომ ამ პროცესების შედეგები სრულიად არაერთგვაროვანია. კერძოდ, გლობალიზაცია აყვავებას უქადის და პოზიციებს უმაგრებს წამყვანი ქვეყნების ძლიერ ეკონომიკას და დეპრესიაში აგდებს სუსტ და კონკურენტუნარო მეურნეობებს, უზარმაზარ სიმდიდრეს აგროვებს მსოფლიო სამეურნეო კავშირურთიერთობების სისტემის ერთ პოლუსზე, ხოლო სიღატაკეს და არასტაბილურობას – მეორეზე.

მსოფლიო ეკონომიკის წამყვანი ორგანიზაციების (მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, ეთგო-ს) ექსპერტების უმრავლესობა კვლავინდებურად მოუწოდებს საყოველთაო ინტეგრაციისკენ, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც ახლა უკვე საეჭვოდ ხდიან მათ ოპტიმიზმს და ამას იმ პრობლემებზე დაყრდნობით აკეთებენ, რომლებიც წინა პლანზეა გამოსული თვით კარგად განვითარებულ ქვეყნებშიც კი.

ამის მიუხედავად, კარგახსნილი ბაზარი სიღატაკიდან და ჩამორჩენილობიდან „მესამე სამყაროს“ გამოსვლის ერთადერთ გზადაა აღიარებული, მაგალითად, გერმანული ნეოლიბერალიზმის აკადემიური ბურჟის – კილის მსოფლიო ეკონომიკის ინსტიტუტის თანამშრომლები ე.გუნდლახი და პ.უნენკამპი წერენ: „გლობალიზაცია იმის შანსს უზრდის მრავალ განვითარებად ქვეყანას, რომ მათ შეამცირონ განვითარებული სამრეწველო ქვეყნების მიმართ არსებული ჩამორჩენა“².

ხშირადაა, ასევე, იმის მტკიცება, რომ მხოლოდ გლობალიზაციის წყალობით შეძლებს მილიარდობით ადამიანი ისარგებლოს იმ მიღწევებით, რომლებიც მანამდე ძველი ინდუსტრიული ქვეყნების მხოლოდ რამდენიმე ასეული მილიონი მოქალაქისთვის იყო ხელმისაწვდომი. ეს მართლაც ძლიერი არგუმენტია, მაგრამ სწორია კი იგი? როგორც ჩანს, ყოველთვის არა, და ამის ფაქტები მრავლადაა.

¹ Г. П. Мартин, Х. Шуманн. *Западная глобализации. Пер. с нем. „Альпина“, М., 2001, с. 28.*

² *Die Zeit, 24. 5. 1996.*

1990-იანი წლების შუა პერიოდში ყოველი მეორე შრომისუნარიანი მექსიკელი უმუშევარი იყო, ან ჩრდილოვან ეკონომიკაში შრომით ირჩენდა თავს. განუხრელად მცირდებოდა მექსიკის მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული მთლიანი პროდუქტი. ქვეყანას ძლიერ არყევდა გაფიცვები, პოლიტიკური მღელვარება და გლეხობის გამოსვლები. ეს ვითარება რადიკალურად განსხვავდებოდა იმისგან, რასაც მთავრობა და მისი ამერიკელი მრჩეველები გეგმავდნენ. არადა, ხელისუფლება მთელი ათი წლის მანძილზე მორჩილად ასრულებდა მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო საავალუტო ფონდისა და აშშ-ის მთავრობის მითითებებსა და რეკომენდაციებს. მან მოახდინა სახელმწიფო მრეწველობის მეტი ნაწილის პრივატიზება, ყველა დაბრკოლება მოუხსნა უცხოელ ინვესტორებს, გააუქმა საიმპორტო ბაჟი და კარი გაუხსნა მსოფლიო საფინანსო სისტემას.

1993 წელს მექსიკა „ნაფტას“ წევრი გახდა და დაიწყო მისი სრული ინტეგრაცია ჩრდილოეთ ამერიკის ბაზარში, ხოლო 1994 წელს მდიდარი ქვეყნების კლუბმა იგი ეთგო-ში მიიღო.

თავიდან ისე ჩანდა, რომ მექსიკაში ყველაფერი გეგმის მიხედვით ხდებოდა. მრავალმა ტრანსნაციონალურმა კორპორაციამ აქ გახსნა ან გააფართოვა თავისი საწარმოო ფართობები. ექსპორტის მოცულობა ყოველწლიურად 6%-ით მატულობდა და კლება იწყო საგარეო დავალიანებამ. ქვეყანაში პირველად მოიკიდა ფეხი მცირერიცხოვანმა, მაგრამ გადახდისუნარიანმა საშუალო კლასმა, რომელიც ახალ კომპანიებს აარსებდა და გადასახადებს იხდიდა. ყოველივე ამასთან ერთად, „ეკონომიკურ სასწაულს“ რეალური მოგება მხოლოდ ეკონომიკისა და მოსახლეობის მეტად უმნიშვნელო ნაწილისათვის მოჰქონდა. ქიმიური, საავტომობილო და ელექტრონული მრეწველობის ახალი, დინამიკურად მზარდი დარგები მეტისმეტად იყო დამოკიდებული იმპორტზე და მათში შედარებით ცოტა რაოდენობის სამუშაო ადგილები იქმნებოდა. ადრინდელი მსხვილი მრეწველობა ჩამოშორდა სახელმწიფო სექტორს და რამდენიმე მსხვილი აქციონერის ხელში გადავიდა. ქვეყანაში სულ რაღაც 25 პოლდინგი აკონტროლებდა ისეთ საკორპორაციო იმპერიას, რომელიც ქვეყნის მშპ-ის ნახევარს აწარმოებდა.¹

აშშ-ის წინაშე მეტისმეტმა კარგახსნილობამ საგარეო კონკურენციაში ჩააყენა მექსიკის ეკონომიკის ძირითადი სექტორები.

¹ *Silvio Bertolami. Kuter nach dem Tequilaraus. Die Weltwoche, 12. 1. 1995.*

ქვეყანა აივსო იმპორტული საქონლით, რასაც ველარ გაუმკლავდა შრომატევად ნარმოებაზე დასპეციალიზებული საშუალო ზომის კომპანიები. მარტო მანქანათმშენებლობაში და წინათ სტაბილურ საფეიქრო მრეწველობაში იძულებული გახდნენ დაეხურათ სანარმოების ნახევარი. რეალური ეკონომიკური ზრდა ჩამორჩა მოსახლეობის მატებას. კატასტროფული შედეგები მოჰყვა სოფლის მეურნეობის დაჩქარებულ კაპიტალიზებას. მექანიზაციის გამო მილიონობით სოფლის მუშაკი აღმოჩნდა უმუშევარი და ისედაც გადავსებულ ქალაქებს მიანყდა.

1988 წლიდან მოყოლებული მექსიკის იმპორტი ექსპორტზე 4-ჯერ უფრო სწრაფად იზრდებოდა, რის გამოც უკვე 1994 წელს სავაჭრო ბალანსის დეფიციტი გაუტოლდა ლათინური ამერიკის ყველა ქვეყნის მთლიან დეფიციტს. ქვეყანაში წამოიწიეს „შოკური თერაპიის“ ახალი რაუნდი, მაგრამ ეკონომიკური დაქვეითება მაინც ვერ შეაჩერეს და იგი ბოლო 60 წლის მანძილზე ყველაზე მძიმე გამოდგა. საბოლოოდ, ნეოლიბერალური რეფორმების დანყებიდან ათი წლის შემდეგ ქვეყანა ადრინდელზე უარეს მდგომარეობაში ჩავარდა¹. ფიქრობდნენ, რომ „ნაფტა“ ბოლოს მოუღებდა მექსიკელთა უკანონო მიგრაციას აშშ-ში, მოხდა კი პირიქით.

როგორც მექსიკის გამოცდილება გვიჩვენებს, გულუბრყვილო ილუზიაა აყვავების მოლოდინი ბაზრის მთლიანად განთავისუფლების იმედად. ყოველთვის, როცა კი სუსტად განვითარებული ქვეყანა ეცდება სუბსიდიებისა და სატარიფო დაცვის გარეშე გაუნოს კონკურენცია დასავლეთის მძლავრ ეკონომიკას, მისი მარცხი გარდაუვალია.

საკმაოდ გავრცელებული აზრით, თავისუფალი ვაჭრობა მეტი არაფერია, თუ არა ჯუნგლების კანონი, რომელიც მარტო ლათინურ ამერიკაში არ მოქმედებს. ევრაზიაში ამას თურქეთის მაგალითიც ადასტურებს.

სწრაფად მოდერნიზების მოსურნე თურქეთის მთავრობამ ევროკავშირთან დადო ხელშეკრულება საბაჟო კავშირის შესახებ, რომელიც 1996 წელს შევიდა ძალაში. ადგილობრივ მრეწველებს ეგონათ, რომ ამის შემდეგ გაიზრდებოდა მათი პროდუქციის ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებში.

თურქეთში, ისევე, როგორც მექსიკაში, კარგად ვერ შეაფასეს ის

¹ კრიზისი, ალბათ, ასე ღრმა არ იქნებოდა, ქვეყანას ჩილის ის გაკვეთილი გათვალისწინებინა, რომ კერძო სექტორის მიერ დიდძალი უცხოური კაპიტალის სესხადაღება გადახდისუუნარობას იწვევს ვალუტის მკვეთრად დეველვირების შემდეგ.

შედეგები, რასაც ეკონომიკის კარგახსნილობა მოუტანდა მათ შიდა ბაზარს. ქვეყანა წალეკა იაფმა იმპორტულმა საქონელმა (რაც ახლა საქართველოს ბაზარზე ხდება იაფი თურქული, მაგრამ უხარისხო ნაწარმის წყალობით). ექსპორტი, მართალია, 10%-ით გაიზარდა, მაგრამ იმპორტის ზრდამ 3-ჯერ გაუსწრო ამ მაჩვენებელს. საფრთხე დაემუქრა ქვეყნის სავალუტო რეზერვებს, რის გამოც ხელისუფლებამ სასწრაფოდ შემოიღო 6%-იანი საიმპორტო ბაჟი.

ევროკავშირთან დადებული ხელშეკრულება დაცვის მხოლოდ ამგვარი ღონისძიებების გატარების უფლებას ანიჭებს თავის სავაჭრო პარტნიორებს, მაგრამ ეს არ შეიძლება 200 დღეზე მეტ ხანს გაგრძელდეს. ასე, რომ თურქეთიც ხაფანგში მოექცა.¹

ამდენად, სათანადო დამცავი ზომების მიუღებლად განვითარებული ქვეყნების მიერთებას განვითარებული ქვეყნების თავისუფალი ვაჭრობის ზონასთან უარყოფითი შედეგი მეტი ახლავს თან, ვიდრე დადებითი. ყოფილი უღარიბესი ქვეყნების ხელმძღვანელები მრავალი წლის წინათ მიხვდნენ ამას და აყვავების გაცილებით უფრო გონივრული გზაც აირჩიეს. მათი რიგებიდან გამოირჩევა მალაიზია, სადაც 1970 წლიდან მოყოლებული ეკონომიკური ზრდა 7-8, სამრეწველო წარმოების მოცულობის მატება კი – 10%-ს აღწევდა.

აზიური ეკონომიკური მოდელი იმის ცოცხალი მაგალითი გამოდგა, თუ როგორ უზრუნველყოფს ბაზარი სიღარიბიდან და ჩამორჩენიდან თავის დაღწევას. აზიაში მომხდარ ბუმს მცირე რამ აქვს საერთო „laissez-faire“-სთან, რაც ეთგოს-ს ქვეყნების უმრავლესობას ახასიათებს. აქ ეკონომიკური აღმავლობისთვის ის სტრატეგია გამოიყენეს, რომელზეც დასაველეთმა უარი თქვა – სახელმწიფოს ფართომასშტაბიანი ჩარევა ეკონომიკური საქმიანობის ყველა დონეზე. მექსიკისგან განსხვავებით, სახელმწიფოს ამ ქვეყნებში ხელიდან არ გაუშვია ეკონომიკური მმართველობის სადავეები. იგი მაღალი ბაჟითა და ტექნიკური მოთხოვნებით ბლოკავს საქონლის იმპორტს ეკონომიკის იმ დარგებში, სადაც ქვეყნის ფირმები ძალიან სუსტია და ამით უმკლავდება საერთაშორისო კონკურენციას. ამის საპირისპიროდ, ყოველი ღონისძიებით ცდილობს ექსპორტის წახალისებას და ამ სტრატეგიის მნიშვნელოვან ელემენტად გაცვლითი კურსის მანიპულირებას მიმართავს.

როგორც ვხედავთ, მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია არ ემორჩილება რაიმე ერთ, უნივერსალურ პრინციპს. მოსალოდნელი

¹ *Frankfurter Allgemeine Zeitung*, 25. 7. 1996.

ორციფრიანი ზრდით მიღებული შემოსავლები მართლაც რომ აფერმკრთალებენ ყოველგვარ აკვიატებულ იდეოლოგიურ მრწამსს. თუ ეკონომიკური აღმავლობის ადრინდელი ცენტრები კვლავ მოუნოდებენ სახელმწიფოს ჩაურევლობისკენ და საბაზრო მექანიზმების გამოყენების სფეროს გაფართოებისკენ, ეკონომიკური ზრდით დღეს გამორჩეული ქვეყნები სწორედ ამის საპირისპიროს აკეთებენ და თავიანთ მოქმედებას სრულიად უშიშრად უწოდებენ ცენტრალიზებულ ეკონომიკურ დაგეგმვას. აღსანიშნავია, რომ აზიელი დაგეგმვის სპეციალისტების წარმატებებმა ნათლად დაადასტურა მათი სიმართლე.

აზიურ სასწაულს მეორე მხარეც აქვს. ეს ბუმი გრძელდება კორუფციის, პოლიტიკური რეპრესიების, გარემოს დაუნდობლობის და უუფლებო სამუშაო ძალის სასტიკი ექსპლოატაციის ფონზე. მაგალითად, ევროპისა და აშშ-ის ბაზრებზე თითქმის 150 დოლარად გამოტანილი „Nike“-ს ფეხსაცმლის კერვისა და შტამპვის სამუშაოებზე ინდონეზიაში დასაქმებულ 12 ათასამდე მომუშავეს დღეში სამ დოლარზე ნაკლებს უხდიან. ეს ინდონეზიის მასშტაბებითაც კი წარმოუდგენლად დაბალი ანაზღაურებაა. ამ მდგომარეობას ქვეყანაში იმით „ამართლებენ“, რომ ჩინეთში, ვიეტნამსა და ბანგლადეშში ხელფასის განაკვეთები კიდევ უფრო დაბალია, ხოლო მინიმალური ხელფასის მომატება წამგებიანი იქნება მათთან კონკურენციაში გამარჯვების თვალსაზრისით.

მალაიზიაში მზარდი საშუალო ფენის გაძლიერება ხშირად მიმდინარეობს მოსახლეობის ნაკლებად უზრუნველყოფილი ფენების შრომის არაადამიანური პირობების ფონზე, რომ არაფერი ვთქვათ უღარიბესი ქვეყნებიდან ჩამოსული მილიონზე მეტი იმიგრანტის მდგომარეობაზე, რომლებსაც სულაც ტყავს აძრობენ. მაგალითად, „Siemens“-ის მალაიზიაში მოქმედ ფაბრიკაში, სადაც მიკროპროცესორებს ამზადებენ, შედარებით კარგად უხდიან ადგილობრივ კვალიფიციურ მუშებს, მაგრამ ეს არ ეხება ქალებს, რომლებსაც აქ მონებივით ექცევიან. მათ კვირაში ექვს-შვიდ დღეს ამუშავენ, ღამით კი საერთო საცხოვრებელში ჰყავთ ჩაკეტილი და პასპორტებიც კი ჩამორთმეული აქვთ.

სამუშაო ძალას კიდევ უფრო ნაკლებად ელოლიავენებიან ჩინეთის მრავალ ერთობლივ საწარმოში, სადაც მათი რაოდენობა 150 ათასს აჭარბებს. აქაური მკერავი თუ მფუთავი ქალები დღეში 15 საათს და მეტ ხანსაც მუშაობენ და ხშირად სამუშაოზე მონყობის დროს რამდენიმე თვის ხელფასის ოდენობის გირაოც კი შეაქვთ, რაც მათ აღარ უზრუნდებათ საწარმოს ხელმძღვანელო-

ბის სურვილის სანინაალმდეგოდ ამ სანარმოდან ნასკლის შემთხვევაში. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ მსოფლიო ეკონომიკის კატეგორიებში შრომისა და გარემოს დაცვას, დემოკრატიას და ადამიანის უფლებებს მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს მინიჭებული.

მსოფლიოს პროფკავშირული მოღვაწეების უმრავლესობა, მათ შორის პროფკავშირების საერთაშორისო ორგანიზაცია დიდი ხანია გამოდის იმ ქვეყნების წინააღმდეგ სავაჭრო სანქციების შემოღების მოთხოვნით, რომლებიც ადამიანის უფლებებსა და ეკოლოგიურ ნორმებს არღვევენ. ამას ფორმალურად ბ.კლინტონის ადმინისტრაციაც უჭერდა მხარს, როდესაც აშშ-ის წარმომადგენელმა წინადადება წამოაყენა ვმო-ს შემაჯამებელ ხელშეკრულებაში შეეტანათ სოციალურ-ეკონომიური პუნქტი. იგი ითვალისწინებდა დამსჯელი ბაჟის დანესებას იმ ქვეყნებისათვის, რომელთა საექსპორტო პროდუქციის დამზადების პირობები აშკარად არღვევდა გაეროს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მინიმალურ სტანდარტებს. ეს წინადადება ჩავარდა და უმთავრესად იმის გამო, რომ მას მხარი არ დაუჭირა ევროკავშირის ქვეყნებმა (გარდა საფრანგეთისა). ამით განვითარებული ქვეყნების გავლენიანმა ნაწილმა მხარი არ დაუჭირა მსოფლიო სავაჭრო კოდექსის შემოღების უნიკალურ შესაძლებლობას, თუმცა, ამის თაობაზე მოლაპარაკებები წლობით გრძელდებოდა.

აღნიშნული პუნქტის შეტანის წინააღმდეგ განვითარებულმა ქვეყნებმაც მისცეს ხმა, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ვმო-ის ხელშეკრულებაში სოციალური პუნქტის ჩაწერით თითქოს სამხრეთის ლარიბი ქვეყნები ბევრ რამეს წააგებდნენ. კერძოდ, პროფკავშირული თავისუფლება ან ბავშვების შრომის აკრძალვა თითქოს კიდევ უფრო გააღარიბებდა ისედაც ლარიბ-ლათაკებს. მაგალითად, ინდოეთის ვაჭრობის მინისტრის განცხადებით, ბავშვების შრომის აკრძალვა მათ ქვეყანაში წელიწადში დაახლოებით 2-2,5 მლრდ დოლარი ეღირება, ბანგლადეშის ვაჭრობის მინისტრის აზრით, კი გარემოს დაცვაზე უფრო მნიშვნელოვანია შიმშილისაგან ადამიანების დაცვა.¹ მაგრამ სინამდვილეში საქმე სულ სხვაგვარადაა. თუ სამხრეთის ქვეყნების არადემოკრატიულ ელიტებს მოსთხოვდნენ ეკონომიკური მიღწევებიდან მიღებული შედეგის განაწილებას, ეს ვაჭრობიდან მიღებული შემოსავლების დაკარგვის საფრთხეს შეუქმნიდა მათ.

¹ ა. გრიშკაშვილი. სიტყვი: დემოკრატიის გამარჯვება თუ გლობალიზაციის კრიზისი? *ყურნ. „მკერო მიკრო ეკონომიკა“*, №1-2, 2000, გვ. 27.

ამით თვალნათლივ მტკიცდება ის, რომ ეკონომიკურ გლობალიზაციას მთელ მსოფლიოში კეთილდღეობა მოაქვს, როგორც ჩრდილოეთის, ისე სამხრეთის მხოლოდ პრივილეგირებული ფენებისთვის – საკუთრებისა და კაპიტალის მდიდარი მფლობელებისა და მაღალკვალიფიციური პროფესიონალებისთვის. ეს საზოგადოების დანარჩენი ფენების ხარჯზე ხდება. ამით გლობალიზმის ეპოქა „ეროვნულ ელიტას აყენებს საკუთარ ხალხსა და ხელისუფლების საერთაშორისო ცენტრებს შუა.“¹

ამგვარად, აშკარაა, რომ მსოფლიო ეკონომიკური ინტეგრაციის გამო ატეხილი კონფლიქტები სხვა არაფერია, თუ არა ბრძოლა გადანაწილებისათვის. ამაში ახალი არაფერია, მაგრამ საკვირველი ისაა, რომ ჯერ კიდევ ხერხდება ამ ჭეშმარიტების დამალვა ხალხის ფართო მასებისათვის.

ჩვენ დროში საბოლოოდ გაიმარჯვა განვითარების საბაზრო მოდელმა. ის ქვეყნები, რომლებიც ბაზარზე გარდამავალ გზაზე შეყოვნდნენ, მსოფლიოს ეკონომიკის პერიფერიაზე აღმოჩნდნენ, ფავორიტი კაპიტალისტური ქვეყნების წინაშე მათი ჩამორჩენა კი სულ უფრო ღრმავდება. მაგრამ თანამედროვე მსოფლიო მეურნეობის ჩამოყალიბების მთავარი პრობლემა ისაა, რომ გლობალური მსოფლიო ბაზრის წარმოშობის იდეის ბაზაზე გლობალური არარეგულირებადი კაპიტალიზმი აღმოცენდა. გლობალური მსოფლიო ბაზარი სულაც არ იქცა ყველასთვის ნიშების მქონე თავისუფალი კონკურენციის ბაზრად, არამედ იგი გადაიქცა მკაცრად სეგმენტირებულ ისეთ ბაზრად, რომელზეც პირველ რიგში განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნები ბატონობენ. უფრო მეტიც, მსოფლიო ბაზარი გიგანტური დღუშვიით მუშაობს და ერთი ნყება ქვეყნებიდან (რომელთა პროდუქციაში სანედლეულო კომპონენტები ჭარბობს) მეორეში (რომლებიც ძირითადად მზა მეცნიერებატივად საქონელს ამზადებენ) გადაქაჩავს რესურსებს.

გლობალური კაპიტალისტური სისტემის ძირითად ნაკლოვანებათა შორის, პირველ რიგში, სწორედ მსოფლიოში სიმდიდრის უთანაბროდ გადანაწილებას უნდა გაეხვას ხაზი. მართლაც, ყველა ქვეყნის მხოლოდ 20 %-ზე, რომლებშიც 1 მლრდ. კაცზე ნაკლები ადამიანი ცხოვრობს, მსოფლიო ეკონომიკის მთელი შემოსავლების 80%-ზე მეტი მოდის. ამავე დროს, განვითარებადი ქვეყნების სხვა 20% მსოფლიო შემოსავლების მხოლოდ 1,5%-ს იღებს.

¹ ნ. ქითანავა. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. III ნაწილი. თბ., 2001, გვ. 10.

გაეროს მონაცემებით, დედამიწის ყოველ მეოთხე მცხოვრებს 1998 წელს დღეში 1 დოლარზე ნაკლები შემოსავალი ჰქონდა. ნიშანდობლივია, რომ მსოფლიოში უმდიდრეს სამ კაცს („Microsoft“-ის დამფუძნებელ ბილ გეიტსს, ბრუნეის სულთანს და „WalMart“-ის მალაზიების ქსელის მფლობელ ოჯახს) იმდენი აქტივები ჰქონდა, რომლებიც მთლიანობაში ჭარბობდა ყველაზე ნაკლებად განვითარებული 43 ქვეყნის ჯამურ მშპ-ს.¹

უთანაბრობა – გლობალიზაციისა და ნეოლიბერალიზმის ეს ყველაზე უფრო მანკიერი თვისება – გამოუვალ მდგომარეობაში აყენებს თითქმის მთელ „შავ აფრიკას“. პრაქტიკულად იგი გამოირიცხულია იმ ახალი ეკონომიკური ნებსრიგიდან, რომელსაც მსოფლიოს სამ წამყვან ეკონომიკურ ცენტრს შორის კავშირების გააქტიურება ახასიათებს. არსებითად, აფრიკა გლობალური ეკონომიკის დამკვირვებელის როლში მოგვევლინა. როგორც ჩანს, განვითარებულ ცენტრს სულ უფრო ნაკლებად ჭირდება მისი პროდუქცია. ნიშანდობლივია, რომ 1980-იან წლებში აფრიკის არცერთი ქვეყანა გარედან არ იღებდა კაპიტალურ დაბანდებებს.

აფრიკა მნიშვნელოვანწილად აღმოჩნდა სტრუქტურული გარდაქმნების იმ დამღუპველი პროგრამების მსხვერპლი, რომლებიც საერთაშორისო სავალუტო ფონდმა მოახვია მას თავს. მათ შედეგად მოჰყვა მოსამსახურეთა მასობრივად დათხოვნა სამსახურიდან, განათლებაზე, ჯანმრთელობის დაცვაზე და საშინაო მშენებლობაზე გამოყოფილი ასიგნებების მკვეთრად შემცირება. ეს პროგრამები მით უფრო საეჭვოდ გამოიყურება, თუ შევნიშნავთ, რომ მთავარ მიზნად დასახული იყო საექსპორტო ამონაგების გადიდება, მაშინ, როდესაც ამ კონტინენტის ძირითადი საექსპორტო პროდუქტები მსოფლიო ბაზარზე გაიფხვრა და მათზე მოთხოვნა დაეცა კიდევ. მართლაც, ინდუსტრიულმა ქვეყნებმა ჯერ ნააქეზეს ამ პროდუქტების წარმოების გაფართოება, შემდეგ კი, როგორც ამას სამართლიანად შენიშნავს გერმანელი მეცნიერი ფ.ნუშელერი, ხელიც კი არ გაუწივევიათ კატასტროფაში ჩაყარდნილი აფრიკის ქვეყნების მისაშველებლად.²

სიღარიბის დონემ თითქმის მთელ აფრიკაში იმდენად მოიმატა, რომ მსოფლიოს ყველაზე ნაკლებად განვითარებული 40 ქვეყ-

¹ А.И. Погорлецкий. Экономика зарубежных стран. Учебник. Второе издание. Изд-во "Михайлова В. А.", С.-ПБ., 2001, с. 45.

² F. Nuscheler. Lern- und Arbittsbuch Entwicklungspoliik, 4. A. 1995, s. 281.

ნიდან 32 აფრიკაში მდებარეობს, აქედან 20 ქვეყანაში ადამიანთა გაჭირვება ექსტრემალურადაა მიჩნეული (სულ მსოფლიოში 27 ასეთი ქვეყანაა). შემაშფოთებელია აქ არსებული სანიტარული პირობები: ერთი ექიმი დაახლოებით 25 ათ. მცხოვრებზე; ათიდან რვა ბავშვი იღუპება ერთ წლამდე ასაკში აუცრელობის გამო; 10 მლნ-მდე ადამიანი შიდსითაა დაავადებული. ასეთი ვითარების გამო უაღრესად აქტუალური ხდება ამ კონტინენტისთვის განეული დახმარების ეფექტიანობის საკითხი. სავალალოა ის ფაქტი, რომ მის განვითარებას სინამდვილეში ამ დახმარების მხოლოდ 5% ხმარდება, მისი დანარჩენი ნაწილი კი მთელი რიგი არხებით ისევ განვითარებული ქვეყნების ბანკებში ან ევროპის საგადასახადო „თავშესაფრებში“ ბრუნდება შუამავლების ან აფრიკის ლიდერების ანგარიშებზე.¹ ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს გლობალიზაციის „სიკეთეს“ და წარმოაჩენს მის დიდ როლს ისევ და ისევ მდიდრების კიდევ უფრო გამდიდრების საქმეში.

აღსანიშნავია ისიც, რომ დახმარების მნიშვნელოვანი ნაწილი აფრიკის ქვეყნების შეიარაღებას და სამხედრო მიზნებს ხმარდება.

თუ შევაჯამებთ ყოველივე ზემოთქმულს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 30-წლიანმა დახმარებამ აფრიკაში 300 მლნ ლარიბლატაკის გაჩენა მოიტანა შედეგად, რითაც ევროკავშირმა ხელიდან გაუშვა ერთიანი აყვავებული ზონის შექმნის კარგი შესაძლებლობა. დღეს აფრიკას ხელახლა მოუხდება იმის გაკეთება, რაც მან ცუდი რეკომენდაციების, არასწორი დახმარებისა და არაგონივრულად მართვის გამო დაკარგა.

„დაკარგული ათწლეულის“ გამო ბევრი რამის თავიდან კეთება უხდება ლათინურ ამერიკასაც. მართალია, აქ თითქმის ყველგან გაიმარჯვა დემოკრატიამ, მაგრამ ეს თავისთავად არ ნიშნავს ეკონომიკურ აღმავლობას.

საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის რეკომენდაციებით ლათინური ამერიკის უმრავლეს ქვეყნებში შემოიღეს ნეოლიბერალური წესები და შეუდგნენ ეკონომიკის სტრუქტურულ გარდაქმნას, ზურგი აქციეს ავტარკიის, იმპორტჩანაცვლებისა და შიდა ბაზრების დაცვის პოლიტიკას, თუმცა ახალმა ულტრალიბერალურმა პოლიტიკამ გააღრმავა უთანაბრობა და გააძლიერა საშუალო ფენების დაბნეულობა, რაც ძირს უთხრის პოლიტიკური და სოციალური სტაბილურობის მთავარ ფაქტორებს. გაჩნდა პარადოქსი, როდესაც ქვეყანა მდიდრდება, მ.ს.ი

¹ Игнасио Рамоне. Геополитика хаоса. М., "ТЕИС", 2001, с. 93.

მოქალაქეები კი ღარიბდებიან, მთავრობა კი ნაკლებად ერევა სოციალურ საკითხებში.

რაც შეეხება აზია-წყნარი ოკეანის რეგიონს, აქ ნეოლიბერალურმა პოლიტიკამ მაკროეკონომიკური წარმატება მხოლოდ არადემოკრატიულ ქვეყნებს მოუტანა (სამხრეთ კორეა, ჰონკონგი, ტაივანი, სინგაპური, პინოჩეტის ჩილე). მათგან განსხვავებით, იმ ქვეყნებში, სადაც დემოკრატიის დამკვიდრებას ცდილობენ, მკაცრი ლიბერალური კურსი თვით ამ მიზნის მიღწევას უქმნის საფრთხეს. სახელმწიფო ზურგს აქცევს თავის მოსახლეობას, რომელიც ცხოვრების მატერიალური პირობების უცვლელობის პირობებში ვერ ხედავს დემოკრატიის სიკეთეს.

ლიბერალური რეცეპტების გამოყენება სამხრეთის ზოგიერთ ქვეყანაში ისეთ მოდერნიზებას იწვევს, რომელიც არ ამცირებს განვითარებული ქვეყნების მიმართ გაჩენილ უზარმაზარ უთანაბრობას. ამას ემატება სახელმწიფოს მხრიდან სოციალური გარანტიების შეწყვეტა, რაც ზრდის მოსახლეობის უკმაყოფილებას და დიდ საფრთხეს უქმნის სტაბილურობას საზოგადოების შიგნით.

ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესებმა გამოააშკარავა და გაამწვავა ტრანსნაციონალური ეკონომიკური სახელისუფლებო ურთიერთობები.

ცივი ომის დასრულებისა და მსოფლიო ბაზარში კომუნისტური ბლოკის ინტეგრაციის შემდეგ მკვეთრად იჩინა თავი კაპიტალისტური დინამიკის ძირითადმა ასპექტებმა, რომლებიც მანამდე „შენიღბული“ იყო საყოველთაო კეთილდღეობის დასავლურ კაპიტალიზმში. ამ აზრს ბევრი რამ უმაგრებს ზურგს, მაგალითად, ის, რომ კაპიტალისტურ სისტემაში სულ უფრო მეტი რეგიონისა და ნიშის ჩართვით იკარგება თვითუზრუნველყოფის ლოკალური და ეროვნული სივრცეები და ეკონომიკა. მსოფლიო ბაზარში ჩართვა, გლობალიზაცია და ა.შ. ერთი და იმავე პროცესის – სიმდიდრის, სუვერენიტეტის, ხელისუფლებისა და მოქმედებათა თავისუფლების საყოველთაო გადაკეთების – ორი მხარეა.

გარდა ამისა, ტიკ-ები დაინტერესებული არიან „სუსტი სახელმწიფოებით“, რომლებიც არსებობას კი შეინარჩუნებენ, მაგრამ ხელს ვეღარ შეუშლიან კაპიტალის თავისუფლად მოძრაობას.

ავტონომიურ ეკონომიკურ პოლიტიკაზე უარის თქმა ის პირობაა, რომლის დაცვის შემთხვევაშიც სუსტ სახელმწიფოებს მსოფლიო ბანკი და ფინანსური ფონდები დაუჭერენ მხარს.

სუსტი სახელმწიფოებია სწორედ ის, რაც ასე ძალიან ჭირდება ახალ მსოფლიო წესრიგს. ასეთ პირობებში შესაძლებელი ხდება ის,

რომ ძლიერი სახელმწიფოები ახდენენ შესაძლო კანდიდატების დისკრიმინირებას. მაგალითად, გერმანიის საგარეო ვაჭრობის სტრუქტურა გვიჩვენებს, რომ ევროკავშირის შიდა ბაზარზე დაყრდნობით იგი სწორედ ზრდის მინიმალური შესაძლებლობების მქონე ბაზრებზე იყო ორიენტირებული, მაშინ, როდესაც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ან სამხრეთ ამერიკის მზარდ ბაზრებზე განხორციელებული ექსპორტი, პირიქით, მეტისმეტად მოკრძალებული იყო.

ყოველივე აქედან გამომდინარე, მართებულია შეფასება, რომ „განვითარებადი ქვეყნები ცხოვრობენ და ფუნქციონირებენ მალალი რისკისა და გაურკვევლობის ეპოქაში. ბანკები, საფინანსო დაწესებულებები და ინვესტორები შენ უხებული არიან იმით, რომ, ერთი მხრივ, გაძნელებულია ფინანსური რესურსების გლობალიზაცია, ხოლო, მეორე მხრივ, მათი გამოყენების რისკი საშიშ ნიშნულებამდეა მისული“.¹

ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესის მონაწილე ქვეყნების, რეგიონების თუ ცალკეული სამეურნეო სუბიექტების უმთავრესი მიზანია მისგან მაქსიმალური სარგებლის მიღება. მათთვის აუცილებელია საერთაშორისო ურთიერთობათა თამაშის წესების ცოდნა და მისი უცილობელი დაცვა, ადეკვატური ინსტიტუციონალური სისტემის შექმნა.

ამ უნარ-ჩვევებისა და სტრუქტურის არარსებობის ან მათი სისუსტის გამო განვითარებადი ქვეყნები სრულფასოვნად ვერ მონაწილეობენ გლობალურ ეკონომიკურ ურთიერთობათა პროცესში და ლებულობენ ნაკლებ ეფექტს, განსხვავებით მაღალგანვითარებული ქვეყნებისაგან. სახეზეა არათანაბარი განვითარება, რაც თითქოს ლოგიკურიცაა, მაგრამ რეალურად ამის მიღმა არსებობს სრულიად სერიოზული მიზანმიმართული პოლიტიკა.

ალსანიშნავია, რომ „მესამე სამყაროს“ ქვეყნებთან მიმართებაში შემუშავდა ე.წ. „დამოკიდებულების თეორია“, რომლის თანახმადაც ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებს შექმნილი აქვთ „მესამე სამყაროში“ სიღარიბისა და მათი მონობის შენარჩუნების მექანიზმი. ამ მიზნით მოქმედებს საერთაშორისო სავალუტო ფონდი, რომლის პოლიტიკამაც მისი მიმდევარი ქვეყნების მარგინალიზაცია მოახდინა.² ზოგიერთის აზრით, დასავლეთიდან, ფაქ-

¹ მოსტაბაჭოური ქვეყნის ეკონომიკის განვითარების თეორიული და პრაქტიკული ასპექტები საქართველოს მაგალითზე. „მეცნიერება“, თბ., 2002, გვ. 17.

² ვლ. პაპავა, საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში: მიღწევები და შეცდომები თბ., 2000, გვ. 37-39.

ტობრივად კი – აღნიშნული ფონდიდან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული რეკომენდაციები დსთ-ის, როგორც მსხვილი რეგიონული გაერთიანების, დაშლას ემსახურება, რომ მასში შემაჯავალი ქვეყნები მსოფლიო ბაზრის პერიფერიად გადაიქცეს.¹

ჩვენ მიგვაჩნია, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის სტანდარტ-პროგრამების მთავარი მიზანია არსებული ეკონომიკური სტატუს-კვოს შენარჩუნება, უფრო კონკრეტულად კი – მწარმოებელ და მომხმარებელ ქვეყნებს შორის ჩამოყალიბებული ბალანსის დაცვა.

არსებობს გაეროს ერთ-ერთი დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მიერ ერთობლივად მხარდაჭერილ „სტრუქტურული გარდაქმნების პოლიტიკას“ ეკოლოგიურ დეგრადაციამდე მიყვავართ და საბოლოო ჯამში ჰუმანური განვითარება თავისუფალ ბაზარსა და გლობალიზაციას ეწირება და მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ამ პროგრამის ზოგიერთი ღონისძიება ღარიბთა მდგომარეობას აუარესებს. ადამიანთა სოციალური მდგომარეობის გაუარესება წარმოების დაცემით, მსყიდველობითუნარიანი მოთხოვნის შეკვეცილთაა განპირობებული, რაც ხშირ შემთხვევებში საერთაშორისო სავალტო ფონდის მიერ შემოთავაზებული „სტრუქტურული გარდაქმნის პროგრამათა“ შედეგად აღიქმება.²

ამ მოსაზრებას კარგად ეხმიანება მაღალიზიის პრემიერ-მინისტრის ის მოსაზრება, რომ გლობალიზაცია არის იმ რეგიონების რეკოლონიზაციის ფორმა, რომლებმაც ნახევარი საუკუნის წინ მოიპოვეს დამოუკიდებლობა. როცა მისი ხალხები მიხვდებიან, თუ რას ნიშნავს გლობალიზაცია, ისინი თავისებურ „პარტიზანულ ომს“ დაიწყებენ³. აქ განსაკუთრებით მტკივნეულად მოქმედებს გლობალიზაციის ეპოქაში სუვერენული სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური როლის თანდათანობით შეზღუდვის პრინციპი, რომელიც ფაქტობრივად განვითარებადი ქვეყნებისათვისაა გათვალისწინებული. ამის საპირისპიროდ დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებში სახელმწიფოს როლი

¹ დასახელებული ნაშრომი. გვ. 68.

² დასახელებული ნაშრომი. გვ. 69-71.

³ В. Педитиев, В. Чернозская. Развивающийся мир: глобализация или регионализация? Журн. "МЭиМО" №7, 2000, с. 39.

კი არ იზღუდება, არამედ სრულიად ახალ ფორმას იღებს. უფრო აქტიური და მრავალმხრივი ხდება მისი ფუნქციები და სტრატეგიული მოქმედების მიმართულებები.¹

რაც შეეხება საერთაშორისო ეკონომიკურ და ფინანსურ ინსტიტუტებს, ისინი ღიად და დაუფარავად უჭერენ მხარს ტრანსნაციონალურ კაპიტალს, ფაქტობრივად გამოდიან მათ ლობისტებად, სრულიად მიზანმიმართულად ცდილობენ შეზღუდონ სუვერენულ სახელმწიფოთა ეკონომიკური ფუნქცია და მიაღწიონ მათ მნიშვნელოვან ნაწილზე საკუთარი კონტროლის დანესებას დელეგირების გზით. შეიძლება ითქვას, საქმე გვაქვს სუვერენიტეტის შეზღუდვასთან.²

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, მოსახლეობის ერთ სულზე 1995 წელს წარმოებული მშპ განვითარებულ ქვეყნებში 71-ჯერ აღემატებოდა სამხრეთ აზიის და 51-ჯერ – აფრიკის (მალრიბის ქვეყნების გამოკლებით) ამავე მაჩვენებელს, არნახულად მაღალი იყო რუსეთისა და დსთ-ის სხვა ქვეყნებში სილატაკის ზღვარს მიღმა მცხოვრებ ადამიანთა ხვედრითი წილი.³ სწორედ ესაა კონფლიქტების გამწვავების, საკუთრებისა და ქონების გადანაწილებისთვის გაჩაღებული ბრძოლების სიღრმისეული მიზეზი.

ამიტომ გლობალური მასშტაბითა და ცალკეული ქვეყნების შიგნითაც უნდა შეიქმნას ისეთი ახალი ეკონომიკური წესრიგი, რომელიც თანდათანობით ამოავსებს სიმდიდრესა და სილატაკს შორის არსებულ უზარმაზარ უფსკრულს. ცხადია, აქ იგულისხმება არა გათანაბრებაზე გეზის აღება, არამედ სოციალურად დასაბუთებული ეკონომიკური პროგრესის მიღწევა და მისი შენარჩუნება.

¹ ნ. ქიტანავა. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. III ნაწილი. თბ., 2001, გვ. 11-12.

² А. Мовсесян, С. Огнивцев. Транснациональный капитал и национальные государства. Жур. "МЭМО", №6, 1999, с. 58.

³ Ю. В. Яковец. Глобализация и взаимодействие цивилизаций. М., "Экономика", 2001, с. 268.

თავი IV

საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში საქართველოს ინტეგრირების პრობლემები

4.1. მსოფლიო სამეურნეო სისტემაში საქართველოს ინტეგრირების ძირითადი მიმართულებები

1991 წლამდე, ვიდრე დამოუკიდებლობის აღდგენამდე, საქართველოს ეკონომიკა საბჭოთა კავშირის ეკონომიკასთან იყო ინტეგრირებული. მისი ექსპორტის 96 და იმპორტის 72% ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებზე მოდიოდა. ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, მაშინდელი საქართველოს საგარეო სავაჭრო ბალანსი დადებითი იყო, რასაც ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ საბჭოთა კავშირის შიგა ბაზარზე კვებისა და მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის ფასები აღემატებოდა შესაბამის მსოფლიო ფასებს, ხოლო ნედლეულისა და ენერგომატარებლების შიდა ფასები გაცილებით ნაკლები იყო მათთან შედარებით. ამდენად, საქართველოს სანარმოები იაფად ამზადებდნენ ისეთ პროდუქციას, რომელიც შემდეგ სარფიანად იყიდებოდა საბჭოთა კავშირის ბაზარზე. აქედან გამომდინარე, საქართველოს წარმოება ორიენტირებული იყო სწორედ ამ ბაზარზე.

მოსტსაბჭოური საქართველოს ეკონომიკა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა (რასაც კარგად ახასიათებს ცხრილ 4.1-1-ში მოყვანილი მონაცემები). საგარეო ვაჭრობაში ჩამოყალიბება იწყო ნეგატიურმა ტენდენციებმა, რაც გამოიხატებოდა ექსპორტთან შედარებით იმპორტის მატებაში და უარყოფითი საგარეო სავაჭრო ბალანსის პერმანენტულ ზრდაში. ამ პროცესის პირველი ეტაპი 1999 წლამდე გრძელდებოდა.

1999 წელს აღინიშნა ქვეყნის საგარეო სავაჭრო ბალანსის ერთგვარად გაუმჯობესება – გაიზარდა ექსპორტი და შემცირდა იმპორტი. ექსპორტის ხვედრითმა წილმა საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 28,9% შეადგინა, მშპ-ში კი – 8,5%. მაგრამ აღსანიშნავია, რომ: ექსპორტის ზრდას ამ დროს არ ჰქონდა წარმოებრივ-ტექნოლოგიური საფუძველი, რაც ხელს უშლიდა ვმო-ში საქართველოს განევრიანებით წარმოშობილი შესაძლებლობების რეალიზებას; მცირე იყო საზღვარგარეთული ინვესტიციების შემოსვლის მასშტაბები; უკიდურესად გამწვავდა საგარეო ვალის პრობლემა,

საქართველოს საგარეო ვაჭრობის ძირითადი მაჩვენებლები 1995-2004 წლებში

მაჩვენებლები	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004
საგარეო სავაჭრო ბრუნვა (მლნ აშშ დოლარი)	546,8	885,6	1181,5	1072,7	824,2	1034,5	1070,5	1139,8	1606,2	2495,8
მათ შორის:										
ექსპორტი (მლნ აშშ დოლარი)	151,7	198,8	239,8	192,3	238,2	324,8	318,8	346,1	465,3	648,8
იმპორტი (მლნ აშშ დოლარი)	395,1	686,8	941,7	880,4	586,0	709,7	751,7	793,7	1141,1	1847,0
საგარეო სავაჭრო ბალანსი (მლნ აშშ დოლარი)	-243,4	-488,0	-701,9	-688,1	-347,8	-384,9	-432,9	-447,6	-676	-1198,2
ექსპორტის წილი ბრუნვის მოცულობაში (%)	27,7	22,4	20,3	17,9	28,9	31,4	29,8	30,4	29,0	26,0
ექსპორტით იმპორტის გადაფარვის კოეფიციენტი (%)	38,4	28,9	25,5	21,8	40,6	45,8	42,4	43,6	40,8	35,1
საგარეო სავაჭრო ბალანსი მუხთან (%)	-	-16,6	-20,5	-24,5	-13,6	-12,5	-13,4	-13,1	-16,7	-

წყარო: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

რადგანაც კიდევ უფრო გართულდა მისი მომსახურება ქვეყნის ბიუჯეტიდან.

საგარეო ვალის მომსახურების დიდი მოცულობის გამო საქართველო 1998 წლიდან შეძლებისდაგვარად არიდებდა თავს დავალიანების სრულად დაფარვას, რადგანაც ამ შემთხვევაში ქვეყანა უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. მართალია, მთავრობა აღწევდა ხოლმე გარკვეულ ჩარჩოებში რესტრუქტურისებას, მაგრამ ეს არ იყო პრობლემის საბოლოოდ მოგვარება. იგი მხოლოდ ქვეყნის განვითარების, უპირველეს ყოვლისა, მისი საექსპორტო შემოსავლების მკვეთრად გადიდების გზით შეიძლება მოგვარებულიყო.

ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თუმცა ქვეყნის ეკონომიკა ჩაერთო მსოფლიო მეურნეობაში, მაგრამ ძალიან სუსტად, რადგანაც იგი ამ მეურნეობის აქტიურ სუბიექტად ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბდა.


მსოფლიო მეურნეობაში საქართველოს ინტეგრაცია სხვა ქვეყნებთან საგარეო-ეკონომიკური კავშირების გაფართოებით ხორციელდება. ეს კავშირები უნდა ვითარდებოდეს, როგორც დასავლეთის განვითარებულ, ისე განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებთან, თუმცა, სტრატეგიულად, რა თქმა უნდა, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ურთიერთობების გაღრმავება მონინავე და არა ჩამორჩენილ ქვეყნებთან.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და წარმოებრივ-ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის დაძლევა მხოლოდ განვითარებულ ქვეყნებთან პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავების გზით შეიძლება. მართალია, ამ ურთიერთობათა განვითარების შესაძლებლობები ყველა მიმართულებით (მათ შორის ვაჭრობის, სასესხო კაპიტალის მოძრაობისა და პირდაპირი ინვესტიციების სფეროებში) შეზღუდულია, მაგრამ ბოლო პერიოდის სინამდვილემ დაადასტურა, რომ პროგრესი აქ უდავოდ რეალურია. იგულისხმება არა მარტო საქონლის ექსპორტის ზრდა აშშ-ში, ევროკავშირისა და დსთ-ის ქვეყნებში, არამედ მომსახურების ექსპორტის ჩამოყალიბება საქართველოს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტულ მიმართულებად, რასაც საფუძველს უქმნის საქართველოს სატრანზიტო ფუნქციისა და ტურიზმის გაფართოების პერსპექტივები. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ საქართველოს მიერ მომსახურებითი საგარეო ვაჭრობის გაფართოების პერსპექტივები მეტად შთაბეჭქდავად გამოიყურება მომავალში სათანადო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონზე.

მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში საქართველოს მონაწილეობის დონე (ხარისხი) შეგვიძლია შევაფასოთ ქვეყნის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების (უპირველეს ყოვლისა, საგარეო ვაჭრობის) და უცხოური ინვესტიციების გამოყენების ძირითადი მაჩვენებლებით. ამისათვის განვიხილოთ საგარეო-სავაჭრო ბრუნვის, ექსპორტ-იმპორტის, საგარეო-სავაჭრო ბალანსის, ექსპორტ-იმპორტის შემადგენელი პროდუქციის ჯგუფების და ინვესტიციების შემოსვლის ცვლილების უმთავრესი ტენდენციები.¹

ზემოთ მოყვანილი 4.1-1 ცხრილის მონაცემებიდან კარგად ჩანს, რომ 2000-2004 წლებში კვლავაც გრძელდებოდა საქართველოს საგარეო სავაჭრო ბალანსის გაუარესების ტენდენცია. 2004 წელს რეგისტრირებულმა საგარეო ვაჭრობამ 2,5 მლრდ დოლარამდე მიაღწია, რომელშიც იმპორტი თითქმის 3-ჯერ აღემატებოდა ექსპორტს. ამის გამო სავაჭრო დეფიციტმა 889,6 მლნ. დოლარით გადააჭარბა წინა, 2003 წლის მაჩვენებელს და შეადგინა 1,2 მლრდ დოლარამდე.


საერთოდ, უკანასკნელ ათწლეულში საქართველოს ექსპორტი-იმპორტისა და, აქედან გამომდინარე, საგარეო სავაჭრო ბალანსის დინამიკას ადვილად წარმოსადგენს ხდის ქვემოთ მოყვანილი დიაგრამა (ნახაზი 4.1-1).



ნახ.4.1-1. საქართველოს რეგისტრირებული ექსპორტი, იმპორტი და სავაჭრო ბალანსი 1995-2004 წლებში (ათასი დოლარი)

¹ ამ მიზნით გამოვიყენეთ ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრის მიერ მომზადებული „საქართველოს ეკონომიკის მიმართულეები“ და საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის შესაბამისი ბიულეტენები.

4.1-2 ნახაზზე ნაჩვენებია საქართველოს რეგისტრირებული იმპორტი და ექსპორტი რეგიონებისა და ქვეყნების მიხედვით, რომლის თანახმადაც 2003 წელს დსთ-დან და ევროკავშირიდან შემოტანილი საქონლის მოცულობა შეადგენდა საქართველოს რეგისტრირებული იმპორტის 67,7%-ს, თურქეთისა – 9,8-ს, აშშ-ს წილი კი შედარებით უმნიშვნელო იყო – 8%.



ნახ.4.1-2. საქართველოს რეგისტრირებული იმპორტი და ექსპორტი რეგიონების/ქვეყნების მიხედვით 2003 წელს

2003 წელს ჩამოყალიბებული სავაჭრო დეფიციტის 48% მოდიოდა ევროკავშირის, ხოლო 21% დსთ-ს ქვეყნებზე, რაც შესაბამისად 14 და 7%-ით აღემატებოდა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

ევროკავშირის ქვეყნებთან ვაჭრობამ 2003 წელს 480 მლნ დოლარამდე მიაღწია – გაიზარდა 68,6%-ით წინა წელთან შედარებით, ხოლო დსთ-ს ქვეყნებთან შეადგინა 528 მლნ დოლარამდე – გაიზარდა 28,6%-ით. საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის მესამედამდე მოდიოდა დსთ-ს ქვეყნების წილად (მათ შორის, ექსპორტის 14,2 და იმპორტის – 23%), უფრო ნაკლები მოდიოდა ევროკავშირის ქვეყნებზე, თუმცა მათ მიერ შემოტანილი საქონლის მოცულობა 1,9-ჯერ გაიზარდა.

რაც შეეხება ექსპორტს, ქართული პროდუქციის გასაღების მთავარ ბაზრად ისევ დსთ რჩება. ხსენებულ პერიოდში ევროკავშირი იყო ექსპორტის 16%-ის დანიშნულების ადგილი, ხოლო თურქეთის წილმა 17,7% შეადგინა.

კვლავაც პრობლემურია ევროკავშირის ბაზარზე შეღწევა, რასაც განაპირობებს ჩვენში წარმოებული საქონლის შეუსაბამობა ევროპულ სტანდარტებთან და ტექნიკურ რეგლამენტებთან.

საფუძვლიანი ანალიზისა და სათანადო დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა საგარეო ვაჭრობის სფეროში საქართველოს უმსხვილესი პარტნიორი ქვეყნებისა და ექსპორტ-იმპორტის სტრუქტურები, რომლებიც წარმოდგენილია 4.1-2 და 4.1-3 ცხრილების სახით.

საქართველოს უმსხვილესი საგარეო სავაჭრო
პარტნიორები

2003 წელი							
ქვეყანა	ექსპორტი (FOB)		იმპორტი (CIF)		ბალანსი	სავაჭრო ბრუნვა	
	მლნ აშშ დოლარი	%-ობით ჯამთან	მლნ აშშ დოლარი	%-ობით ჯამთან	მლნ აშშ დოლარი	მლნ აშშ დოლარი	%-ობით ჯამთან
რუსეთი	83,9	18,0	161,1	14,1	-77,2	245,1	15,3
თურქეთი	82,5	17,7	112,1	9,8	-29,6	194,7	12,1
გაერთიანებული სამეფო	27,9	6,0	145,6	12,8	-117,7	173,5	10,8
უკრაინა	30,2	6,5	80,3	7,0	-50,1	110,5	6,9
აზერბაიჯანი	16,7	3,6	93,8	8,2	-77,1	110,4	6,9
აშშ	15,4	3,3	90,8	8,0	-75,4	106,1	6,6
გერმანია	9,8	2,1	82,5	7,2	-72,7	92,3	5,7
თურქმენეთი	58,4	12,6	9,9	0,9	48,5	68,3	4,3
საფრანგეთი	4,9	1,1	55,8	4,9	-50,9	60,7	3,8
შვეიცარია	33,3	7,1	14,4	1,3	18,9	47,6	3,0
სულ	465,3	100,0	1141,1	100,0	-676,0	1606,4	100,0
უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორების მიხედვით	363,0	78,0	846,2	74,2	-483,2	1209,2	75,4
2004 წელი							
ქვეყანა	ექსპორტი (FOB)		იმპორტი (CIF)		ბალანსი	სავაჭრო ბრუნვა	
	მლნ აშშ დოლარი	%-ობით ჯამთან	მლნ აშშ დოლარი	%-ობით ჯამთან	მლნ აშშ დოლარი	მლნ აშშ დოლარი	%-ობით ჯამთან
რუსეთი	104,6	16,1	257,8	14,0	-153,2	362,4	14,5
თურქეთი	118,7	18,3	202,3	11,0	-83,5	321,0	12,9
გაერთიანებული სამეფო	31,6	4,9	171,4	9,3	-139,8	203,0	8,1
აზერბაიჯანი	25,4	3,9	157,7	8,5	-132,4	183,1	7,3
გერმანია	15,9	2,5	151,1	8,2	-135,2	167,0	6,7
უკრაინა	15,3	2,4	142,4	7,7	-127,1	157,7	6,3
თურქმენეთი	115,1	17,7	32,7	1,8	82,4	147,8	5,9
აშშ	21,3	3,3	111,0	6,0	-89,7	132,2	5,3
სომხეთი	54,5	8,4	25,4	1,4	29,1	79,9	3,2
იტალია	11,6	1,8	61,5	3,3	-49,9	73,1	2,9
სულ	648,8	100,0	1847,0	100,0	-1198,3	2495,8	100,0
უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორების მიხედვით	513,9	79,3	1313,2	71,2	-799,3	1827,1	73,1

საქართველოს უმსხვილესი საექსპორტო და საიმპორტო
სასაქონლო ჯგუფები

ექსპორტი	2003 წელი		2004 წელი	
	მლნ აშშ დოლარი	%-ობით ჯამთან	მლნ აშშ დოლარი	%-ობით ჯამთან
სულ	465,3	100,0	648,8	100,0
მათ შორის:				
შავი ლითონის ჯართი	60,1	12,9	95,9	14,8
სხვა საფრენი აპარატები	20,3	4,4	83,7	12,9
ყურძნის ლენო, ნატურალური	42,6	9,2	48,7	7,5
ფეროშენადნობები	26,1	5,6	42,5	6,6
შაქარი	34,0	7,3	34,3	5,3
სპილენძის მადნები და კონცენტრატები	23,4	5,0	31,8	4,9
აზოტოვანი სასუქები	18,4	4,0	28,8	4,4
ხორბალი	10,7	2,3	22,8	3,5
მინერალური წყლები	19,7	4,2	19,3	3,0
სპირტი ეთილის არადენატური-რეზული და სპირტიანი სასმელები	13,1	2,8	18,9	2,9
დანარჩენი პროდუქცია	196,8	42,3	222,0	34,2
იმპორტი	2003 წელი		2004 წელი	
	მლნ აშშ დოლარი	%-ობით ჯამთან	მლნ აშშ დოლარი	%-ობით ჯამთან
სულ	1141,1	100,0	1847,0	100,0
მათ შორის:				
ნავთობი და ნავთობპროდუქტები	104,9	9,2	186,5	10,1
მსუბუქი ავტომობილები	47,0	4,1	116,6	6,3
ნავთობის აირები და სხვა აირისმაგვარი ნახშირწყალბადები	66,0	5,8	80,1	4,3
სხვადასხვა მიწები და მილაკები	93,7	8,2	80,0	4,3
სამკურნალო საშუალებები	62,9	5,5	78,0	4,2
ხორბალი	28,0	2,4	75,0	4,1
შაქარი	53,0	4,6	50,8	2,8
ხორბლის ფქვილი	9,8	0,9	48,8	2,6
ელექტროენერჯია	26,4	2,3	32,3	1,7
ტურბორეაქტიული და ტურბოხრახნიანი ძრავები, აირის სხვა ტურბინები	0,4	0	28,2	1,5
დანარჩენი პროდუქცია	649,0	56,9	1070,9	58,0

ნათლად ჩანს, რომ საქართველოს ძირითად, ნომერ პირველ საგარეო სავაჭრო პარტნიორად კვლავაც რუსეთი რჩება, რომელთანაც 2004 წელს სავაჭრო ბრუნვამ მთელი საგარეო სავაჭრო ბრუნვის 14,5% შეადგინა (362,4 მლნ დოლარი). ეს მაჩვენებელი შემცირებულია 2003 და 2002 წლებთან შედარებით, როდესაც იგი შეადგენდა შესაბამისად 15,3 (245,1 მლნ დოლარი) და 16,9%-ს (182,3 მლნ დოლარი).

საქართველოს სიდიდით მეორე სავაჭრო პარტნიორი ქვეყანაა თურქეთი. 2004 წელს მასთან სავაჭრო ბრუნვამ 12,9% (321 მლნ დოლარი) შეადგინა. ეს მაჩვენებელი 2003 წელს იყო 12,1 (194,7 მლნ დოლარი), ხოლო 2002 წელს 13,1% (141,5 მლნ დოლარი).

2004 წელს სავაჭრო ბრუნვის მიხედვით საქართველოს მესამე პარტნიორი ქვეყანაა გაერთიანებული სამეფო, რომელთანაც სავაჭრო ბრუნვამ მთელი ბრუნვის 8,1% (203 მლნ დოლარი) შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებელი 2003 წელს შეადგენდა 11%-ს (173,5 მლნ დოლარი), 2002 წელს კი 55%-ს (59,3 მლნ დოლარი). შემდეგ მოდის აზერბაიჯანი – 7,3% (2003 წელს – 6,9%).

2004 წელს მთლიანმა ექსპორტმა შეადგინა 648,8 მლნ დოლარი. ამ პერიოდში საქართველოს უმსხვილეს საექსპორტო ჯგუფში მთლიან ექსპორტში ხვედრითი წილის მიხედვით პირველ ადგილზეა „შავი ლითონის ჯართი“ – 14,8% (95,9 მლნ დოლარი). 2003 წელს იგი შეადგენდა 12,9%-ს (60 მლნ დოლარი). მეორე ადგილზეა „საფრენი აპარატები“ – 12,9% (83,9 მლნ დოლარი). წინა, 2003 წელს ამ სახის პროდუქციის ხვედრითი წილი შეადგენდა 4,4%-ს (20,3 მლნ დოლარი). მესამე ადგილზეა „ყურძნის ლეინო, ნატურალური“ – 7,5% (48,7 მლნ დოლარი). 2003 წელს იგი შეადგენდა 9,2%-ს (42,6 მლნ დოლარი).

2004 წელს იმპორტმა მთლიანობაში 1847,0 მლნ დოლარი შეადგინა. ამ პერიოდში უმსხვილეს საიმპორტო სასაქონლო ჯგუფში ყველაზე დიდი წილი მოდიოდა „ნავთობზე და ნავთობპროდუქტებზე“ – 10,1% (186,5 მლნ დოლარი). 2003 წელს იგი შეადგენდა 9,2%-ს (104,9 მლნ დოლარი). მომდევნო მეორე ადგილზეა „მსუბუქი ავტომობილები“ 6,3%-ით (116,6 მლნ დოლარი). 2003 წელს იგი შეადგენდა 4,1%-ს (47 მლნ დოლარი). მესამე ადგილზეა „ნავთობის აირები და სხვა აირისმაგვარი ნახშირწყალბადები“ – 4,3% (80,1 მლნ დოლარი). 2003 წელს იგი შეადგენდა 5,8%-ს (66 მლნ დოლარი).

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბალანსს ქვეყნების რაოდენობასთან კავშირში ახასიათებს ცხრილი 4.1-4.


საქართველოს საგარეო სავაჭრო ბალანსი

სავაჭრო ბალანსი	2004 წელი		სავაჭრო ბალანსი	2003 წელი	
	ქვეყნების რაოდენობა	მლნ. დოლარი		ქვეყნების რაოდენობა	მლნ. დოლარი
უარყოფითი	104	1321,3	უარყოფითი	95	773,6
დადებითი	21	123,0	დადებითი	30	97,2
სულ	125	-1198,3	სულ	125	-676,4

2004 წელს საქართველო საგარეო სავაჭრო ურთიერთობაში მონაწილეობდა 125 ქვეყანასთან და აქედან 104-თან ჰქონდა უარყოფითი ბალანსი. ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნადაა გაუარესებული 2003 წელთან შედარებით, როდესაც 125 სავაჭრო პარტნიორი ქვეყნიდან უარყოფითი სალდო გვქონდა 95-თან.

როგორც ვხედავთ, 2000-2004 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა საგარეო სავაჭრო ბრუნვა, ამასთან, იმპორტი უფრო მეტად იზრდებოდა ექსპორტთან შედარებით, რაც სათანადოდ აისახა საკმაოდ დიდ უარყოფით სალდოში.

რაც შეეხება ექსპორტ-იმპორტის როლს ქვეყნის მშპ-ის ფორმირებაში, მასზე ნარმოდგენას გვიქმნის 4.1-3 ნახაზზე მოცემული დიაგრამა.



ნახ.4.1-3. ექსპორტისა და იმპორტის სვედრითი წილების ცვლილება საქართველოს მშპ-ში 1996-2003 წლებში

საზოგადოდ, რომელიმე ქვეყნის მიმართ გლობალიზაცია ეს-
მით როგორც მის ეკონომიკასა და მსოფლიო მეურნეობას შორის
ურთიერთკავშირების ინტენსივობა. მართალია, დღეს მთელ მსოფ-
ლიოში მატულობს ურთიერთდამოკიდებულების საერთო დონე,
მაგრამ მსოფლიო ეკონომიკაში ცალკეული ქვეყნების ჩაბმის ხა-
რისხი მაინც განსხვავებულია. ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებლების
გარდა ამ ხარისხს აფასებენ, აგრეთვე, პირდაპირი და პორტფელუ-
რი ინვესტიციების გატანა-შემოტანის მოცულობებითა და ტე-
ქნოლოგიურ გაცვლასთან დაკავშირებული შემოსულობებისა და
გადასახდელების ოდენობით.

მსოფლიო ეკონომიკურ ინტეგრაციულ პროცესებში ქვეყნის
მონაწილეობის დონის ერთ-ერთი მაჩვენებელია უცხოური ინვეს-
ტიციების გამოყენება. ამასთან, იგი ნათლად გამოხატავს ეროვნუ-
ლი ეკონომიკის ტრანსფორმაციის შედეგებსა და ინტეგრაციუ-
ლი პროცესების გაღრმავების ტენდენციებს.

გლობალიზაციის პროცესში უცხოური ინვესტიციების გამოყე-
ნებას სხვადასხვა ფორმით ახდენენ. პრაქტიკულად აღიარებულია
უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელსაყრელი გარემოს შექ-
მნის საყოველთაოდ აპრობირებული პირობებიც. ესაა, მაგალითად,
კვალიფიციური სამუშაო ძალა, ინვესტორისათვის მისაღები სა-
კანონმდებლო ბაზა, კომუნიკაციები, სტაბილური მაკროეკონო-
მიკური პირობები, ანტიმონოპოლიური პოლიტიკა, პროტექციო-
ნიზმი (ახალი ტექნოლოგიებისა და შრომის ორგანიზაციის თან-
ამედროვე ფორმების დანერგვა, დეპრესიული რეგიონების და
პრიორიტეტული დარგების ეკონომიკური განვითარების სტიმუ-
ლირება) და სხვა.

საქართველოში ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმ-
ნას დიდ ძალისხმევას ახმარენ საერთაშორისო სტრუქტურები.
სწორედ მათი უშუალო მონაწილეობით შეიქმნა ჩვენს ქვეყანაში
საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საკანონმდებლო
ბაზა. უცხოური ინვესტიციების შესახებ 1995 წელს მიღებული
კანონის შესაბამისად საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების
მიზნით უცხოელ ინვესტორებს დაუნესდათ შეღავათები (თუმ-
ცა, ისინი გააუქმა პარლამენტის მიერ 1996 წელს მიღებულმა
კანონმა).

საქართველოში ჩამოყალიბდა რამდენიმე სამთავრობო სტრუქ-
ტურა, რომლებსაც უცხოური ინვესტიციების მოზიდვასა და მათი
ეფექტიანად გამოყენების პრობლემებზე უნდა ემუშავათ. ასეთი
იყო მაგალითად, ქვეყნის პირველ პირთან 1996 წლიდან არსებუ-

ლი საინვესტიციო საკონსულტაციო საბჭო, რომლის ძირითადი ფუნქცია სახელმწიფოს საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება გახლდათ. „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ ამავე წელს მიღებული კანონით განისაზღვრა საქართველოს უცხოური ინვესტიციების ცენტრის შექმნა, რომელსაც ხელი უნდა შეეწყოს ინვესტორთა მომსახურების, საინფორმაციო ბაზის შექმნისა და რეკომენდაციების მომზადებისათვის. სამწუხაროდ საქართველოს ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო ამ სტრუქტურათა ეფექტიანად ფუნქციონირება.


საქართველოს ათობით ქვეყანასთან აქვს ხელი მონერილი ინვესტიციების ურთიერთხელშეწყობისა და დაცვის შესახებ შეთანხმებებზე. გარდა ამისა, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების ერთ-ერთი მთავარი ხელშემწყობი ფაქტორი ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობაცაა. კერძოდ, ევროკავშირის მიერ „ტასისის ფარგლებში“ განხორციელებული ტექნიკური დახმარების პროგრამა ფაქტობრივად არის უცხოური ინვესტიციების მოზიდვის რეალური ობიექტი.

ამასთან, ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად ჯერ კიდევ არაა შექმნილი სათანადო ხელსაყრელი გარემო, რასაც შემდეგი მიზეზები განაპირობებს: საქართველოში არსებული პოლიტიკური არასტაბილურობა, კანონებსა და აქტებში ჯერ კიდევ შემორჩენილი ბუნდოვნება, დაუხვეწაობა და სხვა არასასურველი და მიუღებელი მომენტები, მართვის რთული სისტემა ერთობლივი კაპიტალით შექმნილ სანარმოებში, ქართველ პარტნიორთა მხრიდან გადახდისუნარიანობის დაბალი დონე და სხვა.¹

არაერთი ექსპერტის დასკვნით, საქართველოს საინვესტიციო ბაზარზე შექმნილი არასახარბიელო ვითარების მიზეზი ქვეყანაში შექმნილი გაუსაძლისი საინვესტიციო კლიმატია. კერძოდ, ძალოვანი სტრუქტურები სერიოზული საბაბის გარეშე ახდენენ უცხოური კომპანიების შემონგებას, რასაც ფულის გამოძალვის მიზნით უცხოელ ბიზნესმენებზე სხვადასხვა სახის ზენოლაც ემატება. ეტყობა, ამის შედეგითაცაა ის, რომ 2001 წელს საინვესტიციო ბაზრიდან ფაქტიურად გაქრნენ ავსტრალია, დიდი ბრიტანეთი, კანადა, ნიდერლანდი (თუმცა 2002 წელს ამ უკანასკნელის აქტივობა კვლავ განახლდა), რუსეთი, საბერძნეთი, საფრანგეთი, შვეიცარია და ჩინეთი. საბოლოოდ, საქართველოს ამ დროისთვის

¹ ლ. დათუნაშვილი. საინვესტიციო კლიმატი საქართველოში. კრებულში: საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში. ტ. I, თბ., „მეცნიერება“, 2000, გვ. 279.

მხოლოდ სამი სტრატეგიული პარტნიორი ჰყავდა – აშშ, თურქეთი და მსოფლიო ბანკი. 2004 წელს ასეთები იყვნენ გაერთიანებული სამეფო, საბერძნეთი, ნორვეგია (ნახ. 4.1-4).



ნახ. 4.1-4. ქვეყნების/ორგანიზაციების წილი საქართველოში განხორციელებულ ინვესტიციებში 2003 წ.

არცთუ იშვიათია შემთხვევები, როდესაც საექვოა ზოგიერთი ინვესტიციის წარმომავლობა. ასეთი იყო მაგალითად, ოფშორული ინვესტიციები ვირჯინის კუნძულებიდან, რომელიც შესაძლოა, ქართულ, რუსულ ან სულაც შერეულ კლანებს უკავშირდებოდეს.¹

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მაკროეკონომიკური გარემო ვერ პასუხობს არსებულ მოთხოვნებს, ბოლო წლებში ინვესტიციების მოცულობა მაინც საგრძნობლად გაიზარდა. მაგალითად, 1995-1999 წლებში ეს ზრდა 100 მლნ ლარზე მეტით მოხდა, მათ შორის უცხოური ინვესტიციებისა – 90 მლნ ლარზე მეტით, ხოლო 1999-2003 წლებში გაიზარდა 640 მლნ ლარით. მათ შორის უცხოური ინვესტიციები 376 მლნ-ით. თანაც, უცხოური ინვესტიციების მთლიან მოცულობაში იზრდება იმ ქვეყნების როლი, რომლებიც მსოფლიო ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესში ლიდერობენ. მართალია, 1999 წელს შეიცვალა უცხოური ინვესტიციების ზრდის ტენდენცია, მაგრამ სხვა მიზეზებთან ერთად აქ ადრეული ნავთობის მილსადენის და სუფსის ტერმინალის სამუშაოების დასრულებაც უნდა გავითვალისწინოთ.

უცხოური ინვესტიციების გამოყენებაზე შეგვიძლია ვიმსჯე-

¹ ა. თვალჭრელიძე, პ. კერვალიშვილი, დ. გეგია, ს. ესაკია, ს.სანაძე. საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები. ანალიზი და უსლოესი პერსპექტივა. გამ. „სანი“, თბ., 2002, გვ. 48-49.


ლოთ საქართველოში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობებისა და მათში უცხოური ინვესტიციების ხვედრითი წილების მიხედვით (ცხრილი 4.1-5), აგრეთვე, ქვეყნის მშპ-ში უცხოური ინვესტიციების წილის დინამიკის მიხედვით (ნახ. 4.1-5).

ცხრილი 4.1-5

საქართველოში განხორციელებული ინვესტიციები

წლები	მთლიანი ინვესტიციები, მლნ ლარი	მათ შორის უცხოური ინვესტიციები	
		მლნ ლარი	%
1995	127	43	33,8
1996	170	86	50,6
1997	266	180	67,7
1998	512	401	78,3
1999	364	169	46,4
2000	349	119	34,1
2001	400	140	35
2002	475	78	16,4
2003	964	543	57,5

წყარო: გ.ნანობაშვილი. საქართველოს საინვესტიციო გარემო და საფონდო ბაზარი. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ბიულეტენი № 62, 2001, გვ. 30.



წყარო: გ.ნანობაშვილი. საქართველოს საინვესტიციო გარემო და საფონდო ბაზარი. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ბიულეტენი № 62, 2001, გვ. 31.

1999-2003 წლებში საქართველოში შედარებით სტაბილურ საინვესტიციო პოლიტიკას ახორციელებდნენ პირველ რიგში აშშ, გაერთიანებული სამეფო, თურქეთი, ევროპის ბანკი, მსოფლიო ბანკი, ხოლო ბოლო პერიოდში აგრეთვე ავსტრალია, აზერბაიჯანი, იაპონია, იტალია, ნორვეგია, საფრანგეთი, ჩინეთი.

დარგობრივ ჭრილში უცხოური ინვესტიციების გამოყენების მდგომარეობას 4.1-ნ ცხრილში მოყვანილი მონაცემები ასახავს.

აქნიშანდობლივია, რომ 2000 წელს საქართველოში პირველად განხორციელდა ინვესტიციები ჯანდაცვის სფეროში.

საერთოდ, 2004 წლისთვის შექმნილი ვითარება საკმაოდ დამაფიქრებელია. თითქმის არცერთ სფეროში არ ჩანს უცხოელ ინვესტორთა სერიოზული აქტივობა, გარდა „ტრანსპორტის, სასაწყობო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის მიმართულებისა“, რომელიც შეადგენს ძირითად კაპიტალში მთელი უცხოური ინვესტიციების 87,8%, შემდეგ მოდის „მშენებლობა“ – 8%.

ტექნოლოგიებისა და ინფორმაციების თანამედროვე პირობებში საქართველოში არ უნდა დარჩეს განვითარების პროგრესის მიღმა. საჭიროა მაქსიმალურად მჭიდრო კავშირი ამ პროგრესის წამყვან ქვეყნებთან, რათა დავაინტერესოთ და მოვიზიდოთ ისინი, როგორც ინვესტორები. ამასთან, პრიორიტეტი უნდა მივანიჭოთ პირდაპირ ტექნოლოგიურ ინვესტიციებს, ამ სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებას და სამამულო პროდუქციის ექსპორტის გადიდებას.

ქვეყანას გააჩნია მნიშვნელოვანი პიდრორესურსები, ეკოლოგიურად სუფთა კვების პროდუქციის წარმოების შესაძლებლობები, ინტელექტუალური საკუთრება და ა.შ. ყოველივე გონივრულად უნდა იქნეს წარმოჩენილი და გამოყენებული როგორც ამა თუ იმ კონკრეტული მიმართულებით ჩვენი აბსოლუტური თუ შედარებითი უპირატესობითი ფაქტორები. ამისათვის კი აუცილებელია სათანადო სამთავრობო კურსი, რომელიც მიმართული იქნება კონკრეტული საინვესტიციო ობიექტების შერჩევისა და მომზადებისაკენ.

ეკონომიკურ ინტეგრაციულ პროცესებში საქართველოს მონაწილეობა გააქტიურების ერთ-ერთი მაგისტრალური მიმართულებაა, აგრეთვე, საერთაშორისო სტრუქტურებთან მჭიდროდ თანამშრომლობა, რაც ამ თავის მესამე პარაგრაფშია გაანალიზებული.

ერთი რამ კი აქვე უნდა ვთქვათ, რომ დღეისათვის ქართულ

უცხოური ინვესტიციები ძირითად კაპიტალში ეკონომიკური
საქმიანობის სახეობების მიხედვით (მლნ. ლარი)

უცხოური ინვესტიციები ძირითად კაპიტალში	1998	1999	2000	2001	2002	2003
სულ	401	168,6	118,8	140,2	78	542,5
მათ შორის:						
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და მეტყევეობა	-	6	0,53	0,36	0,3	0,2
სამთომომპოვებელი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	2	2,1	22,6	-	8,8	-
გადამამუშავებელი მრეწველობა	35,3	10,1	6,9		3,3	
ელ-ენერჯია, გაზი და წყალმომარაგება	72,9	49,5	7,5	59,6	-	-
მშენებლობა	1,9	-	-	12,1	2,2	43,4
საბითუმო და საცალო ვაჭრობა, ავტომობილების, მოტოციკლების, საყოფ-ბო საქონლის და ა.შ. პირადი სარგებლობის ნივთების რემონტი	8,6	0,2		0,5	8,2	
სასტუმროები და რესტორნები	5,9	5,5	19,3	17,7	25,1	9,0
ტრანსპორტი, სასაწყობო მეურნეობა და კავშირგაბმულობა	272,2	92,8	48,6	34,3	3,7	475,3
საფინანსო შუამავლობა	-	-	-	-	0,1	3,6
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და კომერციული საქმიანობა			0,6	0,2	16,6	4,5
სახელმწიფო მართვა და თავდაცვა; სავალდებულო სოც. დაზღვევა.	1,9	1,1	7,3	13,5	2,9	3,0
განათლება		1,4	0,9			
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალუ- რი მომსახურება	-	-	0,5	0,06	4,8	1,3
სხვა კომუნ., სოციალური და პერსონა- ლური მომსახურება			4,0	2,0	2,0	2,3

წყარო: საინვესტიციო და საშენებლო საქმიანობა საქართველოში. თბ., 2003, გვ.10; საქართველოს სტატისტიკური ნელინდეული 2004. თბ., 2004, გვ. 224.

საინვესტიციო ბაზარზე არ ჩანან ისეთი მნიშვნელოვანი ქვეყნები, როგორცაა ისრაელი და გერმანია. უმნიშვნელოა სხვა მაღალგანვითარებული ქვეყნების სხვადასხვა საერთაშორისო ფონდებისა და ბანკების აქტივობაც, რაც თავისებური სიგნალია იმისა, რომ ქვეყანაში გასაზრდელად სერიოზული საკანონმდებლო და ინსტიტუციონალური ცვლილებები, რამაც უნდა შექმნას ნდობის ატმოსფერო.

არსებული ვითარება აშკარად ნეგატიურია, ესაა პოლიტიკური და სოციალური დაძაბულობა და მისი, ალბათურად მაღალი, მოსალოდნელი ესკალაციის საფრთხე, ხელისუფლების 2003 წლის ნოემბრიდან გამოყოფილი და დაუცხრომელი რევოლუციური ეიფორია, სხვადასხვა ბიზნეს და პოლიტიკურ დაჯგუფებებს შორის ძალაუფლებისა და ქონების გადანაწილების ყოველგვარ მართლებელი არაფორმალური პროცესი და პროცედურები და ე.წ. „სახელმწიფო შეწერის“ პოლიტიკა, მართვის სახელმწიფო რეკეტორული სისტემის დამკვიდრება, კერძო საკუთრებისა და მისი ფუნქციონირების დაუცველობა.

4.2. საქართველოს სატრანსპორტო ფუნქცია, როგორც მსოფლიო მეურნეოგაზი ინტეგრირების ნამყვანი ფაქტორი

საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური პერსპექტივები მეტად არასახარბიელოდ გამოიყურება საქართველოს და კავკასიის სატრანსპორტო და საკომუნიკაციო მაგისტრალის ამოქმედების გარეშე. მაგრამ ამ პროექტის ხორცშესხმას უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობაც აქვს. იქნება აღმოსავლეთსა და დასავლეთს, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოების, უძველესი „აბრეშუმის გზის“ აღორძინების შესაძლებლობა. ამ პროექტის პირველი ეტაპი სატრანსპორტო-საკომუნიკაციო მაგისტრალის ფუნქციას აკისრებს საქართველოს. იგი დღეს სამ კომპონენტად მოიაზრება: ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო მაგისტრალი – „ტრასეკა“ (TRACECA), ტრანსკავკასიური სტრატეგიული ენერგეტიკული მაგისტრალი და ტრანსკავკასიური სატელეკომუნიკაციო ქსელი. მის განხორციელებაში აქტიურად მონაწილეობენ ევროკავშირის ქვეყნები, აშშ, ჩინეთი, იაპონია, საქართველო, აზერბაიჯანი და სხვები, აგრეთვე, საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური ორგანიზაციები. ამ კონტექსტში აღსანიშნავია უკვე მიღწეული შემდეგი მნიშვნელოვანი შედეგები:

- ჯერ ერთი, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტს უკვე ყაზახეთიც მიუერთდა;
- მეორე, დასრულდა ბაქო-სუფსის ნავთობის მილსადენის მშენებლობა;
- მესამე, რეკონსტრუქცია ჩაუტარდა საქართველოს სარკინიგზო ხაზებს და აზერბაიჯანის გავლით დაიწყო ყაზახეთის ნავთობის გადაზიდვა ბათუმამდე;
- მეოთხე, ბათუმსა და ფოთში აშენდა სარკინიგზო-საბორნე გადასასვლელი;
- მეხუთე, დასრულდა საქართველო-აზერბაიჯანის შემაერთებელი ახალი „წითელი ხიდი“ და აღდგა ძველი ხიდი;
- მეექვსე, განახლდა თბილისის მთავარი აეროპორტი, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა მისი ტვირთბრუნვა;
- მეშვიდე, საქართველო, აზერბაიჯანი, უზბეკეთი და თურქმენეთი შეთანხმდნენ მათ ტერიტორიებზე გამავალ საქონელზე ტარიფების შემცირების შესახებ.

აშშ-ის სენატის მიერ 1999 წელს მიღებულ კანონში „აბრეშუმის

გზის სტრატეგიის 1999 წლის აქტი“ პირდაპირაა მითითებული, რომ სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში საკმარისად მოიპოვება ნავთობი და გაზი საიმისოდ, რათა აშშ დამოკიდებული აღარ იყოს სპარსეთის ყურის რეგიონიდან ენერჯის არამდგრად მიწოდებაზე.¹ ამით კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება კავკასიის სატრანსპორტო მაგისტრალის როლი საერთაშორისო ეკონომიკის განვითარებაში უახლოეს ათწლეულში.

საქართველოს ამ როლის და ფუნქციის გაძლიერება მსოფლიო მეურნეობაში მისი ეფექტიანად ინტეგრირების ნამყვანი ფაქტორი უნდა გახდეს. კერძოდ, „ტრასეკას“ პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების მჭიდრო თანამშრომლობას მათი სუვერენიტეტის, პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის განმტკიცებაში, მსოფლიო ბაზრებთან ალტერნატიული სატრანსპორტო და სატრანზიტო კომუნიკაციებით მათ დაკავშირებას; ხსენებული ქვეყნების რეგიონული თანამშრომლობისა და კოოპერირების განვითარებას და მათში საერთაშორისო ინვესტიციების მოზიდვას.

„ტრასეკას“ პროექტს მხოლოდ ეკონომიკური მნიშვნელობა არა აქვს. მან ინტეგრაციული პროცესების საფუძველზე დიდი სუბრეგიონის (ევრაზიის სამხრეთის ქვეყნები) პოლიტიკური სტაბილიზაციის მტკიცე გარანტის მკაფიოდ გამოკვეთილი როლი უნდა შეასრულოს. ამიტომ მას უაღრესად მძაფრ კონკურენტულ გარემოში უხდება დამკვიდრება და უკვე იკვლევს გზას. მან ფაქტობრივად უზრუნველყო სტრატეგიული ტვირთების (ნავთობი, ბამბა და სხვა) გადატანის პროცესი და დაიწყო მსოფლიო მნიშვნელობის პროექტის ფუნქციის შესრულება. ამ პროექტის განხორციელებაში მონაწილეობით საქართველოს ეძლევა ისტორიული შანსი, თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობის ეფექტიანად გამოყენებით იპოვოს საკუთარი „წერტილი“ გლობალიზაციისა და რეგიონალიზაციის გადაკვეთაზე. ამით იგი შეასრულებს აღნიშნული პროცესების აქტიური სუბიექტის (და არამარტო ობიექტის) ფუნქციას და ევრაზიის სივრცეში კავკასიის საერთო ბაზრის ინტეგრატორის როლს. ეს საქართველოს ისტორიული ამოცანაა.²

საქართველოს სატრანზიტო მაგისტრალი ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო მაგისტრალის მნიშვნელოვანი შემადგენე-

¹ გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1-2 აგვისტო, 1999.
² ნ. ქიტანავა. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. III ნაწილი, თბ., 2001, გვ. 135-136.

ლი ნაწილია და ის კომპონენტი, სადაც გადაზიდვებს ტრადიციული სატრანსპორტო საშუალებებით ახდენენ. ბოლო 5-6 წლის მანძილზე ამ არტერიის ფუნქციონირება საგრძნობლად გააქტიურდა და სატრანსპორტო სისტემიდან მიღებულმა საბიუჯეტო შემოსავლებმა 2001 წელს 9-ჯერ გადააჭარბა 1995 წლის მაჩვენებელს (ცხრილი 4.2-1).

ცხრილი 4.2-1

„ტრასეკას“ მაგისტრალის ფუნქციონირების ზოგიერთი მაჩვენებელი 2001 წელს

მაჩვენებელი	სიდიდე
გადაზიდული ტვირთის მოცულობა, მლნ ტ.	33,1
გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა, მლნ კაცი	241
ბათუმისა და ფოთის პორტებში დამუშავებული ტვირთის მოცულობა, მლნ ტ.	11,8
სატრანსპორტო სისტემიდან მიღებული საბიუჯეტო შემოსავლები, მლნ ლარი	142,8

საერთო ტვირთზიდვაში შესამჩნევია სატრანზიტო გადაზიდვების მოცულობის ზრდა. აღსანიშნავია, რომ რკინიგზით გადაზიდული სატრანზიტო ტვირთების 84% ნავთობსა და ნავთობპროდუქტებზე მოდის, ხოლო სატრანზიტო ტვირთზიდვის ტემპი ამჟამად 33%-ს აღწევს. რაც შეეხება სატრანზიტო გადაზიდვების გეოგრაფიას, მონაცემთა ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოზე გამავალი ტვირთების დიდი ნაწილი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს ეკუთვნის. მათგან აზერბაიჯანზე მოდის 74% („შევრონის“ ნავთობის ჩათვლით), საქართველოზე – 13,3, სომხეთზე – 9,4, თურქმენეთსა და უზბეკეთზე – 1,5-1,5, აზიის სხვა ქვეყნებზე კი – 0,3%.

„ტრასეკას“ პროექტის განხორციელება გულისხმობს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისა და თურქმენეთის საავტომობილო გზების რეკონსტრუქციის სამუშაოებს, საქართველოს ავტოტრანსპორტის პარკის განახლებას და მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, დიდ სამუშაოებს რკინიგზის ტრანსპორტზე.

შემუშავებულია „ტრასეკას“ პროგრამები „კავკასიის რეგიონის სარკინიგზო ინფრასტრუქტურა“ და „ამიერკავკასიის რკინიგზის ერთობლივი სანარმო“, რომლის მიზანია ამიერკავკასიის რკი-

ნიგზის განვითარებისთვის ხელშეწყობა. სწრაფად განვითარდება საავიაციო ტრანსპორტი (თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, სენაკისა და ფოთის აეროპორტები) და საზღვაო პორტები ფოთსა და ბათუმში, ტვირთბრუნვას კი მნიშვნელოვნად გაზრდის სუფსის ტერმინალის მთელი დატვირთვით ამოქმედება და ახალი პორტის აშენება ანაკლიაში.

ფოთის ნავსადგურის სარეკონსტრუქციო სამუშაოები ითვალისწინებს უნივერსალური და სპეციალიზებული ნავმისადგომების მშენებლობას, აგრეთვე, მრავალმხრივი ტერმინალის აშენებას. როგორც სპეციალისტები შენიშნავენ, პერსპექტივაში ფოთის ნავსადგური უნდა გადაიქცეს როტერდამის მსგავს თანამედროვე ნავსადგურად, რომელიც მთავარი ნავსადგური იქნება კონტინენტურ ევროპასა და შუა აზიას შორის „ტრასეკას“ გზაზე. ფოთსა და ბულგარეთის ნავსადგურ ბურგასს შორის არსებული გზა საქართველოს ერთ-ერთი მთავარი საზღვაო გზაა; ასევე მნიშვნელოვანია ფოთი-კონსტანცა (რუმინეთი) საბორნე მომსახურების განვითარების პერსპექტივები. გარდა ამისა, ფოთში გახსნილია სარკინიგზო საბორნე გადასავლელი, რომელიც მას უკრაინის (ილიჩევსკი) და ბულგარეთის (ვარნა) ნავმისადგომებთან აკავშირებს. ამას მოჰყვა ბამბის სპეციალური ტერმინალის ამუშავება ფოთის პორტში, რომელიც ძირითადად უზბეკურ ტვირთებს ამუშავებს.

აღსანიშნავია, რომ იაპონიის კომპანია „მიცუბიში“ ფოთში ააგებს ახალ ნავმისადგომს მშრალი ტვირთების გადასამუშავებლად, ხოლო ირლანდიის „ჩანელ ენერჯი“ – ნავთობპროდუქტების გადამამუშავებელ ახალ ტერმინალს. ყოველივე ეს ნათლად მეტყველებს ტრანსკავკასიური სატრანსპორტო მაგისტრალის სიცოცხლისუნარიანობასა და პერსპექტიულობაზე.

ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის გამოყენების თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბათუმის საბორნე გადასასვლელის ამოქმედებას, რომელიც თურქეთის ფირმა „შენერ არდამ“ დააფინანსა. სპეციალისტების აღიარებით, ტექნოლოგიისა და მოცულობის მხრივ მისი ანალოგი ამჟამად მხოლოდ ინგლისშია. იგი შავი ზღვის აუზისა და ევროპის 24 ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების სფეროშია, რაც ასევე ადასტურებს მის დიდ ეკონომიკურ მნიშვნელობას. ბათუმის ნავსადგურის რეკონსტრუქციის მომდევნო ეტაპი იქნება მრავალმხრივი ტერმინალის ამოქმედება, რომელიც წელიწადში 6 მლნ ტ. ტვირთს გადაამუშავებს, ნაგებო-

ბათა საერთო სიმძლავრე კი ყოველწლიურად 17 მლნ ტ-ს მიაღწევს და სახელმწიფო ბიუჯეტს 131 მლნ დოლარის შემოსავალს მოუტანს წელიწადში.¹

აღმოსავლეთ-დასავლეთის ერთიანი ენერგეტიკული ხაზით ჯერჯერობით ხდება კასპიის აუზის ნავთობის შედარებით მცირე მოცულობის ტრანსპორტირება და, აგრეთვე, კავკასიაში (მათ შორის – სამხრეთ რუსეთში) გამომუშავებული ენერჯის ტრანზიტის თურქეთში და პირიქით.

ნავთობის ტრანზიტის ორი რეჟიმით ხორციელდება: ა) ბაქო-სუფსის ნავთობსადენით და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურით და ბ) „რკინიგზა-ნავსადგურის“ სატრანსპორტო ტექნოლოგიური რგოლით.

2004-2005 წლებისათვის დაგეგმილია ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მთავარი საექსპორტო ნავთობსადენისა და ბაქო-თბილისი-ერზრუმის სამხრეთკავკასიური გაზსადენის ამოქმედება, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდება ენერგომატარებლების დიდი მოცულობით ტრანსპორტირება საერთაშორისო ბაზარზე.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მთავარი საექსპორტო ნავთობსადენიდან 40 წლის განმავლობაში მიღებული მთლიანი შემოსავალი 2,5 მლრდ დოლარი იქნება, რაც საშუალოდ 62,5 მლნ დოლარს შეადგენს წელიწადში (ცხრილი 4.2-2).

აღსანიშნავია, რომ ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის (სნსკ) ინიციატივით შემუშავებულია ერთიანი ენერგეტიკულ მაგისტრალზე მდებარე ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ხუროთმოძღვრული ძეგლების გადარჩენის პროგრამა. იგი ითვალისწინებს აუცილებელი დაფინანსების მოძიებას ინვესტორი კომპანიების მხარდაჭერით. პროგრამის შემუშავებაში მონაწილობენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი, არქეოლოგიური ცენტრი და სხვა შესაბამისი ინსტიტუტები, აგრეთვე, საერთაშორისო ექსპერტები და სპეციალიზებული ორგანიზაციები.

ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენიდან საქართველო სატრანსპორტო გადასახადის სახით უფასოდ მიიღებს აზერბაიჯანიდან თურქეთში ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე გატარებული ბუნებრივი გაზის მოცულობის 5%-ს. საქართველოს უფლება აქვს სპეციალურ ფასში (55 დოლარი ყოველ 1000 მ³ გაზზე, ყოველწლიურ

¹ მსოფლიო ეკონომიკა. დამხმარე სახელმძღვანელო, გ. თოდუასა და შ. ვეშაპიძის რედაქციით. თბ., 2001, გვ. 834-835.


ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მთავარი საექსპორტო ნავთობსადენით
ტრანსპორტირებული ნავთობიდან მიღებული შემოსავლები

წლები	ტარიფი ბარელზე, ცენტი	ტარიფი ტონაზე, დოლარი	გატარე- ბული ნავთობი, მლნ ტონა	საქართვე- ლოს ბიუჯე- ტის შემო- სავალი მლნ დოლარი
2004-2008	12	0,89	126	112
2009-2019	14	1,04	545	566
2020-2028	17	1,26	450	568
2029-2033	20	1,48	250	371
2034-2038	22,5	1,67	250	417
2039-2043	25	1,86	250	464

წყარო: საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის (სნსკ) მასალები

რად 1,5 %-იანი ესკალაციით) პროექტის ინვესტიორებისგან შეის-
ყიდოს ბუნებრივი გაზის დამატებითი მოცულობები პროექტის
ფუნქციონირების პირველი 20 წლის განმავლობაში, რაც ამ პე-
რიოდის განმავლობაში 8,8 მლრდ მ³ ბუნებრივ გაზს შეადგენს.
სულ პროექტის მოქმედების 40 წლის მანძილზე საქართველოს ბი-
უჯეტის სავარაუდო ნომინალური შემოსავალი „ზომიერი“ გათვ-
ლებით 5,69 მლრდ დოლარს მიაღწევს (ნახ. 4.2-1).

ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო არხი პერსპექტივაში
კიდევ ერთ კომპონენტს შეიძენს. მას შემდეგ, რაც დასრულდება
ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელიანი საკომუნიკაციო სისტემის მშე-
ნებლობა და განხორციელდება კოსმოსური სატელეკომუნიკაციო
სისტემის შექმნის იდეა, თვისობრივად გაიზრდება მისი ფუნქ-
ციონირების ხარისხი. შეიქმნება სატელეკომუნიკაციო არხი, რაც
შესაძლებელს გახდის ტვირთების გადაადგილების, მათი დაცვისა
და საიმედოობის, მარშრუტების ოპტიმიზების, სასაზღვრო და სა-



ნახ. 4.2-1. ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენით გაზის ტრანზიტის სანაცვლოდ უფასოდ მიღებული და სპეციალური ფასით შესყიდული გაზის მონეტიზაციის შედეგად ბიუჯეტში მისაღები სავარაუდო შემოსავალი პროექტის მოქმედების 40 წლის განმავლობაში

წყარო: საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის (სსსკ) მასალები

ბაჟო მომსახურების ოპერატიული კავშირის, მილსადენების უსაფრთხოების და სხვა მრავალი პრობლემის ეფექტიანად გადაჭრას.

სამხრეთ კავკასიაში არსებული კონფლიქტების მოგვარების პირობებში გაჩნდება არანაკლებ მნიშვნელოვანი პერსპექტივა ჩრდილოეთ-სამხრეთის მიმართულების სატრანზიტო დერეფნის შექმნისათვის, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს საქართველოს სატრანზიტო ფუნქციას. დღეს ჩრდილოეთ-სამხრეთის მიმართულების გადაზიდვები რუსეთიდან სომხეთისაკენ ბუნებრივი აირის ტრანზიტისა და ამ ქვეყნებს შორის შეზღუდული მოცულობის საქონლის ურთიერთმიწოდების სახით ხდება.

საქართველოს სატრანსპორტო მაგისტრალის ეფექტიანობა, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის ტრანსპორტის, როგორც ეროვნული ეკონომიკის პრიორიტეტული დარგის განვითარებას უკავშირდება, მაგრამ ეს მაგისტრალი ვერ იარსებებს მრეწველობის (მისი ინდუსტრიული ხასიათის გამო) და სოფლის მეურნეობის (სურსათით უზრუნველყოფის თვალსაზრისით) განვითარების გარეშე. იგივე შეეხება მშენებლობას, განათლებას (მაგისტრალის მომსახურე კადრების მომზადება), ჯანმრთელობის დაცვას (მაგისტრალის გასწვრივ და აგლომერაციულ ცენტრებში ჯანდაცვის ობიექტების განვითარება), ტურიზმს, მეცნიერებას (გამოყენები-

თი სამეცნიერო სამუშაოები მაგისტრალის სათანადო ტექნიკური დონის უზრუნველსაყოფად, ისტორიული, ეთნოგრაფიული, კულტუროლოგიური და ეკონომიკური კვლევები), კულტურას (ახალი „აბრეშუმის გზის“ გასწვრივ მდებარე ქვეყნების კულტურათა გაცნობა).

ასე, რომ „ევროპა-კავკასია-აზიის“ სატრანსპორტო მაგისტრალი საქართველოს ეკონომიკის ხერხემლის შემქმნელია და ამდენად იგი უშუალო სატრანსპორტო პრობლემატიკას სცილდება, რადგანაც მთელ ეროვნულ ეკონომიკას მოიცავს, მისი თითოეული დარგის განვითარების სტრატეგიას განსაზღვრავს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ სატრანსპორტო მაგისტრალის პრობლემა ჩვენი ქვეყნისთვის ზოგადეკონომიკური ხასიათისაა.¹ ამის გათვალისწინებით ყოველმხრივ უნდა ვცდილობდეთ მისი კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებასა და ამაღლებას, რისთვისაც ამ მაგისტრალის არამარტო სახელმწიფოებრივი მხარდაჭერაა აუცილებელი, არამედ სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების კოორდინირებული ურთიერთთანამშრომლობაც.

მართლაც, მიუხედავად იმისა, რომ „ტრასეკას“ მაგისტრალის საქართველოს მონაკვეთში სატრანზიტო ტვირთზიდვის მოცულობის დინამიკა ზრდის ტენდენციას იძენს, მთელი რიგი ნიშნების მიხედვით ამ მაგისტრალის საერთო კონკურენტუნარიანობა ქვეითდება. ეს ნიშნებია:

– საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდული სატრანზიტო ტვირთების მოცულობის შეზღუდვა 300 ათასი ტონით ნელინადში. ამის მიზეზია საზღვრის გადაკვეთის გართულებული პროცედურები და მოძრაობის შეფერხება პოლიციის მიერ. ამის გამო თურქულ კომპანიებს ირანზე გავლით გადაზიდვა (აზერბაიჯანისა და ცენტრალური აზიისკენ, რაც 500 კმ-ით უფრო გრძელია საქართველოს მარშრუტზე) 3-ჯერ უფრო იაფი უჯდებათ;

– ხისტი სატარიფო პოლიტიკა რუსეთსა და ირანზე გამავალი მაგისტრალის უფრო მოქნილ სატარიფო პოლიტიკასთან შედარებით, სადაც 1 კმ-ზე ტონა მშრალი ტვირთის გადაზიდვა 51,1, ხოლო საკონტეინერო გადაზიდვა – 63,3%-ით ნაკლები ჯდება;

– საპორტო მომსახურების გაუმართლებელად მაღალი ტარიფები შავი ზღვის კონკურენტ ნავსადგურებთან შედარებით და სხვა.

¹ ვ. პაპავა. *პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა. თბ., 2002, გვ. 417-418.*

სატრანზიტო ფუნქცია საქართველოს ერთ-ერთი უმთავრესი კონკურენტუნარიანი უპირატესობაა, რომელმაც გლობალიზაციის ეპოქაში ბუნებრივ-კლიმატურ პირობებთან, ინტელექტუალურ რესურსებთან და სხვა ფაქტორებთან ერთად ქვეყნის მდგრადი განვითარება უნდა უზრუნველყოს. ამის გათვალისწინებით, საქართველოს სატრანზიტო ფუნქციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მისი შემდგომი განვითარების თვალსაზრისით. ამასთან, მისი ეს ფუნქცია მკვეთრად ზრდის საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან გამოვლენილ ინტერესს. პერსპექტივაში სატრანზიტო მაგისტრალმა სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონების დემოკრატიზაციასა და საბაზრო ურთიერთობების პრინციპებზე დაფუძნებული რეფორმების გაღრმავებას უნდა შეუწყოს ხელი. აქედან გამომდინარე, საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის მნიშვნელობა სცილდება ქვეყნის ფარგლებს და ვრცელ, რეგიონულ განზომილებას იძენს.

სატრანზიტო ფუნქცია რეგიონული ინტეგრაციის ფაქტორიცაა. ევროპასა და აზიას შორის ურთიერთხელსაყრელი სავაჭრო ურთიერთობების განვითარება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში რეგიონული თანამშრომლობის განმტკიცებას. ეს განსაკუთრებით ეხება კასპიისპირეთიდან ენერგომატარებლების ტრანზიტს, რომელიც რეგიონში მყოფი სახელმწიფოების ეროვნული ინტერესების თანხვედრითაა განპირობებული.

საბოლოოდ, სატრანზიტო ფუნქციის გაძლიერება გლობალიზაციის პროცესებში საქართველოს ჩართვის მნიშვნელოვანი ფაქტორიცაა. ტვირთნაკადების, ინვესტიციებისა და ინფორმაციის გადაადგილების მოცულობისა და ტემპების ზრდასთან ერთად ამალღდება საერთაშორისო ეკონომიკაში საქართველოს ინტეგრირების ხარისხი, რაც განსაკუთრებით თანამედროვე სატელეკომუნიკაციო სისტემების ამოქმედების შემდეგ გახდება შესაძლებელი.

ამავე დროს, საქართველოს ბუნებრივი სატრანზიტო ფუნქციის როგორც მსოფლიო მეურნეობაში ქვეყნის ინტეგრირების წამყვანი ფაქტორის განმტკიცების მიზნით საჭიროდ მიგვაჩნია მთელი რიგი ღონისძიებების გატარება როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. კერძოდ:

I. ეროვნულ დონეზე

– უნდა შემუშავდეს საქართველოს სატრანზიტო ინფრასტრუქტურის სრულყოფის ერთიანი კონცეფცია;

– ამ კონცეფციის ბაზაზე დაიხვეწოს საკანონმდებლო ბაზა;

– დაჩქარდეს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დარგში საერთაშორისო შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების გაფორმება და საერთაშორისო კონვენციებთან მიერთება;

– დაჩქარდეს სატრანსპორტო სისტემაში მიმდინარე რეფორმა და შეიქმნას სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მართვის ერთიანი სისტემა;

– შემუშავდეს ტრანსპორტის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკასთან შეთანხმებული საბაჟო და საგადასახადო პოლიტიკა არსებული პროცედურების გამარტივების მიზნით და სხვა.

II. საერთაშორისო დონეზე

– პარტნიორ ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობით შემუშავდეს ერთიანი სტრატეგია რეგიონის სატრანზიტო რესურსების ეფექტიანად გამოყენების მიზნით;

– შეიქმნას სატრანსპორტო მაგისტრალის მონაცემთა საინფორმაციო ბაზა, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება გადანაცვლებების მიმღებთათვის, ექსპერტებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისთვის;

– შემუშავდეს სპეციალური პროგრამა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ინვესტორებთან ერთად, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოს სატრანზიტო ინფრასტრუქტურის სრულყოფისკენ მიმართული ძალისხმევის კოორდინირებას.

აღსანიშნავია, რომ ჩვენს დროში მნიშვნელოვნად დაჩქარდა ტვირთის ტრანსპორტირების პროცესი და შემცირდა მისი ღირებულება. დღევანდელ პირობებში მაქსიმალურადაა გაიაფებული, კერძოდ, ნავთობის გადაზიდვა ევროპასა და აშშ-ს შორის. ასეთ ვითარებაში საქართველოსთვის უდიდესი ეკონომიკური მნიშვნელობა ექნება საქონლის ტრანსპორტირების ხარჯების შემცირებას, რაც აამაღლებს ქვეყნის სატრანზიტო კონკურენტუნარიანობას და გატარებული ტვირთის მოცულობის გაზრდით დიდად შეუწყობს ხელს არსებული პრობლემების დაძლევას.

4.3. საერთაშორისო ეკონომიკური და საფინანსო ორგანიზაციების როლი საქართველოს ახალი სამეურნეო სისტემის ფორმირებაში

საერთაშორისო ეკონომიკურ და საფინანსო ორგანიზაციებს თანამედროვე პირობებში დიდი როლი ეკისრებათ საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა მთელი კომპლექსის განვითარებაში. ისინი, როგორც ზეეროვნული სტრუქტურები საგრძნობლად აიოლებენ ცალკეული ქვეყნებისა და რეგიონების სამეურნეო სისტემების ურთიერთმოქმედებას.

1980-90-იან წლებში ხსენებული საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობა შევიდა ახალ ფაზაში, რაც განაპირობა ტოტალიტარული რეჟიმების დამხობამ და კაცობრიობის გლობალური პრობლემების გამწვავებამ. მრავალი ქვეყნის მთავრობას არ აღმოაჩნდა თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა პრობლემების გადაჭრის უნარი, რის გამოც მათ დაიწყეს მრავალმხრივი კონსულტაციების და თანამშრომლობის მეთოდების შემუშავება.


ამჟამად ითვლიან ათასობით საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებიც მსოფლიოს ეკონომიკური აყვავებისა და კეთილდღეობის საკითხებზე მუშაობენ. ექსპერტთა აზრით, მათგან მხოლოდ ასამდეა ისეთი სტრუქტურა, რომლებიც შესამჩნევ გავლენას ახდენენ მსოფლიო ეკონომიკაზე. მათ შორის წამყვანი ადგილი გაეროს სისტემის სტრუქტურებს უჭირავს.

საქართველოს საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის უმთავრესი ამოცანის – მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში სრულფასოვნად ინტეგრირების – გადასაჭრელად აუცილებელია ქვეყნის სამეურნეო სისტემის განახლება, საბაზრო პრინციპებზე დამყარებული ურთიერთობების განვითარება და მათი ჰარმონიზება საერთაშორისო სტანდარტებთან. ამ მხრივ გარკვეული შედეგებია მიღწეული საერთაშორისო ეკონომიკურ და საფინანსო ორგანიზაციებთან მჭიდრო და აქტიური თანამშრომლობით. მათი კლასიფიკაცია 4.3-1 სქემაზეა მოცემული.

აღსანიშნავია, რომ ეს თანამშრომლობა საერთაშორისო სავალუტო ფონდთან (სსფ) საგრძნობლად შედეგიანია და იგი სულ უფრო მრავალმხრივ ხასიათს იძენს – რეკომენდაციებით დაწყებული და საქართველოს მთავრობისთვის მიზნობრივი სესხების გაცემით დამთავრებული.

სსფ დახმარებას ჩვენს ქვეყანას შემდეგი სამი ფორმით უწევს:

საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების ტიპები



1. რეკომენდაციებს აძლევს ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისთვის; 2. ეხმარება საგადასახდლო ბალანსის მოკლევადიანი სირთულეების დაძლევაში; 3. უწევს ტექნიკურ დახმარებას.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ პარტნიორობის განვლილ პერიოდში საქართველოს მთავრობისა და სსფ-ის თანამშრომლობა ძირითადად საგადასახდლო ბალანსის ნონასწორობისა და მშპ-ის მდგრადი ზრდის მიღწევის ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებითა და განხორციელებით გამოიხატება. კერძოდ, შესაბამის დოკუმენტებსა და პროგრამებში ჩამოყალიბებულია თანამშრომლობის ძირითადი მიზნები და მათი შესაბამისი პოლიტიკა. სამწუხაროდ, ეს მიზნები და პოლიტიკა ყოველთვის ვერ ხორციელდებოდა, რაც განსაკუთრებით 1998 წლის შემდგომ პერიოდს ეხება. მაგალითად,

ფონდთან შეთანხმებული პარამეტრების შეუსრულებლობის გამო საქართველოს შეუნყდა სტრუქტურული გარდაქმნების გაფართოებული მექანიზმის (სგგმ), ESAF-ის კრედიტის გამოყოფა, თუმცა, თანამშრომლობა სხვა სფეროებში გაგრძელდა.

2003 წლის დასაწყისისათვის სსფ-ის მიერ საქართველოსთვის განეული დახმარებისა და მიმდინარე პროექტების საერთო მოცულობამ დაახლოებით 466 მლნ. დოლარი შეადგინა. მათი ძირითადი შედეგებია ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო ღონისძიებების მთელი სპექტრის გატარება, ფასების ლიბერალიზება, საბაზრო საპროცენტო განაკვეთებზე გადასვლა, საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო ინსტიტუტების რეფორმირება, ეროვნული ვალუტის შემოღება, დამოუკიდებელი საფინანსო სისტემის შექმნა, მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევა. საერთოდ, ქვეყნის სამეურნეო სისტემის განვითარებაში სსფ-ის მიერ შეტანილ წვლილზე ერთგვარ წარმოდგენას გვიქმნის 4.3-1 ცხრილის მონაცემები.

1999 წლიდან სსფ-მა ESAF-ის მექანიზმი შეცვალა სიღარიბის შემცირებისა და ეკონომიკური ზრდის სესხით (PRFG). საქართველოში ეს პროგრამა დაეფუძნა ქვეყნის მიერ მიღებულ სიღარიბის შემცირების სტრატეგიას. სესხის მიზანია მაკროეკონომიკური, სოციალური და სტრუქტურული პოლიტიკის ხელშემწყობი პირობების შექმნა და ამის შედეგად – ეკონომიკური ზრდის დაჩქარება და სიღარიბის შემცირება. პროექტის მთლიანი მოცულობა შეადგენს 14.1 მლნ დოლარს, რომელიც 10 წელიწადში უნდა დაიფაროს. 2001 წლის განმავლობაში ქვეყანამ მიიღო სამი ტრანში (თითოეული – 12 მლნ დოლარის ოდენობით).¹

ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ სსფ-მა უდიდესი როლი შეასრულა საქართველოს საფინანსო სისტემის შექმნასა და მაკროეკონომიკური სტაბილურობის დამყარებაში. იგი საქართველოში ჯანსაღი საფინანსო-ეკონომიკური სისტემის შექმნის ხელშემწყობი და საიმედო საფინანსო გარანტია. ფონდთან თანამშრომლობის გააქტიურებას ისიც უნდა აძლევედეს საფუძველს, რომ ბოლო პერიოდში მისი პროგრამების შეცვლილი მიზნები და მოქმედების ახალი ტაქტიკა ქვეყანაში სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური განვითარებისკენაა მიმართული.

¹ საერთაშორისო თანამეგობრობა და საქართველო 1992-2002. დახმარების მოხილვა. თბ., 2002, გვ. 14-18.

სსფ-ის მიერ საქართველოსთვის განეული დახმარების მოკლე აღწერილობა

1. სისტემური ტრანსფორმაციის დაფინანსების საშუალება (STF) I	
<ul style="list-style-type: none"> - მთლიანი ღირებულება - პროექტის ხანგრძლივობა - პროექტის სტატუსი პროექტის ტიპი 	<p>39,8 მლნ. დოლარი 20.08.94 - 28.06.95</p> <p>დასრულებული საგადამხდელო ბალანსის მხარდაჭერა</p>
<p>მოკლე აღწერილობა: მიზანი - კიპერინფლაციისა და ეკონომიკური ვარდნის შეჩერება; ღონისძიებები - მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება, ფასების ლიბერალიზება, სენტრალური ბანკის რეფორმირება, პრივატიზების დაიქარება</p>	
2. Stand-By + სისტემური ტრანსფორმაციის დაფინანსების საშუალება (STF) II	
<ul style="list-style-type: none"> - მთლიანი ღირებულება - პროექტის ხანგრძლივობა - პროექტის სტატუსი - პროექტის ტიპი 	<p>98 მლნ. დოლარი 28.06.95 - 28.02.96</p> <p>დასრულებული საგადამხდელო ბალანსის მხარდაჭერა</p>
<p>მოკლე აღწერილობა: მიზანი - სტაბილიზაციის პროგრამის გატარება, ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეგულაციების შრდა, ახალი ვალუტის შემოღება, პრივატიზაციის გაღრმავება და საბაზრო ეკონომიკის საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბება</p>	

<p>3. სტრუქტურული გარდაქმნების დაფინანსების გაფართოებული შექანაში (ESAF) I</p>	<p>მთლიანი ღირებულება -პროექტის ხანგრძლივობა -პროექტის სტაგუსი -პროექტის ტიპი</p> <p>83,250 მლნ.დოლარი 28.02.96 - 24.03.97 დასრულებული სავადამსხდელი-ბალანსის მხარდაჭერა</p>	<p>4. სტრუქტურული გარდაქმნების დაფინანსების გაფართოებული შექანაში (ESAF) II</p> <p>მოკლე აღწერილობა: მიზანი - ეკონომიკური ზრდის მიღწევა 8-10%-ით, ინფლაციის შემცირება 15-20%-მდე, ეროვნული ბანკის სარეზერვო პოზიციების განმტკიცება, საბიუჯეტო დეფიციტის შემცირება, ღონისძიებები - მშპ-თან ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება 3,4%-მდე, ხოლო - შემოსავლების გაზრდა 6,7%-მდე.</p>	<p>მოკლე აღწერილობა: მიზანი - მშპ-ის 8-10%-იანი ზრდა, წლიური ინფლაციის შემცირება 10-12%-მდე, საერთაშორისო რეზერვების იმპორტის გაზრდა 2,5 თვის მოუყოლობამდე, ფისკალური დეფიციტის შემცირება 3,5%-მდე, ღონისძიება - მონეგარული პოლიტიკა, სტრუქტურული რეფორმები</p>	<p>5. სტრუქტურული გარდაქმნების დაფინანსების გაფართოებული შექანაში (ESAF) III</p> <p>მოკლე აღწერილობა: მიზანი - მშპ-ის ზრდა, ინფლაციის შემცირება წლიურ 10%-მდე, იფიციალური რეზერვების იმპორტის უზრუნველყოფა 2,3 თვის მოუყოლობით, ფისკალური დეფიციტის შემცირება მშპ-ის 2,5%-მდე, კერძო სექტორის განვითარება და ეკონომიკური ზრდის მსვლელობა, ღონისძიება - ურბანული და სამრეწველო მიწების პრიორიტეზი, მსხვილი საწარმოების განსახლებ-მწარმოების დაჩქარება, სავაჭრო მუშაულების გაუქმება, ენერჯო-სექტორის რესტრუქტურალიზაცია.</p>
<p>-მთლიანი ღირებულება -პროექტის ხანგრძლივობა -პროექტის სტაგუსი -პროექტის ტიპი</p>	<p>76 მლნ.დოლარი 26.03.97 - 28.06.98 დასრულებული სავადამსხდელი ბალანსის მხარდაჭერა</p>	<p>80 მლნ. დოლარი 28.06.98 - 01.09.99 დასრულებული სავადამსხდელი ბალანსის მხარდაჭერა</p>		

ამასთან, კვლავ გადაუჭრელი რჩება ისეთი მწვავე პრობლემები, როგორცაა სახელმწიფო ფინანსების სისუსტე, განსაკუთრებით – გადასახადების აუკრეფლობა, სოციალური დაცვის ჩამორჩენილობა, კორუფციის დაძლევის უუნარობა და სხვა. გადასახადების აკრეფის მდგომარეობის სიმწვავეს ასახავს ცხრილი 4.3-2.

ცხრილი 4.3-2

საგადასახადო შემოსავლები მშპ-ის მიმართ (%-ობით)

ნ.ლ.ები ქვეყნები	1993	1994	1995	1996	1997	1998	1999	2000
სომხეთი	16,0	15,8	16,2	16,2	17,1	19,3	16,3	-
აზერბაიჯანი	40,6	26,1	15,2	16,2	19,7	17,2	18,2	20,8
ბელორუსი	54,7	48,3	42,7	41,9	45,5	44,5	45,7	-
ესტონეთი	38,5	41,3	39,9	39,0				
საქართველო	3,4	4,2	5,1	8,1	13,0	13,2	14,2	14,1
ყაზახეთი	29,9	25,6	26,1	23,6				
ყირგიზეთი	24,6	20,8	16,7	17,0				
ლატვია	35,8	36,5	35,5	36,4	41,3	42,6	40,0	37,5
ლიტვა	31,5	32,7	32,8	30,0				
მოლდოვა	22,1	32,0	33,5	31,5	33,9	33,1	27,3	26,6
რუსეთი	36,2	34,6	27,9	24,7	30,8	26,2	28,8	32,2
ტაჯიკეთი	27,1	44,5	15,2	12,3	13,7	12,0	13,5	13,6
თურქმენეთი	19,2	10,4	12,5	15,1				
უკრაინა	42,8	44,3	38,5	37,2	38,8	36,0	34,7	34,4
უზბეკეთი	42,6	32,3	34,6	34,2				

წყარო: МВФ. Грузия. Последние сообщения в экономике и отдельные вопросы. 12 июня, 1998 г. с. 50; სსფ-ის ინტერნეტგვერდი: [www. iunt-org.lexte](http://www.iunt-org.lexte)

ცხადია, ქართველ მეცნიერ-ეკონომისტებს და ექსპერტებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ის არაერთი ძირითადი ნაკლი, რომლებიც საქართველოში სსფ-ის მოღვაწეობას ახლდა თან. მათ შორის უნდა გამოვყოთ საქართველოს თავისებურებების გაუთვალისწინებლობა, შექმნილი საგადასახადო სისტემის მოუქნელობა და ტრანსფორმაციული პროცესებისადმი პროფილაქტიკური მიდგომის დაკნინება. „აქედან ჩანს, რომ სსფ-ს არ პქონდა საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა სრულყოფილი შესაძლო ვარიანტული გათვლები და წინგამსწრები სტრატეგია მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების თავიდან აცილებისათვის“.¹

გარდა ამისა, ფონდის ბევრი რეკომენდაცია ბოლომდე მისაღები არაა ქართული მხარისათვის. დაშვებულია პრინციპული ხასიათის მქონე რამდენიმე შეცდომაც. ეს ეხება რუბლის ზონაში ყოფნის პრობლემას (1992 წ.), „ნულოვანი ვარიანტის“ საკითხს (1993 წ.), ეროვნული ბანკის რესურსებით ლარის მხარდაჭერის საკითხს (1998 წ.), დამსჯელი ფუნქციების მქონე ანტიკორუფციული ორგანოს შექმნას (1999 წ.), მთავრობის მიერ ელექტროენერჯის ტარიფის 0,3-0,7 თეთრით გაზრდის რეკომენდაციას (რაც თვით სსფ-ის რეკომენდაციას ეწინააღმდეგება დამოუკიდებელი მარეგულირებელი კომისიის შექმნის შესახებ)² და სხვა.

ამის მიუხედავად, ჩვენც ვეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ სსფ-თან თანამშრომლობას დღეს ალტერნატივა არ გააჩნია, თუმცა აუცილებელია მნიშვნელოვანი კორექტივების შეტანა.

სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან განსაკუთრებით ნაყოფიერია მსოფლიო ბანკის ჯგუფთან თანამშრომლობა. მსოფლიო ბანკის მიერ აღებული ვალდებულებების მთლიანი მოცულობა 640 მლნ დოლარს აღემატება. 2002 წლის 1 ივლისის მდგომარეობით ათვისებულია დაახლოებით 460 მლნ. დოლარი, საიდანაც პირდაპირ სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაირიცხა 280 მლნ დოლარი. უკვე დასრულებულია 11 პროექტი: ტრანსპორტის რეაბილიტაციის, ენერგეტიკის რეაბილიტაციის, ნავთობის ინსტიტუციონალური მშენებლობის, სტრუქტურული გარდაქმნების ტექნიკური მხარ-

¹ თ. ბასილია, ა. სილაგაძე, თ. ჩიკვაიძე. პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. თბ., 2001, გვ. 447.

² ალიანსი, რომელსაც ალტერნატივა არ გააჩნია. ინტერვიუ ვლ. პაპავასთან. ფურნ. „ფული და პოლიტიკა“, № 0, აგვისტო, 2001 წ., გვ. 13-14.

დაჭერის და სხვა, ხოლო მომავალში ქვეყნის პრიორიტეტული დარგების გარდაქმნასა და განვითარებას ხელს შეუწყობენ ტყის მუდურნეობის განვითარების მხარდაჭერი, მუნიციპალური განვითარებისა და დეცენტრალიზაციის მეორე და ჯანდაცვის რეაბილიტაციის მეორე პროექტები.

საქართველოსთვის მსოფლიო ბანკის მიერ გაწეული დახმარების პრიორიტეტებია: 1. ფისკალური მართვის გაუმჯობესება მაკროეკონომიკური სტაბილურობის მისაღწევად; 2. სამენარემო საქმიანობაში სახელმწიფოს წარმმართველი როლის შემცირება; 3. გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მენეჯმენტის ხელშეწყობა; 4. კერძო სექტორის განვითარებისათვის საჭირო გარემოს გაუმჯობესება; 5. ადამიანისეული რესურსების განვითარება და სოციალური დაცვის უზრუნველყოფა.

მსოფლიო ბანკის საქმიანობაში საგრძნობი გახდა არასაკრედიტო დახმარების გაძლიერებაც. კერძოდ, 1998 წელს ბანკის დახმარებით ჩატარდა სიღარიბის შეფასება, 1999 წელს – საინვესტიციო კლიმატის გამოკვლევა, 2000 წელს – მთლიანი ბაზრის შესწავლა. დიდი მნიშვნელობა აქვს საკონსულტაციო ჯგუფის შეხვედრებს, რომელსაც მსოფლიო ბანკი სისტემატურად აწყობს საქართველოსთვის. ეს საგარეო დახმარების მობილიზებას უწყობს ხელს.

დაახლოებით ათი წლის მანძილზე მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოში გაწეულ მუშაობაზე ნათლად მეტყველებენ დასრულებული მნიშვნელოვანი პროექტები (ცხრილი 4.3-3)

მსოფლიო ბანკის მიმდინარე და დაგეგმილი პროექტებიდან აღსანიშნავია: განათლების სისტემის გარდაქმნის პროექტი (რომელიც 2001-2012 წლებს მოიცავს და 60 მლნ დოლარის ღირებულებისაა); ელექტროენერჯის ბაზრის მხარდაჭერი პროექტი (27,4 მლნ. დოლარი, 2001-2006 წლები); ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციების განვითარების პროექტი (95,13 მლნ დოლარი, 2001-2013 წლები); თბილისის წყალმომარაგებისა და სანიტარიის პროექტი (30-35 მლნ დოლარი, 2002-2007 წლები) და სხვა.¹

მსოფლიო ბანკთან თანამშრომლობა განსაკუთრებით გაძლიერდა 1995 წლის შემდეგ. თუ 1992-1995 წლებში მისგან მიღებული კრედიტების მოცულობა ცოტათი აღემატებოდა 103 მლნ დოლარს, 2000 წლის ბოლოსთვის ეს სიდიდე უკვე ნახევარ მილიარდს აჭარ-

¹ საერთაშორისო თანამეგობრობა და საქართველო. 1992-2002. დახმარების მიმოხილვა. თბ., 2002, გვ. 21-44.

მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოში განხორციელებული
ზოგიერთი პროექტის მოკლე აღწერა

1. საინსტიტუციო მშენებლობა	
<p>-მთლიანი ღირებულება -პროექტის ხანგრძლივობა -პროექტის სექტორი -პროექტის ტიპი</p>	<p>10 მლნ. ლლარი 507,94 - 506,98 სახელმწიფო სექტორი ფინანსური მხარდაჭერა</p>
<p>პროექტის მიზანს წარმოადგენდა დახმარება საინსტიტუციო ბაზის ფორმირებაში, რისთვისაც ითვალისწინებდა: 1. ფინანსური სექტორის რეფორმას; 2. ეკონომიკის მართვის გაუმჯობესებას და 3. პრივატიზაციის მხარდაჭერას.</p>	
2. სარეაბილიტაციო კრედიტი	
<p>-მთლიანი ღირებულება -პროექტის ხანგრძლივობა -პროექტის სექტორი -პროექტის ტიპი</p>	<p>7,5 მლნ. ლლარი 30,03,95 - 30,09,97 სახელმწიფო სექტორი ბიუჯეტის მხარდაჭერა</p>
<p>პროექტი მიზნად ისახავდა ეკონომიკური რეფორმების მხარდაჭერას, მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციას, ცხოვრების სტანდარტების გაუმჯობესებას, რისთვისაც ითვალისწინებდა: 1. ხარჯების ძირითადი ნაწილის დაფარვას სახელმწიფო შემოსავლებით; 2. სავალუტო ბაზრის ხელშეწყობას; 3. საცადამხდელი ბალანსის მხარდაჭერას; 4. უცხოური დახმარების მობილიზაციის პირობების შექმნას.</p>	

3. სტრუქტურული გარდაქმნის პირველი კრედიტი (SAC) I	
<p>-მთლიანი ღირებულება -პროექტის ხანგრძლივობა -სექტორი -პროექტის ტიპი</p>	<p>60 მლნ. დოლარი 18.04.96 - 31.12.97 სახელმწიფო სექტორი ბიუჯეტის მხარდაჭერა</p>
4. სტრუქტურული გარდაქმნის მეორე კრედიტი (SAC) II	
<p>-მთლიანი ღირებულება -პროექტის ხანგრძლივობა -სექტორი -პროექტის ტიპი</p>	<p>60 მლნ. დოლარი 5.09.97 - 5.12.98 ფინანსური სექტორი სახელმწიფო სექტორის რეფორმა</p>
5. სტრუქტურული გარდაქმნის მესამე კრედიტი (SAC) III	
<p>-მთლიანი ღირებულება -პროექტის ხანგრძლივობა -სექტორი -პროექტის ტიპი</p>	<p>60 მლნ. დოლარი 29.06.99 - 30.06.02 სახელმწიფო სექტორის რეფორმა ბიუჯეტის მხარდაჭერა</p>
<p>კრედიტის მიზნებს წარმოადგენდა მკაცრი მონეტარული პოლიტიკის გატარება და ფისკალური სისტემის გაუმჯობესება, სახელმწიფო სექტორის სტრუქტურული რეფორმა, ექსპორტის ხელშეწყობა და სხვა.</p> <p>კრედიტის მიზნები იყო საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მხარდაჭერა, კერძო სექტორის ხელშეწყობა, ფსიანი ქალაქების ბაზრის განვითარება და სხვა.</p> <p>პროექტის მიზანი იყო მთავრობის რეფორმის განხორციელების ხელშეწყობა, მაკროეკონომიკური დისბალანსის შემცირება და კერძო სექტორის განვითარება, რისთვისაც იგი ითვალისწინებდა: 1. ფისკალური შემოსავლების განმტკიცებას და მოსახლეობის დასუსტებული ფენების დახმარებას; 2. კერძო სექტორის განვითარებისათვის არსებული საკანონმდებლო და მარეგულირებელი სისტემების გაუმჯობესებას.</p>	

ბებდა. ამასთან, ყოველწლიურად მატულობს მსოფლიო ბანკის მიერ ძირითად კაპიტალში განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციები: თუ 1996 წელს იგი 13,7 მლნ დოლარი იყო, 2000 წელს მან 67 მლნ დოლარს გადააჭარბა, ანუ თითქმის 5-ჯერ გაიზარდა.¹

საქართველოსთან აქტიურად თანამშრომლობს, აგრეთვე, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი – ევრობანკი (EBRD). საქართველოში საქმიანობა მან ენერგეტიკის რეაბილიტაციის პროექტით დაიწყო, რომელსაც 1994 წელს მოაწერეს ხელი. 1994-1995 წლებში ევრობანკის საქმიანობა ჩვენს ქვეყანაში ფოკუსირებული იყო სახელმწიფო ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტებზე, მაგრამ 1996-1998 წლებში მისი ინტერესების სფერო გაფართოვდა და კერძო სექტორის შვიდი პროექტი მოიცვა ფინანსურ და სამრეწველო სფეროებში. 2000 წლის ბოლოს ევრობანკის მიერ აღებული მთლიანმა ვალდებულებამ 250 მლნ ევროს გადააჭარბა და ბანკის მთლიანი ვალდებულების 60,3% უკვე გამოყოფილი იყო. გარდა ამისა, ბანკმა მობილიზება გაუკეთა თითქმის 200 მლნ ევროს დამატებით თანხებს, საიდანაც 112 მლნ საქართველოს ნავთობსადენის პროექტისთვისაა განკუთვნილი. მანვე მოიზიდა დონორთა ტექნიკური დახმარების მნიშვნელოვანი ნაწილი – თითქმის 10 მლნ ევრო.

ევრობანკის საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა საბანკო სექტორის განვითარებისთვის ხელშეწყობა. ამ მხრივ იგი საქართველოს დაეხმარა მთელი რიგი საინვესტიციო პროექტებით. „საქართველოს ბანკსა“ და „გაერთიანებულ ქართულ ბანკში“ წილობრივი მონაწილეობის გზით ევრობანკმა ხელი შეუწყო სტანდარტებისა და კორპორაციული მართვის გაუმჯობესებას. მან მცირე და საშუალო ზომის საწარმოებზე კრედიტების გასაცემად უზრუნველყო მთელი რიგი ბანკები.

თბილისის აეროპორტსა და საქართველოს რკინიგზაში ინვესტიციების საშუალებით ევრობანკმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის განვითარებაში, რაც დადებით როლს ითამაშებს ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვის საქმეში. 2001 წლიდან ბანკის საქმიანობის პრიორიტეტებია ფინანსური სექტორი (საქართველოს საბანკო სექტორის განვითარება); მცირე და საშუალო საწარმოები (საკრედიტო ხაზები, პირდა-

¹ თ.ბასილია, ა.სილაგაძე, თ.ჩიკვაძე. პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. თბ., 2001, გვ.448-450.

პირი ინვესტირება, არაპირდაპირი ინფრასტრუქტურის პროექტები); ინფრასტრუქტურა (მისი კომერციალიზაცია); პრივატიზაცია ტელეკომუნიკაციების სფეროში; საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესება.

ევრობანკის ყველაზე მსხვილი პროექტებიდან აღსანიშნავია ენერგეტიკის რეაბილიტაცია (18,1 მლნ დოლარი), თბილისის აეროპორტის რეკონსტრუქცია (11 მლნ), გაერთიანებული ქართული ბანკი (7,5 მლნ), საქართველოს ბანკი (7 მლნ), ქსნის მინის ტარის ქარხანა (10 მლნ ევრო), ენგურის კაშხალისა და პესის რეაბილიტაცია (38,75 მლნ დოლარი), AES თელასი (30 მლნ დოლარი), ჩირაგის ადრეული ნავთობის ტრანსპორტირების რეგიონული პროექტი (200 მლნ დოლარი), MBG ბანკი (10,9 მლნ ევრო), შპს „JSC Channel Energy Poti Port“ (13,3 მლნ ევრო) და ა.შ.¹

საქართველოს სამეურნეო სისტემის განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) საქმიანობას. იგი დაფინანსების ერთ-ერთი უმსხვილესი წყაროა კერძო სექტორის განვითარებისათვის შექმნილი პროექტებისთვის. IFC ხელს უწყობს კერძო სექტორის განვითარებას შემდეგი ღონისძიებების განხორციელებით:

- კერძო სექტორის პროექტების დაფინანსება;
- კერძო კომპანიების დახმარება საერთაშორისო ფინანსური ბაზრებიდან დაფინანსების მოზიდვაში;
- მთავრობისა და ბიზნესისათვის რჩევების მიცემა და ტექნიკური დახმარების განწევა.

IFC-ის მიზანია ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა, ეკონომიკური ზრდისა და კაპიტალის ბაზრების სტიმულირება მის წევრ ქვეყნებში (საქართველო ამ კორპორაციაში 1995 წელს გაწევრიანდა) და მოგების მიღება. იგი ხელს უწყობს კერძო ინვესტიციების მოზიდვას, რისთვისაც აჩვენებს რეგიონში ინვესტიციის მომგებიანობის შესაძლებლობას.

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის პროექტებმა მოიცვა არაერთი მნიშვნელოვანი ობიექტი, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია: AES – თელასი (30 მლნ დოლარი), TBC – ბანკი (5,3 მლნ), ქსნის მინის ტარის ქარხანა (8,8 მლნ) და სხვ.²

1999 წლიდან საქართველოში საქმიანობას შეუდგა შავი ზღვის

¹ საერთაშორისო თანამეგობრობა და საქართველო. 1992-2002. დახმარების მიმოხილვა. თბ., 2002, გვ. 230-237.

² დასახელებული წყარო. გვ. 240-242.

ვაჭრობისა და განვითარების ბანკი (BSTDB), რომელიც აფინანსებს სიცოცხლისუნარიან და კომერციულად დასაბუთებულ პროექტებს და ხელს შეუწყობს საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებას. ბანკის საქმიანობა კონცენტრირებულია შემდეგ სფეროებზე: მცირე და საშუალო ზომის ინფრასტრუქტურული პროექტები, პორტები, ავიატრანსპორტი, ენერგეტიკა, მილსადენები, რეგიონული კავშირგაბმულობის ქსელი, ტელეკომუნიკაციები და საბანკო სექტორი. საქართველოში BSTDB-ის საკრედიტო პორტფელი 3,5 მლნ დოლარს შეადგენს. 2002 წლის მაისში ხელმოწერილი ურთიერთგაგების მემორანდუმის შესაბამისად დაიწყება საქართველოში ექსპორტის ხელშეწყობი პროექტი, რომლის ფარგლებშიც გამოვლინდება ქვეყნის საექსპორტო შესაძლებლობები და მისი დამაბრკოლებელი ფაქტორები, ჩამოყალიბდება ექსპორტის დაკრედიტების ან დაზღვევის სისტემა.¹

საქართველოში დღითიდღე ფართოვდება გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP). ჩვენს ქვეყანაში ამ პროგრამის უმთავრესი პრიორიტეტია მმართველობის გაუმჯობესება. მართვის რეფორმებში „UNDP“-ს საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულებაა შესაძლებლობათა ზრდა გადანაცვეტილების მიღების პროცესში.

ეკონომიკური რეფორმების სხვა მიმართულებებთან ერთად UNDP აქტიურადაა ჩაბმული და მხარს უჭერს მინის სრულმასშტაბიანი საკადასტრო სისტემის შექმნას. განსაკუთრებით აღსანიშნავია ხსენებული პროგრამის წვლილი ინვესტიციათა მოზიდვაში, რამაც ხელი შეუწყო რამდენიმე ერთობლივი საწარმოს ჩამოყალიბებას; რაც შეეხება UNDP-ს პარტნიორობას საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციასთან – სნსკ (GIOC), იგი ნათლად ასახავს იმ მნიშვნელობას, რასაც ეს პროგრამა ანიჭებს კერძო სექტორს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის.

საქართველოში არსებული საჭიროებიდან გამომდინარე, UNDP ორ ძირითად სფეროზე ამახვილებს ყურადღებას: 1. ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური მმართველობის გაუმჯობესება; 2. სიღარიბის დონის შემცირება. პირველის მიზანია მმართველობის ისეთი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც ანგარიშვალდებულებასა და კანონის უზენაესობაზე იქნება დაფუძნებული, მეორის კი – დასახმარებელი მიზნობრივი ჯგუფების განსაზღვრა და პრობლემის მოგვარებაში სამოქალაქო საზოგადოების ჩართვა.

¹ დასახელებული წყარო. გვ. 378

საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამის ყველაზე ძვირადღირებული პროექტები 4.3-4 ცხრილშია მოცემული.

გაეროს სხვა ორგანიზაციებიდან და სააგენტოებიდან საქართველოსთან თანამშრომლობით გამოირჩევიან გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი (UNHCR), სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაცია (FAO), მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM), ჰუმანიტარულ საკითხთა საკოორდინაციო ოფისი (UNOCHA), აგრეთვე, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO), გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF), გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA), გაეროს მოხალისეთა პროგრამა (UNV), გაეროს მსოფლიო სასურსათო პროგრამა (WFP), სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD).

ქვეყნის სამეურნეო სისტემის განვითარებაში საქართველოს წამყვან პარტნიორად კვლავ ევროკავშირი რჩება. საქართველოსა და ევროკავშირს შორის დღევანდელი ურთიერთობები 1996 წელს ხელმოწერილ „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას“ ემყარება, რომელიც განსაზღვრავს ორმხრივი თანამშრომლობის შემდეგ ძირითად მიზნებსა და ამოცანებს: ქვეყანაში დემოკრატიული პრინციპების, კანონიერებისა და ადამიანის უფლებების დაცვის მხარდაჭერა, აგრეთვე, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესების ხელშეწყობა.

1992-2000 წლებში საქართველომ ევროკავშირისგან მიიღო თითქმის 600 მლნ ევროს ოდენობის დახმარება, რომელიც შემდეგი პროგრამების ფარგლებში ხორციელდებოდა: „ტასისი“ (TACIS) – ახალ დამოუკიდებელ ქვეყნებსა და ევროკავშირს შორის ეკონომიკისა და პოლიტიკის დარგში ურთიერთობების ჰარმონიული განვითარების ხელშეწყობის ევროკავშირის ინიციატივა; სპეციალური ფინანსური მხარდაჭერა (EFA); სასურსათო უსაფრთხოება (FS); რეაბილიტაცია, სასაზღვრო მხარდაჭერა (SGBG) და ჰუმანიტარული მხარდაჭერა (ECHO).

„ტასისის“ ფარგლებში (დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლაში დახმარება) საქართველოს გრანტის სახით მიღებული აქვს 70 მლნ. ევროზე მეტი დახმარება და განხორციელებულია 250-მდე პროექტი ენერჯეტიკის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის, ადამიანთა რესურსების განვითარების, ტელეკომუნიკაციების და სხვა სექტორებში.¹

¹ დასახელებული წყარო. გვ. 46-72

ცხრილი 4.3-4
ბაეროს განვითარების პროგრამის ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი პროექტის მოკლე აღწერა

1. სახელმწიფო მართვის სისტემის რეფორმა	
<p>-მთლიანი ღირებულება -პროექტის ხანგრძლივობა -სექტორი -პროექტის ტიპი</p>	<p>726,9 ათ.დოლარი 16.11.94 - 15.11.99 სახელმწიფო სექტორის რეფორმა ტექნიკური დახმარება</p>
<p>პროექტით გათვალისწინებული იყო საქართველოს მთავრობისათვის დახმარება სახელმწიფო და სამოქალაქო სამოგალოების ინსტიტუტების მართვის პროგრამების შესაძლებლობათა განმტკიცებაში</p>	
2. სსე (GIOC)-ის შესაძლებლობათა გაძლიერება	
<p>-მთლიანი ღირებულება -პროექტის ხანგრძლივობა -სექტორი -პროექტის ტიპი</p>	<p>16,5 მლნ. დოლარი 1.01.96 - 30.06.05 ენერჯეტიკა ტექნიკური დახმარება</p>
<p>პროექტს ექნება როგორც ეკოლოგიური მნიშვნელობა, ისე სოციალურ-ეკონომიკური ეფექტი საქართველოში ეკონომიკის გამოცოცხლებაში</p>	
3. სახელმწიფო სისტემის სრულყოფა დემოკრატიული მმართველობის განვითარებისათვის	
<p>-მთლიანი ღირებულება -პროექტის ხანგრძლივობა -სექტორი -პროექტის ტიპი</p>	<p>1,7 მლნ. დოლარი 1.06.97 - 1.08.99 სახელმწიფო სექტორის რეფორმა ტექნიკური დახმარება</p>
<p>პროექტი მიზნად ისახავდა სახელმწიფო სისტემის მოდერნიზაციას და დემოკრატიული მმართველობის აღმინისტრირებას აღმასრულებელ ხელისუფლებაში. აგრეთვე უწყებათაშორისი ურთიერთობების სრულყოფას.</p>	

4. მიწის მართვის პროექტი

<p>-მთლიანი ღირებულება -პროექტის ხანგრძლივობა -სექტორი -პროექტის ტიპი</p>	<p>2,4 მლნ დოლარი 1.10.99 - 31.12.02 მიწის მართვა ტექნიკური დახმარება</p>	<p>პროექტის მიზანი იყო მიწის ბაზრის შექმნა, მიწის მართვის დეპარტამენტის შესაძლებლობის გაზრდა, კლასტრის, მიწის რეგისტრაციისა და დაბეგვრის სისტემების შექმნაში დახმარება.</p>
---	---	---

<p>5. გახანგრძლივებული ენერგეტიკული რესურსების ათვისების ხელშეწყობა</p>		
<p>-მთლიანი ღირებულება -პროექტის ხანგრძლივობა -სექტორი -პროექტის ტიპი</p>	<p>12,5 მლნ დოლარი 3 წელი გარემოს დაცვა, მეტაქვეობა, დასუღი ტერიტორიები ტექნიკური დახმარება</p>	<p>პროექტის მიზანია ადგილობრივი ენერგომომარაგების მიზნით განახლებადი ენერჯის გამოყენების გზაზე არსებული ძირითადი ბარიერების მოშლა.</p>

<p>6. საქართველოს ფინანსური სისტემის მოღერნიშაცია</p>		
<p>-მთლიანი ღირებულება -პროექტის ხანგრძლივობა -სექტორი -პროექტის ტიპი</p>	<p>1,3 მლნ დოლარი 1.09.01 - 30.09.03 მთავრობა და სახელმწიფო სექტორის რეფორმა ტექნიკური დახმარება</p>	<p>პროექტის მიზანია საქართველოს მთავრობის მიერ ფინანსური რესურსების მართვის გაუმჯობესება უწყებათაშორისი და შიდასაუწყებო კოორდინაციის გაუმჯობესების გზით.</p>

„ტასისის“ ეგიდით მიმდინარე პროექტებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია „ტასისის რეგიონული პროგრამები“, რომლებიც შემდეგ სამ სფეროზეა კონცენტრირებული: ა) კომუნიკაციები; ბ) გარემოს დაცვა; გ) იურისპრუდენცია. პროგრამა ხელს უწყობს საქართველოს ეკონომიკურ და სოციალურ ინტეგრაციას და თანამშრომლობის განვითარებას როგორც მის მონაწილე სხვა ქვეყნებთან, ისე ევროკავშირთან.

ამ თავის წინა პარაგრაფში უფრო დანერჩილებით განვიხილეთ ტრანსპორტისა და კომუნიკაციების დარგში საქართველოსთვის განუვლი დახმარება, რომელიც ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი სატრანზიტო ფუნქციის გაძლიერებას ემსახურება, აქ კი ჩამოვთვლით ევროკავშირის მიერ საქართველოში განხორციელებულ წამყვან პროექტებს:

– ენერგეტიკის სექტორის სტრუქტურული რეფორმების მხარდაჭერა;

– ნავთობისა და გაზსადენების ექსპლუატაციის სრულყოფა;

– დახმარება საქართველოს სათბობისა და ენერგეტიკის სამინისტროს;

– ენერგოეფექტურობის ცენტრის შექმნა და ბუნებრივი ენერგორესურსების შესწავლა;

– მხარდაჭერა საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციას;

– ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადამცემ მილსადენთა ქსელის აუდიტი;

– INOGATE-ს (ნავთობისა და გაზის საერთაშორისო ტრანსპორტირება ევროპისაკენ) მხარდაჭერი ჯგუფი;

– ნახშირწყალბადთა რესურსების შეფასება;

– კასპიის რეგიონიდან მილსადენების ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლა;

– ხორცის, რძის პროდუქტების, ბოსტნეულისა და საქონლის საკვების გადამუშავება;

– კომპლექსური დახმარება საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის;

– საცდელი კერძო ფერმერული ცენტრების ჩამოყალიბება;

– სოფლის მეურნეობის საკრედიტო ორგანიზაციის დაარსება;

– საპაერო გზათა პროექტი (მოძრაობის განვითარება და კადრების მომზადება);

– კავკასიის რკინიგზის აღდგენა;

– გზების ექსპლუატაცია;

– მართვის ეფექტურობის ამაღლების პროგრამა;

– ექსპორტის ხელშეწყობის სააგენტოს (GEPA) და საქართველოს საინვესტიციო ცენტრის (GIC) ხელშეწყობა და ა.შ.

ეს და სხვა პროექტები მიზნად ისახავდნენ ენერგეტიკის სექტორის რეფორმას, გაზისა და ნავთობის ტრანსპორტირებისთვის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას, ნოუ-ჰაუს გადმოცემას, რეგიონული გაზისა და ნავთობსადენების სისტემების ინტეგრაციას, რკინიგზის უზრუნველყოფას ოპტიკურ-ბოჭკოვანი საკომუნიკაციო სისტემებით, საერთაშორისო საგზაო ტრანსპორტის ტრანზიტის ხელშეწყობას, საქართველოსა და ევროკავშირს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების განხორციელების ხელშეწყობას და ა.შ. ცხადია, ყოველივე ამის შედეგად ჩქარდება საქართველოს სამეურნეო სისტემის განვითარება და მისი ინტეგრირება მსოფლიო სამეურნეო სისტემაში.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველო დიდი ეკონომიკური სიძნელების წინაშე აღმოჩნდა, მაგრამ საერთაშორისო საფინანსო და ეკონომიკური ორგანიზაციების დახმარებით შეძლო მოეხდინა საგარეო ვაჭრობის ღრმა ლიბერალიზაცია: გაუქმდა ექსპორტ-იმპორტის კვოტირება (გარდა სპეციფიკური საქონლისა) და ლიცენზირება, გაუქმდა საგარეო სავაჭრო კონტრაქტების რეგისტრაციის მოთხოვნა, შემცირდა აქციზური საქონლის ჩამონათვალი და სააქციზო განაკვეთები, იმპორტზე ტარიფის განაკვეთები დაწესდა საბაჟო ღირებულების 12 ან 5% ოდენობით. ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით საქართველოში გაუქმებულია საბაჟო გადასახადი ექსპორტზე, შემოღებულია მთელი რიგი შეღავათები საწარმოო დანიშნულების საქონლის იმპორტზე. ამგვარმა ლიბერალურმა სისტემამ კარგი წინამძღვრები შეუქმნა ვმო-ში საქართველოს გაერთიანებას. დღემდე ქვეყანაში განხორციელებულია მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები, რაც დიდად შეუწყობს ხელს ქვეყნის ინტეგრირებას ევროკავშირში.

ვმო-ში საქართველოს განეწვევებას, თავის მხრივ, უკვე მოჰყვა გარკვეული დადებითი ძვრები:

– გაძლიერდა საქართველოს ინტეგრაცია მსოფლიო სავაჭრო სისტემაში;

– საქართველომ მიიღო უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი ვმო-ს წევრი 144 ქვეყნის ბაზრებზე;

– აშშ-მ საქართველოს მიანიჭა განზოგადებულ პრეფერენცია-

თა სისტემის – გპს (GSP) ბენეფიციარის სტატუსი, რის შემდეგაც „GSP“-ს შეღავათები საქართველოზე გაავრცელეს პოლონეთმა და თურქეთმაც;

– გაუმჯობესდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა; საქართველოს გაუჩნდა პერსპექტივა გადაიქცეს მთავარ საინვესტიციო ხიდად იმ უცხოური კომპანიებისთვის, რომლებიც მზად არიან დაიწყონ ქვეყანაში წარმოება, ხოლო ექსპორტი განახორციელონ კავკასიის, შუა აზიის და სხვა მეზობელ ქვეყნებში და ა.შ.

ცხადია, სპეციალისტები იმასაც აღიარებენ (და ჩვენც ვიზიარებთ მათ ამ მოსაზრებებს), რომ ცალკეული დასახელების საქონელზე ზედმეტად დაბალმა საბაჟო ტარიფებმა (რომლებიც საქართველოს მხარის დათმობის შედეგია) შეიძლება გამოიწვიოს ზოგიერთი ადგილობრივი საქონელმწარმოებლის ინტერესების შელახვა მოჭარბებული იმპორტისგან დაცვის მექანიზმის უქონლობის გამო, მაგრამ ამის მიუხედავად, საერთაშორისო საფინანსო და ეკონომიკურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა დიდად უწყობს ხელს ასეთი პირობების შექმნას, რომელიც დასაბამს მისცემს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობას, მისი საექსპორტო პოტენციალის სრულად გამოყენებას და საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში საქართველოს სრულფასოვნად ინტეგრირებას.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების ახალი სტრატეგია და პერსპექტივა

5.1. არაორდინალური მიდგომების აუცილებლობა და სწრაფი გარღვევის სტრატეგია

გლობალიზაციის პროცესმა თავისებური ბიძგი მისცა განვითარების სხვადასხვა ფაზაში მყოფი ქვეყნებისა და რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური სისტემების დაახლოების იდეას გრძელვადიან პერიოდში ანუ, შეიძლება ითქვას, კონვერგენციის ტენდენციას (კონვერგენციის თეორიის ავტორია ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი ჯ. გელბრეიტი). ამის საფუძველია ღარიბი ქვეყნების განვითარების დაჩქარება, რასაც ხელს უწყობს ეკონომიკის ლიბერალიზაცია, ღია ეკონომიკის დამკვიდრება და კონკურენციის უზრუნველყოფა. მაგრამ გლობალიზაციას კონვერგენციასთან ერთად თან ახლავს დივერგენციული პროცესებიც, რომლებიც საპირისპირო შედეგებს განაპირობებს.

ქვეყნების განვითარებაში არსებული დიდი უთანაბრობა იმას მაჩვენებელია, რომ კონვერგენცია ჯერ მხოლოდ საწყის ეტაპზეა, ფრაგმენტაციას და ლოკალიზაციას კი კვლავ უზარმაზარი პოტენციალი აქვს შენარჩუნებული.

ასეთ პირობებში გარდაუვალი ხდება განვითარების ოპტიმალური სტრატეგიის განხორციელება, რომელიც გულისხმობს: განვითარების ნარსული გამოცდილების შეფასებას, ახალი სტრატეგიის მიზნების განსაზღვრას, მისი ძირითადი მიმართულებებისა და კონკრეტული ღონისძიებების დასახვასა და შესრულებას.¹

როგორც ცნობილია, გასული საუკუნის 70-იან წლებამდე სწრაფ ეკონომიკურ ზრდას უზრუნველყოფდა მსოფლიოში გაბატონებული კეინზური მიდგომა, რომლის მომხრეებიც უპირატესობას ანიჭებდნენ ერთობლივი მოთხოვნისა და ინვესტიციების სტიმულირებას, რისთვისაც აქტიურად იყენებდნენ ფინანსურ-საგადასახადო პოლიტიკას. მომდევნო პერიოდისათვის მიზანშეწონილი გამოდგა ეკონომიკური ზრდისა და განვითარების პოლიტიკა ნეოლიბერალური, მონეტარული დოქტრინის საფუძველზე (ე.წ. „ვა-

¹ თ.ბასილია, ა.სილაგაძე, თ.ჩიკვაძე. *პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე*. თბ., 2001, გვ. 49.

შინგტონის კონსენსუსის“ რეკომენდაციებით, რომლებსაც 90-იან წლებში იყენებდნენ როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებშიც). მაგრამ ამ პერიოდში მომხდარმა მეცნიერულ-ტექნოლოგიურმა რევოლუციამ და გლობალიზაციის პროცესებმა სახე უცვალა ეკონომიკური განვითარების მექანიზმს და აჩვენა, რომ ეკონომიკურ ზრდაში გადამწყვეტ როლს ასრულებს არამატერიალური წარმოება და ადამიანისეულ კაპიტალში განხორციელებული ინვესტიციების გაფართოება.

დაჩქარებულ განვითარებას იმ ქვეყნებმა მიაღწიეს, სადაც დროის შესაფერისი სტრატეგიის უმთავრესი ელემენტი – ტექნოლოგიური ცოდნის ათვისებაში კაპიტალის ზრდა გამოიყენეს (აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები).

ამდენად, ჩვენს დროში აუცილებელი გახდა „ვაშინგტონის კონსენსუსის“ რეკომენდაციების გადასინჯვა, რასაც შედეგად მოყვანოინსტიტუციონალიზმის გაძლიერება და ცვლილებების შეტანა საერთაშორისო ორგანიზაციების მოღვაწეობის სტრატეგიაში. აქ პირველხარისხოვანი მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ იმ ფაქტს, რომ განვითარების მთავარ მიზნად და, იმავდროულად, მთავარ ფაქტორადაც ადამიანის განვითარებაა აღიარებული.


თუ დავაკვირდებით ეკონომიკური განვითარების ძირითადი მოდელების ევოლუციას (სქემა 5.1-1), ნათლად დავინახავთ, რომ თანამედროვე გლობალური ეკონომიკის მართვის უმთავრესი საფუძველია თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის კლასიკური მოდელი.

XX საუკუნემ ნათლად დაადასტურა, თუ რამდენად რთული ფენომენია განვითარება. სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილას იგი მჭიდროდ იყო გადაჯაჭვული საბაზრო ეკონომიკის წარმატებასა თუ წარუმატებლობასთან, სახელმწიფოს როლის გააქტიურებასთან თუ შესუსტებასთან, ლიბერალიზაციისა და პრივატიზაციის ფართოდ განხორციელებასთან თუ შეჩერებასთან და სხვა. „ამიტომ ტრადიციული სტრატეგია, მარტივი ფრაგმენტული გადაწყვეტილებები... განვითარების პრობლემებს ვერ გადაწყვეტს. საჭიროა სახელმწიფოს, კერძო სექტორის, სამოქალაქო საზოგადოების, საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევის ერთდროული ოპტიმიზაცია, მათი ინტერესების თავსებადობა განვითარების რთული პრობლემების წარმატებით გადასაწყვეტად“.¹

განვითარების საკითხებისადმი არაორდინალურ მიდგომებს

¹ დასახელებული ნაშრომი. გვ.62.

ეკონომიკური განვითარების ძირითადი მოდელების ევოლუცია



წყარო: Погорлецкий А. Экономика зарубежных стран. Учебник. 2-е издание. Изд.-во "Михайлова В.А.", С.-Пб., 2001 с. 112.

ითხოვს ის სწრაფი ცვლილებები, რომლებიც თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში ხდება. თუ დავაკვირდებით, ამჟამად აშკარად ჩანს სხვადასხვა ცივილიზაციური ფორმებისკენ ლტოლვის სამი პოლუსი. პირველია განვითარებული პოსტინდუსტრიული სისტემა, რომელსაც გენეტიკური მიდრეკილება აქვს გაფართოებისა და არაინდუსტრიული სისტემების შთანთქმისაკენ. მეორე პოლუსია ეთნონაციონალური სისტემები, სადაც განვითარების მთავარი ორიენტირი ცხოვრების ეთნონაციონალური გარემოს შენარჩუნებაა, რის გამოც ისინი ფრთხილად ითვისებენ ინდუსტრიულ კომპონენტებს. ესაა ისეთი შეურიგებელი ორი პოლუსი, რომელთაგან პირველი არღვევს ადამიანის საარსებო გარემოს და ძირს უთხრის მის ეთნონაციონალურ ფესვებს, მეორე კი აფერხებს განვითარებას, ხელს უშლის ცივილიზაციისთვის პირობების შექმნას და ცხოვრების ხარისხის კვლავწარმოებას. მაგრამ ჩნდება მიზიდულობის მესამე ცენტრიც, რომელიც ასახავს პოსტინდუსტრიალიზმიდან ნეოეკონომიკაზე გარდამავალ ეტაპს ანუ მნიფდება ეთნოეკონომიკური სისტემები.

ზემოაღნიშნულ ცივილიზაციურ გრადაციას შეესაბამება სამი განსხვავებული ზონა:

პირველ ზონაშია ოცზე მეტი განვითარებული ქვეყანა და ის ახალი ინდუსტრიული ქვეყნები, რომლებშიც პოსტინდუსტრიალიზმი ნთქავს ეთნონაციონალურ სისტემებს. ამის სანაცვლოდ ახალი ინდუსტრიული ქვეყნები შეზღუდულად (ან სულაც ვერ) მონაწილეობენ მსოფლიო შემოსავლის განაწილებაში, რაც ადასტურებს პოსტინდუსტრიალიზმისკენ მათი ლტოლვის აბსურდულობას.

მეორე ზონას შეადგენს აღმოსავლეთის დესპოტიები. პოსტინდუსტრიალიზმის მიმართ იმუნიტეტის გასაძლიერებლად აქ მიზანმიმართულად ნერგავენ ეთნონაციონალურ სისტემებს და აქცენტს გეოეკონომიკასა და სამხედრო ფაქტორზე აკეთებენ. ამის ნიმუშია ქუვეითისა და ერაყის კრიზისები; მსოფლიო ისტორიაში პირველად პოსტინდუსტრიალიზმი უარს ამბობს გაფართოების ფარულ მეთოდებზე და სამხედრო ძალით უპირისპირდება ეთნონაციონალურ სისტემებს.

მესამე ზონის ჩამოყალიბება მაშინ იწყება, როცა კვლავწარმოებითი ციკლები გასცდება ეროვნულ საზღვრებს და მსოფლიო პოლიქრომულ ეთნონაციონალურ სისტემებში იწყებს დანერგვას. მიგვაჩნია, რომ ახლა სწორედ ამ პროცესის გააქტიურების პერიოდი დადგარა. ეთნოეკონომიკური სისტემების კერებიდან შეი-

ძლება დავასახელოთ იაპონია, ტაივანი, რუსეთი, მთლიანად პოსტ-საბჭოური სივრცე. აქ იაპონიას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, რის გამოც შეგვიძლია ვისაუბროთ იაპონურ ეთნოეკონომიკურ რენესანსზე.

მსოფლიოს განვითარების ზოგად ტენდენციებს ესა თუ ის ცივილიზაციური პარადიგმა გამოხატავს. თანამედროვე მსოფლიო პოსტინდუსტრიალიზმის აყვავების ერაა. გეოეკონომიკური სივრცე „ინოვს“ ამ შეფერილობას და თამაშის გარკვეულ წესებსაც ლეზბულობს. ამდენად, გეოეკონომიკურ სივრცეში ნებისმიერი ეროვნული ეკონომიკის ქცევა ცივილიზაციური განვითარების პოსტინდუსტრიულ მოდელის, მისი უმაღლესი – ტექნოლოგიური ფაზის მკაცრი წესებითაა ნაკარნახევი.

გეოეკონომიკურ სივრცეში მყოფ არცერთ ქვეყანას არ შეუძლია გაექცეს ტექნოგენური გავლენის ძალას. ქვეყანა ან ინტერნაციონალიზებული კვლავნარმოებითი ბირთვის სისტემაში თავსდება და ასე იგდებს ხელთ მსოფლიო შემოსავლის მიღების გასაღებს (ე.ი. თვითონ კარნახობს თავის პირობებს), ან ამ სისტემის გარეთ რჩება, მას ემსახურება და გეოეკონომიკური ომების ობიექტი ხდება.

და მაინც ეს ვითარება ფატალური არაა. ნებისმიერი ეროვნული ეკონომიკა ქმნის შემდგომი განვითარების ტრამპლინს.

მსოფლიო თანამეგობრობა ნაბიჯს დგამს დროის ახალი მოთხოვნებისკენ – გეოეკონომიკური სივრცე თანდათანობით იხევს უკან ქანცგამომცლელი ტექნოგენური ცივილიზაციური კოორდინატებისგან.

ცივილიზაციური განვითარების თანამედროვე ჰორიზონტი ახალ, ნეოეკონომიკურ ელფერს აძლევს XXI საუკუნის გეოეკონომიკურ სივრცეს. ეს სივრცე იცვლება, ამასთან, იცვლება გეოპოლიტიკურ და გეოსტრატეგიულ სივრცეებთან მისი დამოკიდებულება, აქედან გამომდინარე კი იცვლება ეროვნულ მეურნეობათა ურთიერთობების მთელი სისტემა გარე სამყაროსთან და ერთმანეთთან.

განვითარების ახალი ცივილიზაციური მოდელის – ნეოეკონომიკურის – გაჩენა პოსტინდუსტრიული მოდელის წიაღში მომხდარი ის სიღრმისეული ცვლილებაა, რომელზეც არ შეიძლება რეაგირება არ მოახდინონ ეროვნულმა მეურნეობებმა, როგორც გლობალური სისტემის განუყოფელმა ნაწილებმა და გარე სამყაროსთან მათი ურთიერთქმედების მოდელებმა. XXI საუკუნის დასაწყისისათვის გეოეკონომიკურმა სივრცემ არსებითად შეავი-

ნროვა გეოპოლიტიკა და გეოსტრატეგია და გაბატონებული მდგომარეობა დაიკავა. მრავალი ქვეყნისათვის გეოეკონომიკური მიდგომა გარე სამყაროს მიმართ ეროვნული სტრატეგიის ფორმირების დროს გამოყენებული მთავარი მიდგომა გახდა.

მოახლოებული ცივილიზაციური მოდელის ზემოქმედებას ყველაზე მეტად განიცდის მსოფლიო ეკონომიკური სისტემა. იგი გარდაიქმნება გეოეკონომიკურ სივრცედ, რომელშიც ახალი სტრუქტურები ჩნდება და გეოეკონომიკური მიდგომა უპირატეს ფუნქციას იძენს. მრავალი ეროვნული ეკონომიკა მზად არაა ასეთი ცვლილებებისათვის, რადგან მათი ეროვნული საგარეო-ეკონომიკური სისტემები (ინსტიტუტები) არ შეესაბამება მსოფლიო ტენდენციებს (ეროვნული ეკონომიკის საფუძველია მოძველებული სავაჭრო-საშუამავლო დოქტრინა თავისი მომარაგება-გასაღების რუდიმენტებით). ამის გამო მათ არ ძალუძთ გადაჭრან სტრატეგიული ამოცანები ახალ გლობალურ ეკონომიკურ სისტემაში, რომელიც მსოფლიო წონასწორობისკენ მიისწრაფვის. ამიტომ ეროვნული მეურნეობები „ვარდებიან“ მსოფლიო განვითარების კონტექსტიდან და დაქვემდებარებულთა რიგებში გადადიან.

ამგვარად, გლობალური მსოფლიო განვითარებისგან იზოლაციაში მოქცეული ეროვნული ეკონომიკა ხანგრძლივად იფიტება, როდესაც:

- სავაჭრო მოდელს სტრუქტურულ კრიზისში შეჰყავს ეკონომიკა – მძიმე მანქანათმშენებლობის, ტრანსპორტის და ეკოლოგიის ჩათვლით;

- ნადგურდება ეროვნული მანქანათმშენებელი კომპლექსების სარესურსო ბაზა და მიმდინარეობს მრავალი ქვეყნის დეინდუსტრიალიზაცია;

- მსოფლიო კვლავწარმოებითი ინტერნაციონალიზებული ბირთვები, რომლებსაც ეროვნული რესურსები კვებავენ (საგარეო ვაჭრობისა და ფინანსების გადინების გზით), იმავდროულად გზას უღობავს ქვეყნების უმრავლესობას თავიანთი ტრანსნაციონალიზებული ბლოკებისაკენ, აქედან კი – მსოფლიო შემოსავლისაკენ;

- მრავალი ეროვნული ეკონომიკა იძულებულია საგარეო კრედიტები მიიჩნიოს „ნასესხებ“ სახსრებად და არა მსოფლიო შემოსავლის იმ წილად, რომლის ფორმირებაშიც თვითონ მონაწილეობს. იზრდება საგარეო დავალიანება, მის გადასახდელად კი საჭირო ხდება ნედლეულის ექსპორტის მატება. ეკონომიკა მანკიერ წრეში ექცევა.

ნებისმიერი ეროვნული ეკონომიკა ცდილობს თავი დააღწიოს

ამ წრეს, წინ გაუსწროს მოვლენებს და მსოფლიო ეკონომიკური თანამეგობრობის მიერ აღიარებული პარტნიორის როლში მოასწროს ახალ გეოეკონომიკურ წონასწორობასთან მისვლა, ხმაამალა გამოაცხადოს თავისი ეროვნული ეკონომიკური ინტერესები.

ეკონომიკური განვითარების ეროვნული მოდელების შემქმნელებს კარგად აქვთ გაცნობიერებული, თუ რამდენად აუცილებელია ახალი ეროვნული საგარეო-ეკონომიკური დოქტრინის მიღება და მისი რეალიზაციის სტრატეგიული არსენალის შემუშავება. ამ დოქტრინას საფუძვლად უდევს გეოეკონომიკური მიდგომა – ეროვნული ეკონომიკის შეზრდა გეოეკონომიკურ სისტემაში, რაც მიზნად ისახავს მსოფლიო შემოსავლის ფორმირებასა და განაწილებაში სრულყოფილებიანად მონაწილეობას მაღალი გეოეკონომიკური ტექნოლოგიებისა და მსოფლიო გეოეკონომიკურ სივრცეში ფუნქციონირების საფუძველზე.

ნეოეკონომიკური მოდელი ახალ მიდგომებს გეთავაზობს ისეთი ეკონომიკური კატეგორიების მიმართ, როგორცაა მსოფლიო ბაზარი და მსოფლიო ფასები, ეროვნული უშიშროება, ეროვნული ინტერესები და სხვა. უკვე დადგა ის დრო, როდესაც თამამად უნდა ვთქვათ უარი მრავალ მითზე და ახალ სიბრტყეში განვიხილოთ ეს კატეგორიები.

მრავალი ქვეყანა, უპირველეს ყოვლისა – ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნები, პრაქტიკულად არასოდეს გამოდიოდა მსოფლიო ბაზარზე საკუთარი ეკონომიკის ტრანსნაციონალიზების შიშის გამო. ეს ტენდენცია ჩვენს დროშიაც გრძელდება. მსოფლიო კვლავწარმოებითი პროცესებისგან მონყვეტამ კი ის გამოიწვია, რომ პოსტსაბჭოური სივრცის ქვეყნები გამოდიოდნენ და გამოდიან არა მსოფლიო, არამედ საგარეო ბაზარზე და ნედლეულს, ენერგორესურსებსა და, ნაწილობრივ, ნახევარფაბრიკატებს აწვდიან მას არა მსოფლიო ფასებით, არამედ მომარაგება-გასაღების ფასებით. ამგვარად, საგარეო ვაჭრობის ეს მოდელი ეროვნული შემოსავლის გადინების არხს წარმოადგენდა. ნეოეკონომიკური მოდელის ფარგლებში ეროვნული მეურნეობები უკვე აღარ ურიგდებიან ასეთ ვითარებას და ახალი ეროვნული საგარეო-ეკონომიკური დოქტრინებით ქვეყნები აღწევენ თავიანთი პრობლემების მოქცევას მსოფლიო ეკონომიკური სისტემის ყურადღების ცენტრში.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ გლობალურ ეკონომიკურ სისტემაში საქართველოს დამკვიდრების პერიოდს ახასიათებს ეროვნული ეკონომიკის

არაადეკვატურობა თანამედროვე საგარეო-ეკონომიკურ სფერო-ში წამყვანი მნიშვნელობის მქონე მრავალი პარამეტრის მიხედ-ვით, მისი მოუშზადებლობა საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის უფრო ეფექტიანი ფორმების გამოყენებისთვის. ეს განაპირობებს საქართველოს ახალი საგარეო-ეკონომიკური დოქტრინის შე-მუშავების აუცილებლობას, რისთვისაც თავდაპირველად პასუხი უნდა გავცეთ შემდეგ პრინციპულ კითხვებს:

– როგორი იქნება ახალი დოქტრინის შექმნის წყაროები და პრინციპები?

– განვითარების რომელი გლობალური ტენდენციებია მთავარი ამ დოქტრინის ჩამოყალიბებისათვის?

– ხომ არ არის საქართველოში ისეთი პროცესები, რომლებიც თვითონ განსაზღვრავენ გლობალური განვითარების შემდგომ მს-ვლელობას?

რაც შეეხება მსოფლიო სამეურნეო სისტემაში ქვეყნის სტრატე-გიული გრძელვადიანი ქცევის დოქტრინას, მისი ცალკეული ფრაგ-მენტები უნდა გამომდინარეობდეს ასევე პრინციპული მნიშვნე-ლობის მქონე შემდეგი ორი მომენტიდან:

I. უმაღლესი რანგის სტრატეგიული მიზანი უნდა იყოს მსოფ-ლიო შემოსავლისაკენ გზის გაკვლევა;

II. უნდა მოხდეს ცივილიზაციური განვითარების ნეოეკონო-მიკურ მოდელზე დაჩქარებულად გადასვლა.

საქართველოს განვითარების ახალი მიმართულებების ფორმი-რების სტრატეგიული ამოცანა დაუყოვნებლივ მოითხოვს ეკონო-მიკური განვითარების შესაძლო სცენარების განჭვრეტას. ეს შესა-ძლოა იყოს ან განვითარების თვითმყოფადი, უაღრესად ეროვნუ-ლი გზა, ან განვითარება რომელიმე დასავლური მოდელის მიხედ-ვით და ა.შ.

პროფესორ რ.ბასარიას დასკვნით, „განვითარებული საბაზრო ეკონომიკის დასავლურ ქვეყნებთან შედარებით ჩვენი ქვეყნის მაკ-როეკონომიკურ პოლიტიკაში უფრო მეტად სჭირდება გათვალ-ისწინება განაწილებით ურთიერთობებში სამართლიანობის პრინ-ციპების დაცვას, ე.ი. ეს ურთიერთობები ჩვენთან შეედურ მოდელს უფრო უნდა უახლოვდებოდეს, ვიდრე, ვთქვათ, ამერიკულს. მარ-თალია, ეს ეკონომიკის აღორძინება-განვითარებას ერთობ შეანე-ლებს (დაახანებს), მაგრამ გარდამავალ პერიოდში ასეთი ქმედე-ბა აუცილებელია ზედმეტი სოციალური პრობლემების თავიდან აცილების მიზნით. ამ კონცეფციის მიღების შემთხვევაში აუცილე-

ბელია ხელისუფლების ქვეყა-მენტალიტეტის შვედურ ხასიათზე „კორექტირება“.¹

მიგვაჩნია, რომ თუკი ქვეყანა ვერ ასცდა პოსტინდუსტრიული განვითარების კალაპოტს, იგი განვითარების გლობალური კანონზომიერებების „კუდში“ მოექცევა. ეს მოხდება არამარტო იმის გამო, რომ პოსტინდუსტრიული მოდელის ათვისებაა ძნელი, არამედ უფრო იმიტომ, რომ უკვე თვით პოსტინდუსტრიული მოდელი ამთავრებს თავის არსებობას. საბედნიეროდ, ჩვენმა ქვეყანამ ჯერ კიდევ ვერ მოასწრო გადასულიყო პოსტინდუსტრიული განვითარების ბოლო – ტექნოგენურ სტადიაზე, რის გამოც მას შეუძლია პარმონიულად გადავიდეს ცივილიზაციური განვითარების ახალ მოდელზე, ხოლო განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობების შექმნის შემთხვევაში ამ პროცესის ლიდერიც კი გახდეს. „მან უნდა იაროს ყოველგვარი სხვისი მოდელების კოპირების გარეშე... სრულად ახალი საზოგადოებრივი სისტემისაკენ, ვიდრე ამჟამად სწამე არსებობს“ – გთავაზობს პროფესორი გ. მალაშხია.²

ამავე დროს, ცხადია, რომ ახალი მოდელი პოსტინდუსტრიალიზმიდან უნდა ამოიზარდოს. ამდენად, ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში ფორსირებულად უნდა დაინერგოს პოსტინდუსტრიული მოდელის ცენტრალური კომპონენტები: ჩამოყალიბდეს მმართველობითი ისტებლიშმენტი, ეკონომიკის საკვანძო წერტილებში გატარდეს ტექნოლოგიური რევოლუციები, ხელი შეეწყოს პრიორიტეტულ სფეროებს და იმ პროექტებს, რომლებიც განვითარების „მტიკინული“ წერტილების გაჯანსაღების კენაა მიმართული და ა.შ.

პროფესორ ნ. სანთელაძის აზრით, „შერჩევითი სტრატეგიის პრინციპით გამოყოფილი უნდა იქნეს მრეწველობის ის დარგები და წარმოებანი, აგრეთვე მეურნეობის სხვა სფეროები, რომლებშიც დაგროვილია საკმაოდ მძლავრი პოტენციალი და რომლებსაც სწრაფი ზრდის უკეთესი პირობები გააჩნიათ. მათ მიმართ უნდა გატარდეს სანაცხის სპეციალური სახელმწიფო პროგრამები, აგრეთვე მოქნილი პროტექციონისტული საბაჟო პოლიტიკა, რომელიც, განსაკუთრებით პირველ ხანებში, დაიცავს შიდა ბაზარს და

¹ რ. ბასარია. საზოგადოებრივი მენტალიტეტი და საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პრობლემები საქართველოში. იხ.: სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნათა სტრატეგია და ტაქტიკა გარდამავალ პერიოდში (საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმის მასალები), თბ., „დიოგენე“, 1997, გვ. 53.
² გ. მალაშხია. საქართველოს ეკონომიკა. საუკუნოვანი პანორამის შტრიხები, თბ., 2002, გვ. 87

სამამულო საქონელმწარმოებელს უცხოურ კონკურენტებთან ბრძოლაში“.¹

სინამდვილეში ეკონომიკური პროცესები საქართველოში ისე წარიმართა, რომ ქვეყნის ეკონომიკური სისტემა არც შეედურ მოდელს მიახლოებია და არც სწრაფი ზრდის უკეთესი პერსპექტივის მქონე სანარმოებისთვის მიუღიათ და გაუტარებიათ რეალური შედეგების მომტანი პროგრამები და პოლიტიკა. ამან, თავის მხრივ, საკმაო ვადით შეაყოვნა სწრაფი ეკონომიკური აღმავლობის დაწყება.

თანამედროვე მსოფლიოში რეალურად დადგა საფინანსო-სამრეწველო ჯგუფების (განსაკუთრებით – ტრანსნაციონალურის) ბატონობის ერა. გასული საუკუნის მეორე ნახევარში მრავალმა ქვეყანამ სწორედ მათი მეშვეობით მიაღწია სწრაფ ეკონომიკურ ზრდას. ამიტომ რადიკალურად უნდა შეიცვალოს მათ მიმართ დამკვიდრებული მიდგომა. „როგორც მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, ასეთ გაერთიანებებს ძალუძთ ბევრი მნიშვნელოვანი პრობლემის წარმატებით გადაწყვეტა, კერძოდ, ეკონომიკის პრიორიტეტული დარგებისა და პროექტების დაფინანსება, სანარმოთა სიმძლავრეების დატვირთვა, გასაღების ტრადიციული ბაზრების შენარჩუნება და ახლების ძიება, პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება“.²

სრულიად რეალურად მიგვაჩნია ნეოეკონომიკურ მოდელზე გადასვლა, როდესაც იშვიათი გამოწვევების გარდა პრაქტიკულად არ არსებობს ჩაკეტილი ეკონომიკური სისტემები.

აღნიშნულ მოდელზე გადასვლისათვის აუცილებელია ქვეყანას გააჩნდეს ამის პოლიტიკური ნება, შესაბამისი ეკონომიკური სტრატეგია და მის ფარგლებში განსაზღვრული პრიორიტეტები. კონკრეტულად, ეს უნდა იყოს ქვეყნის ეკონომიკის დარგების ორიენტაცია მეცნიერებატევად მაღალ ტექნოლოგიებზე შესაბამისი ინფრასტრუქტურით, ადამიანური რესურსებითა და მენეჯმენტის სისტემით.

ჩვენ არაერთხელ გავუსვით ხაზი, რომ ამის განხორციელებითვისათვის საჭირო სათანადო საბაზო ინტელექტუალური შესაძლე-

¹ ნ. სანთელაძე. *მაკროეკონომიკური რეგულირების სტრატეგია და სამრეწველო პოლიტიკა გარდამავალ პერიოდში*. იხ.: *სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნათა სტრატეგია და ტაქტიკა გარდამავალ პერიოდში (საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმის მასალები)*, თბ., „დიოგენე“, 1997, გვ. 59.

² დასახელებული ნაშრომი. გვ. 61.

ბლობები ქვეყანას გააჩნია. არსებობს რთული სამეცნიერო და სანარმოო-ტექნოლოგიური სისტემების ექსპლუატაციის, მომსახურებისა და მართვის ტრადიციები, კულტურა, მენტალური ჩვევები, ამას პლუს საერთო ეროვნული ფასეულობები, რაც მთლიანობაში სერიოზული საფუძველია ნეოეკონომიკურ მოდელზე გადასასვლელად, უსაფრთხო და მდგრადი სისტემის შესაქმნელად.

დღეს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების წახალისებისა და მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებთან მისი მჭიდროდ დაკავშირების ერთ-ერთ ეფექტიან საშუალებად სპეციალური ეკონომიკური ზონების (სეზ-ების) ამოქმედება მიგვაჩნია. თუმცა, აქვე იმის აღნიშვნაც აუცილებელია, რომ სეზ-ების ფუნქციონირებას განსხვავებული შედეგები მოაქვს ამა თუ იმ ქვეყნისათვის მისი ეკონომიკური განვითარების დონის შესაბამისად. ამასთან, ჩვენ არ ვუპირისპირდებით იმ მოსაზრებას, რომ ზონის შექმნა უპრობლემო არ იქნება საბაზრო ეკონომიკის მყარი პოზიციის უქონელ, პოლიტიკურად და ეკონომიკურად არასტაბილურ საქართველოში.

ამჟამად მეცნიერები, სპეციალისტები, ექსპერტები თუ მკვლევარები სადაოდ არ ხდიან იმ ფაქტს, რომ „...თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნა და ოფშორული ბიზნესი კეთილმყოფელ გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე უცხოური ინვესტიციებისა და ტექნოლოგიების მოზიდვით, საექსპორტო პოტენციალის გაზრდით, საგადამხდელო ბალანსის გაუმჯობესებით, დასაქმების ზრდით, სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლებით, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების აქტივიზაციით“.¹ სწორედ ამ შედეგებითაა განპირობებული აღნიშნული ზონების რაოდენობის სწრაფად ზრდა ჩვენს დროში, როდესაც მათმა რაოდენობამ კარგა ხანია გადააჭარბა 4 ათასს, უკვე ამ საუკუნის დასაწყისში კი მათი მეშვეობით განხორციელებული საერთაშორისო საქონელბრუნვის მოცულობას, ექსპერტთა შეფასებით, შესაბამისი მსოფლიო მოცულობის თითქმის 30%-ისათვის უნდა მიეღწია.²

სეზ-ების მქონე მრავალი ქვეყნის თანამედროვე ცხოვრების დონის ანალიზის საფუძველზე ქართველი მკვლევარები იმ დასკვნამდე მიდიან, რომ „...საქართველოს ეკონომიკის განვითარების ერთ-

¹ ნ. ტერაშვილი, ა. კირვალიძე. საქართველოს ოფშორული ტერიტორიები და მათი გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ბიულეტენი №54, 2001, გვ. 47.

² Сергеев Е. Ю. Междунородные экономические отношения. Курс лекций. М., Информационно-внедренческий центр "Маркетинг", 2000, с. 162.

ერთი საფუძველი და გამოსავალი სწორედ ასეთი ზონების შექმნაა. მითუმეტეს, რომ ჩვენი ქვეყანა, თავისი გეოგრაფიული მდებარეობით აკმაყოფილებს ყველა იმ მოთხოვნას, რომელიც ამგვარ ზონებს ნაეყენებათ. აქედან გამომდინარე, ეჭვს აღარ ინვევს, რომ ჩვენს სახელმწიფოში ეკონომიკური კრიზისის დაძლევის ერთ-ერთი გამოსავალი სწორედ ამ კუთხით სპეციალური კანონმდებლობის მიღება და მისი პრაქტიკული ამოქმედებაა.¹

საქართველოში შეიძლება შეიქმნას შემდეგი ტიპის თავისუფალი ეკონომიკური ზონები:

- სანარმოო ზონები. ამისათვის ხელსაყრელი პირობებია თბილისის ზოგიერთ რაიონში, რუსთავეში, ქუთაისში, ფოთსა და ბათუმში;

- სამეცნიერო-ტექნიკური პარკები (საბურთალოს რაიონი თბილისში და ქუთაისი);

- საგარეო ვაჭრობის ზონები (საზღვრისპირა ქალაქებში);

- ტურისტულ-რეკრეაციული ზონები (გუდაური, ბორჯომი, ბახმარო, აჭარა, აფხაზეთი);

- უნივერსალური (მრავალპროფილიანი) ზონები (ქუთაისი, ფოთი, რუსთავი, ბათუმი, თბილისის ცალკეული რაიონები).²

აღნიშნული მნიშვნელოვანი საკითხი წლების მანძილზე ვერ წყდება არა ეკონომიკური მიზანშეუწონლობის, არამედ პოლიტიკურ მოსაზრებათა გამო. საქმე ისაა, რომ „მიუხედავად თავისუფალი ეკონომიკური ზონების დაუკანონებლობისა, დღეისათვის საქართველოში არსებობს სივრცეები და ტერიტორიები, სადაც ფაქტიურად უკვე ჩამოყალიბებულია ოფშორული ზონებისთვის დამახასიათებელი პრინციპები. ასეთად მოიაზრება აფხაზეთის, ცხინვალის რეგიონისა და აჭარის ტერიტორიები“.³

აფხაზეთსა და ცხინვალში წარმოებულ „ბიზნესიდან“ მიღებული შემოსავალი გავლენიან „კრიშა“-მენილეებს შორის ნაწილდე-

¹ ა. გოგიტიძე. სპეციალური ეკონომიკური ზონის საკანონმდებლო საფუძველები. ჟურნ. „გადასახადები“, № 7, 2003, გვ. 6.

² ნ. ტერაშვილი, ა. კირვალიძე. საქართველოს ოფშორული ტერიტორიები და მათი გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ბიულეტენი №54, 2001, გვ. 48 (თუმცა, პროფ. ვლ. პაპაევას დასკვნის თანახმად, „...საქართველოში ტერიტორიული პრინციპით კლასიკური ტიპის თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნა მიზანშეუწონელია“ – იხ. ვლ. პაპაევა. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა. თბ., 2002, გვ. 327).

³ დასახელებული ნაშრომი. გვ. 50.

ბა, უკვე დამკვიდრებული სისტემის რღვევა კი ხელისუფლებაში მოკალათებული არაერთი ჩინოვნიკისა და არაფორმალური ჯგუფის ინტერესებს ეწინააღმდეგება.

1990-იანი წლების დასაწყისიდან აქტუალური იყო თავისუფალი ეკონომიკური ზონების საკითხი, მაგრამ ქვეყნის სათავეში ძალადობით მოსული ხელისუფლების პოლიტიკურმა ამბიციურობამ და კორუმპირებულობამ, შეიძლება ითქვას, შეინირა იგი, ხოლო დღეს კი ეს თემა საერთოდ დახურულადაა გამოცხადებული.

საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მოხსენების თანახმად, სეზ-ების შექმნა თურმე „...ხელს უწყობს კუთხურობისა და სეპარატიზმის გაღვივებას“, ხოლო „საერთაშორისო პროექტების განხორციელება მაქსიმალურად საჭიროებს ერთიან სახელმწიფოებრივ პოლიტიკასა და კონტროლს, რაც თავისთავად გამორიცხავს ქვეყანაში „იზოლირებულ“ ტერიტორიების არსებობას“.¹ და ეს იმ დროს, როდესაც საქართველოს კონსტიტუციის მესამე მუხლში აღიარებულია ქვეყანაში განსაკუთრებული ეკონომიკური ზონების აუცილებლობა, მსოფლიო ბანკის ექსპერტებმა კი ჯერ კიდევ 1996 წელს სპეციალურად საქართველოსათვის შეიმუშავეს კანონპროექტი „თავისუფალი ეკონომიკური ზონების შესახებ“.

2003 წელს პარლამენტში იხილებოდა კანონპროექტი „სპეციალური ეკონომიკური ზონების შესახებ“, რომელზეც ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე მუშაობდა სპეციალური სამთავრობო კომისია. ამ კანონის მიღება და ამოქმედება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ფინანსური და ტექნოლოგიური პრობლემების მოგვარებას, ქვეყანაში თანამედროვე სიმძლავრეების შექმნას, მოსახლეობის დასაქმებას, მათი კვალიფიკაციის და სანარმოო კულტურის დონის ამაღლებას, ცხოვრების გაუმჯობესებას.

ცხადია, მარტო თეზ-ების ამოქმედება არაა საკმარისი კრიზისის დაძლევისა და ეკონომიკური განვითარების ახალ ფაზაში გადასვლისათვის (იგი მხოლოდ ერთ-ერთი მიმართულებაა), საჭიროა კომპლექსური ღონისძიებების გატარება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ თანამედროვე მსოფლიოში მოვლენები სწრაფად ვითარდება, მაგრამ უდაოა ისიც, რომ ხშირად არაპროგნოზირებადია და შეუძლებელია ყოველთვის რაიმე სტან-

¹ საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მოხსენება საქართველოს ტერიტორიაზე თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნის მიზანშეწონილობის შესახებ, თბ., 2001, გვ.7.

დართული პროგრამებით მოქმედება. აქედან გამომდინარე, ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური ნონასწორობის მიღწევის მიზნით აუცილებელია არაორდინალური მიდგომების გამოყენება და თამამად აქცენტის აღება სწრაფი გარღვევის სტრატეგიაზე.

სწრაფი გარღვევის სტრატეგიის გამოყენების აუცილებლობას განაპირობებს შიდა (ქვეყანაში არსებული საერთო მდგომარეობა, მშპ-ის სტრუქტურა, ცხოვრების დაბალი დონე) და გარე (ევროკავშირში შესვლის კრიტერიუმები) ფაქტორები, რომელთაც კარგად ახასიათებს 1990-2003 წლების სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, სხვადასხვა ქვეყნების მშპ-ის სტრუქტურა და დინამიკა, ევროკავშირში შესვლისათვის განსაზღვრული ე.წ. „კოპენჰაგენის კრიტერიუმები“ (ცხრილები: 5.1-1; 5.1-2, 5.1-3).

ცხადია, ევროკავშირში გაერთიანების სტრატეგიული მანძიდან გამომდინარე საქართველოს სერიოზული ძალისხმევა დასჭირდება, რათა შეძლოს ამისათვის დაწესებული ე.წ. „კოპენჰაგენის კრიტერიუმების“ დაკმაყოფილება.

როგორც 5.1-2 ცხრილში მოყვანილი შედარებებიდან ჩანს, მეტი წილი მაჩვენებლების მიხედვით საქართველო, რბილად რომ ვთქვათ საკმაოდ შორს დგას „კრიტერიუმებით“ მოთხოვნილი სიდიდეებისაგან – ეს განსაკუთრებით ეხება მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებულ მშპ-ს, მასში ინვესტიციების ხვედრით წილს, ბიუჯეტის დეფიციტს, საგარეო ვაჭრობას, მათ შორის ევროკავშირთან.

ქვეყანაში უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს მშპ-ის მოცულობის არსებითად გადიდებას, საგადასახადო შემოსავლების მატებას, ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებას, სამრეწველო, უპირატესად კი საექსპორტო, დარგების განვითარებას.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, საქართველო 1990 წლისათვის საშუალოდ განვითარებული ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანა იყო, რადგანაც მშპ-ის მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზეც და ერთ მუშაკზეც 2 ათას დოლარს აღემატებოდა. 1995 წლამდე ეს მაჩვენებლები კატასტროფულად მცირდებოდა და ამ წელს მან მინიმალური დონე – 1990 წლის მიმართ 17,86% შეადგინა. დსთ-ის სივრცეში ამგვარი ვარდნა უპრეცედენტო აღმოჩნდა. სხვა ქვეყნებიდან ყველაზე დიდი დაქვეითება ყირგიზეტში აღინიშნა და ისიც მხოლოდ 32,44%-მდე. რაც შეეხება მთლიანად პოსტსოციალისტურ ქვეყნებს, მათგან დაქვეითება ყველაზე მეტად ლიტვამ განიცადა, რომლის მშპ-მა 1990 წლის დონის მხოლოდ 30,41% შეადგინა.

საქართველოს ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ინდექსები
(პროცენტობით)

მაჩვენებლები	1990	1991	1992	1993	1994	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003
მოსახლეობა წინა წლის მიმართ 1990=100	100,0	100,5	100,3	97,8	97,4	97,2	97,5	97,5	98,8	99,2	99,2	99,2	99,3	99,3
მ. შ.პ. წინა წლის მიმართ	84,9	78,9	55,1	70,7	91,1	102,5	111,1	110,5	103,1	102,9	101,8	104,8	105,5	108,6
1990 წლის მიმართ	100	78,9	43,5	30,7	28,0	28,7	31,9	35,3	36,4	37,4	38,1	39,9	42,1	45,7
1990 წლის მიმართ ერთ სულზე	100	73	44	32	30	31	36	40	42	43	44	47	50	55
მრეწ. შ.პ. წინა წლის მიმართ	94,5	77,8	54,4	63,3	60,7	86,3	108,4	108,2	98,2	107,4	110,8	95,0	107,0	114,8
1990 წლის მიმართ	100	77,8	42,3	26,8	16,3	14,1	15,3	16,6	16,3	17,5	19,4	18,4	19,7	22,6
1990 წლის მიმართ ერთ სულზე	100	74	32	27	19	19	21	23	22	23	24	24	26	29
ს. შუენ. შ.პ. წინა წლის მიმართ	100	79,6	77,8	90,8	109,0	109,4	104,5	103,9	93,3	107,9	85,8	109,8	100,1	105,2
1990 წლის მიმართ	100	79,6	61,9	56,2	61,2	67,0	70,0	72,7	67,9	73,2	62,8	69,0	69,0	72,6
1990 წლის მიმართ ერთ სულზე	100	83	52	32	31	29	30	32	30	33	29	32	31	34
ინვესტიციები ძირ. კაპიტალში 1990 წლის მიმართ	85,6	27,9	32,1	37,3	99,1	150,7	106,4	152,0	180,0	62,0	102,0	110,7	118,3	167,6
1990 წლის მიმართ	100	27,9	9,0	3,3	3,3	5,0	5,3	8,1	14,5	9,0	9,2	10,2	12,0	20,2
საერთო სარგებლობის ტრანსპორტის ტურთბრუნვა 1990 წლის მიმართ	98,8	83,3	61,5	84,6	77,1	58,2	47,8	80,8	173,5	87,1	55,3	101,5	113,6	105,8
1990 წლის მიმართ	100	83,3	52,2	43,3	33,4	19,4	9,3	7,5	13,0	11,3	6,3	6,4	7,2	7,6
საერთო სარგებლობის ტრანსპორტის მგზავობის რუნვა 1990 წლის მიმართ	100,1	85,1	38,2	70,1	99,3	100,0	100,5	123,7	110,1	103,6	104,9	103,1	103,6	104,7
1990 წლის მიმართ	100	85,1	32,5	22,8	22,6	22,6	22,7	28,1	31,0	32,1	33,7	34,7	36,0	37,7
საგარეო სავაჭრო ბრუნვა 1990 წლის მიმართ					100	111,8	162,0	133,4	90,8	76,8	119,2	102,3	107,4	139,2
1990 წლის მიმართ					100	11,8	18,1	24,1,6	219,4	168,5	200,9	205,5	220,7	307,1
საჯალო ვაჭრობის მოცულობა 1990 წლის მიმართ						100	121,8	127,4	118,2	104,4	111,9	107,3	103,7	108,7
1990 წლის მიმართ						100	36,5	45,1	49,0	58,3	64,8	98,3	101,6	105,9

წყარო: საქართველოს სტატისტიკის სახელმძღვანელო დეპარტამენტის ინფორმაცია

შპს დინამიკა 1991-2002 წწ. (1990=100%) სხვადასხვა ქვეყნებში

ქვეყნები	1991	1992	1993	1994	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002	მინ.დონე 1991-2001წწ.
დსთ. ქვეყნები													
აზერბაიჯანი	104,8	76,96	74,36	57,48	47,59	44,40	44,53	48,98	52,61	58,45	64,23		44,40
ბელორუსი	99,0	89,69	80,72	66,92	59,09	61,15	72,65	78,76	81,43	86,16	90,21		59,09
თურქმენეთი	104,8	89,18	92,74	89,89	65,36	47,07		47,07
მოლდოვა	88,9	64,80	65,0	46,99	45,16	42,22	41,25	38,57	37,26	38,04	40,36		37,26
რუსეთი	92,0	75,44	64,80	51,25	49,56	47,58	48,48	46,11	48,60	52,97	55,62		46,11
საქართველო	77,4	41,95	30,79	18,56	17,86	19,23	20,79	21,39	22,04	22,45	23,51		17,86
სომხეთი	52,3	47,81	42,88	45,11	45,79	46,24	46,80	50,22	51,88	54,94	59,94		42,88
ტაჯიკეთი	96,4	73,07	67,37	50,25	43,42	34,82	33,95	35,75	37,07	38,72	42,71		33,95
უზბეკეთი	101,5	94,69	98,09	99,66	99,76	105,75	112,62	117,58	122,75	127,42	133,15		94,69
უკრაინა	95,2	89,10	81,97	39,59	52,44	49,77	48,87	47,94	47,85	50,67	55,28		39,59
ყაზახეთი	99,1	85,42	75,78	52,32	48,03	48,18	50,39	48,43	49,74	52,67	59,78		48,03
კორეის ბათი	99,7	73,37	54,81	39,46	32,44	35,29	36,78	39,59	41,06	43,48	45,79		32,44
სხვა ყოფილი სოც. ბანაკის ქვეყნები													
ბულგარეთი	77,8	65,42	58,29	60,92	64,21	63,63	...	65,79	67,50	71,42	...		58,29
ესტონეთი	92,8	59,76	48,58	47,12	48,02	49,41	54,85	57,43	56,80	60,44	60,70		47,12
ლატვია	99,4	69,48	56,48	56,20	52,66	53,40	56,65	53,86	58,92	62,81	67,52		52,66
ლიტვა	95,2	64,97	44,59	30,41	32,02	32,91	33,14	34,83	33,22	34,42	36,42		30,41
პოლონეთი	92,0	94,57	72,32	81,07	88,93	96,31	106,71	111,94	117,04	121,89	123,23		72,32
რუმინეთი	80,4	62,71	63,02	65,10	71,22	78,20	73,59	70,05	68,37	69,53	73,22		62,71
სლოვაკეთი	62,2	51,25	43,87	39,30	41,86	45,33	46,47	48,37	49,34	50,43	52,09		39,30
ჩეხეთი	78,4	72,20	68,45	69,82	75,89	80,98	84,62	83,60	83,67	84,44	87,47		68,45
უნგრეთი	87,7	73,77	76,65	83,62	87,55	90,53	100,31	105,72	110,48	116,23	120,64		73,77

წყარო: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაცია

კოპენჰაგენის კრიტერიუმები
(ევროკავშირში შესვლისათვის)

№	მაჩვენებლები	ზღვრული	ფაქტობრივად საქართველოში		
			2000წ.	2001წ.	2002წ.
1	მშპ-ის საშუალო წლიური მატება ბოლო 4 წელნადმდე, %	3,1	1,9	4,7	5,6
2	მშპ მოსახლეობის ერთ სულზე მსყიდ უნარ სტანდარტის (პარიტეტი) გათვალისწინებით (ევრო)	4900	2517	2560	
3	ინვესტ ნილი მშპ-ში, %	22,81	5,8	6,0	6,4
4	უცხ. ინვესტ. მოსახ. ერთ სულზე (ევრო)	83	75,3 ლარი	86,9 ლარი	103,9 ლარი
5	საგადასახადო შემოსავლები მშპ-ს მიმართ, %	32	11,6	14,4	14,1
6	ბიუჯეტის დეფიციტი, %	3,30	23,5	16,5	21,2
7	საგარეო ვალები მშპ-ის მიმართ, %	36	51	49,0	48,9
8	უმუშევრობის დონის მკაცრი კრიტერიუმი, %	10,90	10,3	11,1	12,6
9	საშ. თვიური ნომინალური ხელფასი, შრ უნაროანი მამაკაცის საარ. მიმართ, %	100	72,0	92,3	91,0
10	ინვესტიციები მრეწ. სფეროში ინვესტიციების საერთო მოცულობის მიმართ, %	39	15,7	26,0	11,4
11	სამრეწ. საქ. წარმოების მატება, %	4,3	11	-5,0	7,0
12	მრეწველობის ნილი მშპ-ის მიმართ, %	27	13,7	12,2	12,7
13	ექსპორტი მოსახლეობის ერთ სულზე (ევრო)	476	71,2	69,5	76,1
14	ექსპორტი მშპ-ის მიმართ, %	47,7	32,6	30,3	28,9
15	ექსპორტით იმპორტის დაფარვა, %	74,6	50,6	46,7	47,6
16	ევროკავშირთან საქსპორტო ვაჭრობის ნილი ვაჭრობის საერთო მოცულობაში, %	43,6	21,3	18,0	17,2

წყარო: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

შენიშვნა: მოცემული მაჩვენებლები გაანგარიშებულია ევროკავშირში განწერიანების კანდიდატების (კერძოდ, ბულგარეთის, ლატვიის, ლიტივის, რუმინეთის და სლოვენის) საშუალო პარამეტრების მიხედვით. მომავალში, საერთაშორისო ეკონომიკური განვითარების ტენდენციების შესაბამისად შეიძლება მოხდეს მათი გამკაცრება.

1995 წლის შემდეგ საქართველოში გამოიკვეთა მშპ-ის ზრდის ტენდენცია, თუმცა მას მკვეთრი უთანაბრობა, მაკრო და მიკრო-ეკონომიკური დისპროპორციების კვლავწარმოება და დაბალშემოსავლიანი დარგების წილის ზრდა ახასიათებდა. ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისათვის, მდგრად განვითარებაზე გადასვლისა და პრევენციული ეკონომიკის ჩამოყალიბებისათვის სწორედ მათი დაძლევაა აუცილებელი.

აქედან გამომდინარე, სწრაფი გარღვევის სტრატეგიამ უნდა მოიცვას: ეკონომიკური ზონების ამოქმედება, მდგრადი და უსაფრთხო განვითარების პროგრამის შედგენა-განხორციელება, პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილიზაცია, ცხოვრების მაღალი დონის მიღწევა, დემოგრაფიული მდგომარეობის გაჯანსაღება და ა.შ. ამასთან, უსაფრთხო და მდგრადი განვითარების საყრდენად უნდა მივიჩნიოთ სოციალურ-ეკონომიკური წონასწორობის უზრუნველყოფა, ანუ სოციუმსა და ეკონომიკას შორის ისეთი თანაფარდობის ჩამოყალიბება, რომელიც დასავლურსა და აღმოსავლურ ცივილიზაციებში არსებულ მიღწევებსა და პროგრესულ იდეებს ემყარება – აქ იგულისხმება სოციოკულტურული ფასეულობების განმტკიცება-განვითარება, ადამიანის უფლებათა დაცვა – სიტყვის თავისუფლებასთან ერთად მოქმედების თავისუფლების დამკვიდრება, ინტელექტუალური თუ ფიზიკური საქმიანობის განხორციელებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა-გაუმჯობესება, სახელმწიფოს ეკონომიკური საქმიანობის დინამიურობა შემოსავლების გადანაწილებაში.

სწრაფი გარღვევის სტრატეგიის ფუძემდებლურ პრინციპებად უნდა განვიხილოთ:

ა) განვითარების მიღწეული დონის, უპირველესად, ინტელექტუალური პოტენციალის, ცოდნის, როგორც ბაზისური რესურსის გამოყენება;

ბ) გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური მდგომარეობის გამოყენება;

გ) ტოლერანტიზმის, ცივილიზაციებთან ურთიერთობისა და თანაარსებობის (საქართველოში არასოდეს ყოფილა კანიბალობა, ანტისემიტიზმი, ინკვიზიცია, შოვინიზმი...), როგორც ისტორიულად დამკვიდრებული ცხოვრების წესისა და გამოცდილების გამოყენება;

დ) ჩამოყალიბებული საერთაშორისო კავშირების და მეზობელ სახელმწიფოებთან კეთილმეზობლური ურთიერთობების გაღრმავება;

ე) სწრაფვა ნაციონალური თანხმობისაკენ – პოლიტიკური. დაძაბულობის შესუსტება, სოციალურ-ეკონომიკური წონასწორობის მიღწევა, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.

სტრატეგიული მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვან საშუალებად მიგვაჩნია ობიექტურ მონაცემთა ბაზაზე შემუშავებული ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური გეგმის, როგორც მექანიზმის გამოყენება.

ქვეყანაში უნდა დამთავრდეს განვითარების სტრატეგიის ნაცვლად ტაქტიკაზე აქცენტის გადატანის მანიკიერი პრაქტიკა. აუცილებელია დამუშავდეს და გამოიკვეთოს, თუ, როგორი უნდა იყოს რეგიონულ და გლობალურ სივრცეში საქართველოს ეკონომიკური ფუნქცია.

5.2. უსაფრთხო და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის ეკონომიკური და პოლიტიკური ასპექტები

გლობალიზაციის ეპოქაში ეროვნული მეურნეობის განვითარება შეუძლებელი გახდა მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში დამკვიდრებული ტენდენციების გათვალისწინების გარეშე, მაგრამ როგორც უკვე არაერთგზის მივუთითეთ, ეკონომიკაზე გლობალიზაციის პროცესის ზეგავლენა წინააღმდეგობრივი ხასიათისაა და მრავალ პრობლემას წარმოშობს.

გამორიცხული არაა ეკონომიკურად სუსტი ქვეყნების მეურნეობათა კონკურენტუნარიანობის დაქვეითება, მათი სიმდიდრისა და წამყვანი დარგების გადასვლა უცხოელთა ხელში, საბოლოოდ კი – განვითარებული ქვეყნების მიერ დანარჩენი ქვეყნების ექსპლოატაციის გაძლიერება. ამ საშიშროებამ ჩვენს დროში მწვავედ დააყენა გლობალიზაციის პროცესის მიზანმიმართულად წარმართვის პრობლემა, რის საპასუხოდაც მრავალ ქვეყანაში შეიმუშავეს მდგრადი განვითარებისა და ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფი პროგრამები.

პროფესორი ნ. ჭითანავა აანალიზებს საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების ზღვრულ მაჩვენებლებს 2000 წლისთვის და ასკვნის, რომ ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებას არამდგრადი ხასიათი აქვს. მისი ინდიკატორებიდან გამოყოფს ეროვნული ეკონომიკის დეზორგანიზაციას, საგარეო ვალების დიდ ოდენობას, ძველი ტექნოლოგიური ნყოების მაღალ ხვედრით წილს, უმუშევრობის მაღალ დონეს და სხვა.¹ შემდეგ, გლობალიზაციის თანამედროვე ტენდენციების და ქვეყნის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, აუცილებლად მიიჩნევს მდგრადი და უსაფრთხო განვითარების მიზნობრივი პროგრამის შედგენას, რომელშიც წამყვანი ადგილი ეკონომიკურ უსაფრთხოებას ექნება დათმობილი.²

ქართველი მეცნიერ-ეკონომისტები ჯერ კიდევ 1990-იან წლებში სვამდნენ ქვეყნის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების აუცილებლობის საკითხს და ამას მჭიდროდ უკავშირებდნენ საქართველოს სახელმწი-

¹ ნ. ჭითანავა. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. III ნაწ., თბ., 2001, გვ. 74.

² დასახელებული ნაშრომი. გვ. 75-76.

ფოებრივი ერთიანობის შენარჩუნება-განმტკიცების, მისი სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის პრობლემებს.¹

თანამედროვე ეფექტიანი, დინამიკური ეკონომიკური სისტემა სპონტანურად არ ყალიბდება და მას ერთიანი სახელმწიფოებრივი სტრატეგია და მენეჯმენტის სისტემა განსაზღვრავს. ეს განსაკუთრებით მწვავე პრობლემაა დღევანდელი საქართველოს პირობებში, როდესაც დარღვეულია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, არსებობს მძაფრი საზოგადოებრივი და პოლიტიკური დაპირისპირება და ვერ ხორციელდება სრულფასოვანი სახელმწიფოებრივი ფუნქცია.

აქედან გამომდინარე, ჩვენც ლოგიკურად და აუცილებლად მიგვაჩნდა და მიგვაჩნია ისეთი საკითხების გარკვევა, თუ როგორ შეიძლება შესუსტდეს ქვეყანაში არსებული მძაფრი საზოგადოებრივ-პოლიტიკური დაპირისპირება, როგორ მივალნიოთ სოციალურ-ეკონომიკურ წონასწორობას და როგორ უნდა მოხდეს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, რადგან ვფიქრობთ, რომ ეს საკითხები განუყოფლად უკავშირდება ქვეყნის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების საერთო პრობლემას.²

სავსებით სწორად მიუთითებდა პროფესორი თ. ჩიკვაიძე, რომ საქართველოს დღევანდელი მდგომარეობის გამომწვევ ობიექტურ თუ სუბიექტურ მიზეზთა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იყო განვითარების ერთიანი წინგამსწრები სტრატეგიის უქონლობა ეროვნული უსაფრთხოების სახელმწიფოებრივი პროგრამის სახით. არადა, წინგამსწრები სტრატეგიის განხორციელების აუცილებლობა დღეს საყოველთაოდაა აღიარებული. მართლაც, გაეროს სპეციალურმა გენერალურმა ასამბლეამ ჯერ კიდევ 1991 წელს მიიღო გადაწყვეტილება მსოფლიოსა და ცალკეული ქვეყნებისთვის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების პროგრამის შემუშავების შესახებ და მრავალი ქვეყანა უკვე ახორციელებს ასეთ პროგრამებს.³

დღეისათვის საქართველოში შემუშავებულია ქვეყნის ეროვნული უშიშროების კონცეფცია, რომელშიც გაცხადებულია მისი

¹ თ. ჩიკვაიძე. ახალი მსოფლიო წესრიგი და საქართველოს მომავალი: სტრატეგია XXI საუკუნისათვის. თურნ., „პოლიტიკა“, № 4-6, 1998, გვ. 31.

² ა. აბრალავა. გზა მაღალტექნოლოგიური ეკონომიკისაკენ. ორგანიზაციულ-ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარება ინოვაციურ სფეროში. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2001, გვ. 262-263.

³ თ. ჩიკვაიძე. გლობალური ცივილიზაციის ფორმირება და საქართველოს ეროვნული უსაფრთხოება XXI საუკუნისათვის. თურნ., „პოლიტიკა“, № 1, 1997, გვ. 3.

სახელმწიფოებრივი ინტერესები, საშინაო და საგარეო უშიშროების არსებითი პრინციპები.

აღნიშნული კონცეფციის თანახმად, საქართველოს ეროვნული უშიშროების სისტემა წარმოადგენს დინამიკურად განვითარებადს და მისი ცვლილებები დამოკიდებულია გარე და შიდა საფრთხეზე, საშინაო და საგარეო პოლიტიკურ პროცესებზე. კონცეფციაში ხაზგასმულია, რომ ეროვნული ინტერესების განხორციელებას ამჟამად, პირველ რიგში, ხელს უშლის და ქვეყნის უშიშროებას ემუქრება დემოკრატიზაციის პროცესის სოციალურ-ეკონომიკური პირობების შეზღუდულობა, ეროვნული საკითხის მოუგვარებლობა, დარღვეული ტერიტორიული მთლიანობა, ქვეყნის ტერიტორიაზე მყოფი შეიარაღებული ძალების არასრული კონტროლი და საგარეო პოლიტიკური სივრცის მყიფე სტაბილურობა. სწორედ ამ მწვავე პრობლემების გადაჭრა შეადგენს, აღნიშნული კონცეფციის თანახმად, საქართველოს უშიშროების ძირითად პრიორიტეტებს და ამოცანებს.¹

როგორი უნდა იყოს ამ პრიორიტეტებისა და ამოცანების შესაბამისი სტრატეგია XXI საუკუნისათვის? ამ კითხვაზე, ჩვენი აზრით, ამომწურავ პასუხს იძლევა პროფესორი თ. ჩიკვაიძე, როდესაც იგი დანვრილებით განიხილავს საქართველოს ეროვნული ინტერესების სისტემას, მსოფლიო განვითარების შესაძლო სცენარებს, მდგრადი და უსაფრთხო განვითარების კონცეფციის პრინციპებს და სხვა პირველხარისხოვან საკითხებს.

აქაუცილებლად მიგვაჩნია გავაკეთოთ ერთი შენიშვნა: გოეეკონომიკური სივრცის კომპონენტების არაერთგვაროვნების გამო დღეს საჭირო ხდება მდგრადი განვითარების მიღწევის გზების გადასინჯვა. საქმე ისაა, რომ, ზოგიერთი ავტორის შეხედულებით, „მდგრადი განვითარების“ აქამდე საყოველთაოდ აღიარებული გაგება ჩქმალავს მის არაობიექტურ ხასიათს, კერძოდ კი, პოსტინდუსტრიალიზმის იმ ტექნოგენური ფორმის აპოლოგეტიკას, რომელიც საშიშია მთელი მსოფლიოსათვის. „მდგრადი განვითარების“ აპოლოგეტიკური ხასიათის დასამკვიდრებლად და გასამართლებლად ცდილობენ კონცეპტუალურად დაასაბუთონ საზოგადოებრივი განვითარების ტექნოგენური პრინციპები, ამ მიზნით კი იყენებენ წმინდა ტექნიკურ იდეებს, რომლებიც ჰუმანიტარულ ნიადაგზე გადააქვთ.

„მდგრადი განვითარების“ წამყვანი იდეა იყო პოსტინდუსტრი-

¹ იხ. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სათანადო მასალები.

ული მოდელის, მისი ინსტიტუტებისა და მსოფლიო ფინანსური ნაკადების მაგისტრალების შენარჩუნების იდეა. ეს კი გულისხმობს მსოფლიო ტრანსნაციონალური კვლავნარმოებითი ციკლების შენარჩუნებას და მათი შეუფერხებელი საქმიანობის უზრუნველყოფას. ეს კვლავნარმოებითი ციკლები მოითხოვენ მათთვის პრაქტიკულად ყველა ქვეყნის ეროვნული რესურსების უწყვეტად მიწოდებას და თავიანთი პოზიციების მუდმივად გაფართოებას. ბოლოს, ესაა სოციალურ-ეკონომიკური ყოფის სხვა სქემების მიუღებლობა. საუბარი ესება საბაზრო ურთიერთობების ფართო შკალიდან მხოლოდ ერთი ქრილის, გვიანდელი პოსტინდუსტრიულიზმის გაფეტიშებას.

განვითარების პოსტინდუსტრიულმა მოდელმა გამოიმუშავა თავისი გადარჩენის სტრატეგიული ხერხები და გეოეკონომიკური ექსპანსიონიზმის აქტიური პოზიცია დაიკავა. მთელი პლანეტა შეუმჩნევლად ჩაბმული აღმოჩნდა მსოფლიო გეოეკონომიკურ ომში.

ამიტომ ჩვენს დროში გარდაუვალია „მდგრადი განვითარების“ ცნების ახლებურად გააზრება, რადგან იგი სრულიად სხვა აზრობრივ დატვირთვას იძენს. დღეს იგი უნდა გვესმოდეს როგორც ეთნონაციონალური და ინდუსტრიული მომენტების ჰარმონიულად შერწყმის პროცესის მდგრადობა, აგრეთვე, ეთნოეკონომიკური სისტემის ფორმირების მდგრადობა.¹

გარდა ამისა, ეროვნული უშიშროების კონცეფციაში მკვეთრად არ ჩანს დღეისათვის ნამყვანი – გეოეკონომიკური მიდგომა. თუ საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები კვლავაც სავაჭრო-საშუამავლო დოქტრინის ფარგლებში დარჩება მოქცეული, ეროვნული ეკონომიკა დაქვეითების ისედაც გაჭიანურებულ პროცესს გააგრძელებს.


ის ქვეყნები, რომლებსაც საგარეო ბაზრებზე ნედლეული და ინტელექტუალური რესურსები გააქვთ, ხელს უწყობენ მსოფლიო შემოსავლის შექმნას, ეს შემოსავალი კი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს რჩება. ასეთი ქვეყნების ეროვნული მეურნეობები არ მონაწილეობენ შექმნილი შემოსავლის გადანაწილებაში, მიღებულ კრედიტებს კი „ნასესხებ სახსრებად“ მიიჩნევენ.

ამდენად, ნამყვანი უნდა იყოს ის იდეა, რომელიც ეროვნულ მეურნეობას მსოფლიო შემოსავლისკენ გაუკაფავს გზას, კერძოდ: ეროვნული საგარეო-ეკონომიკური სისტემის საფუძველს უნდა

¹ Кочетов Э.Г. *Геоэкономика (Освоение мирового экономического пространства)*. Изд. во "БЕК", М., 1999, с.219-220.

შეადგენდეს ინტერნაციონალიზებული კვლავნარმოებითი ბირთვები, მათი მუდმივად მატება კი საქართველოს საგარეო-ეკონომიკური კავშირების განვითარების არსი უნდა გახდეს.

ყველაზე ზოგადად ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და მდგრადი განვითარების გამოხატულებად შეგვიძლია მივიჩნიოთ ეროვნული მეურნეობის, თუ შეიძლება ითქვას, „ზომიერი“ განვითარება, ანუ განვითარების პროცესის მოქცევა მატებისა და კლების დასაშვები საზღვრებით შემოფარგლულ ჩარჩოში (ნახ. 5.2-1).



ნახ. 5.2-1. ქვეყნის მდგრადი განვითარების გრაფიკული ინტერპრეტაცია

წარმოდგენილ ნახაზზე: E_1 არის დაქვეითების შესაძლო ნიშნული, E_2 – განვითარების მაქსიმალური შესაძლებლობა, E_3 კი – მეურნეობის განვითარების პომეოსტაზისური მდგომარეობა. ამდენად, შეგვიძლია ჩავწეროთ მდგრადი განვითარების პირობა: $E_1 < E_3 < E_2$. ასეთი მდგომარეობის საბოლოო სახით ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს ხელშემშლელი და ხელშემწყობი ფაქტორების მთელი კომპლექსი.

მსოფლიო მასშტაბის ხელშემშლელი ფაქტორებიდან მთავარია გლობალიზაციის პროცესის შედეგების ბოლომდე შეუცნობლობა, მსოფლიო მასშტაბით ინტერესების დაუბალანსებლობა, ეკონომი-

კური, კულტურული და ტექნოლოგიური განსხვავებულობა, ხოლო ხელშემწყობი ფაქტორებიდან – მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დარგში არსებული მიღწევების სწრაფად გავრცელება, განათლების, ინტელექტისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გადაცევა განვითარების მთავარ ფაქტორად.

ბუნებრივია, ყოველ ქვეყანას თავისი, შიდა სპეციფიკური ფაქტორები აქვს, როგორც ხელშემშლელი, ისე ხელშემწყობი.

საქართველოსთვის ძირითადი შიდა ხელშემშლელი ფაქტორებია: ცხოვრების დაბალი დონე და ბაზრის მცირე მოცულობა, ეკონომიკაში ჩამოყალიბებული სტრუქტურული დისპროპორციები, ინტელექტუალური პოტენციალის არაეფექტიანად გამოყენება, კლანური, მაფიოზური და კრიმინალური ჯგუფების ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობა, სეპარატისტული მოძრაობები და სხვა, რომლებიც აფერხებენ ქვეყნის განვითარებას.

რაც შეეხება განვითარების ხელშემწყობ შიდა ფაქტორებს, მათგან მთავარია ქართველი ერის ინტელექტუალური, კულტურულ-ცივილიზაციური პოტენციალი და მისი გეოსტრატეგიული რესურსები, აგრეთვე, მეურნეობის თითქმის ყველა დარგში ჯერ კიდევ შემორჩენილი სიმძლავრეები.

საინტერესოა ქვეყნის ეკონომიკის დინამიკური, სტაბილური განვითარების, მდგრადობის პირობები (ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების მეთოდების გამოყენებით), რომლებსაც პროფესორი გ. მალაშხია აყალიბებს ხელფასის, შრომის დანახარჯების, მოგების, კაპიტალის, ფასების, მოთხოვნა-მიწოდების და სხვა სიდიდეებზე დაყრდნობით. თუმცა, როგორც სამართლიანად შენიშნავს იგი, ამ პირობების დაცვა არ ნიშნავს ეკონომიკური განვითარების ციკლური ხასიათის მოსპობას, რაც შეუძლებელია. მათი დაცვა მხოლოდ ხელს უწყობს ეკონომიკური დინამიკის საზიანო რყევებისა და კრიზისის თავიდან აცილებას ან შერბილებას.¹

რაც შეეხება ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ზომიერების პრინციპს, მას ამჟამად გაცილებით მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ საზოგადოების მატერიალური უზრუნველყოფისათვის. სამართლიანია მტკიცება, რომ „სულაც არაა საჭირო სხვა ქვეყნებსა და ხალხებს ვეჯობებოდეთ მატერიალური დონის, ეკონომიკური სიმდიდრის მხრივ; მთავარია, მივალნიოთ ისეთ დონეს, რაც საკმარისია ჩვენთვის ჰუმანიზებული ცხოვრების პირობებისათვის...

¹ გ. მალაშხია. საქართველოს ეკონომიკა. საუკუნოვანი პანორამის შტრიხები. თბ., 2002, გვ.162-163.

ზომიერების მომენტი ეკონომიკური ზრდისა და ადამიანთა კეთილდღეობის მნიშვნელოვან დეტერმინანტად ყალიბდება“.¹

ქვეყნის მეურნეობის „ზომიერი“ განვითარების იდეა გარკვეული აზრით შეგვიძლია დაუკავშიროთ საქართველოს შესაძლო განვითარების სცენარებს, რომელთა ძირითად მახასიათებლებს თვალნათლივ აღწერს პროფესორი თ. ჩიკვაიძე. პესიმისტური სცენარით ესაა ხანგრძლივი პოლიტიკური ქაოსი და ქრონიკული ჩამორჩენილობა, სამუშაო ძალის გადინების გაგრძელება ცხოვრების დაბალი დონის გამო, დემოგრაფიული ვითარების გამწვავება და ა.შ.; საშუალო სცენარი ითვალისწინებს კრიზისიდან სწრაფად გამოსვლას, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილიზაციას, ინვესტიციების შემოსვლას, ცხოვრების მაღალ დონეს, დემოგრაფიული მდგომარეობის გამოსწორებას და სხვა; ოპტიმისტური სცენარის შესაბამისად უნდა მოხდეს კრიზისის ძალიან სწრაფად დაძლევა და ინვესტიციების მასშტაბურად შემოსვლა, ინფორმაციული წარმოებისა და ინფორმაციული საზოგადოების სწრაფად დამკვიდრება, განათლებისა და მეცნიერების სფეროების უფრო სწრაფად განვითარება, ცხოვრების მაღალი ხარისხის მიღწევა და ა.შ.²

სავსებით ლოგიკურია, რომ მეცნიერი მხარს უჭერს მოვლენების განვითარებას საშუალო სცენარის მიხედვით, რადგანაც ოპტიმისტური სცენარით ქვეყნის განვითარებას (ცხადია, აღარაფერს ვამბობთ პესიმისტური სცენარის აშკარად არასასურველობაზე) თან ახლავს საზღვარგარეთიდან კაპიტალის შეუზღუდავად შემოსვლა, რომელიც მთლიანად ტრანსნაციონალური კომპანიების კონტროლს დაუქვემდებარებს ქვეყნის ეკონომიკასა და ფინანსებს, ფორმალობად აქცევს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას. სწორედ ასეთ პირობებშია აუცილებელი, რომ ქვეყანას თავის გადარჩენის ერთადერთ რეალურ მექანიზმად გააჩნდეს მდგრადი და უსაფრთხო განვითარების უნარი, ანუ თვითგანვითარების მაღალი დონე.

ნიშანდობლივია, რომ მდგრადი და უსაფრთხო განვითარების სტრატეგიის გაბატონება თანამედროვე ნეოეკონომიკის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურებაა. თანაც მდგრადობას უსაფრთხოების უმნიშვნელოვანეს ნაწილად განიხილავენ.

ეროვნული უსაფრთხოების საკითხი კომპლექსურად უნდა გან-

¹ დასახელებული ნაშრომი. გვ. 83-84.

² თ. ჩიკვაიძე. ახალი მსოფლიო წესრიგი და საქართველოს მომავალი: სტრატეგია XXI საუკუნისათვის. თურნ. „პოლიტიკა“ № 4-6, 1998, გვ. 38.

ვიხილოთ, რადგანაც იგი აერთიანებს ადამიანის უსაფრთხოებას, იდეოლოგიურ-კულტურულ და ფსიქოლოგიურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ, სოციალურ, დემოგრაფიულ და ეკოლოგიურ, მეცნიერულ-ტექნიკურ და ინფორმაციულ, აგრეთვე, სამხედრო უსაფრთხოებას. მიჩნეულია, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების საფუძველია ეკონომიკური უსაფრთხოება. ესაა იმ პირობებისა და ფაქტორების ერთობლიობა, რომლებიც უზრუნველყოფს ეროვნული ეკონომიკის დამოუკიდებლობასა და მდგრადობას სახელმწიფოებრივი მთლიანობისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების მიზნით, მისი მუდმივად განახლების, სრულყოფისა და თვითგანვითარების უნარს.¹

საქართველოს ეროვნული უშიშროების კონცეფციაში, სამწუხაროდ, ძალიან მცირე ადგილი აქვს დათმობილი მის ამ საფუძველს. მთლად მართებულადაც არ მიგვაჩნია მასში მოყვანილი ფორმულირება, რომ ერთ-ერთი უმთავრესი საშინაო პრიორიტეტია „მოსახლეობის კეთილდღეობის დონის ამაღლება ისე, რომ საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრების პროცესში უზრუნველყოფილ იქნეს თავისუფალი, სამართლიანი და კონკურენტუნარიანი ეკონომიკური გარემო; მოკლე და საშუალოვადიან პერიოდში ეკონომიკური კრიზისის დაძლევა“ და ა.შ.

უსაფრთხო და მდგრადი განვითარების ეკონომიკური ასპექტები ღრმა მეცნიერულ შესწავლის საჭიროებს. ამ თემაზე საფუძვლიანი გამოკვლევები აქვთ ქართველ მეცნიერ-ეკონომისტებს და უპრიანია მათი ჩართვა აღნიშნული კონცეფციის დამუშავებაში.

აღსანიშნავია, რომ მეცნიერ-სპეციალისტთა მიახლოებითი და წინასწარი გათვლით, საქართველოს მდგრადობის ძირითადი პირობებია:

– მოსახლეობის ერთ სულზე მშპ არანაკლებ 8-10 ათასი დოლარისა;

– სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი არაუმეტეს მშპ-ის 3-5%-ისა;

– სახელმწიფო ვალი არაუმეტეს მშპ-ის 60%-ისა;

– საგარეო ვალის მომსახურებაზე განეული ხარჯები არაუმეტეს წლიური საექსპორტო შემოსავლების 20%-ისა;

– ინვესტიციური საქმიანობის უზრუნველსაყოფად დაგროვების წილი პროდუქტში არანაკლებ 20%-ისა;

¹ თ. ბასილია, ა. სილაგაძე, თ. ჩიკვაძე. პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე, თბ.2001, გვ. 462-463.

– ფულის მასის ზრდა წარმოების ზრდის შესაბამისად;
– საერთაშორისო რეზერვების საკმარისი მოცულობა საქონლის იმპორტის დასაფარავად სულ მცირე სამი თვის განმავლობაში.¹

მეცნიერთა დასკვნით, ყველა ეს პირობა საგრძნობლადაა დარღვეული, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანას დაქარგული აქვს გაფართოებული კვლავწარმოებისა და თვითგანვითარების უნარი, ეს კი, თავის მხრივ, რეალურ საფრთხეს უქმნის თვით სახელმწიფოებრიობას.

ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გადაუდებლადაა საჭირო მოსახლეობის სოციალური დიფერენციაციისა და სიღარიბის აღმოფხვრა, ინსტიტუციური მონყობის დაჩქარება და წესრიგის დამყარება, ეკონომიკის სტრუქტურული სრულყოფა, რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უთანაბრობის დაძლევა და საზოგადოებისა და სამეურნეო საქმიანობის კრიზინალიზაციის აღკვეთა. ყოველივე ამის საფუძველი უნდა გახდეს საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგია.

ე.წ. გარდამავალ პერიოდში, რომელიც რეალურად გარდაუვალ პერიოდად იქცა, საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების მთავარი კურსი მიმართული უნდა იყოს სიღარიბის დაძლევისა და ცხოვრების დონის ამაღლებისაკენ, საზოგადოების სოციალური დაცვის გარანტიების შექმნისაკენ, ეკონომიკური დემოკრატიის დამკვიდრებისაკენ, ქვეყნის კონსტიტუციური მონყობის მდგრადობისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისაკენ, ეროვნულ-კულტურულ ფასეულობათა მყარი სისტემის შექმნისა და განმტკიცებისაკენ.

დღეს მდგრადი და უსაფრთხო განვითარების უზრუნველყოფა საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული ამოცანაა. ამიტომ აუცილებელია მდგრადი და უსაფრთხო განვითარების გრძელვადიანი პროგრამის როგორც მომავალში სახელმწიფოს სტრატეგიისა და პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტის შემუშავება და განხორციელება, რასაც ჩვენც უყოყმანოდ ვუჭერთ მხარს.

ქვეყნის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების ხელშემშლელი გარეშე ფაქტორებიდან ადრე წინა პლანზე იყო წამოწეული ღია სამხედრო მუქარა, დღეს კი ესაა იმ უცხო სახელმწიფოთა აგრესიული ქმედება, რომლებიც თავიანთი ეროვნული ინტერესების რეალიზებას ფინანსების, ეკონომიკის, ვაჭრობისა და ინფორ-

¹ დასახელებული ნაშრომი. გვ. 466.

მაციის სფეროებში ახდენენ. რაც შეეხება ხელშემშლელ შიდა ფაქტორებს, აქ მთავარია თვითგანვითარების უუნარობა, ინოვაციური სფეროს სისუსტე, ეკონომიკის რეგულირების არაეფექტიანობა, კონფლიქტების უმტკივნეულოდ მოგვარების უუნარობა და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ჩვენს დროში ხშირ შემთხვევებში მოშლილია გარე და შიდა ფაქტორებს შორის არსებული მკვეთრი ზღვარი. შიდა ხელშემშლელი ფაქტორების ხანგრძლივად მოქმედება ქვეყანას ასუსტებს გარე ფაქტორების წინაშე, კერძოდ, ქვეყნის საფინანსო სისტემის სისუსტე საშუალებას არ აძლევს მას, სათანადოდ აღჭურვოს და შეინახოს არმია, ხოლო მთლიანად ეკონომიკურად დაუძღვრება მთელ ერს გადააქცევს საერთაშორისო დაწესებულებათა ან სხვა ინვესტორების ნების უსიტყვო აღმსრულებლად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ ეკონომიკურად სუსტ სახელმწიფოს ძალა არა აქვს გაატაროს აქტიური საგარეო პოლიტიკა, დაიცვას საკუთარი საქონელმწარმოებლის ინტერესები, ხელი შეუწყოს ექსპორტს, ე.ი. აქტიურად გამოიყენოს გლობალიზაციის სასარგებლო მომენტები.

ამიტომ ქვეყნის ეკონომიკურმა უსაფრთხოებამ უპირატესად უნდა მოიცვას:

1. კომუნიკაციის სისტემების უსაფრთხოება (კავშირის განხორციელების ძირითადი ობიექტების, ტექნიკური სქემებისა და მათი სათადარიგო საშუალებების საიმედოობა);

2. ფინანსური უსაფრთხოება (საბანკო-ფინანსური სისტემის მდგრადობა);

3. ენერგეტიკული უსაფრთხოება (ენერგეტიკული ობიექტების ტექნიკური გამართულობა, ფიზიკური დაცულობა და სარეზერვო სიმძლავრეების მზადყოფნა);

4. თავდაცვის სისტემის უსაფრთხოება (არმიის საბრძოლო მზადყოფნა);

5. თავდაცვის საწარმოების უსაფრთხოება (სამხედრო უსაფრთხოებისათვის ხელშეწყობის უნარი).

6. სამართალდამცავი სისტემის უსაფრთხოება (წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის უნარი);

7. სასურსათო უსაფრთხოება (აუცილებელი სასურსათო მარაგების ოპტიმალური განთავსება და დაცულობა).

გარდამავალი პერიოდის თანამედროვე ეტაპზე საქართველოში კვლავ რჩება ეროვნული საკითხის მოუგვარებლობითა და მარგანიზებული სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის უქონლობით გამოწ-

ვეული პრობლემები, აგრესიული სეპარატიზმი რეალურ საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, ხოლო უკონტროლოდ მოქმედი შეიარაღებული ძალები ზღუდავენ ეროვნული უშიშროების განმტკიცების შესაძლებლობას, შეიცავენ საქართველოზე მუდმივი ზემოქმედებისა და დესტაბილიზაციის საფრთხეს. გარდა ამისა, პოსტსაბჭოურ სივრცეში გამოვლენილი გეოპოლიტიკური და საგარეო ინტერესების ცვლილებები ხშირად არამყარსა და ძნელად პროგნოზირებად სიტუაციებს ქმნის, რასაც განაპირობებს, აგრეთვე, საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებში აგრესიული სეპარატიზმის შედეგები და დარღვეული სახელმწიფო საზღვრები, კონფლიქტის ზონების ფაქტობრივად მონყვეტა ერთიანი სახელმწიფოებრივი სივრცისგან.

აღნიშნული სივრცის მყიფე სტაბილურობის მიზეზია დსთ-ში ჩამოყალიბებული უშიშროების სისტემის არაეფექტიანობა; სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებში ორმაგი სტანდარტების გამოყენება, ტერორიზმისა და აგრესიული სეპარატიზმის აღკვეთის ერთიანი პოლიტიკური, სამართლებრივი და სხვა აუცილებელი მექანიზმების უქონლობა. აქედან გამომდინარე, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განმტკიცების უმნიშვნელოვანესი და უპირველესი საშუალებაა იმგვარი გეოპოლიტიკური სივრცის ჩამოყალიბება, რომელშიც სამართლიანობისა და დემოკრატიის პრინციპები იქნება ყველა ქვეყნის ინტერესების რეგულირების, ურთიერთგანვითარებისა და ურთიერთუშიშროების მთავარი საფუძველი.

საქართველო ესწრაფვის ორმხრივად ხელსაყრელი ურთიერთობების განვითარებას მეზობელ სახელმწიფოებთან, ევროატლანტიკური თანამეგობრობის ქვეყნებთან, ცენტრალური აზიის, მთლიანად აზიისა და წყნარი ოკეანის სახელმწიფოებთან, შავი და ხმელთაშუა ზღვების აუზის ქვეყნებთან.

საქართველოს პარლამენტმა ჯერ კიდევ 1997 წელს მიიღო კონცეფცია ქვეყნის საგარეო კურსისა და სახელმწიფო უსაფრთხოების შესახებ, რომელიც საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად ევროპულ სივრცეში ინტეგრირებას მიიჩნევს. ეს პროცესი დააჩქარა 1999 წელს მიღებულმა შეთანხმებამ პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ, რასაც წინ უსწრებდა ლუქსემბურგში გამართული ე.წ. „კავკასიური სამიტი“ და რომელზეც მიღებული ერთობლივი დეკლარაცია კავკასიის სახელმწიფოებს რეგიონული თანამშრომლობისკენ მოუწოდებდა (ევროკავშირის

აქტიური მხარდაჭერით) სტაბილურობისა და უსაფრთხოების განმტკიცების მიზნით.

სამხრეთ კავკასიაში რეგიონული თანამშრომლობის განვითარებისათვის ხელშეწყობა ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებადაა მიჩნეული. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სახელმწიფოთაშორისო პროექტების მომზადებას და მათ ეფექტიანად განხორციელებას, რისი შედეგიცაა მრავალი ხელმოწერილი შეთანხმება TRACECA-სა და INOGATE-ს (ნავთობისა და გაზის სახელმწიფოთაშორისი ტრანსპორტირება ევროპისაკენ) ფარგლებში. მათში სხვა მიზნებთან ერთად განსაზღვრულია შეთანხმების მონაწილე ქვეყნებს შორის რეგიონული თანამშრომლობისა და უსაფრთხოების განმტკიცების ხელშეწყობა. 2002 წლის თებერვალში ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია ევროკავშირისა და სამხრეთ კავკასიას შორის ურთიერთობების გაღრმავების შესახებ, რომლის ერთ-ერთი საყურადღებო მომენტიცაა კავკასიაში კონფლიქტების დარეგულირების მიმართულებით ევროკავშირის ძალისხმევის გააქტიურების სურვილი.

სამხრეთ კავკასიაში, როგორც მისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან რეგიონში, უსაფრთხოების განმტკიცებას და მდგრად განვითარებას სერიოზულ პრობლემებს უქმნის რუსეთი. იგი ცდილობს კავკასიაში და მათ შორის საქართველოში საკუთარი სტრატეგიული ინტერესების რეალიზებას, რასაც დაბრკოლებას უქმნის მრავალ ასპექტში მათი შეუსაბამობა საქართველოს ინტერესებთან. ამიტომ რუსეთი ყველა ბერკეტსა და შესაძლო საშუალებას იყენებს მიზნის მისაღწევად, თუმცა, მასთან საერთო ენის გამოხახვა და ურთიერთობების მოწესრიგება აუცილებელია, რის გარეშე საქართველოს უსაფრთხოებაზე საუბარიც კი ზედმეტია.

რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირების გზა დღეს „დასავლეთზე“ გადის. მისი მხარდაჭერის გარეშე წარმოუდგენლად მიგვაჩნია ამ საკითხის გადაწყვეტა. ეფექტიანი თანამშრომლობა და ინტეგრირება დასავლეთის ეკონომიკურ-პოლიტიკურ სტრუქტურებთან, ასევე აქტიური ურთიერთობა აშშ-თან, ნატოსთან და ევროკავშირთან უნდა გახდეს რუსეთთან პარტნიორული თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების დამკვიდრების მთავარი ფაქტორი. თუმცა, ერთი რამ უნდა გავითვალისწინოთ, როგორც საშიშროება: ჩვენთვის ჩვეულება ზედმეტმა აქტიურობამ არ მიგვიყვანოს რუსული ყულფიდან თავის გამოყოფიდან სხვა ახალ ყულფში თავის გაყოფამდე და არ აღმოვიჩნდეთ ახა-

ლი პრობლემების წინაშე. ისე, ასეთი საფრთხე უდავოდ არსებობს და ეს აზრი მუდმივად უნდა გვდედეს თან.

საქართველო და რუსეთი კონკურენტ ქვეყნებად აქცია კასპიის ნავთობის ტრანსპორტირების პერსპექტივამ. ამ პროცესის გაკონტროლებას და ბაქო-ნოვოროსიისკის მილსადენის სრულად დაუფლებას ემსახურებოდა რუსეთის მიერ საბრძოლო მოქმედებების წამოწყება ჩეჩნეთში, მაშინ როდესაც საქართველოში მსხვილმასშტაბიანი ღონისძიებები დაიწყო კომუნიკაციებისა და ნავთობსადენების დასაცავად და თურქეთთან ურთიერთობების განსამტკიცებლად მისგან კრედიტების მიღების მიზნით რკინიგზისა და ნავთობსადენების აღდგენა-რემონტისათვის.

ამიერკავკასიაში რუსეთის პოლიტიკის არაერთგვაროვნებამ, მისი სამშვიდობო მისიის ჩაყარდნამ და სხვა ფაქტორებმა მძიმე მდგომარეობაში ჩააგდეს იგი, რითაც ახალი შესაძლებლობები მიეცა თურქეთს კავკასიაში თავისი გავლენის გასავრცელებლად. ეს კარგად ემთხვევა აშშ-ისა და მთლიანად ნატოს ინტერესებს რეგიონში, რომელიც ხელს უწყობს თურქეთს და იყენებს თავის ამ ნევრს ამიერკავკასიიდან რუსეთის გაძევებაში. სომხეთთან მიმართებაში ამავე მიზანს ემსახურება ნატოს მეორე ნევრი ქვეყანა – საბერძნეთი. საფიქრებელია, რომ ეს გააიოლებს ამიერკავკასიის რეგიონის საერთაშორისო ინტეგრაციას, რაც ამ რეგიონის ხანგრძლივი სტაბილიზაციისა და უსაფრთხოების გარანტია შეიძლება გახდეს.¹

დსთ-ის კოლექტიური უსაფრთხოების შეთანხმების (რომელიც, როგორც საქართველოს, ისე მისგან გამოსული აზერბაიჯანისა და უზბეკეთის აზრით, რუსეთის ინტერესებს უფრო ემსახურებოდა, ვიდრე ამ გაერთიანების ნევრების უსაფრთხოებაზე ზრუნვას) უარყოფის შემდეგ საქართველოსთვის დიდი მნიშვნელობა შეიძინა უსაფრთხოების განმტკიცების პერსპექტივამ სუუამის ფარგლებში. როგორც ცნობილია, ეს დაჯგუფება სხვა ამოცანებთან ერთად მიზნად ისახავს ნატო-სთან თანამშრომლობის გაღრმავებას ეროვნული და რეგიონული უსაფრთხოების საკითხების გადასაწყვეტად.

სუუამით აშშ-ის დაინტერესების გამოვლენად შეიძლება მივიჩნიოთ თავდაცვასა და უსაფრთხოებაში დახმარების აქტი (2000 წ.), რომლითაც აშშ-ის კონგრესმა სუუამ-სა და სომხეთს თანხები გამოუყო დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის განსამტკიცე-

¹ *Максоев М., Кавказ и его геополитическое пространство. Журн. "Политика", №1, 1997, გვ. 11-12.*

ბლად. აქ იგულისხმებოდა სამხედრო დახმარება, ანტიტერორიზმში დახმარების განევა და სხვა. უნდა ვივარაუდოთ, რომ აშშ თავისი სტრატეგიიდან გამომდინარე, მხარს დაუჭერს სომხეთსა და სუჟამის ქვეყნებს დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის განმტკიცებაში, კონფლიქტების მოგვარებაში და ა.შ.

სუჟამის ცალკეულ წევრებს დასავლეთი აქტიურად ეხმარებოდა და ეხმარება უსაფრთხოების სამსახურის, საბაჟოებისა და სასაზღვრო ძალების განვითარებაში. გარდა ამისა, ნატო-სა და სუჟამის ზოგიერთი წევრის ერთობლივი სამხედრო წვრთნა იმის იმედს იძლევა, რომ ეს ქვეყნები შეძლებენ შიდა სტაბილურობის მოპოვებას და რუსეთის გავლენისგან გათავისუფლებას.¹ ნატოსთან ასეთი ურთიერთობების განვითარების მნიშვნელობა მით უფრო იზრდება, თუ გავითვალისწინებთ რომ მოსკოვი დღესაც მიიჩნევს თავის თავს შავიზღვისპირეთსა და კასპიისპირეთში არსებული ვითარების სტაბილიზატორად და ამ რეგიონის ქვეყნების მიზიდულობის ცენტრად. იქ ფიქრობენ, რომ „რუსეთი ერთდროულად რეგიონული სტაბილურობისთვის საფრთხეს და რისკებსაც ატარებს და რეგიონის სახელმწიფოთა ინტეგრაციის ლიდერი და მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფის გარანტიცაა“, და „ვიდრე რუსეთი სრულყოფილად ვერ შეძლებს ამ ფუნქციის შესრულებას, მანამ აქ არსებული არასტაბილურობის დონე არ შეიცვლება ან შესაძლოა გაიზარდოს კიდევ“.²

აღნიშნული ტენდენცია ღიად ნარმოაჩენს რუსეთის „ორმაგი სტანდარტების“ პოლიტიკასა და იმპერიულ ამბიციურობას, რასაც საბოლოოდ არ შეიძლება პერსპექტივა გააჩნდეს.

სამწუხაროა, რომ საქართველოს ჯერ კიდევ მკაფიოდ არა აქვს ჩამოყალიბებული თავისი ეროვნული ინტერესები და მათი შესაბამისი პოლიტიკა და ეროვნული სტრატეგია. უამისოდ კი ქვეყანას სერიოზული პერსპექტივა არ შეიძლება ჰქონდეს, ვინაიდან სხვა შემთხვევაში იგი განიცდის მუდმივ რყევას, საზოგადოებაში ამკვიდრებს აპათიასა და ნიჰილიზმს სახელმწიფოებრიობისადმი, ეროვნული არასრულფასოვნების განცდას. ამ ტენდენციით გამოორიცხული არაა საქართველო კვლავ დაუბრუნდეს რუსეთის ინტე-

¹ მ. კომახია. სუჟამის შექმნის ისტორია და განვითარების პერსპექტივები. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ბიულეტენი №69, 2002, გვ. 24.

² Куклина И. Проблемы безопасности в черноморско-каспийском регионе. Журн. "МЭиМО", 2002, №1, с. 96.

რესების სფეროსა და გავლენის ორბიტას ახალ პირობებსა და ვითარებაში, საიდანაც მომავალში თავის დაღწევა როგორ მოხერხდება, არავინ უწყის.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ გლობალიზაციის პირობებში მკვეთრად მატულობს უსაფრთხო განვითარებისა და ბიზნესის ურთიერთგანპირობებულობა, განსაკუთრებით კი – მცირე და ჩამორჩენილი ქვეყნებისათვის. ამიტომ საქართველოს ერთ-ერთი უპირველესი ეროვნული ინტერესი უნდა გახდეს „იმის გაცნობიერება, რომ ბიზნესის ყოველმხრივი განვითარება მისი უსაფრთხოების უმნიშვნელოვანესი სანინდარია. მეორე მხრივ, ბიზნესი ვერ განვითარდება ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის გარეშე“.¹


ეს უდავო ჭეშმარიტებაა და საკითხის ასე წამოწევა იმითაა განპირობებული, რომ საქართველოში არ არის საზოგადოებრივი კეთილგანწყობა ბიზნესისადმი და არც ხელისუფლება უყურებს მას, როგორც უსაფრთხოების ერთ-ერთ საფუძველს. დღეს ყველაზე აქტუალურია ხელისუფლებასა და ბიზნესს შორის ურთიერთობის ეფექტიანი სქემების შემუშავება, ვინაიდან არსებული ვითარება ძალიან გავს იმას, რაც იყო გასული საუკუნის 30-იან წლებში ფაშისტურ გერმანიაში, ფრანკისტულ ესპანეთსა და ავსტრო-უნგრეთში, როდესაც ბიზნესი მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემის პირობებში ფუნქციონირებდა.

საბოლოოდ, ქვეყნის უსაფრთხო და მდგრადი განვითარების ფაქტორები და ძირითადი პირობები შეგვიძლია 5.2-1 სქემაზე წარმოდგენილი სახით ჩამოვაყალიბოთ.

საქართველოსთვის (და არა მარტო მისთვის) უაღრესად დიდი უარყოფითი ფაქტორია ის, რომ გლობალიზაცია ზღუდავს ქვეყნების ეკონომიკურ სუვერენიტეტს. ასეთი საფრთხე რეალურია დღეს, როდესაც მთლიანად კავკასიის რეგიონი გადაიქცა დასავლეთისა და რუსეთის ინტერესთა შეჯახების არენად. ამიტომ, დროულია მოთხოვნა იმასთან დაკავშირებით, რომ „... თანამედროვე ეტაპზე საქართველოში ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელი მიმართულება უნდა იყოს არა ეკონომიკის გლობალიზაციაში მონაწილეობა, არამედ ეროვნული ინტერესების წინა პლანზე წამოწევა და მათი რეალიზაციისათვის აუცილებელი ღონისძიებების განხორციელება.

¹ თ. ბასილია, ა. სილაგაძე, თ. ჩიკვაიძე. პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. თბ., 2001, გვ. 163, 164.

ქვეყნის უსაფრთხო და მდგრადი განვითარების ფაქტორები და ძირითადი პირობები



ამრიგად, სტრატეგიული თვალსაზრისით, საქართველომ აჭცილებლად უნდა მოძებნოს თავისი ადგილი გლობალიზაციის პროცესში, მაგრამ ამით არავითარ შემთხვევაში საფრთხე არ უნდა შეუქმნას ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების ინტერესებს“.¹

საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფციაში ხაზგასმითაა, ნათქვამი, რომ „...გლობალიზაცია დადებითი შედეგების მომტანია, თუ იგი ქვეყნის იდენტურობისა და ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოშლას არ იწვევს“.² მაგრამ, ვფიქრობთ, რომ „საქართველოს უმთავრესი ეროვნული ინტერესი“ აქ მაქსიმალურად მკაფიოდ უნდა განისაზღვროს და მისი ზოგადი ფორმულირება, როგორც „... იდენტურობის, თვითმყოფადობის, თვითგანვითარების უნარის უზრუნველყოფა, თითოეული მოქალაქის თავისუფალი და ყოველმხრივი განვითარება“³ საკმარისად არ გვესახება.

ხსენებული კონცეფციის თანახმად, განსაკუთრებული, ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვს საქართველოს სახელმწიფოებრიობის განმტკიცებას, მისი დამოუკიდებლობის, მდგრადი და უსაფრთხო განვითარების უზრუნველყოფას მთელ მის ტერიტორიაზე. ჩვენი თვალსაზრისით, ამგვარი რანგის დოკუმენტებში არსებითი უნდა იყოს მსჯელობა სოციალურ-ეკონომიკურ წონასწორობაზე და არა, კერძოდ, მდგრადობასა და უსაფრთხოებაზე. ვგულისხმობ, ერთი მხრივ, ეკონომიკური განვითარების მაღალ დონეს და, მეორე მხრივ, ეკონომიკურ დემოკრატიას, საზოგადოებაში მიღწეული სიკეთეების ფართო ხელმისაწვდომობას, სოციალურ და ეკონომიკურ შორის ისეთი თანაფარდობის ჩამოყალიბებას, როდესაც ისინი განსაზღვრავენ ერთმანეთს, ხელს უწყობენ სახელმწიფოს ჰარმონიულად განვითარებას, მისი ევოლუციური სახის ფორმირებასა და ქვეყანაში ადამიანური ეკონომიკის ჩამოყალიბებას.

სოციალურ-ეკონომიკურ წონასწორობაში ჩვენ იმას ვგულისხ-

¹ ე. მექვაბი შვილი. ეკონომიკის გლობალიზაცია და საქართველო: გამოწვევა, პრობლემები, პერსპექტივა. იხ. კრებული: პოსტსაბჭოური ქვეყნის ეკონომიკის განვითარების თეორიული და პრაქტიკული ასპექტები საქართველოს მაგალითზე, „მეცნიერება“, თბ., 2002, გვ. 15

² საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფცია. ვ. მელქაძის სახ. სოციალურ-ეკონომიკური და რეგიონული პრობლემების ს/კ ინსტიტუტი. თბ., 2003, გვ. 8-9.

³ დასახელებული წყარო. გვ. 10.

მობთ, რომ ქვეყანაში ადამიანს ჰქონდეს კერძო საკუთრება (მისი ფლობისა და განკარგვის უფლება), როგორც პიროვნების თავისუფლების უმთავრესი საყრდენი და ამოსავალი.

საქართველოში შეიძლება ითქვას, უკვე არსებობს სიტყვის თავისუფლება, მაგრამ იგი არ არის პიროვნების თავისუფლების გარანტი. მართლაც, დამკვიდრებული ეკონომიკური დიქტატურა არ იძლევა თავისუფალი ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების საშუალებას ხილული და ფარული მონოპოლიებისა და ჩრდილოვანი ეკონომიკის გავლენის დიდი მასშტაბების გამო.

ბოლო 13 წლის განმავლობაში საქართველოში განხორციელებული პოლიტიკის წყალობით სახელისუფლებლო ნომენკლატურამ და კრიმინალური სამყაროს წარმომადგენელთა მცირე ჯგუფმა ხელთ იგდო უზარმაზარი მატერიალური ქონება, სრული კონტროლი დაანესა მთელ ეკონომიკაზე, ხოლო ქვეყნის მოსახლეობის დანარჩენი უდიდესი ნაწილი მოკლებულია საკუთრების მფლობელობას. ამგვარი სოციალურ-ეკონომიკური სინამდვილე მუდმივად ქმნის ქვეყანაში დაძაბულობის გაღრმავებისა და რევოლუციური გამოსვლების საფრთხეს.

აქედან გამომდინარე, უსაფრთხოებისა და მდგრადობის პრობლემებზე საუბარი, ჩვენი ღრმა რწმენით, უფრო უპრიანია ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური წონასწორობის უზრუნველყოფის პრობლემის ფარგლებში, ვინაიდან უსაფრთხოებისა და მდგრადობის მიღწევა ავტორიტარული სახელმწიფოებრივი სისტემის პირობებშიც შეიძლება. ამის ნიმუშია, ვთქვათ, ფაშისტური გერმანია, საბჭოთა კავშირი და მათი სატელიტი სხვა ქვეყნები გასულ საუკუნეში. ასევე, არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება უფრო შორეული წარსულიდან და დღევანდელიდანაც.

ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური წონასწორობის საფუძველი უნდა გახდეს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა უწყვეტი სამართლებრივი გარანტიები, სიტყვის, აზრის გამოთქმის თავისუფლებასთან ერთად მოქმედების თავისუფლების დამკვიდრება, ინტელექტუალური თუ ფიზიკური საქმიანობის განხორციელებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა და გაუმჯობესება, შემოსავლების გადანაწილებაში სახელმწიფოს ეკონომიკური საქმიანობის დინამიურობა.

საქართველოს ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემა სიღარიბეა. მისი დაძლევის გარეშე შეუძლებელი გახდება საზოგადოებაში სოციალურ-ეკონომიკური წონასწორობის მიღწევა, ამასთან, ეს პრო-

ცესი ევროკავშირის ეკონომიკურ სივრცესთან დაახლოების სტრატეგიის ფარგლებში უნდა წარიმართოს.

სიღარიბის დაძლევა, მართალია წარმოადგენს ზოგადად „საუკუნის გამოძახილის“ მსოფლიო პროგრამას, რომელშიც ჩვენც ვართ ჩართული, მაგრამ ამასთან აუცილებელია, კონკრეტულად საქართველოსთვის ასეთი რეალური პროგრამა დამუშავდეს ეროვნული ბიზნესის მონაწილეობით. ეს იქნებოდა ქართული ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის დროული გამოვლენა. ამ პროცესს სერიოზული ბიძგი უნდა მისცეს არა ხელისუფლების ზენოლამ, არამედ ბიზნესისადმი საზოგადოებრივი კეთილგანწყობის გარემოს ჩამოყალიბებამ. აქ ალბათ, უნდა იმუშაოს მარტივმა წარმოსახვითმა სქემამ – „საზოგადოება-ბიზნესი-საზოგადოება“. ამას უნდა დაეფუძნოს საზოგადოებრივი სიღარიბის დაძლევის პრინციპი.

საქართველოს გააჩნია საზოგადოებრივი და ეკონომიკური ტრანსფორმაციის ისტორიული ჩვევები, რათა დამკვიდრდეს განვითარებული ქვეყნების ჯგუფში. ამისათვის საჭიროა შესაბამისი სახელმწიფოს ეკონომიკური სტრატეგიის, რაც შეიძლება სწრაფად ჩამოყალიბება და მისთვის პროგრამული სახის მიცემა.

5.3. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური სისტემის პერსპექტიული ხედვა

საქართველო მსოფლიოს განუყოფელი ნაწილია და, ბუნებრივია, მისი განვითარება საერთო ტენდენციების კალაპოტში ხდება. თუმცა, ამ განვითარების პროცესს მთელი რიგი თავისებურებებიც ახასიათებს. ამჟამად საქართველოს განვითარების წამყვანი ტენდენციაა დირექტიული ეკონომიკის გადმონაშთებისაგან განთავისუფლება და დემოკრატიული სისტემის დამკვიდრება, რაც მოიცავს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას, სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის დაძლევას, გლობალურ პროცესებში ჩართვას და ა.შ.

ძველი ყოფისა და ურთიერთობების გლობალურად შეცვლა და ახალი ეკონომიკური სივრცის ჩამოყალიბებისკენ ლტოლვა ჩვენი დროის გამოკვეთილი ნიშანია, მაგრამ ძველის ნგრევისა და ახლის შენების პროცესი საქართველოში, სამწუხაროდ, გაუმართლებლად გაჭიანურდა და თანაც უაღრესად მტკივნეულად მიმდინარეობს. ამის შედეგად ქვეყანაში განვითარდა ღრმა პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი, რომელმაც კატასტროფულ მდგომარეობამდე მიიყვანა იგი. ამდენად, საქართველოში დღეს შექმნილი მდგომარეობა სრულიად განსაკუთრებულია და ასეთსავე მიდგომას მოითხოვს.

„ჩვენს ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა რამდენადაც განსაკუთრებულია, იმდენადვე იქიდან გამოსვლის ახალი თეორიაა საჭირო. ეკონომიკური კრიზისის დაძლევის, ეკონომიკის სტაბილიზაციის არსებული კონცეფციები, მათ შორის, კეინსიანური, ე.წ. „შოკური თერაპიის“, „შოკური ქირურგიის“ და სხვა სრულიად ვერ პასუხობს არსებულ სიტუაციას და მოთხოვნებს... მეტათეორიის თვალთახედვით აქ შეიძლება ითქვას, რომ გავლილ პერიოდში საზოგადოებაში დაგროვილი უარყოფითი ენერჯის დიდი ნაწილი უკვე დაიხარჯა; ჯანსაღი ძალები საკმარისადაა. მოსალოდნელია და შესაძლებელიც არის უარყოფითი ფაქტორების, ენერჯის კვლავ დაგროვება, თუ ჯანსაღმა ძალებმა გზა არ გადაუკეტეს მათი ახალი მარაგების თეზავრებას. ამიტომ საზოგადოებრივი ჯანსაღი ძალების აქტიურობა უნდა გაძლიერდეს...“¹

ეროვნული მეურნეობის აღორძინება დღეს შეუძლებელი იქნე-

¹ გ.მალაშხია. საქართველოს ეკონომიკა. საუკუნოვანი პანორამის შტრიხები. თბ., 2002, გვ.12.

ბა საბაზრო ეკონომიკის შესაბამისი ინსტიტუციური სისტემის ჩამოყალიბებლად, მთლიანად სისტემური ტრანსფორმაციის გარეშე. საზოგადოებრივი ცხოვრების განმსაზღვრელი სფეროები ახალი გარემოს შესაფერისად უნდა შეიცვალოს, ეს კი ეროვნული ტრადიციებისა და ორიენტაციის გათვალისწინებით უნდა მოხდეს, საქართველომ დღესვე უნდა უზრუნველყოს თანამედროვე ეპოქის შესატყვისი ზნეობრივი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის წანამძღვრების ჩამოყალიბება, რისთვისაც გამუდმებით უნდა იზრუნოს სათანადო გარემოს შესაქმნელად ქვეყნის შიგნით და მის გარეთ.

ამ თემაზე მსჯელობისას ობიექტურად დგება სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ეროვნული მოდელის შემუშავების მიზანშეწონილობის საკითხი.

მსოფლიო სამეურნეო კავშირთა თეორიების თანამედროვე გლობალურ სისტემაში მაკროეკონომიკური განვითარების რამდენიმე მოდელი ჩამოყალიბდა. განვითარებულ ქვეყნებში შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი მოდელები: ანგლოსაქსონური ტიპის ნეოლიბერალური ეკონომიკა (აშშ, დიდი ბრიტანეთი, ირლანდია, ახალი ზელანდია), სოციალური საბაზრო ეკონომიკა (ევროკავშირის კონტინენტური ქვეყნები, კანადა, ისრაელი) და აღმოსავლეთ აზიური მოდელი (იაპონია და რეგიონის ნამყვანი ქვეყნები); ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გარდამავალ ეკონომიკაში შეხამებულია ნეოლიბერალიზმისა და სოციალური ბაზრის ნიშნები; რაც შეეხება ჩინეთს, მისი ეკონომიკის მოდელს ახასიათებს ბაზრის იდეოლოგიური და პოლიტიკური კონტროლი კომპარტიის მხრიდან.

ნეოლიბერალური ანგლოსაქსონური მოდელი, რომელიც 1980-90-იანი წლების მიჯნაზე ჩამოყალიბდა დასავლეთში, გამოირჩევა ეკონომიკაში სახელმწიფოს შედარებით მოკრძალებული როლით და მომეტებული სამეწარმეო აქტივობით. ამ მოდელის ქვეყნებში არსებითადაა შემცირებული სახელმწიფო საკუთრების ხვედრითი წილი, შეკვეცილია სახელმწიფო ხარჯები, რამდენადმე დაქვეითებულია მოსახლეობის სოციალური დაცვის დონე. ანგლოსაქსონური ქვეყნები ამჟამად ეკონომიკურ აღმავლობას განიცდიან, მაგრამ მათი საზოგადოება არაერთგვაროვანია და მკვეთრადაა დიფერენცირებული შემოსავლის დონის მიხედვით.

სოციალური საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში, ზემოაღნიშნულისგან განსხვავებით, ისტორიულად დიდია სახელმწიფოს როლი. აქ კერძო სექტორის შემოსავლებს სახელმწიფო გადაანაწილებს

ისეთი საგადასახადო სისტემის მეშვეობით, რომელიც საკმაოდ მძიმე ტვირთად აწევს მაღალშემოსავლიანებს. ეს მოდელი ერთგვარი კომპრომისია კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის და ხელს უწყობს საზოგადოებაში ჰარმონიულობის მიღწევას.

აღმოსავლეთ აზიაში გავრცელებული მოდელის თავისებურებაა ერთგვარი აღმოსავლური კლანურობა, მენარმეებისა და სახელმწიფოს ინტერესების მჭიდროდ გადახლართვა, ეროვნული ეკონომიკის ორიენტაცია ექსპორტზე. თავის დროზე განვითარების სწორედ ასეთმა მოდელმა განაპირობა ე.წ. „აზიური სასწაული“, ახლა კი აშკარად გამოჩნდა მისი სერიოზული ნაკლოვანებები.

თქმა იმისა, თუ განვითარების რომელი მოდელია საუკეთესო, საკმაოდ ძნელია, რადგან ქვეყნების განუმეორებელი თავისებურებებიდან გამომდინარე არ არსებობს ყველა მათგანისათვის საერთო „იდეალური მოდელი“. აღსანიშნავია ისიც, რომ კაპიტალისტური ეკონომიკის განვითარების მთელი ისტორიის მანძილზე, მათ შორის 1990-იან წლებშიც, შეიმჩნეოდა ტალღისებური მოძრაობა ხან თავისუფალი ბაზრისკენ, ხან კი – ეტატიზმისკენ.

5.3-1 ცხრილში მოყვანილი მონაცემები ერთგვარ წარმოდგენას გვაძლევს ამა თუ იმ მოდელის ეფექტიანობის შესახებ.

ცხრილი 5.3-1

ეკონომიკის ზოგიერთი მოდელის ეფექტიანობის შედარებითი დახასიათება (საშუალოდ 1989-98 წლებში, %-ობით)

ქვეყანა	მშპ-ის ზრდის ტემპები	მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ის ზრდის ტემპები	შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტემპები	უმუშევრობის დონე
გფრ	2,6	1,9	2,6	7,5
აშშ	2,6	1,6	0,8	4,8
იაპონია	1,9	1,6	1,3	2,8

წყარო: The Economist, April 10, 1999, p.20.

მეცნიერები უაღრესად საყურადღებო მოსაზრებებს გამოთქვამენ ეკონომიკური ცხოვრების ეროვნულ მოდელთან დაკავშირებით, რაც მჭიდროდ უკავშირდება დროის მოთხოვნას ახალ ეკონომიკურ აზროვნებაზე გადასვლის აუცილებლობის მიმართ.

პროფესორი თ. ჩიკვაიძე ობიექტურად მიუთითებს, რომ 1990-იანი წლების ნგრევა გარკვეულწილად საქართველოს ეკონომიკური ელიტის თანამედროვე პოსტინდუსტრიული მოთხოვნ-

ნებისადმი შეუსაბამო აზროვნებამ განაპირობა. ეს ელიტა დღემდე უპირატესად რაოდენობრივი, რაციონალისტური კანონზომიერებებით ხელმძღვანელობს და ამიტომ არ შეუძლია შეიმუშაოს საქართველოს თავისებურებების შესაბამისი განვითარების რეალური მოდელი. მეცნიერი ხაზს უსვამს დასავლური და აღმოსავლური ცივილიზაციების ერთმანეთისკენ ლტოლვისა და სინთეზისაკენ მათი სწრაფვის ტენდენციას და აღნიშნავს, რომ საქართველოს შეუძლია გაამდიდროს თავისი ცივილიზაცია დასავლური და აღმოსავლური ცივილიზაციების სინთეზის გამოყენებით.¹

ცხადია, ამ გზით შეგვიძლია შევიმუშაოთ საქართველოს ეკონომიკური განვითარების ისეთი განსხვავებული მოდელი, რომელიც ყველაზე უკეთ დაუკავშირებს ქვეყნის პირობებსა და შესაძლებლობებს საერთო-ადამიანურ კანონზომიერებებსა და იდეალებს.

პროფესორ გ. მალაშხიას აზრით, საქართველოს ეკონომიკა, უნდა დაეფუძნოს არამარტო ეკონომიკურ, არამედ ადამიანურ კანონებსაც. ასეთნაირად ჩამოყალიბებულ ეკონომიკას იგი „ადამიანურ ეკონომიკას“ უწოდებს და შენიშნავს, რომ „ეს ახალი ეკონომიკა სტიქიურად რეგულირებადი, დანაკარგიანი, ქაოსის, აგრეთვე, მბრძანებლურ-ადმინისტრაციული, ბიუროკრატიული წესით მოქმედი ეკონომიკის ალტერნატივაა“.²

საქართველოში ადამიანური ეკონომიკის ჩამოყალიბება შეუძლებელი იქნება, თუ არ დაემხო ეკონომიკური ადამიანის ბატონობა ეკონომიკურ თეორიასა და პრაქტიკაში. თუ საზოგადოებაში არ შეიქმნა ჰუმანური, სოციალური და, რაც მთავარია, ეროვნული ადამიანის ჩამოყალიბების წანამძღვრები, მაშინ ამ საზოგადოებას კვლავ წარსულში დაბრუნება ემუქრება.

ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებზე დაყრდნობითა და განვითარების თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური სისტემის პერსპექტივა სავარაუდოდ ასე შეგვიძლია წარმოვიდგინოთ:

საქართველოში ადამიანური ეკონომიკის წარმოქმნა შეუთავსებელი იქნება სრულიად თავისუფალი (ლიბერალიზებული) სტი-

¹ თ.ჩიკვაიძე. ახალი მსოფლიო წესრიგი და საქართველოს მომავალი: სტრატეგია XXI საუკუნისთვის. თურნ. „პოლიტიკა“, № 4-6, 1998, გვ.40.

² გ.მალაშხია. საქართველოს ეკონომიკა. საუკუნოვანი პანორამის შტრიხები. თბ., 2002, გვ.61,74.

ქიური, თვითდინებითი ფასწარმოქმნის არსებობასთან. აქ უაღრესად თვალსაჩინო ადგილს დაიკავებს, აგრეთვე, შემოსავლების ობიექტივიზებული, სამართლიანი განაწილება, შრომის მოტივაცია და სწორი ანაზღაურება; გატარდება აქტიური, მიზანსწრაფული ინვესტიციური და მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკა, მის ბაზაზე კი – ეფექტიანი სტრუქტურული პოლიტიკა. სრულად იქნება გამოყენებული დისკრეციული ფისკალური პოლიტიკა, გააქტიურდება საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკა, წინმსწრები და ზიანის ამცდენი ეკოლოგიური პოლიტიკა, ხოლო დემოგრაფიული პოლიტიკა დაეყრდნობა ჰუმანიზმის მარადიულ პრინციპებს.

საყურადღებოა, რომ მომავალში სულ უფრო აშკარა გახდება მატერიალური წარმოებისა და ადამიანთა მატერიალური სიმდიდრის ნეგატიური მხარე. ამდენად, ზომიერების მომენტი უკვე დღეს ეკონომიკური ზრდისა და ადამიანთა კეთილდღეობის დიდმნიშვნელოვან დეტერმინანტად ყალიბდება. თუ მოვლენები ნორმალურად წარიმართა, მაშინ საქართველო შედარებით მოკლე ხანში გადავა განვითარების იმ სტადიაში, როცა აუცილებელი გახდება ზომიერების პრინციპის გამოყენება, სათანადო კონცეფციისა და სამოქმედო პროგრამის არსებობა ეკონომიკისა და სოციალური სფეროებისათვის. ამჟამად ამ საკითხის დაყენება თითქმის უადგილოა, მაგრამ საზოგადოებაში ზომიერებისათვის ზრუნვა დღესვე უნდა დაიწყოს.

ქართული ადამიანური ეკონომიკისკენ მიმავალი გზა არ შეიძლება წარმოებისა და ცხოვრების მოძველებული ფორმების სივრცეში იდოს. სწორი არ იქნება მისი წარმოდგენა კაპიტალიზმისა და სოციალიზმის ერთგვარ მარტივ შერწყმაც (კონვერგენციად). ჩვენს ქვეყანას განსაკუთრებული შანსი აქვს იაროს საკუთარი გზით, რისთვისაც გამოიყენოს ყველა ის გამოცდილება და მემკვიდრეობა, რაც დაგროვილ ფასეულობათა, ურთიერთობათა ფრიად განძეული პოზიტიური ფონდის სახით არსებობს და ხალხის განკარგულებაშია.

ცხადია, ნამდვილი ადამიანური ეკონომიკის შექმნა მოკლე დროში ვერ მოხერხდება, მაგრამ იგი ორიენტირად უნდა მივიჩნიოთ და ასე დავაღწიოთ თავი როგორც კაპიტალიზმის, ისე სოციალიზმის მანკიერებებს პროგრესისა და ჰუმანიზაციის გზაზე. მსოფლიო განვითარების რთულ გარემოცვაში ეს ძნელი საქმეა, მაგრამ ჩვენმა საზოგადოებამ ორიენტირი კაცობრიობის პროგრესული მაგისტრალური გზისკენ უნდა აიღოს და არა რომელიმე

ცალკეული ქვეყნისაკენ, კონკრეტული უცხო მოდელისაკენ.

სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობები ფუნდამენტური ხასიათისაა. მათი ერთი ტიპის ერთბაშად გაუქმება და მათ მაგიერ ახლის მომენტალურად ჩამოყალიბება ირეალური ცდაა, რასაც ისტორიაც ადასტურებს. საგულისხმოა, რომ ადამიანის ფსიქიკა ვერ უძლებს სწრაფ მუტაციებს, ვერ ეგუება ახალი გარემოს ერთბაშად წარმოქმნას, თუნდაც იგი უკეთესი იყოს. ამდენად, გაუმართლებელია ადამიანებისათვის ცხოვრების ახალი წესის, ახალ ეკონომიკურ ურთიერთობათა თავსმოხვევა იძულებით და იმის გაუთვალისწინებლად, თუ რა სურთ მათ. კაპიტალიზმში ხალხის „გადარეკვის“ მცდელობა ვოლუნტარიზმია, რაც ავანტურიზმში გადადის. თუ ეს კვლავაც გაგრძელდა, იგი უალრესად არასასურველ კოლიზიებთან და პროცესებთან მოგვიყვანს.

ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნის პროცესში გაძლიერდება სოციალური ორიენტაცია. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სოციალურ სიკეთეთა შემქმნელი სფეროს (ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, მეცნიერების, კულტურის დარგების) დახმარებას, ეკონომიკის სოციალური ორიენტაცია კი მჭიდროდ დაუკავშირდება სოფტიზაციას.

ყოველი ღონისძიებით შეეწყობა ხელი ინტელექტუალური პოტენციალის გაძლიერებას. ინვესტიციების სფეროში პრიორიტეტული გახდება „ადამიანური კაპიტალი“, რადგან ცივილიზაციის, სრულქმნის უფრო მაღალ ფაზაში შესვლის განმსაზღვრელი და შეუცვლელი ძალა სწორედ ინტელექტუალური პოტენციალია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ის რეალური მოდელი, რომელიც საქართველოს თავისებურებების შესაბამისი იქნება, უნდა ითვალისწინებდეს და არეკლავდეს როგორც დასავლურ, ისე აღმოსავლურ ცივილიზაციებში არსებულ მიღწევებს და პროგრესულ იდეებს. კერძოდ:

– გლობალიზაციის ლიდერ ქვეყნებში ჩვენს ყურადღებასა და დაინტერესებას უნდა იწვევდეს მათი ეკონომიკის კარგახსნილობა, რეგიონული ეკონომიკური ბლოკების ჩამოყალიბებასა და გაძლიერებაზე მათი გამუდმებული ზრუნვა, ბიზნესის გლობალიზაციისკენ მიდრეკილება, ისეთი ტექნოლოგიების გამოყენება, რომლებიც არ არღვევს ეკოლოგიურ ნონასწორობას; გასათვალისწინებელია, რომ დასავლეთის ნამყვან ქვეყნებში თანამედროვე ეკონომიკური განვითარება სტრუქტურული ცვლილებების ნიშნითაა გამორჩეული, მცირდება მატერიალური წარმოების დარგების ხვედრითი წილი და მალღდება მომსახურების როლი, მკვეთ-

რად დიდდება სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის და მეცნიერებატევადი დარგების მნიშვნელობა, ძლიერდება კაპიტალის ექსპორტზე ორიენტაცია საქონლის ექსპორტის ნაცვლად;

– საგულისხმოა ინდუსტრიული განვითარების გზაზე შემდგარი განვითარებადი ქვეყნების გამოცდილება, ისინი ისეთ სტრატეგიას მიმართავენ, რომელიც უზრუნველყოფს უცხოური ინვესტიციების მოზიდვას და საგარეო ვაჭრობის გაფართოებას. ექსპორტით მიღებულ შემოსავლებს ისინი ყველაზე უფრო პერსპექტიული დარგების განვითარებას ახმარენ. განსაკუთრებით უნდა მივაქციოთ ჩვენი ყურადღება იმას, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაში სახელმწიფომ ითამაშა დიდი როლი – აქ ეწეოდნენ ექსპორტის სტიმულირებას და საკმაოდ მკაცრად ზღუდავდნენ იმპორტს. შემთხვევითი არაა, რომ აღნიშნული ქვეყნების განვითარებაში მიღწეულ წარმატებებს მათი მთავრობების გააზრებული მოქმედებით, პრიორიტეტული დარგების სწორად შერჩევით და მსოფლიო ბაზრის კონიუნქტურაზე სწრაფი რეაქციით ხსნიან;

– ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი გახდა შიდა მოთხოვნა და შიდა ინვესტიციები (მონყობილობის შეცვლა და წარმოების ტექნოლოგიური გადაიარაღება), რაშიც დიდი წვლილი შეიტანა კერძო სექტორმა. ამ რეგიონის ქვეყნების ეკონომიკის სტრუქტურა თანდათან იცვლის ორიენტაციას მსოფლიო ტექნოლოგიური სტანდარტების მქონე სამრეწველო პროდუქციის გამოშვებისკენ. სწრაფად ვითარდება არამატერიალური წარმოების სფერო (ტურიზმი, ფინანსები). ასე, რომ, ეს ქვეყნები უკვე გადადიან განვითარების ახალ მოდელზე. მათში მოქმედებს მსოფლიოს წამყვანი ტრანსნაციონალური კომპანიების მრავალრიცხოვანი ფილიალები და შვილობილი კომპანიები, ინტენსიურად ხდება უცხოური კაპიტალის მოზიდვა;

– პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ განვითარებადმა ქვეყნებმა მიმართეს ინდუსტრიალიზაციას როგორც ეკონომიკური ჩამორჩენის დაძლევის გზას, რითაც მოახერხეს კიდევ ჩამორჩენის შემცირება და ეროვნული შემოსავლის გაფართოება. შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ჩართვის მკვეთრად გადიდება არსებითად გააფართოვა მათი ნაციონალური ბაზრების ტევადობა და გაზარდა იმპორტჩანაცვლების შესაძლებლობები, ოღონდ უკვე უფრო პროდუქტიულ საფუძველზე. რაც შეეხება ნავთობით მდიდარ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს, აქ ნავ-

თობის ექსპორტით მიღებული დიდძალი შემოსავლები ეკონომიკის განვითარებას მოახმარებს, რის გამოც ბევრი მათგანი რეგიონი აყვავებულ ქვეყნად იქცა. ამ ქვეყნებში ახლა ხორციელდება ეკონომიკის დივერსიფიკაცია – ვითარდება ახალი დარგები, ნედლეულის სანაცვლოდ ძლიერდება კაპიტალისა და მომსახურების ექსპორტი. აფრიკის ქვეყნებს შორის ეკონომიკურ განვითარებაში კრის ქვეყნები ლიდერობენ, სადაც პოლიტიკური და მაკროეკონომიკური სტაბილურობაა.

ბოლო ხანს განვითარებადი ქვეყნები აქტიურად იზიდავენ უცხოურ კაპიტალს, რაც ეკონომიკის მონინავე დარგების განვითარების წახალისების სურვილითაა გამონეული. ამისათვის ისინი წარმატებით იყენებენ სპეციალურ ეკონომიკურ ზონებს, სადაც შეღავათიან პირობებს უქმნიან უცხოურ კაპიტალს.

ამგვარად, ეკონომიკურ ზრდა-განვითარებასა თუ კრიზისული ვითარების დაძლევას სხვადასხვა რანგის ქვეყნები სხვადასხვა გზებით აღწევენ, მაგრამ საქართველო შედარებით პატივსაცემი ქვეყანაა და რთული მდგომარეობიდან გამოსვლის თვალსაზრისით მას ერთგვარი უპირატესობაც აქვს. შედარებით ნაკლები ინერციულობა და დაუძლეველ წინააღმდეგობათა არარსებობა იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ ქვეყანაში შექმნილი სიძნელებები ასევე შედარებით მოკლე ხანში იქნეს გადალახული.

თანამედროვე პირობებში განსაკუთრებული ყურადღების საგანი უნდა იყოს ის, რომ განვითარებულ ქვეყნებში ნეოეკონომიკის ჩამოყალიბების ფონზე. საქართველოშიც აუცილებლად შემუშავდეს სათანადო ნეოეკონომიკური სტრატეგია.

მსოფლიო თანამეგობრობაში ჩვენი ქვეყანა უნდა დაიკვიდრდეს მისი მეცნიერულ-ტექნოლოგიური და არა საშუაშავლო ფუნქციით. უნდა მოხერხდეს ტექნოლოგიური უპირატეობის მიღწევა ცალკეულ სფეროებში და მსოფლიო ბაზარზე ამა და იმ პროდუქციის საკუთარი სეგმენტის მოპოვება. სწორედ ამის პირობაა ნეოეკონომიკის ჩამოყალიბება და ქვეყნის ერთობლივ კაპიტალის სტრუქტურაში კარდინალური ძვრების მოხდენა – განაძლების, მეცნიერების, ინფორმატიზაციისა და ინტერნეტიზაციის დაქარებულად განვითარება.

თავისი პოტენციალით საქართველო შეძლებს გამორჩეული ადგილი დაიმკვიდროს მსოფლიო თანამეგობრობაში. იგი უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც ევროკავშირში გაერთიანებული, მისა თანასწორუფლებიანი და ღირსეული წევრი ქვეყანა, რაც მდგრადი და უსაფრთხო განვითარების პირობებს შეუქმნის მას. ჩამოყა-

ლიბდება სოციალურ-ეკონომიკური წონასწორობა, როგორც ევოლუციური განვითარების მტკიცე გარანტი.

ევროკავშირში გაერთიანების სოციალურ-ეკონომიკური პირობების შესაქმნელად საჭირო იქნება მხოლოდ სერიოზული ინსტიტუციური ცვლილებები და ეკონომიკის დეფორმირებული სტრუქტურის გამოსწორება: სოფლის მეურნეობის სვედრითი წილის დაყვანა მშპ-ის 8-9%-მდე, მრეწველობის ხვედრითი წილის ამაღლება 22-25%-მდე და მომსახურების სფეროს წილისა – 65-70%-მდე.

ევროკავშირთან დაკავშირებით ერთი რამ ხაზგასმით უნდა შევნიშნოთ, რომ იგი არ უნდა იქცეს ახალ საბჭოთა კავშირად ან რაიმე მის მსგავს სტრუქტურად. ასეთ შემთხვევაში საჭიროა ადეკვატური რეაქცია, ისეთი, როგორც ჰქონდათ ევროპის ქვეყნებს (საფრანგეთი, ჰოლანდია), რომლებმაც სახალხო რეფერენდუმზე ჩააგდეს ევროკონსტიტუციის შემოთავაზებული პროექტი.

როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, საქართველოს გააჩნია სათანადო საბაზო რესურსები, რათა თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში მონახოს თავისი ისტორიული ადგილი და შეასრულოს რეგიონში ლიდერის როლი, როგორც ძლიერ კულტურულ ტრადიციებზე დაფუძნებულმა და გლობალიზაციის პოზიტივებზე ორიენტირებულმა ქვეყანამ. იმ თვალსაზრისით, თუ რა მოაქვს თავს მოხვეულ გლობალიზაციას (კორპორაციულ ნიველირებას), მასთან დამოკიდებულებაში ქვეყანას უნდა გააჩნდეს გამოკვეთილი, ერთმნიშვნელოვანი ანტიგლობალისტური სახელმწიფოებრივი კურსი.

რეზიუმე

გლობალიზაციის წინააღმდეგობრივი პროცესების, მიმართულებებისა და ტენდენციების ანალიზიდან, გლობალური ეკონომიკის განვითარების პერსპექტივებისა და მასში ტრანსნაციონალური კორპორაციების (ტნკ-ების) როლის შესწავლიდან, ეროვნულ მეურნეობათა დაბალანსებულად განვითარებაში ეკონომიკური კავშირებისა და ალიანსების მნიშვნელობისა და მათში საქართველოს განვითარების პერსპექტივების განსაზღვრიდან, განსხვავებული რანგის ქვეყნების ეკონომიკური სტრატეგიებისა და მოდელების განხილვიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ:

1. გლობალიზაციის მიმართ დამოკიდებულება არაერთგვაროვანია, სხვადასხვაგვარად ხდება მისი აღქმა.

ზოგადად გლობალიზაცია წარმოადგენს ქვეყნებსა და რეგიონებს შორის ურთიერთგავლენისა და ურთიერთდამოკიდებულების გაძლიერების პერმანენტულ პროცესს, რომელიც არღვევს ერობრივ, ტერიტორიულ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ, ფსიქიკურ და სხვა რიგებს და მიმართულია კულტურულ-ცივილიზაციური ერთობისა და რეგულირების ზეეროვნული სისტემის შექმნისაკენ.

ეკონომიკური გლობალიზაცია შეიძლება ვუნოდოთ მსოფლიო მეურნეობის მასშტაბით მიმდინარე იმ პროცესს, რომელიც გამოდგმებით აძლიერებს ეროვნულ მეურნეობათა ურთიერთგავლენას და ურთიერთდამოკიდებულებას.

გლობალიზაციის პროცესის განვითარების მთავარი მიმართულებებია: საერთაშორისო ვაჭრობა; საერთაშორისო ფინანსური ოპერაციები და წარმოების ფაქტორების საერთაშორისო მოძრაობა.

ყველაზე ზოგადი მიდგომით შეგვიძლია გამოვყოთ გლობალიზაციის გაზომვის ისეთი მაჩვენებლები, როგორცაა: საერთაშორისო ვაჭრობის ზრდის ტემპები, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და საერთაშორისო ოპერაციები ფასიან ქალაქებზე.

2. ტნკ-ებს ნამყვანი ადგილი უჭირავთ დღევანდელ მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესში. ისინი თავიანთი მოქმედების სტრატეგიას განსაზღვრავენ ბაზრების პლანეტარული ხედვის, აგრეთვე, მსოფლიო მასშტაბით ეკონომიკური კონკურენციის გამწვავების და თანამშრომლობის გაღრმავების საფუძველზე.

ტკ-ების ქსელის წარმოქმნასთან ერთად მსოფლიოში დადგა გლობალური ტექნოლოგიური სივრცის, როგორც ეკონომიკის მატერიალური საფუძვლის ფორმირების დრო. რომელიმე ეროვნულ ტექნოლოგიურ სისტემას უკვე აღარ შეუძლია დამოუკიდებლად და იზოლირებულად არსებობა-განვითარება. ამის ყოველ მცდელობას უთუოდ მოჰყვება დეგრადაცია და თვითნგრევა. უფრო მეტიც, ეროვნულ სისტემებში მიმდინარე პროცესები გლობალურ სისტემაში მომხდარი ცვლილებებითაა ნაკარნახევი; გლობალურ, ეროვნულ და ლოკალურ ტექნოლოგიურ ციკლებს სინქრონიზებული დინამიკა აქვთ.

ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს უზარმაზარი დახმარება დასჭირდებათ ტექნიკისა და ტექნოლოგიების ახალი, ეფექტიანი თაობების ათვისებასა და გავრცელებაში, სათანადო კადრების მომზადებაში, მსხვილი საერთაშორისო ინოვაციური პროექტებისა და პროგრამების რეალიზებაში. მიზანშეწონილად მიგვაჩნია გლობალური ტექნოლოგიური ფონდის შექმნა ტექნოლოგიური კვაზირენტის ხარჯზე, საიდანაც დააფინანსებდნენ ჩამორჩენილი ქვეყნების ტექნოლოგიური დონის ამაღლების უზრუნველყოფი ინოვაციურ პროგრამებსა და პროექტებს.

3. ამჟამად საქართველოს დაკარგული აქვს ტექნოლოგიური დამოუკიდებლობა და მისი ეკონომიკური განვითარება უკვე წარმოების საშუალებათა შემოტანაზეა დამოკიდებული იმ სხვა ქვეყნებიდან და ტკ-ებიდან, რომლებიც თავიანთ პირობებს სთავაზობენ მსოფლიო ბაზარს. ტექნოლოგიურად ჩამორჩენის გამო ქვეყანა სულ უფრო მზარდი მასშტაბებით განიცდის დიფერენციალურ სამეცნიერო-ტექნიკურ ზარალს. მიუხედავად ამისა, ქვეყანაში ჯერ კიდევაა შენარჩუნებული ეკონომიკური ზრდა-განვითარების ტექნოლოგიური წანამძღვრები. პირველი მათგანია ფართო და მრავალფეროვანი სამეცნიერო-ტექნიკური მარაგი, რომელიც შესაძლებელია საფუძვლად დაედოს ახალი ტექნოლოგიური წყობის მთელ რიგ მიმართულებათა ფორმირებას. გარდა ამისა, ტექნოლოგიური გარღვევის კიდევ ერთი წანამძღვარია ბოლო წლებში მრავალი მიმართულებით განხორციელებული თუ ამჟამად მიმდინარე მეცნიერული კვლევები და დამუშავებები, რომლებიც პრიორიტეტულად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

4. კარგადაა ცნობილი ლიდერებზე „დანევის“ სამეცნიერო-ტექნოლოგიური სტრატეგიის უპერსპექტივობა. საჭიროა სხვა მიდგ-

ომების ძიება, რომლებიც გასწრების სტრატეგიაზე იქნება ორიენტირებული. სწორედ ასეთმა სტრატეგიებმა მოუტანა წარმატება ახალინდუსტრიულ და სხვა ქვეყნებს. ამ სტრატეგიის ელემენტებია: ა) ორიენტაციის აღება ტექნოლოგიურ გარღვევაზე; ბ) სამეცნიერო-ტექნოლოგიური პრიორიტეტების სისტემა; გ) ტექნოლოგიური გარღვევის აქტიური სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა; დ) ტექნოლოგიური გარღვევის განხორციელება სხვა ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობითა და პარტნიორობით.

5. ამჟამად ხდება ეკონომიკური საზღვრების კონფიგურაციის შეცვლა ცვალებადი გეოეკონომიკური ვითარებისა და ტრანსნაციონალური სტრუქტურების გადაჯგუფების გავლენით. შრომის დანაწილების მუდმივად ცვალებადი საზღვრები არ ემთხვევა ეროვნულ (სახელმწიფოებრივ) საზღვრებს. ეროვნული მეურნეობები ნაწილებადაა „დახლეჩილი“ და ეს ნაწილები სხვადასხვა გლობალური კვლავწარმოებითი ციკლების (ბირთვების) რგოლებადაა გადაქცეული.

მსოფლიოს პოლიტიკური და ეკონომიკური საზღვრები არა თუ არ ემთხვევა ერთმანეთს, არამედ, პირიქით, მსოფლიოს პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურები ძირეულად განსხვავდება ერთმანეთისგან და განსაკუთრებულ შეფერილობას აძლევს მსოფლიო მეურნეობაში ძალთა ახლებურად განლაგების პროცესს.

6. ჩვენი ეპოქის მთავარი პრობლემაა ბრძოლა, ერთი მხრივ, გაერთიანების, ფედერაციისა და კონფედერაციის, ხოლო, მეორე მხრივ, გათიშვის, რღვევისა და კონფლიქტის ძალებს შორის, რაც სრულიად განსხვავებული ფორმებით ვლინდება. აშკარად ჩანს იმის ტენდენცია, რომ ძირითადი წინააღმდეგობები თავს იჩენს არამარტო სახელმწიფოებს შორის, არამედ იმ ქვეყნების დაჯგუფებებს შორისაც, რომელთაც ეკონომიკური განვითარების საერთო მოდელი ახასიათებს. რეგიონული ინტეგრაციული გაერთიანებების შექმნა, რაც ეკონომიკის გლობალიზაციის გამობატულება და მისი ერთგვარი შუალედური ეტაპია, მსოფლიო ეკონომიკაში ერთგვაროვანი ინტერესების დაცვის მიზნით იქმნება.

7. რეგიონული ინტეგრაცია თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების კანონზომიერებაადაა ქცეული. მისი ეფექტიანობა გამობატულება მშპ-ის ზრდის უფრო მაღალი ტემპებით არაინტეგრირებული მეურნეობების უმრავლესობასთან შედარებით. რეგიონული ეკონომიკური შეთანხმებე-

ბის და სავაჭრო-ეკონომიკური დაჯგუფებების ფარგლებში სწრაფად ფართოვდება შიდა რეგიონული ვაჭრობა. თანამშრომლობა ღრმავდება რეგიონულ ეკონომიკურ კავშირებსა და ალიანსებს შორისაც.

ევროპული ინტეგრაცია საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ორიენტირად არის აღიარებული, ხოლო ევროკავშირთან ეკონომიკურ ინტეგრაციას მის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად განიხილავენ. მაგრამ თუ ევროკავშირთან ინტეგრაცია საქართველოს განვითარების სტრატეგიული მიზანია, სადღეისოდ იგი რეალურად მონაწილეობს დსთ-ში, სუუამ-სა და ბისეკ-ში მიმდინარე ინტეგრაციულ პროცესებში, რომელთაც თავთავიანთი უპირატესობები და ნაკლოვანებები აქვთ გლობალურ სივრცეში საქართველოს დამკვიდრების თვალსაზრისით.

8. ყველა ქვეყანა სულ უფრო ნათლად გრძნობს მსოფლიო ინტეგრაციული ტენდენციების გავლენას. გლობალიზაციის ობიექტურ და შეუქცევად პროცესში ადრე თუ გვიან მათ მოუწევთ მონაწილეობა, მაგრამ აქ მთავარია ის საკითხი, თუ რა პირობებში და რა „სტატუსით“ ჩაერთვებიან ისინი გლობალურ ეკონომიკურ ორგანიზაციაში. ამ კონტექსტში ყურადღება უნდა გავამახვილოთ „თავსმობვეული“ ანუ „იძულებითი“ ინტეგრაციის საჭირობორტო პრობლემაზე, რომელიც საქართველოსთვის ყველაზე უფრო მწვავედ რუსეთთან მიმართებაში დგას. დსთ-ის სივრცეში აშკარაა ქვეყნების იძულებითი ინტეგრაციის მცდელობა, რასაც ამ სივრცეში რუსეთის იმპერიული ამბიციები და სტრატეგიული მიზნები ასაზრდოებს. ასე, რომ დსთ-ის სივრცეში არსებული პოლიტიკური გარემო უფრო გლობალიზაციის ხელშემშლელი ფაქტორია.

9. გარდამავალ პერიოდში სახელმწიფოს უწევს არატრადიციული როლის შესრულებაც. ესაა გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური სტრატეგიის შემუშავება, ეროვნული ინტერესების შეხამება გლობალიზაციასთან, საერთაშორისო სტრუქტურებში მონაწილეობით ქვეყნის ინტერესების დაცვა და ა.შ. სახელმწიფო თავის თავზე იღებს იმ დარგების, ფირმების, კორპორაციებისა თუ სტრუქტურების გულდასმით შერჩევას, რომლებიც პრიორიტეტულად უნდა ჩაერთონ შრომის საერთაშორისო დანაწილებაში.

10. გლობალიზაცია პირობითად შეიძლება განვიხილოთ, როგორც ორპოლუსიანი მოვლენა, რომლის ვერტიკალის ზედა მხარესაა ძლიერი ეკონომიკური პოტენციალისა და სამხედრო-პოლი-

ტიკური გავლენის მქონე ქვეყნები, ხოლო ქვედა მხარეს კი ყველა დანარჩენი, განვითარების სხვადასხვა დონის ქვეყნები.

აქედან გამომდინარე შეიძლება ვიმსჯელოთ, ერთი მხრივ ზემოდან წამოსულ, თავსმოხვეულ, ავანტიურისტულ, კორპორაციულ ნიველირებაზე დაფუძნებულ, ხოლო, მეორე მხრივ, ქვემოდან წამოსულ, ინტერესთა ერთიანობაზე, თანხვედრასა და კოოპერაციაზე დაფუძნებულ, ევოლუციურ გლობალიზაციაზე. გლობალიზაციის პროცესის პოზიტიური, დინამიკური გეზი სწორედ ამ უკანასკნელზე გადის.

11. გლობალიზაციის უპირატესობათა ძირითად ნაწილს მდიდარი ქვეყნები და ინდივიდები იღებენ. სუსტად განვითარებული ქვეყნები კი მინიმალურ მოგებას ნახულობენ. ამიტომ მიღებული სიკეთის (სიმდიდრის) არასამართლიანად განაწილება კონფლიქტების გაჩენის საფრთხეს შეიცავს რეგიონულ, ეროვნულ და ინტერნაციონალურ დონეებზე. ცხადია, თავიანთი ინტერესების დაცვას მსოფლიო ეკონომიკაში დიდი პოტენციალის მქონე ქვეყნები და მათი ალიანსები უფრო ახერხებენ, ინტერესთა შეჯახება კი არცთუ ისე იშვიათად ხდება. ეს დაპირისპირება ზოგჯერ ისე ძლიერია, რომ გლობალიზაციისა და ვაჭრობის ლიბერალიზაციის საწინააღმდეგო გამოსვლებშიც კი იჩენს თავს.

12. ეკონომიკური ინტერესების დაცვას ქვეყნების უმრავლესობა დღეს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მექანიზმების გამოყენებით ცდილობს. ემო-ში მათ იზიდავთ საერთაშორისო ვაჭრობაში დისკრიმინაციის აღკვეთის პერსპექტივა, მრავალმხრივი სავაჭრო მოლაპარაკებების გამართვის და საერთაშორისო სავაჭრო დავების სამართლიანად მოგვარების შესაძლებლობა, ემო-ს ფარგლებში სავაჭრო პოლიტიკის ზედამხედველობა და მსოფლიო ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელ საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. მაგრამ სხვა მოსაზრებათა მიხედვით, ემო-ში განწევრიანება პრაქტიკულად გამორიცხავს ეფექტიანი საბაჟო პოლიტიკის გატარების შესაძლებლობას.

13. გლობალიზაციის ლიდერი ქვეყნების სტრატეგიაში გამოკვეთილად ჩანს მათი რეგიონული ეკონომიკური ბლოკების ჩამოყალიბებასა და გაძლიერებაზე ზრუნვა. ინტეგრაციული დაჯგუფებების მონაწილეებს შორის თანდათან უქმდება სავაჭრო-ეკონომიკური დაბრკოლებები, სამაგიეროდ კი ხდება დაბეგვრისა და სხვა დაბრკოლებების უნიფიცირება მესამე ქვეყნების მიმართ.

საგულისხმო ფაქტია, აგრეთვე, სუსტ პარტნიორებზე უპირატესობის მოპოვებიდან მათთან საკონკურენტო პარტნიორობაზე გადასვლა და ძლიერი პარტნიორების ურთიერთდამოკიდებულების გაძლიერება.

14. თანამედროვე მსოფლიო მეურნეობაში ინტენსიურად ვითარდება ტრანსატლანტიკური ეკონომიკის ჩამოყალიბების უნიკალური პროცესი, რომელმაც აშშ-ისა და ევროკავშირის ეკონომიკური პოტენციალი უნდა გააერთიანოს. გლობალიზაციის პროცესში ამ ორი ცენტრის ლიდერობის მთავარი მიზეზი ისაა, რომ დღეს ისინი მსოფლიოს სტაბილიზატორის როლს თამაშობენ და ყველაზე უფრო კონკურენტუნარიანი და ინვესტორებისათვის მიმზიდველი რეგიონები აღმოჩნდნენ.

15. გლობალურ ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენების მიმართ კანადის მხრიდან გამოვლენილი ერთგვარი ნეიტრალიტეტი და სხვა სუპერსახელმწიფოებისგან განსხვავებული მტკიცე საკუთარი პოზიცია იმის რეალურ შესაძლებლობას უქმნის ამ ქვეყანას, რომ იგი გადაიქცეს თანამედროვე მსოფლიო სამეურნეო კავშირურთიერთობების ერთოლარული სისტემის ერთ-ერთ დამაბალანსებლად. საამისოდ საჭირო გახდება იმ ქვეყნების კონსოლიდირება, რომელთა ერთობლივი პოტენციალი ამერიკისას შეიძლება გაუტოლდეს.

16. იაპონიის როგორც ერთ-ერთი წამყვანი ეკონომიკური ცენტრის თავისებურება ისაა, რომ იგი ერთგვარად აბალანსებს აშშ-ისა და ევროპის პოზიციებს, რომელთაგან პირველი ცდილობს გაბატონებული მდგომარეობა დაიკავოს საქმიანობის ყველა სფეროში, ხოლო მეორე თავისი შიდა ინტეგრაციის პრობლემებითაა დაკავებული. მაკროეკონომიკურ სტრატეგიაში გამოვლენილმა კონსერვატიზმმა და კარჩაკეტილობამ ძლიერ შეარყია იაპონიის, როგორც კაპიტალიზმის წამყვანი ცენტრის პოზიციები. აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში მისი პოზიციები ახლა შესუსტებულია, რის გამოც ველარ ასრულებს რეგიონის ლიდერის როლს ინტეგრაციულ პროცესებში. საფიქრელია, რომ იაპონიის სტრატეგია სწორედ რეგიონში მისი პოზიციების აღდგენა-განმტკიცებისკენ იქნება მიმართული.

17 განვითარების ინდუსტრიულ გზაზე შემდგარი განვითარებადი ქვეყნები ისეთ სტრატეგიას მიმართავენ, რომელიც უზრუნველყოფს უცხოური ინვესტიციების მოზიდვას და საგარეო ვაჭრო-

ბის გაფართოების სტიმულირებას. ექსპორტიდან მიღებულ შემოსავლებს ისინი ყველაზე უფრო პერსპექტიული დარგების განვითარებას ახმარენ.

18. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების სტრატეგიაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა რეგიონის ახალი ეკონომიკური ინტეგრაციის დაწყებამ და დასავლეთის ქვეყნებთან ვაჭრობის განვითარებამ, სამეცნიერო-ტექნიკურმა გაცვლამ და ინვესტიციების სფეროში თანამშრომლობამ. ამ რეგიონის ქვეყნების ეკონომიკის სტრუქტურა თანდათან იცვლის ორიენტაციას სოფლის მეურნეობიდან, ნედლეულის მოპოვებიდან და ნაკლებად მეცნიერებატევადი წარმოებიდან ისეთი კონკურენტუნარიანი სამრეწველო პროდუქციის გამოშვებისკენ, რომელსაც ყველაზე მაღალი მსოფლიო ტექნოლოგიური სტანდარტები აქვს. სწრაფად ვითარდება არამატერიალური წარმოების სფერო, კერძოდ, ტურიზმი და ფინანსები. ამგვარად, ცენტრალურსა და აღმოსავლეთ ევროპაში გადადიან ინტენსიური განვითარების მოდელზე, რომელსაც პოსტინდუსტრიული ტიპის საბაზრო ეკონომიკა უდევს საფუძვლად.

19. საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლაში მიღწეული წარმატებების თვალსაზრისით ვიშეგრადის ჯგუფისა და სლოვენის შემდეგ ბალტიის სამი ქვეყანა მოდის. მათ თანმიმდევრულად გაატარეს მაკროეკონომიკური გარდაქმნები და წარმატებით გადაჭრეს ბაზარზე გადასვლის უმნიშვნელოვანესი ამოცანები. ბალტიის ქვეყნებში ავითარებენ ისეთი საქონლის წარმოებას, რომელიც კონკურენტუნარიანია ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისა და დსთ-ის ბაზრებზე. არამატერიალური წარმოებიდან აქ აღმავლობას განიცდის საბანკო საქმიანობა და ტურიზმი. არამატერიალურ წარმოებას ყველაზე მეტი ხვედრითი წილი აქვს ესტონეთის ეკონომიკაში, რომელიც სანიმუშოდ შეგვიძლია მივიჩნიოთ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისთვის.

20. ეკონომიკური განვითარების ტემპებით დღეს მსოფლიოს ერთ-ერთი ლიდერი ქვეყანაა ჩინეთი. მის გარდამავალ ეკონომიკურ სისტემას ის თავისებურება აქვს, რომ საბაზრო ურთიერთობები აქ კომუნისტური პარტიის კონტროლით მკვიდრდება. ჩინეთი უმსხვილესი აგრარულ-ინდუსტრიული ქვეყანაა. ამიტომ მისი სტრატეგიული ამოცანა გახდა მსოფლიოში პირველ პოზიციაზე გასვლა სამრეწველო წარმოების დონით. ჩინეთის ეკონო-

მიკურ ზრდაზე არსებითად მოქმედებს მისი ეკონომიკის კარგახსნილობის პოლიტიკა.

21. განვითარებადი ქვეყნები თანდათან ხდებიან საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა სრულუფლებიანი და მნიშვნელოვანი სუბიექტები. პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მათ მიმართეს ინდუსტრიალიზაციას, როგორც ეკონომიკური ჩამორჩენის დაძლევის გზას, რომლის ორი მთავარი სტრატეგია ანუ მოდელი შეგვიძლია გამოვყოთ: შიგნითკენ მიმართული და გარეთკენ მიმართული განვითარება. პირველი სტრატეგიის პრიორიტეტად იქცა სამრეწველო საქონლის შიდა ბაზრის ათვისება, მეორეს კი საფუძვლად დაედო ადგილობრივი ნაწარმის გატანა საგარეო ბაზარზე. ორივე სტრატეგიის რეალიზებაში თითქმის გადამწყვეტ როლს სახელმწიფო ასრულებდა.

ეროვნული ბაზრების სივინროვით განპირობებული პრობლემების გათვალისწინებით განვითარებადმა ქვეყნებმა შექმნეს ათობით ინტეგრაციული დაჯგუფებები, თუმცა, საერთო ბაზრის შექმნაში ვერცერთმა მათგანმა ვერ მიაღწია წარმატებას. კრიზისების პერიოდში დამანგრეველ რყევებს მხოლოდ იმ ქვეყნებმა დააღწიეს თავი, რომლებიც უფრო და უფრო ერთვებოდნენ შრომის საერთაშორისო დანაწილებაში, აგრეთვე, იმ ქვეყნების ნაწილმა, რომლებიც მეტისმეტად არ ზღუდავდნენ მასში ჩართვას და წინდახედულ ფულად პოლიტიკას ეწეოდნენ.

განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური ზრდის მოდელის მთავარი თავისებურებაა სამეურნეო ცხოვრებაში სახელმწიფოს შედარებით დიდი ხვედრითი წილი ანუ ე.წ. ეტატისტური მოდელი, თუმცა 1990-იანი წლების შუა პერიოდიდან დასავლეთ აზიაში დაიწყო მეურნეობის დეეტატიზაცია, კერძო სექტორში კი დიდძალი უცხოური ინვესტიციები მოიზიდეს. ამ რეგიონის ქვეყნები ამჟამად იმყოფებიან თავიანთი ეკონომიკის ყველაზე ოპტიმალური სტრუქტურის ძიების პროცესში. მზარდი ფინანსური სახსრები ხმარდება ეროვნული მეურნეობის არატრადიციული სექტორების განვითარებას.

22. მსოფლიო სამეურნეო კავშირურთიერთობებში აფრიკის სპეციალიზაცია ჯერ კიდევ აგრარულ-სანედლეულოა. ამ კონტინენტის თანამედროვე განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენს აზიის რეგიონში მიმდინარე ეკონომიკური ზრდა. აზიის ბაზრებს ჭარბად ესაჭიროება ნედლეული, რომლის მნიშვნელოვან ნაწილსაც

მას აფრიკა ან ვდის. ამჟამად აქ ჩნდება ექსპორტზე ორიენტირებული არატრადიციული დარგები (ყვავილების მოყვანა, სამრეწველო ნაწარმის დამზადება საექსპორტო ზონებში; საერთაშორისო ტურიზმი). სამხრეთში ძალას იკრებს რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესი.

23. ბოლო ხანს განვითარებადი ქვეყნები აქტიურად იზიდავენ უცხოურ კაპიტალს ეკონომიკის მონინავე დარგებში, რისთვისაც ქმნიან ხელსაყრელ საინვესტიციო გარემოს, საჭირო ინფრასტრუქტურას, სპეციალურ ეკონომიკურ ზონებს. განვითარებად სამყაროში დაბანდებული მთელი უცხოური კაპიტალის თითქმის ნახევარი პირდაპირი ინვესტიციებია. ამ მხრივ გამოირჩევა აღმოსავლეთ აზიისა და ლათინური ამერიკის რეგიონი, სადაც შედარებით უფრო დინამიკური და პერსპექტიული ეკონომიკის მქონე ქვეყნები მდებარეობს.

24. მექსიკის, თურქეთის და სხვა ქვეყნების გამოცდილება გვიდასტურებს, რომ გულუბრყვილო ილუზიაა აყვავების მოლოდინი ბაზრის მთლიანად გათავისუფლების იმედად. ყოველთვის, როდესაც კი სუსტად განვითარებული ქვეყანა ეცდება სუბსიდიებისა და სატარიფო დაცვის გარეშე გაუნოს კონკურენცია დასავლეთის მძლავრ ეკონომიკას, მისი მარცხი გარდაუვალია. აზიაში ეკონომიკური აღმავლობისათვის ის სტრატეგია გამოიყენეს, რომელზეც დასავლეთმა თქვა უარი – სახელმწიფოს ფართომასშტაბიანი ჩარევა ეკონომიკური საქმიანობის ყველა დონეზე. სახელმწიფოს ხელიდან არ გაუშვია ეკონომიკური მმართველობის სადავეები. იგი მაღალი ბაჟითა და ტექნიკური მოთხოვნებით ბლოკავს საქონლის იმპორტს იმ დარგებში, სადაც ადგილობრივი ფირმები სუსტია და ამით უმკლავდება საერთაშორისო კონკურენციას. ამის საპირისპიროდ, ყოველი ღონისძიებით ცდილობს ექსპორტის სტიმულირებას და ამ სტრატეგიის მნიშვნელოვან ელემენტად გაცვლითი კურსის მანიპულირებას მიმართავს.

25. მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია არ ემორჩილება რომელიმე ერთ, უნივერსალურ პრინციპს. თუ ეკონომიკური აღმავლობის ადრინდელი ცენტრები კვლავ მოუწოდებენ სახელმწიფოს ჩაურევლობისაკენ და საბაზრო მექანიზმების მოქმედების სფეროს გაფართოებისკენ, ეკონომიკური ზრდით დღეს გამორჩეული ქვეყნები სწორედ ამის საპირისპიროს აკეთებენ და თავიანთ მოქმედებას სრულიად უშიშრად უწოდებენ ცენტრალიზებულ

ეკონომიკურ დაგეგმვას. აზიაში განხორციელებული დაგეგმვის წარმატებები ნათლად ადასტურებს ამას. მაგრამ აზიურ სასწაულს მეორე მხარეც აქვს. ეს ბუმი გრძელდება კორუფციის, პოლიტიკური რეპრესიების, გარემოს დაუნდობლობის და უუფლებო სამუშაო ძალის ექსპლოატაციის ფონზე.

26. მსოფლიო მეურნეობაში საქართველოს ინტეგრირების ძირითადი მიმართულებაა საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების გაძლიერება განვითარებულ ქვეყნებთან. ინტეგრაციულ პროცესებში მონაწილეობის დონე შეგვიძლია შევაფასოთ ქვეყნის საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების და უცხოური ინვესტიციების გამოყენების ძირითადი მაჩვენებლებით.

27. 2004 წელს საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორები იყვნენ რუსეთი თურქეთი, გაერთიანებული სამეფო, აზერბაიჯანი. ქართული ექსპორტის ძირითადი ბაზრებია თურქეთი, რუსეთი, თურქმენეთი, სომხეთი, გაერთიანებული სამეფო და აზერბაიჯანი. 2004 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბალანსმა -1,2 მლრდ დოლარამდე შეადგინა.

საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად ჯერ კიდევ არაა შექმნილი სათანადო ხელსაყრელი გარემო. ქვეყნის საინვესტიციო ბაზარზე შექმნილი არასახარბიელო ვითარების მიზეზი აქ არსებული გაუსაძლისი საინვესტიციო კლიმატია. ამის შედეგითაა ის, რომ საინვესტიციო ბაზრიდან ფაქტობრივად გაქრნენ ავსტრალია, დიდი ბრიტანეთი, კანადა, ნიდერლანდი (თუმცა, 2002 წელს მისი აქტივობა კვლავ განახლდა), საბერძნეთი, საფრანგეთი, შვეიცარია და ჩინეთი.

